

Y 111 816
K 3




ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეგმსელ გაგზოვი

გაგზოვი



ქართული
ბიბლიოთეკა



801-2



ქართული
ბიბლიოთეკა

გერცელ ბააზოვი

პიესები

K 111.816
3

საქვ-2000
შემოწმებულია



ხელოვნება
თბილისი—1962



ქართული
ბიბლიოთეკა

მეჩხეპი პეპეკეპეპე

დრამა 4 მოქ. 14 სურ.

პირველად დაიდგა თბილისის სცენაზე
რესპ. სახ. არტ. კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
არსებულ სახელმწიფო თეატრში 1932 წ. 3 აპრილს;
ჭუთაისში — გრ. სულიაშვილის ხელმძღვანელობით
არსებულ სახელმწ. თეატრში ამავე წლის 10 აპრილს



ქართული
ბიბლიოთეკა



მოქმედი პირნი

დანიელ შათარაშვილი. მდიდარი ებრაელი
იოხაბედ. ცოლი
ყაზარია. შვილი
იეხისკიელ ყვითელაშვილი. ღარიბი ებრაელი
ნაყომი. ცოლი
დავიდ. შვილი
მირიამ. ქალიშვილი
მეირ სეფიაშვილი. ღარიბი ხარაზი. ახალგაზრდა
ხარიტონ აბზიანიძე. დანიელის მეგობარი, კულაკი
ზეზო დავითაშვილი. ავანტიურისტის ტიპი
რაბი შიმყონ მანაშერაშვილი. მოხუცი რაბინი
იშაი მამისთვალი. ღარიბი მოხუცი, სალოცავის დარაჯი
მიხა დვალი. რაიალმასკომის თავმჯდომარე
ვარლამ ტატიშვილი. აქტიური კომკავშირელი
აბრამია. მოხუცი ებრაელი

ებრაელთა მასა: ქალები, კაცები.
საბაზროდ მოსული გლეხები.
უცხო კაცი.
მილიციელი.



ებრაული სიტყვების ახსნა

I მოძველება

1 სურათი

მეზუზა—მოგრძო თუნუქის ყუთში გამოკრული ებრაული ~~ლოცვა~~
რომელიც ყოველ მორწმუნე ებრაელს სახლის კარზე აქვს მიკრული
ყარბით—სალამოს ლოცვა
მაზალ—ბედი
ყოლამ ჰაბა—საიქიო

2 სურათი

ბერახა—კურთხევა
ფარნასა—სარჩო
რაბი—რაბინი, მოძღვარი
ქეთუბა—ქორწინების აქტი

3 სურათი

ადონაი—ღმერთი
ყოლამ—ქვეყანა
ხაზირ—ღორი
მაზალტობ—კარგი ბედი
მალახ-ჰამავეთ—სიკვდილის ანგელოზი


4 სურათი

შალომ ყალეხემ—მშვიდობა თქვენდა (გამარჯობა)
შამაშ—სალოცაეის დარაჯი
ლესაიმ—იკოცხლე
სიმანტობ—კარგი ნიშანი
ხათან-ქალა—მეფე-დედოფალი
„კოლ ხასონ ვეკოლ სიმხა
კოლ ხათან ვეკოლ ქალა“

„ხმა ლხენისა და ხმა სიხარულისა, ხმა მეფისა და ხმა დედო-

ფლისა“

ხასიდ—ებრ. შორის ფანატიკური რელიგიური სექტა



5 სურათი

ბირქათ ჰალებანა—მთვარის კურთხევა

„ბარუხ ათა აღონაი, ელოენუ,

მელეხ ჰაყოლამ, აშერ ბარა

ბემაამარო შეხაკიმ“

„კურთხეულ იყავ შენ აღონაივ,

ჩვენო ღმერთო, ქვეყნის მეფეო,

რომელმაც შეჰქმნა თავის ბრძანებით სამყარო“

II მოქმედება

ქაშერ—ებრ. რელიგიის წესების დაცვით

დამზადებული ხორცი

ბენ-ზახარ—ვაჟიშვილი

III მოქმედება

1 სურათი

აკადოშ ბარუხ უ?— იგულისხმება ღმერთი

(სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „წმინდა კურთხეულია“)

მონედაბე—მათხოვარი (ნედაბა—შეწირულება)

IV მოქმედება

1 სურათი

ბეთდინ — სასამართლო

გეინამ—ჯოჯოხეთი

2 სურათი

მაშიახ — მესსია

3 სურათი

რიბონო შელ ყოლამ—მეუფეო ქვეყნისაო!

მოქმედების ადგილი—დასავლეთ საქართველო, დრო 1928 წ.



მოქმედება პირველი

სცენა დაყოფილია სართულებად.

პირველი სართულიც იყოფა სამად: იეზისკიელ ყვითელაშვილის ოჯახის სადგომი ბინა, მეორე სეფიაშვილის სახარაზო და იშაი მამისთვალის ოჯახი.

მეორე სართული წარმოადგენს დანიელ შათარაშვილის სადარბაზო ოთახს მთლიანად.

პირველ სართულში—ჭრაქი, ჩვრები, სიღარიბე.

მეორე სართულში—ელექტრონი, მოკრიალეებული იატაკი, სინდიდრე. კარებზე ყველგან — მეზუზა.

ორსართულიანი სახლის წინ—მოედნის ნაწილი ახლად დალამებულია.

1

იშაი მამისთვალის სადგომი ოთახი.

ოთახი ძალზე პატარაა. ტახტი არ არის. დახეული ქვეშაგები იატაკზეა გაშლილი. დამტვრეული თიხის ჭურჭლები. თაროზე დამტვერილი და ძველი სამლოცველო წიგნები.

თვითონ იშაი—სამოცი წლის მოზუცი, წვერი გათეთრებული და ოდნავ გაყოფილი.

აცვია დაგლეჯილი ტანსაცმელი, ფართო შარვალი, ქუდი.

ოდნავ წამოწოლილია ქვეშაგებზე.

რამდენჯერღე ხელით იწმენდს ცხვირს.

ემჩნევა მოუსვენრობა.

ხშირ-ხშირად დგება, გამოდის მოედანზე და შესცქერის ზეცას.

ეძებს მთვარეს, რომლის გამოჩენას აგვიანდება.

იშაი. მთვარის კურთხევა კარგია მაშინ, როდესაც გამოდის ყარბითის ლოცვა. აკურთხე მთვარე, წადი სახლში, ივანშმე, დაიძინე. თუ ღმერთმა ჰქნა და ახალმა მთვარემ მოგიტანა კარგი მაზალი, ამას რაღა ჯობია. (პაუზა).

უბედურ იშაის კი ყველა მასხარად მიგდებს და თავში მიემს ყველა მიყვირის. ყველა მატყუებს. რამდენი მთვარე მიკურთხებია — მაინც ჩემს საქმეს არაფერი ეშველა. ცოლი მომიკვდა, შვილები

დამეხოცა, და-ძმანი წავიდ-წამოვიდნენ და მე დავრჩი მარტო ამ ქვეყანაზე.



რისთვის, შე დალოცვილო ღმერთო? რჯული არ გამიტეხია, არავისთვის არ მიწყენებია. მაინც ყველა მე მემდურის: ქრისტიანი და ისრაელი. ვემსახურები ლოცვას — ჯამაათს არ ვუყვარვარ: უშნო ხარო ვეგზავნები დანიელ შათარაშვილს — ბრაზი მოსდის: მკედარი ხარო. თავს დაბლა ვუკრავ ხარიტონ აბზიანიძეს — თვალებიდან ცეცხლს ჰყრის: ფეხებში ნუ მიბლანდები, ურია ხარო. მე ურია ვარ, დანიელ შათარაშვილი ვილაა? (პაუზა).

ვინ მოსთვლის რამდენი მთვარე მიკურთხებია? თვეში ერთხელ. წელიწადში თორმეტი თვეა. ხანდახან წელიწადი ცამეტთვიანი ხდება. ეს მოხდება ოთხ წელიწადში ერთხელ. მე ახლა ვარ სამოცი წლისა, მთვარეს კი ვაკურთხებ ორმოცდათორმეტი წელიწადი. მაშ რამდენი მთვარე მიკურთხებია? (პაუზა).

ექვსას ოცდაჩვიდმეტი. ექვსას ოცდაჩვიდმეტი. ექვსას ოცდაჩვიდმეტი. ყოლამჰაბას, ალბათ, სათითაოდ ჩაწერილია ჩემს დავთარში. ნეტავი მე!

ამალამ მთვარე იგვიანებს. რა ვუყო, უნდა დაველოდო. რა დროსაც არ უნდა ამოვიდეს, უნდა შევატყობინო ჯამაათს.

მაგრამ რა ეშველება ისრაელის ხალხს, თუ ამალამაც არ გამოჩნდა მთვარე? (იცქირება ზეცისკენ და შე-დევ ბრუნდება ოთახში)

2

მეირ სეფიაშვილის სახარაზო.

ორიოდე კალაპოტი მაგიდა, თითქმის ი-ტაკამდე დაბალი. ასეთივე სკამი, მაგიდაზე — სახარაზო ნივთები, ძველი ტყავის ნაჭრები და დაგლეჯილი ფეხსაცმელები. კარებთან დიქტი ფიცარზე წარწერა: „ვიღებ პაჩინკას.“ მეირ სეფიაშვილი“. იქვე დაბატულია ცალი ფეხსაცმელი.

მეირ სეფიაშვილი — ოცდამეორე წლის ახალგაზრდა. აცვია შავი ხალათი და ხურავს შავი ქუდი. თავჩაღებულ მუშაობს და ნელა მღერის.

მეირ. რას დაეცებ, იშაი, რას დაეცებ შე, გლახა.

ღმერთმა მოგცეს გაძლება, ღმერთმა მოგცეს ბერახა.

დაიძინე, იშაი, რას დაეცებ მანდ, რასა,

იქნებ სიზმრად მაინცა ღმერთმა მოგცეს ფარნასა.

სხვას ვერ გირჩევს ვერაფერს, თუნდაც ჰკითხო

მარჩიელს,

ნუ ენდობი ჩვენს მდიდრებს: ხარიტონს და დანიელს.

შემოდის ხარიტონ აბზიანიძე, 40 წლის, ოდნავ ჩასუქებული. ცოტათი მთვრალი, შავი უღვაშებით.

ხარიტონ. რას ახსენებდი შენ აქ, ყმაწვილო, ხარიტონ აბ-
ზიანიძეს?

მეირო. სიმღერაში გამოერია შენი სახელი.

ხარიტონ. მე შენ გეკითხები, რას ახსენებდი აქ ხარიტონ
აბზიანიძეს? (მეირო ჩუმად) გესმის თუ არა, პასუხი ეხლავ: რა
შუაშია აქ ხარიტონ აბზიანიძე?

მეირო. რა გაჯავრებს, შე კაი კაცო. ჩვენს იშაის ხომ იცნობ
ამალამ რალაცას დაეძებს და უცბად ენაზე მომადგა. იშაი ღარიბია
და უბედური. მეც ღარიბი ვარ და უბედური. მაგრამ როდესაც ჩვენ
სხვებს დავცინით, გვაფიწყდება ჩვენი საკუთარი უბედურობა.

ხარიტონ. ფილაფოზიას თავი დაანებე. შენ — ურია, იშაი
— ურია. რა შუაშია აქ ხარიტონ აბზიანიძე? (მეირო არ პასუხობს) რას
დამუნჯდი? შეგეშინდა? აბა ეხლა იმღერე ჩემთან, თუ ბიჭი ხარ.
გესმის თუ არა შენ, ვაჟბატონო? უსათუოდ მართალია. შენც კონ-
სომოლში ჩაეწერე? ურია და კონსომოლი! როგორ მოგწონს, ხარი-
ტონ ჩემო, ეს ამბავი? იმღერე, იმღერე, ხარაზო. ბალშენიკები ჯერ
შენი ჭკუით ივლიან. თქვენ მდიდრები არ გიყვართ, სახეში არ მოგ-
წონვართ, ჩვენი ცხვირი არ მოგდით თვალებში, მაგრამ ხო იცი,
ჩვენი დრო რო მოვა, შენ და ვარლამ ტატიშვილს ერთ ხეზე ჩამო-
გკიდებთ, ჩამოგახრჩობთ, ძაღლებს შეგაქმევთ. რას იტყვი შენ ამაზე?
მოგწონს ჩემი აზრები? რას გამტერებულხარ ამ კედელივით? არ
გინდა მიპასუხო? მაშ კარგი. ეხლა გადავდოთ ანგარიშები. ამალამ
შენი რჯულის კაცთან ვარ დაპატივებული საქეიფოდ. შენთვის არ
მცალია. ფეხსაცმელები გამიკეთე?

მეირო. ქალის გავაკეთე. ერთი მანეთი მერგება. (აჩვენებს).

ხარიტონ. მე გეკითხები ჩემს ჩექმებს.

მეირო. ჩექმები არაა მზად. დანიელ შათარაშვილმა ტყავი არ
მომცა ნისიად, მთელი დღე კი ფულს ველოდი და ერთი კაპიკი არ
შემომსვლია.

ხარიტონ. (ჩექმებს სახეში ესვრის) აბა საქეიფოდ ძველი ფეხ-
საცმელით უნდა წავიდე? (მეირო ჩუმად) უპ შენი დედ-მამის სული...
ჩამივარდები ხელში და მოგაგონებ. ხარიტონ აბზიანიძეს როგორი
პატივისცემა ეკუთვნის... (იღებს ქალის ფეხსაცმელს, ჩექმებს და მიდის).

მეირო. ფული?

ხარიტონ. შენ კიდევ ფულს ითხოვ? (აჩვენებს მუშტს. მეირო თავ-
ჩაღებულ ფიქრობს. ხარიტონი მიდის. კარებთან შედგება და ისევ ბრუნდება)
კოჭობიას თამაში კარგად იცი? (მეირო გაშტერებით შესცქერის) კოჭო-
ბია გაიგე? ვერა? კოლხოზობია... ახლა ხომ გაიგე? როგორ გადა-
გიწყვეტიათ? დანიელ შათარაშვილის სახლი, ხარიტონ აბზიანიძის

მამულ-დედული და... უნდა გააკეთოთ ურიების კოლექტივი! რო-
დის გნებავთ მიირთვათ? თქვენ ხომ ყველანი კანკალებთ ხარიტონ
აბზიანიძის წინაშე. თქვენ ხომ ყველანი მუნჯი თავგები ხართ? რო-
მელი თავი გაჰბედავს კატას ეფვანი შეაბას? სთქვი, შე ეშმაკის კერძო.

მეირ. თავი დამანებე, ხარიტონ. რას ჩამაცივდი ამაღამ. შენი
ფეხსაცმელები ხომ წაიღე და მეტი რა გინდა?

ხარიტონ. თავი დამანებე, რომელია? როგორ გაბედე ხმის
ამოღება? იცი, ვის ელაპარაკები? ხარიტონ აბზიანიძეს. მერე ვინ
არის ხარიტონ აბზიანიძე? ხარიტონ აბზიანიძე ყველაფერია. იმან
სთქვა და — გათავდა. იმან თუ სთქვა — აი ეს ჩაქუჩი დაეშვება შენს
კეფაზე... (იღებს ჩაქუჩს, მაგრამ ამ დროს შემოსული ვარლამ ტატიშვილი ხე-
ლიდან გამოსტაცებს).

ვარლამ. როგორ გეკადრებათ, ხარიტონ. წაბრძანდით სახ-
ლში, მოისვენეთ.

ხარიტონ. სწორეთ შენლა აკლდი. დაჯექით ეხლა და კრება
მოაწყეთ. მოისმინეთ, დაადგინეთ. ხოლო შესრულება არ გაბედოთ.
დედას გიტირებთ ხარიტონ აბზიანიძე. ვერაფერს დააკლებთ ხა-
რიტონს. ვინც რა უნდა, ისა სთქვას, წისქვილმა კი ფქვას. ეხლა წა-
ვალ და მაშინ მოვალ, როცა თქვენ არ გაგეხარდებათ. დიახ! (გადის)

ვარლამ. როგორ არ გრცხვენია, მეირ. როგორ უთმენ მას
ყოველივე ამას და არ ატყობინებ ხელისუფლებას? მე ეხლა შემთხ-
ვევით რო არ გამომეველო, ვინ იცის რა სისაძაგლეს არ ჩაიდენდა.
ეგ როცა მთვრალია, მაშინ აყრანტალებს თუ რამე გულში აქვს.
შენ კი ჩვენი პირველი კომკავშირელი ხარ და სირცხვილია ჩვენმა
კლასობრივმა მტრებმა რო დაგვიწყონ სიცილი, კომკავშირის რი-
გებში ერთი ებრაელი გყავთ — ისიც მხდალიო.

მეირ. არა, ვარლამ, მე მხდალი არა ვარ. მე მომთმენი ვარ.
ბავშობიდანვე შევეჩვიე ობლობას, გაჭირვებას, ყველაფრის მოთ-
მენით ატანას.

ვარლამ. დღეს აღარ ვარკა შენი ხასიათი. კომკავშირელი
უნდა მტკიცე იყოს და საღ კლდესავით შეუპოვარი.

მეირ. მე ხშირად ვფიქრობ ამაზე და იცი, ვარლამ, რა მო-
ვიფიქრე? ჩემს ხელობასაც მიუძღვის ამაში ბრალი. თორმეტი წე-
ლიწადია ვზივარ ამ სკამზე თავჩაღებული. გული შეკუმშული მაქვს
და ასე მგონია, ერთ მშვენიერ დღეს იგი უცბად გასკდება. შენ
წარმოიდგინე, თორმეტი წელიწადი მთელი დღეობით, თავაულებ-
ლად, წარბშეუხრელად — ერთი და იმავე საქმის კეთება.

ვარლამ. შენ კიდევ ბედნიერი ხარ, რომ საკუთარი შრომით
თავს ირჩენ. ამ შემთხვევაში შენ რალაც იშვიათ გამონაკლისს წარ-

მოადგენ შენს თანამოძმეთა შორის, რომელთა ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი დღემდე სამარცხვინოდ მეწვრილმანეობას მისდევს.

მეი რ. როგორ მიყვარს ვარლამ შენი ლაპარაკი! ასე მგონია ჩემს პატარა სახარაზოში რალაცა ახალი შუქი შემოდის.

ვარლამ. არა მარტო ახალი შუქი. აქ უნდა დაიწყოს ახალი საქმე. დიდი საქმე. ის კი არ კმარა, ჩემო მეი რ, რომ შენ კომკავშირის რიგებში ეწერო ფორმალურად. საჭიროა იგრძნო საბჭოთა ხელისუფლება. ებრაელთა ქუჩას კი, სამწუხაროდ, დღემდე არ უგრძენია გადატრიალება. თუ ჩვენ ხელი მიუშვით მათ, მაშინ არაფერი არ შეიცვლება, მდიდარი ყოველთვის იქნება მდიდარი, ღარიბი კი — ღარიბი.

მეი რ. ინტერნაციონალის სიმღერაში კი რა კარგადაა ნათქვამი: ვინც ყველაფერი იყო, ის დღეს არაფერი იქნებაო და ვინც არაფერი იყო, ის ყველაფერი იქნებაო.

ვარლამ. მერე, შენის აზრით, მარტო სიმღერა ხომ არ კმარა? საქმედ უნდა გადავაქციოთ ეს სიტყვები. მე ეხლა მოვედი სასიხარულო ამბით. პარტიულმა კომიტეტმა დაამტკიცა ჩვენი გადაწყვეტილება. გადაწყდა ბოლშევიკური ტემპებით ჩამოყალიბებულ იქნეს ებრაელთა კოლმეურნეობა. გამოყოფილია 30 ჰექტარი მიწა. მალე ჩვენი კულაკ-მდიდრები აყუფდებიან, რადგანაც იმათი ინტერესები ილახება. მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს, ასეთ დიდ საქმეში უბრძოლოდ არ იქნება. ამას ეწოდება სწორედ კლასობრივი ბრძოლა, რომლის შესახებაც გელაპარაკებოდით ამას წინეთ. ხომ არ გაშინებს ბრძოლა?

მეი რ. აი ჩემი ხელი. (აძლევს ხელს) მე ორი გრძნობა მაქვს: სიძულვილი და სიყვარული. ამ ორი გრძნობით სული მიდგია, თორემ სხვა მეტი აღარაფერი დამრჩენია. მქულს, მეზინდება ყველა რჯულის მდიდრები, რომლებმაც ღარიბები გადაგვაქციეს თავიანთ ყურმოქრილ მონებად და მუნჯებად...

ვარლამ. მაგრამ ვაი მათ, როდესაც დადგება განკითხვის დრო

მეი რ. ო, როგორი ბედნიერი ვიქნები, ჩემო ვარლამ, როდესაც ველირსები, ჩემსავით გაჭივრებულნი ყველანი ერთად რო ამოვიღებთ ხმას და შევქმნით ახალ ცხოვრებას. მიწა! მიწა! მე ეხლა მიწის იმედით ვცოცხლობ. აღარაფერი დამრჩა ზეცაში. ეხლა ვიცქირები დაბლა.

ვარლამ. აი სწორედ, რომ ყველაფერი ეს გავატაროთ ცხოვრებაში, საჭიროა დაკვირვითი წესით ვიმოქმედოთ. ხვალ ბაზრობის დღეა და პარტიულმა კომიტეტმა დაადგინა: ვინაიდან ხვალ თითქმის მთელი ებრაელობა იქნება ბაზარზე — მოვაწყოთ მიტინგი და

მსურველები გავატაროთ რეგისტრაციაში. მუშაობას კოლექტივის შესაქმნელად უნდა შეუდგეთ დაუყოვნებლივ.

მეი რ. დაუყოვნებლივ. დე ასე. მეც მომბეზრდა ამ სახარაზოში ჯდომა. მომეცით მინდორი. გამიშვით მინდორზე, მტერს არ გავახარებთ. ვიმუშავებთ. ათასჯერ უფრო კარგად — ვიდრე დღემდე.

ვარლამ. ხვალ დილით ადრე, უნდა მოვამზადოთ ნიადაგი ღარიბ მოსახლეობას შორის. კულაკები და მდიდრები ეცდებიან ხელი შეგვიშალონ, მაგრამ ჩვენ უნდა ყველგან აღვკვეთოთ მათი აგიტაცია.

მეი რ. მე ამ საქმისათვის თავს დავდებ. ხვალიდან ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მიზანი იქნება ახალი საქმე. (პაუზა).

ვარლამ. იცი, მეი რ, საჭირო იყო მირიამის ჩათრევა კომკავშირის რიგებში. იგი, როგორც უღარიბესი ოჯახის ქალიშვილი, უდიდეს სამსახურს გაგვიწევდა ქალთა შორის და გარდა ამისათვის მისი ჩვენთან ყოფნა — ეს იქნებოდა ჩვენი უდიდესი გამარჯვება.

მეი რ. (თითქოს დაბნევით) ვინ იცის...

ვარლამ. რისთვის მელაპარაკები ასეთი დაბნევით? მირიამს შენ ხომ უყვარხარ ძველებურად?

მეი რ. განა არ იცი, რომ ებრაელი ქალი არ არის თავის თავის ბატონ-პატრონი?

ვარლამ. ჩვენ უნდა გავხადოთ ის თავის თავის ბატონ-პატრონი.

მეი რ. ეს ასე ადვილი არაა. არც ასე ჩქარა მოხდება.

ვარლამ. არ დაეცე სულით. მირიამი ჩვენი უნდა იყოს. ჩვენ უნდა მივიღოთ ამისათვის ყოველივე ზომები, მაშ, დილამდე!
(ვარლამი გადის)

მეი რ. ჩვენი უნდა იყოს... რა ადვილია თქმა. როგორი მართალია ხარიტონ აბზიანიძე: ჩვენ ყველანი მუნჯები ვართ... მუნჯები... მამაკაცები და დედაკაცები კიდევ უფრო. (შემოდის მირიამ. 17 — 18 წლისა, აცვია სადად, თავზე ჭრელი თავშალი, ფეხზე ჩუსტები. ლამაზ, შავთვალწარბა, გრძელი თმა) მირიამ, შენ?

მირიამ. (თავჩაღებულად) ჰო.

მეი რ. ახალი არის რამე? (მირიამი ჩუმად) შენ ისევ ჩუმად ხარ. შენ ისევ იტანჯები, ალბად. მითხარი, ჩემო ძვირფასო გოგონა, ამოიღე შენი ტკბილი ხმა, კიდევ უსიამოვნება გაქვს სახლში?

მირიამ. ჰო.

მეი რ. თუკი ასეა, ჩემო მირიამ, მაშინ რაღას უცდი. გადმოდი ჩემთან და დავიწყოთ ერთად ცხოვრება.

მირიამ. მამაჩემი...

მეი რ. რა — მამაშენი, გენაცვალე? არ განებებს? განა ის ჩემზე უარესი ღარიბი არ არის? ჩვენ ვიცხოვრებთ ერთად და ჩვენი პატროსანი შრომით არ შევარცხვენთ ოჯახს.

მირიამ. მამაჩემი ყურმოჭრილი მონაა დანიელ შათარაშვილისა.

მეი რ. მერე დანიელ შათარაშვილს რა ესაქმება?

მირიამ. დანიელ შათარაშვილი არ ანებებს.

მეი რ. რისთვის? იმას რაღა უნდა? რა მიზანს ისახავს?

მირიამ. (მხრების აწევით) რა ვიცი...

მეი რ. მიაფურთხე ყოველივე ამას, მირიამ. წამოდი მამიშენის სახლიდან.

მირიამ. რაბი არ წაგვიკითხავს ქეთუბას.

მეი რ. მერე რად გვინდა რაბი?

მირიამ. ხომ არ გაგიჟდი. უქეთუბოდ ცხოვრება როგორ შეიძლება?

მეი რ. ჩვენ ყველანი გაგვაგიჟეს. გესმის, ჩემო მირიამ! ვისაც დღემდე ხმა არ ამოუღია — ყველანი გიჟები ვართ. მუნჯები ვართ — ამიტომაც გიჟები ვართ. განა მარტო მამაშენია ყურმოჭრილი მონა დანიელ შათარაშვილისა? ჩვენ ყველანი ვართ მისი ყურმოჭრილი მონები: ჩვენ ყველანი ვართ, აგრეთვე, სიბნელეში გახვეული. თუ ასე არაა, რა ესმის გამოჩერჩეტებულ ბებერს, ხახამ შიმყონ მანაშერაშვილს, რომლის სულელურ აზრებს სუყველა მოწიწებით ვისმენთ? ის ბოდავს თავის ხრინწიანი ხმით, რაც ენაზე მოადგება და ჩვენ უნდა ვასრულოთ მისი ბრძანება. რატომ არ აძლევ, ჩემო მირიამ, შენ თავს საკითხს: რისთვის ხდება ასე?


მირიამ. რა ვიცი, მე წიგნები არ წამიკითხავს. მთელი სიცოცხლე ჭურჭელის რეცხვას მოვანდომე.

მეი რ. უბედურებაც ამაშია. მაგრამ ამის მიხვედრა შეიძლება ისედაც. მდიდრები და რაბინები ცოტანი არიან, ღარიბები კი უმეტესობა ვართ. მაგათ ჰსურთ ყოველთვის მათ მორჩილებაში ვიყვეთ, რათა ჩვენს ზურგზე ინავარდონ და თავისუფლად იცხოვრონ.

მირიამ. კი მაგრამ ჩვენ რას ვიზამთ, მამაჩემიც სწუხს მაგას, მაგრამ ასე ამბობს თორაში სწერიან, მდიდარი არ გამრავლდებაო და ღარიბი არ დაცოტავდებაო.

მეი რ. როგორ ჰფიქრობ, ვისთვის არის ეგ ნათქვამი? ჩემისთანა და შენისთანა მუნჯებისათვის. მაგით სურთ პირში ბურთი ჩაგვიდონ. დავანებოთ ამას თავი, მირიამ. მიპასუხე მოკლედ: გინდა თუ არა იცხოვრო ჩემთან, გაიზიარო ჩემი ჭირიც და სიხარულიც?

(მირიამი ჩუმად) ჩვენ შევქმნით კოლმეურნეობას, შენ ჩაგწერთ კომ-
კავშირში.



მირიამ. რა, რა სთქვი?

მეირ. რათ აღელდი? იცი რა არის კომკავშირი?

მირიამ. ვიცი. გაქრისტიანებაა.

მეირ. მეც ასე მეგონა. მაგრამ შემცდარი ხარ. ეხლა საბჭოთა ხელისუფლებაა. კომკავშირი კიდევ — ჩვენ ვართ, ახალგაზრდობა, რომლებიც ვეხმარებით მთავრობას, რომ ცხოვრება გარდავექმნათ, გავაუმჯობესოთ. გვეყო, რაც წინედ ვიტანჯეთ. მირიამ! ჩვენ ფეხი შევდგით ახალ გზაზე. ვარლამ ტატიშვილი და მიხა დვალი ჩვენი უფროსი ამხანაგები არიან. გინდა თუ არა წამოგვეყვე ამ გზაზე? ნუ გაჩუმებულხარ, მიპასუხე. შენ იქნები ჩვენს რაიონში პირველი ებრაელი ქალი, რომელიც დაამსხვრევ ძველ ბორკილებს და მაგალითს მისცემ სხვა შენსავით ჩაგრულ ქალებს. (მირიამი თავჩაღებული ფიქრობს) მირიამ, მე ველი შენს პასუხს.

918.111
X

მირიამ. არ შემიძლია.

მეირ. რა?

მირიამ. კომკავშირში შემოსვლა.

მეირ. მე ეს წინედაც ვიცოდი. იქნებ ესეც მითხრა: აღარ გიყვარვარ?

მირიამ. (აღერსით მიუახლოვდება) განა შენ არ იცი, რომ ძალიან მიყვარხარ? აბა ამ დროს რა მინდოდა აქ? თუმცა წასვლის დროა. მოიტა ჩემი ტუფლები.

მეირ. (აძლევს) მაპატივე, ჩემო გოგონავ. უკეთესი ტყავი არ მქონდა. დანიელ შათარაშვილი ეს ერთი კვირაა ტყავსა ღარ მადლევს ნისიად.

მირიამ. აღარც შენ გაძლევს ნისიად?

მეირ. როგორ, მამაშენსაც შეუწყვიტა?

მირიამ. მამაჩემსაც. ჩემს ძმასაც. მშვიდობით.

მეირ. არ გინდა ერთხელ მაინც მაკოცო?

მირიამ. (ყოყმანით) არა, არ შემიძლია. (გადის)

მეირ. ასე. ასე. ძნელია ცხოვრება. საჭიროა ბრძოლა. ორი ბანაკია ქვეყნად: დანიელ შათარაშვილი და მეირ სეფიაშვილი.

3

იეხისკიელ ყვითელაშვილის სადგომი ბინა.

ღარიბულად მოწყობილი ოთახი. აქა-იქ გაბნეულია სპილენძის ჭურჭელი, ბუხარში — ცეცხლია. კეცებში ცხვება ყვითელი მკაღი.

2. გ. ბაახოვი

იებისკიელ ყვითელაშვილი — 50 წლის, შავწვერა, დაგლეჯილ ჩოხაში, ზის ცეცხლისპირას ჩაფრქვებული. მისი ცოლი ნაყომი ძველ ვედრაში რეცხავს სარეცხს.

იატაკზე გაწლილია ქვეშააგები, რომელშიაც სჩინავთ ბავშვებს.

იებისკიელ. რაზე იგვიანებს შენი ქალიშვილი?

ნაყომი. შენი არ არის თუ?

იებისკიელ. ჯანჯალს თავი დაანებე. ამ ღამეში სად დაეთრევა?

ნაყომი. ჯერ რა ღამეა, ახალი დაღამებულია. მთვარეც არ უკურობებიანთ ჯერ. ხარაზთან გავიდა, ძველ ტუფლებს სამადლოდ ნისიანთ უკეთებს. ვაი ჩემს მოსწრებას, მაგხელა გასათხოვარი ქალიშვილი მყავდეს, ვარსკვლავივით ღამაში და ერთი წყვილი ტუფლიც არ უნდა ჰქონდეს...

იებისკიელ. ახლა დამიწყე კრუსუნი. დედაკაცო, მაკმარე ჩემი გაჭირვება. რომელ ერთს უნდა გაუძლო მე უბედურმა? ბავშვებისათვის ეს საოხრო მჭადი ძლივს მიშოვნია. ხანდახან ესეც არა მაქვს. ზამთარში სიცივით ვკანკალობთ. ორი ფიცარი ვერ მიშოვია, რომ მიწაზე დავაგო, გვერდებში წყალი შემიდგა. ჩემს სიცოცხლეში არ მცმია მთელი ფეხსაცმელი და მთელი ჩოხა. არასოდეს ღმერთისთვის არ დამიჩივლია. სადა მაქვს ქალიშვილის ტუფლების თავი? სად ვიშოვო ფული? ხომ ვერ მოვიპარავ?

ნაყომი. ორი წელიწადია ჩემი საწყალი გოგო ნატრობს ერთ ტუფლებს. ვიზე ნაკლებ დაგშვენდებოდა, შე უბედურო მირიამ!

იებისკიელ. ხმა ჩაიკმინდე, ნაყომი. დამწვარს კიდევ მდულარე მესაჭიროება? რა ვქნა, რომელ წყალში გადავვარდე? დანიელ შათარაშვილმა შემიწყვიტა ნისიად საწვრილმანოს მოცემა. სულ დამრჩა ხუთი მანეთის საქონელი: შპილკები, ნივიდიმკები და ურმის მაზი. რა უნდა მოვიგო ამაში? აბაზი, ორი აბაზი... (ათვალღერებს თავის საქონელს) მოგებას ვინ სჩივის. დანიელ შათარაშვილი იბღვირება ამდენი ხანია. გამოუანგარიშებია: ასი მანეთია შენზეო... ვაიმე, ამოწყვეტილო, საიდან დამედო ეს ვალი? როგორ გადავიხადო, ვის მივადგე? რო მომთხოვოს, პირდაპირ გავგიჟდები.

ნაყომი. ხო გყავს უფროსი შვილი. უთხარი, ხელი გაგიმართოს, დაგეხმაროს.

იებისკიელ. შემოვევლე ჩემს დავიდს. რა კარგი გული აქვს. მართალია, გაგვეყო და ცალკე წავიდა, მაგრამ, როცა რამე აბადია, ყოველთვის მეხმარება. ეხლა რა შავი ქვა უნდა მომცეს, როცა ისრაელის მტერს, თვითონ ჩემზე უარესად აქვს საქმე.

ნაყომი. რა უსამართლოდ არის ეს ქვეყანა გაჩენილი. ზოგი

შევრი სიმდიდრით იმდენს ჭამს, რო მონელებაც აღარ შეუძლია, ზოგს კი მარტო თავის კუჭი აქვს მოსანელებელი.

იეხისკიელ. აღონაიმ ჰკითხოს ჩემი ცოდვა დანიელ შათარაშვილს.

ნაყოში. რა სიცოცხლეა. ერთი წელიწადია ხორცი არ მიჭამია. იმ დღეს შათარაშვილის ძალი ძვლებს ახრამუნებდა. ოჰ, როგორ შემშურდა. ღმერთო, ნუ მიწყენ, ასე ვიფიქრე, ნეტავი ეხლა ერთი საათით ამ ძალად გადამაქცია-თქო.

იეხისკიელ. ხორცი მოუნდა ქალბატონს. მოდი, მოეთრიე, ამ მჭადს მოხედე. ყვითელი იყო და რამ გააშავა?

ნაყოში. (სახქაროდ მოირბენს და თავში დაიშენს) უი, უი, უი, შე უბედურ მაზალზე დაბადებულო, ხო ხედავ, სულ დამწვარა მჭადი და რალას მეკითხები, რამ გააშავაო? მთელი საათია ამ ბუხართან ზიხარ და თვალები სად სიკვდილში გქონდა? რა ვაჭამო შვილებს ხვალ? (სტირის) თქვე უბედურებო. მარტო ხმელა ქადი და წყალი გქონდათ, ისიც დაგეწვათ. შენ დაგეწვა მა გამოტვინებული თავი.

იეხისკიელ. გაათავე, დედაკაცო. ღმერთია პატრონი.

ნაყოში. ღმერთი რო პატრონი ყოფილიყო, ამდენხანს ფეხებს გამაფშეკინებდა და შენი ხელიდან გადამარჩენდა (მიუბრუნდება სარეცხს).

იეხისკიელ. გაფშიკე მერე, ვინ გიშლის?

ნაყოში. შენი ღმერთი მიშლის.

იეხისკიელ. ჩემი ღმერთი — შენი ღმერთი არ არის, თუ როგორაა შენი საქმე? შენც ხო არ გაბალშევიკებულხარ?

ნაყოში. თფუ. (პაუზა).

იეხისკიელ. თორაში სწერია: მდიდარი არ გამრავლდება — ღარიბი არ დაცოტავდებაო.

ნაყოში. მომბეზრდა შენგან ყოველდღე ერთი და იგივეს ბოდვა. თუ არ დაცოტავდება ღარიბი, მიდი და სჭამე ეს ნახშირი. (უჩვენებს დამწვარ მჭადს).

იეხისკიელ. (სეირნობს. ძალზე დაფიქრებულია. წვერები პირში აქვს ჩადებული. უცბად მიუახლოვდება ნაყოშის და მხარზე ხელს დაადებს) ნაყოში, მირიამი უნდა გავათხოვოთ.

ნაყოში. მერე ვინ გეუბნება არაო? მაგხელა ქალიშვილის გაჩერება როგორ შეიძლება? მე მირიამის ტოლა რო ვიყავი — ორი შვილი მყავდა.

იეხისკიელ. ჩამოჰყვა ახლა თავის ისტორიებს. მე მაგისტვის კი არ მითქვამს.

ნაყოში. მზითევი მაგას არა აქვს და ტანსაცმელი. ვინ შეირთავს მაგ უბედურ დღეზე გაჩენილს?

იეხისკიელ. არის კაცი.

ნაყოში. ვინ?

იეხისკიელ. გულში მენანება მირიამი. გულით არ მინდა, მაგრამ გული მოკვდა და გული აღარა მაქვს. ეხლა ჩემთვის სულ ერთია. ეხლა თითქმის სხვა გზაც არა მაქვს.

ნაყოში. აღარ იტყვი, ვინ არის? ღარიბია?

იეხისკიელ. არა, მდიდარია. ასე მითხრეს, თუ გინდა შიშველი მოგვეცით, თქვენი მზითვევი არ გვინდაო.

ნაყოში. განა მე კი არ ვიცოდი, რომ ჩემს მირიამს, ვენაცვალე, თავისი მაზალი არ დაეკარგებოდა? მაგისტანა ქალი მთელ კავკასიაში არ არის. ვინ დაიწუნებს ჩემს მირიამს? მეხი კი დავაყარე ჩვენს მტრებს. აღარ იტყვი ვინ არის?

იეხისკიელ. ამ საქმეში ორი მხარეა. ერთი მხარე კარგია, შეიძლება პირველ ხელზე ჩვენც სული მოვითქვათ და ხუთი-ათი თუმანი თანხა სესხადაც ვიშოვო. მეორე მხარე კი — მაინცდამაინც არ მომწონს.

ნაყოში. ახლა შენ დაიწყე ღობე-ყორეს მიღება. ვინ არის ის ოჯახდასაქცევის შვილი, აღარ იტყვი?

იეხისკიელ. მართლაც, რომ ოჯახდასაქცევის შვილია. დანიელ შათარაშვილმა მთხოვა თავისი ყაზარიათვის.

ნაყოში. ხომ არ გაგიყდი, ხისკო!

იეხისკიელ. რა მოგივიდა, დედაკაცო?

ნაყოში. მე არაფერი არ მომსვლია, მაგრამ შენ რა მოგივიდა? არ იცი, რომ ყაზარია შათარაშვილს სამ წელიწადში სამი ცოლი მოუკვდა და ჯამაათმა გადასწყვიტა, აღარავინ გაიმეტოს თავისი ქალიშვილიო?

იეხისკიელ. სიკვდილი ღმერთის ნებაა. ჩვენც სუყველა მოკვდებით. იმას თუ ცოლები მოუკვდა — რა იმისი ბრალია?

ნაყოში. შათარაშვილების სიძუნწისა და ბოროტების ამბავი მთელმა ყოლამმა იცის. ქმარმა და მამამთილმა ვირებივით ამუშავეს საწყალი ქალები, ველარ გაუძლეს და დაიხოცენ. ჩვენი მირიამის ამბავი ხო იცი, ნამდვილი მუნჯია. უფროს კაცს სიტყვას ვერ შებედავს, ხმის ამოუღებლად შეასრულებს ყველა ბრძანებას. სამ თვეში ამოხდება სული. რა თავში ვიცემ იმის სიმდიდრეს, თუ იმისგან ხეირი არავის ექნება?

იეხისკიელ. ხეირი ჩვენ გვექნება, დანიელ შათარაშვილი კიდევ მომცემს ნისიად წვრილმანს, მისი შვილი კიდევ ხუთ-ათ თუმანს გვასესხებს.



ნაყოში. ყაზარას ცუდი სახელი აქვს გავარდნილი.

იეხისკიელ. სახელს რაღას დაეძებ, როცა შიმშილით კუჭი გაგვიხმა.

ნაყოში. ყაზარია ულამაზოა. ნამდვილი ხაზირია.

იეხისკიელ. დაელოდე ლამაზ სიძეს და როჩილდი ჩამოგივა.

ნაყოში. უკვე მიეცი სიტყვა?

იეხისკიელ. სიტყვა არ მიმიცია, მაგრამ მე მგონია ამაღამ შელიან. არ მინდა დედაკაცო არც მე, მაგრამ უარი რო ვუთხრა, ვაი თუ ვალი მომთხოვონ. მაშინ რა ვქნა, სხვა გზა აღარ დაგვრჩება. უნდა გავატანოთ. ნაყოში, შენ კი მანამდე უნდა შეატყობინო მირიამს.

ნაყოში. მე არაფერსაც არ ვეტყვი. უფროსი ქალიშვილი გავათხოვეთ ძალით. უკვე ექვსი შვილი ჰყავს და ჭლექიანს ჰგავს. მე-ყოფა იმისი წყევლა. ღმერთი არ გვაბატივებს, ხისკო, ჩვენი შვილების ასე გაუბედურებას. ძალა აღარა მაქვს, არ შემიძლია, ადამიანო. ჩემს შვილს ყელს ვერ გამოვჭრი. მე ვერ ვურჩევ გაჰყვეს იმ ადამიანს, რომელსაც მთელი ქვეყანა აფურთხებს, ვერა.

იეხისკიელ. აბა რა გგონია, რამდენ ხანს უნდა ვაჭამო?

ნაყოში. რას აჭმევ, რას ამადლი, შე უბედურო, ამ ნახშირს?

შემოდის დავიდი, 25 წლის)

დავიდ. სალამო მშვიდობის, ჩემო მშობლებო, რა ყვირილი მოისმოდა თქვენგან?

იეხისკიელ. სიღარიბემ იცის ყვირილი, ჩემო შვილო.

ნაყოში. კაცი რომ დაბერდება, ღმერთი ჭკუას წაართმევს. მამაშენს ჭკუა არც წინედ ჰქონდა დიდი, მაგრამ თუ რამე ჰქონდა — ისიც დაუკარგია.

იეხისკიელ. ჩემი ჭკუა თუ არ მოგწონს, გადი და შენ უკეთესად მოაგვარე საქმე. მე სხვა გამოსავალი არა მაქვს. თუ თავი დაგვანებეს, მოუკვდა ჩემ თავათ შემხსენებელი და ხმის ამომღები. ცხოვრებით — როგორც დღემდე გვიცხოვრია, ისე ვიცხოვრებთ აწიც. თუ კი მომთხოვეს ასი მანეთი, მაშინ შენ მიბრძანდი, დედაკაცო, და გადაუხადე...

დავიდ. დანიელ შათარაშვილმა ვალი ხო არ მოგთხოვა?

იეხისკიელ. ჯერ არა, მაგრამ უკვე ნიშნებია, რომ მომთხოვს. ნისია კი მთელი კვირაა შემიწყვიტა.

დავიდ. ნისია მეც შემიწყვიტა. ასე მითხრა ამ ბოლო დროს შენი ცხვირი აღარ მომწონსო.

ნაყოში. ჰო და მამაშენს უნდა მაგ წურბელას შვილს მიჰყიდოს შენი და მირიამი ასი მანეთის ანგარიშში. (ხანგრძლივი პაუზა) რა-

ღას გაჩუმდი, მიულოცე მაწალტობი. ვაი თქვენ, უბედურებო, რა-
ლა გიშავთ, ყაზარია შათარაშვილი თქვენი სიძეა.

დავიდ. მამაჩემო, თვითონ მირიამს რატომ არ ეკითხები?

იეხისკიელ. მე როდის შემეკითხა მამაჩემი, როცა დედაშენი
გამირიგეს? რამ აგაყუფათ ეხლა ორივენი? მე უკვე გითხარით, რომ
მე თვითონ არ მინდა ეს საქმე, მაგრამ თუ იძულებული გამხადეს,
მაშინ არავისაც აღარ გკითხავთ. მე უფროსი ვარ და, როგორც
მინდა, ისე მოვიქცევი.

ნაყოში. ბატონი ბრძანდები. მიათხოვე მალახ-ჰამავეთს. ერთი
წლის შემდეგ, მირიამის ნახვა რო მოგენატრება, სასაფლაოზე წადი
და შენი ქალიშვილი იქ იქნება უძრავად მიწაში.

იეხისკიელ. კმარა, დედაკაცო, აღარ შემიძლია მეტი! (გულა-
მოვარდნით ყვირის).

დავიდ. დაწყნარდი, მამაჩემო. ყველაფერი მოგვარდება.

იეხისკიელ. თქვენ მხეცები ხართ. თქვენ გგონიათ მე ჩემი
მირიამი აღარ მიყვარს? ოჰ, მე (იცემს გულში ხელს). რილასთვის ცო-
ცხლობ, იეხისკიელ ყვითელაშვილო, ამ ქვეყანაზე? მთელი სიცოცხლე
ცოლ-შვილს გადავალდე, ერთი წუთი არ დამისვენია, ერთი წუთი
არ გამიხარია და ესენი მეუბნებიან, მირიამი აღარ გიყვარსო, ვაჰ
მე!

ნაყოში. ნუ ღრიალებ, უფროსი ქალიშვილიც შენ დამიღუპე
და უნცროსსაც შენ ღუბავ.

დავიდ. სიღარიბემ ყველაფერი იცის, მამაჩემო. მაგრამ დღეს
მაინც სხვანაირი დროა. ძალათი გათხოვება არ შეიძლება. მირიამს
მაინც უნდა შეეკითხო.

ნაყოში. შენც ლაპარაკობ, რალა, თითქოს არ იცი შენი დის
ამბავი. როდის წასულა მამაშენის წინააღმდეგ?

იეხისკიელ. დაჩუმდით! დაჩუმდით! დაჩუმდით!

ნაყოში. ჩვენ დავჩუმდეთ და შენ კი უნდა იყვირო?

იეხისკიელ. მე ვყვირი? მე კი არ ვყვირი, უსამართლობა
ჰყვირის, სიღარიბე ჰყვირის. აღარ გავიგონო მეტი არავის ხმა!
მე უნდა ვიყვირო მარტო! (ძალზე უწევს ხმას) მე უნდა ვიღრიალო!
(ბავშვებს ეღვიძებათ და ტირიან) დაჩუმდით, თქვე ძაღლის შვილებო, ერ-
თის ხმა არ გავიგონო, თორემ საკუთარი კბილებით დაგგლეჯავთ;
(ბავშვები ჩაჩუმდებიან და ქვეშსაგებში იმალებიან) თქვენ კი, ცოლო და
შვილო, ახლოს არ მომეკაროთ. გვერდზე ჩამოდექით, (შემოდის მი-
რიამი და იეხისკიელი ხმას დაუწევს) მირიამ! ჩემო მირიამ, მოდი ჩემ-
თან ახლოს. აი ასე. დაჯექი ჩემს მუხლებზე. (მირიამი ჯდება და შე-
შინებული იცქირება დედისა და ძმისაკენ) რას კანკალებ, რას უცქერი

მაგათ. მაგათმა ცილი დამწამეს. მაგათ მარტო ჭორიკანობა შეუძლიათ. მითხარი, გენაცვალე, გიყვარს თუ არა შენი მშობელი მამა?

მირიამ. კო.

იეხისკიელ. შენ კი გენაცვალოს შენი მამა. ეხლა ესეც მითხარი, ამდენი ხანია სიღარიბით და ვაი-ვაგლახით გზრდი, ერთი ტუფლიც კი ვერ შეგიკერე. ხომ არ მაგინებ გულში?

მარიაშ. არა.

იეხისკიელ, ამაღამ მამაშენს უპირობენ მოვალეები დახრჩობას. (მირიამი სტირის) ნუ სტირიხარ, ჩემო სიცოცხლე, ჯერ არ ვიცი დამახრჩობენ თუ არა, მაგრამ რო ძალიან გაჭირდეს და დამიპირონ დახრჩობა, მაშინ შენ, დედაშენს და ამ პატარა ბავშვებს შიმშილით სული ამოგხდებათ. ეს რო არ მოხდეს, შენ შეგიძლია ჩვენი ყველას გადარჩენა. გინდა თუ არა დაგვეხმარო?

მირიამი. კი.

ნაყოში. შე უბედურო, რას ამბობ; იცი, რა სთქვი?

იეხისკიელ. დედაკაცო, ხმა! თორემ სისხლი მოვიდა ყელში...

დავიდ. მამაჩემო, ასე ამბობენ, ხვალ ბაზარზე მიტინგი იქნება.

მთავრობა ისრაელებს მიწებს ურიგებს და კოლექტივი უნდა გააკეთონო. ჩავეწეროთ იმაში. ღმერთი პატრონია. ვიშრომით და ჩვენი ოფლით ყველგან ვქამთ პურს.

იეხისკიელ. აი, აი, გავიგე. დანიელ შათარაშვილმა, ალბად, მაგიტომ შეგვიწყვიტა ნისია. იმას უთქვია, ვინც კი გაბედავს ბალშევიკებში ჩაწერას -- ჩემთან საქმე აღარ ჰქონდესო. გაუგია შენი აზრები და შენი გულისათვის მეც ამომწყვიტა კაცი.

დავიდ. მერე რისი გეშინია? დავიწყეთ მიწის მუშაობა. ჩავეწეროთ, მამაჩემო.

იეხისკიელ. აი შვილო. სად გაგონილა: ისრაელი და გლეხკაცობა? კაი დაგემართა, მალე ამოვა შენი და ჩემი დათესილი პური? ვერ გაიგონე იმ დღეს ხახამ შიმყონი რო იძახოდა: „ღმერთმა ეს დროება ქვეყნად გამოსაცდელად შემოიღოო, ვაი იმას, ვინც შესცდება და ურჯულო ბალშევიკებში ჩაეწერებაო“?

დავიდ. მომბეზრდა წვრიმანის თრევა. თუმცა ისიც შემომეღლია. ხვალინდელი ბაზრის საყოფი ძლივს მაქვს. მერე რალა ვქნა? მიწაზე მუშაობა სადაური ბალშევიკობაა? რამდენი ხალხი მუშაობს მიწაზე. ვინ გითხრა, რო სუყველა ბალშევიკებია?

იეხისკიელ. აბა შენ კიდევ გადაგიწყვეტია?

ნაყოში. ეხლა მაგასაც შეუშალე ხელი. ქალიშვილების გაუბედურება არ გეყოფა. ეგეც ააცდინე სწორ გზაზე. წადი, შვილო,

ჩაეწერე. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ეს თუ არ ჩაეწერება მე ჩავეწერები და თვითონ მე დაგამუშავებ მიწას.

ი ე ბ ი ს კ ი ე ლ. მიწამ შეგჭამა, თუ მთელი სიცოცხლე არ უნდა ბუზლუნებდე.

ი შ ა ი. (შემოდის) მთვარის კურთხევას აგვიანდება. დანიელ შათარაშვილმა გამომაგზავნა — ასე უთხარი მამასაცა და შვილსაცაო — ეხლავე ჩემთან ამოვიდენო, საჩქარო საქმე მაქვსო. წადით, ილაპარაკეთ. ჩემი აზრით, მთვარის ამოსვლამდე მოასწრებთ. (გადის).

ი ე ბ ი ს კ ი ე ლ. (დავიდს) წავიდეთ, შვილო! (გადახედავს მირიამს) ეჰ, მირიამ... (გადიან)

მ ი რ ი ა მ. (მიუახლოვდება დედას) მამაჩემმა არ სთქვა ყველაფერი. რა უნდა ვქნა მე?

ნ ა ყ ო მ ი. ყაზარია შათარაშვილს უნდა გაჰყვე ცოლად.

მ ი რ ი ა მ. (გაფითრებული) რა?

4

დაიიელ შათარაშვილის სასტუმრო დარბაზი.

მდიდრული ავეჯეულობა. ტახტები. ხალიჩები. დიდი სინათლე. დანიელ შათარაშვილი, 50 წლის კაცი, პატრიარქალური წვერით, აბრეშუმის ახალუბში ჩაცმული, ოდნავ წამოწოლილია დივანთან და ხელში ათამაშებს კრიალოსანს. სასადილო მაგიდასთან ზის მისი შვილი ყაზარია, 30 წლისა და ანგარიშობს „ჩოთქზე“. დანიელის ცოლი იოხაბედი, ფეხმოკეცილი წამომჯდარია დივანზე და ქსოვს. მაგიდაზე ალაგია ხილი და ღვინო.


დ ა ნ ი ე ლ. (წვერზე ხელს ისვამს) იანგარიშე, ყაზარია. სამას ოცდა ხუთი. ას თექვსმეტი. შვიდას ორი. ასი. ერთხელ კიდევ ასიანი. შვიდი თუმანი. ოცდა ცხრა. ას ხუთი. წვრილად — ორმოცდა ჩვიდმეტი. რამდენია?

ყ ა ზ ა რ ი ა. ათას ექვსას ოთხი მანეთი.

დ ა ნ ი ე ლ. სწორია. შვილიც შენისთანა უნდა. აი სია. ხვალ ბაზრობა დღეა და ეს ფული სულ უნდა აკრიფო. კაპეიკი არ შეარჩინო არავის. არც გადაუდო ვისმე.

ყ ა ზ ა რ ი ა. რა ბიჭი ვარ, ვისმე გადაუდო? ათას ექვსას ოთხ მანეთს ხვალ ჩავიბარებთ ერთი კაპეიკივით. მერე წავიდენ და ბალშევიკებმა გაუხსნან კრედიტი.

დ ა ნ ი ე ლ. ხა, ხა, ხა! მოიკუტებიან, მოგელაქუცებიან. არაფერმა არ შეგაცდინოს, ხვალ ფული უნდა აიკრიფოს, ხვალ აპირობენ რალაცა მიტინგს. ვნახავთ, დავთვლით, რამდენ ფულს დაურიგებენ ბალშევიკებს! იქნება ჩვენც გვერგოს რამე.



იოხაბედ. ნუ მომკალი, ჩემო კაცო, სიცილით.

დანიელ. იანგარიშე, ყაზარია. შენი საქმე რო ამაღამვე გამო-
ეწყოს — მაგ თანხას ასი მანეთი გამოაკლდება.

ყაზარია. არა უშავს. ეგეც დროებით, მამაჩემო. მერე მაგ
ას მანეთსაც ავიღებთ.

დანიელ. მირიამი კარგი გოგონაა. მირიამის ხათრისთვის,
ესე იგი შენი მომავალი საცოლეს ხათრისთვის, შეიძლება მის მშობ-
ლებს ვალის გადახდა გადაუდოთ ერთი წლით.

ყაზარია. ღარიბის ქალიშვილია.

დანიელ. შენ კიდევ წუნობ, ჩემო შვილო? ასე გგონია, ასარ-
ჩევად გქონდეს საქმე. იანგარიშე, ყაზარია, კარგად იანგარიშე.
ერთი ცოლი სახადით მოგიკვდა, ერთი — ბავში იყო, მშობიარო-
ბას ვერ გაუძლო და თან გადაჰყვა, ერთმა თავი მოიწამლა. ჩვენს
გარდა ხომ არავინ იცის, თუ რითი მოკვდა შენი უკანასკნელი ცო-
ლი. შენ ისე აგზავნი ცოლებს ყოლამჰაბას, როგორც მე ვაგზავნი-
დი ცხრაასოცში სტამბოლში ლირებს და დოლარებს.

იოხაბედ. ნუ მომკალი, ჩემო კაცო, სიცილით.

დანიელ. მე არ შემიძლია, იოხაბედ, შენი მოკვლა. ამაში ყა-
ზარიაა სპეციალისტი. შენ კი, ჩემო ყაზარია, იანგარიშე, კარგად
იანგარიშე, მერამდენე ცოლი მოგყავს ეხლა?

იოხაბედ. მაგას რა ანგარიში უნდა. მეოთხე მოჰყავს.

დანიელ. ჰო და კარგად უნდა იანგარიშო, ჩემო შვილო.
რომელი სულელი მოგათხოვებს შენ, სამჯელ დაქვრივებულს, თა-
ვის ქალიშვილს? მე, მაგალითად, არ ვიყო მამაშენი და მყავდეს
ოცი ქალიშვილი გასასაღებელი — არც ერთს არ მოგცემდი, თო-
რის მზემ.

იოხაბედ. ნუ მომკალი, ჩემო კაცო, სიცილით.

დანიელ. იანგარიშე, ყაზარია. მირიამი ლამაზი გოგონაა,
გარდა ამისა სახუმარო საქმე ხო არაა. მირიამი ღარიბია. წინედ—
მდიდრები იყვნენ მოდაში, ეხლა — ღარიბები. მართალია ღარიბებს
კუჭი წინედაც ცარიელი ჰქონდათ და ეხლაც ცარიელი აქვთ, მაგ-
რამ ნალოვს მაინც არავინ აწერს მათ. მთავრობაში კარგად იღე-
ბენ და ასე ეუბნებიან თეთრ სიაში ხართო. ჰეი გიდი, თეთრი სია
და შავი სია... რაც მდიდარი და პატიოსანი ხალხია — შავ სიაში
მოახვედრეს, რაც ღარიბ-ოხერი და გატიელებულია — თეთრ სიაში
ჩაჰყარეს. ითამაშონ ეს სიობია, ერთი დრო არავის არ შერჩენია,
მაგრამ ეხლა კი, ღარიბთან შეუღლება საძრახისი არაა. ხარტონ
აბზიანიძე იძახის, ვისაც დღეს ღარიბის პატენტი აქვს — ის წითელი
თავადიშვილიაო. მეტი რა გინდა?

ყაზარია. მე რასაც მიბრძანებ, მამა, შენს სიტყვას არ გადავალ. ხო იცი.

დანიელ. ვიცი, ჩემო კარგო შვილო. ერთიც უნდა იანგარიშო, ყაზარია. სხვანაირი დრო დადგა. მირიამის სიღარიბე თავის დროზე გამოგვადგება.

იოხაბედ. შორსმჭვრეტელი ხარ, ჩემო კაცო, მაგრამ ერთი საქმეა კიდევ. იმ კვირაში ქალები ლაპარაკობდნენ, მირიამი ხარაზი შეირას საყვარელიაო და სიტყვაც მიუციაო. (პაუზა).

ყაზარია. რას იტყვი ამაზე, მამაჩემო?

დანიელ. იანგარიშე, ყაზარია, ასეთი საქმე როგორ შეიძლება. სიყვარულიც და სიძულვილიც მდიდრების მოგონილია. იეხისკიელ ყვითელაშვილი პატროსანი ისრაელია და მის სახლში მაგისტანა ამბებს არ შეიძლება ექნეს ადგილი. მაგრამ ის ნუ გადარდებს, რასაც ჭორიკანა ქალები იყბედებენ რიონზე სარეცხის დროს. პირიქით, ჩვენთვის უკეთესია. ილაპარაკონ რაც შეიძლება მეტი. დროზე მაგ ამბავიც გამოსადეგი იქნება. თორის ბრძანება ხომ გახსოვს: „გამ ზო ლეტობა“. ესეც სასიკეთოდ იქნება.

იოხაბედ. ჭკვიანი ხარ, ჩემო კაცო.

დანიელ. მაშ არა და ეხლანდელი ხალხი მაჯობებს? მე ის მაფიქრებს, თუ რისთვის არ მოდიან ამდენი ხანი.

ყაზარია. ვაი თუ სულ არ მოვიდნენ?

დანიელ. სულ არ მოვლიან? მაშინ... იანგარიშე, ყაზარია, დანიელ შათარაშვილი ვილა ყოფილა? ჯერ ადამიანის შვილს ვერ დაუძლევივარ და, ღმერთო შენით, ვერც ვერავინ დამძალავს. მართალია, დროება გამოიცვალა, მაგრამ დანიელ შათარაშვილი ცოცხალია!

იოხაბედ. იცოცხლებ კიდევ, ასოც წლამდე, ჩემო კაცო!

დანიელ. დანიელ შათარაშვილი — ამ ქვეყნის პატარა ღმერთია. ჩვენ ასე ადვილად არ ველევით ჩვენს სამფლობელოს. ჩვენი სიტყვა ხალხისთვის უნდა კანონი იყოს. დანიელ შათარაშვილმა თუ სთქვა — ეს იმას ნიშნავს, საქმე გაკეთებულია. (ნაბიჯები) აი, მოდიან. თქვენ ჩუმად იყავით. ნუ ჩაერევით. ყველაფერს მე გავარიგებ. (შემოდინან იეხისკიელი და დავიდი. თავს უხერხულად გრძნობენ).

იეხისკიელ. დავიდ. (ერთად) შალომ-ყალეხემ!

დანიელ. ყალეხემ-შალომ, ისრაელებო! მოიწიეთ ახლოს, დაბრძანდით, აი, ასე. იოხაბედ, სუფრა გააწყე. (იოხაბედი მაგიდას ალაგებს).

იეხისკიელ. ნუ სწუხდები ჩვენი გულისთვის.

დანიელ. რა შეწუხებაა, შე კაი კაცო. დანიელ შათარაშვილის ოჯახს სტუმრობა და მასპინძლობა ჯერ არ დაჰკლებია. მართალია,

დროება გამოიცვალა, მაგრამ ღმერთი არ გვივიწყებს. მოიწიეს სუფრასთან, ყაზარია, (ასხამს ღვინოს ჭიქებში) ლეხაიმ, იეხისკიელ! ღმერთმა გიცოცხლოს ცოლ-შვილის თავი! ლეხაიმ, დავიდ, ლეხაიმ, ყაზარია! (სვამს).

იეხისკიელ. დავიდ. ყაზარია. (ჭიქების რახუნით ერთად) ლეხაიმ!

დანიელ. ამაღამ მთვარის კურთხევას დააგვიანდა. ჯერ არსადასჩანს. ხახამ შიმუონმა ასე ბრძანა: ამაღამ ამ თვის უკანასკნელი ღამეაო.

იეხისკიელ. იშაი ყარაულობს, როცა ამოვა, შეგვატყობინებს.

დანიელ. ერთობ უხეირო შამაში გვყავს. დაბერდა იშაი და გამოჩერჩერდა.

დავიდ. სიღარიბემ გამოაჩერჩერა.

დანიელ. ეგა სთქვი შენ. მეცოდება. ღარიბია, თორემ ამდენხანს ჩემს სახლში როგორ გავაჩერებდი. ერთი კაპეიკი არ გადაუხდია სახლის ქირა.

იეხისკიელ. სახლის ქირაზე ჩვენც ძალიან უკაცრავად ვართ.

დანიელ. სახლის ქირაზე ადრეა წუხილი, მოდი პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. იეხისკიელ, შენ ამაღამ პასუხი უნდა მოგეტანა ჩემთვის. როგორცა სჩანს შენით არ აპირებდი მოსვლას, მე როცა არ გამომეგზავნა. ეხლა მითხარი შენი პასუხი.

იეხისკიელ. (დავიდს) უპასუხე!

დავიდ. (იეხისკიელს) შენ უპასუხე!

დანიელ. რას ვაჭრობთ. მართალია, მე ორივე გამოგიძახეთ, მაგრამ პასუხი უფროსის წესია.

იეხისკიელ. უფროსის საქმე თუა და... პირდაპირ მოგახსენებ: დაგვეხსენი თავიდან, დანიელ, ჩვენ ქალიშვილს ვერ გავატანთ ყაზარიას. (პაუზა. დიდმნიშვნელოვანი სახეები).

დანიელ. ვითომ და რისთვის ვერ გაატანთ? სამოყვროდ წუნობთ დანიელ შათარაშვილს?

იეხისკიელ. რავა გეკადრებათ, ბატონო. ღმერთმა ყველა ისრაელს შეახვედროს თქვენისთანა მდიდარი მოკეთე, მაგრამ აქ სხვა მიზეზებია.

დანიელ. რა მიზეზებია. რაღას ლეკავ, პირდაპირ სთქვი.

იეხისკიელ. მირიამი ბავშვია, ჯერ ჩვიდმეტი წლისაც არ იქნება. რა დროს იმის გათხოვებაა?

დანიელ. ეგ არის სულ? მაგით გინდა ეხლა თვალები ამიხვიო? არ იცი, რომ ჩვენებურ ისრაელებში სირცხვილია მაგხელა ქალიშვილის სახლში ყოლა? არ იცი, რომ ჩვენში ცამეტი წლისას

ათხოვებენ ქალიშვილს? განა რამდენი წლისა იყო შენი ცოლი.

როცა ქეთუბა წაიკითხე?

იეხისკიელ. ის დრო სხვა იყო. ის დრო წავიდა.

დანიელ. ის დრო ქრისტიანებში აღარ არის, ჩვენში კი ისევ

ის დროა.

დავიდ. ჩვენშიაც სხვა დრო იწყება. აღარც ჩვენ შეგვიძლია ძველებურად ვიცხოვროთ.

დანიელ. არ მომწონს, ყმაწვილო, შენი აზრები,

დავიდ. მეც ბევრი რამე არ მომწონს, მაგრამ რას ვიზამ.

იეხისკიელ. შვილო, რა ხელს მოგცემს დანიელ შათარა-
შვილთან შელაპარაკება. დაანებე მაგ ლაპარაკს თავი.

დანიელ. მართალი ხარ, იეხისკიელ. მაგრამ მე მაინც მინდა გავიგო ნამდვილი მიზეზი, თუ რისთვის მწუხრობთ სამოყვროდ.

დავიდ. ღია კარებში მტვრევა რა საჭიროა. თქვენს შვილს ყაზარას ცუდი სახელი აქვს გავარდნილი.

დანიელ. შენ უფრო პატიოსანი ხარ ჩემ შვილზე, არა?

დავიდ. ეგ რომ პატიოსანი კაცი ყოფილიყო—სამი ცოლი არ შემოაკვდებოდა ხელზე.

დანიელ. მერე დაგავიწყდათ რაც სთქვა ხახამ შიმყონმა „აღა-
მიანის შვილი ღმერთის მობარებული ამანათია, ღმერთი იძლევა,
ღმერთივე უკან წაიღებსო.“ ყაზარია ამაში რა შუაშია?

იეხისკიელ. მაგას ასეთი იღბალი ჰქონია და მე რა ვქნა.
ჩემი ქალიშვილი არ მემეტება ასე ადვილად დაუბრუნო ქვეყნის
ჯამჩენს.

დანიელ. აბა უარს მეუბნებით გადაწყვეტით?

იეხისკიელ. (ოდნავი ალელუებით) დიახ.

დანიელ. (წამოდგება მაგიდიდან და მიუახლოვდება იეხისკიელს) შენი
უარი კარგად იანგარიშე? (იეხისკიელი ჩუმად) ვიდრე დრო გაქვს
იანგარიშე, იეხისკიელ, კარგად იანგარიშე, არ შეგცდეს. იცი, რამ-
დენი დაგიჯდება შენი უარი?

იეხისკიელ. (კანკალით) ასი მანეთი.

დანიელ. მარტო ასი მანეთი? სხვა არაფერი? რას დადუმდი?
მე შენ გეკითხები, გესმის? დანიელ შათარაშვილი გეკითხება შენ,
ოხერტიელ იეხისკიელ ყვითელაშვილს, იანგარიშე თუ არა, რა და-
გიჯდება ჩემთვის უარის თქმა?

დავიდ. რალა გნებავთ კიდევ?

დანიელ. რა მნებავს? თქვენი არაფერი. მე — ჩემი მნებავს.
იანგარიშე, ყაზარია. ათი თუმანი საწვრილმალოს ვალი, თორმეტი

თუმანი ერთი წლის სახლის ქირა, რვა თუმანი—განაცდენი პროცენტები. რამდენია, ყაზარია?

ყაზარია. ოცდაათი თუმანი.

დანიელ. გაიგონე? ანგარიში გაასწორე. ამ წუთში აქ ფული გაჩნდეს. ოცდაათ თუმანს ერთი კაპეიკი არ დააკლდება.

იეხისკიელ. (დავიდს) შვილო, ხო გაიგონე, ოცდაათი თუმანი...

დავიდ. ღმერთი აღარ არის ქვეყანაზე? თუ ღმერთი შენი მოგონილია? ვინ დაგიჯერებს, რომ მამაჩემს შენი მართებს ოცდაათი თუმანი?

დანიელ. ვინ დამიჯერებს? სასამართლო. აი მამიშენის ვექსილი ოცდაათ თუმანზე ხელმოწერილი. (იღებს მაგიდიდან ვექსილს).

დავიდ. მამაჩემო, მართალია ეს ამბავი?

იეხისკიელ. მართალია, შვილო. ერთი თუმანი მასესხა და ვექსილზე ხელი მომაწერინა. მე რა ვიცოდი, რაზე ვაწერდი ხელს.

დავიდ. ვაიმე, მამავ, ამოვწყვეტილვართ ოჯახი.

დანიელ. ამოწყვეტა ჯერ სადაა. ფულს გადამიხდით ეხლავე, და სახლსაც დამიცილით. ათი წუთის შემდეგ თქვენი ხსენება აღარ იყოს ჩემს სახლში. გეყოფათ, თქვე ამოთრეულებო, რაც ამაგი დაგდეთ. ვერ იანგარიშეთ კარგად? აწი, როდესაც მშიერი ძაღლებით ქუჩაში სული ამოგხდებათ, მაშინ იანგარიშებთ კარგად, მაგრამ გვიანლა იქნება.

იეხისკიელ. რალა ვქნა, შვილო, ეხლა?

დავიდ. ოჯახი ამოგიწყვეტია და ეხლა მეკითხები რალა ვქნაო? აი ასე იცის უსწავლელობამ.

იეხისკიელ. უსწავლელობა კი არა, სიღარიბე, გაჭირვება, შვილო. (დგას თავჩაღებული).

დანიელ. (ნიშნის მოგებით) რას იტყვით ეხლა, ყვითელაშვილებო?

იეხისკიელ. უპასუხე, შვილო!

დავიდ. მე არაფერი მაქვს სათქმელი. პირი წყლითა მაქვს საფსე და აღონაიმ გონება წამართვა.

იეხისკიელ. ვექსილს დახევე?

დანიელ. იმ წუთსვე, როცა შენი ქალიშვილი ფებს შემოსდგამს ჩემს სახლში. ამის გარდა, იანგარიშე, იეხისკიელ, აწი ბინის ქირას აღარ გამოგართმევ და შენც და შენს შვილსაც ხუთ-ხუთი თუმნის ნისიას კიდევ გაგიხსნით.

იეხისკიელ. რას იტყვი, შვილო?

დავიდ. რასაც შენ იტყვი, მამაჩემო.

იეხისკიელ. მეტი რა გზა გაქვს. თანახმა ვართ. ღმერთმა კეთილი ჰქნას.

დანიელ. ჰო, ასე მესმის. აბა ჩემს ახალ მოყვრებს გაუმარჯოს!
ყველანი სუფრასთან! ყაზარია მოიწიე შენს სიმამრთან! იოხა-
ბედ-ჩემთან! დავიდ-ყაზარიას გვერდით! მოულოცეთ [ერთმანეთს.
მაზალ-ტობ! სიმან-ტობ! ღვინო, ღვინო დაასხით! პირველი ჭიქა
ხათან-ქალას სადღეგრძელო! ლეხაიმ, ჩვენო ახლო მოყვრებო! ქორ-
წილს დაგვიანება აღარ უნდა. ერთ კვირაში ისიც გადავიხადოთ.
იცოცხლონ ჩვენმა მეფე-დედოფალმა, ჩვენმა ხათან-ქალამ!

იოხაბედ. ყაზარია, ლეხაიმ (სვამენ).

იეხისკიელ. ლე... ხა... იმ!(სვამს)

დავიდ. რა მემართება, ასე მგონია, სატირალში ვარ. ლეხაიმ!
(სვამს. შემოდის ზებო დავითაშვილი. მთვრალია. ავანტიურისტის ტიპი. 30 წლის.
აცვია ყელიანი უძიროები, ოქროსფერი ღილებიანი ბლუზა. შარვალი-გალიფე,
ქუდი შავი ცხვრის ტყავის. წვერ-გაპარსულია შავი უღვაშები შერჩენია. ნიკაპზე
ჭრილობის დალი).

დანიელ. ვინც მოვიდა — გაუმარჯოს! ჩემთან, ზებოჯან!

ზებო. ო, რა ვიქეიფეთ მე და ხარიტონმა... მთელ საღამოს
ვსვამთ. (იეხისკიელს და დავიდს) თქვენ რა ბაიყუშებივით დამჯდარ-
ხართ, რაშია საქმე?

დანიელ. დავმოყვრდით, ზებოჯან. მირიამი მოგვყავს.

ზებო. ო, ეს ძალიან ამბავია. აბა ამალამ ისევ ვქეიფობთ. მალე
ხარიტონიც მოვა... ჩექმებს დაეძებს... ვერცერთ ჩექმაში ვერ ჩაე-
ტია მისი ფეხი... ო, როგორი გაბრაზებულია მეირაზე, ჩექმები არ
გამიკეთაო... ახალი კიდევ არ ჩაეტია... ხა, ხა, ხა!... მაგრამ ვერ
მაჯობა... შენ სადაური ურია ხარ, ჩემზე მეტსა სვამო. აი დედასა,
ის რო ერთსა სვამდა, მე ორსა ვსვამდი... გზაზე კიდევ ხახამ შიმ-
ყონი შემხვდა. რომ გაიგო აქ მოვდიოდი, ასე მითხრა... უთხარი
დანელსაო... მეც მალე მოვალო...

დანიელ. სწორედ ძალიან ამბავი მითხარი. ხახამ შიმყონი და-
გვილოცამს შეილებს. ასე არა, მოყვრებო?

იეხისკიელ. დიახ, სჯობია.

ზებო. კიბეზე კიდევ იშაი შემხვდა. რას დაეძებ აქ ბებეროთ-
ქვა? — მთვარესაო... (იცინის. სხვებსაც ეცინებათ) გესმით, თქვენ? აშაი
მთავარეს დაეძებს...

იოხაბედ. ეხლა შენ მომკალი სიცილით.

კულიებიდან მოისმის ხარიტონის სიმღერა

„მე ის კაცი გახლავართ,
მინდორზე რო ხარი სძოვს,
ისიც სალამს მომართმევს:
გაუმარჯოს ხარიტონს“.

დანიელ. ზებო. ხარიტონი მოდის.

ხარიტონ. (შემოდის ახალ ჩექმებში) გაუმარჯოს აქაობას... ჩექ-

მეები მიქერს... მე იმან შემაცდინა... მეირა ურიამ... ურია და ჟიტი
ეს ერთი და იგივეა... შენ არ გეწყინოს, დანიელ... თუმცა ნათქვა-
მია... დანიელა ურია, ჩვენში რამ გაურია... მაგრამ შენ... არა ხარ
ურია... შენ, შენ იბრაელი ხარ. გესმის იბრაელი... მეირა ხარაზისა
და ვარლამ ტატიშვილის ბაბუა კი... ალბად ჟიტი იყო.. ჟიტი... უჰ,
იმათი დედ-მამის სული...

დ ა ნ ი ე ლ . დაწყნარდი ხარიტონ, დაბრძანდი ტახტზე. ვქეიფობთ.
ყაზარამ ცოლი შეირთო.

ხ ა რ ი ტ ო ნ . ამათი ქალი არა? ო, წითელ თავადიშვილებს ვახ-
ლავართ... თქვენ არაფერი გეწყინოთ... დანიელა მიყვარს ძმასავით,
მაშასადამე მისი მოყვრები ჩემი მოყვრებიცაა. (ისხამს ღვინოს.) ეს
ღმერთმა გაუმარჯოს იმას, ვინც მოიგონა ცოლი და ქმარი. აბა ზე-
ბო, ალავერდი შენთანა!... შენ ურია არა ხარ, ზებო... ბებიაშენ
თან ალბად ქართველს ჰქონდა საქმე. დიახ!

ზ ე ბ ო . მე ვახლავართ ზებო დავითაშვილი... ვცხოვრობ უღარ-
დელად. არავინ იცის, რით ვცხოვრობ და არც მე ვიცი... ყველაზე
კარგად კი ვცხოვრობ... რჯულს არ ვინახავ და რაბის ყველაზე
უფრო კი ვუყვარვარ... ჩემი მიზანი ქვეყანაზე მხოლოდ ესაა. აბა
ხარიტონ, ბანი! (მღერთან: „სამი რამ მიყვარს ამქვეყნად, ღვინო, დუდუკი
ქალები, ღვინოს ვსვამ, დუდუკს დავუკრავ, ქალებო, გენაცვალებით“. შემოდის,
რაბი შინყონ მანაშერაშვილი. 60 წლის მოხუცი. აცვია შავი სერთუკი და შავი
ცილინდრი. ცილინდრს შიგნით კიდევ პატარა ქუდი — ფრმოლკა. ყველანი ეგე-
ბებიან „რაბი მობრძანდის“ ძახილით და აჯენენ შუაგულ ადგილას)

დ ა ნ ი ე ლ . რაბი, დაგვილოცე სიძე-დედოფალი. ისე შეგის-
რულდა ყოველივე წადილი, როგორც ჩვენი საწადელი შესრულდა —
ყაზარამ შეირთო მირიამი. (მიაწოდებს ჭიქას).

რ ა ბ ი . იცოცხლე, შვილო ყაზარია, სიმანტობით და მაზალტო-
ბით. მტერი არ გაახაროს ღმერთმა თქვენ ახალ ოჯახზე და ისრა-
ელის რჯული არ დაგვიწყებოდეთ. გამოგეზარდოთ შვილები ღვთის
მოშიშე და მისი წესების შემნახველი. ლეხაიმ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი . (გაგრძელებული) ლე — ხა — იმ!

რ ა ბ ი . აბა სიმღერა, ცეკვა. (დაიწყებენ სიმღერას: „კოლ სასონ ვეკოლ
სიმხა, კოლ ხათან ვეკოლ ქალა“. ცეკვა ნახევრად ხასიდური, ნახევრად სიმღერის
ხელის შემწყობი).

5

შერეული სცენა. ფარდები ახსნილია ყველგან, დაბლა და ზევით. დანიელი-
სას გრძელდება ცეკვა, სიმღერა, სიმთვრალე. შუაში რაბი. გვერდზე ცეკვავენ
ხარიტონი და ზებო. იოხაბედი ქალებშია გართული. დანიელი ჩუმად რაღაცას

ეუბნება ყაზარას. იხისკიელი და დავიდი მგლოვიარეებივით დგანან ამ საერთო ფერხულში.

მეირი ზის თავის სახელოსნოში, აგრძელებს მუშაობას და უსიამოვნოდ უცხვრის მტვერს, რომელიც იყრება მეორე სართულიდან ცეკვის გამო.

ნაყოში ისევ სარეცხს რეცხს. ხოლო მირიამი დგას ფანჯარასთან უძრავად და თვალებში ცრემლი უბრწყინავს. იშაი იცქირება ზეცისაკენ.

მთვარე ნელ-ნელა გამოდის ღრუბლებიდან და ეშვება დაბლისაკენ. იგი მეტად ფერმკრთალია, მაგრამ თანდათან იზრდება.

იშაი სიხარულით გამოხტება ოთახიდან და იწყებს ყვირილს.

იშაი. ისრაელებო, ბირქათ ჰალებანა. მთვარე ამოვიდა. ისრაელებო! მთვარის კურთხევა. რაბი, მთვარე! (ნელ-ნელა მოედანზე გროვდებიან მორწმუნენი).

რაბი. კარგი ნიშანია მთვარის ამოსვლა ხათანქალისათვის.

ნაყოში. რაო? ხათან ქალასათვის? ვაიმე, შვილო, გაგათხოვეს.

იშაი. მთვარე ამოვიდა!

მირიამ. ვისთვის ამოვიდა დედა ეს მთვარე? ვის უნათებს იგი?

ვილაც დედაკაცის ხმა მეირის სახარაზოსთან.

ქალო, სიფორ, ყაზარას მირიამი უთხოვია, გაიგე?

მეირ. (ფერმკრთალი) რაო? მირიამი?

რაბი. ისრაელები, მთვარე ვაკურთხოთ.

ხარიტონ. (ზებოს) მე რა ვქნა ეხლა? მეც ხო იბრაელი არა ვარ — მთვარე ვაკურთხო? მოიცა რაღა. (ზებო და ხარიტონი იკარგებიან სცენის სიღრმეში)

რაბი. „ბარუხ ათა აღონაი, ელოენუ, მელეხ ჰაყოლამ, აშერ ბარა ბემამარო შეხაკიმ“.

იშაი. მეირ! მთვარის კურთხევაზე გაგვიანდება.

მეირ. არა, თქვენ აკურთხეთ მთვარე. თქვენი მთვარე თეთრია და ციდან ჩამოდის. ჩვენს მთვარეს კი კურთხევა არ უნდა, იგი ჩვენი შრომით მიწიდან ამოვა!

ფ ა რ დ ა



მოქმედება მეორე

დიდ მოედანზე გამართულია ბაზრობა.

გრძელ სკამებზე, რომლებიც სამივე მხრით გაშლილია სცენაზე, ჩამწკრივე ბულან გლეხი ქალები სხვადასხვაგვარი პროდუქტებით და ქილებით. სცენის შუაგულში ქვებისაგან გაშენებულია ტრიბუნა. აქეთ-იქით მრავალი საწვრილმანო ფარდული, ზოგან უბრალო მაგიდებზე აწყვია სხვადასხვა გასაყიდი საქონელი. აუარებელი ებრაელი ქალები, კაცები, ახალგაზრდები. მოძრაობა, ჩოჩქოლი, ჯგუფური ვაჭრობა. მოედანზე აშკარად მეფობს სიღარიბე.

გვერდზე მოჩანს დიდი მალაზია წარწერით: „დანიელ შათარაშვილი“. მალაზია დაკეტილია. მალაზიასთან ქვებზე ჩამომსხდარა უსაქმო ხალხი. ხანდახან მათ შორის გამოჩნდება ზებო დავითაშვილი.

სცენიდან მოისმის ყვირილი, მუდარა. უმეტესობა გაჰკივის. ყველას უნდა გაასაღოს თავისი საქონელი.

სცენის სიღრმეში მოჩანს აგრეთვე იეზისკიელისა და მისი შვილის, დავიდის საწვრილმანობუდკა. ეტყობათ დაღლილობა და ღამის თევა.

მოძრაობა მთელი აქტის განმავლობაში არ წყდება.

ისმის ურმების კრიალი, მილიციელის სტვენა.

მეწვრილმანეთა მასა.

- შნურკი, კნოპკი, ნივიდიმკი!
- კრუჟევა, კრუჟევა, ბელი კრუჟევა!
- ბულავკი, ბულავკი, ანგლისკი ბულავკი!
- ურმის მაზი! ზაგრანიჩნი მაზი!
- ჩაინიკი! აურიკანსკი ჩაინიკი!
- ფოლაქები, ღილები, მასკოვსკი!
- საპონი, პუდრა, ინტერესნი ადიკალო!
- დუხები, დუხები, მირნი ვრემიას დუხები!
- ლამფის შუშა!
- ჩიბუხი! სათითური!
- კბილის პარაშოკი! სავარცხლები! თავის შჩოთქი!
- ნასკები, ნასკები! ჩულქები, ჩულქები!
- წინდები, თბილი წინდები!
- ხელთათმანი! ნასტაიაში პერჩატკი!

წადი, როგორც გინდა მიშოვე ერთი პატარა, კობტა ძალდი-ფოქსიო, შემოვიარე მთელი ბაზარი და ვერ ვიშოვე. რა ვქნა ეხლა, როგორ დავბრუნდე სახლში? ხომ შემჭამა ჩემმა ცოლმა. (შეამჩნევს იშაის) ეი, ბებერო, მოდი აქ, რას აკეთებ?

იშაი. ვვაჭრობ.

უცხო კაცი. რითი ვაჭრობ? ხელში არაფერი გიჭირავს.

იშაი. ჰაერი ვის დაუჭერია, მე რომ დავიჭირო? ჩემი ხელობა ისაა, თუ ვინმემ რამე დამავალა, წავიდე და ვუშოვო.

უცხო კაცი. კაი დაგემართოს, აბა სწორედ შენ ყოფილხარ საჩემო კაცი. შეგიძლია მიშოვო ჩემი ცოლისთვის კობტა და ლამაზი, პატარა ფოქსი?

იშაი. შემეძლია.

უცხო კაცი. ჰე კაცო, აბა დატრიალდი ჩქარა.

იშაი. დავტრიალდე რომელია, ბზრიალა ხო არა ვარ. ჯერ მოვრიგდეთ. რამდენს მისცემ შენს ქალბატონს რო შეეფერებოდეს ისეთ ფოქსში?

უცხო კაცი. სამ თუმანს.

იშაი. (ჩაფიქრდება) ცოტაა.

უცხო კაცი. აბა რამდენი გინდა?

იშაი. ხუთი თუმანი.

უცხო კაცი. ბევრია. სამ თუმან ნახევარს მოგცემ.

იშაი. (ავტორიტეტულად) ერთი კაბიკი არ დააკლდება.

უცხო კაცი. ოთხი თუმანიც არ გეყოფა?

იშაი. შენს ქალბატონს ოთხთუმნიანი ფოქსი არ შეეფერება.

უცხო კაცი. არც ოთხთუმან ნახევარი გინდა?

იშაი. მე დაკლება არ მიყვარს.

უცხო კაცი. კარგი. თანახმა ვარ. მოგცემ ხუთ თუმანს, მხოლოდ საჩქაროდ ირბინე და მომიყვანე. (იშაი დგას ჩუმად) რაღას გაჩერდი? ხო გაძლევ, რამდენიც გინდა, თუ ეგეც გეცოტავენა?

იშაი. (თავს იფხანს) უკაცრავად, ბატონო... ფოქსი რა არის?

უცხო კაცი. ოჰ, შენი წვერები... თუ არ იცოდი, რას მაყბედე, რაღას მევაჭრე...

იშაი. რას ბრაზობ, მე ხომ გითხარი ჰაერით ვვაჭრობ-თქვა. აბა მე რა ხეირი ვნახე შენში? ფოქსი მე არ ვიცი რა არი. ალბად, აფთიაქში ეცოდინებათ.

გადის. უკან მიჰყვება უცხო კაცი ბურტყუნით და მუშტის ქნევით. სცენაზე გამოივლის აბრამია. ხელში უჭირავს საზამთრო

ხალხი.

— აბრამია, რა მიეცი საზამთროში?



- ექვსი აბაზი, შვილო.
- აბრამია, რა მიეცი საზამთროში?
- ექვსი აბაზი.
- აბრამია, რა მიეცი საზამთროში?
- ვერ გაიგონე ი კაცს რო უთხარი, ექვსი აბაზი.
- აბრამია, რა მიეცი საზამთროში?
- ექვსი აბაზი მივეცი, ექვსი აბაზი, თქვენი სახელსახსენებელი ამოვარდა ამ საზამთროსთან ერთად. (დაახლის საზამთროს და გადის).
- ძია! იყიდე სავარცხელი! იათად მოგცემ.
- წვერი არა მაქვს და თავზე ერთი ღერი თმა არ შემრჩა. ტყუილადაც რო მაჩუქო, რად მინდა?
- მაღამ, სათქვენო საქონელი მაქვს. არ გამისაღებთ?
- აბა რა გაქვს?
- კრუჟევა, ბელი კრუჟევა.
- ქალიშვილი გავათხოვე და მე რაში მინდა.
- აი პუდრა, ნახე. ზაგრანიჩნი რამეა.
- სამოცდახუთი წლის ვარ და მე ამნაირი ცუდი არაფერი მინახავს. ნამდვილი ფქვილია. ეს ხომ სახეს წაახდენს.
- მაღამ, ჩემი პუდრა კარგია. შენს სახეს კი, ღმერთის მზემ, ათასი ფუთი კოტიე რო წაუსვან—მაინც ვერ უშველის.
- ყბედობას თავი დაანებე, თორემ იცი?..
- მაღამ, ნუ მემუქრები. ლამფის შუშა არ გინდა?
- შუშა რათ მინდა. ერთი კვირაა ნავთი ვერ ვიშოვე.
- არ გეკადრებოდა, მაღამ, ოჩერედში ჩადგომა?
- რევმატიზმი მაქვს ფეხებში.
- ყველაფერი გქონია, ძალიან მდიდარი ყოფილხარ. ერთი სუ-დარა გაკლია მკვდრისა. გინდა მოგყიდო?
- ქალი მიაფურთხებს და გადის.
- არ იცით, შათარაშვილებს რისთვის დაუკეტიათ ღუქანი?
- წუხელის მთელი ღამე უქეიფნიათ. ყაზარის მირიამი შეურ-თავს.
- ვისი მირიამი?
- ხისკოს ქალიშვილი.
- ვაი, აფსუს, რა ქალი ჩაუგდია ხელში!
- ალბათ, ძალიან თუ გაუჭირდათ, თორემ სამჯერ დაქვრივე-ბულს როგორ გაატანეს მაგისტანა კარგი გოგო?
- შათარაშვილების მაღაზია რისთვის არის დაკეტილი?
- ეშმაკმა რო არ იცის იმათი თავი და ტანი.

— ეშმაკმა არ იცის და მე კი ვიცი. ყაზარია შათარაშვილს უშველებელი სია დაუჭერია ხელში, დადის და ყველას ვალს ახდევინებს. რამდენი ისრაელი ატირდა დღეს!

— ეგენი პირდაპირ ხალხს სცარცვავენ. მანეთში სამ მანეთს ახდევინებენ. ჩვენი ხალხი მაგათ ვერ გაუძლებს.

— ჩვენივე ბრალია, თორემ მაგენი თავს ვერ შეგვჯდებოდნენ.

— შათარაშვილებს დღეს მალაზია არ გაუღიათ, რაშია საქმე?

— ხალხში დაიარებიან.

— ვითომ რა ამბავია?

— აი, საცაა მალე მიტინგი იქნება.

— მერე რა უნდა იქადაგონ?

— ისრაელობამ ვაჭრობას თავი დაანებეთ და გლებობა დაიწყეთო.

— დანიელ შათარაშვილი მაგას რავა იქადაგებს?

— მე როდის გითხარი, დანიელ შათარაშვილი ამას იქადაგებს-თქო

— დანიელ შათარაშვილი დადის თავისი შვილით და ისრაელებს აფრთხილებს. „ღმერთი არ გაგიწყრეთ, რჯული არ დაივიწყოთ, ქრისტიანებმა არ შეგაცდინონო“.

— გაიგე ახალი ამბავი?

— რა?

— რა და მართალი ყოფილა, რაილმასკომის თავმჯდომარე ილაპარაკებს დღეს ბაზარზე. ისრაელებს მიწას გვაძლევენ.

— სადაა საჩვენო მიწა?

— წინედ რო არ ვიყავით მაგას შეჩვეული, გაგვიძნელდება.

— არაფერია, გაუძლებთ.

— საქმე შეჩვევაა.

— ნეტავი კი მართალი გამოდგეს, დღესვე ჩავეწერები.

— ვნახოთ.

შემოდის ყაზარია თავის სიით. მიაღვება ერთ მეწვრილმანეს

ყაზარია. შენზე შვიდი თუმანია.

მეწვრილმანე. ვიცი, მაგრამ დღეს სამი მანეთი ძლივას ვივაჭრე. ფული ჯერ ასე მალე არ მექნება.

ყაზარია. რა ჩემი საქმეა, როდის გექნება ფული. მე ჩემი გამისწორე, შენი საქმე თვითონვე იცოდე.

მეწვრილმანე. რასაც ჰხედავ—ესაა მთელი ჩემი ქონება. აქ სამი თუმნის საქონელიც არ იქნება, საიდან გადაგიხადო ასე მალე. შენი ჭირიმე, ყაზარია, წუხელის ცოლი შეგიერთავს, ღმერთმა გაგაბედნიეროს, ერთი კვირით კიდევ მადროვე, იქნება გავახერხო რამე.

ყაზარია. კარგი, თანახმა ვარ. მხოლოდ იცოდე ერთი პირობით:

დღეს აქ ქადაგობას აპირობენ — ისრაელებმა კოლექტივი უნდა გააკეთონო. უნდა ჩვენც გაგვაქრისტიანონ და მათსავით გლახობა დაგვაწყებინონ. ღმერთი არ გაგიწყრეს, არ გაბედო ჩაწერა. გესმის? მეწვრილმანე. კი, ბატონო. იქ რა მინდა. რა ისრაელის შვილის საქმეა კოლექტივი.

ყაზარია. ასე უთხარი სხვებსაც. დღეისწორ პარასკევისთვის კი არ დაგავიწყდეს ვალის მომზადება. (გადადის სხვა მეწვრილმანეებთან. სცენაზე შემოდინან დანიელი და ხარიტონი).

დანიელ. როგორ ნებავთ? შენი კარმიდამო, ჩემი სახლ-კარი? ამას რა ჰქვია? ეს რა ყაჩაღობაა? მაგრამ არაფერია. ოცდაათ ოჯახს მაგენი ვერ შეაგროვებენ. კოლექტივს ვერ დაარსებენ.

ხარიტონ. თქვენი ხალხი სანდო არ არის. რა იცი რომ ოცდაათ ოჯახს ვერ შეაგროვებენ?

დანიელ. მე შენ გეუბნები, ჩემო ხარიტონ, რომ ოცდაათს კი არა, ათ ოჯახსაც ვერ შეაგროვებენ. იცის დანიელ შათარაშვილმა, რასაც ამბობს. ამ დილას, როგორც კი გავიგე, მიტინგის მოწყობას აპირებენო, შეუდექი ზომების მიღებას. შეილს დავავალე, რომ ზოგიერთ ღარიბს, რომელიც ვერ შესძლებს ვალის გადახდას, გადაუდოს დროებით. გესმის ჩემო ხარიტონ? რომელი ოხერ-ტიელი შესძლებს ჩემი პირობის შემდეგ კოლექტივში შესვლას?

ხარიტონ. ყოჩაღ, ჩემო დანიელ. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ დანიელ შათარაშვილი ურია არ არის-თქო, შენ იბრაელი ხარ.

დანიელ. იანგარიშეთ, ჩემო ხარიტონ. ათას ექვსასი მანეთი ვალი მქონდა ასაკრეფი. შეიძლება ნახევარიც ვეღარ აგკრიფო დღეს, მაგრამ არა უშავს. კოლექტივის ხუხულას ხომ მაინც ჩაუშლით!

ხარიტონ. ჩაუშლით, ხარიტონის მშემ!

დანიელ. შენ იცი მეირას რა ვუყავი? დილაზე ადრე გამოუყარე მთელი თავისი სახელოსნო და ჯღანები ეზოში. ოთახი კი გავაქირავე და უკვე კაცი ჩავაყენე.

ხარიტონ. ყოჩაღ, ყოჩაღ, დანიელ. მომწონხარ! (ამ დროს უკან-ხელებდაწყობილი გამოივლის იშაი) ბიჭო, რა უნდა ამ კაცს ჩემგან, რაზე მთარსავ, რას მებლანდები ფეხებში, ურია.

იშაი. მე ჩემთვის მივდივარ, შენ რას გიშავებ?

ხარიტონი. მეჯავრები: ურია ხარ.

იშაი. მე ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე და დანიელ შათარაშვილი ორივენი ერთი რჯულისა ვართ.

ხარიტონ. უკაცრავად. შენ ურია ხარ, დანიელი კი იბრაელია.

იშაი. (დანიელს) შენ რას ბრძანებ ამის შესახებ?

დანიელ. მართალია, უშნო ხარ და ყველას ეჯავრები.

ი შ ა ი. მართალია? არა, სიცრუეა. ღმერთმა ხომ იცის—სიცრუეა. უწნო კი არა ვარ, ღარიბი ვარ, გაჭირვებული და ყველა თავზე შემაჯექით. (მოდის ზებო).

ზ ე ბ ო. შალომ-ყალებემ, იშაი! წუხელის რამდენ ხანს ყარაულობდი, ილივს ხელში ჩაიგდე მთვარე და რავა გეკადრება, როგორ გაგეპარა? (ყველანი იცინიან).

ი შ ა ი. დამცინეთ, დამცინეთ, ზრდილობა დაგიკარგიათ, თორემ ამხელა კაცს თქვენ მასხარად არ უნდა მიგდებდეთ. მაგრამ ერთი დროება ვის შერჩენია, რომ თქვენ შეგრჩეთ? (მიდის).

ხ ა რ ი ტ ო ნ. ერიპა, უყურებთ ამ გლახას. რალაცა სხვანაირად გიპასუხათ.

დ ა ნ ი ე ლ. ნუ სწუხარ, ჩვენი კაცია. ალბათ, დღეს არ უჭამია და იმიტომ ღრინავს. იცის, რომ მოვინდომო, ერთ წუთში თევზივით სული ამოხდება. ამიტომ ჩემი მონა-მორჩილია. ეხლა ზებომ გააწიწმატა. გუშინდელს უკანაა გადაჰკიდებია ი მთვარის გულისთვის. (პაუზა) ეს არაფერი, მენ ეს მითხარი, ზებო, რა ჰქენი იმისა, მე რო დაგავალე?

ზ ე ბ ო. კოლექტივის შესახებ? დარდი ნუ გაქვს, დანიელჯან. იცის ბიჭმა. ველაპარაკე ჩენს ძმაბიჭებს. ისე გაგიმასხრო ეს კოლექტივისტები, რომ სირცხვილით ცხვირი ვერ გამოჰყონ ქუჩაში. სად გაგონილა ისრაელს არშინი გადაეგდოს და თოხი აელოს? შენი სიტყვის არ იყოს, ანგარიშის საქმე არაა? რომელმა სულელმა არ იცის, რომ თოხი მძიმეა არშინზე? (შემოდის ყაზარია).

დ ა ნ ი ე ლ ი. როგორაა საქმეები, ჩემო საყვარელო შვილო?

ყ ა ზ ა რ ი ა. ისე, როგორც შენ გაგიხარდება. აქ ხალხი იყრის თავს, წამომყევით იქით ძხარეს და ყველაფერს გიამბობთ.

გადიან სცენიდან — ცალკ-ცალკე. მათ თვალს გააყოლებს იებისკიელს ბუტკიდან დავიდი.

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. საით იცქირები, შვილო?

დ ა ვ ი დ. ჩვენს მოყვრებს მოვკარი თვალი. დადიან თავისთვის არხეინად. დღეს მაღაზიაც კი არ გაუღიათ. ჩვენსავით საფიქრელი ხომ არა აქვთ სადღეისო ლუკმა?

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. ასე იცის, შვილო, სიმდიდრემ.

დ ა ვ ი დ. ჩაგათი სიმდიდრე ჩვენს ზურგზეა შეძენილი. მაგათი ფულები ჩვენი ოფლითა და სისხლითაა დასველებული. ეჰ... მომბეზრდა ყველაფერი. ნეტავი მალე დაიწყებოდეს!

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. რა?

დ ა ვ ი დ. რა და მიტინგი.

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. შენ მაინც და მაინც გინდა ჩაეწერო კოლექტივში?

დავიდ. აბა რა ხელს მომცემს შენი ცქერა? დაბერდი და მთელი შენი სიცოცხლე ერთი კარგი დღე არ გახსოვს. მანამ კარგად არ დაგამტვრევენ კბილებს, არ გინდათ თვალები გაახილოთ? ვილაცა მეწვრილმანე. (მიდის მათთან) მირიამი გაგიტხოვებიათ. მომილოცავს.

დავიდ. (ხელს ჩაიქნევს) კი ნუ გვილოცავ, შეგვიცოდე, ბიძია. ასე სთქვი: საბრალო ყვითელაშვილები-თქო... მამაჩემო, ივაჭრე, ივაჭრე, ხომ ხედავ, მთელი დღე ერთი კაპეიკი ვერ იშოვე. მე რაღას ვაკეთებ? წავალ, გავივლ-გამოვივლი, გავიგებ რა ხდება ამ ქვეყანაზე.

იეხისკიელ. (აშოხვრით) წადი, შვილო! (დავიდი მიდის).

მეწვრილმანე. ქვეყანა აირია. (გადის სხვა მიმართულებით. სცენაზე ერთმანეთს ხვდებიან ვარლამი და მეირი).

ვარლამ. მეირ!

მეირ. ვარლამ! შენ გეძებდი.

ვარლამ. არის რამე ახალი?

მეირ. არის. დანიელმა სახელოსნო გამომიყარა გარეთ. წავიღე ჩემი ჯღანები ჩემს პატარა ოთახში, მაგრამ იქ მუშაობა კი არა, მობრუნებაც არ შეიძლება.

ვარლამ. ეგ არაფერია. მაგან გული არ გაგიტეხოს. დღეიდან შენ აღარ დაგჭირდება დაუბრუნდე შენს ჯღანებს. პარტიულ კომიტეტმა განიზრახა შენი გამოყენება. ეს დღესვე იქნება. ჩემო მეირ. (მეირი ჩუმადაა და მწუხარედ დგას) შენ რატომ ხარ თავჩაღებულ-ლი, თითქოს არ გაგახარა ამ ამბავმა?

მეირ. ჩემს სიხარულს სიმთელე აკლია. წუხელის მირიამი გაათხოვეს.

ვარლამ. ეს არ შეიძლება, რო მოხდეს.

მეირ. შეუძლებელი არაფერია. ყვითელაშვილების ოჯახი მოექცა გამოუსავალ ხლართში. მირიამმა თავისი თავი მსხვერპლად მიიტანა. ო, მე ძალიან კარგად ვიცნობ მირიამს. როგორ უყვარს თავისი შამა. მირიამს სხვა გზა არ ჰქონდა.

ვარლამ. მაშ შენ ჰფიქრობ, რო ყველაფერი დაკარგულია?

მეირ. ყველაფერი.

ვარლამ. ეს იქონიებს გავლენას ჩვენს საერთო მუშაობაზე.

მეირ. პირიქით, ამიერიდან უფრო გააფთრებით ვიბრძოლებ. მე დამრჩა მხოლოდ ერთი გრძნობა: სიძულვილი დამჩაგვრელებისადმი და ამ გრძნობით ვივლი წინ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ვარლამ. ყოჩაღ, მეირ, მომწონს შენში ხასიათის სიმტკიცე. (მათ უახლოვდება დავიდი).

დავიდ. ამხანაგებს გაუმარჯოს. ჯერ კი არ ვარ მთლად თქვენი

ამხანაგი, მაგრამ, ალბათ, მალე გავხდები. მალე დაიწყება მიტინგი?
ვარლამ. მალე, სულ მალე, ოც წუთში.
მეირ. რას ამბობს ხალხი?

დავიდ. მდიდრებს ხალხი ძალიან დაუშინებიათ. მაგრამ ზოგიერთი ღარიბები მაინც იძახიან: „ამაზე მეტი გასაჭირი რაღა იქნებაო, უსათუოდ ჩავეწერებითო.“

ვარლამ. თქვენი ოჯახი ხო ეწერება!

დავიდ. მე კი ვეწერები. ხოლო მამაჩემი კი ვერ დავიყოლიე.

ვარლამ. ეს ასეც უნდა იყოს. ყველა თაობას როდი შეუძლია ერთნაირად აზროვნება?

მეირ. უკვე დროა. არ დავიწყოთ?

ვარლამ. ჯერ მიხა არ მოსულა. ყოველ შემთხვევისთვის გაუაროთ აღმასკომში და ერთად მოვიდეთ.

დავიდ. თქვენთან წამოსვლა არ შეიძლება?

ვარლამ. რატომაც არა. თუკი ასე ძალიან გინდა ჩვენთან სიარული, ჩვენ ძალიან მოხარული ვართ. (გადიან).

გ ბ რ ა ე ლ ი ქ ა ლ ე ბ ი .

— ზილთა, შვილი დაგრჩენია, მიიხედე იქით!

— რა იყო, რახელა?

— ი ქალი რო დგას თავშალმოსხმული, ნაყოფს გოგო არ არის?

— ჰო, მირიაშია.

— წუხელის გაუთხოვებიათ, უბედური.

— გავიგე. ძალიან კაი საქმე მოსვლია. რატომაა უბედური? მდიდარ კაცს შეურთავს.

— კაი მისცა ღმერთმა ყაზარია შათარაშვილს, კაი ის იყოს! სამი ცოლი შეჰყლაბა, და ალბად, არც მეოთხეს დასჯერდება.

— დავუძახოთ, ქალო, მხოლოდ ცუდი არაფერი უთხრათ.

— მირიამ, მირიამ! (მირიამი მოდის მათთან).

— მოგვილოცავს, მირიამ!

— ღმერთმა გაგაბედნიეროს, მარია!

— სიმანტობით! მაზალტობით! დამადლიანდი ბენზახარზე!

— იღბლიანი ქალი ყოფილხარ! მდიდრის ოჯახში ჩავარდი!

— აწი, ალბათ, ფეხშიშველი აღარ ივლი. ტანზედაც, ალბათ, ფარჩის კაბებს შეგიკერენ.

— რა მოგივიდა, ქალო, რას გაჩუმებულხარ? არ გიხარია?

— მორცხვობს მირიამი. რაც არ უნდა იყოს ახალი. პატარძალია.

მირიამი აქამდე იდგა თავჩადებული. უცბად ნოტრიალდება და ჩქარი ნაბიჯებით იკარგება სცენის სიღრმეში.

— რა მოუვიდა, შენი ჭირიშე, მაგ გოგოს, თოფნაკრავივით რო გავარდა!

— წინეთაც ძუნწი იყო სიტყვაზე და ეხლა მთლად დამუნჯებულა!

— ჭკვიახი გოგოა. ალბად, მიმხვდარია თავის უბედურებას.

— საბრალო ნაყოში. ქალიშვილებში ხეირი ვერა ნახა.

— ახლა, ქალებო, ლაპარაკს რო გამოუდექით, შაბათის საჭმლის ჩადგმას აღარ აპირობთ?

— კვერცხები მაქვს საყიდელი.

— მე კიდევ ბოლოკი.

— აბა ჩქარა ვიყიდოთ, თორემ ბაზარი გაიცლება.

— ასე ამბობენ, მალე ქადაგობა დაიწყებაო. (იფანტებიან აქეთ-იქით. ერთ გლეხის ქალს, რომელსაც კალათი აქვს სავსე კვერცხებით, ევაჭრება ნაყოში) ნაყოში. სამი კვერცხი მინდა. ჩემხელა მოიყარე, სამ-სამ შაურს მოგცემ.

გლეხი ქალი. აბაზზე ნაკლებ არ იქნება. თუ მთელ კალათს წაიღებ, მაშინ წყვილს შვიდ შაურად მოგცემ.

ნაყოში. სამი კვერცხის ფულს ძლივს მოუყარე თავი. მთელი კალათის შეძლება რო მქონდეს, რალა მიჭირდა მაშინ. (იოხაბედი მიუახლოვდება კვერცხების გამყიდველს).

იოხაბედ. მომეცი მთელი კალათი. (დაავლებს კალათს ხელს).

ნაყოში. (ვერ ამჩნევს) ვინ ხარ, ქალო, რო იტაცები?

იოხაბედ. ნაყოში, შენ ხარ! სალამო მშვიდობისა! ჩვენ ხო ეხლა მოყვრები ვართ.

ნაყოში. მოყვრები, არა, მამის სული ნუ წაგიწყდება. სადაური მოყვრები ვართ, შენ მაძლარი ხარ, მე მშიერი.

იოხაბედ. ეხლა ნაყოშიჯან, ნულარ წიწმატობ. რაც იყო - იყო. ეხლა ჩვენ როგორც მოკეთეს, ისე უნდა შევხედოთ ერთიმეორეს. მომილოცავს ქალიშვილის გაბედნიერება! რა ოჯახში ეღირსა შესვლა!

ნაყოში. მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე, რა ოჯახში ეღირსა. (აჯავრებს). ჩემისთანა ოჯახი — კავკასიაში არ არის. მიოიამისთანა ქალი მთელ ესესერიაში არ იქნება. აფსუს, მიოიამ, შენი დამწუნებელი კაცი არ ყოფილა და ეხლა დაბერებულსა და საჩუჯელ დაქვრივებულს უნდა გაჰყვე.

გლეხი ქალი. (იოხაბედს) ანგარიში გამისწორე, ქა! მერე იჩხუბეთ. სოფელში მაგვიანდება. თქვენ საყურებლად კი არ მოვსულვარ აქანა!

იოხაბედ. ხომ გითხარი, მიმაქვს მთელი კალათი, რალა!

გლები ქალი. აბა ფული ჩამოდი!

ნაყოში. ეგ რა სანდისია, შენზე ადრე მე ვევაჭრებოდი.

იოხაბედ. რას ევაჭრებოდი, გაფხეკილი კაბეიკის პატრონი.
მე ვიყიდი და სამ კვერცხს სამადლოდ გაჩუქებ.

ნაყოში. სამადლოდ გაჩუქებო? ოი, შენ კი გაგიხმა ეგ თავი და დამიწდა შენი ენა! (იტაცებს კალათიდან კვერცხებს და ესვრის).

გლები ქალი. უი, უი, რას უშვებით ჩემს კვერცხებს?

მილიციელი. ამ წუთში დაიშალენით, გესმით თქვენ? (ქალები იშლებიან. მილიციელი წინ შეეჩეხება წინ და უკან მოსეირნე იშაის, რომელსაც ხელები წინ და უკან აქვს შემოწყობილი). შენ რას აკეთებ აქ? რას დასეირნობ?

იშაი (მიაშტერდება და შემდეგ შეჰყვირებს) ვფიქრობ.

მილიციელი. მე კი მეგონა, რომ კვერცხების დასატაცებლად მოხვედი.

იშაი. გეგონა. შენ გეგონა. მეც ბევრი რამე მეგონა, მაგრამ შემცდარი ვიყავი. კმარა. ჭკუა ვისწავლე!

(ტრიბუნის გარშემო გროვდება ხალხი. ტრიბუნაზე დგანან მიხა, ვარლამი და მერი)

გლები. — რა ამბავია დღეს?

— უნდა იქადაგონ.

— ებრაელებს მიწას აძლევენ. კოლექტივი უნდა გააკეთონ.

— იმათ რა უნდა გააკეთონ? მიწის ყადრი რა იციან?

— ჯერ არ იციან. მალე შეეჩვევიან.

— ზოგი ისეთი გამრჯე ხალხია მაგათში — ჩვენებურ გლებებს არ ჩამოუვარდებიან.

— ხო გაგიგონია, ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნე-საო. (შემოდის ზებო თავის უსაქმურთა ამალით. გლები ნელნელა იშლებიან.)

ზებო. იწყებენ გლახობას.

სხვები.

— ჩვენი ხალხი და თოხი! სასაცილოა, თორის მზემ!

— ჩვენი ხალხი და მიწები! მართლაც, დამდგარა დასამიწებელი დროება..

— ერთი უყუროთ სეირს. რომელი შტერი ჩაეწერება.

— ჩვენი ხალხი ჯერ არ გაგიჟებულა.

— ჩვენს მამა-პაპას არ მოსწრებია ასეთი. ამბავი...

სცენაზე შემოდის პიესის ყველა მოქმედი პირი — კაცები და ქალები. მირიამი დგას მოშორებით ტელეგრაფის ბოძთან და მორიდებით იცქირება მერიის მხარეს. იშაი ცხვირს აცემინებს რამდენიმეჯერ, ეტყობა მოუსვენრობა, დასეირნობს წინ და უკან და ემზადება



ხ ა ლ ხ ი.

- გაჩუმდი, კაცო! მალე დაიწყება.
- ცოტა მიიწიე, ცუდათ ვდგავარ!
- აქ თუ არ მოგწონს, თავმჯდომარესთან მიბრძანდი!
- სიჩუმე...
- სსს... (ჩამოვარდება სიჩუმე)

ვ ა რ ლ ა მ. ამხანაგებო! მშრომელ ებრაელთა მიტინგს გახსნილად ვაცხადებ.

ხ ა ლ ხ ი.

- რაო, რა გახსნა?
- კაცო, ეურები იმიტომ გაქვს—მე ხელი შემიშალო?
- დაჩუმდით ორივე...

ვ ა რ ლ ა მ. დღევანდელი მიტინგი უალრესი მნიშვნელობის პო-
ლიტიკური ფაქტია. ჩვენ განვიზრახეთ უდიდესი საქმე. ჩვენ გვსურს
ჩამოვაყალიბოთ ებრაელთა კოლმეურნეობა. სიტყვა ამის გარშე-
მო ეკუთვნის ჩვენს უფროს ამხანაგს, რაიალმასკომის თავმჯდომა-
რეს ამხანაგ მიხა დვალს. (ტაშისცემა).

მ ი ხ ა. საბჭოთა ხელისუფლებას აქვს ბევრი მიღწევა. მაგრამ
ჩვენ არ გვჩვევია ერთ წერტილზე გაყინვა. ჩვენ ვიცქირებით ჩვენი
ცხოვრების ყველა კუნჭულში. ჩვენ არ გვინდა დაგვრჩეს არც ერთი
ბნელი მხარე. ჩვენდა სამწუხაროდ—დღემდე საქართველოს ებრაე-
ლობას არ ჰქონდა საკმაო ყურადღება მიქცეული. დადგა დრო,
როცა უნდა ვიფიქროთ თქვენს შესახებაც. დღევანდლამდე თქვენ,
ძველი მთავრობებიდან მოყოლებული, ხელში გეჭირათ არშინი და
მით ზომავდით არა მარტო ფართალს, არამედ მთელ ქვეყნიერებას.
რელიგია და ჩარჩვაჭრობა ხელისხელჩაკიდებული მოგდევდათ ათე-
ული საუკუნოების განმავლობაში და უმათოდ ცხოვრება არ წარ-
მოგედგინათ.

ოქტომბერმა შეარყია მთელი მსოფლიო და თქვენი უბანი კი
ჯერჯერობით შეურყევლად აგრძელებს ძველი ტრადიციების გზით
სიარულს. უმეტესობა 'თქვენში წარმოადგენს ლარიბ-ლატაკებს, მაგ-
რამ სამარცხვინო სახელი ვაჭრისა — თითქმის ყველასა აქვს მიკერე-
ბული. ჩვენი ვალაია შეუტოოთ ძველ ყოფა-ცხოვრებას და დავსახოთ
ახალი გზები. დღევანდელ პირობებში სხვაგვარად არსებობა შეუძ-
ლებელია. თქვენ ხომ კარგად ხედავთ, რომ სახელმწიფო ვაჭრობის
და კოოპერაციის ზრდა ანადგურებს კერძო სექტორის უკანასკნელ
ნაშთებს. ასეთ პირობებში ყოფილ მეწვრილმანეთა მომავალი არსე-

ბობა პირდაპირ წარმოუდგენელი ხდება, ვინაიდან მას ძირი უკვე გამოეთხარა.

დღევანდელი ბაზრობა ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ თქვენ სავალალო მდგომარეობაში ხართ ჩაცვნილი. თითო თუმნის კრუჟევეებითა და ნივიდნიკებით შორს წასვლა არ შეიძლება. თუ, სამწუხაროდ, დღემდე თქვენს წრეში არავინ არ გამოსულა ასეთი, რომელსაც შესძლებოდეს თქვენთვის თვალების ახელა, ეს ჩვენ არ გვანთავისუფლებს ჩვენი მოვალეობისაგან. ჩვენი ვალია, დაგანახოთ, თუ საით მიექანება თქვენი მომავალი, რისთვისაც საჭიროა ეხლავე დავსახოთ სათანადო პერსპექტივები. (პაუზა).

საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მოკიდა ხელი საქართველოს ებრაელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუ წინედ თქვენ არ გაკარებდენ სკოლებს, დღეს, სამაგიეროდ, საქართველოს ყველა კუთხეებში ათასობით ებრაელი ბავშვები მიდიან სკოლებში, სწავლობენ წერა-კითხვას და ებმებიან ახალი ქვეყნის მშენებლობაში. ჩვენი მთავრობის აზრით, ებრაელ ღარიბ-ღატაკთა ნაყოფიერ შრომაში ჩასაბმელად არსებობს ორი გზა: წარმოებებში ჩაბმა და მიწაზე გადასვლა. ჩვენ უნდა გავშალოთ მუშაობა ორივე მიმართულებით. ტყუილია, ამხანაგებო, თითქოს თქვენ არ შეგეძლოთ მიწის დამუშავება, ამას ჩვენი მტრები ავრცელებენ, რომ ხელი შეგვიშალონ თქვენს ნაყოფიერ შრომაში ჩასაბმელად.

ჩვენი რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებით უნდა მოეწყოს ჩვენში ებრაელთა კოლმეურნეობა.

მართალია, ჩვენ გვაქვს მიწების დიდი კრიზისი, მაგრამ ჩვენი ფონდიდან მაინც გამოვყავით 30 ჰექტარი მიწა. (ტაში) ჯერჯერობით ეს იყოს, შემდეგში კიდევ გამოვამბნით, ზოგს კულაკებსაც მივაკითხავთ.

ხ ა რ ი ტ ო ნ. (დანიელს) ე კ ა ც ო, დანიელ. ხომ გაიგონე?

დ ა ნ ი ე ლ. გავიგონე, ჩემო ხარიტონ. არაფელია. ილაპარაკოს.

მ ი ხ ა. (განაგრძობს) კოლმეურნეობაში უნდა მიღებული იქნან ღარიბ-ღატაკი ებრაელობა. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ მუშაობას სწრაფი ტემპით. უნდა შეუდგეთ აგრეთვე მშენებლობასაც. უნდა ავაშენოთ კოლმეურნეთათვის საერთო სახლი. ჯერჯერობით კი გამოვამბნით შესაფერ სახლს.

დ ა ნ ი ე ლ. (ხარიტონს) ხომ გაიგონე, ხარიტონ?

ხ ა რ ი ტ ო ნ. გავიგონე, ჩემო დანიელ. არაფერია. ილაპარაკოს.

მ ი ხ ა. (განაგრძობს) ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი ღარიბ-ღატაკი ებრაელობის შეგნებაში მთელი ასპროცენტნიანი გარდატეხა ე. ი. ნამდვილი რევოლუცია. ჩვენ უნდა შევაჩვიოთ ჩვენებური ებრაელი

თოხსა და გუთანს, შემდეგ იგი უნდა შეესვათ ტრაქტორზედაც, რათა მით თავისუფლად ინაწარდოს საბჭოთა მინდვრებზე. ჩვენ უნდა გავხადოთ ჩვენებური ებრაელი ღირსეული წევრი მშრომელთა ოჯახისა, რომ აღარავის არ ჰქონდეს საშუალება ებრაელებზე ცილისწამების გავრცელებისა. როდესაც ჩვენ ამას მივალწევთ, მაშინ ჩვენ შევვიქნება ვიამაყოთ ჩვენი მორიგი გამარჯვებით და შეუსვენებლივ ვიაროთ წინ ახალ-ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე. (ხანგრძლივი ტაში)

ხ ა ლ ხ ი.

— გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

— გაუმარჯოს ამხანაგ მიხას!

— გაუმარჯოს ჩვენს ახალ საქმეს!

ვ ა რ ლ ა მ. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ მეირს.

მ ე ი რ. ამხანაგებო! მე ბევრს არ გავაგრძელებ, ვინაიდან ამხანაგმა მიხამ ყველაფერი მოკლედ და გარკვევით სთქვა. მე მინდა ვსთქვა, რომ ჩვენ გვყავს ბევრი მტერი ხოლო თქვენ ამ გარემოებამ გული არ გაგიტეხოთ. ჩვენ დავიწყეთ მუშაობა და საბჭოთა მთავრობა ჩვენს მტრებს არ გაახარებს. ნურავინ ნუ იფიქრებს, ვინაიდან ჩვენ გამოუცდელელები ვართ — საქმე ჩაგვეშლება. შემოვდივარ პირველი კოლმეურნეობაში და ამ მოედანზე ვდებ ახალგაზრდა მებრძოლისა და კომუნარის ფიცს, რომ ჩვენი კოლმეურნეობა იქნება რაიონში თითოთ საჩვენებელი — სანიმუშო.

ვ ა რ ლ ა მ (სწერს) პირველი კოლმეურნე — მეირ სეფიაშვილი. შემდეგი!

და ვ ი დ. ჩასწერეთ: დავიდ ყვითელაშვილი.

ხ ა რ ი ტ ო ნ. (დანელს) ვერა ხედავ, კაცო, რა საქმეს შვება ე შენი მოყვრისშვილი?

და ნ ი ე ლ. ვხედავ. ვანანებ.

ვ ა რ ლ ა მ. მეორე კოლმეურნე — დავით ყვითელაშვილი. შემდეგი!

ხ მ ე ბ ი.

— ჩამწერე!

— იეუდა ჯინჯიხაშვილი!

— ელიშაყ დანიელაშვილი!

— სიმანტობ ნაფთალიშვილი!

— რიბკა შიმშილაშვილი!

— ხაიმ ბერიძე!

— ელიაუ როკეთლიშვილი!

— ბათშებაყ ხეტუაშვილი!

— შაულ კრიხელი! (პაუზა)

ვარლამ. შემდეგი! (პაუზა) აღარაფინ არის მეტი მსურველი? (სიჩუმე) ჩაწერილია ათი ოჯახი—ყველანი ღარიბები. მათში — ღარიბი ქვრივი ქალია, რაც მეტად სასიამოვნოა. შემდეგი, ამხანაგებო, ყოჩაღად, გაბედულად ჩაეწერეთ!

ზებოსამალა.

— ძალაზე ხომ არაა... მეტს არავის უნდა.

— ჩაეწერონ. თორემ ერთბაშად არ გამდიდრდენ.

— ვინც ჩაეწერა, ისიც მალე გამოიქცევა.

— ოფლს აღენენ ვირებივით.

— როდის სჯერია ჩვენს მამა-პაპას თოხი?

— რიბკა შიმშილაშვილი მიწას რო გადააბრუნებს — მაშინ ვირები დაიწყებენ მამლებივით ყივილს.

— ვინც კი ჩაეწერა — ყველა კოტორია. რა ეკარგებათ...

— როცა ჯანსა და ღონეს დაჰკარგავენ, მაშინ მიადგებიან ისევ დანიელ შათარაშვილს.

ხარიტონ. რა ურიის საქმეა გლეხობა, ვერ გამიგია... ურიამ ხორბალი რო დათესოს, მაინც არშინს მოიმკის.

ყაზარია. რა ცუდია არშინი! ვენაცვალე იმის მომგონს!

ზებო. მეტრი დაგავიწყდა, ყაზარია.

დანიელ. ვერ გიანგარიშებია კარგად, ზებო. არშინი ძველია, ხო იცი. მეტრი — ამათი მოგონილია... (ჩუმად რალაცას ეუბნება).

ვარლამ. კერძო ლაპარაკი ნუ იქნება. თუ ვისმე რამე აქვს სათქმელი — აქ ამოვიდეს და ილაპარაკოს.

ხმები. სწორია.

ვარლამ. ვის სურს სიტყვა?

დანიელ. მე! (დაჭიმული ყურადღება. შეიქმნება ერთგვარი უხერხულობა და ჩურჩული)

ვარლამ. ილაპარაკეთ.

დანიელ. იანგარიშეთ, ჯამაათო. ყველაფერი ანგარიშის საქმეა. ჯერ ერთი — რისთვის გეშინიათ, რისთვის პირდაპირ არ მოახსენებთ ჩვენს მთავრობას, რაც სათქმელი გაქვთ. ხო იცით, ეხლარჯულის თავისუფლებაა და ჩვენი მთავრობა, ღმერთმა აცოცხლოს, ხელს არ გვიშლის. ამიტომ უნდა მოახსენოთ მას, რო ჩვენი რჯულის ხალხს არ შეფერის მიწაზე მუშაობა. ისრაელის ხალხი — ამორჩეული ხალხია ხალხებს შორის და მას არა ჩვევია მიწაზე მუშაობა. რაც ჩვენს ბაბუას არ გაუკეთებია — ჩვენ რაზე უნდა გავაკეთოთ? ასე არაა, ისრაელებო?

ხმები. (აქა-იქ)



- მართალია, დანიელ, ილაპარაკე.
- ჩვენ ენა და პირი არა გვაქვს, შენ მაინც ილაპარაკე.
- ყველაფერი მოახსენე...

დანიელ. (აგრძელებს) ეხლა მეორეს მოგახსენებთ. ვინც ჩაეწერა — ეგენი ყველა უჭკუო ხალხია. ანგარიში არ იციან, მიწის მუშაობა საიდან უნდა იცოდნენ? ვინ უნდა დაამუშაოს ის მიწები? კიდევ რომ დაამუშაონ, მაგენი ვიდრე მოსავალს მოიყვანებენ, ერთი წელიწადი გავა. ამ ერთ წელიწადში მაგათ ჭამა არ უნდათ, თუ რას ჰფიქრობენ ეს სულელები? ხომ არ ჰგონიათ, მზამზარეულს მიართმევენ?

ზებოს ამალა.

- ეგეც მართალია, ჭამა სულ დაავიწყდათ.
- ერთი წელიწადი არაფერია. შეიძლება უჭმელი გაძლება.
- თუ მაინც და მაინც მოჰშიათ, მიწა უფასოდ აქვთ და შესჯამენ.

— აცალეთ, კაცო, დანიელს!

— მე და ჩემმა ღმერთმა, ჭკვიანი კაცია!

დანიელ. (განაგრძობს) მეირა სეფიაშვილი და დავიდ ყვითელაშვილი ჯერ კიდევ, უკაცრავად პასუხია, ლაწირაკები არიან...

ხმები.

— კმარა! შეაწყვეტინეთ!

— დემაგოგიაა!

— თავზე შეგვაჯდენ!

ვარლამ. დაწყნარდით. (დანიელს) განაგრძეთ.

დანიელ. ეხლა მესამეს და ბოლოს მოგახსენებთ. მერე იანგარიშოს ამ ხალხმა, ვის უფრო კარგი უნდა და ვინ მართალია. ლენინი როცა ცოცხალი იყო, ნები — გამოიგონა. რას ნიშნავს ნები? „ნა ევრეი პროდავაი“, ესე იგი ლენინმა ებრაელებს მისცა ვაჭრობის ნება, რადგან ჩვენი ხელობა ეს არის. ეხლა აქვენა, ასე გგონიათ, ჩვენს ქვეყანაში ძალლი არ არის და უჯობოთ შეგიძლიათ გავლა. ასე არაა. ჩვენც ხალხი ვართ. ჩვენც გვესმის. თუ ჩვენთვის კარგი გინდათ, მიწაზე მუშაობით კი ნუ გვიპირობთ დახოცვას, გაგვიხსენით ვაჭრობის საქმე, ნალოგებს ნულარ შეგვაწერთ, სალოცავში ჩვენთვის დაგვაყენეთ და მაშინ გვეცოდინება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი ისრაელობისთვისაც კარგად იანგარიშა. (ტაში მდიდრებისა და ზებოს ამალას მხრით)

ხმები.

— აი ეს იყო ვაჟკაცური სიტყვა!

— ძალიან მაგრად უთხრა!



- სუყველაფერი ტყუილი სთქვა.
- დანიელ შათარაშვილს უნდა ისევ თვალახვეული გვარონოს,
- გათავდა ის დრო, ძმებო!
- დღეს მონობა აღარ არის!
- ყველამ თავის ჭკუით უნდა იაროს.

მეირ. თქვენ მოისმინეთ, ღარიბო ებრაელებო, რაც ილაპარაკა დანიელ შათარაშვილმა. ვინ არის დანიელ შათარაშვილი? დანიელ შათარაშვილი მდიდარია, ჩვენი კლასობრივი მტრების და კულაკების აგენტი, მაგას არ უნდა თავისი ბრჭყალებიდან ხელი გაგიშვათ. თქვენი შეგნება — ეს მისი სამარეა. თქვენი დამოუკიდებლად მუშაობა — ეს მისი დაღუპვაა. დანიელ შათარაშვილი — ანგარიშის კაცია. ის ყველაფერს თავისი ჭკუით ანგარიშობს, ხედავს რომ კოლექტივის დაარსებით მის ბატონობას საბოლოოდ ერყევა საფუძვლები და ამიტომ გამოდის აქ ათასგვარი პროვოკაციული განცხადებით. მაგრამ მშრომელი ებრაელობა არ წამოეგება მაგის გადმოგდებულ ანკესზე. მშრომელმა ებრაელობამ უკვე დასახა თავისი გზა და ილევამოსილი ნაბიჯებით ივლის წინ ამ გზით საუკეთესო მომავლის შესაქმნელად.

ვარლამ. მე დამრჩენია დაუმატო ამხანაგი მეირის სიტყვებს, რომ დანიელ შათარაშვილი დღეს უკვე ვეღარ ანგარიშობს ისე, როგორც საჭიროა. ღარიბ ებრაელობაში გარდატეხა დაიწყო და ათას შათარაშვილს აღარ 'ჩეუძლია ისტორიის ბორბლის უკან დაბრუნება.

მიხა. ჩვენ ვაფრთხილებთ დანიელ შათარაშვილს და ყველა მისებურად მოაზროვნეებს, რომ ჩვენ არ დავინდობთ არა კაცს, რომელიც კი შეეცდება წინააღმდეგობა გაგვიწიოს ჩვენი დიდი საკოლმეურნეო მშენებლობის დროს. დღეს ჩვენს დიდ საბჭოთა კავშირში სწარმოებს გაათრელებული კლასობრივი ბრძოლა. ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ნაშთებს მოაქვთ უკანასკნელი, გამწარებული იერიშები ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ყველგან იღებენ საკადრის სასჯელს. მათი წესი ასეთია. სადაც კი არ უნდა დავიწყოთ მუშაობა, ყველგან სოკოებივით ამოჰყოფენ თავს. დღეს ჩვენშიაც ამოჰყვეს თავი, მაგრამ ღარიბ-ლატაკი ებრაელობა არავითარ შემთხვევაში არ გაჰყვება მათ.

ხმები.

- არც გავყვებით!
- გვეყოფა ამდენი მოთმინება!
- ჩამწერე!
- ჩამწერე!



— მეც ჩამწერე: აბრამია მქვია. (ღამღება).

ხ ა რ ი ტ ო ნ. (დანიელს) ცუდათაა საქმე.

დ ა ნ ი ე ლ. (ჩუმად იშაის) იშაი, რას დამდგარხარ შტერივით?

ხო ხედავ მალე შაბათი შემოვა. სადაური შამაში ხარ? აბა, ჩქარა აიღე სიტყვა და გამოაცხადე, რომ ეხლა ლოცვის დრო არის-თქო. (პაუზა) არ გესმის, რო გელაპარაკები? (იშაი არ ინძრევა).

ვ ა რ ლ ა მ. წინადადება შემომამქვს კოლმეურნეობას ვუწოდოთ „მშრომელი ებრაელი“. ვინ არის მომხრე? ასწიეთ ხელი მხოლოდ ეხლა ჩაწერილებმა. მიღებულია ერთხმად.

მ ი ხ ა. პარტიული ორგანოების დადგენილებით, კოლმეურნეობის სათავეში, ე. ი. თავმჯდომარის თანამდებობაზე უნდა დაწინაურებული იქნეს ებრაელთა წრიდან ენერგიული და აქტიური ახალგაზრდა. ასეთად ჩვენ მიგვაჩნია ამხანაგი მეირ სეფიაშვილი ვინ არის მომხრე? (ტაშისცემა) მიღებულია ერთხმად.

ხ მ ე ბ ი.

— ეხლა აგიშენდათ ქოხი.

— მეჯღანე სეფიაშვილი რო უფროსად დაგიჯდებათ, მაშინ გაკეთდა ისრაელების საქმე.

— ღმერთსაც კი გაეცნება ამ ამბავზე.

— ეს იყო სულ? ამისათვის შეგვეყარეს?

— ერიპაა.....

ვ ა რ ლ ა მ. ჩაწერილია ცამეტი ოჯახი. ვინ არის კიდევ მსურველი?

ნ ა ყ ო მ ი. ჩამწერე!

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. ჩემო ცოლო, რას შევები?

დ ა ვ ი დ. ყოჩაღ. დედაჩემო! შენ კი, მამაჩემო, ნულარ ჯიუტობ, კმარა. (იეხისკიული დგას გაშეშებული).

დ ა ნ ი ე ლ. (იშაის) მე რა გითხარი, შე ბებერო ძაღლო, ვერ გაიგონე? ამაღამვე გამოგიყრი ყველაფერს ოთახიდან. ჩქარა გამოაცხადე, იქნება ხალხი დაიშალოს.

ი შ ა ი. (აღელვებით) ეხლავე. (ვარლამს) თუ შეიძლება სიტყვის ნება.

ვ ა რ ლ ა მ. სიტყვა გეკუთვნით, მოქალაქე იშაი! (ყურადღება).

ი შ ა ი. ჩამწერე!



მოქმედება მესამე

ებრაელთა უბანი. მიკიბულ-მოკიბული სახლები, გეტტოს ტიპისა: ზოგან გამოფენილია საცვლები, სახლები ყავრითაა დახურული. ყველგან შემადრწუნებელი სიღარიბე. ერთი სახლი განირჩევა თავისი მოყვანილობით და სიმდიდრით: დანიელ შათარაშვილის ბინა. ცოტა მოშორებით ერთსართულიანი სახლი წარწერით: „კოლმეურნეობა „მშრომელი ებრაელის“ კლუბი“. მოჩანს ქუჩის პირი.

1

დანიელ შათარაშვილის ბინაზე. იოხაბედი ფეხმოკეცილი ზის ტახტზე და ქსოვს. მირიამი სარეცხს რეცხს. მირიამი ძალზე გამოცვლილია. იოხაბედი თვალყურს ადევნებს მირიამის მუშაობას.

იოხაბედ. მეც დავიქადებ, რძალი მყავს-თქო... მის მეტი რა უთხრა შენს გასამწარებელ დედა ნაყოფის. იმის წელებიდან პატიოსანი სული არ გამოვიდოდა! (პაუზა) მეგონა, სიბერის დროს რძალი მასიამოვნებს, მანუგეშებს-თქო!.. არც ერთ ისრაელის ოჯახს არ ეღირსა შენისთანა უწმინდური დი კუდიანი გოგო. (მირიამი სტირის) დაიწყო... ერთი მითხარი, შენ არ მოიყარე ჩემხელა, რა გატირებს? ცუდი დედამთილი ვარ? მე დღეში ერთხელ შემოგკრავ, მაგრამ სხვა დედამთილი რო გყავდეს, დღეში სამჯერ გაგისწორებდა ანგარიშს. (პაუზა) ჩაუგდია ენა მუცელში და ხმას არ იღებს... არ ამოგაღებინოს აკოდოშბარუხუმ სიკვდილამდე... აბა მითხარი, შენ თუ პატიოსანი სიტყვის პატრონი ხარ, რას დადუმებულხარ სასაფლაოს ქვასავით? შენ კი დაგადო მალე სასაფლაოს ქვა ყაზარიაშ თავისი პირვანდელი ცოლებივით...

მირიამ. (შეკრთება) ოჰ...

იოხაბედ. რა იყო, მოგეწვა? რეცხე, რეცხე, ემკლავები გაანძრიე, ამდენ ხანს მეორედ უნდა ამოგერეცხა, შე არ დასაცალელებლო. იმუშავე, იმუშავე. ფეხმიშველი მოგიყვანეთ. ჩაგაცვით, შეგმოსეთ ოხერ-ტიელი. შენ კი მუშაობასაც გულს არ უღებ.

მირიამ. (მოკრძალებით) მე ვმუშაობ მთელი დღე და ღამე...

იოხაბედ. ამოიღე კი ხმა? ოი, შენ არ დაგცალდა არაფერი

კარგი... (წამოდგება, მიუახლოვდება, ჩაჰკრავს თავში მუშტს და გადის მეორე ოთახში).

მირიამ. (ჩაჯდება და თავჩაღებულ სტირის) დედა, ჩემო დედა... (შემოდის ყაზარია).

ყაზარია. რა გაღრიალებს? (მირიამი ჩუმად) არ გესმის? ვინა ვარ მე შენი? ქმარი ვარ თუ არა? ბატონი ვარ შენი თუ არა? ამ წუთში თავი ასწიე ზევით! (მირიამი თავს სწევს) რა მოგივიდა?

მირიამ. არაფერი.

ყაზარია. აბა რისთვის სტიროდი? ბიჭად არ მოგწონვარ, თუ შონედაბე მამაშენს მეტი ფული აქვს? მთელი დღე სტირიხარ და სხვას არაფერს აკეთებ. საწყალი დედაჩემი შენს ხელში. შენ უნდა მოინელო მაგ ქალი. რო გეუბნება, — გააკეთე, ამდენ ხანს სარეცხი არ უნდა გქონდეს მოთავეებული? საჭმელი როდისღა უნდა გააკეთო?

მირიამ. ბევრი სარეცხი იყო.

ყაზარია. კიდევ თავის გამართლებაზე ლაპარაკობს. მე შენ გეკითხები, საჭმელის გაკეთებას როდის აპირობ?

მირიამ. მეტი მუშაობა აღარ შემიძლია. მოვკვდი.

ყაზარია. ჯერ არ მომკვდარხარ, მაგრამ მალე შენი რიგიც მოვა. ჭირმა კი წაგიყვანა. მე რაში მინდებხარ, არაფრის მაქნისი შენ არა ხარ. (ჩაჰკრავს და გადის).

მირიამ. (დაეშვება სკამზე) მეტი აღარ შემიძლია. მეტი აღარ შემიძლია. აღარ...

დანიელ. (შემოდის და მიაშტერდება) მამაშენი მოეთრა?

მირიამ. ჯერ არა.

დანიელ. სადა გდია ამდენხანს? (მირიამი მხრებს წევს) საჭმელი გააკეთე?

მირიამ. არა.

დანიელ. რისთვის ვერ მოასწარი?

მირიამ. ბევრი სარეცხი მქონდა, მარტო ვერ აუწვდი.

დანიელ. ეხლა დამხმარე მოინდომე? დედამთილი ხო არ გნებავს? თუ ამდენხანს ვერ გაიგე, რას ნიშნავს პატარძალი?

მირიამ. გავიგე.

დანიელ. ხმა ჩაიკმინდე. მუშაობა გააგრძელე. (მირიამი მუშაობას აგრძელებს, დანიელი კი დასეირნობს) შენ, ალბათ, ეხლა გსურს სეირნობდე გარეთ და იმ შენ გადაქრისტიანებულ ხარაზს გვერდში უდგე. რასაც გვიშვება ის, ყველაფერი შენი გულისთვის. შენი ძმაც ამოუდგა კულში საქმე გართულივით და დღედაღამე იმაზე ჰფიქრობენ, თუ როგორ მაწყენიონ მე, ქვეყანაზე სახელგანთქმულს დანიელ შათარშვილს! მაგრამ ვერა... ღმერთი არ გაახარებს ჩემს მტრებს.

ჯერ ადამიანის შვილს არ უჯობნია ჩემთვის. როგორ უნდა მაჯობონ გუშინდელმა დაბადებულმა ბლარტებმა? მე იმათ ვანანებ, ვანანებ, მწარედ ვანანებ. (შემოდის იეხისკიელი).

იეხისკიელ. სალამო მშვიდობისა, ბატონო დანიელ, დანიელ. სად ეგდე ამდენხანს?

იეხისკიელ. არ იცი უსაქმური კაცის ამბავი? სად უნდა ვყოფილიყავი, დავებეტებოდი ქუჩა-ქუჩა.

დანიელ. რა გაიგე?

იეხისკიელ. რის შესახებ?

დანიელ. კოლექტივის შესახებ. შენმა თავის გახეთქვამ, თითქოს არ იცი. რას გეკითხები.

იეხისკიელ. უკვე ორმოცი ოჯახი ჩაწერილა. თურმე ძალიან კარგად უმუშავიათ. მთელი რაიონი იძახის: ყოჩაღ, ებრაელებო.

დანიელ. (ბრაზით) მაგას არ გეკითხები.

იეხისკიელ. აბა რას მეკითხები?

დანიელ. ცუდი მითხარი რამე, თუ რამე გაიგე ცუდი იმათ შესახებ.

იეხისკიელ. ცუდი ჯერ არვის რამე უთქვია.

დანიელ. იქნებ შენც აპირობ, ბებერო, კოლექტივში შესვლას?

იეხისკიელ. ის დღე არ მოესწროს იეხისკიელს.

დანიელ. ხომ იცი, ჭკუით, ბებერო, თორემ შენი სული ჩემს ხელშია. (გადის).

იეხისკიელ. ვაიმე, ჩემო შვილო, რა დღეში ხარ. ეს ურჯულოები ასე პირუტყვივით რო გამუშავენ, თავის სიმდიდრეს ვის უნახავენ?

მირიამ. არც შენ ხარ, მამაჩემო, უკეთეს დღეში.

იეხისკიელ. მართალია, შვილო, მაგრამ რა ვქნა. ჩემისთანა უბედური კაცი მეორე აღარ დაიარება ამ ყოლამზე. ცოლი ჩაეწერა კოლექტივში და გამშორდა. ბავშებიც კი არ დამიტოვა. დავიდი ხო იმ დღის შემდეგ, მეც რო არ ჩავეწერე, აღარ მეკარება. შენი შემხედვარე კიდევ გული მისკდება...

მირიამ. ამათთან რაღას დაიარები?

იეხისკიელ. აბა სადღა წავიდე? ხელში ჩამიგდეს, ჩემო მირიამ. სამადლოდ გადმომიგდებენ ძვალს. კვირაში ხუთი მანეთის წვრიმალს დავაგრევე აქა-იქ და თუ რამე მოვიგე, ვჭამ რამეს, თუ არა—მშიერი ისედაც ვიყავი და ეხლა ხო უფრო ვარ...

მირიამ. ე ქალამანი რო დაგხევია, ველარ გააკეთებინე?

იეხისკიელ. მანეთი მთხოვეს მაგის გასაკეთებელად. სადა მაქვს შვილო.

მირიამ. ნუთუ სხვაგან არ შეგიძლია იშოვო რაიმე საქმე?
იეხისკიელ. სხვაგან წასვლა ამიკრძალებს შენმა ქმარ-მამამ-
თილმა. ხო გაიგონე, რო თქვა: შენი სული ჩემ ხელშიაო.

მირიამ. რატომ გითხრა, მამაჩემო?

იეხისკიელ. მომატყუეს. ვექსილი არ დაუხვევიათ.

მირიამ. (ყელზე მოეხვევა) საბრალო, მამაჩემო!

იეხისკიელ. ჩემო მირიამ!

მირიამ. ჩაეწერე კოლექტივში.

იეხისკიელ. მირიამ! ჩემო საყვარელო მირიამ! შენ ამბობ
ამას? შენი იმედილა მქონდა. მეგონა, შენ მაინც მიგაჩნდი მართლად,
როცა არ ჩავეწერე იმ ურჯულოებში. ეხლა შენც? ვაიმე, შვილო.

მირიამ. ისინი თურმე კარგად მუშაობენ. ცხენები უყიდიათ.
ბოსელი აუშენებიათ. ახლა საერთო საცხოვრებელი დაუწყიათ.

იეხისკიელ. ვიცი, შვილო, მაგრამ არ შემეძლია. ორი ვალი
მაქვს: ღმერთისა და დანიელისა. ვერ გავექცევი ვერც ერთს.

მირიამ. იქ დედა მუშაობს, იქ დავიდი მუშაობს, იქ...

იეხისკიელ. ვიცი, შვილო, მაგრამ არ შემეძლია.

მირიამ. იქ ახალი ცხოვრებაა, აქ — ძველი; იქ სამართლია-
ნობაა, აქ — უსამართლობა.

იეხისკიელ. ვიცი, შვილო. არ შემეძლია.

მირიამ. იქ მუშაობენ თავისთვის, აქ კი სხვებისთვის, იქ
ადამიანური ცხოვრებაა, აქ კი ჯოჯოხეთია.

იეხისკიელ. მართალია, ჯოჯოხეთია. მაგრამ განა ასე ადვი-
ლია ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა, ჩემო საყვარელო ქალიშვილო?!
ეხვევა ყელზე და ტირის

2

კოლმეურნეობა „მშრომელი ებრაელის“ კლუბი. გრძელი ფიცრული სკამები.
მაგიდაზე გახეთები „კოლექტივიზაცია“ და სხვ. კედელზე — კალინინის სურათი
კნობკებით მიკრული. კოლმეურნენი ჯგუფ-ჯგუფად დგანან და ლაპარაკობენ.
მათ შორის ნაყომი, დავიდი, იშაი.

კოლმეურნეთა მასა.

— დაიგვიანეს.

— არა უშავს. ცოტას კიდევ დაუცდით.

— იშაის მაინც რა ეჩქარება. სიცოცხლე კი არ მობეზრებია.

— დღეს ამოიყრის იშაი დანიელ შათარაშვილის ჯავრს.

იშაი. აბა რა ეგონა, სახლიდან რო გამომაგდო, შერჩებოდა?

კოლმეურნი.

— ემაო, ზღვა ვერ დაიტევს დანიელ შათარაშვილის ბოროტებას.

— რაო, კიდევ ხო არაფერია ახალი?

— როგორ არაა ახალი, ავრცელებს ჩვენს თავჯდომარეზე ჭორებს: იმისათვის მდევნის სეფიაშვილი — ესაო და პირადი ინტერესები აქვსო.

— რა პირადი ინტერესებია?

— თითქოს, მირიამი რო ყაზარას მიათხოვეს, მას უკან გადამეკიდა: ეგ ჩემი საყვარელი იყოო...

ნაყოში. აი მეხი კი დავაყარე მაგის მომგონს. ნეტავი მართლაც ჰქონოდა ჩემს ქალიშვილს ჰკუა, თავის გამოტვირთულ მამისათვის არ დაეჯერებინა და მართლა გაჰყოლოდა მეირას, რა მიშავდა მაშინ. ჩემისთანა ბედნიერი ქალი არც ერთ ქვეყანაში არ იქნებოდა.

კოლმეურნი.

— მართალია, ნაყოში. ნეტავი შვილები დამეზრდებოდეს მეირისთანა ჰკვიანი და ყოჩალი.

— რა ახალგაზრდა გამოდგა! დღედაღამე მუშაობს!

— ჩვენი კოლექტივის მეტი არაფერი ახსოვს.

— კიდევ კარგად წაიყვანა საქმე.

— მტრების გულის გასახეთქად.

შემოდინა მეირი და ვარლამი.

ვარლამ. მეირ. ამხანაგებს გაუმარჯოს!

კოლმეურნი. ჩვენს ამხანაგ ვარლამსაც, ჩვენს თავჯდომარესაც.

მეირ. აბა, ამხანაგებო! ტყუილა ლაყბობაში დროს გაცდენა დანაშაულია. ვიწყებ კრებას. ყველანი თავთავის ადგილებზე. (ჩამოსხდებიან) პირველი საკითხი: ბოსელი. როგორაა, შაულ, საქმე?

კოლმეურნი. ამ სალამოს მოთავდა.

მეირ. კარგია. ეხლა მეორე — საქათმე. რას იტყვი, იშაი?

იშაი. საქათმე, მზადაა. ქათმები არსად არის.

მეირ. ნუ დარდობ, იშაი. რაიონი შეგვპირდა. მალე მივიღებთ 300 ქათამს და 40 ინდაურს. (ტაში).

იშაი. გენაცვალე, თავჯდომარე. რა კარგად მიგყავს წინ ჩვენი საქმე.

დავიდ. აბა რა გეგონა, იშაი, კოლექტივშიაც ისე უსამართლოდ მოგექცეოდნენ?

მეირ. კერძო ლაპარაკს თავი დაანებეთ. მესამე საკითხი: სიმან-

ტობის საქმე. ყმაწვილო, სიმულიანტობას რომ მოკიდე ამ ბოლო დროს ხელი...



ქართული
ლიბრარიონი

იშაი. სიმულიანტობა რა არის?

ვარლამ. აუხსენი, მეირ, გასაგები ენით.

მეირ. მართალი ხართ, ამხანაგებო. სიმანტობმა ამ ბოლო დროს დაიწყო სიზარმაცე. სამუშაო საათებს აცდენს, იგონებს ხან ავადმყოფობას, ხან ლოცვას და ხან ეშმაკმა იცის რას. ეს ამბავი არ მომწონს. ეს ამბავი დასაგმობია. სიმანტობი სახელს უტეხს ებრაელთა კოლმეურნეობას. მაგისი მოქმედებით ჩვენს კლასობრივ მტრებს საშუალება ეძლევათ გაავრცელონ ათასგვარი პროფოკაციული ხმები ჩვენი მუშაობის შესახებ.

დავიდ. გავრიცხოთ კოლექტივიდან. ვისაც კოლექტივის მნიშვნელობა არ ესმის, იმას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს რიგებში.
ხმები.

— ისედაც ბევრ პროფოკაციას აქვს ადგილი!

— მტერი არ უნდა გავახაროთ!

— დანიელ შათარაშვილი კოლმეურნეებში აგიტაციას ეწევა: მე და თქვენს თავჯდომარეს პირადი ინტერესები გვაქვსო.

— არც ხარიტონ ამზიანიძე იკბინება ნაკლებს.

— კბენას აწი უყურე იმათგან!

— ზებო დავითაშვილი იმუქრებოდა.

— ხახამ შიმყონი იწყევლებოდა.

მეირ. კმარა. საკითხს ნუ გადაუხვევთ. ვის სურს ილაპარაკოს სიმანტობის მოქმედების შესახებ?

ხმები.

— ჯერ თვითონ შეეკითხეთ...

— რამდენჯერ უნდა შეეკითხოთ, ხო ხედავთ გაჩუმებულია. თავის დანაშაულს, ალბათ, თვითონაც ჰგრძნობს.

— ჩვენში საერთო უნდა იყოს ყველაფერი. პირიც, ენაც და მკლავებიც. მაგან თუ ასე ცუდათ იმუშავა, მერე მაგის მაგალითს სხვებიც მიჰყვებიან და მთლად დაგვენგრევა კოლექტივი.

— გავრიცხოთ!

აბრამია. ცოდვაა, წვრილი ცოლ-შვილის პატრონია! ჯერ საყვედური გამოუცხადოთ ან უკანასკნელად გავაფრთხილოთ.

ვარლამ. მეც მგონია, რომ ასე აჯობებს.

მეირ. მაშ, ამხანაგებო, წინადადებაა შემოსული, სიმანტობს გამოეცხადოს საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. ვინ ხართ წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? არავის. მიღებულია ერთხმად. შემდეგი საკითხი — მოსავლის აღების დაწყების დრო. უნდა იცოდეთ, ამხანაგებო, რომ მოსავლის აღება — ეს ჩვენთვის უდიდესი პო-

ლიტიკური ამოცანაა. განა უბრალო საქმეა პირველი კოლექტიური მოსაველი? ამისთანა ამბავი ჩვენს მამა-პაპას არ მოსწრებია. გაათ-კეცებული ენერგიით უნდა ვიმუშაოთ, რომ პარტიისა და ხელისუფ-ლების მიერ მოცემული დირექტივების თანახმად — დროზე დავეს-რულოთ მოსაველის აღება.

ხ მ ე ბ ი.

— მოსაველის აკრეფა დავიწყოთ ზეგ!

— ვიმუშაოთ მთელი დღეობით!

— ვიმუშაოთ დამკვრელურად!

— ვიმუშაოთ შაბათობით!

ა ბ რ ა მ ი ა . შაბათს როგორ შეიძლება? შაბათი... შაბათი, ვაი!

და ვ ი დ . ნუ აყეფდით, ბებრებო. რატომაც არ შეიძლება. რამ-დენი შაბათი არ ვიმუშავენიათ თქვენს სიცოცხლეში, ის დღეები სუყველა დაკარგულია. შენ რას იტყვი, იშაი?

ი შ ა ი . თანახმა ვარ. ვიმუშაოთ. ღმერთს არ აწყენს ჩვენი მუ-შაობა.

ხ მ ე ბ ი . ყოჩაღ. (ტაში).

მ ე ი რ . წინადადებაა: მუშაობა დავიწყოთ ზეგ. ზეგ სწორედ შა-ბათია. ვინ არის მომხრე? (ხელს სწევებს ჯერ ახალგაზრდები, შემდეგ მო-ხუცები ნელ-ნელა, ყველაზე გვიან აბრამია, რომელიც უსიამოვნოდ თავისთვის ბურტყუნობს რაღაცას) ყველანი. შემდეგი საკითხები.

ხ მ ე ბ ი .

— ხარიტონის ეზო-კარმიდაძოს შესახებ!

— დანიელ შათარაშვილის სახლის შესახებ!

— დროებით საქათმეში გამგეობის კანტორის მოწყობის შესა-ხებ.

— ხაზინადარის არჩევა!

— თავჯდომარის მოადგილის არჩევა.

მ ე ი რ . მოიცათ, ამხანაგებო, ყველაფერი ერთად არ შეიძლება. დავიწყოთ ბოლო საკითხიდან. გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატები თავჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე.

ხ მ ე ბ ი . დავიდ ყვითელაშვილი. დავიდ ყვითელაშვილი. დავიდ ყვითელაშვილი.

მ ე ი რ . ვინც ტაშს არ დაუკრავს, ის წინააღმდეგია! (ერთხმად ტა-ში და სიცილი) ეხლა — ხაზინადრობა.

ხ მ ე ბ ი .

— შაულ კრიხიელი!

— ელიაუ როკეთლიშვილი!

— იშაი მამისთვალი!

ვ ა რ ლ ა მ . ამხანაგებო! ჩემის აზრითაც ხაზინადრობა შეჰფერის

იშაის, ეს შედარებით უფრო იოლი საქმეა, რაც მისი ხნოვანებისათვის საძნელო არ იქნება.

ხმები.

— სწორეა!

— მივიღოთ ერთხმად!

— ხვალ სწორედ ფული გვერგება!

— აბა, იშაი, დღესვე მოემზადე რაიონში გასამგზავრებლად!

სიცილი. ტაში

მეირ. ესეც მორჩა. ეხლა, ამხანაგებო, წინადადებაა შემოსული, რომ ვინაიდან ჩვენი კლუბი კოლექტივიდან კარგა მოშორებითაა, ამავე დროს ჩვენს საქათმეში საკმაოდაა ოთახები, დროებით გამგეობის კანტორა და ანგარიშები გადავიტანოთ იქვე, რომ კოლმეურნეებს არ გაუცდეთ დრო ზედმეტი სიარულისთვის. ვფიქრობ, არც ეს საკითხი გამოიწვევს წინააღმდეგობას, ვინაიდან, ეს საერთოსურვილია. (ტაში) ელიაუ! დღესვე მთელი ანგარიშგება და საქმიანობა გადატანილი იქნეს.

კოლმეურნე. მესმის.

მეირ. უკანასკნელი საკითხი, რომელიც ჩვენ ყველას ერთნაირად გვანტერესებს — ეს არი ჩვენი გადაწყვეტილება დანიელ შათარაშვილისათვის დიდი სახლის ჩამორთმევის შესახებ — საერთოსაცხოვრებლად გამოყენების მიზნით და აგრეთვე, ვინაიდან შეგვემატენ ახალი კოლმეურნენი — მათთვის მიწების გამონახვა. ჩვენ, მართალია, გადავწყვიტეთ აბზიანიძისათვის ეზო-კარმიდამოს ჩამორთმევა, მაგრამ ყველა ეს საკითხები — როგორც აბზიანიძისა, აგრეთვე შათარაშვილისა — უნდა დამტკიცებული და შეთანხმებული იქნეს რაიონში. ამისათვის საჭიროა ჩვენი ორი წარმომადგენლის გაგზავნა.

ხმები. მეირ სეფიაშვილი და დავიდ ყვითელაშვილი.

დავიდ. აი ამას ჰქვია — ნამდვილი ტემპების კრება. „მშრომელიებრაელი“ გაიმარჯვებს. (ტაში).

3

ქუჩა. სალამოს პირი. ანათებენ ფარნებს.

მირიამს მხარზე შემდგარი აქვს წყლით სავსე დიდი დოქი და ბრუნდება შინისაკენ. მოულოდნელად წინ შეეჩება მეირს. უნებურად შეჩერდება. აქა-იქა ფანჯრებში მოჩანან თავშალმოსხმული დედაკაცების თავები.

მეირ. მირიამ!

მირიამ. ოჰ.

მეირ. ნუთუ ასე გეწყინა ჩემი შეხვედრა? რამდენი ხანია არ მინახივხარ? (ეხმარება დოქის ჩამოხსნაში) რა გაუჭირდათ ასეთი შათარაშვილებს, რომ ასე გამუშავებენ?

მირიამ. ნულარ მკითხავ.

მეირ. საბრალო მირიამ! როგორ გაყვითლებულხარ? სად არის შენი სიცოცხლით სავსე თვალები?

მირიამ. წავალ. ვინმე შემხედავს, მოიგონებენ ჭორებს.

მეირ. საბრალო მირიამ... ნუთუ კაცთან დალაპარაკებისაც გეშინია?

მირიამ. სიცოცხლეს გამიმწარებენ.

მეირ. მე რე როდემდის, მირიამ? ნუთუ ჯერ კიდევ არ დადგადრო, რომ ხმა ამოიღო? შენი ძმა კოლექტივშია, ჩვენ ეხლავე მივდივართ რაიონში. იგი დააწინაურეს ჩემს მოადგილედ. გარდა ამისა ნუთუ არ გენატრება მშობელი დედის ნახვა? როგორი კარგია მათი ცქერა, როცა ისინი მუშაობენ მინდორში?

მირიამ. ვიცი. ისინი ბედნიერები არიან. მე კი უბედური.

მეირ. მირიამ! ჯერ კიდევ გვიან არაა...

მირიამ. ჯერ არ დამდგარა დრო. მაგრამ მოვა. იყავ ყოჩაღად. მშვიდობით. (მიდის).

მეირ. დგას თავჩაღებული, ვიდრე დავიდი და იშაი არ შემოვლენ და არ გამოარკვევენ ფიქრებიდან

დავიდ. იშაი. რა მოგივიდა, მეირ?

მეირ. ჩამაფიქრა იმ გარემოებამ, რომ ჯერ კიდევ არა ვარ ბედნიერი. ეს იქნება მხოლოდ მაშინ...

დავიდ. როდის?

მეირ. როცა მუნჯები ალაპარაკდებიან.

იშაი. როდის იქნება ეს? ნუთუ კოლექტივის წევრებს შეგვიძლია მუნჯებზეც ავალაპარაკოთ?

მეირ. ეჰ, იშაი, შენ კარგი მოხუცი ხარ. მაგრამ დრო გავა, ვიდრე ამას აგიხსნიდე. (პაუზა) მზად ხართ, ამხანაგებო? მივდივართ. (გადიან).

თავშალმოსხმული ქალები გამოდიან სცენაზე.

— რიბკა, ხო დაინახე?

— ნეტავი დამბრმავებოდეს ეს თვალები და არ დამენახა.

— რა იყო, ქალებო, რა მოხდა?

— ეხლა იდგნენ აქ ორივენი ერთაღ.

— ვინ?

— თავმჯდომარე და მირიამ.

— იოხაბედს დაუდგა შავბნელი წელიწადი. რას აკეთებს, თუ
თავის რძალსაც ვერ ჰყარაულობს ხეირიანად?

შემოდის თავმოხრილი და მოკუნტული იეხისკიელი. შეუმჩნევლად ეფარება
ფარნის ზოძს. ყურს უგდებს წყაროსთან შეგროვილ ქალების ლაპარაკს

— გაიგეთ, ქალებო, ახალი ახალი ამბები?

— რა?

— კოლექტივში დღეს კრება ჰქონიათ. ბევრი რამე დაუდგენიათ.

— მაინც რა დაუდგენიათ, თქვი ბარემ.

— ასე უთქვიათ, მდიდარი და ღარიბი აღარ უნდა იყოსო,
ყველა უნდა გავათანასწოროთ. ვისაც მეტი აქვს, მაკრატლით უნდა
ჩამოვჭრათო.

— ასე აღვილი გგონია შენ ეს.

— პირდაპირ გადაუწყვეტიათ—დანებლ შათარაშვილს უნდა ჩა-
მოერთვას თავისი დიდი სახლიო და შიგ ღარიბები უნდა ჩავასახ-
ლოთო. ხარტონ აბზიანიძეს კიდევ მიწებიო. ამ საქმეზე ოურმე
დელეგაცია გაუგზავნიათ რაიონის უფროსთან. ეს წუთია ჩაირეს
მეირამ, დავიდმა და იშაიმ.

— ეს ბებერი იშაი ძალიან საქმეებშია.

— თურმე ფულების საქმე მაგისტვის ჩაუბარებიათ. ჩემმა ქმარმა
საქვა, ხვალ ფულებს ჩამოიტანს იშაიო.

— ხედავთ, ისრაელის ქალებო, დროება როგორ გამოიცვალა?

— გამოიცვალა აბა რაა, შენი ჭირიმე, ვინც თავი კაცი იყო, ის
დღეს ბოლოში მოექცა. ვინც უკანასკნელი იყო — ის თავში დაჯდა.

— ჩვენი ნაყოშიც რო გადასხვაფერდა.

— ასე ამბობენ, მამაკაცებს სჯობნის მუშაობაშიო.

— კიდევ რალაცა გავიგე.

— რა? რა? რა?

— რა და აწი შაბათი უნდა მოისპოსო.

— ეგ როგორ შეიძლება!

— ღმერთი როგორ მოითმენს ამდენ დაძალულობას?

— ამდენი მოუთმენია, ამასაც მოითმენს.

— როგორ მოითმენს, დავინახავთ. ზეგ რა დღეა, ქალებო?

— შაბათი.


— ჰო და-ზეგ იწყებენ მოსავლის აკრეფას.

— ვინც პარტიაში ჩაეწერა და გადაქრისტიანდა, ისინი იმუშა-
ვებენ. ჩვენი ქმრები მაგათ არ აჰყვებიან.

— რას იტყვის ხახამ შიმყონი? უი ყურებს, უი თვალებს...

— ძალათი რო ამუშაონ?

— ძალათი როგორ იქნება. ქვეყანა ჩალით კი არ არის დახუ-
ჭული.



— ჩემი ქმარი იქვე გამოეწერება კოლექტივიდან.

— ჩემიც.

— მოიცა, გაათენეთ, ქალებო, მომავალი შაბათი. შეიძლება ტყუ-
ილი გამოდგეს.

— აბა მე ტყუილი მოვიგონე?

— რა ვიცი...

— ეხლა თქვენც ერთი. რაც იქნება—იქნება. ღამე მშვიდობისათ
ქალებო!

— ღამე მშვიდობისათ!

— მშვიდობა არ დაგელიათ...

დაიშლებიან. გამოდის იეხისკიელი. პაუზა.

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. მომილოცავს, იეხისკიელ ყვითელაშვილო. ამა-
ღამ ვახშამი გეკუთვნის. ამაღამ მოიგე ვახშამი. აფსუს, იეხისკიელ,
როგორ დაეცი. ვაი შენ, ჩემო თავო!.. რაღას ვდგავარ? წავიდე,
მოუყვე ყველაფერი. მაშინ მაქმევენ. ორი დღეა აღარ მიჭამია. მშია.
ფეხები აღარ მიჯეროიან... ამ საქმეში ჩემი სისხლი და ხორცია...
ჩემი დავიდი... და ჩემი... მაგრამ ის ჩემი აღარაა... ჩემი ცოლი
კოლექტივისაა... მირიამი მეუბნევა კოლექტივში შევიდე... ო, არა...
იეხისკიელ ყვითელაშვილო, არ მოტყუვდე... წადი ისევ შენი გზით...
გიცდიან შათარაშვილები... უამბე, რაც აქ გაიგონე ქალებიდან...
შემდეგ მიიღე ძვლები... მათი ნავახშმი... ეს ხომ შენი ჯამაგირია...
სისხლის ღალატისათვის... ეს ხომ ჯაშუშობაა... ვაჰ შენ, ჩემო უბე-
დურო თავო!

ნ ა ყ ო მ ი. (მოდის გზათ) რას დაეხეტები ამ ღამეში აქ?

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. ნაყოში, შენ?

ნ ა ყ ო მ ი. ველარ იცანი შენი ცოლი?

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. ჩემი ცოლი? როგორა სთქვი: ჩემი ცოლი? განა
მე ეხლა კიდევა მყავს ცოლი?

ნ ა ყ ო მ ი. შე უბედურო, რაებს ლაპარაკობ?

ი ე ხ ი ს კ ე ლ. მე აღარ ვლაპარაკობ. ენა ლაპარაკობს თავისთვის.

ნ ა ყ ო მ ი. როგორ არის ჩემი მირიამი? იმას მოუკვდეს ჩემი თავი.
ი ყაჩაღების გულისთვის ჩემი ქალიშვილის ნახვაც არ შემიძლია.

(პაუზა) რას გაჩერდი, მიბასუხე, როგორ არის? როგორ ცხოვრობს
შენი გათხოვილი, უბედური მირიამი? რამდენი ხნის სიცოცხლე აქვს
კიდევ? როდის უნდა წავიდე სასაფლაოზე?

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. გაჩუმდი, დედაკაცო, ნუ გამიხეთქე გული.



ნაყოში. მითხარი, შე ურჯულო, როდის უნდა დავიტირო ჩემი ნუგეში, ჩემი საყვარელი მირიამი?

იეხისკიელ. დედაკაცო! ხმა ჩაიგდე მუცელში...

ნაყოში. შენ ჟეი, გამოფხიზლდი! ვის ელაპარაკები მაგნაირად. იცი, ვინა ვარ ეხლა? მე კოლექტივის წევრი ვარ და ჩემი შვილი დავიდი კიდევ — დღეს აირჩიეს თავჯდომარის მოადგილედ.

იეხისკიელ. დავიდი ხოძ ჩემი შვილიცაა?

ნაყოში. შენი შვილი ყაზარია შათარაშვილია.

იეხისკიელი. დედაკაცო...

ნაყოში. რა, მამაკაცო?

იეხისკიელ. შევრიგდეთ.

ნაყოში. ჩვენი მირიამი იტანჯებოდეს შენი უჭკუობისათვის, სამიწე იოხაბედი იმას ყოველდღე სცემდეს, ყოველ წუთში კანკალი გამიდიოდეს, რომ სამუდამოდ გამოვესალმე ჩემს ქალიშვილს და ამ დროს კი შენ გიცქირო — მაგ კაცისმკვლელის სახეში... არა, იეხისკიელ! არ მოესწრები შენ ამას... (მიდის).

იეხისკიელ. ნაყოში, ნაყოში... წავიდა... გათავდა... მე აღარც ქმარი ვარ და აღარც მამა... დანიელ შათარაშვილის მონა, ლაქია, ჯაშუში... (შემოდის ხარიტონი).

ხარიტონ. იქ გამწარებული გელის დანიელ შათარაშვილი. შენ აქ დასეირნობ და ვარსკვლავებს ელაპარაკები. (პაუზა) რას გამოშტერდი ურია, მოდიხარ თუ არა?

იეხისკიელ. მოვდივარ, დალოცვილო ქრისტიანო. (გადიან).

4

დანიელ შათარაშვილის ოთახი.

წრეში მომწყვდეულ იეხისკიელს თავს დასდგომიან დანიელი, ხარიტონი, ყაზარია და ზებო.

დანიელ. სთქვი, ილაპარაკე, მშიერო ძაღლო.

ხარიტონ. ჩქარა მოგვახსენე, წითელო თავადიშვილო.

იეხისკიელ. დღეს კრება ჰქონიათ. დაუდგენიათ: დანიელ შათარაშვილს ჩამოერთვას დიდი სახლიო, ხოლო ხარიტონ აბზიანიძეს ეზო-კარ-მიდამოო.

ყაზარია. ამაზე ლაპარაკობდენ ამდენი ხანი?

იეხისკიელ. არა. დღეს აღარ ხუმრობენ. რაიონში დელეგატები გაუგზავნიათ, ქალაქები უნდა ჩამოიტანონ ხვალე და საჩქაროდ მოიყვანონ სისრულეში თავისი გადაწყვეტილება.

დანიელ. ჰხედავ, ხარიტონ, რა დრო დადგა?

ხარიტონ: ეს ამბავი მარტო ჩემს ყურებს ესმის, თუ შენს ყურებსაც?

დანიელ. (იეხისკიელს) დელეგატებად ვინ გაუგზავნიან?

იეხისკიელ. მეირა და... ჩემი შვილი.

დანიელ. უ, ძაღლები, ვანანებთ...

ზებო. ნამდვილად იცი, რომ ხვალვე უნდა დაბრუნდნენ?

იეხისკიელ. დიახ. ასე მოგახსენეს: ზეგ მოსავლის აკრეფვას უდგებიანო.

დანიელ. ზეგ ხომ შაბათია?

იეხისკიელ. აწი შაბათობით უნდა ვიმუშაოთო.

დანიელ. კარგი. ეს ძალიან კარგი. ილაპარაკე. განაგრძე, რა გაიგე კიდევ....

იეხისკიელ. ჩვენი შაქაშათ ნამყოფი იშაი ხაზინადრად აურჩევიათ და ისიც იმათთან წასულა. ხვალ ფულები უნდა ჩამოიტანოსო.

ხარიტონ. ძალიან ამბებია, დანიელ.

ზებო. აზრები მოდის თავში, ძმებო...

ყაზარია. სსს... ამაზე მერე ვილაპარაკოთ. (იეხისკიელს) შენ კი, ნუ გაჩერდი, ილაპარაკე, სხვა რა გაიგე?

იეხისკიელ. კანტორა, ანგარიშის ქაღალდები და საქმეები. ელიაუს ამ საღამოს კლუბიდან საქათმეში გადაუტანია.

დანიელ. იანგარიშეთ, ბიჭებო, ესეც ძალიან ამბავია. სხვა?

იეხისკიელ. არა კმარა? სხვა არაფერი ვიცი.

დანიელ. ხომ არაფერს გვიმალავ?

იეხისკიელ. არა.

დანიელ. წაეთრიე ეხლა სასადილოში. იოხაბელი გაკმევს რამეს. (იეხისკიელი გადის) აბა, ეხლა დავსხდეთ. (შემოსხდებიან მჭიდროდ) გაიგონეთ, ძმებო? კიდევ შეიძლება გულზე ხელდაკრეფილი ყოფნა? აღარ გვინდობენ. ჩვენს ქონებას აღარ გვანებებენ. მოსპობას გვიპირობენ. რა უნდა ვქნათ?

ხარიტონ. დედა უნდა ვუტიროთ ყველას.

ზებო. ბრძოლა უნდა დავიწყოთ.

ყაზარია. რითი? რა ჩვენი საქმეა ბრძოლა?

დანიელ. რას ლაპარაკობ, შვილო. სირცხვილია, დანიელ შათრაშვილის სისხლი არ გიდგია ძარღვებში, თუ როგორაა შენი საქმე? რა სწერია თ.ორაში: „კბილი კბილის მაგივრად, თვალი თვალის მაგივრად“. მე იმათ ერთ კბილში ოც კბილს დავაძრობ და ერთი თვალის დათხრისათვის ას თვალს ავატირებ.

ხარიტონ. ხელი მომეცი, დანიელ! ვაჟკაცი იბრაველი ხარ.

ზებო. თქვენ როცა გხედავთ მასეთ გუნებაზე, ჩემი სიცოცხლე მაშინაა. მომეცით საქმე, მეც თვენთან აგიკვნესოთ მაგ გლახაკები.

ყაზარია. ჩუმად ილაპარაკეთ. მეორე ოთახში მირიამი ზის.

დანიელ. მერე რისი გეშინია? განა ის შენი ცოლი არაა? თუნდაც გაიგონოს, როგორ ჰფიქრობ, მირიამ შათარაშვილი გაბედავს რამე აწყენოს შათარაშვილების სახელოვან ოჯახს?

ხარიტონ. სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა. მირიამიც წითელი თავადიშვილების მოდგმისაა. ლატაკების ნდობა არ იქნება.

ყაზარია. შეუდგეთ საქმეს. რა ვქნათ? (ლაპარაკობენ უფრო ხმა დაწვევით).

ხარიტონ. ხვალ თავს უნდა დავეცეთ.

ზებო. მეც ეგ ვიფიქრე.

დანიელ. მეც.

ყაზარია. გეგმა? რისთვის? სად? როგორ? ვინ?

დანიელ. იშაის ფული მოაქვს. იშაი უნდა მოჰკლათ. მეირი და დავიდი კი ცოცხლად უნდა გამოიტაცოთ და ზებოს ბნელ ოთახში გადავმალოთ.

ყაზარია. მოტაცება რაღა საჭიროა?

დანიელ. არის საჭირო. იანგარიშე, ყაზარია. ჯერ ერთი, იშაის მოკვლა და ფულების გატაცება იმათ დაბრალდებათ. მერე მეორე, ისინი რო ხელში გვეყოლებიან, რასაც გვინდა გავაკეთებთ გესმით?

ყაზარია. მესმის. მაგრამ ვინ იზამს ამას?

ზებო. შენ ნუ სწუხარ. შენ არ დაგკირდება შარაგზაზე დგომა. მე და ხარიტონი ვიზამთ ამას. თუ საჭირო იქნება ერთ-ერთ ჩემს სანდო ბიჭსაც წავიყვან თან.

დანიელ. (გადაეხვევა) იანგარიშეთ, ხალხო. თქვენისთანა ყმაწვილები ქვეყნად არ არის. თქვენი დახმარებით კოლექტივს აი ასე მივჭეჭყავთ. (ხელში რაღაცა ქალაღდს კმუჭნის) ზეგ შაბათია. დამწარდებათ მუშაობა. (ნელ-ნელა ჩადიან დაბლა. შემოდის შუა კარებიდან მირიამი, რომელიც თვალს გააყოლებს დაბლა ჩამსვლულებს).

მირიამ. (იმეორებს დანიელის ბოლო სიტყვებს) „ზეგ შაბათია. დამწარდებათ მუშაობა. დამწარდებათ მუშაობა“. (უცბად შეჰკივლებს) არა! არა! მირიამ ყვითელაშვილო, დადგა დრო, ამოიღე ხმა!

5

შარაგზა. მოჩანს ტყე. დიდი ალვის ხე, ჩრდილები.

ნელ-ნელა ჩრდილები ისზამენ ცოცხალი ადამიანების მოხაზულობას.

სცენაზე სიფრთხილით, ფეხაკრეფით გამოდის ერთი კაცი, ნილაბაფარებული,

ნაბადში გახვეული, შეიარაღებული. იცქირება მოუსვენრად წინ. უკან ამოჰყვება
სუროე, ისეთივე ჩაცმულობისა. ლაპარაკობენ გამოცვლილი ხმით.



ქართული
ბიბლიოთეკა

ხარიტონ. რას ჰხედავ, ზებო?

ზებო. არაფერია ჯერ.

ხარიტონ. მალე დალამდება.

ზებო. ვაი თუ სულ არ დაბრუნდნენ დღეს.

ხარიტონ. მაშინ ჯავრს ხისკოზე ამოვიყრი.

ზებო. ხისკოზე ჯავრი რას გიშველის, მიწებს მაინც წაგართმევენ.

ხარიტონ. ვანანებ ურიებს.

ზებო. ურიებს რას ერჩი. მეც ხომ ურია ვარ?

ხარიტონ. შენ იბრაელი ხარ. ურია — არა... სსს... (ნაბიჯები).
ე ბიჭო, მგონი მოდიან.

ზებო. (იცქირება შორს) მართალია, მოდიან. მაგრამ იცი, ორნი
არიან.

ხარიტონ. ვერ არჩევ ვინ არიან?

ზებო. მოიცა, მოიცა. ერთი იშაია, თხასავით რო აქნევს წვე-
რებს, მეორე — დავიდი. მეირა არ არის.

ხარიტონ. უ, იმის დედ-მამის სული... რაღა ვქნათ ეხლა?

ზებო. არაფერია. ჯერ ვინც არიან იმათ გაუსწორდეთ. მე
და ჩემი კაცი გავიტაცებთ დავიდს და გავიქცევით. შენ ხომ გა-
უსწორდები მარტო იშაის? შენ ყოველთვის ჰფუშავ საქმეებს, ეხ-
ლა მაინც ღმერთი არ გაგიწყრეს, ყბედობა არ დაუწყო იშაის.

ხარიტონ. მასხარად მიგდებ, თუ როგორაა 'შენი საქმე?

ზებო. მაშ ასე. შენ იმას წაიყვან ტყეში. ჯერ მთელ ფულებს
ამოაცლი, მერე მოჰკლავ. (ნელა სტვენს. გამოდის მესამე) მზად იყავი.
მოდიან. (იმალეებიან ბუჩქებში. ლოდინი. გახშირებული ნაბიჯები. შემოდინ
იშაი და დავიდი. ხელში — კომბლები. მოდიან ნელა. იშაის წელზე თოკი აქვს შე-
მოჭერილი)

ი შ ა ი. შეგვაგვიანდა. მალე დალამდება.

და ვ ი დ. ერთი საათის გზა დაგვრჩა კიდევ.

ხმები: „ხელები მალლა!“ სამი შეიარაღებულნი გარს შემოერთყმიან იშაის
და დავიდს დაბნეულობა შიში. ზებო და მისი კაცი იტაცებენ დავიდს, პირზე
წამოაცმევენ ტომარას და მიდიან, ხარიტონს ხელი აქვს წაჭერილი იშაისათვის
და ციათრებს ტყისაკენ.


ი შ ა ი. ვაიმე, დავიდ, სად წახვედი? მიშველეთ...

ხარიტონ. ხმა ჩაიკმინდე, ბებერო ძალლო, თორემ ეხლავე
გამოგასალძე წუთისოფელს. (ადებს რევოლვერს საფეთქელზე).

ი შ ა ი. ვაიმე, კაცო, რა გინდა ჩემგან?

ხარიტონ. ჩქარა ფულები, ჩამოდი.

იშაი. რა ფულები, კაცო, ვინა ხარ? როდის რამე მომაბარე?
ხარიტონ. მოვიდა ცხელი ტყვია მუცელში. (უმიზნებს).
იშაი. ვაი, ვაი, ვაი... არ მომკლა. წაიღე ყველაფერი.



შერჩი. (აძლევს ფულს. ხარიტონი ითვის. შემდეგ უძებნის ჯიბეებს. იშაი დაეშვება მიწაზე და სტირის).

ხარიტონ. რა გატირებს, ბებერო?

იშაი. მომკლავენ, არ დამიჯერებენ. დასდე პატივი ჩემს მოხუცებულობას, მომეცი რამე ნიშანი.

ხარიტონ. ვექსილი ხომ არ გნებავს? (პაუზა) გესვრი.

იშაი. მე არა. აი ამ ჩემს ჩოხას.

ხარიტონ. კარგი. ჩქარა გაიხადე. (იშაი იძრობს ჩოხას და ჰკიდებს ხეზე) ჩამოდექი ბებერო. ტყვია ორივეს გეყოფათ, შენც და შენს ჩოხასაც. ერთი... (ისვრის) ორი... (ისვრის) სამი... (ისვრის) ოთხი... არ გავარდა.

იშაი. ერთი კიდევ, შენი ჭირიმე.

ხარიტონ. (უმიზნებს იშაის) ოთხი... არ გავარდა... რაშია საქმე? შენი იღბალი, ძაღლო, ტყვია გამომლევია...

იშაი. ტყუილია, ბატონო, ერთი კიდევ გექნება. ერთი კიდევ ესროლე მაგ სამიწე ჩოხას.

ხარიტონ. მეტი ტყვია აღარ არის.

იშაი. იქნება.

ხარიტონ. არ გესმის რო გეუბნები? აი, ვერა ჰხედავ...

იშაი. (ნელა და შიშით უახლოვდება) აღარ არიო? აღარ არიო? (მოულოდნელად წაუჭერს ყელში) ჩემი ფულები, ჩემი ფულები, აბა უკან. (გამოჰგლეჯს რევოლვერს, ისვრის უფსკრულში, ჰკბენს ხელზე და წააქცევს) არმად შეგერგებოდა ჩვენი კოლექტივის ქონება-ცხოვრება.

ხარიტონ. უ... ძალ—ლო... მე შენ...

იშაი. ნუ ბურტყუნობ. ფულები, ჩემი ფულები. (იშაი ნაბდიდან ამოართმევს ფულებს. შემდეგ შემოიხსნის თოკს და ხარიტონს მიაბამს ხეზე) იწექი აქ, ყაჩაღო! საცა შენი სთქვა, იქ იშაიც ახსენე. (იღებს თავის კომბალს და საჩქაროდ გარბის).



მოქმედება მეოთხე

1

კოლმეურნეობა „მშრომელი ებრაელის“ მინდვრები. შაბათი დღე. პურის აკრეფის პროცესი. კოლმეურნეთა მუშაობის სხვადასხვა მომენტები. სცენაზე ერთი დაუმთავრებელი ზვინი. მოშორებით—საქათმე, ბოსელი. ფარდის ახდის დროს რიტმიული მუშაობა. მოისმის სიმღერა:

„არშინი ჩვენ გადავადღეთ
და მდიდრების გულისწყრომას
ვამჯობინეთ შევდგომოდით
საკუთარი ოფლით შრომას.

დაგვცინოდნენ და ამბობდნენ:
სადაური ხართ გლეხები,
თქვენ ვერაფერს ვერ დათესავთ
არ გივარგათ ხელ-ფეხები.


ჩვენმა დღეის მუშაობამ
კულაკები გააკვირა:
კოლექტივში აღარ არის
არც შაბათი და არც კვირა.

არც იციან ეს ქვეყანა
ცხადია თუ სიზმარია
და ჰგონიათ—ადონაიმ
ჩვენი თავი გადარია.

ჰეი ბიჭო, სიმანტობო,
გაანძრიე ხელი მაგრად—
კოლექტივის ჩირქის მომცხებს
თავში უნდა მწარედ დაგკრათ.

ვკრეფოთ ჩქარა, ვკრეფოთ ჩქარა,
გავაშიწვლოთ ჩვენ ეს ყანა;

ყველას უნდა გახსოვდეთ რომ
ტემპებსა გვთხოვს დღეს ქვეყანა“.



კოლმეურნეთა მასა.

— ელიშაყ, მაგრად მოუსვი!

— შაბათი მაინც გავტეხეთ და სულ ერთია. ხომ გაგიგონიათ ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი—ქურდიაო.

— მოჰყვა თავის ანდაზებს. იმუშავე ცოცხლად! ვის რაში უნდა ანდაზა და შაბათი დღე?

— მართალია, ელიაუ, ახლა მოსავალი გვინდა. ვენაცვალე მიწას. დახეთ, ბიჭებო, რა ლამაზად ბრწყინავს.

— ესეც ჩვენი პირველი კოლექტიური მოსავალი.

— შენ რას იტყვი, ნაყომი?

ნაყომი. მე რა უნდა ვთქვა, ჩემო რიბკა? სულ კარგი მაქვს სათქმელი. დღედაღამე ვფიქრობ მხოლოდ ჩვენს კოლექტივზე. როგორ დროზე მოგვისწრო, თორემ შიმშილით სული ამოგვხვდებოდა.

კოლმეურნეთა მასა.

— იმუშავეთ, ქალებო, ყოჩაღად. არ შეირცხვინოთ მარჯვენა!

-- ვინც შენ ჩამოგრჩეს—მარჯვენაც შეურცხვეს და ცხვირიც!

— ასე, ასე.

— რაც შეეხება, შაბათს—ნუ იღარდებთ. დღეს მართალია ხახამ-შიმყონი ლოცულობს და გვწყევლის, მაგრამ მისი წყევლა კურთხევით შეგვეცვლება. მოსავლის განაწილების დროს ვინც მიტეშქაშებს ნაწილს თავის მოსავლიდან, იმის ცოდვებს მე ვიკისრებ საიქიოს

— ხა, ხა ხა!

— რა ჭკვიანი ხარ, იეუდა. ვინ არ იცის, რომ სააქაოს ერთი კვერცხი სჯობია საიქიოს ინდაურს.

— ეხლა ლაპარაკი შეამცირეთ.

— უსწრაფეთ!

— ცოცხლად!

— ელექტრონის მანქანასავით!

ვარლამი. (შემორბის) მეირი არ დაბრუნებულა?

აბრამია. ჯერ არა. (ვარლამი ჩაფიქრებული დადის წინ და უკან)

კოლმეურნენი.

— ბიჭებო, ეს საქმე არ მომწონს.

— რა?

— რაზე იგვიანებს თავმჯდომარე?

— არც მოადგილეა.

— არც ხაზინადარი.

- არც ფულები.
- გუშინ სალამოს უნდა ჩამოსულიყვნენ.
- პირდაპირ საოცარია. ხომ იცოდენ, რომ დღეს უნდა დაწყებულიყო მუშაობა და ყოველ მიზეზ გარეშე უნდა აქ ყოფილიყვენ.
- მეიროს არ უყვარს დაგვიანება.
- იშაიმ თუ ვერ იარა.
- სხვები რალა იქნენ?
- ძმებო, ეს სახუმარო საქმე არაა.
- გუშინ თუ ვერ მოასწრეს წამოსვლა, ამ დილითაც რომ წამოსულიყვენ, ეხლა უკვე აქ უნდა იყვენ მოსული.
- თუ რაიონში ვერ შეუთანხმეს—ერთ-ერთი მაინც უნდა წამოსულიყო.

- იშაის მანიც რალა მოუვიდა?
- ალბათ, ფულები ვერ მიიღო.
- ბებერია. ვინ იცის, მიიღო კიდევაც და დაჰკარგა.
- გაჩუმდი, შენ ენამ არ გიყივლოს ცუდად. უფულოდ დავრჩებით.
- არაფერია, ხალე ვინმე გაჩნდება.
- მუშაობა გააგრძელეთ!
- ყოჩაღად!
- ტემპებით, ბიჭებო!
- აი, ვგონებ, კიდევ მოდის ერთ-ერთი მათგანი.
- ვინ არის?

რა, ეს ჩვენი კოლმეურნეა.

კოლმეურნე საჩქაროდ შემოდის

კოლმეურნე. თქვენ არაფერი იცით?

კოლმეურნენი. (აღელვებით) რა მოხდა, რა ამბავია?

კოლმეურნე. უცნაური ხმები დაჰყარეს დაბაში. არც არავინ იცის—ვინ მოიტანა ეს ამბები. თუ ეს მართალია—საშინელი ამბებია.

კოლმეურნენი., გვითხარი ბარემ, სული ნუ ამოგვაძრე. მუშაობა წყდება

კოლმეურნე. დავიდი გაუტაცნიათ. ყაჩაღებს. იშაი მოუკლავთ. ფულიც გაუტაცნიათ. ამბობენ, თითქოს მეირამ მოაწყო ყველაფერიო.

ნაყოში (თავში შემოიკრავს და წაიქცევა) ვაიმე, შვილო, დავიდ! (ქალები აბრუნებენ)

კოლმეურნენი. (დაბნევით)—საწყალი იშაი!

— ესეც შენი კარგი თავმჯდომარე!

— ვაი, საცოდავი დავიდი!

— აფრინდა ჩვენი ფული.

— იმუშავე კოლექტივში. ესეც მისი ხეირი.

აბრამია. თქვენ ყველანი უჭკუოები ხართ. ღმერთი გვსჯის.
შაბათ დღეს მუშაობა ვის შერჩენია?

კოლმეურნენი.

— მე აღარ ვიმუშავებ!
გადააგდებენ იარაღს

— არც მე!

— არც მე!

— არც მე!

— არც მე!

ნაყოში. ვაიმე, შვილო!

ვარლამ. (ნაყოშის) დაწყნარდი, დედიჯან. გატაცება მოკვლა ხო არაა. მერე ამ ხმებს კიდევ გამოძიება უნდა. ვინ იცის, ჩვენმა კლასობრივმა მტრებმაც დაჰყარეს ეს ხმები — ჩვენში არეგ-დარევის შესატანად. (კოლმეურნეებს) თქვენ კი რა მოგივიდათ? როგორ შეიძლება ასეთი სულმდაბლობა? ჯერ ნამდვილად არ ვიცით რა მოხდა, თქვენ კი უკვე ჰყრით იარაღს.

ნაყოში. სად არის ჩემი შვილი? ვაიმე!

კოლმეურნენი.

— ჩვენი თავმჯდომარე არ არის ურიგო ახალგაზრდა!

— იგი ამას არ იზამდა!

— როგორ არ იზამდა? შათარაშვილების რძალს თუ დასდევდა, ამისთანა საქმეზედაც უარს არ იტყოდა.

— ეგ ცილისწამებაა.

არაფერი ცილისწამება არ არის. ჩემს ცოლს უნახავს ისინი ერთად.

— ჭორია!

— ეხლა მაგ ჩხუბს თავი დაანებეთ. თქვენ ესა სთქვით, რა გქნათ?

— ზომები უნდა მივიღოთ საჩქაროდ!

— რა ზომები?

— ამხანაგო ვარლამ! არ შეიძლება ტელეფონით გამოიძახოთ ამხანაგი მიხა? იმან, ალბათ, იცის: როდის წამოვიდენ, სად, როგორ, რა მოხდა...

ვარლამ. დაწყნარდით, ამხანაგებო. ჩვენთან ვილაცა მორბის. (შემორბის იშაი).

— ყველანი. (გაკვირვებით) იშაი! ცოცხალი ხარ? რა ამბავია?

იშაი. სული მომათქმევინეთ, თქვე უსინდისოებო. ეხლავე გეტყვით ყველაფერს. თქვენი თავი დამენანა, თვარა, ალბათ, მოგკვდებოდ. გუშინ სალამოს წამოვედით. უკვე დაძღვებოდა, შეგვაგვიანდა. გზაზე დაგვეცა სამი ყაჩაღი. ორმა დავიდი თან წაიყვანა...

ნაყოში. ვაიმე, შვილო!

ვარლამ. მოიცადე, ქალო, გავიგოთ საქმე. ნუ გეშინია. დავიდის მოტაცებას არავის შევარჩენთ. იშაი! ილაპარაკე.

იშაი. ერთი მე მომვარდა და ჩემი მოკვლა უნდოდა, ფულები წამართვა, მერე—მგონი მეც მიპირობდა მოკვლას. მე ვიხმარე ქკუა და ტირილით თავი შევაცოდე. კოლექტივი არ დამიჯერებს, რამე ნიშანი მომეცი-თქო. კატა რომ თავეს დაიჭერს და ჯერ აწვალეს სიკდილამდე, ისე უნდოდა ჩემთვისაც ეყო. მეც გავიხადე ჩოხა. ტყვიები იმაზე გამოელის, მერე ვეტაკე ყელში და წავაქციე. გამოვართვი უკან ფული. (იღებს უბიდან ფულს) ის ყაჩაღი თოკით მივაბი ხესთან და მე კი გამოვიქეცი.

ყველანი. ყოჩაღ, იშაი. მერე, მერე.

იშაი. გზაზე გლებები შემხვდნენ და მოუყევი ეს ამბავი. დაგბრუნდით იმ ადგილას, სადაც მივაბი, მაგრამ აღარ დაგვხვდა. ალბათ, აიხსნა და გაიქცა.

ვარლამ. სახეზე ვერ იცანი?

იშაი. (შემოიკრავს თავზე) ვაი, შე ბებერო იშაი! ისე ჩქარა მოხდა ყველაფერი, რომ სულ დამავიწყდა იმის სახეზე ნიღაბი ჩამომეგლიჯა... მერე ვიარე მთელი ღამე, გზა ამერია და უღრან ტყეში გავათიე ღამე, ამ დილაზე ძლივს გავიკვლიე გზა და როგორც იქნა, მოვაწიე.

ნაყოში. ვაი, შვილო დავიდ!

კოლმეურნენი.

— რა ბიჭი გაუტაცნიათ!

— რაში უნდოდათ საწყალი დავიდი?

— ეს კულაკების საქმეა.

ვარლამ. მეირი რაღა იქნა?

იშაი. მეირი დასტოვა აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხანაგმა მიხამ. ისინი ორივე ერთად ამ დილით გამოემგზავრებოდნენ და საცაა მალე აქ უნდა გაჩდნენ. ჩვენი ოქმები კი სუყველაფერი დაამტკიცეს.

ვარლამ. ჰხედავთ, ამხანაგებო, როგორ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი? ეს საქმე იმის ჩადენილია, ვინც ეს ხმა გაავრცელა. (შემორბის სახეგაფითრებული იეხისკიელი)

იეხისკიელ. თქვენ ეი, კოლექტივო, სად არის ჩემი შვილი?... თქვენ, ხალხო, ჯამაათნო, დღეს ხომ შაბათია?. რაზე სჩადიხართ ამ საქმეს?... ღმერთი როგორ მოგიტმენთ... ჩემი შვილი თქვენი წერა გახდა... ჩემი შვილი თქვენ დალუბეთ... რა უნდოდათ ოხერტიელ ყაჩაღებს ჩემს უბედურ, ღარიბ დავიდთან... შენ კი, ჩემო ცოლო, დედაკაცო, ხო დაინახე, რა არის კოლექტივი... შენ ანებებდი იმას კოლექტივში შესვლას... მე ეს არ მინდოდა... დედაკაცს ვინ მისცა ქკუა.... მე მაბრალიდი — მირიამი დამიღუბეო... ეხლა მე შენ გაბ-

რალი — დავიდი დამილუბე... მომეცით ჩემი დავიდი... იმას ენაცვა-
ლოს მისი მამა... ვაიმე, შვილო... ვაიმე, ამოწყვეტილო... (წაიქცევა)

ნაყოში. ვაიმე, შვილო... (შემოიბრუნა მიხა და მეირი).

მეირ.: რა ტირილია აქ? დაწყნარდით, ამხანაგებო. ჩვენ ვიცით
ყველაფერი, რაც მოხდა.

მიხა. დღეს საღამომდე მთელი რაიონი ფეხზე იქნება დაყე-
ნებული. ჩვენი კოლმეურნის გატაცება ძვირად დაუჯდებათ ჩვენს
მტრებს!

მეირ. (იშაის) ფული გადარჩინე?

იაშა. დიახ.

მეირ. ფული ჩააბარე რომელიმეს. შენ კი წამოდი ჩვენთან.
ყველანი თავთავის ადგილზე. ამართეთ, ბიჭებო, გამარჯვების ზვინები.
იმუშავეთ ჩვეულებრივად, არ დაეცეთ სულით. მიხა, იშაი, ვარლამ,
მივდივართ. თუ ამალამამდე არ გაჩნდა ცოცხალი და სრულიად
უვნები დავიდი — მაშინ კი იანგარიშეთ, ყველა რჯულის შათარაშვი-
ლებო და აბზიანიძეებო, თუ რას ნიშნავს მშრომელთა ხელისუფ-
ლება!

საჩქაროდ გადიან მიხა, ვარლამი, მეირი, იშაი. იებისკიელი უძრავად რჩება.
მუშაობა გრძელდება. ნელი სიმღერა.

„ვკრიფოთ ჩქარა, ვკრიფოთ ჩქარა,
გავაშიშვლოთ ჩვენ ეს ყანა —
ყველას უნდა გახსოვდეთ, რომ
ტემპებსა გვთხოვს დღეს ქვეყანა“.

2

დანიელ შათარაშვილის ბინა. სცენაზე მარტო დანიელია, რომელიც ზის
სავარძელში ღრმა ფიქრებში გართული, ხელში ჩვეულებრივად უჭირავს კრია-
ლოსანი, რომელსაც მეტად ნერვიულად ათამაშებს, იგი ლაპარაკობს წყნარად.

დანიელ. რაბი შიმუონმა სთქვა: მაშიახის მოსვლის ნიშნებიაო.
თორაში ასე სწერია: „როცა მაშიახი დააპირებს მოსვლას — ქვეყანა
უნდა აირიოსო. დაავიწყდება პატიოსნება, უფროსობა, სიმდიდრე.
მერე მაშიახი მოვა და ყველაფერს გაასწორებსო“. (პაუზა) მაგრამ
საღამდე უნდა უცადო მე, დანიელ შათარაშვილმა მაშიახის მოსვ-
ლას?.. იანგარიშე, ღმერთო, ბალშევიკები უკვე მერვე წელიწადია
ბატონობენ. რაც დრო მიდის, ისინი უფრო მტკიცდებიან. ისინი
მტკიცდებიან, ხოლო ჩვენ გვაფიწროებენ. ყველაფერს იგონებენ იმი-
სათვის, რომ დანიელ შათარაშვილს სიცოცხლე გაუმწარონ! სახ-
ლის ჩამორთმევა გადაუწყვეტიათ, დაუმტკიცებიათ და ხვალ, ალბათ
გადამიყვანენ ჩემს პატარა სახლში... ამ სახლში კი შემოვლენ ის

ხარაზი და დანარჩენი უპერანგოები... დანიელ შათარაშვილი, შეგიძლია მოითმინო ეს ამბავი? (პაუზა) მერე რა უნდა ჰქნა შენ, რომელსაც თითქმის უკვე ჩაგეფუშა გეგმა? (ჭფიჭრობს. შემოდის იოხაბედი) მოდი აქ, ჩემო ცოლო, დაჯექი ჩემს გვერდით. ვინ იცის ამ დივანზე დღეს უკანასკნელად ზიხარ.

იოხაბედ. დაწყნარდი, ჩემო კაცო, ღმერთი არ აპატიებს იმ ურჯულოებს.

დანიელ. ღმერთმა პირი იბრუნა ჩვენგან. ღმერთი ჯერ იმ ურჯულოების მხარეზეა.

იოხაბედ. ღმერთმა უცბად იცის ანგარიშების გასწორება.

დანიელ. დავკარგე მოთმინება, დავკარგე იმედი. დავკარგე რწმენა.

იოხაბედ. ნუ მომკალი, ჩემო კაცო, ტირილით!

დანიელ. როცა დაიწყეს კოლექტივი — ასე მეგონა, ბავშვები ხუხულას თამაშობენ-თქო. ველოდი ქარს. მოვიდა ქარი. ამ ქარმა კი დაანგრია ჩემი მყუდროება და ჩემი სახლი. ეს ქარი იმათია. ჩემი ქარი ჯერ არ მოდის.

იოხაბედ. მოვა.

დანიელ. ოდესმე მაშიახიც მოვა. (პაუზა. შემოდის ყაზარია)

ყაზარია. დღეს ველარ ვიცანი ჩემი ცოლი, სახეზე სიწითლე აქვს ანთებული ლამპარივით. ახლო მიკარება არ შეიძლება. თვალებიდან ცეცხლსა ჰყრის.

დანიელ. ალბათ, გაიგო თავისი ძმის მოტაცება.

იოხაბედ. ხელები მომტეხოდა, იმ დღეს მისთვის სარეცხი არ მიმეცა. მუშაობდა ჩქარა, ჩქარა. მეგონა ცეცხლი მოეკიდა-თქო. დავხედე სარეცხს და ნახევარზე მეტი დაეგლიჯა.

დანიელ. სისხლი მაინც ლატაკისა იქვს. არასოდეს არ გახდება ეგ ქალი შათარაშვილი.

ყაზარია. ხომ გითხარი, მამაჩემო.

დანიელ. ეხლა არ არის საყვედურებისა და შენი ცოლის დრო. ეხლა უფრო დიდი საკითხებია ჩვენს წინაშე. ბალშევიკებს უნდათ, რომ არ ვიყოთ ქვეყანაზე. ჩვენ კი გვინდა, რომ ისინი არ იყვენ. დადგა ანგარიშების გასწორების დრო. სად არიან ისინი?

ყაზარია. ვინა?

დანიელ. ვინა? ვილა გვყავს ჩვენ? ხარიტონი და ზებო.

ყაზარია. მალე მოვლიან.

დანიელ. შენი სიმამრი?

ყაზარია. დაეთრეოდა იმ გლახაკებთან მთელი დღე თავისი

შვილის ამბის გასაგებად. ვერაფერი ვერ გაიგო და დაბრუნდა. ეხ-
ლა ზის მირიამის ოთახში და სტირის.

დანიელ. იტიროს, მაგრამ არ კმარა მარტო მაგან იტიროსს
სხვებიც უნდა ატირდენ. (შემოდის ხარიტონი და ზებო).

ზებო. გამბერა ამ კაცმა ტყუილებით. მთელი დღე მარწმუნებს,
რომ ორმოცი წითელარმიელი და ოთხი ზარბაზანი დამეცა თავსაო,
თორემ ის მე ისე ადვილად არ გამექცეოდაო. სირცხვილით თავი
არა აქვს გამოსაყოფი და ეხლა კიდევ რას ჩმახავს. შეგირცხვა ვაჟ-
კაცობა, ხარიტონ!

ხარიტონ. ვაჟკაცობაც შეგირცხვა და ულვაშიც! ვაჟკაცის
სიტყვა თუ არ გესმის, თითონ არ ხარ ვაჟკაცი. თქვენ ორი იყავით,
ბიძია, ჩამოაფარეთ ტომარა და იქვე გაიქეცით. ჩვენ კი — თითო თი-
თოთ შევხვდით ერთმანეთს. როცა ფული ამოვაძრე, ამ დროს ჯა-
რი გამოჩნდა. თან მოჰქონდათ ზარბაზნები. ბებერს რო ეკივლა, ხო
მომკლეს იქავე? მერე, რას იზამდი, შენ ყოფილიყავ ჩემს ადგილას?

ზებო. ჩვენს სოფელს ჯარი და ზარბაზნები თავის სიცოცხ-
ლეში არ უნახავს. რა უნდოდათ აქეთ? თუ მართალი კაცი ხარ,
რატომ არ ჩამოიარეს? სად წავიდენ?

ხარიტონ. შენ გინდა ეხლა, ასე უბრალოდ გაიგო ბალშევი-
კების საქმე? იმათი ასავალ-დასავალი შენ კი არა, მთელმა ქვეყნი-
ერებამ ვერ გაიგო.

დანიელ. ეხლა თქვენ იჩხუბეთ. ორივე ვაჟკაცები ხართ. კმარა.
შენ ეს მითხარი, ზებო: დავიდი ხომ კარგად გყავს გადამალული?

ზებო. არის თავისთვის წყნარად — ბნელ ოთახში.

დანიელ. ღმერთი არ გაგიწყრეს, არ გაიგოს სად არის ან
ვისთანაა.

ზებო. დარდი ნუ გაქვს, დანიელ.

ხარიტონ. ეხლა რა ვქნათ, იმაზე ვილაპარაკოთ. დავიდს კი
ისე მოუღებთ ბოლოს, რომ საიქიოსაც ვერ გაიგებს — რა დაემართა
ამ ქვეყნად.

ყაზარია. ხვალ შენს მიწებს წაიღებენ, ხარიტონ.

ხარიტონ. თქვენი სახლიც მიაქვთ.

დანიელ. ჩვენი დალუპვით, ზებო, შენც გამოგელევა ფულები.

ზებო. რა გინდათ, გაქვთ რამე ახალი გეგმა?

დანიელ. ჯერ არა. ჩემს თავში დომხალია. ერთი გეგმა ჩაგვე-
ფუშა. (პაუზა) მეირი გადარჩა. რაც მთავარი იყო, ვერ გავაკეთეთ.
(ჰფიქრობს).

იოხაბედ. ჩემო კაცო, ი ჰიჭი რამდენ ხანს უნდა გყავდეთ
დაკერილი?

დანიელ. ეს დელაკაცის საქმე არაა. (ჭფიჭრობს. უცხად) მოვიდა აზრი. თქვენ ეს მითხარით, კოლექტივში მუშაობა გათავებული ექნებათ?

ყაზარია. მე რომ აქ შემოვედი, მაშინ ბრუნდებოდნენ სამუშაოდან.

დანიელ. კარგია, მაგრამ ამაში შენ არა ხარ საჭირო, ზებო. ამას გაგვიკეთებს იეხისკიელი.

ყველანი. (გაკვირვებით) იეხისკიელი?.

დანიელ. იეხისკიელი. მხოლოდ იეხისკიელი.

ხარიტონ. რა მოგივიდა თავში?

დანიელ. ეხლავე გაიგებთ. თქვენ მხოლოდ თვალყური ადევნეთ. ხმა კი არ ამოიღოთ. ყაზარია! შემოიყვანე შენი სიმამრი.

(ყაზარია გადის) ანგარიშების საქმეა. ყველაფერი ანგარიშია. დაილოცა ანგარიშის გამჩენი. დავამწარებთ, ჩემო ხარიტონ, შაბათ დღეს მუშაობას.

ხარიტონ. დავამწარებთ.

ზებო. (ხარიტონს) შენ ხომ ებრაელი არა ხარ? შენთვის სულ ერთი არაა, შაბათ დღეს იმუშავენ თუ კვირა დღეს?

ხარიტონ. სულ ერთი როგორაა. მაგათ თავიანთი შაბათი რო არ გაეტებათ, ჩემი მიწის ხსენებას როგორ გაჰბედავდენ? (პაუზა) დანიელ, გენაცვალე მაგ წვერებში, მოიგონე რამე ისეთი დიდი გეგმა, რომ იმათი სისხლის საბანაო იყოს და მე და შენ შიგ ვიცუროთ. სისხლი მწყურია, ვერ მომიხვენია. საქმელს აღარ ვეკარები. ღამე აღარ მძინავს.

დანიელ. მეც შენთან ვიწვი მაგ ტაფაზე. ბოლმა მახრჩობს. ძრაზი მაწვება ყელში და სულს მიხუთავს. (სვამს რამდენიმე ჭიქა ცივ წყალს) მე ჯერ ვერ დავისვენებ, ვიდრე არ ვნახავ, რომ კოლექტივი თავისი ხელით ჰგლეჯდეს თავის თავმჯდომარეს. ხოლო ეს მოხდება მაშინ, როცა დანიელ შათარაშვილო, შენი გეგმა შესრულდება. შენ კი, ჩემო თავო, იანგარიშე შენებურად! სსს... მოდის... არავისი ხმა არ გავიგონო. (შემოდინან ყაზარია და იეხისკიელი. იეხისკიელს ნამტირალევი თვალები აქვს. აბიჯებს მძიმედ) დაჯექი, იეხისკელ. (იეხისკიელი ნელა ჯდება და თავს ჩაიღებს). აღონაიმ არ მოგცა კარგი სიბერე. შენ ეხლა უბედური მამა ხარ.

იეხისკიელ. ვაიმე, შვილო დავიდ, ვინ იცის ეხლა ცოცხალია თუ სადმე ძაღლები სჭამენ შის ღორცს...

დანიელ. რა ჰქნა კოლექტივმა, ვერ მონახა?

იეხისკიელ. კოლექტივმა დაჰლუბა და ისინი რას მონახავენ?

დანიელ. რას მისცემდი შვილის გადასარჩენს?

იეხისკიელ. ჩემს საკუთარ თავს ვანაცვალებდი.

დანიელ. მომწონს. შენში ნამდვილი შრომლის სისხლი სდუნს-
(პაუზა) იეხისკიელ, ერთი ამბავი უნდა გითხრა საიდუმლოდ, მხო-
ლოდ ვაი შენი ბრალი, თუ კაცის შვილს გაუგია. ჩვენ შემთხვევით
გავიგეთ, თუ სად გაუტაცებიათ შენი შვილი.

იეხისკიელ. (წამოვარდება) ცოცხალია?

დანიელ. ჯერ ცოცხალია. ხოლო სიკვდილი მოელის თუ ჩვენ
არ გადავარჩენთ.

იეხისკიელ. ღმერთის გულისთვის, თორის გულისთვის, მიშ-
ველე იეხისკიელს, უბედურს, ამოწყვეტილს. გადამირჩინე ჩემი და-
ვიდი.

დანიელ. მე გადავარჩენ შენს შვილს. ხოლო აქ ანგარიშის
საქმეა. პირობა უნდა დაგიდო.

იეხისკიელი. რაც კი შეუძლიათ ჩემს გამხმარ ბებერ ძვლებს—
ყველაფერზე თანახმა ვარ.

დანიელ. შენ უნდა გადაარჩინო ჩვენი რჯულის სახელი. ხო.
შენი თვალთ დაინახე, რომ იმ ურჯულოებმა გასტებეს წმინდა
შაბათის დღე და დღეს ჟინაზე მუშაობენ.

იეხისკიელ. ნეტავი არ მოსწრებოდა ჩემი თვალები ამას.

დანიელ. შენ უნდა დაათასო ღმერთის სახელი. დავიდის გა-
ტაცებისათვის, შაბათის შეურაცხყოფისათვის, ჩვენი რჯულის გა-
ბიაბურებისათვის — შენ უნდა გადაუხადო იმათ სამაგიერო.

იეხისკიელ. ბრძანე, რა უნდა ვქნა.

დანიელ. ეხლა საუკეთესო დროა. კოლექტივში ერთი კაცი
არაა. მუშაობა გათავებულა. ეხლა შეიძლება ანგარიშების გასწო-
რება. ეხლა შეიძლება ერთბაშათ ჯავრის ამოყრა.

იეხისკიელ. რა უნდა ვქნა?

დანიელ. ცეცხლი. ცეცხლი. ცეცხლი. გესმის? წაილე ერთი.
ბოთლი ნავთი და მოასხი მთელ მინდვრებს. მოასხი საქათმეს. მო-
ასხი ბოსელს. ერთ და იმავე წუთში ას ადგილას უნდა იფეთქოს.
ცეცხლმა, რომ უცბად განადგურდეს ყველაფერი: მოსავალიც და
შენობებიც. საქათმეში — კანტორა მოუწყვიათ. იქ ფულია, იქ ან-
გარიშის წიგნებია. ყველაფერი უნდა ცეცხლში შთაინთქას. შენ კი
იქ ახლოს უნდა იტრიალო, დაგიქერენ და იტყვი, რომ ეს დაგა-
ვალა მეირამ. გესმის? ჯერ ყველაფერი უნდა გადასწვა და მერე უნდა
დაბრალდეს მეირას, ყველა ასე იტყვის, ფულები გაფლანგა, ანგა-
რიშები აურია და ბოროტმოქმედების კვალის დასათარავად — ცეც-
ხლი გააჩინაო. (ყველანი გულის ფანტქალით შესცქერიან იეხისკიელს, რომ-
ელსაც შუბლიდან სდის სიმწრის ოფლი).

იეხისკიელ. დღეს ხომ შაბათია. ცეცხლის გაჩენა არ შეიძლება.

დანიელ. სულელო, ღმერთის სახელისათვის ყველაფერი შეიძლება. (პაუზა) შენ კი ნუ გეშინია, ციხიდან მალე გამოგიშვებენ, სამაგიეროდ შვილი დაგიბრუნდება, კოლექტივი კი დაინგრევა. მე ვექსილებს დაგიხევ და მაშინ დიდ საქმეს მოგცემთ — ორივეს. რას იტყვი?

იეხისკიელ. (მძიმედ) თანახმა ვარ.

დანიელ. (გადმოიღებს ძველ დამტვერილ დიდ თალმუდს) შემომფიცე ამაზე, რომ არ მიღალატებ.

იეხისკიელ. ვფიცავ ამ წმინდა თორას, რომ არ გიღალატებ. ეხლა შენც შემომფიცე, რომ დავიდს არაფერი დაუშავდება.

დანიელ. ვფიცავ. (პაუზა) გაფრთხილებ, არ გადარჩეს არც ერთი ანგარიშის საბუთი, არც ერთი ყავარი, არც ერთი პურის მარცვალი.

იეხისკიელ. მივდივარ. მშვიდობით.

დანიელ. მშვიდობით. ღმერთმა გაგიმარჯოს. გახსოვდეს, თუ ერთი საათის შემდეგ ამ ფანჯრებიდან არ დავინახეთ დიდი ხანძარი, მაშინ შენს დავიდს ყაჩაღები მოჰკლავენ. (იეხისკიელი გადის. პაუზა. შემდეგ როცა მიწყდება მიმავალი ნაბიჯები, სცენაზე მყოფთაგან ისმის ერთი საერთო სიხარულის ხმა, უფრო—ველური პირუტყვის ღრიალისებური).

მირიამ. (გამოჩნდება შუაგულ კარებში. დგას უძრავად) სად არის მამაჩემი?

დანიელ. რა შენი საქმეა?

მირიამ. სად არის მამაჩემი?

დანიელ. საქმეზე წავიდა. მალე მოვა.

მირიამ. სად წავიდა მამაჩემი?

დანიელ. არ ვიცი.

მირიამ. (ხმას აუწევს) მე თქვენ გეკითხებით: სად გაგზავნეთ მამაჩემი?

დანიელ. აქ შემოსვლის უფლება შენ არ გქონდა. ამ წუთში დაბრუნდი შენს ოთახში.

მირიამ. (შემოდის შუაგულ სცენაზე) სად არის ჩემი ძმა? სად არის მამაჩემი?

იოხაბედ. დაგწყევლა ღმერთმა, რამ გაგაგიჟა ქალო.

ყაზარია. ძლივს არ ამოიღო ამ მუნჯმა ხმა.

მირიამი. ეს იყო მაშინ, როცა არაფერი მესმოდა, მისი ოქროს სიტყვები კი სამუდამოდ შევიწინა: „ჩვენ ყველანი გაგვაგიჟეს. გესმის, ჩემო მირიამ! ვისაც დღემდე ხმა არ ამოუღია — ყველანი

გიჟები ვართ. მუნჯები ვართ — ამიტომაც გიჟები ვართ. განა მარტო მამაშენია ყურმოჭრილი მონა დანიელ შათარაშვილისა? ჩვენ ყველანი ვართ მისი ყურმოჭრილი მონები“.

დანიელ. მირიამ შათარაშვილო, შენ მართლა გაგიჟებულხარ.

მირიამ. არა. მე შათარაშვილი არ ვყოფილვარ არც ერთი წუთით. მე გამათხოვეს ძალათი, ჩემი ნების გარეშე. მე მიყიდეს შათარაშვილებმა უბრალო თიხის ჭურჭელივით.

დანიელ. რა გნებავეს, დედაკაცო?

მირიამ. მე მინდა ვნახო ამ წუთში მამაჩემი.

დანიელ. დაწყნარდი, ქალო.

მირიამ. ჩემი დაწყნარების დრო გათავდა. მომეცით ეხლავე მამაჩემი!

დანიელ. საიდან მოგართვათ?

მირიამ. არ გინდათ მითხრათ სად წავიდა? არ გეყოფათ, რაც მსხვერპლი შეიწირეთ? ჩემი თავი თქვენ დაჰლუბეთ, ჩემი ძმის დაკარგვაც, ალბად, თქვენი საქმეა და ეხლა მამაჩემიც გინდათ მოინელოთ? კმარა, შათარაშვილებო, მსხვერპლი! გეყოთ ჩვენი სისხლი, თქვე გაუმაძღვრებო!

ხარიტონ. ზებო. დაწყნარდი, მირიამ!

ყაზარია. ჩემო ცოლო, რა მოგივიდა?

იოხაბედ. მე ხომ თავშივე შეგატყე, რომ კუდიანი იყავი.

დანიელ. არა უშავს, მირიამ. დაწყნარდი. დავიდი, ალბად, გამოჩნდება. გასაგებია. ძმის უბედურებამ იმოქმედა შენზე ასე ძლიერ. წადი ეხლა შენს ოთახში. მოისვენე. მალე ალბად გავიგებთ რამეს.

მირიამ. ხმა არ მინდა გავიგონო თქვენი. მეჯავრებით, მეზიზღებით. მდიდრები ყოფილხართ წურბელები, სისხლის მწოვები, ტყის მხეცები.

დანიელ. ნუ ყვირიხარ, მირიამ. ქვეყანა შეიტყობს.

მირიამ. მეც ეს მინდა. დე შეიტყოს ქვეყანამ. მე ვიყვირებ, რაც დრო გავა უფრო და უფრო. თქვენ არ გინდათ მითხრათ, სად არის მამაჩემი? ნუ იტყვით. მე ჩემით მოვნახავ. (აპირებს გასვლას).

დანიელ. (გადაეღობება. სხვებიც წამოხტებიან). ბალშევიკების ჯავრს შენზე მაინც ამოვიყრი. (წაუჭერს ყელში და სურს მოახრჩოს, მაგრამ ამ დროს მირიამი გაუსხლტება ხელიდან და მაგიდიდან აიტაცებს დიდ, შვიდსანთლიან შანდალს)

მირიამ. ვინც ახლოს მომეკარება, თავს გაუხეთქავ ამ შანდალით. (თმა აწეწილია, სიგიჟის პირსაა). გამიშვით, თქვე მხეცებო. მე აღარ მინდა ვიყო თქვენს ოჯახში. მე იქ წავალ, სადაც დედაჩემია, სადაც ჩემი ძმა იყო, სადაც თქვენთვის საშინელი მეირია თავმჯდო.

მარედ... ჩემი გზაც იმ ლატაკებთანაა. მე არაფერი არ მაქვს თქვენ-
თან საერთო. (ისვრის შინდალს) აი თქვენი ტანსაცმელი, აი თქვენი-
ნივთები (იგლეჯს ტანისამოსს, ისვრის საყურეებს, ბეჭდებს, გადააბრუნებს მა-
გიდას და გავარდება ფანჯრიდან ყვირილით). მხეცებო, მხეცებო...

3

პირველი სურათის სცენა. ამართულია რამოდენიმე ზვინი. მინდორზე არა-
ვინ არის. ჩამავალი მზის სხივების ბრწყინვალეობა ისახება პურის თავთავებზე.
ფეხაკრეფით შემოიპარება იეხისკიელი, იცქირება აქეთ-იქით, შემდეგ ისვენებს,
ჩოხით ოფლს იწმენდს, ხელში უჭირავს ანთებული კრაქი და ბოთლი ნავთი-
ისმის მისი გახშირებული სუნთქვა.

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. აი ეს, სადაც მე ფეხი მიდგამს — არის კოლექ-
ტივი. ეხლა არის, ერთ საათში კი აღარაფერი არ იქნება... ოი,
რიბონო შელ ყოლამ, რა ხდება ქვეყნიერებაზე — თავი ჯარასავით
ტრიალებს და აღარაფერი არ მესმის... მე შევსვი ამ ცხოვრების
სიმწრის ფიალა ბოლომდე და არავინ, არავინ, არავინ არ შემხვედ-
რია მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომ ერთი წუთით მაინც ტკი-
ვილები დაეამოს... საით წავიდე... სადა ხარ, შენ ღმერთო აბრაამი-
სა, ისხაკისა და იაყაკობისა, ღმერთო იეხისკიელ ყვითელაშვილისავ,
ღმერთო ღარიბებისა და ჩემისთანა ლატაკებისავ, სად არის შენი
ტახტი სიმართლისა, რატომ არ გესმის უსამართლობის ხმა, რატომ
არ შეჰმუსრავ ცოდვილ მსოფლიოს? ოი, ყველამ მოიცალეთ ჩემთვის,
ყველანი მე ჩამცივებიხართ, ყველანი მე მახჩობთ, დიდი და პატარა,
ცოლი და შვილი, მდიდარი და ღარიბი, ზეცა და დედამიწა, ღმერთი
და ადამიანი... ო, იყავით წყეული და ათასჯერ კრული ყველა შავბნე-
ლო ძალებო, ვინაიდან ჩემთვის ყოველივე შავბნელია. მისმინეთ:
გწყევლი შენ, დანიელ: შათარაშვილო, რომელიც ზიხარ ფუფუნება-
ში და იხრჩობი სიმდიდრეში, როგორც სიბინძურის წუმბეში, გწყევ-
ლი, შენ, ჩემო ცოლ-შვილო, რომელიც მომეველინე დაუსრულებელი
ტანჯვა-წამებისათვის, გწყევლი შენ, ქვეყნიერებავე, რომელიც მატა-
რებ შენს ზურგზე, როგორც საცოდავ ჭიანჭველას, რომლის გასრესა
შეუძლია ყოველ მასზე კიდევ უფრო პატარა სულდგმულს და ქვემ-
ძრომს და გწყევლი შენ... ღმერთო აღონაივ, რომელსაც აღარა
აქვს ძალა გაუწიო ბატონობა დედამიწას. მაგრამ არა, არა, არა,
ეს რა ვსთქვი, მომიტევე აღონაი, არ ვიცი, რისთვის მემართება,
რომ მუდამ ენა ლაპარაკობს ჩემს მაგივრად. აღონაი! ჩამაგდე საკი-
რეში, ჩამაგდე გეინამის გავარვარებულ ცეცლში, მომიკიდე ძვლებ-
ში და ხორცში, დასწვი ჩემი სისხლი და ჩემი სუნთქვა, ამოაგდე

ძირიანად ჩემი მოდგმა, რადგან მეტის ატანა აღარ შეიძლება, აღარ შეიძლება, აღარ შეიძლება... (დაეცემა მიწაზე, დიდი პაუზა. შემდეგ ნელნელა დგება) იმისათვის, რომ ჩემი დავიდი დაჰლუბეს, იმისათვის რომ ჩემი ცოლი გადამირიეს, იმისათვის, რომ ისრაელის რჯულს წიხლი ჰკრეს, იმისათვის, რომ აამსუბუქეს წმინდა შაბათის დღე — ყოველივე ამისათვის... აღონაი, ღმერთო, მაპატივე შაბათ დღეს ცეცხლის გაჩენა. შენი სახელის გათელვას ვერ შევარჩენ ადამიანის შვილებს. (ასხამს გარშემო ნავთს) ეხლა ერთი შენთება და დაიწყება. უცბად... უცბად გადაიწვის ყველაფერი, როგორც დანიელ შათარაშვილს ჰსურს... იმას ეშინია ანგარიშის ქალაქები არ გადარჩეს... ნუ სწუხარ... აი მზეც ჩადის... ვინ იცის ჩემი დავიდის მზეც ჩავიდა და ეხლა ჩემი რიგი დადგა. მაშ შეიძლება მეც დავიწვა ამ ცეცხლში? ასე აჯობებს. მაშინ აღარ დამჭირდება ტყუილ-უბრალოდ მეირას ხელი დავადო... ღმერთო, აღონავ! მისმინე, არ გადამარჩინო! (უახლოვებს კანკალით კრაქს ნავთდასხმულ ადგილებს. უკანასკნელ წუთს შემოვარდება მირიამი, წაავლებს კისერში ხელს, წამოაყენებს და შეჰყვირებს).

მ ი რ ი ა მ. მამა! რას აკეთებ აქ?

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. ჩემი ცოდვით ვასველებ მიწას. ცოდვილ ქვეყანას ცეცხლს ვუჩენ.

მ ი რ ი ა მ. (ხელიდან გამოსტაცებს კრაქს და სანათს. აქრობს)

შე საბრალო მამაჩემო, ნუთუ კიდევ გაგაგიჟეს?

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. რას შვრები, შვილო! ჩქარა მომეცი, აღარ შეიძლება არც ერთი წუთის დაყოვნება, თუ ეხლავე ცეცხლი არ გაჩნდა — ისინი დავიდს მოჰკლამენ.

მ ი რ ი ა მ. (შეჰყვირებს) მოჰკლან.

ი ე ხ ი ს კ ი ე ლ. რას ამბობ, შვილო? დავიდი უნდა მოჰკლან?

მ ი რ ი ა მ. ჰო, მოჰკლან. კიდევ ერთი მსხვერპლი და გათავდება ამით. შე უბედურო მამაჩემო, ნუთუ ისე დაჰკარგე ჭკუა, რომ შენ, პატროსანი ღარიბი, დასთანხმდი ამისთანა საზიზღარ და საშინელ საქმეზე? შენ იცი, უბედურო, რას შვები? რაც ღარიბი ისრაელებია, ყველანი კოლექტივის წევრები არიან. შენ გინდა ამოსწყვიტო ამდენი ხალხი, შენ გინდა გადასწვა მათი სისხლით და ოფლით შენაძენი მოსავალი, შენ გინდა ცეცხლს მისცე მათი წვალეებით აშენებული შენობები, შენ გინდა დაანგრიო ის დიდი საქმე, რომელსაც მსხვერპლად ეწირება ჩვენი ძვირფასი დავიდი. ამის შემდეგ — რა გეთქმის? სად არის შენი გზა? ამ საცოდავ ღარიბებთან, რომლებმაც დაამსხვრიეს დანიელ შათარაშვილის მონობის უღელი, თუ იმ სისხლისმწოვებთან, რომლებმაც ჩვენ ყველანი მიგვიყვანეს ამ დღემდე?



იეხისკიელ. კოლექტივმა ღმერთი დაჰკარგა.

მირიამ. ტყუილია, მამაჩემო. რაც არ ჰქონიათ, რა უნდა დაეკარგათ.

იეხისკიელ. ვაიმე, შეილო, აღარც შენა გწამს ღმერთი?

მირიამ. ღმერთი თუ არის, მაშინ რაზე ითმენს ქვეყნად ამდენ უსამართლობას? რაზე გადაგაქცია იმ ღმერთმა, შენ, პატიოსანი კაცი, უპატიოსნო კაცის ყურმოჭრილ მონად, საზიზღარი საქმის შემსრულებლად, ჩვენი ღარიბი ისრაელობის ამომწყვეტლად?

იეხისკიელ. კმარა, შეილო. აღარ შემიძლია ვისმინო შენი სიტყვები.

მირიამ. იმიტომ, რომ შენ პატიოსანი კაცი ხარ და სინდისი გქეჯნის. მოეშვი ამ საზიზღარ საქმეს. წამოდი ჩემთან.

იეხისკიელ. არა, არ შემიძლია. მე შევფიცე.

მირიამ. ვის?

იეხისკიელ. დანიელ შათარაშვილს.

მირიამ. შენი ფიცი—ეს იყო იძულება და ძალდატანება. წამოდი, მამაჩემო.

იეხისკიელ. არ შემიძლია. მე ჩემს თავს არ ვჩივი. მე დე ამ ცეცხლში დავიწვა. მხოლოდ დავიდი-კი გადავარჩინო.

მირიამ. მამაჩემო! უკანასკნელად გეუბნები: წამომყევი.


იეხისკიელ. არა. ხელს ნუ მიშლი. დრო მიდის. მომეცი აქედგერება და სურს გამოსტაცოს ჭრაქი და ასანთი, მაგრამ მირიამი იბრძვის გააფთრებით და არ ანებებს.

მირიამ. (ჰყვირის) შეჩერდი, მამაჩემო! არ დაგანებებ. ვიდრე ცოცხალი ვარ, შენ ამას არ იზამ. ეი, ვინა ხართ მანდ, გაიგონეთ ჩემი ყვირილი, გაიგონეთ ჩემი ძახილი. მო-დით, მო-მეშ-ვე-ლეთ, მშრომელო ებრაელებო! სად ხართ? თქვენს ნაშრომს და ნაოფლს უბირობენ განადგურებას დაბრმავებული ადამიანის ხელით. ეი, დედაჩემო! ნაყომი, ქალებო, კაცებო, დიდებო, პატარებო, მეირ, მეირ, მეირ, კოლმეურნეებო, ხალხო, ქვეყნიერებაგ — ყური მიგდეთ — გაიგონეთ — უბედური მირიამის სუსტი ხმა: მოდით, მოდით, მომეშველეთ! (აჩქარებული შემორბიან კოლმეურნენი, მათში ნაყომი, იშაი, მეირი. შემოებევევიან სცენაზე მყოფთ. აღელვება და მოუსვენრობა ყველას სახეზე).

მეირ. მირიამ, შენ? რა ამბავია? რალა მოხდა?

მირიამ. მოვიდა დრო და ხმა ამოვიღე. წინედ მამაჩემი ლაპარაკობდა ჩემს მაგივრად. ეხლა მე ვლაპარაკობ მის მაგივრად. ჰხედავთ მამაჩემს? იგი მოვიდა თქვენთან და თავის ცოლთან. იგი ითხოვს პატიებას წარსული ურჩობისათვის. თქვენს წინაშე მას მიუძღვის ბევრი დანაშაული. იგი მუხლმოდრეკით გვედრებათ ყველას — აპატივით მას ყველაფერი და მიიღოთ კოლმეურნეობაში. გეს-

მის, ამხანაგო თავმჯდომარევ, იეხისკიელ ყვითელაშვილი თავისი-
ქალიშვილი მირიამით ამიერიდან შემოდინ კოლმეურნეობაში,
კოლმეურნენი. ვაშა მირიამს!



იშაი. (იეხისკიელს) იეხისკიელ, ჩემს გვერდით. მოდი დამიმშვენე
მოხუცი მხრები. ნაყოში, შენცნუ გრცხვენია, ქალო, მოუახლოვდი
შენს ქმარს. ეხლავე ჩვენი თავმჯდომარე გვაჩვენებს სასიამოვნო
ამბებს.

მეირ. დღევანდელი დღე — ეს ჩვენი შრომის და ბრძოლის
დაგვირგვინებაა. გამარჯვება — გამარჯვებაზე. აბა თქვენ, ყვითე-
ლაშვილების ოჯახო და ყველა კოლმეურნენო, გახედეთ ამ სურათს,
დაუკვირდით კარგად. სურათი პირველი: ჩვენი კლასობრივი მტრე-
ბი — დანიელი, ყაზარია, ხარიტონი, ზებო — მიდიან თავიანთი გზით...
გამასწორებელი სახლისაკენ.

(კინო. წითელ-არმიელებს მიჰყავთ სათითაოდ ჩამოთვლილი პირები) სურა-
თი მეორე: რაიადმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ მიხას და ჩვენ-
თვის მეორე არა ნაკლებ ძვირფას ამხანაგ ვარლამს მოჰყავთ ჩვენი
ძვირფასი კოლმეურნე-დავიდი. (ტაში. აღნიშნულ პირებს მოჰყავთ დავი-
დი. მშობლები, კოლმეურნენი, ამხანაგები, მირიამი, მეირი — ყველანი ეხვევიან)

იეხისკიელ. დავიდ... ჩემი დავიდი... მირიამ... ნაყოში...
იშაი...

მირიამ. მესამე სურათს კი მე გიჩვენებთ. აი, ამხანაგო თავ-
მჯდომარევ, ჩემი ხელი. დე გახმეს იგი, თუ უკანასკნელ ამოსუნთქვამ-
დე მან შენთან ერთად არ იბრძოლოს მშრომელთა ხელისუფლე-
ბის განმტკიცებისა და ქვეყნად კოლექტიური ცხოვრების დამყარე-
ბისათვის.

ფ ა რ დ ა

თბილისი, ოქტომბერი, 1931 წ.



ქართული
ბიბლიოთეკა


ივანე ჩიქინაშვილი

ბრატულია 4 მოკმ. 13 სურ.



მოქმედი პირნი

1. იცკა რიჟინაშვილი.
 2. იოსებ
 3. სიმხა } იცკას მშობლები. მამა 55 წლის; დედა 45 წლის.
 4. ლია. იცკას და, 17 წლის
 5. ისაკი. იცკას ძმა, 16 წლის, ნოქარი
 6. მერი კაციტაძე. 18-19 წლის, დაბლა სართულის მდგმური
 7. სიმანტოზი. იცკას ღარიბი ბიძა, 50 წლის — ცნობისმოყვარე
 8. ხანანია. იოსების ბიძა, მდიდარი, 60 წლისა
 9. რაბი შალომ. ქუთაისის ებრაელთა მთავარი რაბინი
 10. სიფორია. მეზობელი, მეჭორე დედაკაცი
 11. ზეხარია. მოხუცი, ბრმა ებრაელი
 12. დადაშ ცნობილაძე
 13. სერგო ნაჭერალელი
 14. იური ომნერიუსი
 15. ვალოდია მაიაკოვსკი. 12 წლის
- } იცკას მეგობრები
-
16. ალიოშა
 17. იასონი
 18. ლადი
 19. ნიკოდიმე
- } ლეიპციგის უნივერსიტეტის ქართველი
სტუდენტები, იცკას მეგობრები
20. ფრაუ მეკელ. ლეიპციგში მყოფ ქართველ სტუდენტთა „დი-ასახლისი“
 21. იეხიელ ჩიკვაშვილი. იცკას მეგობარი, სტუდენტი
 22. ამბროსი ლომისელი. მუშა — ბოლშევიკი
 23. ბიქტორ თავდგირიძე. მენშევიკი
 24. ლადო მესხიშვილი. ცნობილი არტისტი
 25. მოხუცი ნადელი. მორწმუნე რუსის ებრაელი, პატარა სა-სადილოს პატრონი



- 26. ასია. მისი ქალიშვილი, 16 წლის
- 27. ივანოვი. ჯარისკაცი, სასადილოს სტუმარი
- 28. ემელიანოვი. რეალური სასწავლებლის დირექტორი
- 29. მატვეევი. მღვდელი, ღვთისმეტყველების მასწავლებელი
- 30. სუმასბროდოვი. რუსული ენის მასწავლებელი
- 31. აზნაური იაშვილი.
- 32. ანტონენკო. პოლიცმეისტერი
- 33. ელჩიბუკოვი. პრისტავი
- 34. დობრჯანსკი
- 35. აბრამია ხანაშვილი } გოროდოვოები

შ ა ს ა:

ჯარისკაცები, ყაზახები, პლასტუნები, გიმნაზიელები, სტუდენტები, აზნაურები, მუშები, გლეხები, ნოქრები, ებრაელები.

მოქმედების დრო: 1904, 1905, 1906 წლები

მოქმედების ადგილი—ქუთაისი-ლეიპციგი-ქუთაისი.



მოქმედება პირველი

სურათი პირველი — „რა გვესაქმება მანჯურიაში?“
სურათი მეორე — „შენ მოერევი რუსის ხელმწიფეს?“
სურათი მესამე — „მრისხანე გრიგალი თავს დაგვეტრიალებს...“

მოქმედება მეორე

სურათი მეოთხე — „სამშობლოსაკენ, ბარიკადებზე!“
სურათი მეხუთე — „იანვარში უნივერსიტეტი არ იხურება...“
სურათი მეექვსე — „ვინ მოიყვანა ელჩიბეკოვი სინაგოგაში?“

მოქმედება მესამე

სურათი მეშვიდე — „არტისტი და მოქალაქე“
სურათი მერვე — ცეკაუზის გასაღები და ადამიანის ნილაბი.“
სურათი მეცხრე — რა არის დაეჭვება — სიმართლის ძიება თუ
სულმოკლეობა.
სურათი მათე — როცა ღამით ქუთაისში ატირდნენ ზარები.

მოქმედება მეოთხე

სურათი მეთერთმეტე — მრავალნაირია ქვეშევრდომი „მისი უდიდეს-
ბულესობის“ იმპერიაში...
სურათი მეთორმეტე — ვინ რას გლოვობდა ცხრა აბის ღამეს?
სურათი მეცამეტე — „ჯამი სიტყვების ტყვიებად გადაქცევისა...“



მოქმედება პირველი

სურათი პირველი

„რა გვეხაქმება მანჯურიაში“

1904 წლის პირველი თვეები. ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოწაფეთა საერთო დარბაზი. სცენაზე შემოდის რუსული ენის მასწავლებელი და მეშვიდე კლასის დამრიგებელი—სუმასბროდოვი. იგი 50 წლისაა, ტიპიური რუსი ჩინოვნიკი, სათვალეებით, გამობერილი თვალებით, გრძელი უღვაშებით და მკაცრი გამომიტყველებით. ათვალეურებს კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს და დილინებს.

სუმასბროდოვი. Спаси господи люди твоя. მალე დაიწყება პარაკლისი, მოწათენი კი იგვიანებენ... (დახედავს საათს) ჰმ... არა. ჯერ კიდევ ნახევარი საათი დროა. (სურათების მიმართულებით) ყველაფერი რიგზეა... გაწმენდილი, გასუფთავებული... ჰმ... Спа-си ГОС-ПО-ДИ... (გადის. მეორე კარებით შემოდის დადაშ ცნობილადე და სერგო ნაჭერალელი).

სერგო. აქ მარტონი ვართ?

დადაშ. ვინ მოგახსენა? შეხედე, რამდენი იმპერატორია?

სერგო. (დიდი სიფრთხილით) მიიღეთ, დადაშ?

დადაშ. მივიღეთ ლენინის ბროშურები. ლენინი გამოსულა „ისკრა“-ში რომ იცოდეთ სერგო, რა წერილებია, ნაპერწკალი კი არა და ცეცხლია, კოცონი. მთელი ღამე ვიჯექით მე და იცკა, ვწერდით „თანამედროვეს“. მერი და ლია ამრავლებდნენ. ამ დილას ჩამოურიგეს სასწავლებლებს. ასე რომ... (შემორბის იური ომნერიუსი).

იური. მაშ ეს მოხდება დღეს, უსათუოდ? ო, რომ იცოდეთ მეგობრებო, გული საგულეში აღარ დგება, გული ღამობს სიხარულით ამოვარდეს, გული, ე, ეშმაკსაც წაუღია გულიც, მეშვიდე კლასიც... ასე მგონია... ასე მგონია...

დადაშ. რა გგონია, იური? (პაუზა) ტყუილად ნურაფერი ნუ გგონია. იქნება აქედან ყველანი ციხეში წავიდეთ.

იური. დე, წავიდეთ ციხეში. დე ჩვენი ახალგაზრდა ნორჩი სხე-
ული ამოაღბონ უკუნეთის ჯურღმულებში... ჩვენ ყველგან შევცა-
ხებთ „მშიერ ხალხს ხელი ჩვენ გავუწოდოთ“... ასე მგონია... ასე
მგონია...

სერგო. მოიცა იური, იცკა რა იქნა?

იური. კლასიკურ გიმნაზიასთან შეხვდა პატარა ვალოდიას.
გადასცა მასალები. მალე მოვა. აი ისიც.

შემოდის იცკა 18-19 წლის ახალგაზრდა. საშუალო ტანის, გამზდარი, წაბლის-
ფერი თმა, დიდი შუბლი, ნაცრისფერი თვალები სიღრმეში წასული, აცვია ლა-
რიბულად, ქამარი ფორმით. ილღიაში—წიგნები, ქამარში—წიგნები, ხელში—წიგ-
ნები, ჩასცქერის ერთ-ერთ წიგნს, ამხანაგების დანახვისას დაკეცა, მიუახლოვდა,
ხელი ჩამოართვა.

იცკა. ვკითხულობდი ჯონ სტუარტ მილსს. ახირებული მეც-
ნიერია. (დაღაშს) იცი, შენ, დადაშ?... თავის თავს დავით რიკარ-
დოს მიმდევრად სთვლის, ხოლო როცა კითხულობ, კითხულობ და
სათუძვლიანად ერკვევი, ვფიცავ დედას, არაფერი საერთო მილს
რიკარდოსთან არა აქვს.

სერგო. ნეტავი შენ იცკა, ამნაირ საპასუხისმგებლო დღეს
რიკარდო რომ არ გავიწყდება?

იცკა. იცკა დიახ, დღეიდან იცკა. აბრამი აღარ მქვია. ხომ ყვე-
ლამ იცით. (პაუზა) იცი, შენ, დადაშ?... შენ რომ დაგცილდი, ცო-
ტა ხნით ავირბინე გელათის ქუჩაზე. დილაადრიანად გული მომიკლა
მოხუცებული ებრაელი ქალის ტირილმა. გუშინ მისი შვილიც გაუ-
გზავნიათ და რა საოცრად მოსთქვამდა: „ვაიმე, შვილო, სად გაუწე-
სებიხართ... რა გვესაქმება მანჯურიაშიო?“... დედას ვფიცავ, ცრემ-
ლები მომადგა თვალებზე და გავიფიქრე... ის რაც ჩვენ გვინდა,
ჩვენს პარტიას, ჩვენს ლენინს, ის რაც გუშინ ჩვენ წავიკითხეთ — ის
ხომ უებარი წამალია ამ ღარიბი მოხუცი ქვრივისათვის და არა მარ-
ტო მისთვის, ასე ათასი სხვა დედებისათვის...

დადაშ. შენის აზრით, იცკა, სუმასბროდოვი თავის ოფოფებს
არ ააფრენს კუროპატკინის „გმირობის“ შესახებ?

იცკა. ვფიცავ დედას, თუ დირექტორი დაესწრო მალეზნი-
ას, ხმა ჩაუვარდება—არაფერი შემცდესო, ხოლო თუ მარტო მეშვი-
დე კლასები დაგვიხელა, მაშინ, ალბათ, გააღებს პირს და მანჯურია-
ში ჩასვლამდე არ დახურავს...

იური. პორტარტური. ვლადივოსტოკი. კორეია. იალუ. დამარ-
ცხებას გამარჯვებად გადააქცევს და ყველაფერს კუროპატკინს მი-
აწერს.

იცკა. ზოგიც ოიამას ჰკითხოს... იცი, შენ, დადაშ? აკაკი წე-
რეთელს გურული ნანინა დაუწერია. ვილაცყებს მოტივიც გამოუ-

წყვიათ და წუხელის ბულვარზე მღეროდნენ: „გაიზრდები, სხვა იქნები, ოი ამას ვენაცვალე...“ ვფიცავ დედას, ისე კარგად მღერიან, რომ პოლიცმეისტერი უსათუოდ ნალველზე უნდა გასკდეს. შემოდინა მეშვიდეკლასელები, რეალურ სასწავლებლის ფორმაში გამოწყობილნი, და ერთმანეთს თვალებით ანიშნებენ. მათ უკან შემოჰყვებათ სუმასბროდოვი, რომელიც განგებ ჩაახველებს მოწაფეთა ყურადღების მისაქცევად. ჩამოვარდება სიჩუმე

სუმასბროდოვი. ყელაფერი რიგზეა... გაწმენდილი, გასუფთავებული... ხოლო თქვენ არწივებო, მზად ხართ?... პარაკლისს დაესწრება დირექტორი, ინსპექტორი, ღვთისმეტყველების მასწავლებელი. ვიდრე მოგიყვებოდეთ კუროპატკინის საგმირო საქმეებს, კეთილი ინებეთ და მიპასუხეთ... თქვენ, რეალისტო აბრამ რიჟინიშვილო... ამოარჩიეთ ლექსი, რომელიც უნდა შეეფერებოდეს ჩვენი დღევანდელი დიდი რუსეთის სახელოვან ომს? (შემოდინა მოწაფენი და დარბაზი თანდათან ივსება).

ი. ც. კ. ა. დიახ, ბატონო მასწავლებელო, თუ ნებას მომცემთ მოგახსენებთ (სუმასბროდოვი თავს აქნევს).

„ამომჭრის ენას, როცა მოვკვდები
ბოროტი მტერი ხელულმობელი,
იმის შიშით, რომ საიქიოდან
მე არ დაგბრუნდე ცუდისმგმობელი“.

სუმასბროდოვი. (გაფითრებული) ეს... ეს... რას ნიშნავს? ვინ არის ავტორი?

ი. ც. კ. ა. ჰენრიხ ჰაინე... რისთვის ცხარობთ, ბატონო მასწავლებელო, თქვენ ისეთი უფერული ეპოქა მომეცით... ვერაფერი ამოვარჩიე... თუ ნებას მომცემთ, მოგახსენებთ პუშკინიდან...

სუმასბროდოვი. (მოთმინებიდან გამოსული) ხმა ჩაიკმიდე, ურიავ... თქვენთვის ცოტაა პროცენტული ნორმა... კიშინოვი კიშიაი რა გინდათ თქვენ... ვინ მოგცა შენ, ლაწირაკს, ასეთი თავხედობა, პუშკინი მაღლა დააყენო კარამზინზე?

ი. ც. კ. ა. იცით თქვენ, ბატონო სუმასბროდოვი... ვფიცავ დედას, მე სიმართლეს ვამბობ... ყოველ ერს ჰყავს თავის საამაყო პოეტები: გერმანიას—გოეთე და ჰაინე, რუსეთს—პუშკინი და ლერმონტოვი, საქართველოს—რუსთაველი და ბარათაშვილი.

სუმასბროდოვი. (ცოფებს ჰყრის) რუსთაველი... ბარათაშვილი... შენ, გლახა ლარიბო, ლაწირაკო, ურიავ, საიდან იცი ამნაირი უცნობი პოეტები?

ი. ც. კ. ა. ისინი უცნობი არ არიან. მე წავიკითხე...

სუმასბროდოვი. წაიკითხე! რა ენაზე?

ი. ც. კ. ა. მშობლიურ ენაზე... ქართულ ენაზე...

სუმასბროდოვი. (ბრაზით) შენ, რეალური სასწავლებლის მოწაფე, რიჩინაშვილო, შენ... კითხულობ წიგნებს ძალღურ ენაზე? იცკა. (განრისხებული შეხტება სკამზე) იცი, შენ სუმასბროდოვ, ვინც პატარა ერების ენას უწოდებს ძალღურ ენას, დედას ვფიცავ, ის თვითონ არის ძალღი და... ათასჯერ ძალღი (მოწაფეების ტაში).

სუმასბროდოვი. ეს რა ამბავია? ბუნტია? მე თქვენ გიჩვენებთ...

ეხოში ხმაურობა: „Барабанщики на молитву“. შემორბიან დანარჩენი მოწაფენი. მათ შემოჰყვებათ დირექტორი, ინსპექტორი, ღვთისმეტყველების მასწავლებელი, სხვა მასწავლებლები. მოწაფენი შეგროვდებიან და გამოიკიმიებიან კედელთან

დირექტორი. (სუმასბროდოვს) ყველაფერი მზადაა?... ყველაფერი რიგზეა?

სუმასბროდოვი. (მრისხანებით გადახედავს მოწაფეებს, ხოლო გაუბედავად დირექტორს) დიახ, ბატონო დირექტორო... ყველაფერი მზადაა... ყველაფერი რიგზეა...

დირექტორი. მაშ ვასახელოთ და ვადიდოთ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა... დაემარცხებიოს მას ვერაგი იაპონელები და დიდი რუსეთის ყველა მტრები (ანიშნებს ღვთისმეტყ. მასწ.)

ღვთისმეტყვე. მასწ. (იწყებს)

Спаси господи люди твоя

и благослови состояние твое.

Победы благоверному императору


Николаю Александровичу...

ნელ-ნელა იწყება ბანი, მაგრამ ამ დროს იცკა დაუსტვენს, მას მიყვებიან დადაში, სერგო, იური და სხვები, გაისმის ირონიული: „Боже царя похорони“, შემდეგ ძახილი „ძირს“, „ძირს ომი“, ძირს თვითმპყრობელობა“. დამფრთხალი პედაგოგ-სონალი წინ წამოიწევს

დირექტორი. ბუნტი? არეულობა? მალეზნიას ჩაშლა? აცნობეთ პაპეჩიტელს, ნამესტნიკს, გუბერნატორს, პოლიცმეისტერს! მაცალეთ, გაგისწორდებით! ბალნებო, საჩქაროდ პლასტუნები, პლასტუნები! (გარბის. უკან მიჰყვებიან დამფრთხალი ინსპექტორი, ღვთისმეტყველების მასწავლებელი და ზოგიერთი პედაგოგი, სუმასბროდოვი დაბნეული დარბის წინ და უკან. მოწაფენი სტვენით და სიცილ-ხარხარით აცილებენ გაქცეულებს. შემორბის 12 წლის ვალოდია მაიაკოვსკი მკლავზე წითელი ბანტით, შეხტება მაგიდაზე).

ვალოდია. იცკა, დადაშ! დაიწყო, დაიწყო! დღეს მთელ ქუთაისში ჩაიშალა მალეზნია. ყველანი ქუჩებში გამოვიდნენ: ვაჟთა გიმნაზია, ქალთა გიმნაზია, ეპარქიალური სასწავლებელი და ზოგიერთები სემინარიიდანაც. აკრავენ პროკლამაციებს და გაჰკივიან „ძირს

ომი“, „ძირს თვითმპყრობელობა“. მეც გავკივი „ძირს“, „ძირს“ „ძირს“.



ი ც კ ა · ქ უ ჩ ე ბ შ ი, ქ უ ჩ ე ბ შ ი!

ვრლაც ჯადაიძრობს თავის წითელ ხალათს და სუმასბროდოვის ჯოხზე წამოაგებს დროშად. მოწაფენი გადიან ხმაურით. ვალოდია დგას ტრიბუნაზე და ცხვირსახოცით აცილებს.

ვ ა ლ ო დ ი ა. „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარე ბედის სამძღვარი, თუ აქობამდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!...“

ს უ მ ა ს ბ რ ო დ ო ვ ი. Спаси господи — ...მოიცათ, გავგიჟდები... აღარაფერი არ ყოფილა თავის წესზე და რიგზე... შენ ეი, პატარა მაჯლაჯუნავ... შენ განა პატიოსანი რუსის ბაღდადელი ლესნიკის ვლადიმერ მაიაკოვსკის შვილი არა ხარ?

ვ ა ლ ო დ ი ა. დიახ. გახლავართ ვლადიმერ ვლადიმერის ძე მაიაკოვსკი.

ს უ მ ა ს ბ რ ო დ ო ვ ი. მერე არ გრცხვენია ძაღლების ენაზე ლექსს რომ კითხულობ?

ვ ა ლ ო დ ი ა. რიჟინაშვილი ამბობს—ძაღლურად ლაპარაკობენ მხოლოდ ძაღლებიო. (გადახტება ფანჯრიდან).

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

„შენ მოერევი რუსის ხელმწიფეს?“

ცხრაასიანი წლების ტიპიური ორსართულიანი სახლი გაგარინის ქუჩაზე. სახლი დახურული აივნით, ზედ გადმოკიდებული ბუმბულით, ბალიშებით და დამპალი ბოძებით. ქვის გალავანში ჩასმულია ძველი ტიპის ხის კიშკარი. ეზოში — ბროწეულის ხეები. წინა პლანზე — იცკას მშობლების ბინა. მოზრდილი ოთახი, რომელსაც აქვს ყველა მხრით კარები. ღარიბი მოწყობილობა. ოთახის შუაგულში სასადილო მაგიდა. კუთხეში—იცკას მაგიდა უამრავი წიგნებით. კედლებზე არიან პაქოენის, მოსე წინასწარმეტყველის, ვილნოელი რაბინის „აგრაა“-ს სურათები. სასადილო მაგიდასთან ზის იოსები, წინ უწყვია ქალაღდები, კალამი ხან პირთან აქვს მიტანილი, ხან მძიმედ წერს. იოსებს აქვს პატარა წვერი, მეტად გამზდარია და გაცილებით უფრო ხნიერი მოჩანს, ვიდრე მისი ნამდვილი წლოვანებაა. ცხვირის წვერზე სათვალეები აქვს გაკეთებული. გამუდმებით ეწევა პაპიროსს. სიმზადგას პატარა განჯინასთან, რაც, ალბათ ბუფეტის მოვალეობას უნდა ასრულებდეს და ჭიჭებს რეცხავს. იგი 45 წლისაა, მაგრამ სახე მეტად მოხუცი აქვს. ამ სახეს ეტყობა არასოდეს ღიმილი არ მიჰკარებია. ხშირად ოხრავს და იცქირება კარებისკენ. დროგამოშვებით გადახედავს ხოლმე თავის ქმარს, ერთხანს შეაჩერებს მასზე ყურადღებას, მერე ისევ ჭიჭების რეცხვას უბრუნდება. ბუხარში ელავენ უკა-

ნასკნელი ნაპერწკლები. გარეთ ღამდება. სიმხა აანთებს ორ პატარა ლამუას. ერთი ქმარს დაუდგამს, მეორეს — შვილს მაგიდაზე.

იოსებ. (თავაუწევლად) შვილებმა დაიძინეს?

სიმხა. დაიძინეს. რალა მიშავს. პატარებმა დაიძინეს, დიდები კი ჯერ არსადა ჩანან. (პაუზა. იოსები განაგრძობს წერასა და ფიქრს. ცოლს ყურადღებას არ აქცევს). აბრამს ვენაცვალე. ადგა თუ არა დილასვე წამოავლო წიგნებს ხელი და გამაფრთხილა, დღეს შეიძლება სადილად ვერ მოვიდეთ, შეიძლება ამაღამაც დავიგვიანოთ და არაფერი იდარდოთ, მეშვიდე კლასში ბევრი საქმეები გვაქვსო. (პაუზა) მერე კიდევ აწი მე აბრამი აღარ მქვიაო. ვინც მოიკითხოს იცკა სახლშიაო — მარტო ის მამოუშვი სახლშიო.

იოსებ. (გაოცებით სათვალეები გაისწორა). მექუდე იცკას სახელი დაირქვა — აი ხელები რომ უკანკალებს? ყო-ო-ჩაღ! ჭკუაზე ხომ არ შეირყა? ისრაელებში სახელს მაშინ იცვლიან, როცა ავად ხდებიან.

სიმხა. ავად გახდა მისი მტერი. რაებს ლაპარაკობ, იოსებ!

იოსებ. ილაპარაკებს კაცი — შენი შემხედვარე, შვიდი შვილის პატრონი, ლატაკი და უბედური, ხანანისა შემყურე. (გამოიღებს განჯინიდან არაყს, დაისხამს და გადაჭკრავს).

სიმხა. (ამოიოხრებს) ნუ, იოსებ, გეყოფა, გავნებს.

იოსებ. (განაგრძობს წერას) შენზე უკეთ ვიცი, რაც გავნებს — ენა დაიმოკლე და ჭიქა-თეფშებს მოუარე. (პაუზა) ლია სადღაა?

სიმხა. წავიდა მარდახოსთან. წაუღო რძე.

იოსებ. მერე... ამდენი ხანი ველარ გადაურწყა?

სიმხა. აბა რა ვიცი... მტერი დადგა ჩვენი ძროხის ამარა. ამ საღამოს ორი ჭიქა ძლივს მოიწველა.

იოსებ. ძროხებს კი არა ადამიანებს არ აქვს საკვები... (პაუზა) ხანანისა გაუწყდა ცოლ-შვილი, გამოაკლდა ის ჩვენს მოკეთებებში. იმას ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის კეთილი არ უნდა... ბაბუა-ჩემის დანატევარი — ათი დუქანი შესანსლა, რალაცა საუბედუროდ ერთი მე მერგო და იმის წაღებაც უნდა? არა, არც ღმერთი შეარჩენს, არც მე შევარჩენ... არ შევარჩენ!.. (ხმას უმატებს)... სამარეში რომ ჩავყვე, არ შევარჩენ... ხომ გაიგონე, დედაკაცო!

სიმხა. იოსებ, შე კაცო, დაუკვირდი, ეხლა იმას რო სუდებში სდიო შენი პრაშენიებით, მაშინ ისიც ადგება და ისხაკს გამოაგდებს.

იოსებ. გამოაგდებს თვარა პრიკაშიკად სხვაგან კი ვერ მოვაწყობ! ისედაც რა ხეირი ჰყრია... რაც ხანია დაღამდა და ჯერ კიდევ მაღაზიაში ჰყავს. პირუტყვია თუ სახედარი ჩემი შვილი ამდენხანს რომ ამუშავებს?

ს ი მ ხ ა. შემოვევლე ჩემს აბრამს... ჰო იცკას... რა ძნელია შეჩვევა ამ ახალი სახელისა. ისიც ხომ სულ იძახის—ვაიმე სილარიბეს რა უთხრა, ჩემი და-ძმანი უსწავლელები იზრდებიანო.

ი ო ს ე ბ. ის იძახის... ის სხვა ჭკუიდან იძახის... ეჰ, ღმერთო, შენ გამაძლებინე... შვიდი შვილი... შვიდი შვილი... რა ოხრად მინდოდა გაჩენა... მამაჩემი შაბათა საფლავში წევს და ვილას ვდიო ეხლა... (აგროძელებს წერას).

ს ი ფ ო რ ი ა. (შემოდის ხელების გაშლით, მოთქვამს მონოტონურად) გაგწყალებოდა ქალიშვილი და ვაჟიშვილი. რა გავიგე... რა გავიგე... ვაი ამ მოსწრებასო.

ს ი მ ხ ა. აღარ იტყვი შე კაი ქალო?

ს ი ფ ო რ ი ა. არ გაგჩენოდა ისინი ჩემო და სიხო, გაქრისტიანებულები რო გყვანან... ვაი ამ მოსწრებასო.

ს ი მ ხ ა. (შეშფოთებით) რა იყო სიფორია, ნულარ გააწყალე გული.

ს ი ფ ო რ ი ა. წუხელის ტეატრში ყოფილანო...

ს ი მ ხ ა. შენ კი შეგიწუხდა სული. მაინც და მაინც რა დიდი ცოდვია ახალგაზრდები ტეატრში წავიდნენო?...

ს ი ფ ო რ ი ა. რას ლაპარაკობს ჩემი და სიხო... ვაი ამ მოსწრებასო... (გადის).

ი ო ს ე ბ. ალბათ, ამალამაც იქ წავიდნენ... შენ კი იძახი რძე წაუღო მარდახასო... ოჰ, დედაკაცებო! დაბადებიდან რომ სიცრუე დაგყვებათ...

ს ი მ ხ ა. იოსებ!

ი ო ს ე ბ. რა, იოსებ, იოსებ! ჩაგიგდოს ხმა აღონაიმ! სხვების შეილებზე არ ლაპარაკობენ... რალა ჩემი შვილი გახდა ქვეყნის სალაყბოდ! ქალიშვილიც რო გადამირია, ისიც რო თავის ჭკუაზე მიჭყავს... ის სადღაა ამ შუალამისას? (მრისხანედ მიაჩერდება თავის ცოლს. ამ დროს კარები იღება და შემოდის ლია. ხელში უჭირავს რძის ჭურჭელი. დგამს ნელა განჯინაზე).

ლ ი ა. უკან გამომატანა. აღარ მინდა თქვენი რძეო.

ს ი მ ხ ა. რისთვის, ლია, შემოვევლე?

ლ ი ა. სად გაგონილა მარდახო ციციის შვილმა, პირველი გილდის ვაქარმა, მენდლებით გამოჭიმულმა კაცმა, ამნაირი წყლიანი რძე სვასო, თქვენს ძროხას სისუქნე დაკარგიაო.

ს ი მ ხ ა. წყალი არ გაშირევია, შვიდი შვილი არ დამეხოცა. ხოლო სისუქნე კი დაეკარგა. ეს კი მართალია. რას იზამ, შვილო... შეუნახე იცკას, იმას შემოვევლე, მაინცდამაინც რძეზე არა მყავს აღზრდილი... ვაი ჩემს სიცოცხლეს...

იოსებ. შეუნახე იცკას... კაი დაგემართა... კაი დაგემართა... ხვალ დილას პრაშენია შემაქვს, საღერბო მარკის ფულს ვინ მომცემს? (პაუზა) ცუდი დღე დამიდგა ისრაელის მტერს... ჩემს უფროს შვილს გაკვეთილები შეუმცირდა და ფულს ველარ იღებს... ჩვენი ძროხაც გაფუჭდა... ისხაკი კიდევ იმ წურბელა ხანანიას ჩაუვარდა ხელში. (პაუზა)... მე კი... მე ხომ მთლად დაღუპული ვარ... (გამოიღებს განჯინიდან არაყს და კიდევ გადაჰკრავს. დედა და ქალიშვილი ერთმანეთს შიშით გადახედავენ)... ვზივარ იმ დასაქცევ ტრაქტირში... ვუწერ ხალხს პრაშენიებს. ზოგი მეუბნება ხვალ მოგცემო, ზოგიც — ზეგო, ზოგიც — ღმერთმა გადაგიხადოსო... მე ვერავის ვთხოვ... ხალხი დამშეულია... ზოგიერთები მაძლევენ სამ-სამ შაურს... და როცა ფული შემიგროვდება...! ეშმაკმა წაიღოს... საიდღანაც დაყნოსავს აბრამია გარადავოი... ამოვარდა მისი სახელი საისრაელოში... მოვა, მომიჯდება, დამიბღვერს... და ყველაფერი იმას უნდა ჩავახეთქო...

ლია. (მიუახლოვდება დედას) დედიკო, იცკა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა?

სიმხა. აბა, რა ვიცი, ლია, სად დაიარება მთელი დღე უჭმელი, უსმელი... ასე მითხრა — საქმეები მაქვს... შენთვის ხომ არაფერი უთქვამს? ლია! (პაუზა) რას გაჩუმებულხარ, ჩემო გვრიტო, შენ შემოგვეღე... ლია! შენ რალაც იცი და გვიმაღავ.

იოსებ. (მობრუნდება) რაო? ხმა ამოიღე, ეშმაკის კერძო!

ლია. მე არაფერი ვიცი... მხოლოდ ისე... მარდახოსას ყური მოვკარი დღეს მოწაფეებში არეულობა იყო...

იოსებ. ჩემი შვილი, ალბათ იქ, პირველი იყო. ვაი ჩემს სიცოცხლეს! (შემოდის ისაკი) შენ სადღა ხარ, რად დაიგვიანე? რა აქვს ამდენი სავაჭრო ხანანიას? იმას დაუმოკლდეს დღეები.

ისაკ. როცა დაღამდა, იანგარიშა ხანანიამ, მოეჩვენა თხუთმეტი არშინი მიტკალი გაგიყოლებია მუშტრისათვისაო. რაც თაროებზე მიტკალი ელაგა ხელახლა გადავარშინეთ. მერე ფული იანგარიშა. გამოვიდა რო მართალი ვიყავი. მე კი შიშით კინალამ გული გადამიბრუნდა. (პაუზა). მერე ასე დამაბარა, წადი და მამაშენს უთხარი, მალე თქვენსა მოვალო.

იოსებ. აქ მოვა? ხანანია — ჩემთან? დასწყევლოს ღმერთმა... რა მოუფიქრებია?... ვინ იცის გულში რა უძევს... მე მგონია თვითონ აღონაი სტირის, რისთვის გავაჩინე ამნაირი უხამსი კაცი ქვეყანაზეო... (კარები გაიღება და შემოდის 60 წლის ხანანია. აცვია ევროპული კოსტიუმი, თავზე თმა არა აქვს, წვერი პატარა და შეკრეპილი. თვალები — მეტად ეშმაკური. სიმხა მიეგებება. ისაკი და ლია ფეხზე დგანან. იოსები სასწრაფოდ აგროვებს მაგიდიდან ქალღმერთს და ყუთში ყრის).



ხ ა ნ ა ნ ი ა. შალომ-ყალახემ იოსებ!

ი ო ს ე ბ. მობრძანდი, დაბრძანდი. თუ მშვიდობა გინდა—ყალახემ შალომ, ბიძია ხანანია! (მიუწევს სკამს. ხანანია ჯდება).

ხ ა ნ ა ნ ი ა. მამაშენი ახირებულ კაცი იყო ცხონებული. შეილია შენი და რაც იმ წყეულ რეალურში შევიდა—ცხვირზედაც აღარ გვიყურებს. შენა ხარ და სულ ეჭვიანობ ჭირვეული დედაკაცივით, ასე როგორ იქნება. რა მაქვს სამტრო მოკეთესთან! (პაუზა. იოსები უყურებს ეჭვით) ეხლა ვაენობაა. ისრაელობამ ერთი ერთმანეთი შიგნიდან უნდა გაუამაგროთ. მთელი შენი დავა ჩემთან ერთ დუქანზეა? წაილე კაცი! ისხაკსაც ხომ მე ვაჭმევ პურს. ხომ არ გაყვედრი? ისხაკი კაცი გამომყავს. შენ კი ძალიან უმადური ხარ. აბა რითი ვარ ცუდი კაცი? შენ რომ ვაჭრობაში ბედოვლაობა გამოიჩინე, რაცხა პრაშენიების წერას მიყავი ხელი—ჩემი ბრალია? აწონ-დაწონე, იოსებ! ეს ქვეყანა სასწორია.

ი ო ს ე ბ. ავწონე და ჩემი მოკლე ჭკუით აი რას მოგახსენებ. დუქანს თუ დამიბრუნებ, გავაჭირავებ და აღებულ ფულს ცოლ-შვილს წავახმარ.

ხ ა ნ ა ნ ი ა. ჰო და მეც მაგას გეუბნები. მომიწერე ამ ქალაღზე ხელი. (ამოიღებს უბიდან ქალაღს და მიაწოდებს) ამის ძალით შენ სულებში სიარულს თავს ანებებ, მეც შენ წილს დუქანს — გითმობ (იოსები კითხულობს რამდენიმეჯერ. მერე სდებს მაგიდაზე. პაუზა) ასწონ-დაწონე, იოსებ! ეს ქვეყანა სასწორია.

ი ო ს ე ბ. პირდაპირ მოგახსენებ, ბიძია ხანანია. ეს ქვეყანა სასწორი როა, იმიტომაა, რომ არა მჯერა შენი. შენ რალაცას უნდა ეშმაკობდე. ხოლო შენი აზრები ვერ გამიგია.

ხ ა ნ ა ნ ი ა. ცუდათ სწონი, იოსებ! ნეტავი ვისი იმედი გაქვს? შენი გადარეული შვილის ხო არა? იქნება გგონია — განათლებულია და ფულებს შემოგიტანს? ვაი თუ აქეთ გაიტანოს! ის ბურჯუებს ეჩხუბის. ხა-ხა-ხა!

ლ ი ა. ნუ იცინი, ბიძია. ჩემი ძმა თქვენი სახსენებელი არაა.

ხ ა ნ ა ნ ი ა. მაშ არ მოაწერ ხელს შენ სასიკეთო ქალაღს?

კარი იღება და ბარბაცით და თავხედობით შემოდის მთვრალი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, გოროდოვოი აბრამია ხანანაშვილი. დაახლოვებით 35 წლისა, მაღალი, ახმახი, მეტისმეტად მსუქანი, ნაყვავილარი, გაიძვერა თვალებით, უსიამოვნო ტიპი

ა ბ რ ა მ ი ა. ვახლავარ, ბატონ ხანანიას. ვახლავარ რიჩინაშვილების ოჯახს. ვახლავარ... (თავისით ჯდება მაგიდასთან). მე მოვედი გავიგო: სად იქნება ეხლა... თქვენი უფროსი ვაჟიშვილი... რეალისტი აბრამ რიჩინაშვილი... რომელიცა რომა... არის თქვენი შვილი... უფროსი... რეალისტი და რომელიც...

ს ი მ ხ ა. არ დაბრუნებულა ჯერ ბატონო... ველით... საცაა მოვა.

ა ბ რ ა მ ი ა. საცაა მოვა... თფრრ... ელით... თფრრ.

ი ო ს ე ბ. რას ხვრინავ ცხენივით? სთქვი თუ რამე იცი.

ყველანი შეშფოთებით შესცქერიან აბრამიას.

ა ბ რ ა მ ი ა. ჯერ არაყი გადმოიღე... (იოსები გადმოიღებს და უსხამს. აბრამია უსხამს იოსებს) აიღე, იოსებ... ღმერთმა აცოცხლოს იმპერატორი... რომელიცა რომა... გაუსწორდება ყველა თავის მტრებს... თფრრ... (იოსები ჭიქას მაგიდაზე დგამს. აბრამია დაუყვირებს). ჰატ... როგორ ბედავ... აიღე ჭიქა (სვამენ).

ს ი მ ხ ა. ნუ მომკალი უდროოდ. ნუ დააქკნე დედის გული. სთქვი, ადამიანო...

ა ბ რ ა მ ი ა. ვიტყვი... ვიტყვი... თქვენი შვილი, რომელიცა რომა... დღეს სხვა სოციალისტებთან და გიმნაზისტებთან... რომელიც რომა ეწეოდა ბუნტოვშიკობას... ანტონენკოს ბრძანებით, ამ დილას შევაგდეთ კუტუზკაში.

ლ ი ა. ვაიმე, დაუჭერიათ!

ს ი მ ხ ა, ვაიმე, შვილო!

ი ს ხ ა კ. აბრამია! რა ეშველება, თქვი — შე კაცო!

ხ ა ნ ა ნ ი ა. რა უნდა ეშველოს. დიდი-დიდი გამოუშვან. სასწავლებლიდან მაინც გამოაგდებენ.

ლ ი ა. (წყრომით მიუახლოვდება ხანანიას) ბიძია, გაგეხარდა?

ხ ა ნ ა ნ ი ა. (იოსებს) არ გინდა მოაწერო ხელი? (იოსები აწერს ხელს და ნელა გაუწვდას) ესეც ასე. ერთი დახედე, რაბი შალომი მობრძანდება. აქ რალაც დიდი ამბავი მომხდარა. თვითონ რაბი შალომი თავისი ფეხით... (აბრამიას ჩაეძინა მაგიდაზე. შემოდის რაბი შალომი, მშვიდი, გამოზომილი ნაბიჯებით).

რ ა ბ ი შ ა ლ ო მ. აქა მშვიდობა, ისრაელებო! კარგია, რომ შენც აქა ხარ, თავი კაცი, ხანანია! (აბრამია დროგამოშვებით ხვრინავს).

ი ო ს ე ბ. (მიუდგამს სავარძელს) დაბრძანდი, რაბი! (ჯდება).

რ ა ბ ი შ ა ლ ო მ. ყური დამიგდეთ, ისრაელებო. ნათქვამია თორაში: შენი გამოხრებელი და შენი გამავერანებელი შენი წელებიდან იშობაო.

ხ ა ნ ა ნ ი ა. ჭეშმარიტად აუწონია აღონაის.

რ ა ბ ი შ ა ლ ო მ. გამრავლდა ჩვენი ცოდვები და როგორც ადამიანებმა ვერ დაითვალოს ზღვაში ქვიშა და ზეცაში ვარსკლავები, ისე ჩვენ ვერ დავითვლით იმ აუარებელ უბედურებას, რომლებიც, მოგველის, ვაი, შენ, იოსებ! რამდენი ხანია ხმები მოდიოდა ჩემთან და მინდოდა გამეფრთხილებინე—შენი შვილი დასდევს თურმე ვილაც ქრისტიან ქალს...



ხ ა ნ ა ნ ი ა. გამიხმეს ყურები. ეს რა მესმის?

ი ო ს ე ბ. ვაი ჩემს სიცოცხლეს!

ს ი მ ხ ა. ბატონო რაბი, დაილოცა თქვენი სახელი, კარგად გამოიკვლიეთ. ეს ხომ ჭორია, საზიზღარი ჭორი.

რ ა ბ ი შ ა ლ ო მ. არაფერი ჭორიც არ არის. ის ქალი თქვენი დგმურია დაბლა სართულში.

ლ ი ა. მერი? ბიძია რაბი, ჩემი ძმა იმას ამეცადინებს საფარმა-ცევტო კურსებისათვის. ჩემი ძმა როცა მოიცილის, მეც მასწავლის, ისხაკსაც, შაბათასაც, ჩემს დანარჩენ და-ძმებსაც.

რ ა ბ ი შ ა ლ ო მ. დაჩუმდი, ნუ წრიბინობ! როდის იყო საისრა-ელოში ახალგაზრდა ასული რაბის წინაშე ხმას იღებდა? რაბი—ადონაის მოციქულია და რაბიმ თუ სთქვა, მაშასადამე — ჭეშმარიტია. (პაუზა) ყოველ შაბათობით ვლოცულობთ „კართენ თეშუყა ლამე-ლახიმს“. რას ნიშნავს ეს? „ღმერთო, მიეცი მშვიდობა მეფესაო“— აი რას ნიშნავს. შენი შვილი კი ამოდგომია გვერდში... ვაი, ვაი, ვაი... გადარჯულებულებს, ქრისტიანებს, სოციალისტებს, მეფისა და ტახტის მტრებს, დღეს მე გამომიძახა პოლიცმეისტერმა ანტონენკომ...

ა ბ რ ა მ ი ა. (წამოხტება) თფრრ... ვინ ახსენა ბატონი პოლიცმე-ისტერი... რომელიცა რომა... ბატონი ანტონენკო... ა, რაბის ვახლავარ, როგორ გიკითხოთ... ბრძანეთ... ბრძანეთ...

რ ა ბ ი შ ა ლ ო მ. შემატყობინა, რომ შენი შვილი თავის ამხანაგებთან ერთად დაპატიმრებულია და რომ ის კარგა ხანს ციხიდან ვერ გამოვა.

ა ბ რ ა მ ი ა. ჭეშმარიტად, ვერ გამოვა.

ხ ა ნ ა ნ ი ა. ვერ გამოვა, ეხუმრება მთავრობას?

რ ა ბ ი შ ა ლ ო მ. არის ერთი გზა. წადი ხვალ, ინახულე ციხე-ში, დასწეროს თხოვნა, მოითხოვოს პატიება, ჩამოსთვალოს თავისი ამხანაგები, გაშორდეს მათ... ეს ამბავი გუბერნატორამდეა მისული. იჩქარე, იოსებ, თორემ შეიძლება შეილი კიდევ გაგიციმბირონ.

ი ო ს ე ბ. ვაი ჩემს სიცოცხლეს! ვაი ჩემო ნუგეშო, ვაი ჩემო ერთადერთო ნასწავლო შვილო! (სვამს არაყს).

ს ი მ ხ ა. ვაიმე, შვილო, მოგიკვდა დედა

მოისმის იცკას სიმღერა „Вихри враждебные веют над нами“. ყველანი გა-ურკვევლად იცქირებიან კარებისაკენ. შემოდის იცკა, ხალში რალაც ქალაღდის ნა-ჭერი უჭირავს, რომელსაც ნაგლეჯ-ნაგლეჯად ფლეთს. მოისმის „შვილო“, და „ძმავ“. სიმხამ და ლიამ ჩაიკრეს იცკა. ძამა ძლივს დგას ფეხზე, თავს იკავებს არ იცის რა ქნას. დანარჩენები დგანან გაოცებულნი.

ხ ა ნ ა ნ ი ა. გამოგიშვებს?

რ ა ბ ი შ ა ლ ო მ. გამოგიშვებს?

აბრამია. გამოგიშვებს?

იცკა. (ირონიულად) იცი, შენ, დედა... მე არც ვიცოდი თუ ამის-
თანა პატივისაცემი ხალხი შეწუხდებოდა შენი შვილისათვის...
სიფორია. (შემორბის და სხაპასხუპით) ვაიმე, ჩემო და სიხო... რა
გავიგე, რა გავიგე...

იცკა. მოვიდა სიფორია! უჭოროდ ვერ მოხვალ?

სიფორია. (გაოცებულნი) გამოგიშვებს?

იოსებ. (მიუახლოვდება იცკას და მხარზე ხელს დაადებს) შვილო, რა-
ზე მიმწარებ სიცოცხლეს, ჩემი გაჭირებაც მეყოფა. მართალია, შენ-
ზე რომ ამბობენ, მთავრობის მტრებს ამოუდგაო? აკი ნასწავლი
ვარო და სად გაგონილა — ისრაელი და მთავრობის მტერი?

აბრამია. მაგას ციმბირი დააწყენარებს... რომელიცა რომა...
სხვებიც ბევრნი მიჰყვებიან იქ... (იცკა გაუსწორებს თვალს აბრამიას.
აბრამია შეშინებული მოარიდებს და კარებისაკენ მიტარუბატებს) წავალ... წა-
ვალ... და როცა რომა... საჭირო ვიქნები... გამოვივლი... თფრრ...
გამოვივლი... (გადის).

სიმხა. შენ გამოგიარა სიკვდილმა.

იოსებ. ამენ. (რაბი შალომი მიუახლოვდა იცკას).

რაბი შალომ. შენი გულისათვის საისრაელოს საფრთხე
მოელის.

ხანანია. ჭეშმარიტად.

სიფორია. ვაი, ჩემო და სიხო, შენს მოსწრებასაო.

იცკა. (წამოიწია წინა პლანზე. ჯერ მამას მიუახლოვდება) იცი შენ,
მამა? დედას ვფიცავ, მე კი არ გიმწარებ სიცოცხლეს, ხელმწიფე
გიმწარებს, შენც, სხვა ღარიბ ისრაელებსაც. ხელმწიფე არ იყო
სარა მოდებამის პროცესი რო შეთითხნა და რამდენ ისრაელს
გაუმწარა სიცოცხლე? ხელმწიფე არ იყო, შარშან, კიშინოვში რო
ისრაელების ზღვა სისხლი დააყენა? ხელმწიფე არ არის — რუსეთის
მთავარ ქალაქებში შენ და შენისთანა ღარიბებს ცხოვრების უფლე-
ბა რო წაგართვათ, ხოლო ამ ბიძიას (მიუთითებს ხანანიაზე) და მარ-
დახოსთანა პირველი გილდის მქონე ვაჭრებს რო კარი გაუღო?
ხელმწიფე არ არის მთელს რუსეთის სკოლებში პროცენტული ნორ-
მა რო შემოიღო და ისრაელებს სწავლა-განათლება დაუბზო? ხელ-
მწიფე არ არის...

იოსებ. (აწყვეტინებს) მოიცა, შვილო. შენ მართალი ხარ, მაგრამ
გავიწყდება: შენ მოერევი რუსის ხელმწიფეს?

იცკა. ნუ მაწყვეტინებ... იცი, შენ მამა? ხელმწიფე არ არის
უბედურ ლატაკ ნეთანელ ფიჩხაძეს მანჯურიაში რო თავი უკრა და
ცოლ-შვილი უდროოდ დაუბზლა? ხელმწიფე არ არის მე და ჩემი

ამხანაგები სიმართლის თქმისათვის მგლის ბილეთით რომ გამოგვა-
ძვევს და სასწავლებლიდან გამოგვრიცხეს? (პაუზა) შენი სტუმრები
კი ვინ არიან? ძალღი გოროდოვოი... რისთვის ეგდო აქ? მერე კი-
დევ... ესენი... რაბი შალომი, ბიძია ხანანია... რაბინი და ბურჟუა...
ყველანი მეფის ტახტის ერთგულები... (დაჰკრავს ხელს მაგიდაზე) იცით
თქვენ... დედას ვფიცავ, ყველანი თქვენ ჩემი მტრები ხართ და მეც
თქვენი მტერი ვარ... გამეცალეთ აქედან!

სასწრაფოდ კარს გამოაღებს და უჩვენებს გასასვლელისაკენ. თავისიანები მივარ-
დებიან იცკას: „დაწყნარდი შვილო“, „რა მოგდის“, „რას ჩადიხარ“. რაბი შა-
ლომი, ხანანია, სიფორია მხრების აწევით, გაოცებით „აი—აი—ს“ ძახილით გა-
დიან ოთახიდან. ისხაკი ტირის. სიმბა და ლია არ სცილდებიან იცკას. იოსები
ულონოდ მიეყრდნობა განჯინას და იცქირება ფანჯრისაკენ.

ს ი მ ხ ა. დედა მოგიკვდეს, შვილო, მთელი დღე არაფერი გიჭა-
მია. ვაიმე რა ცუდ ფერზე ხარ, მოდი ეს ერთი ჭიქა რძე მაინც
დალიე.

ი ც კ ა. (ისხაკს) ნუ სტირი, ძმაო! იცი, შენ, ისხაკ, ძალა ერთო-
ბაშია. შენ გგონია ასე მალე გამოგვიშვებდნენ, რაც ქუთაისში სას-
წავლებელია ყველას ერთად პირი რომ არ შეგვეკრა? რა ამბავი
ასტეხეს მოწათფებმა! ჩვენ რომ არ გამოვეშვით, დედას ვფიცავ, ხვალ
მთელ ქუთაისში სწავლა შეწყდებოდა. დაფრთხა ანტონენკო. ამა-
ლამ კი გამოგვიშვა, მერე კი... ვინ იცის რას გვიზამენ... ასეა, ძმაო
ისხაკ, ნოქრებმაც რომ პირი შეჰკრათ, ხანანიასთანა წურბელები ვე-
რას დაგაკლებენ.

ი ო ს ე ბ. რა გინდა, შვილო? სხვა შვილები მუინც დამიყენე. ამათ
მაინც რალას მირევ ჭკუაზე?.. (სვამს არაყს. შემდეგ მიუახლოვდება იცკას)
თავი მომჭერი, გამოგაგდეს, დაგიჭირეს, ხალხი გადამკიდე, რალა
გინდა. ოალა... შენი გაჩენის წუთები დაიწვა...

ი ც კ ა. იცი, შენ, მამა? დაწყნარდი, წამოწეჭი, დაიძინე... (წამო-
აწვენს დივანზე. იოსებს ჩაეძინება. იცკა დასცქერის მას სიბრალულით) შენე-
ბურათ მართალი ხარ, მამავ, ეჰ, მამილო, გაგიმწარე სიცოცხლე...
(მიუბრუნდება დედას) იცი, შენ, დედა, მე აქ აღარ მეცხოვრება, რუ-
სეთშიაც არ მიმიღებენ არსად. ერთადერთი გზა მაქვს... იქით სა-
დაც ალიოშაა, გერონტი, იასონი...

ლ ი ა. ლეიპციგი?

ი ს ხ ა კ ი. ფული? ვაი რომ არაფერი გაგვაჩნია. ბიძია ხანანი-
ასთან გათავდა, მისასვლელი გზა აღარაა. (პაუზა. სიხარულით) იქნებ
ბიძია სიმანტობმა რამე გვასესხოს? მართალია, ღარიბია, მაგრამ
შენ ხომ ასე უყვარხარ?..

ს ი მ ხ ა. ნუ სწუხარ, შვილო, ოლონდ შენ ისწავლე და გადარჩი
ამ ძაღლებს, უკანასკნელ პერანგს გაეყიდი და ხელს შეგიწყობ.

იცკა. იცი შენ, დედა, როგორ მიყვარხარ?... შენი სახელი სიმ-
ხა ჩვენებურად სიხარულს ნიშნავს... შენ კი არასოდეს, არასოდეს
არ გაგიხარია... ვფიცავ დედას, ვეცდები როგორმე გაგახარო, ჩე-
მო დედა... ჩემო ძვირფასო დედა... (ერთმანეთს ჩაეკვრებიან და
ისხაკი ცრემლებს იწმენდენ და ცდილობენ ერთმანეთს არ აჩვენონ).

სურათი მესამე

„მრისხანე გრივალი თავს—
დაგვტრიალებს“...

ისევ რიჟინაშვილების ბინაზე. იცკას საწერ მაგიდასთან—იცკა და მერი.
წინ — წიგნები, ქალაღებები, ერთმანეთს შესცქერიან მოწიწებით და სიყვარუ-
ლით. შელამებულა. ფანჯრები გამოღებულია.

იცკა. იცი, შენ, მერი?... ამაღამ ჩვენი უკანასკნელი გაკვეთი-
ლია, დავბრუნდები ლეიპციგიდან და ისევ გავაგრძელებთ. მაგრამ
შენ სიტყვა უნდა მომცე, რომ მანამდე შენ დროს არ დაჰკარგავ.
არა კმარა მარტო სინუსისა და კოსინუსის ფორმულები დაიხეპირო.
ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ლენინი — რაც რომ მოგიხაზეთ შენც,
ლიასაც, ასიასაც — ჩამოსვლისთანავე უნდა ჩამაბაროთ. არა და — დე-
დას ვფიცავ — აღარც ერთს ხმას არ გაგცემთ. უკეთესი მომავლი-
სათვის ბრძოლაში არც ერთი თქვენთაგანი არ უნდა ჩამორჩეს
ჩვენს საუკეთესო მეგობრებს. იძლევი პირობას? (პაუზა).

მერი. შენი სურვილი — ჩემი სურვილია. განა სხვაგვარად შე-
მიძლია? (ჩაფიქრდა) იცკა, ჩემო უნეტარესო... მასწავლებლო და
მეგობარო... შენ მიდიხარ, ხვალ მიემგზავრები საზღვარგარეთ...
და მე ვრჩები აქ...

იცკა. იცი, შენ, მერი?... (პაუზა. ვერაფერი ვერ სთქვა).

მერი. შენ იყავი ის ნათელი ვარსკვლავი. ჩემი უბედური ცხოვ-
რების გზა რომ გამინათე, როცა გალოთებულმა მამაჩემმა მიგვა-
ტოვა წვრილი შვილები და დავრჩით ავადმყოფი დედის ამარა...
დედა მუშაობს თავის საკერავი მანქანით... შენ შემიცოდე, შემას-
წავლე წერა-კითხვა, შემასწავლე მეცნიერება, შემასწავლე ამ დუხ-
ჭირი ცხოვრების სიძულვილი, შემასწავლე ბრძოლა უკეთესი მომავ-
ლისათვის... და ეხლა შენ მიდიხარ...

იცკა. და იცი, მერი?... სულ მალე, სულ მალე... დადგება დრო
და დედას ვფიცავ... ჩვენ კიდევ ერთად ვიქნებით...

მერი. ჩვენ ერთად ვერასოდეს ვერ ვიქნებით... არც დედაჩე-
მი, არც შენი მშობლები... არც ებრაელები... არც საზოგადოებრივი

აზრი... ამას არასოდეს არ შეურიგდება... არასოდეს... ჯერ უბრალო
შეხვედრაზე რა ამბის მითქმა-მოთქმა... რა იქნება მაშინ... თუ
გამოაშკარავდა ჩვენი გრძნობები... შენ—ებრაელი, მე—ქართველი

ი ც კ ა. იცი, შენ, მერი?... მე კარგად ვიცი, როგორი დიდი ცე-
დელია, დიდი გალავანი ჩვენს შორის აღმართული, მაგრამ მე ისიც
ვიცი, ვინ ააგო ეს კედელი. მე და შენ უნდა ვიბრძოლოთ ამ ძირე-
ბის, ამ დამყაყებულ ისტორიის საძირკვლების შესარყევად... რე-
ვოლუციონერი სევდამ არ უნდა დასძლიოს... რევოლუციონერი
ბედს კი არ უნდა ურიგდებოდეს... რევოლუციონერი უნდა იბრძო-
დეს ბედის გარდასაქმნელად... სამი-ოთხი წელი სულ მალე გაიქ-
როლებს... თვითმპყრობელობას ფრთები შეეკვეცება... ჩვენ კიდევ...
დედას ვფიცავ... ბევრი ამბების მოწმენი ვიქნებით.

მ ე რ ი. გიცქერი, იცკა, შენს ჭკვიან ღრმად მზირალ თვალებში
და გული ნალღელით მევსება. შენს გულკეთილობას საზღვარი არა
აქვს. შენი ცოდნა და ნიჭი ხომ მთელ ქუთაისს აოცებს. შენი მეხ-
სიერება — ხომ პირდაპირ წარმოუდგენელია. შენი ხასიათი ხომ...
და ამიტომაც არის, რომ გული მაკვდება... დედაჩემი ამბობს: „ხა-
სიათი ანგელოზისა აქვსო, ვაიმე, გოგო, მაგას სასიცოცხლო პირი
არ უჩანსო“...

ი ც კ ა. იცი, შენ, მერი?... რა სასაცილოდ მსჯელობ, ხა-ხა-ხა!...
ჩემო მერი... (მოკრძალებით) ჩემო სიყვარულო... გულს ნუ გაიტებს...
შენი იცკა ლეიპციგში მოუსმენს ვუნტის ლექციებს... ხანდახან შენე-
ვიდან ჩვენთან ჩაპოვა ლენინი...

მ ე რ ი. ლენინი?

ი ც კ ა. ჰო... დედას ვფიცავ, თვითონ ლენინი... იცი, მერი? მო-
მეცი ხელი, რომ შენ იქნები ღირსეული მებრძოლი.

მ ე რ ი. (აძლევს ხელს) ნეტავი კი — გავხდე შენი ღირსი. (იცკას
უჭირავს მისი ხელი ღიას შემოსვლამდე).

ლ ი ა. მთელი სახლი ისეა, თითქოს საალყო წესები იყოს გამო-
ცხადებული. მამა დადის ფულების სასესხებლად. დედა — ცალკე
დადის, სიმანტობი კიდევ იძახის, მეც რალაცას გავახერხებო. ვაი
რომ მე და ისხაკს არაფერით შეგვიძლია დაგეხმაროთ ამ წასვლის
წინ.

ი ც კ ა. (შეაწყვეტინებს) იცი, შენ, ღია? არ გრცხვენია ამისთანა
სიტყვებს რო მეუბნები ამ წასვლის წინ? მე ის მიკლავს გულს, ნე-
ტავი დედ-მამასაც არ ვაწუხებდე, თორემ თქვენ?... მე ხომ ვიცი რის
ამარა რჩებით... მაგრამ გული არ გაიტეხოთ, ღია, დედას ვფიცავ,
ჩავალ თუ არა, მე შევისწავლი გერმანულ ენას, ლეიპციგშიაც ვი-
შოვი გაკვეთილებს და, ალბათ, ერთ წელიწადში ისევ მე დაგეხმა-

რებით... მანამდე კი, მე უკვე გადავეცი მერის, რაც უნდა შეისწავ-
ლოთ. ამხანაგები სად არიან? არ მოდიან გამოსასალმებლად?

ლია. კარგად რომ შეგვიანდება — მოვლიან... ჭიშკართან კიდევ
იეხიელ ჩიკვაშვილი შემხვდა. „მართლა ამაღამ მიდის იცკა საზღვარ-
გარეთაო?“ — მკითხა. „აბა უსათუოდ უნდა გამოვესალმოო“. (ჭიშ-
კარზე კაკუნის) აი ისიც.

მერი. აბა წავიდეთ, ლია. ამხანაგები როცა მოვლენ დასასალ-
მებლად — ჩამომძახე და ისევ ამოვალ, თორემ, ალბათ, დედაჩემი
საყვედურებით გამავსებს — ამდენი ტურნულები ერთმა როგორ გა-
ვაკეთოო.

იცკა. ტურნული რა არი?

მერი. აი ზოგიერთი ქალები რო იკეთებენ წელში გასასწორებ-
ლად.

იცკა. (სიცილით) იცი, შენ, მერი? გადავეცი დეიდას, ისეთი ტურ-
ნულები გააკეთოს, მარტო ქალებისათვის კი არა — ზოგიერთ მამა-
კაცსაც რომ გამოადგეს ტვინის გასასწორებლად. (შემოდის იეხიელი).

იეხიელი. მაგას რო ამბობდი, ჩემზე ხო არ ფიქრობდი?
(ქალები სიცილით გავიდნენ. იეხიელი ხელს აოთმევს იცკას და ჯდება) სალაში,
იცკა! მიდიხარ მაშ? ბედნიერი კაცი ხარ! პიოველი ქართველი ებ-
რაელი საზღვარგარეთის უნივერსიტეტში! მეც, ალბათ, სულ მალე
გამოგეკიდები უკან, მაგრამ მე ლეიპციგს არ ავირჩევ. მე წავალ
ვენაში.

იცკა. ვენაში მოღვაწეობს დრამატურგი და სამართლის დოქ-
ტორი თეოდორ ჰერცლი.

იეხიელი. სამწუხარო ამბავი მივიღეთ. ამ უდიდეს ებრაელს
გული გაუსკდა და მოკვდა.

იცკა. მერე სულტანი შავებში არ ჩაჯდა?.. ისინი ხომ მეგობ-
რები იყვნენ! (კაუზა) იცი, შენ, იეხიელ?.. ძნელია ებრაელი ხალხის
გაძლოლა, არა?

იეხიელი. ნუ ხუმრობ, იცკა! ჩვენ გვდევნიან, გვაწიოკებენ,
გკვლავენ, ხოლო შენტვის ყოველივე ეს სასაცილოა?

იცკა. ვინ მოგახსენა — სასაცილოა? განსხვავება ჩვენს შორის
იმაშია, რომ ჩემთვის ეს საკითხი გარკვეულია, შენტვის — კი არა.
ებრაული საკითხი გადაწყდება მაშინ, როცა მოხდება სოციალური
რევოლუცია.

იეხიელი. ისტორიას ბევრი რევოლუცია ახსოვს. ებრაელის
საკითხი კი არც დაძრულა თავის წერტილიდან.

იცკა. რევოლუციაც არის და რევოლუციაც. ჩვენ ისეთი რე-
ვოლუციისათვის ვიბრძვით...

იეხიელ. გამიგონია, გამიგონია... ეჰ, იცკა... გიყურებ და მეცოდები... ასეთი განათლებული, ჭკვიანი, ნიჭიერი და თავისი ერისაგან ასე შორს მდგარი... ხოლო შენ დიდი სარგებლობის მოტანა შეგეძლო შენი ხალხისთვის... შენ გაქვს ორატორული ნიჭი ეშმაკმა წაგიღოს — ლაპარაკობ დამაჯერებლად...

იცკა. დედას ვფიცავ — შენ გინდა, რომ მე ვუქადაგო ბიძაჩემ სიმანტობს რიონის ნაპირებიდან აიბარგოს და იორდანის ნაპირებზე გადაბარგდეს? (პაუზა. შემოდის სიმანტობი) აი ცნობისმოყვარე ბიძიაც მოვიდა. შევეკითხოთ თითონ. ბიძია სიმანტობ! გინდა მიატოვო აქაურობა და დაუბრუნდე მამა-პაპათა ძველ ქვეყანას?

სიმანტობ. რა ამბავი, რა ხაბარი, ბიჭებო! დაეტაკა, ალბათ, ისევ ერთმანეთს ნაციონალისტი და სოციალისტი... (პაუზა) ე წმინდა ქვეყანა კარგია, მაგრამ არც მწვანე ყვავილაა ნაკლები. დღეს როცა გაწვიმდა, ფუთი ყურძენი ორ აბაზად ვიყიდე. ჩემს სიღარიბეს მალამო დაედო. ნეტავი ხვალაც გაწვიმდებოდეს და მწვანე ყვავილაზე მუშტარი გამოილეოდეს...

იეხიელ. მე კი მგონია, იცკა, რომ ჩვენი ხალხის ისტორიული ბედ-იღბლისათვის ღრმა ანალიზი არ გაგიკეთებია. ისტორია და საუკუნეები შეღებილია ებრაელი ერის სისხლით. რაც ხმელთაშუაზღვის ნაპირებს გადმოვცდით, გვცემდენ ყველგან და ყოველ დროს. ვტიროდით ბაბილონის მდინარეებთან და გვჟღეტდენ სპარსეთში. გვიწყობდნენ ჯვაროსნულ ომებს და პირენეის ნახევარკუნძულზე — აუტოდაფეს კოცონი ენთო განუწყვეტლივ. რისთვის, იცკა? განა ჩვენ არა გვაქვს სამშობლო, ულამაზესი ქვეყანა, რომელსაც ეხლა იშმაყელი ჰფლობს?

სიმანტობ. (ამოიოხრებს) ეჰ... ჩვენი ცოდო-ბრალის გამო. (იცკა იღიმება).

იეხიელ. (ექსტაზში) იქ, მამების ქვეყანაში, მხოლოდ იქ, სადაც ოდესღაც სწვეთავდა რძე და თაფლი, გილყადის მთიდან ჩამოდინოდა დედაკაცის გრძელი, შავი თმასავით დაწნული ცხვრების ფარა... სადაც ძველი დედების საფლავებია... მეყარათ ამახფელა... სადაც ოთხი წმინდა ქალაქია — იერუშალაიმი, ხებრონი, ცეფატი, ტებარია... სადაც ქარმელის მთა სიამაყით დაჰყურებს ხაიფას... და სადაც ხარკოვის ებრაელმა სტუდენტებმა გმირულად შეაკლეს თავი ციებ-ცხელებას... და სადაც...

იცკა. იცი, შენ, იეხიელ?.. ისე ტკბილად ლაპარაკობ, რომ მალე ბიძაჩემ სიმანტობს ჩაეძინება... (უცბად სერიოზულად) ლირიკა კმარა. ისტორია შეგისწავლია რომანტიულად, ზერელედ. დასკვნები თვითონ არ გაგიკეთებია. ისტორიის მანძილზე იჩაგრებოდა ღარიბი

ხალხი. ინკვიზიციის, პაგრომების და ყველა უბედურების დროს მდიდრები ახერხებდნენ გადარჩენას, ღარიბები კი წყდებოდნენ. არ გინდა გაიგო, რო მდიდრებს არ უყვართ ღარიბები? ღარიბმა ბრმა ზეხარიამ ვერ გადაარჩინა თავისი შვილი, მანჯურიაში უქრესი მღვდელი. ხოლო ხანანია კი გადაარჩინა. მაგალითი გასაგებია?

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. ამბავი, ხაბარი გითხრათ — დავამტკიცო იცქას სიტყვები. გზაზე რომ მოვდიოდი, ყარბითი ახალი გამოსული იყო, სალოცავთან მდიდრები იდგნენ და ყველაზე მეტს მარდახო და ხანანია კაკანობდნენ. რა უხარიათ იცქას გამგზავრება! ერთი არ იქნება, მალე წავიდეს, წაეთრესო...

ი ც კ ა. იცი, შენ, იეხიელ? იძახი — პალესტინაო, დაბნეული კაცი ყოფილხარ ცხოვრებაში. ჩვენ ხალხს შიმშილით სული ძვრება და შენ გინდა არაბების გადამწვარი უდაბნოებით გააძლო? ბედუინები და ფელლახები კი ამოშალე ისტორიიდან? არა! ჩვენი სამშობლო არის ყველგან, სადაც მშრომელი ხალხია, ხოლო მშრომელი ხალხი ყველგან ბედნიერი იქნება; სადაც დაამხობს თვითმპყრობელობას და თვით გახდება ბატონ-პატრონი თავისი ბედისა.

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. (იეხიელს) ეხლა შენ გინდა ამას მოერიო ლაბარაკში? ეს კაცი რუსის ხელმწიფეს არ ინდობს. შენ დაგინდობს? (პაუზა) ჰო, ერთი ხაბარი, ამბავი დამავიწყდა. იცქა რომ დაგირქმევია — მთელ ქუთაისს გაუგია. წყლან ძალღმა აბრამიამ გზა გადამიჭრა: „იცქას უთხარი ზაგრანიცაში — ხელმწიფის ყადრი ისწავლოსო“.

ი ე ხ ი ე ლ. მე კი მართლა მექნება თხოვნა. დაუკვირდი ებრაელის ხალხს და შეისწავლე მისი ტკივილები. ვინ იცის, იქნებ იქ სხვანაირი ქარი ჰქრის და სხვანაირი აზრებით ჩამოხვიდე.

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. იცქა! რუსეთ-იაპონიის ამბავი-ხაბარი არაფერია?

ი ც კ ა. არაფერია, ბიძია, ყველაფერი ძველებურადაა, თვითმპყრობელობის გაკოტრება. (პაუზა) შენ არაფერს მბარებ?

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. როგორ არა, შვილო, უცხო ქვეყანაში მიდიხარ. (ამოიღებს უბიდან ფულს და ჩაუდებს ჯიბეში) წაიღე, მოიმჭირნე, იქნებ გზაზე სახარჯოდ გეყოს. რაც ღმერთმა შემაძლებინა ისაა. (პაუზა) მაინც არ უნდა დაივიწყო, ისრაელი ხარ, ლოცვაზე იარე ხოლმე — ხანდახან მაინც.

ი ც კ ა. ორივეს თხოვნა მოვისმინე. როგორ შევასრულებ, დედას გფიცავთ, მოვიწერები.

ი ე ხ ი ე ლ. მშვიდობით, იცქა!

ი ც კ ა. კარგად და უფრო ფხიზლად მენახე ჩემო იეხიელ საქართველოში დაბრუნების ჟამს. (ართმევს ხელს).

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. მეც წავალ და ცოლ-შვილს მივხედავ. მშვიდობით

გატაროს ღმერთმა. რჯული არ დაგვიწყებოდეს. ამბავი და ხაბარი ხშირხშირად მოგეწეროს ხოლმე.

ი ც კ ა. კარგად მენახე. იცი, შენ, ბიძია? იარე ხოლმე ჩვენსა და გული გაუკეთე ხოლმე ჩემიანებს. ხო, იცი, ჩემი წასვლის შემდეგ დაღონებული იქნებიან. (პაუზა) შენ კი რა გისურვო? მანამ ისეთი რევოლუცია მოხდებოდეს, რომ საშენო იყოს, გისურვებდი მწვანე ყვავილაზე ყოველთვის წვიმა მოდიოდეს. მადლობელი, ბიძია, მშვიდობით, ბიძია. (გადაეხვიენ ერთმანეთს და მაგრად ჩაჰკოცნეს. სიპანტობი, იხიელი გავიდნენ. იცკა ალაგებს წიგნებს. მეორე კარიდან შემოდის დედა. იცკა სიყვარულით გადაეხვევა) დედა!

ს ი მ ხ ა. შენ ხარ ჩვენი უკანასკნელი იმედი, ნუგეში, სიცოცხლე, აი, შვილო, ცოტა რამე, დედის ნახელავი. ნუ დამძრახავ, მეტი ვერაფერი გავაწყე. (ჯიბეში ფულს ჩაუდებს).

ი ც კ ა. (ხელზე ჰკოცნის) იცი, შენ, დედა?... განა არ მესმის შენ გაჰყიდე შენი საქორწილო კაბა? არა?... (პაუზა) ვფიცავ დედას... ეჰ, როდის შემეძლება, როდის გადაგიხდი, როდის გაგახარებ... (პაუზა) დედა! შემომფიცე, რომ ლიას არ გაათხოვებთ ჩემს დაბრუნებამდე.

ს ი მ ხ ა. თუ სიცოცხლე არ გაგვიძნელდა — ვეცდებით... (მოერევა ცრემლები)

შემოდინ იოსები და ისხაკი

ი ო ს ე ბ. პარახოდი ხვალ საღამოს გადის ფოთიდანო. დილაზე უკვე უნდა დაგვესალმო. შვილო, აბა, შენ იცი, იქ მაინც იღბალი აგყოლოდეს და მტერი არ გაგებარებინოს. გაუფრთხილდი სწავლას და მე თუ დამიჯერებ, დობტურობა რომ გაათავო — ყველას აჯობებს. აი ეს ცოტა რამე (გადასცემს ფულს) და როგორც შეგპირდი, რომ გავიყიდო ყოველთვიურად სამ-სამ თუმანს მაინც გამოგიგზავნი ხოლმე... რა ვქნა, შვილო, უკეთესად უნდა გამესტუმრებინე, მაგრამ ბიძაჩემს ხანაჩიას დაუმოკლდეს დღეები, ხო იცი, დუქანი არ მომცა, მომატყუა, ის ქალაღი კი ჩემის ხელისმოწერით რისთვის გამომტყუა — დღემდე არ ვიცი.

ი ც კ ა. (ისხაკს) შენ ისევ ხანაჩიასთან უნდა იმუშავო?

ი ს ხ ა კ. აბა რა ვქნა, ძმაო, სად წავიდე, რიონში ხომ არ გადავარდე!

ი ც კ ა. იცი, შენ, ისხაკ?... დედას ვფიცავ, იმ წურბელასთან სამსახურს ქვა და ლოდი ათრიო — ის სჯობია... (პაუზა) იცი, შენ, მამა?... მე რა და რა უნდა გთხოვო, დუქანზე ჩხუბს თავი დაანებე, არაყის სმაზედაც ხელი აიღე და დედასთანაც ჩხუბს აწი მოერიდე. რაღა დროს თქვენი ჩხუბია... ერთი წლის შემდეგ გერმანული მე-

ცოდინება და გაკვეთილებს ვიშოვი... ისევ მე დაგეხმარებით... მერე უმაღლესს გავათავებ. ჩამოვალ, ჩემს დებსა და ძმებსაც მოვუვლი და თქვენც აღარაფერს ვაგვიჩირებთ... ოღონდ იცხოვრებთ სიმშტაბილობით, ერთმანეთის სიყვარულით (გადაეხვევა დედას, მამას და მერე ისხაკს).

იოსებ. ჰო, დამავიწყდა. რა შეგეხვეწო, შვილო, იქ, გერმანიაში, მაინც ბუნტოვშიკებთან და საექვო ხალხთან საქმე არ დაიკავო შენ შენ საქმეს ათხოვე ყური და სხვებს კისერიც უტეხიათ. ეხლა წადი, შვილო, დაიძინე, დილაზე ადრე უნდა ადგე.

იცკა. იცი მამა?.. მალე, მალე დავიძინებ. ჯერ ამხანაგები უნდა მოვიდენ.

იოსებ. (გაფითრდა) ამხანაგები? ბუნტოვშიკები? შენთან რომ გამორეკეს? წასვლისას მაინც არ იშლი შენსას?

იცკა. იცი, შენ, მამა?.. არ ვარგა ასეთი ლაპარაკი. ისინი მოვლენ 5 — 10 წუთით... მივემგზავრები შორეულ ქვეყანაში... ამხანაგებს არ უნდა დავესალმო?... შენც ხომ ოდესღაც კლასიკურში იყავი... განა არ იცი... რას ნიშნავს ამხანაგები...

იოსებ. (მთლბა) კარგი, შვილო, დავსალმე, მხოლოდ როგორი დროა ხომ, იცი; დიდხანს არ გაჩერდეთ, აკრძალულ ლაპარაკებს და სიმღერებს თავი დაანებეთ. (მოისმის მომავალთა ნაბიჯები) აი მგონი კიდევ მოდიან. წავიდეთ, სიმბა, ისხაკ. (იოსებმა აკოცა იცკას შუბლში) ღამე მშვიდობისა! (გადიან იოსები, სიმბა, ისხაკი).

იცკა. (მარტო) ვფიცავ დედას... მამაჩემს ოქროს გული აქვს — ცხოვრებას რომ არ გაებოროტებია...

(ლია ალებს შუა კარებს და შემოუძღვება წინ ამხანაგებს. შემოდინა ლია, მერი ასია, დადაში, სერგო და იური) იცი, შენ, დადაშ?.. მამაჩემი რომ შემოვიდეს, იტყვის თავი მოუყრიათ ბუნტოვშიკების მთელ შტაბსო (ყველანი იცინიან) სსს... ჩუმად იცინეთ... თორემ ესაა წავიდა მამაჩემი დასაძინებლად, დედას ვფიცავ... არ დაეძინება და აქ შემოვა. აბა, დაჯექით, ამხანაგებო, და პირდაპირ საქმეს შეუდგეთ. (შემოუსხდებიან დიდ მაგიდას) როგორც იცით, პროცენტულმა ნორმამ რუსეთს ამაცილა და საზღვარგარეთ თავი მიკრა.


დადაშ. ერთი ჭირი მარგებელია — ქართული ანდაზაა. მეც მალე ლეიპციგში ამოვყოფ თავს. არ მასვენებს ფიქრი პარტიულ უთანხმოებაზე.

სერგო. როგორ? ჩვენ შორის ვინმე პროვოკატორია?

დადაშ. ძალიან საექვო ამბავია, იცკა.

იცკა. ნეტავი კი ვცდებოდე... დედას ვფიცავ, ბედნიერი კაცი ვიქნებოდი.

იური. (წამოხტება) იცკა არ ცდება... უნდა ვეძებოთ ჩვენს შორის საზიზღარი პროვოკატორი, რომელიც სწამლავს ჩვენი ახალგაზრდობის სიცოცხლეს და მომავალს.



ასია. მე ლამეები არ მძინავს და მეც მაწუხებს ეს საკითხი. ოღონდ კი ვიცოდე, თუ მართლა ვინმემ გაგვცა...

იცკა. იცით, თქვენ, ამხანაგებო?.. ამ ჩემი წასვლის წინ. მოდი დავდოთ ფიცი, რომ ვიქნებით 'შრომელი ხალხის ერთგულნი კუბოს ფიცრამდე, რომ ჩვენს სიმაგრესა და სიმტკიცეს ვერაფერი ვერ გასტეხს, რომ ვერ შეგვაშინებს ვერავითარი განსაცდელი ვერავითარ პირობებში და რომ მტერს, გინდ იყოს ის შიგნით შემოპარული, გინდ იყოს ის გაღმა მდგარი, ყოველთვის დაფხვდებით მტრულად და გმირულად.

დადაშ. შენ გენაცვალე, იცკა! აი ჩემი ხელი (მისცა ხელი. ყველამ მისცეს ერთმანეთს ხელი და შემდეგ ერთმანეთს ჩაჭკიდეს. იცკა უცქერის ამხანაგებს აღფრთოვანებით. შემდეგ ნელ-ნელა იწყებს „Вихри враждебные вьют над нами, тёмные силы нас злобно гнетут“... ამხანაგები აძლევებანს და ხმას უმატებენ. მოულოდნელად კარი იღება და თხელ ღამის სამოსელში გამოხვეული შუა კარებში ჩნდება დაღვრემილი და შეწუხებული იოსები. სიმღერა წყდება. იოსები უცქერის შვილს საყვედურით).

იოსებ. რისთვის მიკლავ, შვილო, ისედაც მოკლულ გულს და მამის თხოვნას ასე რისთვის აცამტვერებ დედამიწამდე?.. განა არ იცი შვილო, რა დროა?

იცკა. შენ. იცი, მამა? ამხანაგებს გული გვიკვდება ერთმანეთს რომ ვცილდებით... ვინ არის ამაში დამნაშავე?.. ჩვენი ცუდი დრო, თვითმპყრობელობა, შავბნელი ძალები... ჩვენ ეხლა ვეთხოვებით ერთმანეთს, ვინ იცის როდის შევხვდებით, რა დროს, რა პირობებში... გული სავსეა ბოლმით და ამ ბოლმის გასახეთქად ავმღერდით... ვფიცავ დედას... მხოლოდ ამ ერთ სიმღერას... მეტს არა... მხოლოდ ერთხელ... ერთხელ... ხომ... შეიძლება დავასრულოთ სიმღერა?

იოსებ. (მიუახლოვდება იცკას) ეჰ, შვილო. (ჩადგება შუაში. ცალ ხელს გადახვევს იცკას, ცალ ხელს დადაშს და თვითონვე იწყებს სიმღერას. დანარჩენები ბანს აძლევენ და აღტაცებით შესცქერიან იოსებს).

ფ ა რ დ ა



მოქმედება მეორე

სურათი მეოთხე

„სამშობლოსაკენ, ბარიკადებზე“

სცენა ლაიპციგში. იცკას ოთახი ფრაუ მეკელის ბინაზე: რბილი დივანი, კარადა, პირსაბანი, მაგიდა, ოთხი სკამი, სარკე, კედლის საათი, რკინის ღუმელი. ნათელი და სუფთა ოთახი. კუთხეში — ფანჯარასთან საწერი მანქანა. მაგიდას გარს შემოსხდომიან ევროპულ კოსტიუმებში გამოწყობილნი იცკა, დადაში და ალიოშა. მაგიდაზე წინ უდევთ: პაპიროსის ქაღალდზე გადაბეჭდილი ბოლშევიკური გაზეთის მრავალი ეგზემპლარი, კარდონები, წებო, გერმანული ილუსტრირებული ჟურნალები.

მოქმედების დასაწყისში ისინი მღერიან ჰაინეს ლორელაის — მეტად ნაზი და ლირიკული მელოდიით. ხელში ყველას კარდონები უჭირაგთ და აკეთებენ ორმაგ რგოლებს. შესცქერიან ალიოშას.

ალიოშა. არის ქართული ანდაზა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. ალბათ, ჩვენი წინაპრებიც როცა ამ ბრძნულ ანდაზას სთხზავდენ — ჩვენსავით გაჭირვებაში იყვნენ... დაუკვირდით და გადაიღეთ, რის შემდეგ გადავალთ შეჯიბრზე: ვინ მეტს გააკეთებს. რგოლები მზადაა? მაშ დავახვიეთ ორი რგოლი. რგოლსა და რგოლს შუა გაზეთის ეგზემპლარები. კარგია. ეხლა ზევიდან და ქვევიდან შემოახვიეთ რგოლებს — გერმანული ეტიკეტები. არის. რგოლში ჩაუძახეთ გერმანულ სურათებს და სურათებიან ჟურნალებს. კარგია. ეხლა დავხუროთ მთელი რგოლი. დავაწებოთ. მისამართი: ქუთაისი, ბალახვანის ქუჩა, ნომერი ესა და ეს, ამბროსი ლომისელს.

დადაშ. ჩემიც მზადაა: ქუთაისი, ესა და ეს ქუჩა, ესა და ეს ნომერი, სერგო ნაქერალელს. მის მეტი არაფერი სჭამეს რუსის ჟანდარმებმა, რაც ამ გერმანულ გაზეთებში ვერაფერი ამოიკითხონ ნებადაურთველი.

იცკა. (აწერს მისამართს და კითხულობს) „ქუთაისი. რესტორანი „ქაშერი“ — ასია ნადელს“. აი მეორე ბანდეროლიც: „ქუთაისი, გარინის ქუჩა, ქალბატონ მერი კაციტაძეს“. იცი, შენ, ალიოშა? შე-

ჯიბრში მე და დადაში არ ჩამოგრჩებით, ვიჩქაროთ ყველა რგოლების გაკეთება, თორემ ვიდრე მე იმათ ფოსტაში წავიღებდე — „სამოც-დაათ წლიანი ფრაუ“ მეკელი თავს დამადგება და დამიწყებს: „მალ-ცაიტ... ჰერრ რიენაშიულ... სადილში მხოლოდ სამოც პფენინგს გახდევინებ... ოთახი ასეთი სუფთა, იაფი... განათება, გათბობა, მოვ-ლა... ესეც მხოლოდ ოცდაოთხი მარკა... ვალს დროზე გადახდა უნდა... შენ კი ორი თვის არ გადაგიხდია... ჰერრ რიენაშიულ...“

ა ლ ი ო შ ა. (იციინის) რიენა — შიულ. არის. ძალიან არ ჩაუნე-შენცურებია შენი გვარი. ბიჭო, იცკა, ორი თვის ვალი კაი ექვს თუმნამდე შეგიდგება. რას აპირობ?

ი ც კ ა. იცი, შენ, ალიოშა? პირდაპირ ჭკუაზე ვირევი. მამაჩემი წამოსვლისას შემპირდა: გავიჭირვებ და როგორც იქნება ყოველ-თვიურად სამ-სამ თუმანს გამოგიგზავნი ხოლმეო. საქმე არა გაქვს? ორი თვეა აღარაფერს მიგზავნის. რაღა მივწერო?... დედას ვფიცავ, ალბათ, უარესად თუ გაუჭირდათ... აი კიდევ ორი რგოლი მზადაა... (პაუზა) ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდით მე და დადაში... მე კი ამ ზამთარში პალტოც არა მაქვს და საზაფხულო შარვლით დავიარები.

ა ლ ი ო შ ა. ნიკოდიმს რატომ არ დაესესხე? იმას ფულები ყო-ველთვის დროზე ჩამოსდის. თანაც მდიდრის შვილია, ჩვენს კოლო-ნიაში ყველაზე შეძლებულია... არის კიდევ ორი რგოლი...

და და შ. მეც გავაკეთე კიდევ ორი რგოლი. (პაუზა) ნიკოდიმსა? (იცკა და დადაში იციინიან).

ა ლ ი ო შ ა, რა გაცინებთ?

ი ც კ ა. იცი, შენ, დადაშ?... უამბე ალიოშას.

და და შ. ფულის გამოგზავნას სახლიდან ყოველთვის მე და იცკას გვიგვიანებენ. ვიდრე გადავწყვეტდით ფრაუ მეკელის დამპალი ხორციტ გაკეთებულ სადილების ჭამას, ათი დღის განმავლობაში ვშიმშილობდით... დავდიოდით ერთმანეთთან და ლაპარაკით ვირ-თობდით თავს... ძალიან რო გაგვიჭირდა, გადავწყვიტეთ მივდგო-მოდით ნიკოდიმეს... მართალია, ძუნწ კაცად ითვლებოდა, არავინ აწუხებდა, მაგრამ სოციალისტის სახელს დიდი გულით რო ატარებ-და, რატომღაც იმედი მოგვეცა — ხუთ მარკას მაინც გვასესხებდა და რა ღმერთი გაუწყრებოდა, ჭიქა ჩაის მაინც არ დაგვალევინებდა...

ა ლ ი ო შ ა. არის კიდევ ერთი რგოლი... მერე... ჩაიც არ და-გალევინათ?

და და შ. მოიცა, კაცო, რა მოგივიდა. რაჭველი კაცი მერვე თვეზე ხო არ იბადება? ჰო და, მივაღებოთ პადიეზდს. იცკა მხრებში შეიშმუშნა, მითხრა — არ ღირს, მოდი უკან დავბრუნდეთო. მე მაინც დავრეკე ზარი, შევედით, მივესალმეთ... ნიკოდიმემ ისე აგვათვალი-

ერ-ჩაგვათვალაერა, თითქოს პირველად ვენახეთ. ჩვენ დაჯდომაც ვერ მოვასწარიტ, საცოდავად დაიღრიჯა და რომ იცოდე, რა გვითხრა: „კაცო, სამი დღეა, პური არ მიჭამია, რამდენიმე მარცხს მასესხებთო? მე და იცკამ მწარედ გადავხედეთ ერთმანეთს. როგორც შეგვეძლო, ვეცით ნუგეში. სესხებით კი — აბა რას ვასესხებდით... გამოვედით გარეთ... მართალია, გვშიოდა, მაგრამ გიჟებივით ვიცი-ნოდით... მე უკვე გავათავე მეხუთე რგოლი.

ალოშა. 'შენა, იცკა?

იცკა. მეც. დედას ვფიცავ, აი, გავათავე... ახლა ჩამაბარეთ ყველამ. დადაშ! მომაწოდე ეს პატარა ტომარი. რამდენია სულ? (ითვლის და ჰყრის) ჩვიდმეტი ბანდეროლია. აბა წაგედი ეხლა ფოსტაში. ამას გავაგზავნი... (როცა იხურავს ცილინდრს, ამ დროს კარებზე აკაკუნებენ) იცი, შენ, დადაშ?... ჩვენს ამხანაგებს კაკუნი არ უყვართ... ეს ფრაუ მეკელია... დედას ვფიცავ... მობრძანდით! (შემოდის ფრაუ მეკელი — ხანში შესული ქალი, მაგრამ ფიზიკურად ჯერ ისევ გაუტეხელი, უჭირავს თავი რაღაც განსაკუთრებული პატივისცემით თავის თავისადმი) ა... ფრაუ მეკელ...

ფრაუ მეკელ. მალ ცაიტ... ჰერრ რიჟნაშიულ... სადილში მხოლოდ სამოც პფენინგს გახდევინებ... ოთახი ასეთი სუფთა, იაფი... განათება, გათბობა, მოვლა... ესეც მხოლოდ ოცდაოთხი მარკა. ვალს დროზე გადახდა უნდა... შენ კი ორი თვის არ გადაგიხდია... ჰერრ რიჟნაშიულ...

იცკა. იცით, ფრაუ მეკელ?... მე ეხლა ფოსტაში მივდივარ, ფული უსათუოდ მიღებული იქნება.

ფრაუ მეკელ. მეორე თვეა ეს ზღაპარი მესმის... ჰერრ რიჟნაშიულ... მე ერთი საათი კიდევ შემეძლია ვისმინო ეს ზღაპარი... ვალს დროზე გადახდა უნდა... ჩემი ფრიცი განა ტყუილად ამბობს... ჰერრ რიჟნაშიულ კავკასიელი არ იქნება... ცხვირით ებრაელთა რასას ეკუთვნისო...

იცკა. იცით, თქვენ ფრაუ მეკელ?... ჩემი ცხვირი და ებრაელების რასა თქვენს ანგარიშში არ შედის...

ფრაუ მეკელ. მალ ცაიტ, ჰერრ რიჟნაშიულ. ფოსტიდან რო დაბრუნდები, მაშინ ვიანგარიშოთ (გადის).

ალოშა. სიცილით მოკვდები, ისე იძახის მალ-ცაიტ რიჟნაშიულ... ასე მგონია რუსულად გემუქრებოდა.“ (პაუზა) გულს ნუ გაიტეხ, იცკა. წადი ეხლა ფოსტაში და ორ-სამ დღეში, რა ქვეყანა დაიქცევა — ერთ-ერთ ჩვენთაგანს რო ფული არ მოუვიდეს. (შემორბის იასონი, დედას და ეტყობა გაფითრება).

დადაშ. იასონ! რა ამბავი მოგაქვს?

იასონი. (იცკას) ეს ლიტერატურაა? ფოსტაში მიგქონდა, ძლივს არ მოგისწარიტ! შეაჩერეთ.

ყველანი. რა ამბავია?

იასონი. ესაა ეხლა ჩამოვიდა ჟენევიდან მიშა დავითაშვილი, შემოუთვლიათ ჩვენთვის, რომ ფოსტით ლიტერატურის გაგზავნას თავი მივანებოთ. დასავლეთის საზღვარი ჩავარდა. რუსეთის ოხრანკას დაუყნოსია, რომ რგოლებში გერმანული ჟურნალების გარდა მოთავსებულია პარტიული ლიტერატურა. ვისი მისამართითაც ვაგზავნიდით, ის ხალხი აღრიცხვაზე აუყვანიათ.

დადაშ. აბა რა ვქნა ეხლა? ქუთაისში ველარ მივაწოდეთ ლიტერატურა?

ალიოშა. არის ქართული ანდაზა: „ხერხი სჯობია ღონესათუ კაცი მოიგონებსა“. მაგრამ ამ მოგონებაშია საქმე. მე ველარაფერი მოვიგონე. შენა, იცკა?

იცკა. დედას ვფიცავ... იცით, დადაშ, ალიოშა, იასონ?.. გავაგზავნი ეხლავე მთელს ლიტერატურას. ჩვენი მარადიული სტუდენტი კარაიგი პილატი დღეს აგზავნის მანუფაქტურას სპარსეთისა და ავღანისტანის გზით... წავალ და ჩაუდებ ცალებში მოხუც ნადელზე გადასაცემად. ნადელი მორწმუნეა, გერმანულიც იცის... ჟურნალები თვითონ იკითხოს, ხოლო დანარჩენს... ასია მოუვლის და უპატრონებს, გაანაწილებს როგორც საჭიროა.

ალიოშა. ყოჩაღ იცკა! (აახტუნა ჰაერში).

დადაშ. შენ იცკა კი არა, ნამდვილი ისკრა ხარ!

იასონ. მხოლოდ ახალი „ისკრა“ კი არა — ძველი „ისკრა“.

იცკა. „Вперед“ მეგობრებო! (იცკა ემზადება გასასვლელად).

ალიოშა. (აძლევს თავის პალტოს) მოიცა, იცკა. გარედ თოვლია, ყინვა, ქარბუქი, მე კი შენს მოსვლამდე აქედან არსად არ წავალ. შენი ხასიათი რო ვიცი, „ლეიპციგერ ნახრიხტენის“ კანტორის ვიტრინასთან რო გაივლი, ალბათ, გული არ მოგიტმენს, დაელოდები უკანასკნელ ცნობებს რუსეთიდან, თუ რით დამთავრდა გაფიცვა პუტილოვის ქარხანაში. გადაიცვი, თორემ გაცივდები. (გადააცმევს. იცკა მაგრად ჩამოართმევს ხელს და გადის). იცკა... ეჰ... ბავშვივით ალაღია.

იასონი. მაოცებს მაგის ნიჭი, როცა ჩამოვიდა, გერმანული ძალიან სუსტად იცოდა. ორი თვის განმავლობაში, თვითონ, მასწავლებლის დაუხმარებლად, სხვადასხვა ლექსიკონების საშუალებით ისე შეისწავლა გერმანული, რომ პროფესორები გადარია.

დადაშ. მაგის მამამ კი თურმე დააბარა: „შვილო, დოხტურობა ისწავლეო“. (კაუზა) იძახოდენ ზოგიერთები ჩვენში: „ქართველი მ. გ. ბაახოვი

ებრაელი მხოლოდ ვაჭრობისათვისაა გაჩენილიო“. იცქას მაგალითი შესანიშნავია.

ა ლ ი ო შ ა. ჰო მართლა, რა გითხრათ, ლიბერმანი რაო, ბუნდისტი — თურმე მთელი კვირა დასდევდა იცქას: „შენ ებრაელი ხარ. რას გადაკიდებიხარ ამ ქართველებსა და ბოლშევიკებსო. შენ უნდა შემოხვიდე ბუნდში და ერთად ვიბრძოლოთ ებრაელთა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისათვისო“. იცქას უთქვამს: „ბიძია ლიბერმან! დამანებე თავი, ყველამ რომ ნაციონალი ვაკეთოთ — ინტერნაციონალი ვიღამ უნდა გააკეთოსო?“ (შემოდის ლადი) მოვიდა ლადი, სტუდენტი ნალდი... (დადაში და იასონი იცინიან).

ლ ა დ ი. ეხლა დამცინით კიდევ, როცა თქვენ ფანატიკოსების ფრაქციას თავი გავანებე?.. თქვენ, ბიძია, რევოლუციონერები კი არა ხართ, ბლანკისტები ხართ, იაკობინელები. ლენინს სურს პარტიაში დიქტატურა გაამეფოს... ლენინს სურს აჯანყება მოაწყოს... ლენინს სურს...

და და შ. მოიცა, შეაჩერე მენშევიკური წისქვილი. თქვენ კი რა გსურთ? მართლა თხოვნას ახლევო იმპერატორს: პატივცემულო ნიკოლოზ მეორე, უმორჩილესად გთხოვთ, თუ შესაძლებელია ტახტიდან გადადგეთო?

ი ა ს ო ნ. ა ლ ი ო შ ა — (იცინიან) ხა. ხა, ხა!

ა ლ ი ო შ ა. ძოდი, ლადიჯან, პოლიტიკას თავი დავანებოთ, იმიტომ, რომ ამ საკითხში გარკვეული აზრი გვაქვს: თქვენ არ მიგვაჩინებართ რევოლუციონერებად. ხო გაგიგონია, არის ქართული ანდაზა: „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“... ეხლა ეს მითხარი: რისთვის მოხვედი?

ლ ა დ ი. როგორ თუ რისთვის მოვედი? ბოლშევიკები ხომ არ მიკრძალავთ ფრაუ მეკელთან სადილობას?

ი ა ს ო ნ. როგორ გეკადრება, ლადი, ხუმრობა შენთან არ იქნება თუ? (პაუზა) მოგწონს ფრაუ მეკელის სადილები?


ლ ა დ ი. რატომაც არ მომწონს. ოცდაათ პფენინგათ სად იშოვი ამაზე უფრო სუფთა და გემრიელ საჭმელებს?

და და შ. მენშევიკური ტაქტიკაა. დამპალ ხორცის წინააღმდეგ აჯანყებას როგორ გაბედავენ?

ლ ა დ ი. როცა დაჰკრავს საჭირო საათი, მაშინ გამოჩნდება ვინ როგორი რევოლუციონერია.

და და შ. რასაკვირველია, მაშინაც გამოჩნდება, მაგრამ ზოგი რამ ეხლაც ჩანს.

ლ ა დ ი. იცქა სად არის? სახლიდან ფული არ მომსვლია. იქნებ მასესხოს რამე.



ალოშა. ეხლა იცკა რომ ებრაელია, ასე გგონია გასასესხე-
ბელი ფულებიც უნდა ჰქონდეს? არის ქართული ანდაზა: „წყალწა-
ღებული ხავსს ეკიდებოდაო“. ნიკოდიმეს ვერ დაესესხე? (შემოდის
ნიკოდიმე. ყველანი იცინიან. ნიკოდიმე იცქირება დაღვრებით და გაოცებით)
ბედი გქონია, ნიკოდიმე. სიდედრს ეყვარები, ეხლა გახსენებდით.
რა მოგივიდა, კაცო, რა ყურები ჩამოგიყრია?

ნიკოდიმე. ჩამოყრი ყურებს, აბა რა იქნება. ხუთი დღეა
არაფერი მიჭამია. მოვედი ფრაუ მეკელთან, როგორც ძველ ნაც-
ნობთან, იქნებ ნისიად მასადილოს.

ალოშა. სიცილით მოვკვდები, ნიკოდიმე. ამბობენ: ფრაუ
მეკელის სადილები მდიდრებს კუჭს უფუჭებსო.

ნიკოდიმე. კალონიის ორი მესამედი აქა სჭამს და იმათ თუ
არ უფუჭდებათ კუჭი, არც მე გამიფუჭდება. თანაც მე ტყუილად
გგონივართ მდიდარი. მე მამაჩემთან არაფერი საერთო მაქვს. მე
სოციალისტი ვარ... მე თავის დროზე დაგიმტკიცებთ როგორი
სოციალისტიც.

იასონ. (ირონიით) — შენც — თავის დროზე! ოჰო, რომელ ფრთას
ეკუთვნი საბოლოოდ?

ნიკოდიმე. იცკა თუა სოციალისტი, მე რატომ არ შემიძლია
ვიყო სოციალისტი? რიჟანიშვილებისთანა მდიდრები — გერმანიაშიც
ცოტაა.

ლადი. ნიკოდიმე მართალია. ამბობენ იცკა ძალიან მდიდრის
შვილიაო და ფულებს მალავსო.

დადაშ. კოლუმბმა აღმოაჩინა — ამერიკა. თქვენ კიდევ — იცკას
სიმდიდრე.

ალოშა. არის ქართული ანდაზა: „ფერი ფერსა — მადლი
ღმერთსაო“. ეხლა გასაგებია თუ რისთვის მღერიან ოპორტუნისტი
და გახუნებული შოვინისტი ერთნაირ ჰანგზე.

ლადი. (მაგიდაზე მუშტი დაჰკრა) თქვენ თვითონ ხართ ოპორ-
ტუნისტები, დიქტატორები...

ნიკოდიმე. (ბრაზიანობს) მე ნებას არ მოგცემთ ჩემი გალან-
ძღვისას...

იასონ. რა მოხდა ეხლა? რამ აგაპილბილათ?

დადაშ. (განრისხებით) კოლუმბის კომპანიონებო, უმჯობესია
ხმა ჩაიწყვიტოთ...

ალოშა. (წყნარად) არის ქართული ანდაზა... (შემორბის იცკა
მეტად აღელვებული, შლიაპას დააგდებს ძირს, ეტყობა ურბენია, გული უცემს
დაღლილობისაგან, თავს ვერ იჭერს. ყველანი შეშფოთდებიან, მობრუნდებიან მის-
კენ. ხელში უჭირავს გერმანული გახეთი). იცკა, რა ამბავია?

ი ც კ ა. იცი, შენ ალიოშა? დადაშ, იასონ... ამხანაგებო... თქვენც...
ლადი... ნიკოდიმე... პეტერბურგში, ცხრა იანვარს დაუღვრიათ მუ-
შების ზღვა სისხლი... რუსეთში დაიწყო რევოლუცია. შიზონიონეკა
დადაშ. იცკა! რევოლუცია... როგორ ძოძხდარა... დაწვრი-
ლებით...

ი ც კ ა. აი გაზეთი. უკანასკნელი ცნობები: „ცხრა იანვარი —
სისხლიანი კვირა პეტერბურგში... მღვდელ გაპონს გაუბრიყვებია
ათეული ათასი პროლეტარი... ჯვრებითა და მეფის სურათებით
გაემართნენ თურმე ზამთრის სასახლისაკენ, რათა მონარქისათვის
თავი შეებრალეზინათ... როგორც მოსალოდნელი იყო, სისხლის
მსმელთა ჯალათს გაუცია განკარგულება დემონსტრაციის დაივრე-
ტისა... ტყვიებითა და ხმლებით დახოცეს ათასეული მუშები და
მათი შვილები... მაგრამ იცით, თქვენ ამხანაგებო?... აღშფოთებულა
მთელი რუსეთი, უკრაინა, კავკასია, პოლონეთი... გაფიცვაში ნახევარ
მილიონზე მეტი კაცი ჩაბმულა... მთელი ლეიპციგი 9 იანვარზე ლა-
პარაკობს... აბა, მეგობრებო, დედას ვფიცავ, დადგა ჩვენი ჯერი!
(ჩასჩერებიან გაზეთს).

ა ლ ი ო შ ა. ჩვენ რა უნდა ვქნათ, იცკა? (შემოდის ფრაუ მეკელ).

ფ რ ა უ მ ე კ ე ლ. მალ ცაიტ, ჰერრ რიჟნაშიულ... ფულები მომი-
ტანე? (პაუზა) არა? ზლაპარი კიდევ ზლაპარია? (მივა საწერ მანქანასთან
და აიღებს) ეს როგორც გირაო, ვიდრე ზლაპარი გათავდება...

ი ც კ ა. (მივარდება და გამოსტაცებს) იცი, შენ, ფრაუ მეკელ?... ექვსი
თვე დღეგამოშვებით ვჭაჰდი, რომ ეს საწერი მანქანა შემეძინა... მე
ეს-თან უნდა წავიღო საქართველოში... მე ამას შენ არ დაგანებებ...
აი, წაიღე საათი, რაც ვალი მაქვს აიღე, დანარჩენი დამიბრუნე.

ფ რ ა უ მ ე კ ე ლ. საათი? იყოს საათი. მოვძებნი მუძტარს...
ოლონდ ზლაპრები აღარ გავიგონო... (პაუზა. კითხულობს მისამართს წე-
რილზე) ნიკოდიმ სირბილაძე... თქვენი წერილი... გადასახდელია
ოცი პფენინგი...

ნ ი კ ო დ ი მ ე. (საცოდავად იღრიჯება) ვის აქვს?

ი ც კ ა. (ამოიღებს უბიდან) აი ჩემი უკანასკნელი ათი პფენინგი,
წაიღე.

ფ რ ა უ მ ე კ ე ლ. ათი არ კმარა... მე ფული გადავიხადე... თქვე-
ნისთანა ხალხის ნდობა არა მაქვს... თქვენ ზლაპარი გიყვართ...

ნ ი კ ო დ ი მ ე. (ჯიბეში აფათურებს ხელს. ამოიღებს საფულეს, საიდანაც
პატრონის დაბნეულობით გადმოცვივა საკმაო ფული ფრაუ მეკელს გაისტუმ-
რებს, მერე უხერხულად მოუბრუნდება ამხანაგებს) რას შემომცქერიხართ...
ეს ფული ჩემი კი არ არის... ეს... ეს... მე... მე...

ა ლ ი ო შ ა. (ირონიით) ჰო, შენი კი არაა... გერმანიის იმპერა-

ტორისა... არის ქართული ანდაზა: „კუზიანს სამარე გაასწორებსო“... ნიკოდიმეს გედის სიმღერა ნამღერია. აბა, იცკა, რა ვქნათ ეხლა? შემორბიან აღელვებული და აღშფოთებული სტუდენტები. ისმის ერთმანეთი სადმი შექახილი: „გაიგეთ?“ „რევოლუცია დაწყებულა?“, „რამდენი ხალხი დაუხოციათ იმ ჯალათებს?“, „რა ვქნათ ეხლა? ნეტავი რა ამბებია საქართველოში?“ იცკა შეხტა მაგიდაზე და ხელით ანიშნა ყველას, რომ გაჩუმებულიყვნენ.

იცკა. იცით, თქვენ, მეგობრებო?... დედას ვფიცავ, აქ ბევრი ფილოსოფია აღარაა საჭირო... ხომ ხედავთ, უკვე დაიწყო... რევოლუციის პირველი დროშა ათასების უმანკო სისხლით აფრიალდა... მიუტევებელი დანაშაული და საზიზღარი ეგოიზმი იქნებოდა ჩვენის მხრივ, ჩვენ რომ ეხლა ლეიპციგიდან დაუწყოთ ამ ამბებს ყურება... ჩვენი ადგილი ეხლა აქ არ არის, იქ, სამშობლოში, პატიოსან მუშებთან და მებრძოლვებთან... რა დროს სწავლაა... ეხლა ყველაფერი მეორე პლანზე უნდა იყოს მიტოვებული... მივდივართ დაუყოვნებლივ საქართველოში...

დადაშ. არც ერთი წუთი დაყოვნება... მივდივართ... მაშ მივდივართ... ყველანი სამშობლოში!

ალიოშა. მოვდივარ!

იასონ. მოვდივარ!

სტუდენტების ხმები. მოვდივართ, მოვდივართ! საქართველოსკენ!

სხვა სტუდენტები. მოიცათ, კაცო, ხომ არ გაგიყდით! გავერკვიოთ საქმეში! იქნებ რევოლუცია უკვე კიდევ ჩააქრეს!

დადაშ. თქვენ თვითონ ხომ არ გაგიყდით, რევოლუციის ჩაქრობას უცადოთ, თუ უნდა ვისწრაფოთ რევოლუციის გასაღვივებლად?

ლადი. ამხანაგებო... ყური დამიგდეთ... რას აყოლიხართ რიჟინაშვილს... ბალშევიკებსა და მათსავით სულწასულ ხალხს... ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ ვართ უპირველეს ყოვლისა სტუდენტები... (უკანასკნელ სიტყვას ამბობს ხაზგასმით). ჩვენი მიზანია ვისწავლოთ და ვისწავლოთ და როცა დავასრულებთ უმაღლესს, მაშინ ყოველი ჩვენთაგანი თავთავის დარგში, ლეგალურ ფარგლებში, მოეხმარება მშრომელ ხალხს.

ნიკოდიმე. სავსებით ვიზიარებ ლადის აზრს.

ზოგიერთი სტუდენტები. როგორ შეიძლება შუაგულ წელიწადში სწავლის შეწყვეტა?

დადაშ. (ლადის და ნიკოდიმს) საათმაც დაჰკრა და გამოჩნდა რაც ვაუბატონები ყოფილხართ...

იცკა. (ისევ მაგიდაზე) დედას ვფიცავ... ორი სიტყვა კიდევ და მეტს აღარ ვილაპარაკებ... ჯალათმა იმპერატორმა დაღვარა უმანკო

ხალხის ზღვა სისხლი... აღდგენენ მილიონები... აღშფოთებამ მოიკვამთელი ქვეყანა... ჩვენ კი, რომელნიც ვართ მშრომელი ხალხის შეგნებული შვილები, რას ჩავდივართ? ვინ არის, რომ სთქვათ დაარჩენა? იცი, შენ, ლადი, ნიკოდიმ? თქვენ ხართ... მოლაღატენი!.. დარჩით ლეიპციგში, ამ სახავსეში და საჭაობეში! უყარაულეთ ფრაუ მეკელს! შეექეცით მის მიერ დაძალებულ დამპალი ხორცის კერძებს!.. დაუმეგობრდით ფრაუ მეკელის შვილს ფრიცს და მის მსგავს არამზადა კორპორანტ — სტუდენტებს — სახეები რომ დუელების დროს აქვთ უმსგავსოდ დასახიჩრებული, გარშემო ჰაერს რომ სწამლავენ კაციჭამია, შოვინისტური სურვილებით და მომავალ გერმანიას რომ უმზადებენ დიდ უბედურებას... ხოლო ჩვენ, ბოლშევიკები, მეგობრები, მშრომელი ხალხის ერთგული შვილები, ლენინის მოწაფენი, ვფიცავ დედას, არც ერთ დღეს არ დავრჩებით ლეიპციგში... დაუყოვნებლივ მივემგზავრებით საუკეთესო მებრძოლთა რიგების შესავსებად... სამშობლოსაკენ... ბარიკადებზე!

უმეტესობის შეძახილი: „სამშობლოსაკენ, ბარიკადებზე“!

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

„იანვარში უნივერსიტეტი არ იხურება“...

რიჩინაშვილების ბინაზე. სცენაზე — იოსები, სიმხა, სიმანტოზი. 1905 წლის იანვრის უკანასკნელი დღეები.

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. აი ამბავი, აი ხაბარი. საწყალი ბიჭი... ისხაკი და ციხე! ვის გაუგონია! ხანანია ხო იძახოდა, ისხაკიდან კაი ვაჭარი დადგებო.

ი ო ს ე ბ. (მალლა ხელებს ალაპყრობს) ოი ღმერთო, თუ სადმე ხარ, შენ გაუწყვიტე ცოლი და შვილი ბიძაჩემ ხანანიას, თუ არსადა ხარ, მაშინ იმას გაუწყდეს ცოლი და შვილი, ვილამაც შენ მოგიგონა!... (ვაუზა) ვაი ჩემს სიცოცხლეს! შვიდი შვილი კი არა, სამოცდა ჩვიდმეტი უნდა მყოლოდა. უფრო კარგად ვიცოცხლებდი.

ს ი მ ხ ა. არც ამდენი წყევლა ვარგა, შე კაცო, ხანანია დარბისო, რომ ისხაკი გამოაშვებინოსო.

ი ო ს ე ბ. შენც ადექი და დაუჯერე სიფორიას!!! (საშინელი გესლით) განა ტყუილად ვლოცულობთ ყოველდღე: „კურთხეული იყავ შენ აღონაივ, ღმერთო ჩვენო, ხელმწიფეო მთელი ქვეყნისაო, რომ არ გამაჩინე დედაკაცადო“.

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. მაინც რა მომხდარა, როგორ მომხდარა?

ი ო ს ე ბ. ვილაცა მუშტარს დაუბრალებია, ჯიბიდან ფული ამო-

მაცალეო. გაიგონე, სიმანტობ?... ბიძაჩემს კი თავი როგორ მოაქვს...
დარბის ჩემთან, მეზობლებთან, თითქოს იცოდებს ისხაკს და ცდილობს,
რომ გამოაშვებინოს... ყაჩაღ, ბიძაჩემს უნდა, რომ მართალი კაცია
გამოაშვებინოს! არა! არა! არა! თვალებს ნუ ამიხვევთ! ზეხარიასავით
ნუ დამაბრმავებთ! მოხარშულს ვიცნობ ბიძაჩემს: თავს მოვიჭრი და
მე ჩემსას ვიტყვი: ისხაკი ნოქრების კრებაზე დაიარებოდა და ბიძა-
ჩემმა ეს ვერ მოინელა. უთხრა ანტონენკოს, მოილაპარაკეს. შარი
მოსდეს და დააჭერინეს.

ს ი მ ხ ა. ვაიმე, შვილო, როგორ რბილ საწოლზე იწოლები! პატ-
რონიც რო აღარაფინა გყავს.

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. მოიცა, ქალო, რა ამბავი, რა ხაბარი! ასე ლაპა-
რაკი როგორ იქნება! პატრონი მისი სიმართლეა. პატრონი ადო-
ნაია...

ი ო ს ე ბ. არა, არა, არა! წყევლაა. რალაცა დიდი წყევლა ჩემ
ოჯახზე. ვაი ჩემს სიცოცხლეს, ორ თვეზე მეტია ჩემი საყვარელი
იცკასთვის კაპიკი არ გამიგზავნია... ხალხს აღარ აქვს ჩემი ნდობა...
კაპეიკს ველარსად ვსესხულობ... ეს ამბები ასე ადვილად არ გათავ-
დება... რაც შარშან ბიძაჩემმა ჩემი ხელმოწერილი ქალაღი დამ-
ტყუა, გული საგულეში აღარ მიდგია... ის არ დაისვენებს, დუქნის
ჯავრი ყელში აქვს მოწოლილი და გველეშაპივით უნდა ყველაფერი
გადაყლაპოს და შესანსლოს... მაინც არ გაძლება, მანამ კუჭი შიგ-
ნიდან არ გაუსკდება. (შემოაღებს კარებს ხანანია. იოსები ოდნავ შეკრთება
და უკან დაიწევს) რა გინდა, ბიძია ჩემო, ჩემს სახლში მაინც რაზე
არ მასვენებ?

ხ ა ნ ა ნ ი ა. შალომ-ყალახეში გითხრა, ვიცი პასუხს არ მომცემ
ხეირიანს. ისევ პირდაპირ მინდა მოგახარობლო. ეხლა ვიყავი პრის-
ტავ ელჩიბეკოვთან, ცოტა ქრთამიც მივეცი და შემპირდა ორ
დღეში ისხაკს გამოუშვებო.

ს ი მ ხ ა. (სიხარულით) გადაგიხადოს ქვეყნის გამჩენმა. (პაუზა. იო-
სები და სიმანტობი ექვითა და უნდობლობით შესცქერიან ხანანიას და ხმას არ
იღებენ).

ხ ა ნ ა ნ ი ა. კიდევ ერთი საკითხი... ხომ გაგიგონიათ, ეს ქვეყ-
ნიერება სასწორია. ეხლა ცუდი დრო დადგა... ბუნტოვშიკებსა და
მეფის ორგულებს ისევ თავი გამოუყვიათ... პრისტავ ელჩიბეკოვმა
მკითხა: შენი ნათესავი სტუდენტი რიჟინაშვილი ხო არ ჩამოსულა,
ან ხო არ აპრობს ჩამოსვლასო. სიმხა ფითრდება. იოსები წამოხტება და
შეჰყვირებს.

ი ო ს ე ბ. არა! არა! არა! არ ჩამოსულა... არც ჩამოვა... მად-
ლობა ღმერთს მაგათ კლანჭებს ასცდება... არ ჩამოვა... რომ სტუ-

დენტი რიჩინაშვილი არ ჩამოვა... იანვარში უნივერსიტეტი არ იხუ-
რება...

ხ ა ნ ა ნ ი ა. დაწყნარდი, კაცო, რა გაღრიალებს. შენს პირს მაქა-
რი. მეც ვგ არ მინდა?... ეხლა კიდევ ერთი საკითხი... საბოლო-
ოდ... საბოლოოდ... (მიუახლოვდება ძალიან ახლოს) დუქანს არ მითმობ?

ი ო ს ე ბ. სინდისი? ღმერთი? ნათესაობა? აღარაფერია ქვეყნად?
შენ. ცხრა გატენილი დუქანი გაქვს... მე—ერთი, ცარიელი, დამტვ-
რეული თაროებით, ჩამონგრეული კედლით, მიღწეილი კარით... რა
გშურს, შე გაუმაძღარო... შარშან არ იყო, ქალაქი გამომარ-
თვი... სულებზე ხელი აიღე და დუქანი შენი იყოსო?

ხ ა ნ ა ნ ი ა. ასწონ-დასწონე, ამბიკაში არ მოხვიდე! ხო იცი, დუ-
ქანსაც წავიღებ და სხვა რამეც დაგეშართება ცუდი...

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. (გაბრაზებით) რა ამბავი, რა ხაბარი! ვის აშინებ?
მოერიე საწყალ კაცს? ესენი რო დღეში არიან კიდევ ცუდი უნ-
და დამართო რაბე?... ეჭ ჭკვიანია იცკა, იმას ვენაცვალე.. მეც რომ
ახალგაზრდა ვიყო, ყველა ბურჯუების მოსისხლე მტერი შევიქნებო-
დი, ერთის სინსილას არ გაუწვებდი...

ხ ა ნ ა ნ ი ა. შენც სოციალისტი გახდი?... მაზალტობ! ერთი გადა-
რეული კიდევ შემატებია რიჩინაშვილებს (მოუბრუნდა იოსებს და ხმა
აუწია) შენი პადლოგები ჩემს ხელშია. მიხვდი?

ი ო ს ე ბ. პადლოგები?... მე და პადლოგები?... ტვინში შეკრუ-
ლობა ხომ არა გაქვს?

ს ი მ ხ ა. შენი ჭირიმე, ბატონო ხანანია, ნუ ინებებ, ისრაელის
მტერს, ჩვენ რო დღეში ვართ...

ი ო ს ე ბ. ხმა გაკმინდე, სიმხა! მე ცუდი კაცი არა ვარ! მე არა-
ფერი მაქვს ბიძიაჩემის შესახვეწნარი... მე... მე...

ხ ა ნ ა ნ ი ა. არა ხომ? აბა მე აღარ დამაბრალო და დაისწავლე,
რომ ეს ქვეყანა სასწორია... (გავიდა. დიდი პაუზა. დიდმა მწუხარებამ შეიპყ-
რო სამივე).

ს ი მ ხ ა. მადლობა ღმერთს, ჩემი იცკა რომ არ უცუერის ამ
ჩვენს უბედურებასა და გაჭირვებას... ღმერთო, შეიბრალე ისრაელის
შვილი. ვინ იცის კიდევ რა უბედურებასა და გაჭირვებას გვიმზა-
დებ...

ს ი ფ ო რ ი ა. (შემოღას ხელუბის გაშლით) ვაი, ვაი, ვაი, ჩემო და სი-
მხო, ჩვენს მოსწრებასო... რა გავიგე, რა გავიგე, რა გავიგე... ახალ-
თაობა ამდგარაო... ქუთაისშიაც ჩამოსულა და ბულვართან და-
მალულაო... ვაი ჩვენს მოსწრებასო...

ი ო ს ე ბ. სიფორია! მოძწყდი აქედან, თორემ ქვეყნიერების ჯავრს
შენზე ვიყრი ეხლავე. (სიფორია გადის ხელების გაშლით და „ვაი...
120

ვანი... ვანის...“ ძახილით. სიმანტობმა კარი გადაკეტა. იოსები მიდის განჯინას-
თან, იქვე ისხამს არაყს და სვამს. სიმბა შეშფოთებით ადევნებს თვალს).

ს ი მ ხ ა. დასწყევლა ღმერთმა... როცა სიფორია ქორიკანობს,
ეს სასიკვდილე გული ყოველთვის ისე მიკანკალებს, ისე მიძიგძიგ-
ებს, რომ ასე მგონია, ნამდვილად დადგა ღოღო-მალღლის დრო-
თქო.

ი ო ს ე ბ ი. უარესია, ღოღო-მალღლზე უარესი დროა! (პაუზა. ფიქ-
რობს ძალიან დაჭიმული) მიხვდით? ააა... მიხვდით... სიმანტობ, იცი რა-
შია საქმე?... ის ქალაღდი შარშან რო გამომართვა, ისე უნდოდა
ტყუილად... ტყუილად არა... ჩემი ხელისმოწერის გადაღება უნდ-
ოდა... ფულს ბევრი რამე შეუძლია... ვაიმე უბედურო, დაღუპულო
ცოლ-შვილო! ვინ იცის რანაირ ქალაღდებზე დასვა ჩემი ხელისმო-
წერა... მაგისგან ყველაფერი მოსალოდნელია... ყველაფერი... (კარებ-
ზე აკაკუნებენ) გახედე, სიმანტობ, ვინაა.

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. (ფანჯრისაკენ იცქირება და უსიამოვნოდ: ძალღია. სიმბა
ფითრღება).

ი ო ს ე ბ ი. გაულე. შემოეთრეს. (სიმანტობი აღებს და შემოდის აბრა-
მია თავიღან ფხებამღე შეიარაღებული).

ა ბ რ ა მ ი ა. ვახღავარ ბიძია იოსებს... ღეიღა სიმხას... ბიძია
სიმანტობს. ერთი სიტყვიღ... რომელიღა რომა... თფრრ... რიფინა-
შვიღების ოჯახს. (იოსები მიუწეღს სკამს. აბრამია არ ჯღება) რა გესმიღ
თქვეღნი ნასწავღი შვიღის აბრამის... ესე იგი რომელიღა რომა იყო
აბრამი და ეხღა... თფრრ... არის იცკა და იმყოფეღა ზაგრანიღა-
ში... ხომ არაფერს იწერეღა არეუღობის შესახებ?

ი ო ს ე ბ ი. ჩემი შვიღი სასწავღებღაღაა წასუღი. არეუღობას-
თან რა ხელი აქვს.

ა ბ რ ა მ ი ა. ან ხომ არ მოუწერია.. თფრ... ჩამოსვღა მიღდაღ?
(მიაშტერღა)

ი ო ს ე ბ ი. ეხღა სწავღის 'შუა წელიწადიღ. რა ღროს ჩამოსვღაღა.

ა ბ რ ა მ ი ა. კარგია. თფრრ... ისწავღოს ხელმწიფის... რომელ-
იღა რომა არის ბატონი დიღისა რუსეთისა. (პაუზა) გაღმოიღღე
არაყი (იოსები გაღმოიღღებს. სიმბა და სიმანტობი შეშფოთებით ადევნებენ თვალ-
ყურს) დაღლიღთ, იოსებ, იმპერატორის საღღეგრღეღო... რომელ-
ლიღა რომა... ესე იგი დაღლიღთ. (შესვეს) ეხღა წავიღღეთ.

ი ო ს ე ბ ი. საღ?

ა ბ რ ა მ ი ა (აფრიაღებს ქალაღღის ნაღღეჯს) კუტუზკაში... რომელ-
იღა რომა არის ბატონი პოღიციმეისტერის განკარგუღება: „არრ-
რრესსსსტტტტვევატ“... აბა. ჩქარა.

ს ი მ ხ ა. აბრამია! შენი მუხლების ჰირიმე, შენ ხომ ისრაელი ხარ...

ი ო ს ე ბ ი. ხმა გაკმინდე, ქალო! ამას რას ეხვეწები?... ეს ისრაელი რომ იყოს, პოლიციაში რა უნდა ესაქმებოდეს...

ა ბ რ ა მ ი ა. ესე იგი... რომელიცა რომა... მეტი აღარ გავიგონო პოლიციის გინება...

ს ი მ ა ნ ტ ო ბ ი. მაინც, შე კაცო, აბრამია, გვითხარი რა ამბავი, რა ხაბარი. ასე ტყუილუბრალოდ კაცის დაქერა, რა დაუშავებია ამ უბედურს?

ა ბ რ ა მ ი ა. ესე იგი... როგორ თუ რა დაუშავებია?... თფრრ... რომელიცა რომა უკეთებია და უკეთებია პადლოგები?

ი ო ს ე ბ ი. (შეყვირებს) ხანანია! ოჰ, ხანანია! როდის დაცხრება შენი სისხლი!

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. დაწყნარდი, იოსებ, აღონაი პატრონია.

ს ი მ ხ ა. ვაიმე, ჩემო ქმარო, რა უბედურ დღეზე ვართ გაჩენილი! (სტირის)

ი ო ს ე ბ. არა, სიმანტობ, არა! აღონაი არ არის ღარიბი ხალხის პატრონი. აღონაიას ჩვენთვის არა სცალია. მივდივარ სიმხა და რაც მოსასვლელია სად გავექცევი. მოუარე პატარებს... ერთადერთი ნუგეში ის მიმყვება, რომ ჩემი საყვარელი უფროსი შვილი შორსაა და ძაღლებს ხელში არ ჩაუვარდებათ...

ა ბ რ ა მ ი ა. (ჰკრავს თოფის კონდახს) თფრრ... ჩაგიწყვეტ ხმას... იჩქარე!

ს ი მ ხ ა. თავს მოუარე (აძლევს პალტოს. მოულოდნელად შეხედეს ერთმანეთს და გადაეხვიენ. სიმანტობი ხელს ჩამოართმევს და ცრემლებს იწმენდს).

ი ო ს ე ბ ი. (თავისთვის) ნეტავი ერთი წუთით მაჩვენა ჩემი უფროსი, ჩემი ნუგეში, ჩემი იცკა... ვეტყობდი: შვილო, შენ შემოგვევლოს მამა... შენი აზრები ოქროა... შენი სული ბრილიანტია... და ყველაფერში სიმართლე გაქვს... (აბრამი კიდევ წაკრავს კონდახს) მოვდივარ... რას მემართლები... ვისთვის რა მიქნია ცუდი... მშვიდობით. აბრამია უკან მიჰყვება. გადიან. პაუზა. სიმხა უღონოდ მიეყრდნობა კედელს. სიმანტობი ჯდება მის შორი ახლოს.

ს ი მ ხ ა. რა გვეშველება! იქნება რაბი შალომს შევეხვეწოთ გამოგვიწყოს რამე.

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. (მწარე სიცილით) რაბი შალომი... აი ამბავი, აი ხაბარი... შალომი ჩვენებურად მშვიდობას ნიშნავს და ის მშვიდობა კი არა ღვთის რისხვაა... რაბი შალომი, ბიძია ხანანია, პოლიცმეისტერი ანტონენკო ერთი კამპანიაა... ყველანი გაჩენილან ღარიბი ხალხის ასაწიოკებლად...

ს ი მ ხ ა. ერთ წუთში ბავშვებს გავხედავ, ლოგინს გაუსწორებ

და ეხლავე დაებრუნდები! ვაიმე! (გადის. სიმანტობი სვირნობს წინ და უკან და თითებს ატკაცუნებს).

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. ეჰ, შე დალოცვილო აღონაი, შენი ტახტი კი მწამს, მაგრამ რაბინები და მდიდრები რისთვის გააჩინე ქვეყანაზე, ეს კი ველარ გამიგია. (ამ დროს კარი იღება და შემოდის იცკა. აცვია პალტო საყელაწეული. შლიაპა თოვლით აქვს დაფარული. ცალ ხელში უჭირავს პატარა-საკვიათი, მეორე ხელში ილლიაში — პატარა საწერი მანქანა. სიმანტობმა ჯერვერ იცნო, შემდეგ გაოცებით შეჰყვირა) იცკა! აი ამბავი, აი ხაბარი! (გადაეხვევიან ერთმანეთს. სიმანტობი ჩამოართმევს ნივთებს და იქვე ახლოს ალაგებს).

ი ც კ ა. იცი, შენ, ბიძია?... არ მელოდით ჯანა? როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ, ბიძია? ჩემი წასვლის შემდეგ როგორი ამინდები იყო მწვანე ყვავილაზე? რა ღირდა ხოლმე ფუთი ყურძენი? ეხლა ეს მითხარი: ღია სადღაა?

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. (მძიმედ) გაგვიჭირდა, შვილო, ძალიან გაგვიჭირდა. გავათხოვეთ.

ი ც კ ა. ისხაკი სადღაა?

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. (გადახედა) ციხეშია. ქურდობა დასწამეს.

ი ც კ ა. მამა?

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. (ძლივს უპასუხა) ისიც... ციხეშია... პადლოგებო დასწამეს.

ი ც კ ა. დედა? დედა სადღაა? (კარებში დგას სიმხა).

ს ი მ ხ ა. (ძლივს წაილაპარაკებს) იც... კა... (ჩაიკეცება).

ს უ რ ა თ ი მ ე ე ქ ვ ს ე

„ვინ მოიყვანა ელჩიბეკოვი სინაგოგაში“

რიჩინაშვილების ბინაზე, დაბლა ხართულში. სარდაფის მსგავსი ოთახი. სამი კარები—ერთი შუაზე. ორი—გვერდებზე. იატაკი ისეა გაკეთებული, რომ შესაძლებელია ფიცრების მყის აღება. იატაკში ჩაწყობილია იარაღი, უმთავრესად რევოლვერები, ლიტერატურა და აგრეთვე პარკები. არის საიდუმლო ჩასასვლელი — კიდევ უფრო დაბლა. იატაკზე დაგებულია ნოხი. არის ორი მაგიდა — ერთი — პატარა, რომლის თავზე ჩამოკიდებულია მარქსის და ჰაინეს სურათები ღია წერილების ფორმატისა. დიდი მაგიდა — საკეცია, ზედ — საწერი მანქანა. საჭიროების დროს საწერი მანქანა შეინახება მაგიდაში და მაგიდაც იკეცება. ამჟამად მერი მუშაობს საწერ მანქანასთან. იცკას უჭირავს ხელში ბროშურა და კარნახობს. სცენის დასაწყისში — თავდგირიძე ელაპარაკება იცკას. მერი ელოდება კარნახის გაგრძელებას. შუალაშეა.

თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე. რაც მომწონს — მომწონს, აშკარად გეუბნები. მიხაკო წერეთელს ტყავი რომ გააძრე ქალაქის თეატრში — მომ-

წონს. აწი ველარ გაბედავენ ქუთათური ანარქისტები სახელმწიფოს უარყოფას ყოველგვარ პირობებში. ბატონი ის კი არა და იმ საღამოს... პირდაპირ შენ იყავი... ნამდვილი ბატონი! (პაუზა) ჩვენს ესერებსაც რომ ააპილბილებ ხოლმე — ესეც მომწონს... მაგრამ ფანატიკოს მეუმრავლესებს რომ გადაჰკიდებიხარ, სოციალდემოკრატიის ნამდვილი ინტერესები რომ დაგვიწყებია — რამაც ბუნებრივ მუშათა მოძრაობის უარყოფამდე მიგიყვანა... ეს კი, იცკა, სავალალოა, არ მომწონს...

იცკა. იცი შენ, ბიქტორ, ძალად მარქსისტო? ყური უგდე რა წერია ამ ბროშურაში თქვენი მენშევიკური „სოციალ-დემოკრატიის“ შესახებ. (კარნახობს მერის). „განა აქ თვალნათლივ არ ვხედავთ, რომ საბოლოოდ თავგზააბნეულია საბრალო თბილისელი რევოლუციონერულ-მაჩანჩალური განმარტებით ცნებისა „ბურჟუაზიული რევოლუცია“? იგი მსჯელობს დემოკრატიულ გადატრიალებაში პროლეტარიატის შესაძლებელი იზოლირების შესახებ და ივიწყებს... ივიწყებს წვრილმანს... გლახობას! პროლეტარიატის შესაძლებელ მოკავშირეთაგან ის იცნობს და ირჩევს ერობელ მემამულეებს და არ იცნობს გლახებს. და ეს ხდება კავკასიაში!

თავდგირიძე. მერე ვინ წერს ამას? ალბათ ლენინი. მხოლოდ მას შეეძლო მაჩანჩალა ეწოდებინა „სოციალ-დემოკრატი“ მოთავსებული წერილის ავტორისათვის.

იცკა. იცი შენ, თავდგირიძე? წაიკითხე ლენინის ეს ბროშურა. აქ ყველა ახლანდელ მწვავე პოლიტიკურ საკითხზე გარკვეული პასუხია გაცემული. (მერის) განვაგრძოთ, მერი. „განა მართალი არ ვიყავით, როცა ვთქვი, რომ ახალი „ისკრა“ თავისი მსჯელობით მონარქისტულ ბურჟუაზიამდე ეშვება იმის ნაცვლად, რომ თავის მოკავშირეობამდე აამალლოს რევოლუციური გლახობა?“ (თავდგირიძეს) აი, თქვენი „სოციალ-დემოკრატიის“ ნამდვილი ბუნება! (პაუზა) იცი, შენ ბიქტორ? გგონია არ მესმის? გინდა გამოიყენო ჩვენი ძველი მეგობრობა, მოსულხარ ამ შუალამისას და მექადაგები, იქნებ გადამიბირო მენშევიკებისკენ... არ გამოვა, ბიქტორ... ოპორტუნისტებთან მე არაფერი საქმე მაქვს. თუ დრო გაქვს ყური უგდე ამ ბროშურას. იქნებ მართლა ისწავლო რამე.

თავდგირიძე. მომწონს შენი ჟინიანობა, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს?

იცკა. იცი, შენ, მერი? განაგრძე, ბიქტორსაც გამოადგება. (კარნახობს) „განა შეიძლება სავსებით პირწავარდნილი „ეკონომიზმის“ ძველ ლიტერატურაში მოიძებნოს ისეთი რამ, რაც უახლოვდებოდეს

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ასე შერცხვენას?... და ქალაქი
თბილისის „სოციალ-დემოკრატი“ წყვეტს: უარყოთ აჯანყების ტა-
ქტიკა და ვუცადოთ „ზეგავლენის ცენტრს“ — საერო კრებას...

თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე. (გულმოსული) ძალიან, ძალიან მომწონს!!! რად-
განაც ჟორდანიას თქვენს ავანტიურას არ მიჰყვება, შეიარაღებული
აჯანყების წინააღმდეგია, ამიტომ ის უკვე მაჩანჩალაა, მონარქი-
სტიც და ოპორტუნისტიც.... მომწონს, მომწონს! ძალიან, ძალიან!

ი ც კ ა. იცი, შენ, ბიქტორ? ლადი ბერეჟიანი და ნიკოდიმე სირ-
ბილაძე კიდევ არ დაბრუნებულან? თანამოაზრენი მოგემატებოდათ...
(პაუზა) როგორ გავბედეთ და პაწაწინა ბერშტეინებს მაჩანჩალა ვუ-
წოდეთ! დედას ვფიცავ... არ მწამს თქვენი ჟორდანიას! დაგავიწყდა
ამ ექვსი წლის წინედ „კვალში“ რომ წერდა: „დეე, ბურებმა
დაიფარონ თავისი პაწია სამშობლო, მარა, დეე ამასთანავე ინგ-
ლისი დარჩეს დიდებულ ინგლისადაო?... ასეა, ბიქტორ, ოპორტუ-
ნისტებს ყოველთვის უყვართ ორ სკამზე ჯდომა. განა ახლაც ასე
არაა? აჯანყება არ გაბედოთ, ხოლო რევოლუციას კუდში ვდიოთ.
ესე იგი რევოლუცია და სისხლიანი ნიკოლოზ მეორე როგორმე
ერთმანეთში მოვარიგოთო... (უცბად მოუჭრა) იცი, შენ, ბიქტორ!
უსაქმოდ არ მოხვიდოდი. ჩვენ დილამდე სამუშაო გვაქვს. თუ რამე
გინდა, სთქვი.

თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე. მომწონს. პრაქტიკული ძარღვის ხალხი ხართ.
(იცვამ ღიმილით გადახედა მერის) ვაჭარი კემულარია თუ გაგეგონება?
ამ მოხუცებულობის დროს გაკოტრდა. დარჩენია თხუთმეტი თუ
ოცი დარაბა და არ ვიცი, შენი მოგვარეა თუ მოკეთე, მდიდარი
ხანანია რიჟინაშვილი... იმას უყიღია... ჰო და თუ გინახავს, ამ
შენობების თაღებში ჩამოკიდებულია „წმინდა გიორგის“ დიდი ხა-
ტი, სადაც დიდ საღვთო უქმეების დროს წირვა ლოცვას ასრულებ-
ენ. მდიდარი ხანანია თურმე „ჯავრით ვერ ისვენებს: ეკლესია
როგორ ვიყიდეო, ეს როგორ მომივიდაო“ და არ იცის რა ქნას.

ი ც კ ა. დედას ვფიცავ, მივხვდი... ჭირისუფლად ხომ არ აგირ-
ჩია? (მერის ეცინება).

თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე. ასე მითხრა. ოღონდ მომიგვარეთ რამე, მოე-
ლაპარაკე იცკასაცაო, მომიწერეთ ხელიო, ამ ეკლესიის ხლაფორ-
თიდან გადამარჩინეთო და პარტიას შევწირავ რამოდენიმე ათას
მანეთსაო. (პაუზა) რას იტყვი, არ მოგწონს?

ი ც კ ა. იცი, შენ, ბიქტორ? თავიდან ბოლომდე ოპორტუნისტი
ხარ. პრინციპები არ გაგაჩნია. არაფრის არ გრცხვენია. განაგრძე,
მერი: „ოპორტუნისტი იმის ოპორტუნისტია“...

თავდგირიძე. (შეაწყვეტინებს) არ მომწონს, არა! თქვენ ფანტაზიორები ხართ, ცხოვრებას გინდათ გაუსწროთ, მაგრამ ცხოვრება თქვენ ღინიანობას კისერს მოსტებს. (ემზადება წასასვლელად) ისტორია იტყვის თავის სიტყვას.

იცკა. რასაკვირველია, დედას ვფიცავ... იტყვის, აბა რა იქნება... ღამე მშვიდობისა. (გაუწვდის ხელს. თავდგირიძე ბურტყუნით გადის. იცკა ჩაჰკეტავს კარებს) ძლივს არ წავიდა? თორემ იცი, შენ, მერი?... ამბროსი რომ მოსულიყო და ეს კიდევ აქ ყოფილიყო, პირდაპირ ძალით გავაგდებდი...

მერი. მაინც ძალად გაგდებული გამოვიდა. შენ არ უთხარი— ღამე მშვიდობისაო?

იცკა. აბა, დედას ვფიცავ, რას ვეტყობდი? კისრის ტეხას ხომ არ ვუსურვებდი? ისედაც კისერნატები არიან. ისინი მოვლენ შესახვევიდან, ეზოდან. ამბროსის აქვს ამ შუა კარების გასაღები. (პაუზა) პროპაგანდისტების სია იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა უკვე დაამტკიცა. (პაუზა) ნეტავი ამხანაგებმა ვერ გაათავეს პროკლამაციების ბეჭვდა? (გაიღება შუა კარები ოდნავ. დგას ამბროსი ლომისელი. ანიშნებს იცკას, რომ შევიდეს. ეუბნება ამბროსის და მერის) დაუცდით ამხანაგებს. გადასცემთ, რაც მოვასწარით. (იცკა შედის და კარს გამოიხურავს. ამბროსი მიუახლოვდება საწერ მანქანას და იღებს ხელთ ბროშურას).

ამბროსი. გაათავეთ?

მერი. თითქმის.

ამბროსი. რაღა დაგრჩათ?

მერი. მოწოდება წითელრაზმელებისადმი. (პაუზა).

ამბროსი. ქალიშვილო, ვთქვათ, დაგიჭირეს. ხუმრობა საქმე ზომ არაა არალეგალურ სტამბაში მონაწილეობის მიღება. გადასახლებენ. მშობლიურ მიწას მოგწყვეტენ, მთელ სიცოცხლეს გაგიფუჭებენ.

მერი. ჩვენი დაჭერა ძნელია. როცა იცკა მუშაობს, არც დედამისს და არც მის ბიძიას მთელი ღამე არ სძინავთ, თუ რამე საფრთხე მოგველის, დროზე ვუშველით თავს.

ამბროსი. რა გულუბრყვილო ბავშვი ხარ! და რომ დაგიჭირონ?

მერი. რევოლუცია უმსხვერპლოდ არ იქნება, დამიჭერენ და დამიჭირონ.

ამბროსი. იქნებ ახალგაზრდობა, იცკას სიყვარული გალაპარაკებს ასე ვაჟკაცურად? (პაუზა) ციხეებში ტუსაღები ბორკილებით

დადიან. იმათ სცემენ, სტანჯავენ, აწამებენ. შენც ასეთი ბედი მოგელის.

მერი. რევოლუციონერის დროშაზე უკან დახევა არ სწერია რაც მოსასვლელია — დეე მოვიდეს. მომავალი ჩაგრული ხალხისაა.

ამბროსი. (უცქერის კარგა ხანს) მჯერა შენი, მერი... ჩვენი ხარ, ჩვენი. (იატაკზე დაგებული ხალიჩის ნაწილი გადაიწევა. დაბლიდან ამოდინან და ოფლს იწმენდენ დადაშ, ალიოშა, სერგო, იური. ხელში უჭირავთ დაბეჭდილი პროკლამაციები).

დადაშ. პროკლამაციები კი არა, ყუმბარებია. წაიკითხონ ჩვენმა ძალად მარქსისტებმა და გაბედონ გლეხობის გამორიცხვა რევოლუციიდან.

სერგო. ყურის ბარაბანი გამისკდა. ჩემთან რას ეწევი აგიტაციას? უფრო ჩუმად ვერ ილაპარაკებ?...

იური. (მოჩვენებითი გულისწყრომით სერგოს) მე ასე მგონია... ასე მგონია... შენ რევოლუციას ვერ შერჩები ბოლომდე... შენ დიდი მშიშარა ხარ, მშიშარა.

სერგო. (განრისხებით) ვინ მეუბნება ამას?

ალიოშა. დაწყნარდით... სსს... არის ქართული ანდაზა: „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“.

ამბროსი. ეს რას ნიშნავს? გეტყობათ ახალგაზრდები ხართ ისევ. იმის მაგივრად რომ პროკლამაციები გაანაწილოთ და დროულად დაიშალოთ, რა სისულელეზე მოგდით შელაპარაკება... (კარებში დგას იცკა. ამბროსი საჩქაროდ გადის. ამხანაგები მობრუნდებიან იცკასაკენ).

იცკა. იცი, შენ, დადაშ? ხვალდან მე ვარ კურინსკის და ფოთის პოლკების ნაწილების სოციალ-დემოკრატიული სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

დადაშ. იმან, ვინც დაგნიშნა, იცის რასაც აკეთებს.

იური. (იცკას) ვინ დაგნიშნა? (იცკა არ პასუხობს).

მერი. (იურის) მოწოდებაა კიდევ ასაწყობი.

იური. (იცკას) ვინ დაგნიშნა?

იცკა. იცი, შენ, იური?... ერთხელ რომ არ გიპასუხე, აღარ უნდა გეკითხა...

იური. ეს რას ნიშნავს?... ასე მგონია... ასე მგონია, რომ შენ ჩემი ნდობა აღარა გაქვს...

იცკა. რა სისულელეა, დედას ვფიცავ... თქვენ ყველანი ხართ ჩემი საუკეთესო და ღვიძლი მეგობრები... ნდობა არ მქონდეს, იცი, შენ, იური... მაშინ ვინ ჩამოგიშვებდა სტამბაში?

ა ლ ი ო შ ა. (იური) მაგრამ არის ქართული ანდაზა: „არა შეჯ-
და მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“ — ეს შენისთანა გადამე-
ტებულ ცნობისმოყვარეებზეა ლაპარაკი.

ი უ რ ი. (განრისხებით) რაო, რა სთქვი?... ასე მგონია!

ა ლ ი ო შ ა. შენ რა გგონია, მე არ ვიცი. მე კი მგონია, რომ
შენი რევოლუციური ენთუზიაზმი ზერელეა და გაძოფიტული, იმას
შიგნეულობა არა აქვს, გული არა აქვს...

ი უ რ ი. ეს საშინელი 'მეურაცხყოფაა... შენ თვითონ ხარ ზერე-
ლე... მე ამას არ მოვითმენ... ასე მგონია...

ი ც კ ა. სსს... იცით, თქვენ ამხანაგებო? გიყურებთ და ველარ
გცნობთ! განა გუშინდლიდან ვიცნობთ ერთმანეთს?... დედას ვფი-
ცავ, ჩვენი სირცხვილია... რა დროს ეგენია... იცი, შენ, მე რი?..
მოიტა სია, გავანაწილოთ პროკლამაციები, თორემ საცაა მალე
გათენდება.

შეგობრები უახლოვდებიან იცკას დიდი მაგიდის გარშემო. ამ დროს რკი-
ნის ჭიშკარზე მაგრად დააკაკუნეს. იცკა ინსტიქტურად შეკრთა. იური ფითრ-
დება, მაგრამ თავს იკავებს. მოისმის სიმხას ხმამალალი პასუხი: „არ არის
ჩემი შვილი ქუთაისში, რა გინდათ, დამანებეთ თავი“. ყველანი სასწრაფოდ წა-
მოხტნენ.


ს ე რ გ ო. ჩავვარდით?

ი ც კ ა. იცი, შენ, სერგო?... პანიკა არ იყოს. აბა ყველანი თადა-
რიგზე. (ასწია იატაკი) მოიტანეთ პროკლამაციები. (ჩაჰყარეს შიგ პრო-
კლამაციები და დანარჩენი ქაღალდები. იცკამ ამოიღო რევოლვერები და ყველას
დაურთო. მისცა მათ აგრეთვე პარიკები. ნოხი გაასწორეს. რევოლვერები ჯიბე-
ში ჩაიწყეს. მერიმ მანქანა ჩასდო მაგიდაში. მაგიდა დაკეცა, შემდეგ მარქსის
სურათი ჩაიდო უბეში. ჭიშკარზე კაკუნის ძლიერდება საშინელი ძალით, სიმხას
პასუხი: „მოვდივარ, თქვე ძალღებო!“).

მ ე რ ი. იცკა! გადახტი ფანჯრიდან. დაიმაღე ბროწეულებში.
ბნელი ღამეა. შეიძლება ვერ შეგამჩნიონ... იცკა... გენაცვალე, უჩ-
ქარე, ამხანაგებს მე აქედან გავაპარებ...

ი ც კ ა. იცი, შენ, დადაშ, მერი? მე რა მკლავს? ვაიმე, გავგიჟ-
დები, ეს რომ მოხდეს... (დადაშ და მერი მიხვდნენ, რაზედაც ლაპარა-
კობს, იცქირებიან შუაკარებისაკენ)... ჩვენ აქ ვართ ექვსი კაცი... ვფიცავ
დედას... ამ ექვსში ერთი პროვოკატორია, მაგრამ ეხლა ამის დრო
არაა... ამხანაგებო, აქედან!. (მაგრამ ამ დროს ფანჯრიდან გადმოხტება
სიმანტობ) ბიძია!

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. ცუდი ამბავია, ცუდი ხაბარი, იცკა. აქედან ფეხს
ნუ მოიცივლი. შენ გეძებენ, ძაღლები ყველა მხრით შემოერტყნენ
სახლს. ისინი ბევრნი არიან. ღმერთი არ გაგიწყრეთ. იარაღი არ
იხმაროთ. (კაკუნის გრძელდება).



ი ც კ ა. იცი, შენ, ბიძია? მიშველე რამე! ვერაფერი მოისაზრე?!

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. (თვალეზი გაუბრწყინდა) სელიხოთი, გაიგე? ეხლა ხომ სელიხოთობის დროა. ლოცვაში წასვლა კიდევ არ შეიძლება! გაენი პალაქენიეა... რამდენმა ისრაელმა მოიწყო სახლში... (მოისმის ნაბიჯები).

ი ც კ ა. (მიხვდა) იცით, თქვენ ამხანაგებო? პარიკები... ჩქარა. გადაიცვეს პარიკები — მორწმუნე ებრაელთა წვერები. სიმანტობი შკაფიდან გამოიღებს და საჩქაროდ ურიგებს ყველას გრძელ ტალელებს. ყველანი გამოვხვიენ ტალელებში. შუა კარებზე ააყარა ნობი, რომელზედაც გაკეთებულია მაგენ დავიდი და რელიგიური წარწერები. ხევიდან მოისმის ყვირილი, ნივთების ნგრევა, სიმხას კივილი: „არ არის ქუთაისში!“

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. ახალგაზრდებო, მობრუნდით ამ კარებისკენ, ილოცეთ ისე, როგორც მე ვილოცავ. (იწყებს მონოტონური მოტივით. ორ-ორი სიტყვის შემდეგ ჩერდება, რომ მიხცეს მათ საშუალება განმეორებისა. ამხანაგები ყველაფერში ბაძვენ სიმანტობს) აღონაი, აღონაი! ელ რახუმ ვეხანუნ. ერებს აფაი. ვერაბ ხესედ ვეემეთ. ნოცერ ნესედ ლაალაფიმ. ნოსე ყავონ ვაფეშაყ. ვეხატა ვენაკე. აღონაი, აღონაი... იმეორებს რამდენიმეჯერ და ამხანაგებიც სიტყვასიტყვით იმეორებენ, ლოცვის დროს კარი იღება უხეშად და ოთახში შემოდინან პრესტავი, ელჩიბეკოვი მრისხანე, მხეცური სახით და გრძელი უღვაშებით, აბრამია და მრავალი ყაზახი. მათ უკან მოჰყვებათ თმაგაწეწილი სიმხა. სიმხა მიხვდა ხერხს და თავს იკავებს. ელჩიბეკოვი მლოცველთა დანახვაზე დაიბნა და მრისხანედ გადახედა აბრამიას, აბრამია დამფრთხალია. ელჩიბეკოვი უახლოვდება სიმანტობს და დაწეული კილოთი ეკითხება

ელჩიბეკოვი. თქვენ არ გინახავთ სტუდენტი რიჟინაშვილი?

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. (ხელების შესტიკულაციით ანიშნებს, რომ იგი ლოცულობს და არ შეუძლია პასუხის გაცემა) უ...უ...უ... (იწყებს) აღონაი, აღონაი... ელ რახუმ ვეხანუნ... (დანარჩენები იმეორებენ).

ელჩიბეკოვი. (აბრამიას) ამას რას ლოცულობენ?

ა ბ რ ა მ ი ა. (გამოიკიმება) რომელიცა რომა... სელიხოთი ჰქვია... თქვენო აღმატებულებავ, და რომელიცა რომა... ღამით სინაგოგებში სიარულისა აკრძალვისა გამო... ერთი თვე გრძელდება რჯულის მორწმუნეთა სახლებში და რომელიცა რომა... აბა რა ვიცოდით თუ...

ელჩიბეკოვი. ხმა გაკმინდე, ჩერჩეტო! მე მომატყუეს, მასხარად ამიგდეს? ვინ მოიყვანა ელჩიბეკოვი სინაგოგაში? დავხვრეტავ, დავხვრეტავ...

ს ი მ ა ნ ტ ო ბ. (თავისა და ტანის ქნევით) აღონაი, აღონაი! ელ რახუმ ვეხანუმ... (დანარჩენები იმეორებენ)

ელჩიბეკოვი. ილოცეთ, ილოცეთ, ისწავლეთ ღმერთისა და მეფის პატივისცემა. (ბრაზით) ნახეს ადგილი რევოლუციონერთა მოსაძებნად! რიჟინაშვილი წათრეულა... ჰქვია ხალხს კი აქ სინა-

გოგა გაუმართავს... ჰმ... ვინ მოიყვანა ელჩიბეკოვი სინაგოგაში?...
ვინ ამიბნია გზა-კვალი? იმას დავხვრეტავ, დავხვრეტავ... თქვენ კი
უკან, პოლიციაში... (გადიან. აბრამია უკან ჩამორჩებათ). ქრონოლოგი
ბიბლიოთეკა

ს ი მ ა ნ ტ ო ბ ი. (მოსთქვამს და დანარჩენებიც ბანს აძლევენ) ადონაი,
ადონაი, ელ რახუმ ვებანუმ...

ა ლ ი ო შ ა. (იმავე მოტივზე და სხვებიც ბანს აძლევენ)
აბრამია, აბრამია, სიცოცხლეს მოგისპობთ...

ფ ა რ დ ა



მოქმედება მისამე

ხურათი მეშვიდე

„არტიხტი და მოქალაქე“

მოხუცი ნადელის რესტორანი. ებრაული წარწერა: „ქაშერ“. ჩვეულებრივი დახლი და რამოდენიმე მაგიდა. წესრიგი და სისუფთავე შესამჩნევია. თვითონ ნადელი დაბალი ტანის კაცია, მოხუცებულობაში გადახრილი, აქვს გრძელი შექალაქარავებული წვერი, თავზე ახურავს პატარა შავი ფრმოლკა, ზის დახლთან და თუმცა წინ უდევს გახსნილი დავთარი, შიგ არ იცქირება და თავისთვის ლაპარაკობს. მის სიტყვებში გამოკრთის ირონია და მწუხარება.

მოხუცი ნადელი. სასიკეთოა. ყველაფერი სასიკეთო... კარგი ამინდია — სასიკეთოა, მუშტარი ბევრი მოღის. ცუდი ამინდია, სასიკეთოა, ვაი თუ იმ დღეს დამთვრალიყვნენ მუშტრები და დაემტვრიათ ჩემი სასადილო. (პაუზა)... სასიკეთოა, ყველაფერი სასიკეთო... ქალიშვილი ნასწავლი მეზრდებოდა, სასიკეთო იყო. გამოაგდეს — სასიკეთოა, ვაი თუ მომკვდარიყო... ერთი შვილი გადამისახლეს — სასიკეთოა, ვაი თუ ორივე გადაესახლებინათ... კიშინოვში დაგვარბიეს — სასიკეთოა, ვაი თუ ქუთაისშიაც დავერბიეთ... სასიკეთოა, ყველაფერი სასიკეთო... (პაუზა). წინათ ისრაელებიც არ მეკარებოდნენ სასადილოში — სასიკეთო იყო, სამუშაო ნაკლები მქონდა, ეხლა ქრისტიანებსაც მოსწონთ ებრაული კერძები — სასიკეთოა, შემოსავალი გაიზრდება... წინედ ახალთაობა ბნელ სოროებში იმალებოდა — წყნარად ვიყავით, სასიკეთო იყო, ეხლა ქუჩებში აშკარად გამოდიან და აღარ ერიდებიან ხელმწიფეს... სასიკეთოა, ყველაფერი სასიკეთო. (პაუზა) ასია!

ასია. (შემოდის მეორე ოთახიდან. აცვია, როგორც ხელზე მოსამსახურე გოგოს). რა იყო, მამა?

ნადელი. არაფერი, შვილო. მინდოდა დამენახე. როცა თვალს მაკლიხარ, გული მტკივა. (ცრემლები ერევა) შენს მეტი ხომ აღარავინა მყავს ქვეყანაზე. (პაუზა) რას აკეთებდი?

ასია. ქურჭლის კლასიფიკაციას ვაკეთებდი.

ნადელი. ახალთაობის ენასა ხარ მიჩვეული... მალე მუშტრები მოვლენ.

ასია. მოვიდნენ. ყველაფერი მზადაა. (პაუზა) შევუდგები მუშტრების კლასიფიკაციასაც.

ნადელი. საკვირველია, როგორ აჭრელდა ჩემი პატარა სასადილო... ვინ არ დაიარება აქ: ებრაელი და ქრისტიანი... თავადი და ჯარისკაცი... მორწმუნე და ურწმუნო... სოციალისტი და ნაციონალისტი... არტისტი და მოქალაქე... სასიკეთოა, ყველაფერი სასიკეთო...

ასია. ივანოვი ამბობს, რომ კურინსკი პოლკი სავსეა ლოძელი და ვილნოელი ებრაელი ჯარისკაცებითო.

ნადელი. (შეშფოთებით) ა... გავიგე... ახალთაობის აზრები, მაშასადამე, სოკოებივით ამოყოფენ თავს ქუთაისის ჯარის ნაწილებშიაც... ალბათ, ამ ბოლო დროს იმიტომაც უხშირეს იქ სიარულს რიჩინაშვილმა და ივანოვმა... ივანოვი რიჩინაშვილს აქ გააცნობს ხოლმე ჯარისკაცებს...

ასია. გააცნოს, შენ რა გენაღვლება, მამა?

ნადელი. მენაღვლება, შვილო, რიჩინაშვილი კარგი ახალგაზრდაა... ისეთი ახალგაზრდაა, უკეთესი არ დაიბადება... მეშინია, ჩემი შვილის ბედი არ ერგოს მაგასაც... თუ... ვინ იცის... სასიკეთოა, ყველაფერი სასიკეთო...

შემოდის იცკა და ჯარისკაცი ივანოვი. შორიდან მიესალმებიან ნადელებს და ჯდებათ ერთ-ერთ მაგიდასთან.

იცკა. იცი, შენ, ბიძია ნადელ? ძალიან მოგვენატრა ებრაული ფარშირებულ თევზი... დედას ვფიცავ, თქვენსავით ვერავინ ამზადებს.

ნადელი. ვიცი, შვილო, როგორ თევზებსაც იჭერთ... ღმერთმა ხელი მოგიმართოთ... ორი კერძი? (იცკა თავს აქნევს. მოხუცი გადის).

იცკა. (ასიას) იყვენ ჯარისკაცები?

ასია. იყვენ. გადავეცი ყველას პროკლამაციები. კვირას მიტინგიაო სალორიაში.

იცკა. ვიცი. (პაუზა) იცი, შენ, ივანოვ? სალორიის ტყე, ფერმა საფიჩხია — ეს ყველა ნაცადი მიდამოებია. მიტინგი უნდა მოეწყოს გოჭოურას სასაფლაოზე, ან უნდა გადაიდოს.

ივანოვი. გოჭოურა კარგი ადგილია. გადადება არ შეიძლება. ჯარისკაცები აღელვებული არიან პოლკოვნიკი ხოდეცკის საზიზღარი რეჟიმით. ჯარისკაცები მოითხოვენ მის სიკვდილს.

იცკა. იცი, შენ, ივანოვ? მიტინგამდე საჭიროდ მიმაჩნია როტისა და ბატალიონების სამხედრო ორგანიზატორების შეკრება...

გახსოვდეს, ივანოვ, უბრალო ამბავიც კი, რაც პოლკში ხდება, დაუ-
ყოვნებლივ უნდა ვიცოდე... ეხლა კიდევ ფურცლებისა და ლიტე-
რატურის შესახებ... უფრო მეტია საჭირო. ასია, ზეგ ვიქნები ყაზარ-
მაში. ტანისამოსს ივანოვი მიშოვის. შენ რას იტყვი... პროკლა-
მაციებს მოვასწრებთ?

ასია. მოვასწრებთ. კალათით ხილს წამოვიღებ. შენ თუ ვერ
შეიტან, მაშინ მე შემოვალ და გადმოგცემ.

იცკა. დედას ვფიცავ... გადაწყვეტილია.

ივანოვი. გუშინ უკანასკნელად ეცადენ მენშევიკები ჩვენს პოლ-
კში თავისი ორგანიზაციის მოწყობას. ბევრი იხტუნეს, ბევრი იდე-
მაგოგეს. არაფერი გაუვიდათ. ჯარისკაცებმა სირცხვილნაქამი უკან
გამოუშვეს. ყველაზე უფრო კი თავდგირიძე იყო გამწარებული:
ნუ ენდობით რიჩინაშვილს, ის და მისი პარტია ავანტიურისტები
არიანო...

იცკა. დედას ვფიცავ... განა ტყუილად იძახის ალიოშა: არის
ქართული ანდაზა — ოჯახი უმახინჯოდ არ იქნებაო. (პაუზა) იცი,
შენ, ივანოვ? (მოხუცი ნადელის ხმა: „ასია“, ასია გავიდა) ხელმძღვანელი
გვასწავლის: ეს თავისუფლება მოჩვენებითია, მთავრობის დაბნეუ-
ლობაც წარმავალიაო. მალე ისინი შეტევაზე გადავლენ და ამიტომ
ნალხი უნდა შევადარალოთო. იშოვეთ რაც შეიძლება მეტი იარაღი,
იარაღი და იარაღიო.

ივანოვი. (სიხარულით) ზეგ ლამით ჩემი მორიგეობაა. ცეკაუზს
ვყარაულობ. ხა-ხა-ხა!

იცკა. (წამოხტა და მიიხედ-მოიხედა) იცი, შენ, ივანოვ? გეგმა
უკვე მზადაა თავში. ჩვენ ვაწყობთ შენზე თავდასხმის ინსტენიროვ-
კას. გაიგე? (პაუზა) დედას ვფიცავ, ყაზარმის ძირში მზად მეყოლება
ხუთი ქართული ურემი... შენსკენ გამოვასეირნებ ჯარისკაცად გა-
დაცმულ იური ომნერიუსს. ვინ მიიტანს იმაზე ეჭვს? ტიპიური რუ-
სია! გადასცემ იმას გასაღებს... მერე ჩვენი ბიჭები გასცლიან საწ-
ყობს და სამშვიდობოს რომ გავლენ... ავტენტოთ თოფის სროლა:
„უშველეთ თვითმპყრობელობის ტყვია-წამალს“. ხა, ხა, ხა! (გადა-
ეხვია ივანოვს. ივანოვი გავიდა. ასიას შემოაქვს ორი კერძი და დგამს იცკას
მაგიდაზე. შემოდის მოხუცი ნადელი და გაოცებით იცქირება).

ნადელი. ის რა იქნა... ჯარისკაცი? მეორე კერძი ვიღამ უნ-
და სჭამოს?... სასიკეთოა, ყველაფერი სასიკეთოა...

ამ დროს შემოდის იეხიელი და იცკა ღიმილით აძბობს.

იცკა. დედას ვფიცავ, სასიკეთოა. იეხიელს ყველაფერი ეროვ-
ნული უყვარს... თევზი მით უმეტეს... აი მუშტარიც, ბიძია ნადელ.

იეხიელ. ნადელის თევზი მთელ ქუთაისში ცნობილია. სიამოვნებით მივირთმევ... სალამი, იცკა... სალამი, ასია... სალამი, ბიძია...

მიუჯდება იცკას მაგიდას.

ქართული
ბიბლიოთეკა

ასია. ხოლო აღრე რომ მცოდნოდა იეხიელის მოსვლა, მამას ვთხოვდი და თევზს მეტ ნაციონალისტურ პილპილს გაუკეთებდა.

ნადელი. (მუდარით) რამდენჯერ გთხოვე, ასია, ახალთაობის პოლიტიკას ნუ გაერევი.

ასია. ეს... ისე, მამა, სხვათაშორის.

ნადელი. თუ სხვათაშორის... მაშინ სასიკეთოა. (გადის. ასია დახლთან საქმობს).

იეხიელ. ნადელის სასადილო ქაშერია, სუფთა, ებრაული, მე მესმის, როდესაც მე იეხიელ ჩიკვაშვილი, რომელსაც მიყვარს ყოველი ებრაელი, — მოვდივარ აქ. მაგრამ შენ, იცკა რიჩინაშვილს რა გინდა აქ? (პაუზა) ერთი წლის წინედ შენ მიმტკიცებდი — ებრაელების საკითხს რევოლუცია გადასწყვეტსო. მოხდა რევოლუცია. გადაწყვიტა? რაშე შეიცვალა?

იცკა. ერთი წლის წინედ, დედას ვფიცავ, მე იმასაც გეუბნებოდი თუ როგორი რევოლუციისათვის ვიბრძვით... მაგრამ შენ ისე დაუბრმავებიხარ ყოველივე ებრაულს, რომ მეხსიერება დაგიტოვებია სადღაც, ძველი გელათის ქუჩაზე.

იეხიელ. (ექსტაზში) მე არ მრცხვენია იმისა, რომ მიყვარს ყოველი ებრაული. მიყვარს ებრაული სიამაყე და ებრაული ერის ტრადედია. მიყვარს ებრაელის სიმდიდრე და მიყვარს მისი სიღარიბე. მიყვარს ებრაელის დადებითი მხარეები, მაგრამ ამავე დროს მიყვარს მისი უარყოფითი მხარეებიც... მე ყველაფერი ებრაელური აღფრთოვანებას მგვრის. მიყვარს მისი სიმართლე, მიყვარს მისი სიცრუე...

იცკა. იცი, შენ, იეხიელ?... გაგიცივდა ებრაული თევზი. (პაუზა. იეხიელი სჭამს, იცკა — არა) რას იტყვი „ურიელ აკოსტახე“?

იეხიელ. საოცარი ძლიერების წარმოდგენაა.

ასია. (ირონიით) მერე შენ ვის უკრავდი ტაშს?

იცკა. (იციინის) ურიელ აკოსტასაც, ბენ იოხაისაც, დე სანტოსაც... ყოველ ებრაელს... (ასია სიცილით გადის მამასთან)

იეხიელ. მე ვუკრავდი ტაშს მესხიშვილს, არტისტს.

იცკა. არტისტს? მარტო არტისტს?... იცი, შენ, იეხიელ, რას ნიშნავს მოქალაქე?... როდესაც ლადო მესხიშვილი თამაშობს ურიელს, გინდა დაივიწყო სიტყვა — თამაში... პარტერში ჩნდება დაუმონებელი განცდა, მესხიშვილმა წაშალა თავისი თავი, როგორც

არტისტი და მაყურებლის წინაშე წარსდგა დიდი მოქალაქე და მისი უდიდესი სიმართლე... მისი ურიელი ეს წრფელი გულიდან მოზღვავებული სტიქიაა—საუკუნეების მანძილზე ჯადოსანი ხელოვანის ხელით მოტანილი—ბნელი უკულმართი ძალების წინააღმდეგ... და როცა სინაგოგის მბეჭუტავ სანთლებთან ლადოს აღმოხდება: „მაინც ბრუნავს“... მაშინ... დედას ვფიცავ... გავიწყდება გალილეი... გავიწყდება, რომ თეატრში ხარ... გავიწყდება ისტორია, ჰოლანდია და მზად ხარ, საკუთარი კბილებით დაგლიჯო ყველა ისინი, ვინც დღეს ელობება ჩვენს უდიდეს საკაცობრიო მიზნების განხორციელებას.

იეხიელ. მაგრამ შენ გავიწყდება, იცკა, რომ მესხიშვილი მაინც არტისტია. შენ გგონია ყველანი შენსავით ფანატიკოსი რევოლუციონერები არიან. წარმოდგენის შემდეგ, მე დარწმუნებული ვარ, მესხიშვილი მიდის სახლში და ჩაის სმის დროს დასცინის ურიელსაც და თავის განსახიერებასაც.

იცკა. იცი, შენ იეხიელ?... შენ არ გესმის, რომ არტისტი სცენაზე ასრულებს დიდ მოქალაქეობრივ ვალს და რომ იყოს შემთხვევა... (შემოდის სერთუკში ჩაცმული ლადო მესხიშვილი) დედას ვფიცავ... საოცარი შემთხვევაა... პატივცემულო ლადო, ჩვენთან არ ინებებთ?

ლადო. ვინებებ? ხა-ხა-ხა! და მერე როგორი სიამოვნებით... (ჩამოართმევს მათ ხელს და ჯდება მათთან) მე ძალიან მიყვარს, შვილებო, ახალგაზრდობა. განსაკუთრებით კიდევ დაბეჩავებული ებრაელი ხალხის მოწინავე ახალგაზრდები. აი შენ, იცკა, გენაცვალე, მე ძალიან მიყვარხარ. როცა შენ გხედავ, გარშემო ვიცქირები და ვეძებ დრამატურგს, იქნებ დამიწეროს პიესა: „ქუთათური ურიელ აკოსტა“. (აკაკუნებს მაგიდაზე. შემოდის მოხუცი ნადელი) ა... ბიძია, ნადელს სიცოცხლე და გამარჯვება... მომეწყინა, ძალიან მომეწყინა... მიბოძე ერთი კერძი შენი ნახელავი თევზი, თან ერთი პატარა ბოთლი თეთრი... ისეთი, ცეცხლს რომ მოგიკიდებს მთელს სხეულში... (მოხუცი გადის).

იეხიელ. მე და იცკას ეხლა კამათი გვქონდა. მე ვუმტკიცებდი მას, რომ არტისტს არ შეიძლება ჰქონდეს ცხოვრებაში ისეთი ტემპერამენტი, როგორიც მას სცენაზე აქვს.

ლადო. ო, შვილო, როგორი შემცდარი ხარ!.. არტისტი უნდა იყოს ადამიანი, მოქალაქე. თუ ის თავის მკერდში არ გრძნობს ცხოვრების მაჯისცემას, მისი როლი ყოველთვის ყალბი იქნება.. მოხუც ნადელს შემოაქვს თევზი. სამი ჭიქა არაყი. შემდეგ გადის.

იცკა. თვით, თქვენ, პატივცემულო ლადო?... მე დიდი თაყვანისმცემელი ვარ თქვენი ხელოვნებისა... წარმოდგენების შემდეგ, ყოველ ღამე მსურს სხვებთან ერთად ხელზე გატაროთ... დედას ვფიცავ... თქვენი თეატრი ეს საუკეთესო ხანძარია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენი თეატრი რაზმავს მასებს, თქვენს თეატრს და თქვენს მიერ შექმნილ სახეებს არა ერთი ახალგაზრდა აუტირებია...

ლადო. (ოდნავ ღიმილით) და ეს მიუხედავად იმისა, რომ მე ესერი ვარ?... ჩემივე თეატრის სცენაზე შენ ხომ დაუნდობლად ანადგურებ ესერებს? (პაუზა. იცკა ჩაფიქრდა).

იცკა. იცით, თქვენ, პატივცემულო ლადო?... მზესაც აქვს ხანდახან ლაქები. მე ხშირად მიფიქრია თქვენზე. ესერებს აქვთ ბევრი ლამაზი, მაგრამ ცარიელი ფრაზები. არტისტი შეიძლება ფრაზამ მოინადიროს, მაგრამ თქვენ... ბუნებით, მთელი სულით და გულით, დედას ვფიცავ, რევოლუციისათვის ხართ გაჩენილი... ქარიშხალმა შემთხვევით შეიძლება ესერების კლუბთან მიგიჩინათ ბინა... მაგრამ ეს დროებითი თავშესაფარია და, როდესაც მუშები და გლეხები აჯანყდებიან და ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ქუჩაში გამოვლენ, მაშინ თქვენ განა უკან დაიხევთ? თქვენი მშვენიერი, ულამაზესი სახე სულით ლამაზი მოქალაქისა—განა შესძლებს სცენაზე დაიმალოს?... დედას ვფიცავ... მითხარით... მიპასუხეთ... თქვენს საყვარელ დეკორაციებს, თუ საჭირო შეიქნა, განა თქვენივე ხელით არ დაამტვრევთ და არ გამოიტანთ ქუჩაში ბარიკადების აღსამართავად?

ლადო. (ჩაფიქრდა) აბა რა ვიცი, იცკა, გენაცვალე. თუ არტისტმა არ დასძლია ჩემში მოქალაქე, მაშინ შეიძლება... თუმცა... საშინელი ბარბაროსობაა... დეკორაციების დამტვრევა... ქუჩებში გამოტანა.

იეხიელ. რას მერჩით... მე მართალი ვარ... ესე იგი პირველ რიგში დგას არტისტი... არტისტი, რომელიც დამოკიდებულია ყველა ფენებისაგან და... ალბათ, პირველ რიგში მსხვილი ფენებისაგან...

ამ დროს რესტორანის კარებში თავს შემოჰყოფს აზნაური იაშვილი, მის უკან დგანან რამდენიმე აზნაური. მოსაუბრენი ძალაუნებურად მიაქცევენ ყურადღებას მათ თავხედურ მზერას.

იაშვილი. (მიმართავს თავისიანებს) აგერ ყოფილა ეს ვაჟბატონი...

შემოდის და შემოჰყვებიან დანარჩენები ხმაურით და ყვირილით. ხმაურზე გამოდის შეშფოთებული მოხუცი ნადელი. მასთან დგას ასია ისეთი სახით, თითქოს

ქაბრძოლველად ემზადებოდეს იაშვილი და მისი ამაღლა მიემართებინა პირდა-
პირ ლადოსაკენ. ლადო, იცკა, იეხიელი წამოდგებინა.

ლ ა დ ო. რა გნებავთ, ბატონებო?

ი ა შ ვ ი ლ ი. ჩვენ ორიოდ სიტყვა გვსურდა გვეთქვათ თქვენ-
თვის, ბატონო სერთუკოსანო არტისტო, რისთვისაც სულ რამოდ-
ენიმე წუთით შეგაწუხებთ და ბოდიშს ვიხდით თუ დაგირღვიეთ
სუფრის იდილია...

პ ი რ ვ ე ლ ი ა ზ ნ ა უ რ ი. იდილია, თორემ დიდი იდილია არაა?...
სირცხვილია, ქართველმა არტისტმა ქართულ სასადილოს უღალატა
და უცხოებს ეწვია. ქართული ყაურმა ურიულმა თევზმა შესცვალა...

მ ე ო რ ე ა ზ ნ. ვინ იყო და ვინ არის განუწყვეტლივ პოლიტი-
კას რომ ლექსებით გვთავაზობს არტისტულ ხონჩაზე? ბატონი მეს-
ხიშვილი. ვინ ასწავლა ყველა ოხერს ლექსი „რვა საათის სამუშაო
დღე“?

ი ა შ ვ ი ლ ი. დაწყნარდით, ბატონებო, და უმთავრესს მე მოვა-
ხსენებ. დაგავიწყდათ, არტისტო მესხიშვილო, ავად რომ გახდით
და თქვენი გულისათვის ფულები რომ მოგვთხოვეს? ჩვენც გავი-
ღეთ, ვინ თუმანი, ვინ ხუთი მანეთი და ვინ უკანასკნელი მანეთიც
კი შესწირა. ჩვენი შეგროვილი ფულით თქვენ იექიმეთ, მორჩით,
ჩამოხვედით, და ეხლა ისეთ წარმოდგენებს მართავთ, რომ თავა-
დებს და აზნაურებს სამარეს გვითხრით! რას გავს ეს?

ლ ა დ ო. ბატონო იაშვილო! თქვენ მაყვედრით, რომ ჩვენ ფუ-
ლი შევუკრიბეთ ჩვენს არტისტს, მოვარჩინეთ და ის კი ისეთ
წარმოდგენებს მართავს, რომ თავად-აზნაურობას სამარეს უთხრის.
მოგახსენებთ, ბატონო იაშვილო, რომ მე თავადებს და აზნაურებს
არ ვეკუთვნი, არამედ მე ვეკუთვნი ხალხს. ფულს როდი ვემსახუ-
რები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერავითარი სასყიდლით
ვერავინ ვერ მომიყიდის და ვერ მათქმევინებს იმას, რაც ჩემ რწმე-
ნას ეწინააღმდეგება. თქვენ, ალბათ, „კაი გრაკხი“ გაქვთ მხედვე-
ლობაში, ვინაიდან კაი გრაკხში დაინახეთ თქვენი ნამდვილი სახე.
მე დაგანახვეთ თქვენი ნაკლოვანება, თქვენი გონებრივი და ზნეობ-
რივი სილატაკე, თქვენი არარაობა დღევანდელ ცხოვრებაში...
(ხმები, ყვირილი, რას გავს ეს!... ეგ თავისას არ იშლის... შესწყვიტეთ...)

ლ ა დ ო. მაცალეთ... დაწყნარდით... ხომ იცით აზნაურული
კუდაბზიკობით თქვენ ჩემთან ვერას გახდებით... უნდა მიხვდეთ,
რომ თავადობამ და აზნაურობამ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა
და ტყუილად ლამობთ, ბატონებო, განმათავისუფლებელი წინსვლის
შეჩერებას თქვენი საცოდავი თხოვნებით და პეტიციებით, რომლე-
ბიც ერთ გროშადაც არა ღირან. ეს ყველაფერი ფუჭია. აი ამას

გეუბნებით მე დღეს აქ, ამასვე ვიტყვი მე ყოველთვის იქ, საცა ჩემი ნამდვილი ასპარეზია, სადაც წმინდა მოვალეობა მიმიწევს — აი იმ სცენაზე. ეხლა ხომ ცხადია, რა ძლიერი ყოფილა იქიდან წარმოთქმული სიტყვა, როგორ მოუწვავს გული, ვისთვისაც წაჭირო იყო. და ეხლაც გპირდებით, როცა მართალი სიტყვის მოსმენა მოგინდებათ სცენიდან, კიდევ შეგაკრებინებთ ფულს და მოგასმენინებთ უფრო ძლიერსა და გულის დამწველ ამბებს... (იცკამ და ასიამ დაჰკრეს ტაში).

ხმები. ეს რას გავს... ეს საშინელებაა... განანებთ.

ყვირილი. სტვენა. აღშფოთება. იაშვილი და მისი ამაღა გადიან.

იცკა. დედას ვფიცავ... თქვენ ეკუთვნით მშრომელ ხალხს და ჩვენი იმედი არასოდეს არ გამტყუნებულა. (ლადო გადაეხვია იცკას ასია შესცქერის მათ აღტაცებით. მოხუცი ნადელი დგას ხელებგაშლილი).

იეზიელ. (მიუახლოვდება მოხუც ნადელს) როგორ მოგწონს ბიძია ნადელ, ეს ამბები?

ნადელი. ყველაფერი სასიკეთოა, სასიკეთო...

ხუთი მერვე

„ცეჭაუზის გახალები და ადამიანის ნილაბი“

სცენა ცეჭაუზთან. ჯარისკაცი ივანოვი დგას საგუშაგოზე. საღამოს პირია სცენას გადმოვიღის ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი იცკა, ელაპარაკება თითქოს თავის თავს, ხოლო ისე, რომ ესმოდეს ივანოვს.

იცკა. მაშ ასე, ივანოვ. დედას ვფიცავ, ყველაფერი მზადაა. ორმოცი კაცი, ხუთი ურემი ყაზარმის ძირში დაელოდებიან ცეჭაუზის გახსნას... მალე შემოვა იური ომნერიუსი. პაროლი: „ცეჭაუზის გახალები და ადამიანის ნილაბი“. ცეჭაუზის გახსნისას, თუ უეცრად რამე საშიშროება გაჩნდეს, გაისვრი სამჯერ ზედიზედ... ურემებს მივატოვებთ, ხალხს გადავარჩინებ... მტკიცედ, დაუბნევლად, შენებურად... იცი, შენ, ივანოვ?

გავიდა.

ივანოვი. (პაუზის შემდეგ) დარდი ნუ გაქვს, ჩემო იცკა... ცეჭაუზს დავცლით და ხალხს იარაღს დავურიგებთ... ჯალათ ხოდეცკის აღარ დაეძინება ამაღამ და ხვალ დაათენდება მხეცურ გეგმებში... მაგრამ როდემდის... როდემდის?... ჯარისკაცის გული ველარ გასძლებს და ერთ მშვენიერ დღეს გადასწყვეტს, რომ უმჯობესია მხეცი ხოდეცკის გული ანაცვალოს თავის გულს, უბედურს, უიღბლოს... (პაუზა) როგორი საშინელი სიცივეა დღეს... ასე გგონია ჰაერი შეიკრა და სუნთქვაც შესწყდება... ნეტავი მალე მოვიდოდეს.

ამხანაგი იური და გააღებდეს ამ ძალმომრეობის საწყობს... (პაუზა)
სასაცილოა... არა, სავალალოა... ღარიბი ივანოვის უმცროსი ვა-
ჟი... რომელსაც უფროსი ძმები ამოუხოცა სისხლიანმა მუცელ-
ის... თვითონ ის... იცავდეს მეფის ცეპაუზს... იცავდეს ძალმომრე-
ობას და უსამართლობას და იცავდეს მხეც ხოდეცკის! (ნაბიჯის ხმა)
ეი, ვინ ხარ მანდ?

ხმა. ჯარისკაცი ომნერიუსი.

ივანოვი. ძლივს. (პირველ წუთს აღელვება ეტყობა, მერე თავს იკა-
ვებს. შემოდის იური ომნერიუსი ჯარისკაცის ფორმაში და იცქირება აქეთ იქით.
შემდეგ აპირებს ივანოვთან მიახლოებას. ივანოვი გადმოიღებს თოფს) პა-
როლი!

იური. ცეპაუზის გასაღები და ადამიანის ნიღაბი.

ივანოვი. (ამოიღებს გასაღებს და გადასცემს). აი გასაღები... ამხა-
ნაგო იური. იჩქარე, თორემ ყოველ წუთს შეუძლია ხიფათის მოტანა.

იური. (გამოართვა გასაღები და დასტვინა) ჯერ ამხანაგებისგან
უნდა მივიღო საპასუხო სიგნალი. (შემოცვივდებიან შეიარაღებული ყაზა-
ხები თავისი მეთაური ოფიცერით. ივანოვი არ დაიბნა. ისროლა ჰაერში სამჯერ
ხედიხედ).

იური. (გადასცა ოფიცერს გასაღები) ინებეთ, ბატონო ოფიცერო,
ცეპაუზის გასაღები. გადაეცით პოლკოვნიკ ხოდეცკის მოლაღატე
ჯარისკაცი ივანოვი და უერთგულესი იური ომნერიუსის გულითა-
დი მოკითხვა...

ოფიცერი. (ხელი ჩამოართვა) გმადლობთ, ბატონო ომნერიუს.
შენ ამ ღვაწლს არ დავივიწყებთ და მოვახსენებთ საჭირო ადგილს...
(ყაზახებს) განაიარაღეთ, დააპატიმრეთ... (აიარაღებენ, აპატიმრებენ)
ხოდეცკი გაგზავნის მაგის სულს ჯოჯოხეთში... გაათრიეთ!

ივანოვი. (ომნერიუსს) ადამიანის ნიღაბი... აი თურმე ვინ ყო-
ფილხარ... ძაღლი... იმას კი საუკეთესო ამხანაგად მიაჩნიხარ...
ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, იური ომნერიუს!

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ე

რა არის დაეჭვება—ხიმართლას ძიება,
თუ სულმოკლეობა?

რიჟინაშვილების ბინაზე. სცენაზე — მერი და სიმხა.

სიმხა. რა ვქნა, რა წყალს მივეცე... ვერაფერი ჩავასმინე.
ტყუილად კი არ ამბობს ჩემი უბედური ქმარი: რაღაც წყევლაა
ჩემს ოჯახზეო. თვითონაა და ამდენი ხანია იმ ურჯულოებს ციხეში
ყავთ დაჭერილი. არ იქნა და არ იქნა, სუდი არ დაინიშნა. და მზის

სინათლე დაანატრულეს... ისხაკია და... ვაი მის ყოუნასაც და არყოუნასაც... რაც იმ ნოქრებს გადაეკიდა, ხანანას შარებშაც იმატა... ხან ციხეში ყავს და ხან გარეთ... ორი დღით გამოაშფეებინეს მერე ორი თვით ჩააგდეს... კატა რო თაგვს დაიჭერს და ათამაშებს... არც კლავს და არც აცოცხლებს... ისეა ისხაკის ილბალიც... ჰო და ამეების მომსწრე... იცკას რო უყურებ, გული მისკდება... ვეხვეწები, ცოტა ხნით წადი, შეილო, ან ბანძაში, ან ფოთში ან ადესაში... საქმე არა გაქვს... ვილა უგდებს დღეს დედას ყურს... ვბერდებით... გამოდის, რომ ჩვენ აღარაფერი გვესმის...

მერი. არა... არა... იცკას დიდი დაჯერება აქვს თქვენი, მაგრამ ამბობს, რომ მალე, სულ მალე რევოლუცია გაიმარჯვებსო...

სიმხა. მე კი ველარაფერი გავიგე ამ ქვეყნისა. დღე ახალთაობა ყვირის, მთელი ქუჩა, ან ქალაქი მის ხელშია. ღამე-კი ჯანდარმებია თუ პოლიციის ძალები გამოდიან სოროებიდან და ქალაქს აწიოკებენ... მე ისე შევეჩვიე ამ ობისკებს, ნაშუალამევს ჭიშკარზე რომ არ დამიკაკუნონ-ასე მგონია, რალაცა მაკლია-თქო... ვზივარ და ველი ამ ძალებს... ამ კვირაში იყო. მგონია. საათმა შუალამის თორმეტი დარეკა და იცკას საძებნად მოვიდა 50 ყაზახი... შენ აღარც კი გაგაღვიძე... შევეჩვიე ამ უბედურებას... 50 ყაზახი – ერთი, პატარა, სუსტი იცკას წინააღმდეგ...

მერი. ამიტომაა იცკა რო ამბობს: ჩვენ ძლიერები ვართ, ისინი სუსტებიო. თითო კაცს რომ ასობით დასდევენ – ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი ამ თითო კაცის მხარეზეა...

სიმხა. ეჰ, მერი... მაგას რომ რამე მოუვიდეს. ხალხი შეილს ველარ დამიბრუნებს... (პაუზა) თანაც, მერი, უნდა გითხრა ერთი რამე. ამ ბოლო დროს ჩემი იცკა, შემოვევლე, ძალიან გაბოროტებული და გულგატეხილი დაიარება... წინედ სიხარული და იმედი მისი თვალებიდან ისე ცვივოდა, ასე გეგონებოდა ბუხრიდან ნაპერწკლები ელვარებენო... არა, რალაცა მოხდა... გამოიცვალა... იცკა, ძალიან გამოიცვალა... (მიუახლოვდება მერის და მხარზე ხელს ადებს) შენ არაფერი იცი?... მის თავს რალაც ამბავია... მერი, მითხარი, ნუ მიმაღავ... მე ხომ ვიცი, რომ... თქვენ ერთმანეთი ძალიან გიყვართ...

მერი. (გადაეხვია) დედა! (თავი დამალა მის მხრებზე).

სიმხა. მითხარი, შეილო, რა ამბავია მის თავს?

მერი. არ ვიცი, დედა, მეც კარგად... არ მეუბნება არც მე... ერთხელ მხოლოდ მითხრა: ეჭვები მიღრღნიან სულსაო... (შემოდის ღია. ამყამად უფრო გამზდარია).

ღია. სალამო მშვიდობისა, დედაჩემო, შენცა მერი.

ს ი მ ხ ა. მშვიდობა არ მოგიწალოს ღმერთმა. ბიჭი როგორ გყავს?

ლ ი ა. როგორ უნდა იყვეს? ძუძუ გავაშვებინე... კი არ ვაგაგავაშვებინე... აღარაფერი იყო შიგ მოსაწოვი... რძე დამიშრა...

ს ი მ ხ ა. ვაიმე... რა უბედურ დროს შემეძინა შვილიშვილი... ჩემმა თაობამ ვერ გაიხარა, შენი თაობა ვერ იხარებს... ნეტავი შენი შვილის თაობამ მაინც გაიხაროს... თორემ ჩვენ არაფერი გვაქვს გასახარელი... ცუდ დღეში ვართ, შვილებო.

ს ი ფ ო რ ი ა. (შემოდის თავისებური ხელის გაშლით და მოთქმით) ვაი, ვაი, რა გავიგე, რა გავიგე... ჩემო დაო სიხო, ვაი არ მოსწრებოდლი ამ დღესაო...

ს ი მ ხ ა. რა იყო, შე არდასაცალებელო... რას დაგვიჩხავი ყოველთვის ყორანივით... თქვი ბარემ, გაგიმწარდა სული, რალა უბედურება მოგაქვს შენი სამიწე ენით...

ს ი ფ ო რ ი ა. რას მერჩი, ჩემო და სიხო... ვაი, ვაი. ჩვენს მოსწრებასაო... თურმე ახალთაობის ხალხს ბულვარში ვილაც ღენერალი მოუკლიათო... ამბობენ ხელნწიფის ხალხი ისე გადარეულა, ქუთაისს ცეცხლი უნდა წაუკიდონო... ვაი, ვაი, ვაი... (ყველანი შეშფოთებული არიან. ამ დროს კარი იღება და ოთახში საჩქაროდ შემოდინან ამბროსი, დადაში და იცკა. იცკა შემოსვლისას გაფითრებულია, ხოლო როცა დაინახავს სიფორიას და თავისიანების გაფითრებულ სახეებს—ცდილობს ხელოვნურად გაღიმებას და გაოხუნჯებას).

ი ც კ ა. იცი, შენ, ბიცოლა სიფორია?... სალამო მშვიდობისა... ხო ისე შემოხვედი, ქორი რამე არ შემოგიტანია?... ლია, აქა ხარ? რამდენი მაქვს შენთან სალაპარაკო, მაგრამ ეხლა არა... დედა, შენც მერი, ქალებო, ნუ გეწყინებათ ცოტა ხანს მარტო დაგვტოვეთ. გადიან სიმხა, ლია, მერი მეტად შეწუხებულნი, სიფორია—ხელების ქნევით

ა მ ბ რ ო ს ი. ეხლა დრო ცოტა გვაქვს. კომიტეტი დღედაღამ მუშაობს... როცა შემატყობინეს, ჩემი ყურების არ მჯეროდა... არ მინდა არც ეხლა დავიჯერო... მითხარი, იცკა, შენ იყავი ჩვენი იმედი... ჩვენი სისხლი... და ხორცი... ძენშევიკებს მიეკედლე?

ი ც კ ა. იცი, შენ ამბროსი?... ეს ქორია... მაგრამ არის ზოგიერთი საკითხი... და მე მგონია... დედას ვფიცავ... უნდა ყური უგდოთ მათაც.

ა მ ბ რ ო ს ი. მაგალითად?

ი ც კ ა. რატომ არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროში? რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ასეთი დიდი ტრიბუნა, საიდანაც აშკარად ვეტყვით მთავრობას, რაც რომ ხალხს სტკივა?

ა მ ბ რ ო ს ი. და შენ... შენ... იცკა რიჩინაშვილი მეუბნები ამას?..

(პაუზა) პარტია ამბობს: ძირს სახელმწიფო სათათბირო, გაუმარჯოს დამ ვუძნებელ კრებასაო. ხოლო შენ — ჩვენი საუკეთესო ამხანაგი — იძახი: მოდი მივილოთ მონაწილეობა ბულიგინის ხელშეწყობით? მაშ შენ შეგაქვს დაეჭვება — პარტიის ხაზში?

ი. ც. კ. ა. განა სიმართლის ძიება — დასაძრახისია?

ამბროსი. როცა რევოლუციონერი ასე მსჯელობს — ეს არაა სიმართლის ძიება... ეს საშინელებაა, მაგრამ ფაქტია: ეს სულმოკლეობაა...

ი. ც. კ. ა. (გაფითრდა) იცი, შენ, ამბროსი?... შენ უფროსი ხარ და ამ შეურაცხყოფაზე არ გიპასუხებ... მაგრამ იცოდე... იცკა არ ეკუთნის სულმოკლეობას...

ამბროსი. არ ეკუთნოდა, მაგრამ დღეს ეკუთვნის. დიახ ვიმეორებ. ვინც, ერთ შეცდომას დაუშვებს და არ გაასწორებს, იმას მეორე მოჰყვება. იქნებ შენ უკვე წინააღმდეგი ხარ სახალხო აჯანყებისა? შენ ჩუმადა ხარ. სიჩუმე თანხმობის ნიშანია? აი დღეს ხომ იცი, მოვკალით გენერალი ხოდეცკი. შესაძლებელია ამან მაგარი ამბები გამოიწვიოს. მთავრობამ მოსახლეობას დაუშინოს და ხალხი გამოვიდეს ქუჩაში. შენ რას იზამ?

ი. ც. კ. ა. დედას ვფიცავ, ამ წუთში აღარ ვიცი... მაგრამ მე კი მგონია, რომ უნდა ვერიდოთ, ჩვენ ველარ გაუმკლავდებით.

ამბროსი. გესმის, დადაშ?... (პაუზა) გასაგებია. რეაქციის შემოტევამ ზომიერი თავდგირიძეებისაკენ გირჩია გადატყორცნა... (პაუზა) წყალწითელას ხიდს ქვეშ ნახეს დახოცილი რაზმელები. ცეპაუზის გახსნის გეგმა ჩავარდა. აწ უკვე ჩაძალღებული ხოდეცკის ბრძანებით — ივანოვი ჩამოხრჩობას ელის. საშა გარდაიცვალა. მის დასაფლავებაზე გადაცმულ ჯარისკაცებს გვირგვინები რომ მიჰქონდათ — სასტიკად დასაჯეს... შენ დაილაღე, გული გაგიტყდა. ეჭვებმა დაგიპყრეს. თან ოჯახური უსიამოვნებანიც მოქმედებენ შენზე...

დადაშ. გიყურებ, იცკა, და ველარ გცნობ. ნუთუ ეს შენა ხარ? შენ, რომელიც სხვებს ამხნევებდი, გასამხნევებელი გახდი? მაშ იცოდე: ჩვენი ათისტავეები, ასისტავეები, რაზმელები ყველანი თავის ადგილას არიან... ბოლშევიკები თავის მიზანს მიაღწევენ...

ი. ც. კ. ა. მოიცა, დედას ვფიცავ... მე პირდაპირ ვლაპარაკობ: შე სიმართლეს ვეძებ... მე ეჭვები მღრღნის...

ამბროსი. ეჭვები თუ გრღნის, მაშინ, ალბათ, მალე მოგაკითხავენ „მშვიდობიანობის“ მოციქულები, თავდგირიძე და კომპანია... ჩვენ კი... ასეთ დაეჭვებულ ამხანაგებთან, — აწი საქმე აღარ გვექნება... ეჭვებმა შეიძლება უფსკრულამდე მიგიყვანონ... წავედით, დადაშ. (გავიდენ. დიდი პაუზა. იცკამ თავი ჩაიდო ხელებში, მეორე კარებიდან

სიფრთხილით შემოდის თავდგირიძე, იცკა უყურებს მას და დიდხანს ვერ გარკვეულა).

იცკა. თავი სიზმარში მგონია, დედას ვფიცავ... (პაუზა) შენ ბიქტორ?

თავდგირიძე. თავი ხომ არ გტკივა, იცკა? რა ფერზე ხარ? არ მომწონს... იცი, იცკა. ჩვენი ბიჭები უსაზღვრო სიხარულით შეხვდნენ შენს ჩვენთან გადმოსვლას.

იცკა. (გაოცებით) გადმოსვლას? მერე ვინ გითხრათ... მე მხოლოდ ზოგიერთ საკითხში მაქვს დაეჭვება... ისე კი...

თავდგირიძე. რაც მომწონს—მომწონს. მომწონს შენი ჟინიანობა... ძალიან ზარმაცი ნაბიჯებით რომ გადმოდინხარ ჩვენთან... მაგრამ მაინც გადმოხვალ... ჩვენში, დაეჭვებულებიც შეიძლება იყვეს... ოღონდ ბლანკისტი და იაკობინელი ნუ იქნება...

იცკა. იცი, შენ, ბიქტორ?... მოდი ეხლა ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. უსაქმოდ არ გიყვარს ხოლმე ჩემთან სიარული, გინდა რამე?

თავდგირიძე. მომწონს. ებრაელები პრაქტიკული ხალხი ხართ... შენ, იცკა. ფეხოსან პოლკებში დიდი გავლენა გაქვს. ჩვენ, მენშევიკებმა, იქ ვერ მოვიკიდეთ ფეხი... შენი მოწყობილი ორგანიზაციები შენთან ერთად უნდა გადმოვიდნენ ჩვენთან... მერე კიდევ... ხოდეცკის მოკვლას შეიძლება მოჰყვეს უსიამოვნება... მთავრობის ზომებმა შეიძლება ხალხში გამოიწვიოს არეულობა და მერე ქუთაისი სისხლის მორევში ჩაახრჩოს... მე ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ვიცი—ჯარი ბოლშევიკური განწყობილებით სუნთქავს... ერთი პატარა საბაბი და მერე გვიან იქნება უბედურების თავიდან აცილება... საჭიროა მშვიდობიანი მორიგება... მთავრობასთან. გასაგებია?

იცკა. (მძიმედ. პესიმისტურად) მშვიდობიანი მორიგება მთავრობასთან?... დედას ვფიცავ, გასაგებია... (პაუზა) ეხლა რომ მართლაც თავი მტკივა... დამტოვე, ბიქტორ, მარტო. ღამე მშვიდობისა. (გაუწოდა ხელი).

თავდგირიძე. რაც არ მომწონს—არ მომწონს. უკვე მეორედ მაგდებ სახლიდან. მაგრამ მე ყველაფერს ავიტან იდეისათვის... იმედი მაქვს მალე შევხვდებით მენშევიკურ კომიტეტში... ღამე მშვიდობისა. (გავიდა).

იცკა. იცი, შენ, იცკა? მგონია შენ თვითონ ველარ ცნობ შენ თავს... (ვილაცას ნაბიჯები) ეს ვილაა რომ მოდის. (გაიხედა ფანჯარაში) ჰა... ესლა მაკლდა... ეხლა ეს გამასრიალებს, ალბათ, ხმელთაშუა ზღვაში... (შემოვიდა იეხიელი) სალამი, სალამი, ჩამოჯექი... პირდაპირ საოცარია ჩვენი ქუთაისი... ხმა უფრო სწრაფად ვარდება, ვიდრე ყუმბარა... ალბათ, დედას ვფიცავ, შენც გაიგე რამ არა?

იეხიელ. სწორედ რომ გავიგე და ეს არის რომ მალცებს... რევოლუციაზე გული გაგტეხია, სოციალიზმში - მაღლობა ღმერთს, დაეჭვებულხარ... ხოლო მენშევიკები იძახიან: იცკა აწი ჩვენთანაა (პაუზა) თუ პლატფორმის გამოცვლაა, ბარემ... გაიხსენე, ჩვენი ჩაგრული ხალხი ელის შენისთანა ნიჭიერ შვილებს... ვიმუშაოთ ერთად... იქ, წმინდა მამების ქვეყანაში, მეორე ტაძრის ადგილას აღმართულია ომარის მეჩეთი... ჩვენ კი დაგვჩა უბრალო კედელი... ქოთელ კამაყარაბი... რომელსაც მე, შენ... და მრავალი ჩვენისთანა ახალგაზრდები...

იცკა. (შეაწყვეტინებს) იცი, შენ იეხიელ?... დამტოვე მარტო... მე მინდა ვიფიქრო, დიდხანს ვიფიქრო... (უცბად ხელი გაუწოდა) ლამე მშვიდობისა...

იეხიელ. ახირებული სურვილია... მაგრამ იმედს არ ვკარგავ... მალე შევხვდებით ეროვნულად მოაზროვნე ებრაელ ახალგაზრდათა კომიტეტში. ლამე მშვიდობისა. (გავიდა).

იცკა. (ისევ ჩაიდო თავი ხელებში და ფიქრს მიეცა) იცი, შენ, იცკა?... „ექვებმა შეიძლება უფსკრულამდე მიგიყვანონ...“ ასე გითხრა შენ ამბროსიმ... (პაუზა) მამა ციხეშია და ვერაფრით დავეხმარე... მხოლოდ ერთხელ მანახეს... როგორ უმადურად შემომხედა: „რაზე მილალატე, რას მოდიოდით“... და მართლაც... ბრძოლის თუ შემეშინდებოდა... რა მინდოდა აქ... (პაუზა. ხელში რაღაც ქალაღი უჭირავს და გლეჯს ნაფლეთებად)... დედაჩემი ისხაკის გზიდან აცდენას მბრალებს... მერი მიყვარს და განა შემიძლია პირად ბედნიერებაზე ვიოცნებო?... უფსკრული, დედას ვფიცავ... უფსკრული... და ასე მელანდება... უფსკრულის კარისკაცებად დაუყენებიათ ბიქტორ თავდგირიძე და იეხიელ ჩიკვაშვილი... იცკა! სადღა ხარ, იცკა, დაეჭვებულებს თვით რომ ანადგურებდი დაუნდობლად? გადაცდი? (პაუზა) (საჩქაროდ შემოდის სიმხა, ლია და მერი).

სიმხა. აქ ხომ არავინაა. ვის ელაპარაკებოდით, შენ შემოგვევლე, იცკა?

იცკა. იცი, შენ დედა? (მიუახლოვდება სამივეს) სამი ხართ აქ... სამი უძვირფასესი არსება... დედა, ვერ გაგიმართლე იმედები, ვერ გაგახარე, ვერ განუგეშე... დაო, მე სულ სხვაგვარად წარმომედგინა შენი მომავალი... შენ უკვე შვილი გყავს და ასე მგონია, მე დამნაშავე ვარ შენი შვილის წინაშე... მერი, ეჭ მერი... რამდენი რამე მინდა გითხრა... მაგრამ ასე მგონია... საუკუნეები მაჯლაჯუნა გველეშაპივით ყელში მაწვებიან და მახრჩობენ...

ლია. შენი ჭირიმე, ძმაო. ჩვენზე ნულარ ფიქობ. როგორმე ვიცოცხლებთ. დროს ნულარ კარგავ. წადი ადესაში, დროებით, ვიდრე ეს ცეცხლი დაწყნარდებოდეს.

მერი. წადი იცკა... ათასი პროვოკატორია და ჯაშუში... საცა-
იქნება დაგიქერენ... წადი, ცოტახანს თავი შეათარე სადმე...

სიმხა. შემოგვევლოს დედა... დაგვიჯერე ამ ერთხელ მაინც...
იწყება ხარების რეკვა... ხან სულ ახლოს მოისმის, ხან ძალიან შორს, ხან ძლიერ-
დება, ხან სუსტდება. ეს ხარების რეკვა განუწყვეტლივ გრძელდება რო-
გორც ამ სურათში, აგრეთვე შემდგომ სურათში მესამე მოქმედების დასრულე-
ბამდე. ხარის რეკვამ ქალები შეაშფოთა. იცკამ ფანჯარა გამოალო და გაიხედა
თვალები მრისხანებით აევისო და სავსებით გამოიცვალა.

იცკა. იცი, შენ, დედა... რას ნიშნავს ეს ზარები—ასე საშინ-
ლად რომ სტირიან? ქუთაისი აცნობებს სოფლებს, სოფელი კიდევ
სოფელს, რომ ხალხის თავზე რალაც დიდი უბედურებაა... (შორეული
ხანძრის ალი შემოანათებს რიყინაშვილების ბინაზე) მერი, ლია, ხედავთ...
საზიზღრები... ძაღლები... არ ინდობენ ხალხს... ქალაქს ცეცხ-
ლი მოუკიდეს... (სროლა იწყება)... აი დაიწყო... (იცკა მივარდა მაგი-
დას და ანთილო რევოლვერი. ატრიალებს ხელში. შეშფოთებული ქალები შემოებ-
ვიენ გარ შემო. შემოვარდება სიმანტობი).

სიმანტობ. აი ამბავი, აი ხაბარი. ვილუპებით, ხალხო. ქუთა-
ისს ცეცხლი წაუკიდეს. ყაზახებით აავსეს ქუჩები და მოსახლეობას
ტყვიები დაუშინეს. რა გვეშველება... იცკა, გავარდი, შენ მაინც
დაიმალე სადმე, კაცო, ამ უბედურების დროს...

სიმხა. დედა შემოგვევლოს, წამოდი, დაგმაღავ... (ჩემოებვევა)

ლია. ლია შემოგვევლოს, გეყოფა ჟინიანობა... (შემოებვევა)

მერი. იცკა! შენი ჭირიმე... დაუჯერე დედას...

იცკა. (ძალით გამოვარდა მათი წრიდან) დედას ვფიცავ, არა... იც-
კა არაა ოპორტუნისტი... ჩემი გზა ქუჩაშია, ბოლშევიკებთან, ბა-
რიკადებზე... მერი, ლია! დასწყვიტეთ მავთულები, რომ პოლიციე-
ლებმა დამატებით ყაზახები ვერ გამოიძახონ. (შეჰყვირებს) ჩქარა! (მე-
რი და ლია გავარდებიან) შენ, სიმანტობ, იცი? ძარღვებში სისხლი ხომ
არ გაყინვია? ჩადი, გავარდი, შეაგროვე ისხაკის ამხანაგები, ნოქ-
რები, ყველანი ქუჩაში, ქუჩაში... (შეჰყვირებს) ჩქარა! (სიმანტობი გავარ-
დება) მშვიდობით, დედა! (გავარდა).

სიმხა. (დაეცემა მიწაზე). საბოლოოდ ნუ გამწირავ, ღმერთო,
ადონაი! (ძლიერდება ხანძარი. სროლა. ხარების რეკვა)

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ე

„როცა ღამით ქუთაისში ატირდნენ ზარები“.

ქუჩა ქუთაისის ბულვართან. ბარიკადები — ხლართიანი მავთულებით, ფქვი-
ლის ტომრებით, წამოქცეული ტელეგრაფის ბოძებით აღძრათული. ხალხი მირბის
წინ და უკან. ხელში უჭირავთ ანთებული კრაქები. შორით მოჩანს ხანძრის გა-
ვარვარებული სილუეტი. ხანგამოშვებით ისმის სროლა. ხარების რეკვა — ისმის

განუწყვეტლივ — მოქმედების დასრულებამდე. სცენაზე შემორბიან შეიარაღებულნი ამბროსი, დადაშ ალიოშა, სერგო, იური.

ამბროსი. არც ერთი წუთი უმოქმედოდ... ირბინეთ მარჯვნივ, მარცხნივ... ყველაფერი ბარიკადებისათვის... ყველანი ბარიკადებზე... ჩქარა, ჩქარა, თორემ მერე გვიან იქნება... ბალახვანი უკვე ყაზახებით ავსებულა... ჩქარა!

ყველანი გავარდნენ სხვადასხვა მხრით. იური ჩამორჩა. მას წინ შეეჩეხა უსინათლო ზეხარია, ღარიბი, გათეთრებული ძობუცი, რომელსაც ხელში უჭირავს რაღაც ქალაღი. ზეხარიამ ხელი წაავლო იურის.

ზეხარია. შვილო, შვილო... ვინც უნდა იყო... მადლი მოიღე... ჩემთვის ველარავინ მოიცალა... რა უბედური საღამოა... იქნება რუსული იცი... წამიკითხე, შვილო, ეს უწყება...

იური. (ამპარტავნულად) რა დროს საღამოა... მალე შუალამე იქნება... ბრმა ხომ არა ხარ, ბებერო?... რას შემეჩხირე გზაზე?

ზეხარია. ბრმა ვარ, შვილო... ათი წელიწადია...

იური. ეშმაკმა წაგიღოს... ბრმებილა გვაკლია. (ხელი ჰკრა, ზეხარია წაიქცა. კვნესის. იური გადის).

ზეხარია. ვაი, ვაი... მიშველეთ ბრმას, უბედურს. (შემორბის იცკა შეიარაღებული ტყვიებით და რევოლვერით. მოხუცის კვნესამ მიიქცია მისი ყურადღება და საჩქაროდ მივარდა წამოსაყენებლად).

იცკა. ზეხარია... უსინათლო მოხუცო... წამოდექი, წამოდექი. ნუ გეშინია... რამ მოგიყვანა ამ დროს აქ... ამისთანა ამბავში...

ზეხარია. ვინა ხარ, შვილო?... ახალთაობის კაცი?... ნაცნობი ხმაა... იოსების იცკა ხომ არა ხარ, შვილო? (შემოეხვია)... წამიკითხე ეს უწყება...

იცკა. (კითხულობს) „ზეხარია ნანიკაშვილს. ამით გაცნობებთ... რომ თქვენა შვილი იონათანი... მანჯურიაში... მეფის ტახტის სასახელოდ... გმირული სიკვდილით...“ (შესწყვიტა კითხვა).

ზეხარია. (შემოიკრა თავში და საცოდავად შეჰყვირა) ვაიმე... მომიკლეს იონათანი... ურჯულოებმა... ძაღლებმა...

იცკა. დაწყნარდი, ბაბუა ზეხარია... მე მოგკითხავ მხეც ხელმწიფეს იონათანის სისხლს... წამომყევი... გზაზე გადაგიყვან. ვინმე სახლში წაგიყვანს... აქ საშიშია... შენ უსინათლო ხარ...

ზეხარია. არა... არ მინდა, მე უსინათლო აღარა ვარ... თვალები ამეხილა, წამიყვანე შენთან... მომკლან... მეც მომკლან... იონათან... ვაიმე იონათან... რისთვის ჩაგიქრეს და დაგიბნელეს მზე და მთვარე... (შემორბის სიმანტობი და ათეული ნოქრები მასთან — ჯოხებით, კეტებით და წალღებით შეიარაღებულნი).

იცკა. (ანიშნებს სიმანტობს) იცი, შენ, სიმანტობ?... ზეხარიას დიდი უბედურება ეწვია... (ორი ახალგაზრდა ჰკიდებენ ხელს და გაჰყავთ)... ამ

კეტებით და წაღებებით შორს ვერ წახვალთ... თუ ვარგხართ. გა-
ვარდით სასამართლოს საწყობში ან სადმე... იარაღი იშოვეთ... ჩქა-
რა... (სიმანტობი და მასთან მოსულნი გადიან. საჩქაროდ შემორბიან ამბროსი,
დადაში, ალიოშა, სერგო, იური, მათთან კიდევ სხვები. მოათრევენ სხვადასხვა
ავეჯს ბარკადისათვის).

ამბროსი. დადაშ, ალიოშა! (შეამჩნიეს შეიარაღებული იცკა და სი-
ხარულით შესძახეს) იცკა! ჩვენთანა ხარ?

იცკა. დედას ვფიცავ, რა უცნაური კითხვაა... აბა ვისთან უნდა
ვიყო...

სერგო. (გადაეხვია) შენი ჭირიმე, იცკა!

იური. მე კი მგონია... ასე მგონია... რომ მენშევიკი რიჟინა-
შვილი გადამწყვეტ მომენტში გვილალატებს.

სერგო. რა წაპილწული ენა გაქვს... ყველაზე რომ ეჭვი შე-
გაქვს...

ამბროსი. იური ომნერიუს, რიჟინაშვილი არ არის შენი
ხელწამოსაკრავი. (მუშაობენ ბარკადების აგებაზე) იცკა! უამრავი ყაზა-
ხი მოდის... მართალია ხალხი გვემატება და გვემატება... მაგრამ
ვერ მოვასწარით შესაფერი შეიარაღება... შეიძლება დამარცხ-
დეთ... ხომ აღარ შეგაშინებს დამარცხება?...

იცკა. (გაიხმო განზე ამბროსი) იცი, შენ, ამბროსი? ესაა ყაზარ-
მაში ვიყავი... ფეხოსანი პოლკი ავაჯანყე... ივანოვი გამოუშვეს...
შალე მთელ პოლკს აქ მოვიყვან...

ამბროსი. (ართმევს მაგრად ხელს) ჩვენო იცკა!...

დადაშ. (იძახის სცენის სიღრმისკენ) ყოჩაღად! იჩქარე! პატარა ვა-
ლოდია მაიაკოვსკი, აქეთ! (ვალოდია მაიაკოვსკი მთარბენინებს მერხს).

ვალოდია. იცკა! დადაშ! ეს ჩემი პარტაა... ამ პარტაზე ორი-
ანების მეტი არაფერი მეღირსა... მოხმარდეს რევოლუციას... ძირს
თვითმპყრობელობა... მე კიდევ მოვიტან პარტებს... ეხლავე, ეხ-
ლავე... (გავარდა)

სცენაზე შემორბის შეიარაღებული ლადო მესხიშვილი. უკან მოჰყვებიან სცენის
მუშები, რომელთაც მოაქვთ სხვადასხვა დეკორაციები.

ლადო (მუშებს) აღმართეთ აქ ეს დეკორაციები... ხელოვნე-
ბა ხალხისათვის... შევაკლათ მტერს თავი და ქუთაისი არ გავა-
ნადგურებოთ... აღარ ავატიროთ ამაზე უფრო მეტად მშრომელი
ხალხი... იცკა... შვილო... გენაცვალე... მეც თქვენთან, ახალგაზრ-
დებთან ერთად... (გადაეხვიენ ერთმანეთს. ლადო და სცენის მუშები დაღვნენ
საბრძოლველად გამზადებულნი. სროლა ძლიერდება).

ამბროსი. ძაღლები გვიახლოვდებიან. (შეიარაღებული ხალხისა
კენ) მოემზადენით!... (ყველანი იარაღს აჩხარუნებენ იცკა შეუმჩნეველად გაი-
პარება)...

იური. (ამბროსის) რა იქნა იცკა?.. გაიპარა? დაიძალა? თან ასე მგონია... ვაი თუ გვიღალატოს...

ალიოშა. ბევრს გითმენ, იური... არის ქართული ანდაზა... მაგრამ ეხლა შენთვის არ მცალია...

დადაშ. სირცხვილია, იური, იცკაზე ასეთი ლაპარაკი...

ამბროსი. (მოისხანედ) მე უკვე ერთხელ გაგაფრთხილე, ხოლო მეორედ...

იური. ნუ ღრიალებთ. მე რაც მგონია — ისა ვსთქვი. ბოლშევიკს სიფრთხილე ვინ აუკრძალა?

(შემობრბის ივანოვი).

ივანოვი. ამხანაგებო, უკვე თქვენთან ვარ... (შეხედა ომნერიუსს. ომნერიუსი გაფითრდა). ეს.. ეს... ვინ არის? ამას რა უნდა, ამხანაგებო თქვენთან... ამან ხომ... ცეჭაუზის გასაღები ჩემი თვალის წინ ხოლდეცკის გაუგზავნა... (შეჰყვირებს) ამხანაგებო!... რა უნდა პროვოკატორ ომნერიუსს თქვენთან?

იური. შენ თვითონა ხარ პროვოკატორი... (იწევს უკან-უკან. ერთის მხრით აპირებს გაპარვას. თან რევოლვერს უმიზნებს ივანოვს, მაგრამ ამბროსი დაასწრებს და ესვრის. ომნერიუსი წაიქცევა მკვდარი).

ამბროსი. ძაღლს ძაღლური სიკვდილი... გაათრიეთ...

ალიოშა. არის ქართული თქმულება: „ჯანდაბამდისაც გზა გქონიაო“... (ორ კაცს გააქვს ომნერიუსის გვამი).

დადაშ. ივანოვ! (გადაეხვია)

სერგო. შენი ჭირიმე (გადაეხვია).

სროლა ძლიერდება. სცენაზე შემოდინ თოფმოღერებული ყაზახები პრისტავი ელჩიბეკოვის ხელმძღვანელობით. გვრდში უდგანან ხმალომღებულნი აბრამია და დობრჟანსკი. ბარიკადის გადაღმა ისინი შეჩერდებიან ცოტა ხანს. ხანძარი ქალაქში ძლიერდება.

ელჩიბეკოვი. ხალხო! ხელმწიფე იმპერატორის სახელით გიბრძანებთ დაიშალოთ. ჩვენ ვწვავთ და ვანადგურებთ ბუნტოვშიკებისა და ხელმწიფის ორგულების კარ-მიდამოს. ვინც იმათ ეხმარება — ის ჩვენი მტერია და ამიტომ არ დავინდობთ არც დიდს და არც პატარას, არც ქალს და არც კაცს... ყველას გავწყვეტავთ, დავხვრეტთ, დავახრჩობთ... გადავწვავთ მთელ ქალაქს... უკანასკნელი გაფრთხილება. ამ წუთში დაჰყარეთ იარაღი და დაიშალებით... არ გესმით?... ყაზახებო, თოფები.

ყაზახები მიუშვერენ ხალხს თოფებს. ამ დროს იცკას მეთაურობით სცენაზე შემოდინ ფეხოსანი პოლკის ნაწილები. სცენის მეორე მხარეს მოჩანან აგრეთვე სიმანტობი და ნოქრები — შეიარაღებული. იცკა და მისი ამხანაგები დგანან საბრძოლველად გამზადებულნი. ჯარისკაცები მიუშვერენ თოფებს ყაზახებს, ჯარისკაცების დანახვას ყაზახებში შეაქვს დაბნეულობა. მოისმის ხალხის მასიური პა-

სუხი „გვესროლეთ! გვესროლეთ!“ და მოულოდნელად, ამ სიტყვებთან ერთად გაისმის სტიქიურად ამოხეთქილი „მარსელიოზას“ მძლავრი ხმები და მოჩანს ცადაწეული ასეული ხელები და თოფ-იარაღი. ყაზახები დგანან გაურკვეველ მდგომარეობაში. ხანძარი ანათებს შეიარაღებულ მოქმედ პირებს და მარსელიოზას მძლავრი გუგუნი უერთდება შორეული ზარების სამგლოვიარო ხმაურს. იწყება სროლა და ხალხი გადადის შეტევაზე.

ფ ა რ დ ა



მოქმედება მეოთხე

ხუთი მეთერთმეტი

მრავალნაირია ქვეყნადომი „მისთ
უდიდებულესობის“ იმპერიაში...

ქუთაისის პოლიცემისტერის კაბინეტში, ანტონენკო შუახნის კაცი. გრძელი შეკლარავებული ღღვაშებით, შუაზე გაყოფილი წვერით ძრისხანედ შესცქერის მის წინ გამოკიმულ პრისტავ ელჩიბეკოვს. მარჯვნივ-მარცხნივ ქანდაკებასავით გარინდებულან აბრამია და დობრუანსკი.

ელჩიბეკოვი. მოგახსენებენ, თქვენო კეთილშობილებავ, რომ მისი კვალი ძნელი აღმოსაჩენი შეიქნაო: ზოგიერთები ამბობენ, ოდესაში არისო, ხოლო ვისი პასპორტით გაემგზავრა—ეს ჯერ ჟანდარმებმაც ვერ გაიგესო. გარდა ამისა, თქვენო კეთილშობილებავ, იმასაც მოგახსენებენ, თვითონ ალიხანოვის დამსჯელ რაზმში მოუწყვია იცკას რევოლიუციური ორგანიზაციებიო. იმასაც მოგახსენებენ, თქვენო კეთილშობილებავ, რომ იმ კვირაში სამტრედიისა და თიანეთის მაღალ სიმინდებში, შუალამით, იცკას ჩაუტარებია ჯარისკაცთა კრებებიო. ერთი სიტყვით, ცნობები ბუნდოვანია, თქვენო კეთილშობილებავ, იმასაც მოგახსენებენ...

ანტონენკო. სისულელეებს მოგახსენებენ... კარგად ვერ გიძებნიათ, ბატონო პრისტავო!.. აგკუწავთ ყველას ლუკმა-ლუკმა თუ ცოცხალი ან მკვდარი არ ჩამაბარეთ მისი თავი. (პაუზა) რუსი ურიის ნადელის სასადილო გაჩხრიკეთ?

ელჩიბეკოვი. გაჩხრიკეთ, თქვენო კეთილშობილებავ, და ჯერჯერობით ვერაფერს ვერ გავხდით. მოგახსენებთ, რომ ნადელის ქალიშვილს თავი ცუდათ ეჭირა. გაჩხრიკვის დროს გამუდმებით მღეროდა: „Все кастрюльки обошли, социалистов не нашли“... მე ჯერჯერობით თავი შევიკავე მისი დაქერისაგან, ვაი თუ ამით დავაშინოთ ნადელის მუშტრები და ძაღლები ხელიდან დაგვისხლტენ.

ანტონენკო. აბრამია! შენა? შენი რჯულის კაცი ვერ მოძიე?

ხომ იცი შენზე როგორი იმედებია? ხომ იცი, მიიღებ უფროს გო-
როდოვობას.

აბრამია. მზადა ვარ... რომელიცა რომა... თქვენო ალმატე-
ბულებავ... მხოლოდ გავბედავ მოგახსენოთ... რომელიცა რომა სო-
ციალისტებმა შემომითვალეს... იცკას რომ შენი ხელით ერთი ღერი
თმა დაცვივდეს... რომელიცა რომა... გაქვს გულ-ღვიძლი და წელები
გარეთ გამოგიყრითო...

ანტონენკო. ხა-ხა-ხა!.. შეგაშინეს? (წყრომით) აბრამია! ესენი
აღარ გავიგონო! შენა — დობრჟანსკი?

დობრჟანსკი. მზადა ვარ ხელმწიფისა და ტახტის ერთგუ-
ლი სამსახურისათვის, თქვენო ალმატებულებავ... ოღონდ კი აბრა-
მიამ მიჩვენოს, რომელია ის იცკა ხელმწიფის ორგული და მივიღებ
თუ არა განკარგულებას, ტყვის გასროლას ვერავინ ვერ დამას-
წრებს...

ანტონენკო. გაქვბ, ერთგულო პოლონელო... (ელჩიბეკოვს) პა-
ტიმრები მოიყვანეს?

ელჩიბეკოვი. დიახ, თქვენო კეთილშობილებავ... იმათ გარ-
და თქვენ გელოდებათ მდიდარი ხანანია.

ანტონენკო. ა... კარგი, კარგი, ძალიან კარგი... გამოატა-
რეთ. თქვენ კი ეხლა თავისუფალი ხართ. (ელჩიბეკოვი, აბრამია, დობრ-
ჟანსკი გადიან. შემოდის მორიდებით და მოწიწებით ხანანია, ანტონენკო მას
მიეგებება. ხანანია გადასცემს პაკეტში გახვეულ საჩუქრებს) მობრძანდით,
დაბრძანდით. ძალიან მოხარული ვარ, როცა თქვენ მოდიხართ ხოლ-
მე. მე ძალიან, ძალიან მიყვარს ერთგული ქვეშევრდომები...

ხანანია. როგორ გიკითხოთ, ბატონო? ჯამრთელობა, ოჯახი,
ხასიათი?

ანტონენკო. მადლობელი, მადლობელი. კარგად გახლავართ.
თქვენ ერთგული კი არა-უერთგულესი ქვეშევრდომი ხართ... დიახ,
უერთგულესი... ხომ იცით, მრავალნაირია ქვეშევრდომი „მისი უდი-
დებულესობის“ იმპერიაში... ზოგი ერთგულია, ზოგი კიდევ უერთ-
გულესი.. მართალია, ზოგი ბუნტოვშიკია, მაგრამ ხომ ხედავთ რა
ამბებია... ბუნტოვშიკებს ცეცხლითა და მახვილით ვანადგურებთ და
მალე მათი ხსენება აღიგვება დედამიწის პირისაგან...

ხანანია. დიდი უჭკუო ხალხი გამოდგა, ბატონო, ეს ბუნტოვ-
შიკები. მეფის ტახტის ძალა კარგად ვერ ასწონეს.

ანტონენკო. ეხლა ხომ ასწონეს ალიხანოვის წყალობით.
ალიხანოვი... ხუმრობა საქმეა, გუბერნატორი სტაროსელსკი არ
დაინდო, შენ რაღაც წაილიბერალებო, რევოლუციონერებს დაინ-
დობდა? აჯანყებული ჯარები მოაცილა ქუთაისს, ხოლო მეფის ორ-

გულნი ააწიოკა, დახოცა, გადასწვა, გააუპატიურა, ქვა ქვაზე აღარ დასტოვა... ხა-ხა-ხა! რამდენი კიდევ შორეულ ციმბირში ამოიკვნესებს ხა-ხა-ხა! ეცოდინებათ აწი იმპერატორს როგორ უყვარს ბუნტოვშიკები... ხა-ხა-ხა! აწი ჩვენს ერთგულ ქვეშემრდომებს ნულაჩაფრის დარდი ნუ გექნებათ. რევოლუცია სისხლში ჩავახშეთ... რომანოვების დინასტიის ძლევამოსილი ტახტი რვა წლის შემდეგ იზეიმებს სამას წელიწადს და თქვენ, ერთგულ ქვეშევრდომებს, არ დაგივიწყებთ...

ხ ა ნ ა ნ ი ა. გავბედავ და მოგახსენებ, ბატონო პოლიცმეისტერო, რომ მე კარგად ავწონ დავწონე და გამომივიდა, რომ მარდახო ციციაშვილზე ნაკლები უერთგულესი ქვეშევრდომი არა ვარ... იმას თორმეტი მედალი აქვს. მე კი ჯერ არც ერთი...

ან ტ ო ნ ე ნ კ ო. მიიღებ, რასაკვირველია. ეხლა მხოლოდ ეს მითხარი; იცკას ამბავი არაფერი გაგიგიათ?

ხ ა ნ ა ნ ი ა. სწორედ მაგისტვის გეახელათ დაგიმტკიცოთ, როგორი უერთგულესნი ვართ... ჩამოსულა ბატონო ადესიდან. ეს ნამდვილია. მოკეთებმა მითხრეს, ხოლო ძალიან მოხერხებულად იმალებაო. დღე ერთ ადგილას არის, ღამე მეორე ადგილას...

ან ტ ო ნ ე ნ კ ო. ახლა საქმე იმაშია, თუ როგორ ჩავიგდოთ ხელში ეს საშინელი დამნაშავე. არ დაგავიწყდეთ. რომ მაგათი დაჭერა არც ისე ადვილია. იცკას ამხანაგებიდან მხოლოდ ორი გადავასახლეთ შორეულ ციმბირში: ამბროსი ლომისელი და სერგო ნაქერალელი. დანარჩენები ისე მოხერხებულად ჩაივრნენ სოროებში ან გაიპარნენ საზღვარგარეთ, რომ პირდაპირ გასაოცარია. ეხლა თქვენ რა დაგიმალოთ, უერთგულესი ქვეშემრდომი ხართ, ძალიან მეშინია იცკაც არ დაგვიძვრეს ხელიდან...

ხ ა ნ ა ნ ი ა. გამოაცხადეთ, ბატონო, კანონგარეშე...

ან ტ ო ნ ე ნ კ ო. ა? კანონგარეშე? ეს იდეაა... მაგრამ მე სხვა იდეაც მაქვს... პატიმრები—ესე იგი მისი მამა და მისი ძმა აქა მყვანან?... ზენ, როგორც მათი ბიძა, მოელაპარაკეთ... მათ გავანთავისუფლებთ, ოღონდ შვილი მოგვიყვანონ თავისი ხელით. ა, რას იტყვით?

ხ ა ნ ა ნ ი ა. მე კი მგონია, ბატონო, აწონ-დაწონა უნდა. იოსები ისეთი ჯიშისაა, იმისგან არაფერი ხეირი არ იქნება, ასი წელიწადი რომ ციხეში გააჩეროთ, ისევე შვილიც... ჩემი ნანოქრალია, ახალგაზრდა კაცია, შეპირება, მოტყუება... ხომ იცით... სული წაძლევს... იმას მოველაპარაკები.

ან ტ ო ნ ე ნ კ ო. აბა კარგი. ჯერ მამას დავუძახოთ... ვნახოთ რა გამოვა აქედან... (ზარი. შემოდის პოლიციელი) შემოიყვანეთ პატიმარი

იოსებ შაბათას-ძე რიჟინაშვილი. (პოლიციელი გადის) მრავალნაირი ქვეშემოდომი მისი „უდიდესებულების იმპერიაში“... მამა თუ არ იზამს, შვილი იზამს...

ქვემოთაშენი
ბიბლიოთეკა

ხ ა ნ ა ნ ი ა. ჭეშმარიტი ბრძანებაა.

პოლიციელს შემოჰყავს ხელშეკრული იოსები. ციხეში ჯდომამ მას საგრძნობი დადი დაასვა. გათვარებულა, დამკვანარა, თავზე დიდი თმა გახრდია და თვალეში ეტყობა, რომ იგი უკვე თავის სრულ ჭკუაზე არ არის, თითქოს ძალიან შორეული ადგილიდან უცქეროდეს ოთახში მყოფთ. არავითარ ინტერესს არ იჩენს მათდამი

ანტონენკო. პატიმარო იოსებ შაბათას-ძე რიჟინაშვილო, შენთან მოსულა სალაპარაკოდ ბიძაშენი ხანანია (პაუზა. იოსები ღვას ისევ გაურკვეველ პოზაში. ანტონენკო ანიშნებს ხანანიას)

ხ ა ნ ა ნ ი ა. ყური მიგდე, იოსებ! მე ხომ ბიძა ვარ შენი! ოლონდ შეასრულე შენი ხელით ღვთის ბრძანება და მე ვთხოვ ბატონ ანტონენკოს ციხიდან გაგიშვას, სულში საქმე მოსპოს და პოლიციის საქმეში სადმე ჩაგაყენოს. რადგანაც რომ შენ კარგი რუსული პოჩერკა გაქვს. გაიგონე, იოსებ? ხო გახსოვს, ეს ქვეყანა სასწორია. ასწონ-დასწონე შენ სასიკეთოდ. (პაუზა)

ი ო ს ე ბ ი. (ლაპარაკობს თითქოს თავისთვის) აკი იანვარში უნივერსიტეტი არ იხურებაო?... შვილო, როგორი ქვეყანა ყოფილა... ვინ დახურა იანვარში უნივერსიტეტი... ჩემმა უფულობამ ხო არა... სიმანტობიც ხომ გიგზავნიდა, რაც შეეძლო იმდენს... თუმცა შარშან აღარ უწვიმია მწვანე ყვავილაზე... სიფორია გამეცალე აქედან... მეყო, მეყო ჭორები... ვიცი, ვიცი, შენზე კარგად ვიცი... ბრმა ზეხარიასავით ნულარ მამრმავებ. აჰ იცკა, სადა ხარ ეხლა, გენაცვალოს მამა... რატომ არ მიჩვენებ, რა ჩამომიტანე გერმანიიდან... გითხრა, მამაჩემო შაბათა... არ მინდა ცოლი... რა კარგად ვსწავლობ კლასიკურში... ვილაცა მიპირობს გარიცხვას... მიშველე, შვილო!

ანტონენკო. (დარეკს ხარს. შემოდის პოლიციელი და გაჰყავს). ამის საქმე წასულა.

ხ ა ნ ა ნ ი ა. წინათ როდის იყო სრულ ჭკუაზე?

ანტონენკო. ჰო და რადგან უკვე გიყია, აწი შეიძლება მაგის განთავისუფლება. მისი „უდიდესებულების“ მთავრობას გიყების არ ეშინია. (დარეკს ხარს. შემოდის პოლიციელი) შემოიყვანეთ პატიმარი ისხაკ იოსების-ძე რიჟინაშვილი. (პოლიციელი გადის).

ანტონენკო. მე დაგტოვებთ ცოტა ხნით. ასე ვთქვათ. შინაურულად მოილაპარაკეთ, ნათესაურად... ხა-ხა-ხა! გახსოვდეს ხანანია, მედალი იქნება, იქნება... (ანტონენკო გადის. ცოტა ხნის შემდეგ პოლიციელს შემოჰყავს ისხაკი და თვითონ გადის. ისხაკს თითქოს გაეხარდა ხანანიას დანახვა და გადადგა ნაბიჯი მისკენ).

ხ ა ნ ა ნ ი ა. როგორ გამხდარხარ, ჩემო უბედურო ისხაკ... (მიუწია სკამი) დაჯექი! აქ მარტონი ვართ. (ისხაკი ჯდება) რომ იცოდე, რამ-

დენი ქრთამის დახარჯვა დამქირდა, რომ შენ ასე მარტო ჩამეგდე ხელში...

ი ს ხ ა კ ი. (სიხარულით) ბიძია ხანანია!

ხ ა ნ ა ნ ი ა. გინდა რომ მამაშენ იოსებსაც მოუსპო სამუდამოდ პადლოგების საქმე და გამოვიყვანო ისიც ციხიდან?

ი ს ხ ა კ ი. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ შენ კეთილი გული გაქვს, ბიძია. ხოლო ჩემი ძმა იცკა და მამაჩემი არ მიჯერებდნენ.

ხ ა ნ ა ნ ი ა. ჰო და ახლა ყველაფერი შენზეა. მამენტია ისეთი... ან დღეს, ან არასოდეს. ხო იცი ეს ქვეყანა სასწოროია...

ი ს ხ ა კ ი. ბრძანე, ბიძია.

ხ ა ნ ა ნ ი ა. შენი გადარჯულებული ძმის გამო. საისრაელოს საცხოვრებელი პირი აღარ აქვს ქუთაისში. ისრაელებს პაგრომს უპირებენ. გაიგონე? რისთვის უნდა დააქცევინოს ამ ერთმა ლაწირაკმა მთელი ისრაელობის სისხლი?.. შენი ძმა ჩამოსულა ადესიდან და ვილაც-ვილაცეებთან იმალება... შენ გაგიშვებთ იმ პირობით, რომ ორ დღეში გაიგო, სად იმალება იცკა, უნდა მოხვიდე და შემატყობინო... რას იტყვი?

ი ს ხ ა კ ი. (გაწითლდა, მერე თავი აილო და უპასუხა) ესე იგი, შენ გინდა, ჩემო ბიძია, რომ მე ჩემი ხელით ვუჯაშუშო და პირუტყვივით დავაკლევინო ჩემი ძმა იცკა?.. და ამ ჭკუას შენ მარიგებ, ღმერთის მოშიშე, თავი კაცი, ჩემი ბიძია, ჩვენი მოკეთე?.. და მერე კიდევ შენ მეტყვი: ღმერთი არის ქვეყანაზეო? (გააწნავს მაგარ სილას) კაცის-მკვლელო!..

ხ ა ნ ა ნ ი ა. ვაი... ვაი... მიშველეთ...

კარებში თავს გამოჰყოფენ ანტონენკო და პოლიციელები

სურათი მეთორმეტე

ვინ რას გლოვობდა
ცხრა აბის ლამეს?

მ ე რ ი. სიცოცხლის წიგნში ბედნიერება მერის და იცკას არ ეღირსება. შენ ქართველი ხარ ის—ებრაელი, როგორ შელახოთ ძველის ღირსება... ცხრაას ხუთ წელმაც ხომ გაიქროლა—თრთოლვით, იმედით რომ გიხაროდათ, თავისუფლება სისხლში დაახრჩეს და ხელში შეგვრჩა ალიხანოვი...



სატრფო ძვირფასი, იცკა-უტკბესი,
ძაღლებს რომ უჭირთ მისი მიგნება,
ის იმალება ბნელ სარდაფებში,
მერი! ის შენი ველარ იქნება.

შენ ქართველი ხარ, ის ებრაელი
როგორ შელახოთ ძველის ღირსება?
სიცოცხლის წიგნში ბედნიერება
იცკას და მერის არ ეღირსება...

იცკა. (შემოდის) როგორ კარგად მღერი, დედას ვფიცავ...
იცო, შენ მერი? განაგრძე, განაგრძე... მხოლოდ რატომ გგონია,
რომ ყველაფერი გათავდა, დაიღუბა?...

მერი. (შეშინებული) იცკა! შენ მტერი ხარ შენი თავის. რას
სჩადი, რისთვის მოხვედი? შენ ხომ იცი რომ კანონგარეშე ხარ
გამოცხადებული, რომ ისინი დაგეძებენ მაძებარი ძაღლებით...

იცკა. ვიცი, ყველაფერი ვიცი, დედას ვფიცავ... დღეს მე და
ჩემი ამხანაგები ვართ კანონგარეშე გამოცხადებული... ხვალ...
იცო, შენ, მერი, რა იქნება ხვალ?... ხვალ, ზეგ, ერთი წლის შემ-
დეგ, ათი წლის შემდეგ... ეს იქნება უთუოდ... ჩვენ გამოვაცხა-
დებთ ამ ძალმომრეობის წესწყობილებას—კანონგარეშე... მაშინ...
მაშინ, მერი... ჩვენი პატარა ოცნებაც განხორციელდება... ჩვენ
შევერთდებით საჯაროდ... და შენ აღარ იმღერებ ასე მწუხარედ...

მერი. იცკა! (გადაეხვევიან).

იცკა. იცი, შენ, მერი? მენშევიკები შეეგუენ მდგომარეობას,
ლენინი წერს, რომ ქარიშხალი ისევ მოახლოვდება... და მე მწამს,
რომ ბრძოლა არ გათავებულა, ბრძოლა ეხლა იწყება... მე წავალ
საზღვარგარეთ და ვიქნები ჩვენს ბელადთან, ვიდრე არ დაჰკრავს
საათი... მოვედი, ერთხელ კიდევ გნახოთ ჩემი ძვირფასი არსებანი,
ერთხელ კიდევ აღგიძრათ ყველას იმედი... ეხ, მერი, მერი... მაპა-
ტიეთ ყველამ... (გადაეხვია) იცი, შენ, მერი?... მინდა თან წავიღო
„გლახიკაცის ისტორია“... ძალიან მიყვარს ეს წიგნი... რამოდენიმე-
ჯერ წავიკითხე... უკანასკნელად გავჩერდი 76 გვერდზე...

მერი. (გადასცემს წიგნს) აიღე ეს წიგნი. მალე გამოესალმე დე-
დას და დას და წადი. ჩემო იცკა, ჩემო სიცოცხლე, იცოდე თავს
კარგად მოუარე და ძალიან ფრთხილად იარე... იცოდე, შენ რომ
რამე მოგივიდეს, ჩემი სიცოცხლე ისედაც გამწარებულია, ერთ-
წუთს აღარ ვიცოცხლებ, აღარ...

გადაეხვია.

იცკა. იცი, შენ, მერი? დაწყნარდი—მე არ მიყვარს ცრემლე-
ბი... ჰო, მერი, დედას არ უთხრა მე რომ კანონგარეშე ვარ გამოც-

ხადებუღი... ეყოფა, რაც გამწარება ადგია... ეს რომ გაიგოს, ვაი თუ გული გაუსკდეს... ჩემი წასვლის შემდეგაც შენი იმედი მაქვს... შენ იცი როგორ ნუგეშსაც სცემ... აი ისინიც... ^{ცრემლები} შეიმშრალე...

შემოდინან სიმხა და ლია. ლიას ხელში უჭირავს თავის პატარა ბავშვი.

სიმხა. შემოგვევლე, შვილო... რადგანაც გადასწყვიტე გამგზავრება, ბარემ გაემგზავრე და ღმერთი ხელს მოგიმართავს, ღმერთი შენისთანა ალალმართალ კაცს არ გასწირავს...

ლია. გადაიცვი, იცკა, და ჩემთან გადავიდეთ... იქიდან უფრო ადვილია სადგურზე წასვლა...

სიმხა. თანაც ხომ იცი, შვილო, ამ საღამოს სიონის ტირილია და ისე გული მიკანკალებს... (ისმის ჯერ გაურკვეველად მოთქმის და გოდების ხმები, რომელიც თანდათან უფრო ძლიერდება)

იცკა. იცი, შენ, დედა? დაწყნარდი... ნუ იწუხებ, ვიდრე დაღამდება, დაღამე უნდა ვინახულო, საქმეები უნდა გადავაბარო... ამალამ კი ლიასთან გადავალ და იქიდან... (ვაუხა) დედას ვფიცავ, გტოვებთ და გული მისკდება. მამა — ციხეში, ძმა — ციხეში. დანარჩენი და-ძმანი პირუტყვებით იზრდებიან. შენ — ერთი საცოდავი ძროხის შემყურე... მე კი... დამდევენ როგორც ყაჩაღს და ვიმალები როგორც ქურდი... შენა, დაო, ერთხელაც არის შენს ბავშვს ვერ მოუალერსე (გადაუსვამს ბავშვს თმაზე ხელს)... შენ კიდევ მერი... ეჰ... (მიბრუნდება მეორე მხარეს, რომ ცრემლები არ შეამჩნიონ, შეიმშრალეს. მიბრუნდება და გადაეხვევა სათითაოდ ყოველ მათგანს. ქალები ქვითინებენ. ამ ქვითინს ასუსტებს სალოცავიდან მომავალი, ძლიერი და ბოხი გლოვის ხმები, რასაც ისინი ყურს უგდებენ)...

იცკა, შენ, დედიკო? დაუკვირდი კარგად ვინ რას გლოვობს ცხრა აბის ღამეს...

ხმა რაბი შალომისა. ძმებო... სახლეულო ისრაელისაგ... ამალამინდელ ღამეს შესრულდა... ათას რვაას ოცდა თერთმეტი წელიწადი, რაც გაგვიოხრეს წმინდა ტაძარი... ამისათვის გვტკიოდა გული... ამისათვის დაგვიბნელდა თვალები... სიონის მთა რომ გავერანდა, იქ მელიებმა რომ დაიწყეს სიარული...

რაბი შალომის გოდება გადადის ხალხის ტირილში და მოისმის. „ვაი ჩვენ რომ შევცოდეთ“.

ხმა იეხიელისა. „ყალ ეხალი ხებლიქენახაშ ნომეხ ულში — შამუთ ციონ ეშებ ბახოშეხ“... ჩემს სასახლეში ჩემი ტკივილები გველივით იკბინებიან და სიონის გავერანებისათვის დავჯდები სიბნელეში...

ხმა სიფორიასი. ვაი, ვაი, ვაი ჩვენს მოსწრებასაო... ჩვენი შვილების ცოდვების გამო წმინდა ქვეყანა რომ დაგვინგრიესო და ვალუთში რომ დავვფანტესო...

ხმა ზეხარიასი. რისთვის დაგიბნელეს, შვილო იონათან, მზე და მთვარეო? რა ახალგაზრდას მოგისწრათეს ბოლოო? რა გესაქმებოდა შვილო მანჯურიაშიო? რაზე დაგავიწყდა, რომ ქუთაისში ტოვებული გყავდა ბრმა მამა უბედური ზეხარიაო?...

ხმა ანტონენკოსი. ვიმხიარულოთ, ბატონებო... დიდი მონარქი... უძლეველი და ყოვლისშემძლე... (პოლიციის სამმართველოს აიგნიდან შოისშის სტუმრების ღრიანცელი და მეფის ჰიძი).

იცკა. (ოთახში ძყოფთ) დედას ვფიცავ... ეს ქვეყანა ისეა დაყოფილი, როგორც მარქსმა თქვა... რაბი შალომი და იეხილი მისტირიან ძველებს, დაბნეული სიფორია აყოლია ფეხის ხმას და ქვეყნიერების სატირალს ეგა სტირის... ძალლი პოლიცმეისტერი დროებით გამარჯვების სიხარულს ღვინოში იღრჩობს... ხოლო უბედურ ზეხარიას სიბრძავე რომ არ აკმარეს, შვილი მოუკლეს და მაგას თვრამეტი საუკუნის უკან რა იყო — ის კი არ აწუხებს... იონათანის დალუბვაზე დაკლულ პირუტყვივით ღრიალეს... (პაუზა) იყოს ეს წიგნი — გლეხიკაცის ისტორია აქ, თაროზე... გვერდი სამოცდათექვსმეტი... არ შემეშალოთ... მივალ დადაშთან და ეხლავე, ეხლავე დაგბრუნდები...

სიმხა. ფრთხილად, შვილო, მტერი არ გაახარო.

ლია. დაგელოდები, ძმაო, ფრთხილად იარე.

მერი. (გზა გადაუჭრა) ნუ წახვალ, იცკა, ანტონენკოსთან ძალღებია მოგროვილი.

იცკა. იცი, შენ, მერი? წასვლა საჭიროა. ნუ მელობები... შენ ხომ კარგად იცი ჩემი ხასიათი... დედას ვფიცავ... გადავაბარებ საქმეებს და აქვე, აქვე დაგბრუნდები, რომ ამაღამ გზას გაუდგე... (გადაიცვამს პარიკს) ეხლა ხომ იცკა აღარა ვარ... მელოდეთ — მალე... სულ მალე... არ დაგავიწყდეთ... გვერდი — 76... არ შემეშალოთ... იცკა გამოდის ოთახიდან და კარებს გამოიხურავს. ჩამოდის კიბეზე და სიფრთხილით აქეთ-იქით იცქირობა პოლიციის სამმართველოდან ისევ ისმის სტუმრების ყიჟინა და ღრიააცელი. იცკა კიშკრის გზით გამოვიდა შესახვევში, შესახვევში დგას ერთი დიდი კასრი. იცკა შესახვევიდან აპირობს ქუჩაში გასვლას, რომ ამ დროს მას შეამჩნევენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი — აბრამია და დობრჟინსკი. იცკა იცქირობა აქეთ-იქით და გასაქცევს რომ ვერ ხედავს — ჩერდება ერთ ადგილზე).

აბრამია. (პირუტყვივული სიხარულით მიმართავს დობრჟინსკის) თფრრ... რომელიცა რომა... წვერი გაუკეთებია... ეს არის იცკა რიჟინაშვილი...

დობრჟინსკი. (დაუმინებს თოფს) შეჩერდი. ხელები ზევით!

იცკა. (თიყრდნობა კასრზე და მოიხსნის პარიკს) იცი, შენ? ხომ ხედავ, მე არსადაც არ მიყდივარ?...

ელჩიბეკოვი. (გამოდის აივანზე და დასკვივლებს) ესროლე! ამ დროს იცკას ბინის კარი გაიღება და იქიდან მობრის გამწარებული სიმბა ყვირილით: „არ ესროლოთ“! უკან მოსდევენ ლია ბავშვით და მერი. დობრჩინსკი გაიხსროს ორჯერ ზედიზედ და მკერდგახვრეტილი იცკა ეცემა კასრზე. თმაგაწეწილი კვლები (დედა, და, მერი) ჩაიწვენენ იცკას კალთაში. შორიახლოს დადიან ხელში რევოლვერებით და ხმლებით დობრჩინსკი, აბრამია და სხვა პოლიციელები.

სიმხა. ვაიმე, შვილო, სად მოგახვედრეს ამ ურჯულოებმა...

იცკა. (უთითებს გულზე) აქ მომახვედრეს... იცი, შენ, დედა? ვკვდები დედა... ვკვდები... მაგრამ ყველას ხომ ვერ მოკლავენ... დედას ვფიცავ... დარჩებიან ამხანაგები... რომლებიც... (კვდება).

ანტონენკო. (გამოვარდება აივანზე და მიმართავს ელჩიბეკოვს) რა ამბავია, რა თოფის სროლა იყო აქ?...

ელჩიბეკოვი. (გამოჭიმული) კანონგარეშე გამოცხადებული რიჩინაშვილი დაჭერის დროს შეეცადა გაქცევას და ამიტომ...

ანტონენკო. გასაგებია... (შედის ოთახში და მოისმის მისი ხმა) სტუმრებო, განვაგრძოთ...

სიმხა. რაზე უწინ მე არ დამმარხე, შვილო... ვაიმე!

ლია. სამოცდათექვსმეტი გვერდი... არ შემეშლია, ძმაო... ვაიმე, რა ძმა მომიკლეს ძალღებმა... ვაიმე... ვაიმე...

მერი. იცკა! სამი ქალის გოდებაში მოჩანს უსაზღვრო მწუხარება. სალოცავიდან გამოდის მორწმუნე ებრაელები. „მოაქვთ მტყუტავი სანთლები. ჭალხი თანდათან ემატება. ვილაც აუნთებს თავით სანთელს. იცკას თავს ადგია ლიას ორი წლის ბავშვი. დროგამოშვებით მოისმის პოლიციელის სტვენა და განკარგულება: „დაიშალეთ“, მაგრამ მათ ყურადღებას არაფერ აქცევს. იცკას ნათესავებს და მეზობლებს ხელში უჭირავთ ქვები—მოღერებული პოლიციელთათვის. შემობრის სიმანტობი და საშინელი ყვირილით „იცკა“ დაემხობა მის გვამზე. მოდის და ჯოხით მოაფათურებს გზას ბრმა ზეხარია.

ზეხარია. რა უბედური თიშყაბეაბია... რა დროს სიონის ტირილია... ვაიმე, იცკა, იონათანივით შენც დაგიბნელეს ამ ურჯულოებმა მზე და მთვარე... (ამ დროს საიდანღაც მოისმის იოსების ხმა).

იოსები. ეს ჩემი სახლია... ამდენ ხალხს აქ რა უნდა... (გაარღვევს წრეს) გამომიშვეს... შეამჩნევს მოკლულ შვილს. შეჭკივლებს საზარლად შვილო!!... (წაიქცევა. ტირილი სიგიჟედ იქცევა. სტირიან ქალები, კაცები, ბავშვები, ხალხი ემატება და ემატება)

ელჩიბეკოვი. (ხალხს) დაიშალეთ, თორემ ეხლავე გესვრით. ყაზახების რგოლი მორიდებით, მაგრამ მაინც გარს ეხვევა ხალხს. ებრაელების გარდა ხალხს ემატებიან მუშები, გლეხები, საიდანღაც თავს ამოჰყოფს დადაში, რომელიც დაემხობა მეგობრის ცხედართან. სალოცავიდან მოისმის იეხიელის გოდება—„ცალ ეხალი...“ ანტონენკოს ბინიდან მოისმის ღრიალი და როცა ელჩიბეკოვი იმეორებს აივანიდან თავის ბრძანებას, მაშინ დადაში წამოხტება და გააფთრებული შეხტება კასრზე.

დადაშ. არა, არ დავიშლებით და იცოდეთ... საყვარელ იცქას ცხედართან ფიცს ვდებთ, რომ არც ერთი მისი მკვლელი აღარ იბოგინებს ამ ქვეყანაზე... თქვენ ეხლა მღერით, მაგრამ გახსოვდეთ, მხეცებო, ნადირებო, დადგება ჟამი სიტყვების ტყვიებად გადაქცევისა, თქვენი სიმღერა გლოვით შეიცვლება, ხოლო ჩვენი გლოვა კი სიმღერით... აღსდექ, ბედშაგო შრომის შეილო...

მთელი ხალხი აჰყვა დადაშს. ინტერნაციონალის მრისხანე სიმღერა თავხარს სცემს ძველი ქვეყნის მოციქულებს. აბრამია და დობრჟინსკი აღარ ჩანან. ყაზახებს მოღერებული აქვთ თოფები და ჯერ ვერ გაუბედიათ სროლა. ასეულ ადამიანების მოკუმულ მუშტებში იმალება საშინელი მუქარა. ათეულმა ხელმა ასწიეს იცქას გვამი ჭაერში და აღმართეს როგორც დროშა. გამარჯვების ჰიმნი სკექს ბოლომდე.

„ეს არის ჩვენი მედგარი
და გადამწყვეტი ბრძოლა.
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა“...

ს უ რ ა თ ი მ ე ც ა მ ე ტ ე

„ჟამი სიტყვების ტყვიებად გადაქცევისა“...

ნადელების რესტორანში უცნობი კაცი კითხულობა გაზეთს, ვახშობს, თან ყურს უგდებს მოხუცი ნადელისა და ასიას ლაპარაკს. უცნობ კაცს აცვია ევროპულად. თმა გაყოფილი აქვს შუაზე და გრძელი შეჭალარავებული წვერი სუფთად აქვს დავარცხნილი. თვალებზე გაკეთებული აქვს ყვითელი სათვალეები და მანუეტებზე უბრწყინავს ოქროს ზაპონკები.

ნ ა დ ე ლ ი. სასიკეთოა, ყველაფერი სასიკეთო... რამდენმა ხანმა განვლო, გული კიდევ მიცემს... საწყალი ბიჭი... უკეთესი ახალგაზრდის მნახველი არ ვიყავი... ჩემ შვილებში არ ვარჩევდი.... იმისმა ძმამ რა ჰქნა? იმან თუ მაინც იხეირა?

ა ს ი ა. არა, მამა, ხშირ-ხშირმა ციხემ დაატლექა. ჭლექს გადაჰყვა. რა ხანია ისიც დავასაფლავეთ.

ნ ა დ ე ლ ი. მამამისი იოსები?

ა ს ი ა. ეჰ, ნულარ მკითხავ. ციხიდან როცა გამოვიდა, ხომ ნახევრად გიჟი იყო. იცქა რო ნახა მოკლული — ამან სულ მთლად გააგიჟა. შესძულდა ადამიანი და დასწყევლა მისი მოდგმა. თავის სახლს აღარ მიჰკარებია. ეზოში გაიკეთა რალაც საქათმეს მსგავსი და ღამეებს იმაში ათევდა. მთელი დღეები გაჰკიოდა, უნდა გავიგო, ვინ გასცა ჩემი შეილიო. ამ კვირაში კი დილაზე ადრიანად თავის საქათმეში იბოვებს სამართებლით ყელგამოჭრილი. ამბობენ, ესეც პოლიციის საქმეაო.

ნ ა დ ე ლ ი. ყველაფერი სასიკეთოა, სასიკეთო... იმას რო უბედური სიცოცხლე ჰქონდა, სიკვდილი ერჩია, ერჩია... მისი ოჯახი რაღას შვება?

ა ს ი ა. ეჰ, რა ქნან... იცკა მოკლეს... იოსები მოკლეს, ისხაკო მოკვდა... უბედური დედა სიმხაც ქლექში ჩავარდა... დანარჩენი პატარები ქუჩაში იზრდებიან პირუტყვებივით უპატრონოდ... სახლს ხომ ცეცხლი წაუკიდეს, დაუწვეს და გაუნადგურეს ჭერი... ლიას დაატყდა თავს ყველა ეს უბედურება... ეხლა ისლაა ერთი პატრონი და მომვლელი...

ნ ა დ ე ლ ი. ვინ გაიგებს იმ დალოცვილის გზასა და კვალს?... სასიკეთოა, ყველაფერი სასიკეთო... (შემოდინ ელჩიბეკოვი, აბრამია და დობრჟინსკი. შემოსვლისას მათ ჩაჰკეტეს შემოსასვლელი კარები. მოხუცი ნადელი ოდნავ შეჰკრთა) ესეც სასიკეთოა...

ე ლ ჩ ი ბ ე კ ო ვ ი. ბებერო ნადელო! თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია, ტყუილი არ გაბედო. ამ საღამოს აქ უნდა მოსულიყო იცკას ამხანაგი დადაშ ცნობილადე. არ მოსულა ჯერ?

ნ ა დ ე ლ ი. აბა მე რა ვიცი, ბატონო პრისტავო... ყოველთვის ჩემ სასადილოში რომ ეძებთ მაგნაირ ხალხს, მე სადაური იმათი ამხანაგი ვარ... მე ერთი მოხუცი, ღმერთის მორწმუნე კაცი ვარ...

ე ლ ჩ ი ბ ე კ ო ვ ი. თავს ნუ იკატუნებ, ურია, არ იცნობ... არც შენ შვილს იცნობდი? არც ივანოვს იცნობდი? არც იცკას იცნობდი? ა, ეს შენ პირველი ავანსი... (გადაჰკრა მათრახი)

ა ს ი ა. (გადაეღობა მათ) მოერიეთ უღონო მოხუცს? მე დამკარბოთ, მაგას დაეთხოვეთ...

ე ლ ჩ ი ბ ე კ ო ვ ი. ა...ლამაზო ურიის ქალო, ხმა ამოიღე... აბრამია, დობრჟანსკი, ეს თქვენი კერძი იყოს... აბრამია, შენ რომ იცი, ისე, შენებურად, გაუმასპინძლდი...

ა ბ რ ა მ ი ა. მესმის თქვენი... (ასიას გამოათრევენ დახლიდან. დაუსხამს არაყს და მიაწვდის) აბა... აიღე ეს ჭიქა... ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო, რომელიცა რომა ამოსწყვეტავს... თფრ... ყველა სოციალისტებს...

ა ს ი ა. (გამოართმევს ჭიქას და მოულოდნელად სთხლემს თავში) გამეცალეთ აქედან, თქვე მხეცებო...

ე ლ ჩ ი ბ ე კ ო ვ ი. (იძრო რევოლვერი) ურიის ქალო, გინდა ტყვია გაყლაპო? (ამ დროს უცნობმა კაცმა დაასწრო და ესროლა. დაჭრილი ელჩიბეკოვი მიწაზე გაიშხლართა. ამ სურათის დანახვაზე აბრამია და დობრჟინსკიმ იძრეს ხმლები. უცნობი კაცი შეხტა მაგიდაზე. ერთ ხელში უჭირავს რევოლვერი, მეორე ხელით უბიდან ამოიღო ყუმბარა).

უ ც ნ ო ბ ი კ ა ც ი. ვინც ახლოს მომეკარება, ნაცარტუტათ ვაქცივ... პარკი ჩამოვარდება თავისით. აბრამია და დობრჟინსკი დაფეთებით უყურებენ



ა ბ რ ა მ ი ა, დ ო ბ რ ჟ ი ნ ს კ ი. დადაშ ცნობილადე!

დადაშ. დიახ, დადაში ვარ. ასია! გაიქეცი ეხლავე სამზარულოდან. თავს უშველე. გიბრძანებ პარტიის სახელით (ასიაგარბის) მოხუცო, თქვენ კი შორს ჩამოდექით, დახლთან, ან კიდევ იქით... (აბრამია და დობრჟინსკი ცდილობენ მიუახლოვდნენ, თან ეშინიათ ყუმბარის) აბრამია... დობრჟინსკი... დადგა ჟამი სიტყვების ტყვიებად გადაქცევისა... ან იქნებ გეგონათ იცქას წმინდა სისხლს შეგარჩენდით? აჰა, გადაყლაპეთ, ძაღლებო!

გაისვრის ხედიზედ რევოლვერს. აბრამია და დობრჟინსკი დავარდებიან მიწაზე. შემდეგ თვითონ სამზარეულოს გზით გაიქცევა. გარედან ისმის ხმაურობა, სტვენა და კარების შემომტვრევის ხმა დახლიდან თავს ამოჰყოფს მოხუცი ნადელი, რომელიც გადახედავს დახოცილებს და გადააფურთხებს

ნ ა დ ე ლ ი. თფუ... ეხლა მოვა პოლიცია და შემიყენებს აქტს. მერე გადაგვასახლებენ ჩემი უფროსი შვილივით... ყველაფერი სასიკეთოა... სასიკეთო... ვემზადოთ გრძელი გზისათვის. ასია, სადა ხარ? ასია!

ფ ა რ დ ა

ქობულეთი, 16/VIII 36 წ.



ქართული
ბიბლიოთეკა

განუჩინებულ
პირთა მემორია

პირთა 3 მემ. 10 სურათად



მ ო ქ მ ე ღ ი პ ი რ ნ ი

1. ზურაბ მაღლაქელიძე. სტამბის დირექტორი
 2. კორნელი შანიძე. მისი მოადგილე.
 3. ლევ კანტორ—უჯრედის მდივანი.
 4. სიმონ თეთრაძე. ასოთამწყობი, უპარტიო
 5. ზინა სარიშვილი. ასოთამწყობი, კომკავშირელი
 6. პეტრეველი
 7. მელიქაძე
 8. მებუკე
 9. მეუნარგია
 10. დემირჩიანი
 11. კალისტრატე ხვიჩია
 12. თამრო.
 13. პელაგია.
 14. არჩილ შანიძე. კორნელის ძმა
 15. ელენე. ზურაბის მეუღლე
 16. ლიდა. კორნელის მეუღლე
 17. რედაქტორი
 18. სახელგამის რწმუნებული
 19. ეტიკეტების შემკვეთი
 20. თეატრის ადმინისტრატორი
 21. გამწმენდი კომისიის თავმჯდომარე. ქალი
 22. პარტკოლეგიის გამომძიებელი
 23. მოხუცი მკინძავი
- მასა: ასოთამწყობები, მბეჭდავები, მკინძავები, კომისიის წევრები, დამსწრენი



მოქმედება პირველი

სურათი პირველი

კორნელი შანიძის ბინა. გამოსასვლელი დღე. მორთული ოთახი. კედლებზე: რევოლუციის ბელადების სურათები, მაგიდაზე—ყვავილები. ლიდა ზის პიანინოს ახლოს და ყურს უგდებს კორნელის, რომელიც ზის საწერ მაგიდასთან, კითხულობს ხმამაღლა რომელიღაც წიგნს და ფანქრით ხაზს უსვამს ზოგიერთ ადგილს.

კორნელი. „მეხუთმეტე საუკუნეში გამოცემულ იქნა—30000 სახელწოდების წიგნი, მეთექვსმეტეში — 235 000, მეჩვიდმეტეში 972000, მეთვრამეტეში — 1637000, მეცხრამეტეში — 6100000, ხოლო მეოცე საუკუნის პირველ ოცდაათ წელიწადს—ხუთ მილიონზე მეტი ე.ი. თითქმის იმდენივე, რამდენიც გამოიცა მთელი წარსული საუკუნის მანძილზე“.

ლიდა. არჩილი იყო.

კორნელი. მართლა? (აგრძელებს კითხვას) „როგორ შორს წავიდა ახალი როტაციის სიმძლავრე. ვიღას ახსოვს კენიგის სწრაფმბეჭდავი დაზგა ან თუნდაც ბულლოკის მანქანა? ინჟინერ ვუდდის როტაცია „ულტრამოდერნი“, რომელიც დადგეს 1928 წელს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სტამბაში—იძლეოდა ყოველ საათში 50.000 ეგზემპლარს, რომელიც შეიცავდა 32 გვერდს (თავისთვის) დღეს უკვე ეს ტემპებიც უკან მოტოვებულია. ჩვენ უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ!?“

ლიდა. უკვე რამოდენიმეჯერ გიკითხა.

კორნელი. (თავაუღებლად) მართლა? (ცოტა ხნის შემდეგ) თვითონ ვიქტორ ჰიუგომ თავისი ერთ-ერთი გმირის პირით უდიდეს გამომგონებელს, იოანე ჰუტენბერგს წაუყენა ბრალდება: „გესმით თუ არა, რომ თქვენ მოჰკალით კულტურისა და ხელოვნების შესანიშნავი მიღწევები? ძველი ქვეყანა და საშუალო საუკუნეები ხალხებმა განასხეულეს შენობებში. ეგვიპტის პირამიდები, საბერძნეთის და რომის ტაძრები, საშუალო საუკუნეების სასახლეები და კოშკები—ეს წარსულ თაობათა ქვის წიგნებია. თქვენ დაუპირდაპირეთ იმათ

თქვენი პატარა ქალაქის წიგნები, რომლის შემდეგაც მოისპო-
დიდი ძეგლები და დაიწყეს აშენება თეატრების, აბანოების, საც-
ხოვრებელი სახლების, ტექნიკური ნაგებობებისა“.

ლიდა. საქმე მაქვსო.

კორნელი. (განაგრძობს) ჰუტენბერგის გამოგონებამ გადალახა
დრო და სივრცე. სხვადასხვა თაობები და სხვადასხვა ქვეყნები და-
უკავშირდნენ ერთმანეთს. ამ გამოგონებამ აამოძრავა მასები და
ხელი შეუწყო აუარებელ რევოლუციას. ამ გამოგონებამ ააღელვა
მეთხუთმეტე საუკუნე, რომლის შემდეგაც პაპებმა შეიმუშავეს
„აკრძალულ წიგნების“ ინდექსი, რომელშიაც შეიტანეს კაცობრი-
ობის საუკეთესო ნაშრომები. საუკუნეებმა გაჰქროლეს, პაპების
ძალაუფლება შეირყა, მაგრამ მეოცე საუკუნესაც აღელვებს დიდი
გამოგონების შედეგი. ბერლინელმა ჯალათებმა აღადგინეს საშუ-
ალო საუკუნეების წყვილი. რამდენიმე თვის განმავლობაში ფა-
შისტურმა ხელისუფლებამ ბერლინში დასწვა 20 მილიონი ტომი
„არასაიმედო“ ლიტერატურა.

ლიდა. ჩემთან ვერ მოგიწესრიგებია ურთიერთობა და ეხლა
ჰიტლერს მიაღებქი. ეჰ, კორნელი, კორნელი...

კორნელი. მე ყოველთვის მეშინოდა, რომ შენ არ დაგეწყო
ჩემთან უცხო ენაზე ლაპარაკი. მართალია, სხვადასხვა წრიდან ვართ
გამოსული, მაგრამ ნუთუ ჩვენი ძლიერი დრო არ შექქმნის ჩვენს
შორის საერთო ინტერესებს?

ლიდა. მე დიდ მატერიებზე ლაპარაკი არ მიყვარს. დღეს
გამოსასვლელი დღეა. დღეს მაინც—შენ ჩემთან უნდა იყო. (პაუზა).
მე გელაპარაკები შენი საკუთარი ძმის არჩილის შესახებ და შენ
ყურსაც არ იბერტყავ... მართლა?... იმეორებ უაზროდ და უბრუნ-
დები აბდაუბდას... მე შენ გეტყვი, ძალიან სიყვარულია.

კორნელი. ლიდა, გენაცვალე, არ გრცხვენია...

ლიდა. გენაცვალე... სიყალბეა, მე შენ არ გიყვარვარ, შენ
არავინ არ გიყვარს. შენ მხოლოდ სტამბა გიყვარს. ლინოტიპები
და მანქანები.

კორნელი. მიყვარს ლინოტიპები და მანქანები. მაგრამ არა
მარტო ისინი...

ლიდა. აბა ჩამოჰყევი.

კორნელი. მოდი ჩემს ახლოს. (დაიჯენს თავისთან) მე პარტიამ
დამაგალა...

ლიდა. შენ მეტს ჰფიქრობ ქპარტიაზე, ვიდრე პარტია — შენზე.

კორნელი. ასეც უნდა იყოს. (პაუზა) მე მიყვარს სტამბა, რა-
დგან მე ბავშობიდანვე მბეჭდავი ვარ და ეხლა კი, როდესაც პარ-

ტიის დახმარებით მივიღე უმაღლესი კვალიფიკაცია, პარტიამ დამაწინაურა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

ლიდა. ძალიან დაწინაურებაა. შენ — დირექტორის მოადგილე ხარ, ზურაბი კი — დირექტორია. შენ მაღლობაც არ გითხრეს, ზურაბს კი მკერდზე შრომის ორდენი ჩამოჰკიდეს (უკრავს „თავო ჩემოს“).

კორნელი. (ღიმილით) მაშ შენ გგონია, ბედი არ გიწერია? არა — ჩემო ლიდა, შემცდარი ხარ. ზურაბს მიუძღვის პარტიის წინაშე უდიდესი დამსახურება. ზურაბის ენერჯიას მიეწერება, რომ ჩვენს სტამბაში კუსტარული მუშაობა გადავაბარეთ ისტორიას. როცა ჩვენი სახელმწიფო ჯერ კიდევ მოლონიერებული არ იყო, იგი გაემგზავრა გერმანიაში და ჩამოგვიტანა საიმპორტო მანქანები, ლინოტიპები. მისი პროექტით აგებულ იქნა ახალი კორპუსები. აბა გადახედე ჩვენს საამქროებს.

ლიდა. ზურაბი, ზურაბი. ყველაფერი ზურაბი ყოფილა. მაშ შენ რაღა ხარ?.. ამიტომაცაა, რომ ზურაბის სახლი ავსებულია ყოველგვარი დოვლათით და სიკეთით, შენი სახლი კი — გაფხეკილია. შეადარე — ზურაბის ცოლი და შენი ცოლი. შენი ცოლი — დაჭლექდა, მისი ცოლი კი ძლივს დაათრევს სხეულს. შენი ცოლი — მთელი წელიწადი თბილისშია, ხოლო (გამოჯავრებით) ამხანაგი ელენე — რვა თვეს აგარაკებზე ატარებს. შენი ცოლი...

კორნელი. (ამოოხვრით) წავიდა მეშჩანური ამბები.

ლიდა. ზურაბის ცოლი ელენე ყოველ კვირაში იცვამს ახალ-ახალ კაბას მოდის უკანასკნელი სიტყვით. ეს არაა მეშჩანობა. ხოლო შენ თუ ამ წელიწადში — მეორე კაბა ვერ შემიკერე ეს მეშჩანობაა? არა. ეს გადამეტებული სიყვარულია!

კორნელი. (მოეხვევა) ჩემო ლიდა, ნუ გამიჯავრდები. ამ თვის ბოლოს უსათუოდ შეგიკერავ. ხოლო ეხლა ავანსის აღება არ შემიძლია. მითხარი, გულწრფელად, ლიდა: ხომ მაინც გიყვარვარ?

ლიდა. ექვი გეპარება? (ალერსით მოეხვევა) უსინდისო! (შემოდის არჩილი, 40 წლის კაცი, მოღუშული თვალებით).

კორნელი. გაუმარჯოს არჩილს. არ ჩანხარ.

არჩილ. ვიყავი რამოდენიმეჯერ. ვერ გნახე. დიდი კაცი ხარ.

კორნელი. შენც მისაყვედურებ, ძმაო? რა ვქნა, ძალზე გადატვირთული ვარ.

არჩილ. თავისიანები არ უნდა დაივიწყო.

კორნელი. მაინც?

არჩილ. მე.

კორნელი. როგორ? ისევ მოგხსნეს?

არჩილ. მომხსნეს. უპარტიო ხალხს არ ახარებენ.

კორნელი. ეს სიცრუეა. ასეთ ლაპარაკს გადაეჩვიე. ^{შენი} მომხსნის მიზეზი — სხვაგან უნდა ეძიო. უკვე ხუთ ადგილას მოგ-
ხსნეს. უნდა გააკეთო საჭირო დასკვნა. ნუთუ ყველანი დამნაშავე-
ნი არიან შენს წინაშე?

არჩილ. ყველანი. ყველას წარმოუდგენია, რომ საწყობის გამგე უსათუოდ უნდა ქურდი იყოს და მავნებელი.

ლიდა. თავისი არშინით ზომავენ.

კორნელი. მე რა უნდა ვქნა ეხლა?

არჩილ. მე სხვაგან მიუშაობა აღარ შემიძლია. ისევ შენ უნდა მომაწყო.

კორნელი. სად?

არჩილ. შენთან, სტამბაში, საწყობის გამგედ.

კორნელი. ჭკუაზე შეიშალე?

არჩილ. ჯერ არა, მაგრამ, ალბათ, შენის წყალობით, შევიშლები. ჩემს ცოლ-შვილსაც არსებობა უნდა. გესმის?

ლიდა. დაეხმარე, კორნელი, მოაწყე.

კორნელი. ლიდა, შენ არ იცი რას მთხოვ.

ლიდა. აქ დიდი ფილოსოფია არაა. არსებობის ინსტიქტი თავისას მოითხოვს.

კორნელი. არსებობის უფლება აქვს ყველას, ვინც პატიოსნად შრომობს.

არჩილ. არსებობის უფლება მარტო კომუნისტებს აქვთ.

კორნელი. შენ სისულელეს იმეორებ. შენ კარგად იცი, რომ ძალიან მიყვარხარ და ყოველთვის ვზრუნავ შენზე. მაგრამ ამ ბოლო დროს — შენ თითქოს ის არჩილი აღარა ხარ. ეძებ იოლ ცხოვრებას. გელანდება, რომ ყველა ასე ცხოვრობს. სიცრუეა.

არჩილ. მე არ მინდა იოლად ცხოვრება. მე მინდა ვიმუშაო ისეთ ადმინისტრაციის ხელქვეით, რომელიც მიცნობს. მე ვიმუშაებ თქვენს სტამბაში საწყობის გამგედ. შენც ხომ ბრალს აღარ დამდებ მავნებლობაში?

კორნელი. საწყობი უშუალოდ ემორჩილება დირექტორს, ზურაბ მაღლაკელიძეს. მაგრამ ასეც არ იყოს, ჩემს საკუთარ ძმას, არავითარ შემთხვევაში არ მოვაწყობ ჩემთან. ეს იქნებოდა უღირსი საქციელი.

არჩილ. რა დრო დადგა! ლაწირაკებმა ორი სიტყვა ისწავლეს, პარტიაში შევიდნენ და ქვეყანა ხელში ჩაიგდეს. ეს ღირსეული საქციელია. ხოლო არჩილ შანიძე — რომელსაც სარჩენი ჰყავს შვიდი-რვა სული — უნდა მშიერი კვდებოდეს! ქვეყანა მეუბნება

რისი დარდი გაქვს, ძმა ამხელა კაცი გყავსო... ეჰ, რა უთხრა ხალხს, ჩემი ძმა იძახის, შენ რომ პური სჭამო — ეს უღირსი საქციელიაო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კორნელი. ეს იაფფასიანი დემაგოგიაა.

არჩილ. დემაგოგიის მე არა ვიცი რა. მე პური მანდა.

კორნელი. იშრომე პატიოსნად.

არჩილ. შენ უკვე გაძეხი. შენ პარტიული ხარ. რაში გედარდება ჩემი თავი?

კორნელი. მაწყუენებ, არჩილ.

არჩილ. ამაზე მეტს რაღას მიზამ. შენც შერცხვი და შენც ძმობაც.

კორნელი. ასე თუა და... ლაპარაკიც აღარ მსურს შენთან. (გაღის).

არჩილ. თავს უმველა.

ლიდა. (მიუახლოვდება და მხარზე ხელს დაადებს) განა არ იცი კორნელის ხასიათი? ერთობ ჟინიანია.

არჩილ. მოგწონს მაგის საქციელი? (პაუზა).

ლიდა. იცი, არჩილ? არ დაჰკარგო იმედი. რაიმე გამოეწყობა. მეც მივიღებ ზომებს.

არჩილ. ლიდა, შენ იშვიათი ქალი ხარ.

ლიდა. რომელსაც შენი ძმა ვერ აფასებს.

არჩილ. რას იზამ, ასეთია კომუნისტური ეთიკა.

სურათი მეორე

ლინოტიპის, ხელით საამწყობო და მეტრანპაქეთა შერეული საამქრო. ასოთამწყობები მანქანებთან: მეუნარგია, კანტორი, ზინა, თამრო, პელაგია, სიმონი და კალისტრატე. დემირჩიანი ეწევა მეტრანპაქეობას. გვერდზე—საამქროს უფროსის მეტრეველის მაგიდა. კედელზე—წითელი და შავი დაფა. წითელ დაფაზე თვალსაჩინო ასოებით: 1) სიმონ თეთრაძე,—180%, 2) ზინა სარიშვილი—145%. შავ დაფაზე—კალისტრატე ხვიჩია—37% — მუშაობის პროცესი.

დემირჩიანი. ძალიან სასაცილო კაცია. ყოველ დღე მოაქვს ახალ-ხალი ეტიკეტები. საოცარია, საიდან ჰქეჟავს ასეთ ამბებს: გუმბრინის ფხვნილი, საქმარაგვასაღება, სტერელიზაცია ქმნილი ფუნჯები, ქიმიური საღებავები, მოცვის ჩაი, ბორჯომის მინერალური წყლები, ერიდეთ ქურდებს, ავტომობილებს, აუღუღარ წყალს...

კალისტრატე. ამასაც ორიგინალი ჰქვია? მოთმინებიდან გამოვალ...

კანტორ. (მიუთითებს დაფაზე) ოცდაჩვიდმეტი პროცენტი კიდევ ჩამოიკლებს.

კალისტრატე. წერილი—მძიმეს ჰგავს, მძიმე—წერილს. გამომრჩება რომელიღაც და მერე... ღმერთმა დააქციოს ლინოტიბის მომგონი, ერთი წერილისათვის მთელი სტრიქონი უნდა ხელახლა ავაწყო, ხანდახან კიდევ მთელი აბზაცი ხდება გადასაწყობი. უსათუოდ მოთმინებიდან გამოვალ...

სიმონ. გამოხვალ და გამოდი. რა მოხდა. ყოველთვის შენ უნდა ბუზლუნებდე და სხვასაც უნდა უშლიდე ნორმის გამომუშავებას?

კალისტრატე. დამიტოვა მეტრეველმა: რედაქტორის წერილია, მეთაურად მიდისო, ჩქარა ააწყო. ამდენი ხანია შვიდი სტრიქონი ძლივს ავაწყე. წერილი კი სამასი სტრიქონია. ვერ გამიგია, პირდაპირ მოთმინებიდან გამოვალ: კაცმა თუ ამაზე უკეთესი წერა არ იცის—მაშასადამე, ის უტვინო ყოფილა.

დემირჩიან. ეი, ბაბაშკა, გამოფხიზლდი! პირიქით, რამდენად თურმე კაცი დიდი მეცნიერია, იმდენად უფრო ცუდი ხელი აქვს.

კალისტრატე. აბა მე ძალიან დიდი მეცნიერი ვყოფილვარ. ამაზე უფრო საზიზღრად ვჯღაბნი. (იცინიან).

მეუნარგია. მერე როგორი ანჩხლია რედაქტორი! დედიშენის შვილი ხარ, ხვიჩია, და გამოსასვლელ დღეს ჩააგდე გაზეთი. ტყავს გაგაძრობს.

დემირჩიან. მე კი გადამიყოლა ამ აფიშამ. სათაურად ჰქვია სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ძალიან მომწონს სიტყვა „აკადემიური“, ლამაზი სიტყვაა... მაგრამ შენ ესა სთქვი: ყოველ ხუთ: წუთში მორბის თეატრის ადმინისტრატორი და დასის შემადგენლობაში შეაქვს ცვლილებები, ზოგს გამოაკლებს, ზოგს ხელახლა ჩაუმატებს, პირდაპირ—აკადემიური გაუგებრობაა.

პელაგია. დროება გამოიცვალა, ძია. ბავშობაში მახსოვს—ჩვენს სოფელში მოვიდნენ ქალაქელები: წარმოდგენა უნდა გავაკეთოთო. რაცხას ხლაფორთობდნენ მთელი ორი დღე. ქალი უნდოდათ—არტიстка. ვერ იშოვეს. ამიხირდენ: გინდა თუ არა, უნდა ითამაშოო და მართლა მათამაშეს. მაშინ ეხვეწებოდნენ, ხალხს ეძებდნენ, შენი ჭირიმე, ითამაშეო. ეხლა ძალიანაც რომ მოვინდომო არტისტკობა—ვინ მიმიღებს?

დემირჩიან. როგორ არა, მიგიღებენ. ადმინისტრატორი აფიშაში შეგიტანს, მერე მოირბენს და ისევ უკან გამოგიტანს. არა, შე დალოცვილო პელაგია, თავი რო მარზანს მიგიგავს, შენი არტისტკობა გაგონილა? გაგონილა? გაგონილა?

კანტორ. ძალიან ბევრს ლაპარაკობთ, ყმაწვილებო, მოვრჩეთ უსარგებლო ლაპარაკს. ყველანი უნდა გადავიდეთ სახელმძღვანელო-

ებზე. მალე სასწავლო წელი იწყება, დაკვირვით წესით უნდა ოცნ
სახელმძღვანელო ავაწყოთ.

კალისტრატე. გაგიჟდა ეს ხალხი, პირდაპირ მოთმინებიდან
გამოვალ...

ზინა. ავაწყობთ, ამხანაგო კანტორ, ოცსაც, ოცდაათსაც.

თამრო. ვეცდები, არ ჩამოვრჩე ზინას. ნორმას ორმაგად დავძლევ.

მეუნარგია. (გაისწორებს სათვალეებს და მიაშტერდება თამროს და
ზინას, მამა გიცხონდათ...

კანტორ. (მეუნარგიას) მოგეწვა?

მეუნარგია. რაშია, ამხანაგო, საქმე, აქაც უჯრედია? ჩვენს
ნორმას ხომ ვასრულებთ და მეტი რაღა გნებავთ?

კანტორ. რაღა გნებავს? ვისი ენით მელაპარაკები, მეუნარგია?
მე და შენ განა ერთ და იმავე საქმეს არ ვემსახურებით?

დემირჩიან. (კანტორს) შენც გინახავს კაცი და ელაპარაკები. მეუ-
ნარგია ისეთი კაცია, რეგლექტივით ყოველთვის გვერდზე დგას.
მაგასა და ხვიჩიას გინდა ნორმა უხსენე, გინდა—სათვალარათო წამალი.
შემოდინა ზურაბი და მეტრეველი. ზურაბის მკერდზე—შრომის ორდენი. ყველანი
ეპყრობიან პატრივისცემით.

ზურაბი. (მეტრეველს) სამკინძველო საამქრო ხომ ვერ დაგჯაბ-
ნით?

მეტრეველი. ვერა, ამხანაგო ზურაბ. საამწყობო საამქრო
ენერგიულად იბრძვის გეგმის გადაჭარბებისათვის. ჩვენი დირექტო-
რის ამხანაგი ზურაბის საამაყო სახელს არ შეარცხვენენ ჩვენი ბიჭები.

ზურაბი. (მუშებს) მართლა?

კალისტრატე, მეუნარგია, პელაგია, თამრო.—
სწორია, პატივცემულო ზურაბ.

სიმონ. (თავისთვის, გაჯავრებით) პატივცემულო ზურაბ.

ზურაბი. (ზინას) შენა, ჩვენო მშვენიერო? რას იტყვი?


ზინა. მეც. (ზურაბი ღიმილით გადის) შესანიშნავი ადამიანია.

თამრო. (ზინას) შენ გიცქეროდა რაღაც განსაკუთრებულად.

მეტრეველი. რომ იცოდე, ზინა, როგორი კარგი ამბავი გელის.
ზურაბს უნდა შენი კანტორაში გადაყვანა. (სიმონი ფითრდება, მაგრამ
ვერ ამჩნევენ).

მეუნარგია. აი მესმის: დირექტორი, ადამიანი, ამხანაგი. ყვე-
ლას უყვარს ზურაბი, ვინაიდან იგი შეუცვლელია.

დემირჩიან. ყველას გვიყვარს ზურაბი, ეს მართალია. ხოლო
რაღაც შეეხება შეუცვლელს, შენ ჯერ კიდევ ყურები არ გამოგიჩიჩქ-
ნია. შეუცვლელი მარტო ოთხი კაცია ქვეყანაზე: ქრისტე, მოსე,
ბუდდა და ალლაჰი. აბა ვინ გაბედავს დღეს ჩვენს დროში იმათ შეცვ-
ლას? რას იტყვი, შენ ბაბაშკა?

კალისტრატე. ვენაცვალე ზურაბს, მაგის გულისთვის რომ შემხვდეს, ას კაცს მოვკლავ... 

კანტორ. ეს, ალბათ, როცა მოთმინებიდან გამოხვალ, არა?

კალისტრატე. მე უკვე გამოვედი მოთმინებიდან და ესაა. ამხანაგო მეტრეველო, მე ამ ხელთნაწერს არ ავაწყობ, მომეცით სხვა ორიგინალი.

კორნელი. (შემოდის) რომელ ხელთნაწერს არ ააწყობ, ხვიჩია? (იღებს ტექსტს და კითხულობს) „ამგვარად, ჩვენი მორიგი ამოცანაა გამოუცხადოთ დაუნდობელი ბრძოლა ზარმაცებს და თაღლითებს“. აქ რომ გარკვევით სწერია ყველაფერი? იქნებ ხელი კი არა, თვით შინაარსი არ მოგწონს? მით უარესი. მაშინ მალე სტამბას გამოეთხოვები.

კალისტრატე. რაშია საქმე, ამხანაგო მოადგილე, შენ ისე გვეპყრობი, თითქოს საბჭოთა ხელისუფლების დროს კი არ ვცხოვრობთ და მუშებს კი არ ეკუთვნოდეთ ძალაუფლება, არამედ...

კორნელი. გაათავე უაზრო ლაყბობა. მუშაობა განაგრძე. (მიუბრუნდება მეუნარგიას) შენ რას აკეთებ? (დააკვირდება ხელთნაწერს) ისევ მესხუთე გვერდზე მუშაობ? ყოჩაღ! ორი დღე უნდები ერთ გვერდს. ეს არის დამკვერთვური ტემპები?

მეუნარგია. გუშინ ხელით ვაწყობდი. დღეს ცოტაოდენი დამრჩა ლინოტიპზე.

კორნელი. (მიდის სიმონთან, თამროსთან და ზინასთან) თქვენ უკვე სახელმძღვანელოებზე მუშაობთ? ძალიან კარგი. შენ დემირჩიან? რა არის ეს? ისევ ეტიკეტები? ისევ აფიშა? სწორედ საშენო საქმეა. ყოველთვის შენ გივარდება ხელში ასეთი სახათაბალო საქმეები. უჩიხიკინებ და უჩიხიკინებ ამ ხაზებს. ერთი საყვედური შენც უნდა გითხრა: რას ჩაგიყრია იმდენი შპონები გაზეთში? არა. ეს არ ვარგა.

პელაგია. მაგან სხვებზე იცის სახელის გამორქმევა. თავის თავს კი არ აკადრებს შეწუხებას. ვისმე რო დასჭირდეს შპონი, სანთლით საძებარია. პირდაპირ შპონიჭამიაა.

დემირჩიან. ერთობ გემრიელია. აწი როცა შპონის სადილს გავაკეთებ—არტიტკა მარზანს გვერდით მოვიჯენ (პელაგია გაბრაზებით თითს უქნევს).

კორნელი. (მეტრეველს) აქ ფაქტიურად სამი საამქროა, რომლებიც ერთმანეთს ხელს უშლიან. მე ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ საამწყობო საამქროს მუშაობას ესაჭიროება საფუძვლიანი გარდაქმნა. სამკინძავო საამქრო ხშირად უძრავად დგას, ვინაიდან თქვენ აფერხებთ სამანქანო საამქროს. თქვენთან აშკარა გარღვევაა, კანტორაში კი ასაწყობი მასალები თავსაყარია.

მეტრეველი. ჩვენ ყოველთვის ვასრულებთ ნორმას. ეს დირექტორმაც კარგად იცის.

კორნელი. დირექტორის დამოწმება საქმეს არ უშველის. ამხანაგ ზურაბს იმდენი საქმეები აქვს, რომ მან შეიძლება სავსებით არ იცოდეს საქმის ნამდვილი ვითარება. დროა გააკეთოს შესაფერი დასკვნები, ვიდრე მივიღებდეთ უფრო ენერგიულ ზომებს. (გადის).

მეტრეველი. ძალი... არ მიყვარს ეს კაცი, ყველაფერში ეჩხი-რება.

მეუნარგია. მეტისმეტად უსიამოვნო ტიპია.

კალისტრატე. დამაცადოს, მე ვაყურებიან მაგას თავის სეირს...

კანტორ. კორნელის უყვარს კონკრეტული ხელმძღვანელობა.

მეუნარგია. ესე იგი, მენის აზრით, კორნელი ხელმძღვანელობს კონკრეტულად, ხოლო ზურაბი—აბსტრაქტულად?

დემირჩიან. მე კონკრეტულ—აბსტრაქტულის არა ვიცი რა, მაგრამ ამისთანა რაზე არ უთქვამს კანტორს.

მეუნარგია. არ უთქვამს რომელია, პირდაპირ ამას გულისხმობდა.

თამრო. თუ ამას ჰგულისხმობდა—ძალიანაც შემცდარა. გამოი-რეცხონ პირი და ისე ახსენონ ზურაბი. (დასვენების ხარი. ყველანი აიშ-ლებიან სიმონის გარდა და გადიან ხელის დასაბანად და საუზმისათვის. სიმონი აგ-რძელებს მუშაობას, რომელსაც მიუახლოვდება ზინა) შენ არ გინდა ისაუზმო ჩემთან?

სიმონ. (იწყობა) არა.

ზინა. ვის უჯავრდები?

სიმონ. შენ, დირექტორმა!

ზინა. ხა, ხა, ხა! როდის უნდა გაიზარდო, სიმონ?

სიმონ. მე უკვე გავიზარდე და კარგად მესმის. ყველაფერი ასე იწყება: ჯერ კანტორაში გადახვალ და მერე...

ზინა. გაჩუმდი, სიმონ, შენ უაზროდ ბოდავ. ზურაბი იშვიათი და საამაყო ადამიანია.

სიმონ. ზურაბი—საზიზღარი ადამიანია. იგი კორნელის ფრჩხი-ლად არა ღირს.

ზინა. სსს... შე უბედურო, თავი მოგძულვია? ჯერ ერთი — ძალიან მაგრად (კდები და მერე — განა შეიძლება ზურაბზე ასეთი-ლაპარაკი? დაგავიწყდა...

სიმონ. რომ შრომის ორდენითაა დაჯილდოვებული?

ზინა. არა.

სიმონ. რომ დიდი გავლენა და ნაცნობობა აქვს? რომ ყოველს შემძლეა?

ზინა. იგი ყველაფერია, მაგრამ შენ თვითონ ვინა ხარ? საცოდავი — უპარტიო ჭიალუა, რომელსაც ერთი სულის შებერვით...

სიმონ. გააქრობს არა? (პაუზა) შენ თურმე ასე ჰფიქრობ და მე კი მეგონა, რომ შენ სერიოზულად გიყვარდი. ხა-ხა-ხა-ხა! შრომის ორდენი და ჭიალუა.... რა შედარებაა...

ზინა. ხმადაბლა ილაპარაკე. შემოვა ვინმე.

სიმონ. განა სულერთი არაა?

ზინა. არაა სულერთი. რომ არ მიყვარდე — მაშინ იქნებოდა სულერთი. (პაუზა). ზურაბის შესახებ კი — დარწმუნებული ვარ მალე აღიარებ შენს შეცდომას. (გადის).

სიმონ. (თავს ანებებს მუშაობას და წამოდგება) საცოდავი უპარტიო ჭიალუა... (კითხულობს დაფაზე) „სიმონ თეთრადე 180%“ ეეჰჰ... ვიბრძოლებ.

ხურათი მესამე

ზურაბის კაბინეტი სტამბაში. ზურაბს გარშემო უსხედან საამქროების უფროსები: მელიქაძე, მეტრეველი, მებუკე. ზურაბი კმაყოფილებით ეწევა ჩიბუხს და ყურს უგდებს მათ ლაპარაკს.

მელიქაძე. მუშა რომ კაცს შეიძულებს, მისი საქმე გათავებულა. არ უყვართ მუშებს. კორნელის შემოსვლა საამქროში — ეს იგივეა — თითქოს შავი ჭირი შემოსულიყოს. გაუზეპირებია ერთი სიტყვა „ხარისხი“ და თუთიყუშივით იმეორებს. მივარდება ხან ერთ მემანქანეს, ხან მეორეს, უყვირის: „დახედე“ როგორ ჰბეჭდავთ, ეს საღებავი ცოტა წაგიცხიათო, ეს კლიშე არ გამოდისო, ეს ბევრი წაგიცხიაო“. რომელი ერთი გელაპარაკო, პატივცემულო ზურაბ. მუშები გულისტკივილით იძახიან: „აფსუსი არაა ჩვენს საამაყო ზურაბს ასეთი უშნო და საძაგელი მოადგილე ჰყავდესო?“

მებუკე. სამკინძველო საამქროშიაც გამოივლის გენერალ-გუბერნატორივით. შენიშვნა რომ არავის მისცეს — მოკვდება. ამკინძავებს და დამკეცავებს ისე მობეზრდათ მისი შენიშვნები, რომ მის შემოსვლისთანავე იწყება ჩურჩული და ერთმანეთში ჩუმად დასცინიან: „როგორ ჰკეცავ, როგორ ჰკინძავ, ა?“

მეტრეველი. განსაკუთრებით ეჯავრება ჩემი საამქრო. არავინ არ მოსწონს, გარდა სიმონ თეთრადისა და ყოველ შემოსვლისთანავე ჩამჩიჩინებს: „უნდა მოხდეს შენი საამქროს გადახალისებაო“. მომბეზრდა მეც, მუშებსაც. თანაც ამ ბოლო დროს არაფერს ერიდება. აი, მაგალითად, მე უთხარი, რომ ჩვენს ნორმებს ყოველთვის ვასრულებთ-თქო, ეს დირექტორმაც კარგად იცის-თქო. პატივცემ-

მულო ზურაბ, თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რა დაემართა? სახეზე გაფითრდა, გაიბერა, დაიღრიჯა და დამიყვირა: „ღირექტორმა ჩემი ფეხები იცისო“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელიქაძე. უყურეთ იმ გაიძვერას, როგორ გაბედა!

მებუკე. აშკარაა—ტვინში ულიტინებს ცუდი აზრები, მაგრამ ღირექტორობას ვინ მიაჩნებოდა.

მელიქაძე. მთელი სტამბის მუშები, როგორც ერთი კაცი, ამხედრებული არიან მის წინააღმდეგ.

მეტრეველი. საჭიროა, პატივცემულო ზურაბ, მისი მოხსნა.

ზურაბ. არა, ამხანაგებო, კორნელი კვალიფიციური მუშაკია, იცის სტამბის საქმე და მისი მოხსნა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად.

მებუკე. თქვენს გულკეთილობას საზღვარი არა აქვს.

მელიქაძე. თქვენისთანა ადამიანები—ჩვენს დროში ძალიან ცოტანი არიან.

მეტრეველი. მოექცე მტერს—ასე კეთილშობილად—ეს მხოლოდ ჩვენს საამაყო ზურაბს შეუძლია. (მუშაობის ხარი).

ზურაბ. შესვენება დასრულდა. აბა, ამხანაგებო, საამქროებისაკენ! (მელიქაძე, მებუკე, მეტრეველი გადიან. პაუზა. ზურაბი აგრძელებს ჩიბუხის წევას და ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ იღიმება)... ასე. მაშ შენ, კორნელი, მიპირდაპირებ სტამბაში რაღაც საკუთარ ხაზს? ხა, ხა, ხა... ვნახოთ.

ლიდა. (შემოაღებს კარებს) შეიძლება?

ზურაბ. (ფეხზე წამოდგება, მიუახლოვდება და ხელზე ჰკოცნის) ო, უმწვენიერესო ლიდა, მობრძანდით. (ჩასვამს სავარძელში) უკვე ერთი კვირაა აღარ მინახიხართ და, სიმართლე გითხრათ, მომენატრა თქვენი ნახვა.

ლიდა. (ხელს დაუქნევს) ცბიერობთ, ზურაბ.

ზურაბ. არა, გფიცავართ სინდისს.

ლიდა. მაშ რამ შეგიშალათ ხელი? განა ჩემი მისამართი არ იცოდით?

ზურაბ. თქვენი მისამართი — ეს ჩემთვის მთელი ტრალედიანა. ჩემი მისამართი კი... თქვენ არ გითხოვიათ.

ლიდა. არ მესმის, განმიმარტეთ.

ზურაბ. ძალიან ძნელია სტამბაში ამაზე ლაპარაკი.

ლიდა. რისთვის?

ზურაბ. ვერც ამის მიზეზს აგიხსნით ეხლა. თუმცა იმედს არ ვკარგავ, გვექნება, ალბათ, შემთხვევა უფრო ვრცელი ბაასისა.

ლიდა. (ღიმილით) ცნობისმოყვარეობა გადამრევს. (პაუზა) კორნელი სტამბაშია?

ზურაბ. საამქროებშია. გნებავთ გამოუძახო?

ლიდა. თუ შეიძლება... თუმცა... არა... ჰო მართლა, ზურაბ: ხომ არ დაგავიწყდათ ჩემი თხოვნა ვასო ივანიშვილის შესახებ?

ზურაბ. განა ჩემი ენა არ გახმებოდა — უარი მეთქვა თქვენთვის? ვასო ივანიშვილი უთუოდ კარგი სპეციალისტია. იგი უკვე გავამგზავრე მივლინებაში სამეურნეო საქმეებზე, და დავავალე ქალაქის შეძენა. მართალია, გაფორმება დამავიწყდა, მაგრამ დღეს გავატარებ ბრძანებაში ძველი რიცხვით.

ლიდა. მაშ ივანიშვილი უკვე მივლინებაშია?... როგორი კარგი ხართ, ზურაბ... თქვენ არ გაამტყუნეთ ჩემი იმედი... ვეცდები მეც გაგიმართლოთ, ძლიერო ზურაბ...

ზურაბ. ყოველ შემთხვევისათვის, ჩემი ბინის ტელეფონის ნომერი 7 — 10.

ლიდა. 7 — 10. (იწერს ბლოკნოტში) ნახვამდის, ჩემო კარგო.

ზურაბ. ნახვამდის, ჩემო მშვენიერო! (ლიდა გადის. ზურაბი დიდხანს იცქირება კარებისაკენ, შემდეგ აიღებს სტამბის ტელეფონს) საამწყობო. რომელი ხარ? მეტრეველი? შანიძე თქვენთან არის? გადაეცი. კორნელი, მე ვარ ზურაბი. ჩამოდი ცოტა ხანს ჩემთან. (დაჰკიდებს ტელეფონს) ვასო ივანიშვილი... ვასო ივანიშვილი... ხა, ხა, ხა... ეს იდეაა, პირდაპირ იდეაა. (პაუზა. მოლოდინში ხელახლა უკიდებს ჩიბუხს და ჰფიქრობს. შემოდის კორნელი, ხელს ჩამოართმევს) გაუმარჯოს კორნელის, თითქოს დაღლილხარ. რისთვის გამოიყურები გაფითრებული?

კორნელი. ნუთუ მართლა გაფითრებული გამოვიყურები? მაშინ (ოდნავი დიმილით) იქნება შვეებულებაში წავიდე?

ზურაბ. მე განა შევძლებ უშენოდ მუშაობას? დაგავიწყდა ერთმანეთს რო უთხარით: ერთად გადავყვეთ ამ სტამბას-თქო?

კორნელი. გადავყვეთ, ჩემო ზურაბ. შენისთანა კარგი მეგობრისათვის — არაფერია საშიშარი. მე კი რომ გადავყვები ამ საქმეს ეს უდაოა.

ზურაბ. შენს სიტყვებში რალაც მწუხარება ისმის. მიზეზი?

კორნელი. სტამბაში ყველაფერი არ არის თავის რიგზე. სტამბა თითქოს ამოვარდა თავის კალაპოტიდან. ერთი ნაწილი მუშებისა შეპყრობილია გულგრილობით. სტამბაში ადგილი აქვს გარღვევებს. ამ ცოტა ხნის წინეთ ყველაფერი დულდა, იყო ტემპები, ბრძოლა პირველობისათვის, აშკრად მოჩანდა მამოძრავებელი ინტერესები. ეხლა კი... არ ვიცი, ვერ ამიხსნია, რაშია საქმე, ჯერ არ მიფიქრია, ვინ შეიძლება იყოს კონკრეტული დამნაშავე.

ზურაბ. შენ ძალზე შეუპყრიხარ, პესიმიზმს, მაგრამ არა მგონია, რომ შენ სწორი იყო: არის, უთუოდ, შენს აზრებში

გადაჭარბება. შენ, მართლაც, დაღლილი ხარ და ასე გეჩვენება.
კორნელი. ნეტავი კი ასე იყოს. ნეტავი მეჩვენებოდეს. (პაუზა)
ზურაბ. შენ თითქოს რაღაც გინდა კიდევ სთქვა?

კორნელი. შესაძლებელია, რამ არ მიმძიმდეს, მაგრამ...

ზურაბ. სთქვი. (უსმენს ყურადღებით).

კორნელი. ჩვენ ხომ ვართ საუკეთესო მეგობრები? მაშინ ბოლშევიკური თვითკრიტიკის რად უნდა შეგვეშინდეს?...

აი ზურაბ, რა გითხრა, შენ ძალიან გამოიცვალე ამ ბოლო დროს. მას შემდეგ რაც პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად დაგაჯილდოვეს შენი წარსული მუშაობისათვის, შენ შეგიბყრო თვითკმაყოფილების გრძნობამ. გამოვიდა—რომ შენთვის ბრძოლა გათავდა. წინ წასვლის მაგიერ, შენ უკან წადი. ერთი მოვლენა იწვევს მეორეს, მეორე—მესამეს და ვინ იცის სადამდე მიხვიდე. ამასობაში კი სტამბის ინტერესები შელახულია. მე არ მაქვს ისეთი ძლიერი ავტორიტეტი როგორც შენ. მუშები კი, რომლებიც ჰგრძნობენ შენი, მფარველის ზურგს—მე აღარ მიჯერებენ. ხოლო შენში, ზურაბ, გაჰქრა წინანდელი ცეცხლი და ენერჯია.

ზურაბ. ზღაპარია. სტამბაში ყველაფერი თავის რიგზეა.

კორნელი. ნეტარ არიან მორწმუნენი!

ზურაბ. (წყენით) არ ღირს კამათი. (წამოდგება, დაჰხედავს საათს) დამგვიანებია. მე ეხლა რაიკომში მივდივარ. ჰო, მართლა, კორნელი. დასწერე ბრძანება, რომ დღეის რიცხვიდან სამეურნეო ნაწილისა და საწყობის გამგე მოქ. ვასო ივანიშვილი ირიცხება მივლინებაში.

კორნელი. ვასო ივანიშვილი?

ზურაბ. ჰო, ვასო ივანიშვილი. (ირონიით) ზურაბ მაღლაკელიძის კანდიდატი.

ზურათი მეოთხე

ზურაბ მაღლაკელიძის მდიდრულად მოწყობილი კაბინეტი — საკუთარ ბინაზე. კუთხეში — პატეფონი, კედლებზე — ვულგარული სურათები. მაგიდაზე — სამიტელეფონი. თვითონ პიკამოში გამოწყობილი, ოდნავი აღელვებით, დასეირნობს წინ და უკან. ძალიან ხშირად იცქირება საათზე და ტელეფონის აპარატისაკენ.

ზურაბ. მოვა თუ არა? წუთი — საუკუნეთ გადამექცა. ეს იმიტომ, რომ ზურაბ მაღლაკელიძის ლექსიკონში—ცნება „არა“ არ არსებობს. ზურაბს — უნდა, მაშასადამე, უნდა შესრულდეს. (ტელეფონის ზარი. სიხარულით) ალლო! ვინ ლაპარაკობს? (გაოცებით) საქალაქთაშორისო სადგური? ბათომი? (წყენით) გისმენთ. ელენე, შენ? რა ამბავი? დღევ-

დი, თუ რისთვის არ მიიღე ამდენი ხანი ჩემგან წერილი? ავად ხომ არა ვარ? არა, გენაცვალე, კარგადა ვარ. წერილებს ვერ ვწერ, იმიტომ რომ ძალზე დატვირთული ვარ. რას ვაკეთებ ამ დროს სახლში? (გვერდზე) თთუ... ჰო, მოგონებებს ვწერ რევოლუციონური მოძრაობიდან. პარტიამ დამავალა—საჩქაროდ... შენ როგორა ხარ, როგორი ამინდებია ქობულეთში? ორ კვირას დარჩები კიდევ? კარგი, ფულს კიდევ გადმოგიგზავნი. რა, რა მკითხე? არ მომეწყინა? ძალიან, ძალიან. უშენობას სასტიკად განვიცდი, მიყვარხარ, როგორ არა. დღელამ სულ შენზე ვფიქრობ, სულ შენზე... მშვიდობით, მშვიდობით, ტელეფონით კოცნა არ შეიძლება. (ტელეფონით ლაპარაკის დასრულების შემდეგ ფეხს დადებს სავარძელზე და დაეყრდნობა მარჯვენა ხელით).

ცოლი! ამაზე უფრო კონტრრევოლუციური და რეაქციული ცნება არ არსებობს. დღეში სამჯერ უნდა შეჭფიცო ერთგულება და სდიო უკან. რაღა მაინც და მაინც ამ წუთებში, როცა ლიდას ველი, მაშინ მოაგონდა დარეკვა. დაწყევლილი! როგორ მკითხა: რას აკეთებ ამ დროს სახლშიო? ნამდვილი კონტროლი! ჩემი ცოლი გამოდგება შესრულების შემოწმების კომისიაში... პარტიის დიდი ნაკლია, რომ ქალთა საკითხში დღემდე სიცხადე ვერ შეიტანა. დღეს ვჭამ ხორცს, ხვალ — ლობიოს, ზეგ — კარაქს, მაზეგს — რასაც მინდა. არავინ მიშლის. მაშინ რა საჭიროა, რომ ყოველდღიურად ელენესთან ვცხოვრობდე? ასე. ასე. დღეს მინდა ვიცხოვრო ლიდასთან, ხვალ — ზინასთან, ზეგ — ელენესთან, მაზეგ — კიდევ სხვასთან. აი ეს იქნება ნამდვილი სოციალიზმი...

ლიდა. (შემოაღებს კარებს) შეიძლება?

ზურაბ. (სიხარულით) ვოცნებობდი შენზე, როგორც სოციალიზმზე. ძლივს! რას ჰქვია—შეიძლებაო? მოდი, ჩემო ლიდა! შენ გენაცვალოს შენი ზურაბი. (გადაეხვევა. კარები ღია რჩება. ჩამოართმევს პალტოს, მიჰყავს დივანზე)

ლიდა. მოიცა, ჯერ არ შემოვსულვარ, რა გეჩქარება ალერსი. ეხლა ხომ შენთან მოვედი. ეხლაც ხომ არ მეტყვი, რომ შენი მისამართი ჩემთვის ტრალედია არისო?

ზურაბ. ტემპები, ლიდა. ჩვენ ბოლშევიკები ვართ. დროს დაკარგვა არ გვიყვარს ტყუილად.

ლიდა. კორნელიც ხომ ბოლშევიკია?

ზურაბ. ბოლშევიკია, მაგრამ სხვანაირი ყაიდის; კორნელის ორგანიზმი სისხლისა და ნერვების მაგიერ ციტატებითაა ამოვსებული. მაგას ქალები არ აინტერესებს.

ლიდა. ქალები — თუ ცოლი?

ზურაბ. რისთვის მიგდებ ბანზე მთავარ საკითხს. მე არ მიყვარს ტერმინი — ცოლი. ეს სიტყვა — თავისთავად უდიდესი მნიშვნელობაა.

ლიდა. ნაშ?

ზურაბ. გუშინწინ, როდესაც გითხარი ყველაფერი, მე მეშინოდა — რომ ამის შემდეგ შენ აღარ მოხვიდოდი. მაგრამ შენ მოხვედი და მე ბედნიერი ვარ...

ლიდა. ელენე?

ზურაბ. (უსიამოვნოდ) კიდევ ცოლი? ნუ ვილაპარაკებთ ამ უსიამოვნო საკითხებზე. ამ წუთებში დაივიწყე ყოველივე და დამიმტკიცე, რომ შენში ნამდვილადაა ის ცეცხლი, ის ვნება, ის სიყვარული, რომელსაც მე ველი; აი მითხარი სიმართლე: რისთვის გიყვარვარ?

ლიდა. რისთვის? (თმაზე ალერსიანად ხელს გადაუსვამს) იმიტომ რომ შენ ყოვლისშემძლე ხარ, შენ ძლიერი ხარ. მე არც მინდა შენი შედარება კორნელისთან.

ზურაბ. ჩემო ლიდა!

ლიდა ჩემო ზურაბ! (ჩაეკვრებიან ერთმანეთს და შემდეგ ლიდა გაუსხლტება ხელიდან).

ზურაბ. რას გამეჭეცი?

ლიდა. შეგიძლია დამიმტკიცო შენი ყოვლადშემძლეობა? მხოლოდ ცუდად კი არ ჩამომართვა. (პაუზა) შეგიძლია მი'მოვო ათასი მანეთი?

ზურაბ. ათასი მანეთი?

ლიდა. მე ქალი ვარ, ახალგაზრდა, ჯანღონითა და სიცოცხლით სავსე. თქვენ, პარტიულებს გაქვთ რალაც თქვენი უცნაური მიზნები: კრებები, ბრძოლა, ტემპები... ეშმაკმა იცის კიდევ რა. მე მიზანი არა მაქვს; ზურაბ, კარგი ცხოვრება უნდა გადავაქციო თვითმიზნად. მე უნდა ჩავიცვა და დავიხურო, როგორც საჭიროა. მე არ მინდა სხვა ქალებს ჩამოვრჩე. მაგრამ მარტო ეს არა. მე მინდა რომ ზურაბს, ჩემს ძლიერ ზურაბს ყოველთვის მოვწონდე. (პაუზა) თითქო შეშფოთდი. გიძნელდება?

ზურაბ. არა, ლიდა. ეს უბრალო რამეა. მხოლოდ ვფიქრობ როგორ გავაფორმო.

ლიდა. (დიდმნიშვნელოვნად) გამოიყენე საწყობის გამგე.

ზურაბ. შენ დიდი გაქანების ქალი ხარ. სწორია გავაკეთებ. ეხლა კი მოდი ჩემთან (დაიჯდენს მუხლებზე და გადააძრობს ხალათს. ლიდა ეხვევა შიშველი მკლავებით. ამ დროს კარებში გამოჩნდება კორნელი, იგი ჯერ ვერ ამჩნევს ლიდას, რომელიც სასწრაფოდ თავს ჩაიღებს დივანში და სახეს არ უჩვენებს).

კორნელი. სტამბაში გარღვევაა, დიდი გარღვევაა, ზურაბ
ა, ელენე ჩამოვიდა? მე მითხრეს, რომ შენ ავად ხარ...
(უცბად დახედავს ლიდას პალტოს და ფერი ეცვლება, შემდეგ დაუკვირდება
ლიდას და შეჰკივლებს) ლიდა!...

ზურაბ. რა გაღრიალებს?

კორნელი. (აღელვებით და კანკალით) ლიდა... ზურაბ... (პაუზა.
თვალები გადააქვს ერთიდან მეორეზე) თქვენ ორივენი ერთად... მეგობარი
და ცოლი... ჰმ...

ფ ა რ დ ა



მოქმედება მეორე

სურათი პირველი

ზურაბის კაბინეტი სტამბაში. სალამოს შვიდი საათი. ზურაბი დასცქერის ოდნავ დამცინავი თვალებით კანტორს.

ზ უ რ ა ბ. კარგად ლაპარაკობ. განაგრძე.

კ ა ნ ტ ო რ. სტამბა — საბჭოთა კავშირში, სტამბა — კაპიტალისტურ სისტემაში. როგორი დიდი უფსკრულია! როგორი განსხვავებაა! როგორი სიამოვნებით წავეკითხავდი მოხსენებას ამ თემაზე. სტამბა — კაპიტალისტების პირობებში ემსახურება ერთეულ მუქთახორებს, მყვლეფელებს, ექსპლოატატორებს. ასოთამწყობები იქ მონები არიან. ჩვენში... ჩვენში სულ სხვაა. ასოთამწყობი ემსახურება მშრომელთა ხელისუფლებას. ესე იგი, თავის თავს. ასოთამწყობი, მბეჭდავი მკინდავი — თვითონაა ბატონ-პატრონი. (პაუზა). ამას წინედ ამხ. სიმონ თეთრადე აწყობდა ვილაცას წერილს ყოველდღიური გაზეთისათვის. უცბათ მოირბინა ჩემთან და მითხრა: „ამის დამწერს თავში ტვინის მაგიერ დომხალი აქვსო“. წავეკითხე და... მეც დავრწმუნდი ამაში, დაურეკეთ რედაქტორს და წერილი მოხსნილი იქნა. განა ასეთი რამ, რომ მუშა აკრიტიკებდეს ავტორს, შესაძლებელია კაპიტალისტურ ქვეყნებში?

ზ უ რ ა ბ. კარგად ლაპარაკობ. განაგრძე.

კ ა ნ ტ ო რ. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენ გვაქვს ყოველგვარი პირობები განვითარებისა, ზრდისა და გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა. ჩვენ უკანასკნელ ხანებამდე მივდიოდით სწორედ ასეთი გზით. პარტიის დავალებებს ურყევად ვატარებდით, მაგრამ დღეს კი სტამბის ცხოვრებაში დადგა ისეთი დრო, რომ მე, როგორც უჯრედის მდივანი, თავს მოვალედ ვთვლი გაგაფრთხილოთ, ამხანაგო დირექტორო...

ზ უ რ ა ბ. (ოდნავ წყრომით) კარგად ლაპარაკობ. განაგრძე.

კ ა ნ ტ ო რ. საამქროები აღარ დგანან თავის სიმაღლეზე. გარღვევა ფეხს იკიდებს მტკიცედ. ხოლო საამქროების ხელმძღვანელებ-

ბი არც კი ამჩნევენ. ვიდრე შეიკრიბებოდნენ დანარჩენი ამხანაგები, მე მსურს ჩვენ ვიპოვოთ საერთო ენა.

ზურაბ. მაშ, შენის აზრით, მელიქაძე, მებუკე, მეტრეველი, ცუდი მუშაკები არიან?

კანტორ. კარგი მუშაკები იყვნენ წარსულში. დღეს აღარ ვარგიან.

ზურაბ. მიზეზი?

კანტორ. სტამბის მექანიზმი მოიშალა. სტამბაში გამეფდა გაურკვეველი თვითკმაყოფილება.

ზურაბ. (წამოხტება) კარგად ლაპარაკობ. შესწყვიტე!

კანტორ. (გაღცებით) რა მოხდა?

ზურაბ. ვისი სიტყვაა თვითკმაყოფილება? ვინ შემოაპარა ეს სიტყვა ამ კედლებში? ვინ არის, რომ ბედავს ჩემი მკერდის (ხელს დაიკრავს შრომის ორდენზე) შეურაცყოფას? ვინ არის, რომ გაიფიქრა ჩემი უდიდესი რევოლუციური წარსულის უპატივისმცემლობა?

კანტორ. შრომის ორდენი და ძველი დამსახურება აქ არაფერ შუაშია.

ზურაბ. როგორ თუ არ არის შუაში. შენ მაშინ არც კი იყავი დაბადებული, როცა მე რევოლუციისათვის თავი გადადებულ მქონდა! ეხლა შენ გინდა მასწავლო?

კანტორ. ქვეყანა აშენებს სოციალიზმს. სწარმოებს გააფრთხილებული ბრძოლა გეგმების შესრულებისათვის. საჭიროა შეუსვენებლივ მუშაობა. ძველი დამსახურებით ცხოვრება—დღეს აღარ შეიძლება.

ზურაბ. გამოდის, რომ მე ვყოფილვარ დამნაშავე?

კანტორ. სწორი დასკვნაა.

ზურაბ. და შენ ბედავ მე მასწავლო ჭკუა?

კანტორ. მე უჯრედის მდივანი ვარ. ვატარებ პარტიის ხაზს.

ზურაბ. დაიკარგე აქედან შენს ბერდიჩევში—საიდანაც მოთრეულხარ! გგონია, რომ საქართველოში სულელები ვზივართ და ველით შენგან ჭკუის სწავლებას?

კანტორ. ამხანაგო ზურაბ, თქვენ გაუწიეთ ანგარიში იმას, რაც სთქვით ეხლა?

ზურაბ. კიდევ მემუქრები? არა. არ გაგივათ. მე თქვენს დაჯგუფებას აღმოვფხვრი, მოვთელავ, მოვსრესავ, გაყურებინებთ სეირს. არამზადებო! (საჩქაროდ გადის).

კანტორ. კლასობრივ ალღოს დაკარგვამ ზურაბი ბერდიჩევში ჩაიყვანა. (პაუზა) დაჯგუფება? ესე იგი, ვინ უნდა იყოს ამ დაჯგუფებაში? (შეპოდის კორნელი, სახეგამხდარი) მესმის. ალბათ, შენ!

კორნელი. რა?

კანტორ. ბრალს გვდებენ დაჯგუფებაში. ხა-ხა-ხა! (პაუზა)
შენ რისთვის გამოიყურები ასე დანადგლიანებული? რა იქნა შენა
სიხალისე? მოხდა რამე, კორნელი?

კორნელი. ნეტავი თუ სოციალიზმის დროს ადამიანებს ისე-
თივე მგრძნობიარე გული ექნებათ, როგორც დღეს აქვთ?

კანტორ. ლირიკაში გადავრდი?

კორნელი. პირიქით, ლირიკიდან ამოვვარდი. (პაუზა) იცი კან-
ტორ, გული მერჩის მოგცე ერთი საკითხი. რატომ მაინც და მაინც
შენ? იქნებ იმისთვის, რომ უჯრედის მდივანი ხარ? ან იქნებ იმის-
თვის რომ კარგი ადამიანი ხარ? ან იქნებ იმისათვის, რომ შენ ჩამი-
ვარდი ხელში? არ ვიცი. შეიძლება სამივე მიზეზითაც. ყურს მიგ-
დებ? როგორ უნდა მივიღოთ მახლობელი ადამიანის ღალატი, რო-
გორც მოულოდნელი უბედურება, თუ როგორც აუცილებელი შემ-
თხვევა?

კანტორ. არ მესმის. შენ ძალზე ენდობოდი ზურაბს, დღეს კი...

კორნელი. არა. ვერ გამიგე. მითხარი კანტორ: ცოლი გყავს?

კანტორ. უკვე მეორე.

კორნელი. პირველი რა იქნა?

კანტორ. გადაჰყვა ვიღაცა შეძლებულ კაცს და მომცილდა.

კორნელი. მერე შენ როგორ შეხვდი ამ ამბავს?

კანტორ. სრულიად უბრალოდ. იმ საღამოს როდესაც გავიგე
ეს ამბავი, დავლიე სამი ჭიქა მაგარი ჩაი, გამოვიძინე. დილაზე ად-
რე მაგიდის თავზე ჩამოვხსენი მისი სურათი და შევაგდე გახურე-
ბულ ლუმელში. სამსახურში მივედი დაუგვიანებლად. ორი კვირის
შემდეგ მე უკვე შევირთე მეორე ცოლი.

კორნელი. რა ადვილად ლაპარაკობ?

კანტორ. მაშ რა უნდა მექნა? თავი ჩამელო, მეტირა, მეწუ-
წუნა? იქნებ აფთიაქში გავქცეულიყავი საწამლაგისთვის? არა, კორ-
ნელი. ბოლშევიკს ეს არ შეფერის.

კორნელი. მაშ, შენის აზრით, ბოლშევიკს გრძნობა არ უნდა
ჰქონდეს?

კანტორ. გრძნობა—ერთია, ხოლო მისი ათვისების პროცესები
სხვადასხვანაირია. კაპიტალისტური სისტემის პირობებში ადამიანს,
რომელსაც შეემთხვა ოჯახური ტრადედია—სხვა გამოსავალი არ რჩება
თუ არა—თვითმკვლელობა. ეს გასაგებიცაა. იმ ადამიანებს მიზანი
არა აქვთ. მაგრამ ჩვენში...სულ სხვა ამბავია...ჩვენ ვაშენებთ ახალ
ქვეყანას...ჩვენ ვანახლებთ სამყაროს. პარტია—ეს არის ის უძლეველი
ძალა, რომლის თვალებით მზერა იხსნის ყოველ მის წევრს პირად
განსაცდელის ჟამს.

კორნელი. როგორი სიმართლეა! მართლაც და...რომ ასე არა, მაშინ, ალბათ, უკვე გამოეთხოვებოდით კორნელის.

კანტორ. კორნელი! ლიდამ გილალატა?

კორნელი. სიტყვები არა მყოფნის...თუმცა ახლა ხომ მისულა ერთია. (შემოდინან ზინა და თამრო) კრება იქნება თუ არა, ამხანაგო სარი-შვილო? სად არის დირექტორი?

ზინა. (უკმეხად) დირექტორი რაიკომშია. იგი მოსპობს დაჯგუფებას.

კორნელი. (გადახედავს კანტორს) ეს რას ნიშნავს?

კანტორ. ხომ გაიგონე. დაჯგუფებას! აბა წავიდეთ დაჯგუფებულს (კანტორი გადის. უკან გაჰყვება კორნელი მძიმე ნაბიჯებით. ზინა ჩაჯდება დირექტორის სავარძელში და რაღაცას წერს).

თამრო. არ მგონია. ვერ დავიჯერებდი. რა ღმერთი გაუწყრა. აი რას ნიშნავს ბრძოლის ლოლიკა. სიმონისაგან ეს პირდაპირ წარმოუდგენელი იყო. ნუთუ ზინა—შენ ვერ შესძელი მოგებდინა მასზე გავლენა?

ზინა. ო, რომ იცოდე, ჩემო თამრიკო, თუ როგორი ჭინიანია, უპარტიოა, ახალგაზრდაა, მაგრამ ლაპარაკს როცა უწყებ, ასე გგონია, ოცი წელიწადი პარტიაშიაო. აი ისიც. აბა კარგად ადევნე თვალყური (შემოდის სიმონი).

სიმონ. პატივცემული დირექტორის პატივცემულო მდივანო! კრება შედგება?

ზინა. ნუ მელაპარაკები, სიმონ, ასეთი კილოთი!

სიმონ. დირექტორი, ალბათ, ნაზად გელაპარაკება. მე კი უხეშად. აწი სხვაგვარად არ შემიძლია. კრება შედგება?

ზინა. (მიუახლოვდება) კარგია, რომ მოხვედი. მე მინდა გაგაფრთხილო.

სიმონ. ისევ? კვლავ მომაგონო, რომ მე უპარტიო ჭიალუა ვარ?

ზინა. სიმონ!

სიმონ. რომ დირექტორს დიდი გავლენა აქვს?

ზინა. სიმონ!

სიმონ. რომ...

ზინა. ყური მიგდე. ნუ ხარ ახირებული. ზურაბი გიპირობს მოხსნას.

სიმონ. ეს პრემიაა გეგმის 180%-ით შესრულებისათვის?

ზინა. ეს საქმეს არ სცვლის. შენი დანაშაული დიდია.

სიმონ. დანაშაული? მე მიმიძღვის დანაშაული? და ამას მეუბნები შენ, ზინა?

ზინა. ჰო, მე. რისთვის აჰყევი დაჯგუფებას?

ს ი მ ო ნ. დაჯგუფებას? სიზმრად მოგელანდათ?

თ ა მ რ ო. ბანზე ნუ აგდებ სიტყვას. კანტორი, შანიძე, თეთრა-
ძე უკვე ყველამ იცის, რომ დაჯგუფებული სამკუთხედია ზურაბის
წინააღმდეგ.

ს ი მ ო ნ. ყოჩაღ. ძალიან იცავთ დირექტორის ინტერესებს!

ზ ი ნ ა. არის ერთი გზა. შენ უნდა მისცე დირექტორს განცხადება, სადაც უნდა აღიარო შენი შეცდომა და დაჰგმო შენი ჯგუფობრივი მუშაობა.

ს ი მ ო ნ. ზინა! შენ სრულ ჭკუაზე ხარ?

თ ა მ რ ო. რისთვის აყენებ ზინას ამდენ შეურაცყოფას? მას ხომ ერთი სურვილი აქვს მხოლოდ: როგორმე გადაგარჩინოს. შენ ჩაი-
დინე შეცდომა. უთუოდ ღირსი იყავი დასჯისა, მაგრამ თუ ასეთ განცხადებას დასწერ, მაშინ ზურაბი ზინას თხოვნით...

ს ი მ ო ნ. (გაჯავრებით) ზინას თხოვნით... ზინას ლამაზი თვალე-
ბისათვის...

თ ა მ რ ო. შენ მოგხსნიან ისეთი მოტივებით, რომლის შემდეგაც ძალიან გაგიძნელდება სადმე მოეწყო. გაგიჭირდება. ჩვენ არ გვინდა, რომ შენ მოგხსნან...

ს ი მ ო ნ. (თავს დაუკრავს) გმადლობთ შეწუხებისათვის. მე ვერა-
ვინ ვერ მომხსნის.

ზ ი ნ ა. (ოღნავ დაცინვით) ვისი იმედი გაქვს?

ს ი მ ო ნ. პარტიის.

ზ ი ნ ა. ხუმრობ?

ს ი მ ო ნ. სრულიადაც არა. მე დღეს ავაწყე სარედაქციო წერი-
ლი, სადაც ნათქვამია, რომ პატიოსანი; უპარტიო მუშები, რომლებიც ახლოს დგანან პარტიასთან, წარმოადგენენ პარტიისათვის გაცილებით უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე უპატიოსნოები და მტრები, რომლებიც აქა-იქ შეძვრნენ პარტიაში და ხელში შემთხვევით ჩაი-
გდეს პარტიული ბილეთი.

თ ა მ რ ო. კაცმა იცოდეს ზურაბის წარსული და ასეთი სისულელე სთქვას...

ს ი მ ო ნ. წარსულისათვის—მადლობა. აწმყოსათვის — ანგარიშის ჩაბარება.

ზ ი ნ ა. აკი არ ვეკუთვნი დაჯგუფებასო?

ს ი მ ო ნ. იქნებ თვითონ ეკუთვნი დირექტორის დაჯგუფებას?

ზ ი ნ ა. საცოდავო! მაშ მართლა უცხადებ ბრძოლას?

ს ი მ ო ნ. ყოვლისშემძლე ზურაბს, არა? რა რიგ გეცოდება. (დაცინვით) ქ-ნი ელენე ჯერ კიდევ ქობულეთშია. იქნებ კიდევ მოგ-
ცა წინადადება გასწიო მისი მაგიერობა?

ზინა. (ესვრის წიგნს) გაეთრიე აქედან! (სიმონი აიცილენს წიგნს და შეხედავს დაფიქრებით, შემდეგ ხელს ჩაიქნევს და გადის) საზიზღარო ცილის-მწამებელო! მაცალე მე შენ...

თამრო. დაწყნარდი, ზინა! (ზინა ისტერიულად ტირის).

სურათი მეორე

სცენა პარტ-კოლეგიაში. გამომძიებლის კაბინეტი სადა, მარტივი. ერთი მაგიდა, ორი სკამი. სცენაზე — გამომძიებელი და სიმონი.

გამომძიებელი. სიმონ თეთრადე?

სიმონ. დიახ.

გამომძიებელი. უპარტიო?

სიმონ. დიახ.

გამომძიებელი. მუშაობის სტაჟი?

სიმონ. საერთოდ — თექვსმეტი წელიწადი.

გამომძიებელი. თქვენ სასულიერო წოდების შვილი ხართ?

სიმონ. (დაბნევით) დიახ... მაგრამ... განა ეს სულერთი არ არის?... მე ხომ ჯერ უპარტიო ვარ... პარტიაში შევალ მხოლოდ მაშინ, როცა ამას დავიმსახურებ ჩემი პატიოსანი შრომით. მამა ადრე მომიკვდა... მე იმას არც კი ვიცნობდი... განა ეს დანაშაუ-ლია...

გამომძიებელი. არა, ამხანაგო თეთრადე. დაწყნარდით. ეს მხოლოდ, ასე ვთქვათ საანკეტო ცნობებია. ეხლა თვით საქმეზე. რა იცით თქვენს სტამბაში არსებულ დაჯგუფების შესახებ?

სიმონ. არაფერი.

გამომძიებელი. თქვენ თუ პატიოსანი მუშა ხართ, მაშინ თქვენი ვალდებულებაა დაეხმაროთ პარტიის საკონტროლო ორგანოებს სიმართლის გამორკვევაში.

სიმონ. მესმის. მაგრამ მე არაფერი არ ვიცი.

გამომძიებელი. განა თვითონ თქვენ არა გაქვთ ჯგუფობრივი კავშირი შანიძესთან და კანტორთან?

სიმონ. ეს ცილისწამებაა.

გამომძიებელი. ხოლო იმას, რასაც თქვენ ლაპარაკობთ ცნობილი და ძველი რევოლუციონერის ამხანაგ ზურაბ მაღლაკელიძის ჩირქის მოსაცხებად, რა ვუწოდოთ?

სიმონ. სიმართლე.

გამომძიებელი. (იცინის) კარგი სახელწოდებაა რომ...

სიმონ. (შეაწყვეტინებს) არ გჯერათ? მობრძანდით სტამბაში, დარწმუნდებით. რამდენი ხანია მას შემდეგ ცეკას მდივანი რომ

ამბობდა: „საჭიროა კონკრეტული ხელმძღვანელობა“, დიახ, ამხანაგო გამომძიებელო, ჩვენს სტამბაში კონკრეტული ხელმძღვანელობა აღარ არის. დირექტორმა მიიღო შრომის ორდენი და დაკმაყოფილდა. შეიძლება დაიღალა. მაშინ მოხსენით. დღესდღეობით კი სტამბა მისი ხელმძღვანელობით მიდის სულ უკან და უკან. შეიძლება კანტორი და შანიძეც ჩემსავით პტიქრობენ? მაგრამ პარტია ხომ ამ შემთხვევაში ჩვენს მხარეზე უნდა იყოს? სად არის აქ დაჯგუფება?

გამომძიებელი. მაშ თქვენ კატეგორიულად უარყოფთ თქვენს მონაწილეობას დაჯგუფებაში?

სიმონ. დიახ. მე უკვე მოგახსენეთ.

გამომძიებელი. მაშ ასე. ეხლა წადით სამუშაოზე. თუ საჭიროდ დავინახავ, კიდევ გამოგიძახებთ. ნახვამდის. (ხელს ჩამოართმევს. სიმონი გადის. გამომძიებელი ფიქრობს) „შეიძლება დაიღალა“. რამდენი რამეა ამ სიტყვებში. ვინ იცის, მართლაც, შეიძლება! არა! არ შეიძლება! ზურაბი და დაღლა?... (მოდის კარებთან) ამხანაგო კანტორ, გთხოვთ. (შემოდის კანტორი) დაბრძანდით. თქვენ სტამბის უჯრედის მდივანი ხართ?

კანტორ. დიახ.

გამომძიებელი. თქვენ, ალბათ, უკეთ იცით, რისთვისაც გამოგიძახებთ.

კანტორ. არა. მე საკონტროლო კომისიაში პირველად ვარ.

გამომძიებელი. თქვენ ბრალი გედებათ მასში, რომ წამოვეთ კლასობრივად უცხო ელემენტების ანკესზე და ხელს უწყობთ სტამბაში დაჯგუფებას ამხანაგ ზურაბ მალლაკელიძის წინააღმდეგ.

კანტორ. სხვა არაფერში მედება ბრალი?

გამომძიებელი. როგორ არა. თქვენ იცით, რომ სტამბაში ადგილი აქვს ბოროტმოქმედებებს, მაგრამ თქვენის სიჩუმით თურმე კიდევ ხელს უწყობთ.

კანტორ. დაჯგუფება. ბოროტმოქმედება. არის რამე კიდევ მესამე?

გამომძიებელი. არის. ველიკოდერჟავნიკური პოლიტიკა.

კანტორ. ხოლო ყოველივე ეს მე ამკიდეს ზურგზე? არა, ამხანაგო გამომძიებელო, კატეგორიულად უარყოფ. არც ერთი. არც მეორე, არც მესამე.

გამომძიებელი. როგორი აზრისა ხართ თქვენ კორნელი შანიძის შესახებ?

კანტორ. კორნელი პატიოსანი ბოლშევიკია, ესპის თავისი

შოვალეობა და ღირსეულად იბრძვის ყოველგვარი მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ.

გამომძიებელი. თქვენ გინდათ სთქვათ—ზურაბ მაღლაკელიძის წინააღმდეგ?

კანტორ. არა. ეს ძნელი სათქმელია. თუმცა ზურაბი აღარ არის ის ძველი ზურაბი...

გამომძიებელი. ესე იგი?

კანტორ. როგორღაც საჭე გაუსხლტა ხელიდან. მე იგი გაფრთხილე, მაგრამ იმან არ მიიღო ჩემი გაფრთხილება. მე მგონია, რომ იგი თანდათან ჰკარგავს კლასობრივ აღლოსაც და თუ დროზე არ მოვიდა გონს, უფრო დაბლა დაექანება.

გამომძიებელი. გაქვთ ამის კონკრეტული ფაქტები?

კანტორ. მე შემიძლია წარმოვადგინო წერილობით.

გამომძიებელი. რაც შეიძლება მალე.

კანტორ. მესმის. მაშ ეხლა უკვე შემიძლია წავიდე?

გამომძიებელი თავის დაქნევით ეთანხმება. კანტორი გადის.

გამომძიებელი. (ერთხანს ათვალეურებს საქმეებს) ფაქტები. ფაქტები არა. ძნელი დასაჯერებელია. თუმცა... ვნახოთ. (მიდის კარებისაკენ) ამხანაგო შანიძე. გთხოვთ (შემოდის კორნელი შანიძე) დაბრძანდით (კორნელი ჯდება) თქვენ მაღალკელიძის მოადგილე ხართ?

კორნელი. დიახ.

გამომძიებელი. თქვენ კოლშვილიანი ხართ?

კორნელი. (იბნევა) როგორ გითხრათ... მე მყავდა კოლი... იმან მიღალატა..., თუმცა ეს სიტყვა ძველია, დრომოკმული, მაგრამ მე სხვა ტერმინი არ ვიცი...

გამომძიებელი. მაშ ეხლა თქვენ უცოლო ხართ?

კორნელი. უცოლო. ყოფილმა ცოლმა სხვა არჩია.

გამომძიებელი. ვინ სხვა?

კორნელი. ზურაბი.

გამომძიებელი. როგორ თუ ზურაბი? რომელი ზურაბი?

კორნელი. ზურაბ მაღლაკელიძე.

გამომძიებელი. (ჩაფიქრდება) ასე. ასე. ეხლა გასაგებია. თქვენ მეთაურობთ დაჯგუფებას ზურაბის წინააღმდეგ?

კორნელი. დაჯგუფება? ზურაბის წინააღმდეგ? არა!

გამომძიებელი. (გაოცებით) თქვენც უარყოფთ?

კორნელი. რას ნიშნავს „თქვენც?“ უარყოფ იმას, რაც არ არსებობს.

გამომძიებელი. არც მეთაურობთ და არც არსებობს?

კორნელი. არა.

გამომძიებელი. ხოლო, თქვენის აზრით, როგორი მუშაკია ზურაბ მაღალკელიძე?

კორნელი. კარგი მუშაკია. ბევრი რამ გააკეთა. უალტერსად ენერგიულია. მაგრამ...

გამომძიებელი. განაგრძეთ.

კორნელი. ეს ყოველივე წარსულს ეკუთვნის. დღეს მისი ტემპები შენელდა. სტამბაში გარღვევაა და იგი ამას ვერ ამჩნევს, ან შეიძლება არ სურს შეამჩნიოს. მე ველაპარაკე ამის შესახებ. იმას არ სჯერა. სიტყვა სიტყვით ასე მიპასუხა: „ზღაპარია. სტამბაში ყველაფერი თავის რიგზეაო“. ნეტავი კი ეს ზღაპარი იყოს. ნეტავი ვცდებოდე.

გამომძიებელი. მერე თქვენ რა ზომები მიიღეთ?

კორნელი. გავუცხადე უჯრედს, (პაუზა) ველაპარაკე მუშებსაც, მაგრამ მუშები ზურაბის მხარეზე არიან.

გამომძიებელი. იქნებ თქვენ ველაპარაკებთ ეჭვიანობა... შურისაიების სურვილი?

კორნელი. ეს იქნებოდა ბოლშევიკისათვის უმართებულო საქციელი. (პაუზა) ერთიჯ უნდა გითხრათ: გარღვევა აღრე დაიწყო სტამბაში, ვიდრე ჩემს საკუთარ ოჯახში.

გამომძიებელი. ასე. ეხლა კიდევ ერთი საკითხი: თქვენი ძმა სად მსახურობს?

კორნელი. არ ვიცი.

გამომძიებელი. (გაოცებით) არ იცით?

კორნელი. (ისიც გაოცებით) რისთვის გაოცდით? არ ვიცი. ვგონებ ისევ უმუშევარი უნდა იყოს.

გამომძიებელი. (წყრომით) თქვენ დიდხანს გინდათ თვალეზახვეული მატაროთ? გავიწყდებათ რომ თქვენ პარტიის საკონტროლო კომისიაში ხართ? ძალიან გინდათ პარტიული ბილეთის დაკარგვა?

კორნელი. არაფერი არ მესმის არ მესმის, არ მესმის.

სურათი მესამე

სტამბის გრძელი ეზო. მრავალ ცალებში გამოკრული ქაღალდები. სცენის სრლრმეში მოჩანს კიბე ჩასასვლელი საწყობში. ზაფხულის საღამო. შემოდინან ზინა და თამრო, იცქირებიან გარშემო, შემდეგ ჩამოჯდებიან ქაღალდებზე. ზინას ხელში უჭირავს ყვავილები...

თამრო. ყოველთვის ასე ხდება, როცა არ გსურს ვისმე გაანდო პირადი საიდუმლო. განა ვინმე გისმენს? შენ ხომ სცენაზე არ ხარ? აქ სტამბის ეზოა.

ზინა. ასე მგონია ეხლა ვიბადები. გული მაგრად მიცემს ეს რამდენიმე დღეა. რილასთვის ვიგონებ? სიმონი. ისევ სიმონი. ეს იყო ოდესღაც. ალბათ, გაუგებრობა, ან შემთხვევა. ეხლა? ზურაბი, დიახ, ამხანაგი ზურაბი, როგორი ვნებიანი თვალებით შემომანათა და მითხრა: „ზინა, შენ ხარ ჩემი იდეალიო“. შემდეგ მიმიკრა გულზე. მკერდზე უბრწყინავდა შრომის ორდენი.

თამრო. სახელოვანი წარსული. აწმყო, მომავალი... ბედნიერი ქალი ხარ... უბრალო ასოთამწყობი და ეხლა... ზინა—მალლაკელიძე... გვარი უხდება შენს სახელს.

ზინა. მაგრამ ზურაბს რომ ცოლი ჰყავს? რას იზამს ელენე?

თამრო. რასაკვირველია, ისინი ამის შემდეგ ერთმანეთს განშორდებიან. ზურაბს სურს ჰყავდეს ნამდვილი მეგობარი, ღირსეული მეუღლე. ასეთად შენ ამოგარჩია.

ზინა. სად არის ეხლა ნეტავ... თვალი ვერ ძლება მისი მზერით... ვის სურს, რომ მას ჩირქი მოსცხოს? საცოდავები... ისინი მიიღებენ მუშებისგან საკადრის პასუხს... აი ისინიც... წავიდეთ თამრო.

გადიან. წინა პლანზე გამოდიან კანტორი და კორნელი.

კანტორ. ფრაქცია მოიწვიეს, უჩემოდ გამოუტანიათ რაღაც დადგენილება. ეხლა მოიწვიეს უჯრედის ღია სხდომა და უნდათ უპარტიოებსაც დაამუშავებინონ ჩვენი თავი.

კორნელი. ძალიან დაჭიმული მდგომარეობა იქმნება.

კანტორ. თავდაცვა კმარა. სიმართლე ჩვენს მხარეზეა. ეხლა შეტევაზე უნდა გადავიდეთ.

კორნელი. შეტევა უპრინციპო დაჯგუფების წინააღმდეგ. ფაქტიურად ასეც უნდა მოვიქცეთ. მაგრამ...

კანტორ. რა მაგრამ?

კორნელი. მე შემექნა ყალბი მდგომარეობა. პირი წყლით ამივსეს. გესმის, კანტორ, რა მოხდა? მე აქ ვერ დავძრავ ვერც ერთ სიტყვას ზურაბის წინააღმდეგ. საკონტროლო კომისიაში მკითხეს: „იქნებ თქვენ ეჭვიანობის ნიადაგზე შურს ძიობთო?“ ეს საშინელი, დამამცირებელი ბრალდებაა. ჩემი გამოსვლა წყალს დაასხამს ზურაბის წისქვილზე. იგი იმწამსვე წაებოტინება ამ საკითხს და ერთმანეთს უსინდისოთ დაუკავშირებს. მერე ადექი და ამტკიცე: აქლემი არ ვარ-თქო. ვინ დაგიჯერებს?

კანტორ. მართალი ხარ... თუმცა... მუშებმა ხომ არ იციან ეს ოჯახური კონფლიქტი?

კორნელი. არა მგონია.

კანტორ. მით უკეთესი. უნდა ვილაპარაკოთ. უნდა ავხადოთ ნიღაბი. დე მუშებმა შეიტყონ, თუ რა საქმეების ჩამდენია.

კორნელი. არა. არა. შენ ანგარიშს არ უწევ, კანტორ, შექმნილ სიტუაციას. ყოველი ჩვენი არგუმენტი მიმართული ზურაბის სახის გამოსააშკარავებლად — შებრუნებული იქნება ჩვენს წინააღმდეგ. სასაცილოა იფიქრო ზურაბის წაქცევა ასეთი წვრილმანი ფაქტებით.

კანტორ. მაშ რა? იარაღს ჰყრი?

კორნელი. სრულიადაც არა. თანდათანობით შეუდგები პარტიულ ინსტანციის საფეხურებს. (გაივლიან).
შემოდინ სიმონი და დემირჩიანი.

სიმონ. ჩემი გზა მიიმართება კორნელისა და კანტორისაკენ. მაგრამ მე არ შემიძლია მათთან მისვლა. დაჯგუფება იქნება თურმე. სტამბაში—გარღვევაა. და მე არ შემიძლია ამაზე ვილაპარაკო, იმიტომ რომ ზინა ამბობს: შენ საცოდავი უპარტიო ჭიაღუა ხარო... სიცრუეა. პარტიას სიმართლე უყვარს, ხოლო სიმართლე ჩემს მხარეზეა. (პაუზა). გული სტკივა საქმისათვის მხოლოდ იმას, ვინც მას აკეთებს... მაშინ რა მოუვიდა ზინას? ბრმა იარაღია თუ შემთხვევითი მსხვერპლი?

დემირჩიანი. აბა რა გითხრა... თვითონ ჭკვიანი ბიჭი ხარ და უნდა იცოდდე ქალების საქმე... იმათ ბრჭყვიალა რამეები უყვართ... ზურაბსაც წითელი უბრწყინავს, ორდენია თუ რა ჰქვია... მაგისტანა რამეები ქალის თვალს აფუჭებს... შენც რომ რამეს იყიდდი ბრჭყვიალას, ან წითელს, ან ჭრელს, მაგალითად, გრძელ გალსტუკს... ანდა კიდევ...

სიმონ. (ხელს ჩაიქნევს) ეჰ, ძია დემირჩიანი, ძველ დროში უმიზნებ. მთავარი არ გესმის. (შემოდინ ხმაურობით და ლაპარაკით ასოთამწყობები მბეჭდავები და მკინძავეები. მათ შორის მეტრეველი, მელიქაძე, მებუკე, ხვიჩია, მეუნარგია, პელაგია. უმეტესობა ქაღალდებზე სხდებიან. ნერვიული განწყობილება, ისმის არეული ხმები).

ხმები.

- მუშებს ვერ აგვიხვევენ თვალებს.
- ზურაბის წინააღმდეგობას არავის შევარჩინო.
- დაჯგუფებას მოვსპობთ.
- სასტიკად დავარტყამთ.
- სხვები ხომ ისწავლიან ჭკუას.

პელაგია. ვინ უფროსია, ვინ უნცროსია — წადი და არკვიე. ამ ქვეყანაზე ყველაფერი შეიცვალა. დედაშვილობამ, ამ ქვეყნის არაფერი არ მესმის.

დემირჩიანი. მაგას მე რაც ხანია გეუბნები. იმ ქვეყნისას უფრო გაიგებ.

მეტრეველი. (სიმონს) მე წინედ მეგონა, რომ შენ რალაცა ჭკუა გედო მაგ ტვინში. ახირებულა შენი საქციელი. უპარტიო კაცი

რას გადაკიდებიხარ ამ შანიძესა და კანტორს? შენ კარგი მუშა ხარ და შენის ხელით ღუპავ კარგს სახელს. აი, შენს ამხანაგებში გირჩევ: ვიდრე კრება დაიწყებოდეს, გონს მოდი, აღიარე შენი შეცდომა და ჩამოეთხოვე დაჯგუფებას. უჯრედს უკვე აქვს დადგენილება შენს საკითხზედაც, მაგრამ იმისი სისრულეში მოყვანა თუ არ მოყვანა— ეს შენზეა დამოკიდებული.

მეუნარგია. ზურაბი და კორნელი! შენც ძალიან აგიწონია! ეი, ეი, ეი იიი...

დემირჩიან. ჩემთვის კი, პირადათ, უნდა სიმართლე გითხრათ, როგორც ზურაბი, აგრეთვე კორნელი, ორივენი ერთნაირად დასაფასებელი და საყვარელი ამხანაგები არიან.

მეტრეველი. (არ აქცევს ყურადღებას დემირჩიანს) მართალი ყოფილა: ოჯახი უმახინჯოთ არ იქნებაო. არ გრცხვენია, ბიჭო? აკიტრაბახობდი ძალიან განათლებული ვარო და შენმა განათლებამ მეტი არ გასწავლა? შავი და თეთრი ვერ გაარჩიე?

კალისტრატე. როგორ გაბედე ზურაბისა და კორნელის შედარება? პირდაპირ მოთმინებიდან გამოვალ...

მეტრეველი. რას იტყვი, სიმონ?

სიმონ. ჩემს პასუხს კრებაზე გაიგებთ (მიანებებს მათ ჯგუფს თავს, მიეყრდნობა ახლო მდგომ ბოძზე და იცქირება ზინასა და თამროს მიმართულებით, რომლებიც ამ დროს შემოვიდნენ სცენაზე).

მეტრეველი. დიდი თვითნება ვინმეა.

დემირჩიან. თვითნება? როგორ გითხრა? ჩემის აზრით, ძალიან მომზადებული ახალგაზრდაა და ამიტომაცაა სხვისი ჭკუით არ უნდა სიარული. ჩვენთან შედარებით—ნამდვილი პროფესორია.

მეუნარგია. საზიზღარი ახალგაზრდაა.

კალისტრატე. გველია. როცა იქნება მოთმინებიდან გამომიყვანს.

მეტრეველი. (კალისტრატეს) ივანიშვილი სად არის?

კალისტრატე. საწყობშია. ძალიან დროს დაბრუნდა მივლინებიდან.

მეტრეველი. შენ კარგად გახსოვს რაც დაგვავალა?

კალისტრატე. თუ გნებავთ, გავიმეორებ.

მეტრეველი. ახლა არაა საჭირო. კრებაზე იტყვი.

კალისტრატე. ვიტყვი და კიდევ გამოვალ მოთმინებიდან. რატომ უნდა გავჩუმდე? აბა ხომ არ შევარჩენ მაგათ ჩემს შავ დაფაზე შეტანას?

დემირჩიან. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. კალისტრატეზეა ნათქვამი. მუშაობა არ უყვარს, ღრიალი უყვარს. ერთი.

დააკვირდით, ისე ყვირის, თითქოს ცხრაას ხუთი წლიდან დაშვ-
რელი იყოს.

პელაგია. აი, შე 'შპონიჭამია, ქვეყანას რო დაცინი, არ შეიძ-
ლება გვითხრა, დაცინვის მეტი რა უსწავლებია შენთვის დედა'მენს?
დემირჩიან. ცეკვა. მაგალითად ზომიერი ლეკური.

მელიქაძე. ზომიერი ლეკური—ამისთანა ცეკვა არ გამიგონია.
მებუკე. არც მე.

პელაგია. (დემირჩიანს) მე ხო შენზე ნაკლები ხნიერი არა
ვარ, მაგრამ არც მე მსმენია.

დემირჩიან. აბა ეხლა მე რა ვქნა, თქვენ თუ არ გსმენიათ.
სადაური ცეკვის პროფესორები მყავხართ? თუ ძალიან შემომეხვე-
წებით—გიჩვენებთ, რა ვუყო. მეც ხომ არტისტკა მარზანივით
პრანჭვა-გრეხას არ დავიწყებ.

ხმები. აბა, დემირჩიან; დატრიალდი ამ სიბერის დროს და
რაც იყოს—იყოს.

დემირჩიან. იყოს. შენ ეი, (ხვიჩიას) მუქთახორობისა და
უსაქმურობის გმირო, ტაში ყოჩაღად! შენ კიდევ (მეუნარგიას) რეგ-
ლეტივით გვერდზე მიდექ და რაც სხვებმა ჰქნან—ის შენც გაიმეორე.
(მეტრეველს) შენ კი, მეტრეველო, აქ ხომ საამქრო არაა. საამქროში
შპაცივით გათხელდები. აქ კიდევ ზათხულის სასიამო ჰაერია...
გაიღიმეთ, იცინეთ. ტაში, ბიჭებო, ტაში! (იწყება ტაში და სიცილი.
დემირჩიანი ცეკვავს რაღაც გაუგებარს და კომიკურს. ერთი მხრით შემოდინ
კორნელი და კანტორი, ხოლო მეორე მხრით ზურაბი—ამაყი და დამშვიდებული.
ცეკვა შეწყდება. ზურაბი უახლოვდება მუშებს. მიმართავს მელიქაძეს).

ზურაბ. დავიწყოთ?

მელიქაძე. დავიწყოთ.

ჭიშკარს ჩაჰკეტავენ. შუაგულ ეზოში დადგამენ მაგიდას, რომელსაც გარს
უსხდებიან ზურაბი, მელიქაძე, მებუკე, მეტრეველი. ზინა მდივნობს. ცოტა მო-
შორებით სხდებიან ერთად კანტორი, კორნელი, სიმონი; დანარჩენი მუშები
შემოსხდებიან შორიანლოს წრესავით. გაისმის ხარი, რომელსაც მოჰყვება
სიჩუმე. თავმჯდომარეობს ზურაბი. იგივე ხანის კრებას

ზურაბ. თქვენ, ალბათ, უკვე შეიტყუეთ იმ საზიზლარი დაჯგუ-
ფების შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს სტამბაში. ჩვენ
უკვე დავდეთ ჩვენი მსჯავრი, მაგრამ ეხლა გადმოგვაქვს თქვენს
კრებაზე თქვენი დასტურის მისაღებად. სიტყვა ეძლევა უჯრედის
მდივნის მოვალეობის შემსრულებელს ამხ. მეტრეველს, რომელიც
დაწვრილებით გაგაცნობთ ამ ვაუბატონების საქმიანობას.

მეტრეველი. ჯერჯერობით ჩვენს მიერ გამომზეურებული იქ-
ნა დაჯგუფების სამი წევრი: დირექტორის მოადგილე კორნელი
შანიძე, უჯრედის მდივანი კანტორი და ლინოტიპისტი სიმონ თეთ-

რანე. ჩვენ გავამახვილებთ ჩვენს ყურადღებას, რომ სადმე არ დარჩენილი კუდები. შევეხოთ სათითოოდ—ყოველ მათგანს. დაჯგუფებას ხელმძღვანელობს კორნელი შანიძე. რამოდენიმე წელიწადია ჩვენ ყველანი განვიცდიდით მის საშინელ მოპყრობას. მუშებს იგი ამიტომაც არ გვიყვარდა. უკანასკნელ ხანებში იმან ჩუმჩუმად დაიწყო ზურაბის გინება და დამუშავება. თუ ბოლო დროს ჩვენს სტამბაში მუშაობა ოდნავ მაინც შეფერხდა, ეს აიხსნება მხოლოდ ამ დაჯგუფების წარმოშობით.

კ ა ნ ტ ო რ. საზიზლარი სიცრუეა!

ზ უ რ ა ბ. დაწყნარდით. თქვენ მოგეცემათ სიტყვა. (მეტრეველს) განაგრძეთ.

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. შანიძემ პარტიის ნდობა არ გაამართლა. იმან ბოროტად გამოიყენა თანამდებობა. აი ორი აღმაშფოთებელი ფაქტი. მისი საკუთარი ხელისმოწერით, მისი ბრძანებით, ჩვენი სტამბის საწყობის გამგედ დაინიშნა ვინმე ვასო ივანიშვილი, რომელიც დაუყოვნებლივ გაემგზავრა მივლინებაში. (შანიძეს) მოაწერეთ თუ არა თქვენ ხელი მისი დანიშვნისა და მივლინების ბრძანებას? უარპყოფთ ამ ფაქტს? (ყველანი შესცქერიან შანიძეს).

კ ო რ ნ ე ლ ი. არა. სიმართლეა.

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. (მუშებს) იცით თქვენ ვინ აღმოჩნდა ფიქტიური ვასო ივანიშვილი? აგი აღმოჩნდა—მისი საკუთარი ძმა—არჩილ შანიძე.

კ ო რ ნ ე ლ ი. (წამოვარდება) სცრუობთ!

ზ უ რ ა ბ. მოვიდეს აქ ივანიშვილი. (ყველას ყურადღება მიმართულია საწყობისაკენ, საიდანაც ნელ-ნელა ამოდის არჩილ შანიძე).

კ ო რ ნ ე ლ ი. (გაფითრებით) არჩილ! (პაუზა) შენ აქ რა გინდა?

ა რ ჩ ი ლ. შენმა თავის გახეთქვამ, არ იცი რა მინდა....

ხ მ ე ბ ი.

გეყოფა კომედია...

— საზიზლარი...

— მოვაწყობთ საჯარო საჩვენებელი პროცესი..

ზურაბი ზარს რეკს. მეტრეველი განაგრძობს.

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. რისთვის სურდა შანიძეს, რომ მისი ძმა მალული გვარით ყოფილიყო საწყობის გამგედ? იმისათვის, რომ მას დაუსჯელად ეკეთებინა ბოროტი საქმეები. შეიძლება არჩილ შანიძე თავისთავად პატიოსანი კაციც იყოს, მაგრამ იგი მაინც გახდა მსხვერპლი თავისი ძმის საზიზლარი განზრახვებისა. ერთ მშვენიერ დღეს სტამბაში დაიკარგა ათასი მანეთის ღირებული საუკეთესო ხარისხის ქალაღი, ძნელი გამოსარკვევი იყო ჩვენთვის, როდის მოხდა დაახლოებით ეს ამბავი, მაგრამ სრულიად შემთხვევით მო-

აგონდა ამხანაგ კალისტრატე ხვიჩიას, რომ კორნელი შანიძემ მისი დახმარებით გაიტანა ეს ქალაქი სტამბიდან. მართალია თუ არა ეს, ამხანაგო კალისტრატე?

კალისტრატე. მე რა ვიცი, თუ რა მიზნით მიჰქონდა, თორემ დავაშხამებდი სახელმწიფო ქონებას, არამც თუ საკუთარი ზურგით გავიტანდი და სპეკულიანტებს გადავაბარებდი...

მეტრეველი. შენ არავინ არ გდებს ბრალს, ჩვენ მხოლოდ გვინდა ფაქტის დადასტურება.

კანტორ. (კორნელის) რას ნიშნავს ეს?

სიმონ. მართალია ეს ამბავი?

კორნელი. (მიუახლოვდება ზურაბს) ზურაბ! მართალია ეს ამბები? (ზურაბი დგას თავჩაღებული და გაფითრებული).

მელიქაძე. აქ ბევრი აღარაფერია სალაპარაკო. წინადადება შემომაქვს დაჯგუფების ინიციატორი, პარტიის ნდობის გამამტყუნებელი და სახელმწიფო საკუთრების გამნიავებელი, არამც თუ მოხსნილ იქნას სამუშაოდან და გარიცხული პარტიის რიგებიდან, არამედ მიეცეს რევოლუციურ კანონიერების სასტიკ პასუხისგების ქვეშ მისი სამაგალითოდ დასჯისათვის...

მოხუცი მკინძავი. სიტყვის ნება. დასჯასა და კაცის შერცხვენას ყოველთვის მოვესწრებით. მიეცით საშუალება თავი იმართლოს. გავიგოთ ეს საქმე ყოველმხრივ.

დემირჩიან. ერთი პატარა სიტყვა მეც მომისმინეთ. მელიქაძემ წინადადება შემოიტანა. რა გაჩქარებს, შე დალოცვილო? ფლავი ხო არაა, რომ გაცივდეს. მე ამ საქმისა არა მჯერა. ბაბაშკა რომ საქმეში გაერევა, იმ საქმეს ფათერაკის სუნი უდის. კორნელი ასეთ საქმეებს არ ჩაიდენდა. მეც მოვითხოვ, რომ დაწვრილებით იქნეს გაგებული.

მეზუკე. გაგებულიც არის და დამტკიცებულიც. უჯრედს არ ენდობით თუ როგორაა თქვენი საქმე. ამხ. ზურაბ, გთხოვთ კენჭი უყაროთ მელიქაძის წინადადებას.

სიმონ. მე მაქვს მეორე წინადადება.

ზინა. ხმა—საიქიოდან.

სიმონ. ზინა. შენ?

ხმები.

— გამორკვეულია.

— არაფერიც არაა გამორკვეული.

— აღმაშფოთებელი ფაქტებია.

— თავიდან ბოლომდე ჭორებია.

— კენჭი უყარეთ მელიქაძის წინადადებას...



კანტორ. ეს ძალადობაა. ეს...

ზურაბ. სსს.. ხმა აღარ გავიგონო მეტი ჩვენი მტრებისა. მე კენჭს ვუყრი...

კანტორ. მე არ მოგცემთ ნებას...

ზურაბ. მალე თქვენზედაც მოვა რიგი. ვინ უჭერს მხარს მელიქაძის წინადადებას? უმრავლესობა. (ხმის მოცემისაგან თავს იკავებენ დემირჩიანი, მოხუცი მკინძავი, კიდევ რამდენიმე მუშა)

მეტრეველი. ეხლა, ამხანაგებო, კანტორისა და თეთრაძის შესახებ, რომლებიც იყვნენ მარჯვენა ხელი მოქალაქე შანიძისა. უჯრედს შემოაქვს წინადადება, რომ ისინიც იქნენ მოხსნილნი და გარიცხულნი ჩვენი რიგებიდან. კანტორი ატარებდა რუსულ თვითმპყრობელურ პოლიტიკას, ეჯავრებოდა ყოველივე ქართული...

კანტორ. ისმინეთ, ვისაც ყურები გაქვთ!

მეტრეველი. ხოლო თეთრაძე, მღვდლის შვილი, კლასიური მტრის აგენტი, ითვისებდა სხვის ნამუშევარს, ეწეოდა კინკლაობას...

სიმონ. და ყოველივე ამ სისულელეებს თქვენ ასაღებთ როგორც პარტიის ხაზს? გალმა გვედავებით, რომ გამოლმა შეგრჩეთ?

ზურაბ. (წამოვარდება) დაჩუმდი, კონტრრევოლუციონერო შენ პოლიტსამმართველოში ამოგაყოფინებ თავს!

სიმონ. შენ შემაშინებ? პარტიისათვის არ არსებობს დიდი და პატარა კაცები. იგი გაუსწორდება ყველას თავისი მოქმედების მიხედვით განურჩევლად პიროვნებისა.

კალისტრატე. მოთმინებიდან გამომიყვანს ეს ლაწირაკი...

სიმონ. გიხაროდეს, მალლაკელიძე! კალისტრატე ხვიჩია შენს მხარეზეა!

ხმები.

- თეთრაძე და კანტორი საუკეთესო მუშები არიან.
- ამდენს რას ალაპარაკებთ! მოვრჩეთ მაგათაც!
- მაგათ საყვედური გამოუცხადოთ. მაგათი გარიცხვა არ იქნება.
- დაჯგუფებულებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს შორის!
- გაირიცხონ, მოგვშორდნენ!

ზურაბ. კენჭს უყრი შემოსულ წინადადებას. ვინ არის მომხრე აგრეთვე კანტორის გარიცხვისა და თეთრაძის მოხსნისა, გთხოვთ ასწიოთ ხელი...

(იგივე სურათი. უმეტესობა სწევს ხელს. მათ შორის ზინაც.)

კანტორ. ამხანაგებო, თქვენ შეცდომაში ხართ შეყვანილი. ამხანაგებო, თქვენ...

ზურაბ. წინადადება ხმების უმრავლესობით გასულია. ბრძოლა გათავდა. კრება დახურულია. (მუშები აიშლებიან ხმაურობით).

კორნელი. ბრძოლა არ გათავებულა. ბრძოლა მხოლოდ ეხლა
დაიწყო.

ხმები. უსამართლობაა. აშკარა უსამართლობა.

ზინა. (დამცინავად ჩაუვლის სიმონს) გიშველოს ეხლა დაჯგუფე-
ბამ.

სიმონ. იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებს.

ფარდა



ქართული
ლიბრარი



მოქმედება მესამე

სურათი პირველი

სტამბაში. ზურაბის კაბინეტი. მაგიდაზე უწესრიგოდ აუარებელი ქაღალდები. ზინა ზის ზურაბის მაგიდასთან და ფარდის ახდის დროს განაგრძობს ტელეფონით ლაპარაკს.

ზინა. გისმენთ, ძვირფასო ზურაბ. დიახ. დიახ. მაშ თქვენ დღეს არ მობრძანდებით სტამბაში? რევოლუციონურ მოგონებებს წერთ? ხელი არ შეგიშალოთ? დიახ. დიახ. გისურვებთ ნაყოფიერ შრომას. ნახვამდის, გმადლობთ. (მიღს ჩამოჰკიდებს) როგორი მრავალფეროვანი და შინაარსიანი ადამიანია. მე კი სიმონ თეთრადის იქით ვერ ვიხედებოდი. ვზივარ ამ სავარძელში და ასე მგონია, თითქოს მე ვიყო დირექტორი. (პაუზა) დირექტორმა! ენამ გიყივლა, სიმონ! შენ დაჯგუფებულეებთან ეძიე დაკარგული სამოთხე, მე კი... მალე, სულ მალე ჩავიკრავ ჩემს დიდ ზურაბს და ვეტყვი: „ეხლა ჩემი ხარ, მთლიანად ჩემი“. (შემოდის ეტიკეტების შემკვეთი).

ეტიკეტების შემკვეთი. ჩემი შეკვეთა მზად არის?

ზინა. თქვენი შეკვეთა რა იყო?

ეტიკეტების შემკვეთი. თხუთმეტი სხვადასხვანაირი ეტიკეტი და წარწერა.

ზინა. (ეძებს ქაღალდებში) მომითმინეთ, ეხლავე გავიგებ. აქ არ არის. (იღებს სტამბის ტელეფონს) სამკინძავო! ეტიკეტები მზად არის? არ გადმოუციათ? სამანქანო!. ეტიკეტები დაბეჭდეთ? არ გადმოუციათ? საამწყობო! ეტიკეტები რატომ არაა მზად? ჯერ არ აგიწყვიათ? ვინ ლაპარაკობს? მეუნარგია? მეტრეველი სადღაა? არ მოსულა დღეს? რაა, კაცო, ასე გაუთავებელი? ბევრი საქმე იყო? ვიცი, რაც საქმეებია. ასე არ ვარგა. (ჩამოჰკიდებს ტელეფონს) არ ყოფილა მზად.

ეტიკეტების შემკვეთი. რას მიშვებით, ქალო. თხუთმეტი ეტიკეტი ერთი აღარაა მზად? წარწერა „ერიდეთ ავტომობილს“ — საჩქაროა. იმ დღეს ავტომობილმა კაცი გაიტანა—ჩვენი დაწესებუ-

ლების მოსახვევში. ეხლა რომ კიდევ მეორე კაცი გაიტანოს, მესამედ მე ჩამაგდებენ ავტომობილის ქვეშ.

ზინა. მზად არ ყოფილა. მე რა ვქნა ახლა?

ეტიკეტების შემკვეთი. მერე კიდევ აუღულარი წყლის შესახებ. ხალხი აუღულარი წყლის სმას დაიწყებს და ამასაც მე დაიბარებენ. რა ვუთხრა ამდენ დაწესებულებებს?

ზინა. რა ვიცი.

ეტიკეტების შემკვეთი. ეს რა სახლაფორთო სტამბას გადავეკიდე. დირექტორი სადაა?

ზინა. არ სცალია. არ იქნება დღეს.

ეტიკეტების შემკვეთი. ჩემთვის თუ არ სცალია, აბა ვისთვის სცალია. (ზინა მხრებს იწევს) დაგრჩენია ქვეყანა და ესაა, მიტომაცაა, რომ ჩვენი საქმე წინ მიდის. (გადის).

ზინა. ერთი უყურეთ ამ ბებერს. ასე ტყუილუბრალოდ არ გამლანძლა. (შემოდის თეატრის ადმინისტრატორი).

ადმინისტრატორი. გამარჯობათ. გამარჯობათ. გამარჯობათ.

ზინა. საში გამარჯობა რა საჭიროა. მოკლედ სთქვი, რაც სათქმელი გაქვთ. ხო ხედავთ არ მცალია. საქმეები მაქვს, ბევრი საქმეები...

ადმინისტრატორი. საში გამარჯობა არ გინდა? ერთიც არ მოგცეს ღმერთმა. რალაც ეშმაკებად გადავეკიდე თქენს სტამბას. სტამბა კი არა — მოშლილი ურეძია. ყველა თეატრები შეუდგნენ მუშაობას. გამოაცხადეს სეზონი, რეპერტუარი, მსახიობები. ჩვენი თეატრის აფიშა კი ვერ იქნა და ვერ გამოვიდა. ერთი აფიშა სტამბაში ერთი თვე ეგდოს — გასაგონია ამისთანა ამბავი?

ზინა. რა იცით, რომ თქვენი აფიშა უკვე მზად არ არის?

ადმინისტრატორი. მზად არის? კაი დაგემართოს, მომეცი.

ზინა. ეხლავე (ტელეფონით) სამანქანო. ჩამოგზავნეთ მოძრავი თეატრის აფიშები.

ადმინისტრატორი. დაგელოცა მშობელი (შემოაქვთ აფიშები. ზინა დაუდებს წინ).

ზინა. ესეც აფიშები. მიდით ეხლა ბუხჩალტერიაში, გადაიხადეთ ფული.

ადმინისტრატორი. (ათვლიერებს აფიშებს და უცბად მრისხანედ) რა არის ეს? რაში გადავიხადო ფული? რას გამომჭერთ ყელი? რას ამომიწყვეტეთ ცოლს შვილი? რო გამოგიცხადებიათ ნადარეიშვილი — სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელად, ხომ არ გაგიყდით? კორინთელი კიდევ — დამხმარე მსახიობად, ვაი! ვაი! უკულმა — ყირაზე-

დაუტრიალებიათ ყველაფერი. კორინთელი — სამხატვრო ხელმძღვანელია, ნადარეიშვილი კი — დამხმარე მსახიობი. ეს არის ჩემი შეკვეთა?

საქონლის
სამსახურის

ზინა. (ტელეფონით) საამწყობო. ვინ არის ტელეფონთან? დემირჩიანი? ამხანაგო დემირჩიანი, რაშია საქმე? რატომ აგიწყიათ ასე არეულდარეულად მოძრავი თეატრის აფიშა? აუარებელი შეცდომებია შიგ. რაო? ასჯერ შესცვალა ორიგინალი? ფანქრით მიაწერა თვითონ? ბევრი ხაზები იყო გადასმული? მერე? თვით ამ ადმინისტრატორს აქვს ტვინი აბნეული? მაინც... არა, ამხანაგო დემირჩიანი, ასე არ იქნება. კორექტურა უნდა გეჩვენებინათ მისთვის.

ადმინისტრატორი. რა ვქნა ეხლა?

ზინა. ავაწყობთ ხელახლა აფიშას. მეტი რა გზაა.

ადმინისტრატორი. ამ ხუთწლედში დაბეჭდეთ, თორემ-მეორე ხუთწლედს — შეიძლება ვეღარც მოვესწრო. (გადის)

ზინა. რა მწარე ენა ჰქონია. (პაუზა) ძნელი ყოფილა დირექტორობა. (მძიმედ ჩაეშვება სავარძელში. შემოდის რედაქტორი).

რედაქტორი. სად არის დირექტორი?

ზინა. დირექტორი არ არის.

რედაქტორი. სად არის დირექტორი?

ზინა. მე უკვე გითხარით.

რედაქტორი. სად არის დირექტორი?

ზინა. (დაბნევით) დირექტორს არ სცალია. დირექტორი არ იქნება, არ ვიცი...

რედაქტორი. ვინ ჰყავს მოადგილე?

ზინა. მოადგილე ეხლა არავინ არ ჰყავს.

რედაქტორი. ვის შეუძლია გამცეს პასუხი მის მაგივრად?

ზინა. მე.

რედაქტორი. ჩემს გაზეთს აწერია, რომ იგი დეკადურია. გამოდის კი თვეში ერთხელ. ეს უკანასკნელი ნომერი მიძღვნილი იყო სპეციალური კამპანიისათვის. გაზეთი ჩავარდა. იმ კამპანიამაც გადაიარა. რა ვუყო ეხლა? გეკითხებით, რა ვუყო ამ ჩავარდნილ ნომერს? წავიღო და ოთახში გავაკრა ფანჯრებზე?

ზინა. მოითმინეთ, გავიგებ მიზეზებს. (ტელეფონით) საამწყობო. ვინ არის აპარატთან? ხვიჩია? რაშია საქმე? მეტრეველი სადაა? არ მოსულა მთელი დღე? მერე, ალბათ, გამოგზავნის ბიულეტენს და ხახვივით შერჩება გაცდენილი დღე. ხვიჩია, რისთვის ჩავარდა დეკადური გაზეთი? რა? მეთაური იყო საძაგელი ხელით დაწერილი და აწყობა

ვერ დაასრულე? ეს არის მთელი მიზეზი? არ გრცხვენიათ? რაო, რაო? რა სთქვი? მეორე კორნელი შანიძე გავხდი? სისულელეს ამბობ, კალისტრატე, მე ამას დირექტორს მოვახსენებ.

რედაქტორი. დირექტორს მოახსენებ, თორემ ერთბაშად არ შესცვალოს მდგომარეობა. თევზი ყოველთვის თავიდან ჰყარს...

ზინა. როგორ ბედავთ თქვენ ამხანაგი ზურაბის... (რედაქტორი გავიდა. შემოდის სახელგამის რწმუნებული) თქვენ რაღა გნებავთ?

სახელგამის რწმუნებული. მე ბევრი რამე მნებავს. მაგრამ რაშია საქმე, რომ შემოსვლაც არ მაცალეთ?

ზინა. დაბრძანდით. მე უკვე დღეს ნერვები ამიშალეს.

სახელგამის რწმუნებული. ნერვებისათვის კარგია მახინჯაური. ციხისძირი. (ჯდება).

ზინა. გადავიდეთ საქმეზე.

სახელგამის რწმუნებული. ვნახავ თქვენ საქმესაც. ხელშეკრულებით, დღეს უკვე უნდა ჩავიბარო შეკვეთის ნახევარი, ესე იგი ათი სახელმძღვანელო. მე სახელგამის რწმუნებული ვარ.

ზინა. სწორია. უნდა მიგელოთ... მაგრამ რა უყო, მზად არ არის.

სახელგამის რწმუნებული. რამდენი არაა მზად?

ზინა. არც ერთი.

სახელგამის რწმუნებული. პარტიის დირექტივა? მომავალი სასწავლო წლის გეგმის ჩატუშვა? ვინ უნდა აგოს პასუხი? კმარა. მეტი მოთმენა აღარ შეიძლება. მე წავალ და ამის შესახებ ვაცნობებ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. (პაუზა) დირექტორი სად არის?

ზინა. არ სცალია.

სახელგამის რწმუნებული. პარტიის დირექტივებისათვის არ სცალია? (ირონიულად) აბა ძალიან დიდი კაცი ყოფილა?

ზინა. განა არ იცით, რომ ზურაბ მალლაკელიძე დიდი კაცია?

სახელგამის რწმუნებული. პარტიული დირექტივები ეხება ყველას განურჩევლად პიროვნებისა. (გადის).

ზინა. განურჩევლად პიროვნებისა. ამ საკითხში გარკვევაა საჭირო. მე მეტი აღარ შემიძლია. ეტყობა სტამბაში ყველაფერი არ ყოფილა თავის რიგზე. აღარ ვიცი რა ვუპასუხო ხალხს. თუ კიდევ ვინმე შემოვიდა — პირდაპირ გავგიჟდები. არა. მეტი გზა აღარ დამრჩება. მიუხედავად გაფრთხილებისა, უნდა ტელეფონით გამოუძახო ზურაბს. (შემოდის პარტკოლეგის გამომძიებელი).

პარტკოლეგის გამომძიებელი. მე ვარ პარტკოლეგის წევრი. მე მჭირია ზოგი მასალა...

ზინა. ჩვენ ხომ უკვე გავწმინდეთ და აღმოვფხვრით დაჯგუფება?

პარტკოლეგიის გამომძიებელი. მართალია, მაგრამ შესაძლებელია კიდევ მოხდეს რამე ცვლილებები დამატებით... მე მჭირდება თქვენი საწარმოო გეგმა წინა კვარტალისა და აგრეთვე უკანასკნელისა.

ზინა. ინებეთ. ამ ყდაშია ყველაფერი, რაც გაინტერესებთ. გამომძიებელი იხდის პალტოს საფუძვლიანად. ჯდება. იღებს ქალაღს, კანქარს და ყურადღებით ეცნობა ძასალას. ზინა ოდნავი ეჭვით და შეშფოთებით ადევნებს თვალყურს.

პარტკოლეგიის გამომძიებელი. საინტერესო მაჩვენებლებია. შრომის ნაყოფიერება... თვითღირებულება...

ზინა. რა ნახეთ? არ შეიძლება მითხრათ?

პარტკოლეგიის გამომძიებელი. შრომის ნაყოფიერების სამარცხვინო დაცემა. თვითღირებულების დაუჯერებელი ზრდა. ხელფასის ფონდის გადახარჯვა. მუშახელის არამართებული განაწილება, შრომის არარაციონალური ორგანიზაცია. საწარმოო ტექნიკური დეფექტების სიმრავლე...

ზინა. კმარა. კმარა.

პარტკოლეგიის გამომძიებელი. თქვენი სტამბა თავისი დირექტორით აშკარად შავი დაფის კანდიდატია.

ზინა. რას ამბობთ, რას... დირექტორი—ზურაბ მალლაკელიძეა.

პარტკოლეგიის გამომძიებელი. მით უარესი. პარტია მისგან მეტს მოითხოვს. ამ შემთხვევაში მას აღარ გამოადგება ძველი მარაგი. არ შეიძლება მთელი სიცოცხლე გაატარო მხოლოდ წარსული დამსახურებით. პარტიისათვის არსებობს უძლიერესი იარაღი: „განურჩევლად პიროვნებისა“.

ზინა. (აღუღვებით) მე გამოუძახებ ზურაბს. ელაპარაკეთ პირადათ. ასე ხომ არ შეიძლება? ალბათ, იმას ექნება სათქმელი. მე როგორ უნდა გიპასუხოთ მის მაგიერ? (იღებს ტელეფონს) 7 — 10. დიახ 7 — 10. 7 — 10. არ პასუხობს.

პარტკოლეგიის გამომძიებელი. რა საჭიროა მისი დაძახება. ფაქტები თავისით ლაპარაკობენ. ხოლო ზურაბთან შეხვედრის შემთხვევა გვექნება. ნახვამდის (გადის).

ზინა. 7—10. 7—10. 7—10. არა. არ პასუხობს. რა ამბავია? მე კი მეტი აღარ შემიძლია. აღარ შემიძლია. ან ეჭვები უნდა გავფანტო, ან... ან... ან... რა დროს თავმოყვარეობაა. გასწი, ზინა, პირდაპირ ზურაბის ბინაზე!. (სასწრაფოდ გადის).



ზურაბის ბინაზე. აულაგებელი მაგიდა. ჭიქები, ღვინის ბოთლები [უწესრიგ-
გოდ. პატეფონი განუწყვეტლივ უკრავს. ზურაბი — ოდნავ მთვრალია, მაგრამ
თავს იკავებს. გამოთიშავს ტელეფონს.

ზურაბ. ეხლა რეკეთ რამდენიც გინდათ და ვისაც გინდათ
7—10. დავამუნჯე. (ჩამოჯდება ფანჯარასთან და ცალი თვალით იცქირება.
ქუჩისკენ) არ მიყვარს ეს მოლოდინი. დაკარგული დროა. სამაგიერ-
ოდ... როცა ლიდა ჩემს მუხლებზე ზის და მისი ვნებიანი სუნთქვა-
მესმის, მაშინ ვგრძნობ სიცოცხლეს, სხვანაირ სიცოცხლეს. (პაუზა.
ერთხანს ლაპარაკობს მწუხარებით და სინანულით) ამ სხვანაირი სიცოცხლი-
სათვის მე დავკარგე საუკეთესო მეგობარი. მივედი იმ საზღვრამ-
დე, როცა დამჭირდა ტყუილი, ფაქტების შეთხზვა, ცილისწამება...
მოვხსენი საუკეთესო მუშაკები: კორნელი, კანტორი, თეთრადე...
სტამბაში გარღვევაა აშკარად... მე ვერ ვამჩნევდი... რა ვქნა ეხლა?...
საითკენ მივექანები?... ხომ არ შევტოპე ძალიან შორს?... სტამბის
მაგიერ ვზივარ სახლში და ველი დედაკაცს, რომელსაც შევწირე ყოვე-
ლივე... თუმცა... (მივა მაგიდასთან და ისხამს რამდენიმე ჭიქა ღვინოს და
ზედიზედ გადაჭკრავს) კმარა სენტიმენტალობა... რას მიქვია: სტამბა.
რკინა, ფოლადი, ჟანგი, საღებავები. ხა, ხა, ხა! განა ყოველივე ეს
ერთად აღებული შეედრება ლიდას, განუმეორებელ ლიდას? (პაუზა).
არ მესმის, რატომ უნდა იყოს ეს მიუღებელი საქციელი პარტიული-
სათვის. განა მე არა მაქვს უდიდესი რევოლუციური წარსული? გა-
ნა პოლიგრაფიული მრეწველობის ზრდასაც არ დავატყე ჩემი ხელი
და უნარი? მაშ რატომ არ შემიძლია დრო გავატარო იმ ქალთან,
რომელიც მომეწონება? (კარებზე აკაკუნებენ სამჯერ, ნელა). დათქმული-
ნიშანი. ლიდა. ეხლავე, ჩემო გვრიტო (აღებს კარებს და შემოდის ლი-
და. ზურაბი უკვე შემოსვლისთანავე გადაეხვევა) კინალამ სული გამძვრა-
მოლოდინში.

ლიდა. (იხდის პალტოს. ზურაბი შველის. ჩამოჯდებიან დივანზე: ზურაბს
ხელში უჭირავს ლიდას ხელი) მელოდი, ძალიან მელოდი, ზურაბ? ცო-
ტათი შემთვრალხარ კიდევ. იქნებ ჩემს მოლოდინში?

ზურაბ. საოცარი ამბავია. ველარ ვუძლებ მოლოდინს. არც მეს-
მის რაა ეს მოლოდინი. მე ვოცნებობ ისეთ დროზე, როცა ტექნიკა-
მოიგონებს იმნაირ ავტომატს, რომ ადამიანის სურვილი მყისვე გან-
ხორციელდეს. აი, მაგალითად, მე ვინატრე შენი ნახვა და შენ ყოველ-
გვარი მოლოდინის გარეშე უკვე გაჩნდი ჩემს ოთახში. აი ეს იქნება —
მიღწევა!

ლიდა. როდის იქნება ასეთი ავტომატი?

ზურაბ. საუკუნეები გაივლიან.

ლიდა არა. საუკუნეებმა უკვე შექმნეს ასეთი ავტომატი და თუ შენ, ჩემო ზურაბ, ძალიან ოცნებობ ჩემზე, მაშინ საჭიროა მხოლოდ გადასწყვიტო და ყოველთვის შენს ოთახში გაეჩნდები. ზურაბ. არ მესმის.

ლიდა. უბრალო ამბავია. ამ ავტომატს ჰქვია ცოლ-ქმარი. (ზურაბი უსიამოვნებას გამოხატავს სახეზე) რისთვის შეიქმუხნე შუბლი, ჩემო ძლიერო კაცო? მე აღარ შემიძლია გავაგრძელო ეს მალული მდგომარეობა. კორნელიდან წამოვედი. მშობლებისათვის ვერ მითქვამს ნამდვილი მიზეზი. მიცქერიან აღმაცერად. იცი, რა რიგ უყვართ იმათ კორნელი. ვერ გაუგიათ ჩემი საქციელი. ყოველი ლუკმა, რომელსაც იქ ვჭამ, ყელზე მადგება. მე შეგიყვარე იმიტომ, რომ შენ ძლიერი ხარ. მაგრამ ეს სიძლიერე ჩემთან შენ გინდა გაატარო მხოლოდ მალულ ვნებაში. კარგია. ტკბილია. მაგრამ მომბეზრდა ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა. მე მინდა პირდაპირ დაგიყენო საკითხი: გიყვარვარ? მოგწონვარ? გაშორდი ელენეს, შემირთე ცოლად.

ზურაბ. (წამოღგება) ცოლად! ცოლად! სხვა სიტყვა თქვენთვის არ არსებობს. სიყვარული არ იცით. მაინც და მაინც გსურთ გერქვათ ცოლი! (პაუზა) შენის აზრით, ლიდა, ჩვენს დროში ცოლად ყოფნა დიდი პრივილეგიაა?

ლიდა. რა გინდა სთქვა? არალეგალური ცოლობა იქნებ მიჯაჩნია ისეთივე რევოლუციონერობად, როგორც თვითმპყრობელობის დროინდელი არალეგალური სტამბა?

ზურაბ. ლიდა, დამიჯერე, რომ სახელწოდება ცოლი — ეს უდიდესი მეშჩანობაა.

ლიდა. ელენე მეშჩანობა ყოფილა. მაშინ რაღა გაკავშირებს მასთან?

ზურაბ. უბრალო შეჩვევა. წყეული ტრადიცია. აუცილებლობა... შენ კარგად იცი, რომ მე იგი არ მიყვარს. მე მას მივეცი დეპეშა, რომ ქობულეთიდან სოხუმში წავიდეს. როგორც ჰხედავ, მე ვახანგრძლივებ მის აქ არყოფნას. ნეტავი მთელი ზამთარიც დარჩებოდეს იქ!. მე და შენ ხომ სულ ერთად ვიქნებით (ცდილობს მოეხვიოს).

ლიდა. (გაუსხლტება ხელიდან). არა. მე არ მაკმაყოფილებს, მიპასუხე პირდაპირ: რისთვის არ შეგიძლია გაშორდე ელენეს?

ზურაბ. (დაისხამს ღვინოს) იგი მესამე ცოლია... რას იტყვის ქვეყანა, პარტია.

ლიდა. (უკმაყოფილოდ) მესამე ცოლია... ესე იგი მე უნდა უყოფილიყავი მეოთხე... (უცბად) მე ამაზედაც თანახმა ვარ, მაგრამ

შენ მაინც კიდევ სხვა მოსაზრება გაქვს: „რას იტყვის ქვეყანა პარტია“. ეს მიში, თუ რას იტყვიან სხვები—ეს არაა მემჩანობა? კიდევ დაგრჩა უთქმელი: „რას იტყვის ელენე“.

ზურაბ. დამცინი, ლიდა? (განაგრძობს სმას).

ლიდა. სრულიადაც არა. გეყოფა სმა. (გამოსტაცებს ჭიქას ხელიდან).

ზურაბ. (დაიჯენს ძალით) ჩემო ლიდავ, ჩემო სიცოცხლევ, შენ გენაცვალე, მომეხვიე. ასე. შენ შემოგვევლოს ათასი ელენე.

გარედან ინგლისური გასაღებით ვიღაც აღებს კარებს. შემოდის ელენე. ხელში უჭირავს ჩემოდანი, რომელსაც გააგდება. კარი ღია რჩება).

ელენე. ეს რა ამბავია? (შაბობებიან ორთავენი გაფითრებულნი).

ზურაბ. ელენე, მენ?... რისთვის ჩამოხვედი ასე მალე?... შენ ხომ სოხუმში უნდა წასულიყავი? შენ ხომ... მე ხომ...

ელენე. (შეაჩეობს პატეფონს) მე შენ გეკითხები, შრომის ორდენოსანო ვაჟბატონო, რას ნიშნავს ეს ამბავი?

ლიდა. (ზურაბს) უბასუხე... უთხარი სიმართლე...

ზურაბ. მე... მე... ვმუშაობდი... ვწერდი... ლიდა მეხმარებოდა, სტილს მისწორებდა.

ელენე. სტილს გისწორებდა... გეხმარებოდა... რევოლუციონურ მოგონებებს აკეთებდით ერთად, არა?

ზურაბ. დაწყნარდი, ელენე. ყველაფერს აგიხსნი.

ელენე. რაღას ამიხსნი. ყველაფერი ახსნილია და გარკვეულია. ცრუ! მოღალატე! საზიზღარო! პირუტყვო! ნადირო!

ზურაბ. გაჩუმდი, ელენე. მეზობლები გაიგონებენ. (შემობრბის ზინა, რომელიც ამ სცენის დროს უსიტყვოდ გაშეშდება).

ელენე. გაიგონონ. ყველამ გაიგონოს. მთელ ქვეყანას შევეყრი. აი შენ ზინა — შენც გაიგონე და გადაეცი მთელ სტამბას თუ რა კაცია ეს...

ზურაბ. ჩაჩუმდები თუ არა? (ხელს იკიდებს რევოლვერზე).

ელენე. ვერ დამამინებ შენი რევოლვერით. მესროლე. (მიუბრუნდება ლიდას) გაეთრიე აქედან, როსკიპო, ბინძურო, გარყვნილო...

ლიდა. ზურაბ! ეს არის შენი სიყვარული? რისთვის გაჩუმებულხარ, ზურაბ!

ზინა. რაო? სიყვარული? ამხანაგო ზურაბ! აკი რევოლუციონურ მოგონებებს ვწერო? თქვენ... თქვენ... ლიდა შანიძესთანაც კავშირი გქონდათ... სულელს... მე კი მეგონა რომ მე მარტო...

ზურაბ. დაჩუმდი, მაიმუნო. შენ მაინც რაღამ მოგათრია აქ... ოპ, ქალებო, ნეტავი სოციალიზმის დროს მაინც ამოსწყდებოდეს თქვენი ხსენება.



საერთო კრება საროტაციოში. როტაცია—დგას სცენის სიღრმეში. ზოგჯერ მათები ხიან საფეხურებზე. მომალლებულ ადგილას მაგინდა, რომელსაც შემოსხდომიან წმინდის კომისიის წევრები. პირველ რიგებში სხედან მელიქაძე, მებუკე, მეტრეველი, ზვიჩია, მეუნარგია. უკანა რიგებში სხვადასხვა ადგილას კანტორი, კორნელი, ზინა, სიმონი, პელაგია, თამრო, დემირჩიანი, მოხუცი მკინძავი, რედაქტორი, სახელგამის რწმუნებული. ტრიბუნასთან დგას ზურაბი.

ზურაბ. ვამთავრებ. ერთ საათიან სიტყვაში მე არ შემეძლო ჩამომეთვალა ამ გმირული ბრძოლის ყველა საინტერესო დეტალები. ამხანაგებო—გამწმინდი კომისიიდან! თქვენ ჰხედავთ ჩემს მკერდზე შრომის ორდენს. ეს არის ჩემი საუკეთესო ჯილდო, რომელიც მივიღე ჩემი რევოლუციონური წარსულისათვის.

ხანგრძლივი ტაში. განსაკუთრებით პირველ რიგებში. ზურაბი ჯდება მაგიდასთან, ნაპირზე და კმაყოფილი სახით ცხვირსახოცით იწმინდს ოფლს შუბლზე.

თავჯდომარე. თქვენ მოისმინეთ ამხ. ზურაბ მაღლაკელიძის სიტყვა მისი წარსულის შესახებ. აქ გაისმა აგრეთვე ტაში. ყოველი ეს, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ ტაშის გარდა ჩვენ გვინდა გავიგოთ მუშების აზრი, ჩვენ გვინდა მოვისმინოთ ადამიანების ცოცხალი სიტყვა, მათი მიუდგომელი შეფასება. ჩვენ გვინდა გავეცნოთ გასაწმინდ ამხანაგს ყოველმხრივ, მის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას, მის ყოფა-ცხოვრებას. გთხოვთ, გამოხვიდეთ, ილაპარაკოთ. დამსწრეთ გთხოვ გამოსულ ამხანაგებს არავითარ შემთხვევაში არ შეუშალონ ხელი და დაიცვან აბსოლუტური სიწყნარე. სიტყვა მიეცემა ყოველ თქვენთაგანს, ვინც კი მოისურვებს გამოსვლას. ვის სურს პირველად?

ზინა. მე. (დარბაზში ოდნავი ჩოჩქოლი. თითქმის ყველანი ცნობისმოყვარეობით მობრუნდებიან ზინასკენ. ზურაბს ეტყობა ოდნავი აღელვება).

თავჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მუშა ქალს ზინა სარიშვილს, გთხოვთ ამოხვიდეთ ტრიბუნაზე. (ზინა მიიმართება ტრიბუნისაკენ)

მეტრეველი. (თითქმის თავისთვის) ყოჩაღად, ზინა, აბა შენ იცი.

ზინა. (უკვე ტრიბუნაზეა) ცდებით, მეტრეველო, თქვენ ველარ გაიგონებთ ჩემგან იმას, რასაც გაიგონებდით ამ რამდენიმე დღის წინედ. (პაუზა) მაღლაკელიძეს მე ვათასებდი, პატივს ვსცემდი. უფრო მეტიც: მე იგი შემეყვარდა. ეს იყო ჩემი დიდი შეცდომა. მე მომწონდა მისი ენერჯია. ნებისყოფა, რევოლუციონური წარსული. შრომის ორდენი მის მკერდზე—მგვრიდა ალტაცებას. მე მწამდა ზურაბ მაღლაკელიძე. მე მჯეროდა მისი უსაზღვროდ. იგი იყო ჩემს თვალში სინიდიისა და პარტიის ხაზის განსახიერება. დღეს კი...

ზურაბ. შურისძიება? ქალის შელახული თავმოყვარეობა? (ზინა უცქერის თავმჯდომარეს)

თავმჯდომარე. ვიმეორებ კატეგორიულად ჩემს წინადადებას: დაიცვათ სრული სიწყნარე და არ შეუშალოთ ხელი ამხანაგებს. (ზინას) გთხოვთ განაგრძოთ.

ზინა. მე ვიყავი ასოთამწყობი. უცბათ დამაწინაურეს. გავხდი დირექტორის მდივანი და დავჯექი მის კაბინეტში. მიხაროდა. გვიან მივხვდი, რომ ამ დაწინაურებას ჰქონია თავისი სავალალო კულისები. ერთ დღეს, როდესაც დავრწმუნდი, რომ სტამბაში საქმეები არ იყო თავის რიგზე, ხოლო ზურაბი კი ამ დროს, მისი სიტყვით, წერდა სასწრაფოდ რევოლუციონურ მოგონებებს, მე გადავწყვიტე წავსულიყავი მასთან ბინაზე, რომ ყოველივე ეს მეცნობებინა მისთვის უშუალოდ. (პაუზა არა. ეს არ არის შურისძიება, არც ქალის შელახული თავმოყვარეობა. მე უნდა დავდო ბრალი ზურაბ მაღლაკელიძეს, და რომ არ დავდო, რომ დავუშალო კომისიის წევრებს ყოველივე ის, რაც მე ჩემი თვალებით ვნახე, ეს იქნებოდა ლალატი. (პაუზა) მე ბრალს ვდებ ზურაბ მაღლაკელიძეს ყოფა-ცხოვრებრივ გახრწნაში. (ჩოჩოლი. ზინა ხმას უმატებს) ელენე ყოფილა მაგის მესამე ცოლი, ამავე დროს მახეში გააბა კორნელი შანიძის მეუღლე ლიდა. ხოლო ამ დროს თავის სქელ კლანჭებში მეც მიპირობდა მომწყვდევას. ამის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა ბევრი რამ. მე დავასრულე. დე წამოდგეს ზურაბ მაღლაკელიძე და გაბედოს უარპყოს ის, რაც მე ვსთქვი. (გაუბედავი ტაში უკანა რიგებში).

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? (მუშები უხერხულ მდგომარეობაში იცქირებიან ზურაბის მხარეს)

სიმონ. მე.

თავმჯდომარე. გთხოვთ ტრიბუნაზე. დანარჩენებს, გთხოვთ ჩაეწეროთ წინასწარ. (თავმჯდომარე ადგენს სიას)

სიმონი. (ადის) მომხსნეს სტამბიდან, მომაკრეს შუბლზე დაჯგუფებულის სახელწოდება და გაპისტუმრეს ქუჩისკენ. (პაუზა) ცამეტი წლის ასოთამწყობის სტაჟი საბჭოთა ხელისუფლების დროს — ეს ყოფილა მთელი სკოლა. მე ვაწყობდი ლენინის წიგნებს. ამ წყობის პროცესში, გავიმსჭვალე მისი აზრებით და იდეებით. ვმუშაობდი პატიოსნად, გეგმებს ვასრულებდი გადაქარბებით და ჩემი გვარი მუდმივად ელვარებდა წითელ დაფაზე. და აი როცა მომხსნეს, შეუდექი ბრძოლას. „ყოვლისშემძლე“ დირექტორის ხელი ყველგან მწვდებოდა. ისიც კი გამომიქექეს, რომ ვარ სასულიერო წოდების შვილი. მე არ ვიცნობდი ჩემს მამას, მაგრამ კიდევ რომ მცნობოდა, განა მე ვიყავი დამნაშავე იმაში, რომ ის ჩემი მამა იყო? (პაუზა) მე აღმადგინეს. პარტიას უყვარს პატიოსანი მუშები. პარტია

არავის დააძალავინებს მათ თავს, არავის. (პაუზა). (მიუთითებს ზურაბისაკენ.) აი ადამიანი — შრომის ორდენით. ეს ორდენი დაიმსახურა მისმა წარსულმა. მაგრამ შრომის ორდენი — ეს არ არის დამზღვევე საღარიბო. ადამიანი შრომის ორდენით უფრო ძლიერად უნდა ჰგრინობდეს პასუხისმგებლობას. მაღლაკელიძემ მიიკრა მკერდზე ორდენი და მისთვის დასრულდა ყოველივე, თითქოს მთელი ცხოვრების შინაარსი მხოლოდ ორდენში იყო. სტამბა ამოვარდა თავისი ტემპებიდან. გაიზარდა თვითღირებულება, ინტრიგები, მლიქვნელობა. დანარჩენი სტამბები ამზადებენ გამარჯვების პატაკებს. ჩვენ კი გამოგვჭიმეს მაგ დაფაზე. მე ბრალს ვდებ ყოველივე ამაში ზურაბ მაღლაკელიძეს. (ტაში).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ კანტორს.

კანტორ. ბევრი რამეა სათქმელი, მაგრამ თავს ვიკავებ, რომ არ შეიქმნეს შთაბეჭდილება თითქოს ვლაპარაკობთ ჩვენი რეაბილიტაციისათვის. ეს უკვე გააკეთეს საკანტორო ორგანოებმა. შევებოთ ზურაბს, რამდენად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია! მაღლაკელიძეები ჯერ არ ყოფილა მთლიანად აღმოფხვრილი ძველი საუკუნის ადამიანი. როდესაც მიუთითებ სტამბაში არსებული გარღვევის შესახებ, მაშინ მან მოისურვა, რომ წავთრეულიყავი ჩემს ბერდიჩევში. რას ნიშნავს სიტყვა „ბერდიჩევი“? მაღლაკელიძეს სურს გამაგზავნოს, უკან, გეტტოში? დააგვიანდა. (პაუზა) მე არ მჯერა, რომ ეს სიტყვები მან ისროლა გულის სიღრმიდან. ეს სიტყვები არ ეკუთვნის რევოლუციონერ მაღლაკელიძეს, რომელიც ზრდიდა მთელ თაობას. მასში ჩაჯდა ვიღაც უცხო ადამიანი, რომელმაც დაჰკარგა წონასწორობა და კლასობრივი ალღო. (ტაში).

მეტრეველი. (წამოხტება). დემაგოგიაა. თვითონაა ველიკო დერჟავნიკი...

ხვიჩია. მოთმინებიდან გაპომიყვანს მაგ ურია...

ზურაბ. (მკერდზე ხელს ირტყამს) ყველას გაგისწორდებით... დამაცათ...

თავმჯდომარე. (ზარს რეკს) უკანასკნელი გაფრთხილება, ვინც დაარღვევს წესრიგს, გაყვანილი იქნება. სიტყვა ეკუთვნის მოხუც მკინძავს. ამობრძანდით ტრიბუნაზე.

მოხუცი მკინძავი. გმადლობთ, ამხანაგო. ორი სიტყვა მაქვს სათქმელი ამ ვაჟბატონისათვის. როგორმე აქედანაც ვეტყვი. (მიუბრუნდება ზურაბს). ნუ გვაშინებ შენი წითელი ორდენით, ნუ გვიგუბებ ყოველთვის პირში წყალს! როცა მე მიხდოდა ყოვლად პატიოსანი კორნელისა და მისი ამხანაგების გამოსარჩლება, ორი სიტყვაც არ მათქმევინებ და ისინი უსინდისოთ მოგვახსნევინებ. ეხ-



შენ მე ბრალს ვდებ სტამბის მუშაობის ჩაშლაში და თვითკრიტიკის ჩახშობაში.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ამხანაგი რედაქტორი.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი. გამოსულ ამხანაგებს ვეთანახები. ჩემი მხრით, მაგალითისათვის ვასახელებ გაზეთს, რომელსაც ვრედაქტორობ. იგი უნდა ყოფილიყო ყოველდღეკადური და სტამბის უხეირო მუშაობის გამო—ძლივს გამოჩანჩალებს თვეში ერთხელ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სახელგამის რწმუნებული.

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი ს რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი. მე ბრალს ვდებ ზურაბ მაღლაკელიძეს პარტიის დირექტივების უხეშად დარღვევაში. მომავალი სამოსწავლო წლისათვის სტამბამ ვერ უზრუნველჰყო ვერც ერთი სახელმძღვანელოს გამოცემა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ამხანაგი კორნელი შანიძე. (მუშების დიდი ნაწილი ხვდება მას ტაშისკვრით. ტრიბუნაზე ადის ნელა და დინჯად)

კ ო რ ნ ე ლ ი. მე ბრალი დამდეს თითქოს მომეწყოს ჩემი ძმა არჩილ შანიძე სხვისი გვარით. უფრო მეტიც: თითქოს მე ათასი მანეთის ქალაღდი გავანიავე პირადი საჭიროებისათვის. პარტიის საკონტროლო ორგანოებმა მოჰკიდეს ამას საფუძვლიანად ხელი. ამ საქმის დაფებმა თავი მოიყარეს ჩემს ყოფილ მეუღლესთან, რომელიც თავისი მხრით, დაკავშირებული იყო ზურაბის გეგმებთან. (პაუზა) ეს ბრალდებები არ გვაკმარეს და, სიმონის არ იყოს, მოგვაკრეს დაჯგუფების სახელწოდება, გამოიყენეს ზარმაცი მუშები, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ ჩვენი პასუხისმგებლობის შეგნებით და ჩვენ მოგვიშორეს. (პაუზა) მე დღეს ვრწმუნდები, რომ სტამბაში მართლაც არსებობდა დაჯგუფება, ხოლო ეს დაჯგუფება იყო ზურაბ მაღლაკელიძის გარშემო, რასაც, სამწუხაროდ, დროზე ანგარიში ვერ გავუწიეთ. (ტაში)

პ ა რ ტ კ ო ლ ე გ ი ის გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი. ამხანაგებო, მე მინდოდა გამოვსულიყავი თქვენს წინაშე არა როგორც გამწმენდი კომისიის წევრი, არამედ როგორც მოწმე. მაგრამ მე სათქმელი აღარაფერი დამრჩა. მე მხოლოდ უნდა სავსებით დავადასტურო უკვე გამოსული შვიდი ამხანაგის მიერ მოყვანილი ფაქტები და ბრალდებები. განცხადების სახით მინდა დაუმატო, რომ ყველა აქ წამოჭრილი საკითხების შესახებ პარტკოლეგიას ჰქონდა თავისი მსჯელობა, რომლის შედეგად მის მიერ მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებებისა, რომლებიც თან დაერთვიან ამ საქმეს,

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის სურს კიდევ სიტყვა? (ხმას არავინ არ იღებს) სიჩუმე თანხმობის ნიშანია? მეტრეველი! მელიქაძე! მებუკე! ხვიჩია! არაფერი გაქვთ სათქმელი? უცნაურია. მაშინ იქნებ თქვენ,

ზურაბ მაღლაკელიძე, გვითხრათ რამე თავის გასამართლებლად.

ზურაბ. ამხანაგებო... ჩემი წარსული...

თავმჯდომარე. წარსულის გარეშე არაფერი გაქვთ სათქმელი?

ზურაბ. თქვენ არა გაქვთ უფლება წამართვათ ჩემი წარსული: თავმჯდომარე. არავის არ სურს წაგართვას წარსული. ჩვენ გვინტერესებს ამჟამად მხოლოდ თქვენი აწმყო. თქვენ მოისმინეთ უმძიმესი ბრალდებები, რომლებიც სეტყვასავით დაგაყარეს თავზე. გაქვთ რაიმე საბუთები—ამ ფაქტების უარმყოფელი?

ზურაბ. ეს გამოსვლები იყო ორგანიზაციულად მოწყობილი. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ მათ მოაწყეს დაჯგუფება ჩემს წინააღმდეგ. ამის შემდეგ, განა საეჭვოა, რომ ჩემი ეს ერთადერთი შრომის ორდენი უფრო მეტს იწონის, ვიდრე ეს შვიდი კაცი ერთ სასწორზე აღებული? ესენი ყველა არიან გათახსირებული ელემენტები...

ხმები. გეყოფა. გეყოფა. გეყოფა.

თავმჯდომარე. თუ გინების მეტი არაფერი დაგრჩენიათ, თუ თქვენ ჯერ კიდევ ვერ მიხვდით, რომ აუდიტორია დაჰკარგეთ, მაშინ ნება მიბოძეთ...

დემირჩიან. ვიდრე თქვენ დაიწყებდეთ — აღარ შეიძლება? (თავმჯდომარე თავის დაქნევით აძლევს სიტყვას) დიდია ზურაბის დანაშაული. მით უფრო დიდია, რომ იგი ეკუთვნის იმ სახელოვან თაობას, რომლის გზებითა და გამოცდილებით დღეს ახალგაზრდობა ირაზმება. (პაუზა) ზურაბი შეცდა? შეცდა. ჯერ შარაგზაზე იყო, მერე უცბად ვიწრო ბილიკზე ამოჰყო თავი...ერთი სიტყვით... ასე ვთქვათ შესტობა და მაგრადაც შესტობა...ეხლა, ჩემის აზრით, არაფერი ვაჟკაცობა იქნება ამპარტავნობა, სიდიდგულე და ამისთანა რამეები...ჩვენ არ გვინდა ზურაბზე ხელი ავიღოთ...მაშ ნუ შერცხვება...გამოვიდეს საჯაროდ...თავისი შეცდომები ჩამოსთვალოს... ჩამოსთვალოს...

ყველანი შესცქერიან ზურაბს, რომელიც საოცრად გაფითრებული ჩაშტერებია იატაკს და ხმას არ იღებს. დემირჩიანი ხელს ჩააქნევს უიმედოდ. თავმჯდომარე იწყებს თავის სიტყვას.

თავმჯდომარე. თქვენ მბეჭდავები ხართ. ამხანაგებო, ამიტომაც ყველამ კარგად იცით თუ როგორ განსაზღვრა ჩვენმა პარტიამ ბეჭდვითი სიტყვის როლი. ეს იყო პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე. (პაუზა) ძველი რუსეთი სასტამბო მოწყობილობას ეზიდებოდა საზღვარგარეთიდან. დღევანდელმა საბჭოთა კავშირმა, რომელიც ახორციელებს დიდი ლენინის ინდუსტრიალიზა-

ციის გეგმას, უკვე აითვისა სასტამბო საქმის ყველაზე უფრო რთული მანქანების—საამწყობო, ბრტყელი საბეჭდო მანქანების და როტაციების მშენებლობა. ჩვენ მოგვეპოვება ყოველგვარი საშუალება, რომ ბეჭდვითი სიტყვა იზრდებოდეს—არა დღეობით, არამედ საათობით. ამისათვის კი საჭიროა, რომ ის ხალხი, რომელიც ხელმძღვანელობს ბეჭდვითი სიტყვის ზრდასა და გაძლიერებას, ჰგრძნობდნენ თავის უდიდეს პასუხისმგებლობას.

ხ მ ე ბ ი. სწორია.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ის სურათი, რომელიც გადაიშალა დღეს ჩვენს თვალწინ,— ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვენი ზრდის სიძნელენი. ჩვენი ეპოქის ტემპებს განა ყველანი უძლებენ? ბრძოლის დროს ერთეულები მარცხდებიან. (პაუზა) რა დავინახეთ? სტამბაში დიდი გარღვევაა. დირექტორმა ზურაბ მაღლაკელიძემ, რომელსაც წარსულში ჰქონდა უთუოდ დიდი დამსახურება, დაჰკარგა კლასობრივი ალლო და სავსებით გადაგვარდა. ინტრიგების ქსელი, თვითკრიტიკის ჩახშობა, ყოფაცხოვრებრივი გახრწნა,— აი მასი დღევანდელი საქმეები. იხსნის მას წარსული? შრომის ორდენი? ვერა. ჩვენ ბოლშევიკები ვართ და ამ შენთხვევაში დავკრავთ ყველას, ვინც არ უნდა იყოს იგი—განურჩევლად პიროვნებისა.

ხ მ ე ბ ი. სწორია.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. დამახასიათებელია, რომ ძველ რევოლუციონერ მაღლაკელიძეს არ ჰყოფნის გამბედაობა აღიაროს თავისი შეცდომები და დანაშაული. იმას უნდა თავისი წარსულით თვალეზავებული გვატაროს. განა ვისთვისმე საეჭვოა, რომ ზურაბ მაღლაკელიძე უნდა გარიცხულ იქნეს პარტიის რიგებიდან?

ზ უ რ ა ბ ი. (შეკრთება). მე... პარტიიდან?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. დიახ, თქვენ. (განაგრძობს) ეხლა ორიოდ სიტყვით დანარჩენებზე, ვინ არის ხვიჩია? შრომის დეზერტირი,— მაღლაკელიძის კუდი. ისიც მიჰყვება თავის პატრონს. მეტრეველი, მელიქაძე, მებუკე. უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ დაზგებს, როგორც ასოთამწყობები. ისინი სულ ცოტა ხნის წინედ კარგი მუშაკები იყვნენ, მათ უნდა შეიგნონ თავისი დღევანდელი შეცდომები. კანტორი, სიმონ თეთრაძე და ზინა სარიშვილი არიან ჩვენი ახალი თაობის დიდი ენთუზიასტები, რომლებიც ღირსი არიან დაწინაურებისა. ჩვენ თამამად ჩავაბარებთ მათ სხვადასხვა საამქროების ხელმძღვანელობას.

ხ მ ე ბ ი. სწორია.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. რაც შეეხება კორნელი შანიძეს, მე ბედნიერი ვარ განვაცხადო, რომ მისი სახით ჩვენ გვყავს ძველი თაობის სპეტაკი და უმწიკვლო ბოლშევიკი, რომელიც თავის ყოველდ-

დიურ პრაქტიკულ საქმიანობაში იბრძვის კონკრეტული ხელმძღვანელობისათვის, პარტიული დირექტივების ურყევი გატარებისათვის. მან დაჰკარგა მეგობარი, ძმა, მეუღლე, მაგრამ ის მაინც დარჩა გამარჯვებული, ვინაიდან მოიპოვა პარტიის სიყვარული და ნდობა. პარტია აბარებს მას დირექტორის თანამდებობას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თქვენ მჭიდროდ შემოიკრიბებით მის გარშემო, რათა უახლოეს ხანში შეერთებული ძალებით ჩამოხსნათ თქვენი სტამბის კედლებს სამარცხვინო შავი დაფა (ხანგრძლივი და მქუხარე ტაში). კრებას ვაცხადებ... (სკამების ჭრაჭუნით. მუშების აშლის მომენტი. ამ დროს ზურაბი სასწრაფოდ გაჩნდება ტრიბუნასთან).

ზ უ რ ა ბ. ამხანაგებო, მომისმინეთ...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მოუსმინოთ. გთხოვთ ცოტახანს კიდევ ყურადღება, სიჩუმე. ზურაბი იწევს ლაპარაკს აღელვებით, ნაწყვეტებით. კილო—სავსებით განიარაღებული.

ზ უ რ ა ბ. ჩემი სიცოცხლის გზაზე იყო წუთები, როდესაც სიკვდილს ვუცქეროდი პირდაპირ თვალებში და წარბიც არ შემინახრია... მე არ ვიცოდი შიში... მე ვეკუთნოდი პარტიას და მქონდა უდიდესი მიზანი... ეხლა... ამ წუთებში... პირველად შემეშინდა... ამხანაგებო... მე არ მინდა ვიყო უპარტიო... ეს ჩემთვის უდიდესი სასჯელია... მე მიმიძღვნის დიდი შეცდომები და გადახრები... ერთმა მოვლენამ გამოიწვია—მეორე, მეორემ—მესამე... მე ველარ დავალწიე თავი... მაგრამ მე არ მეგონა, რომ თქვენ გაბედავდით ჩემს გარიცხვას... მე ვერ წარმოვიდგენდი ამას... დღეს ვიგრძენი, რომ პარტია უჩემოთაც ძლიერია... დღეს მივხვდი, თუ რას ნიშნავს—განურჩევლად პიროვნებისა... მე ვერ გავუწიე ანგარიში ახალ ძალებს... მე ველარ ავუღე სწორი ალლო დღევანდელ დღეს... მე ვულალატე პარტიას, პირად მეგობრებს, თვით შრომის ორდენს... ამხანაგებო, მაპატიეთ... ყველამ... ყველამ... სტამბა საიმიდო ხელშია, კორნელი მას ღირსელად გაუძღვება... მე კი გამგზავნეთ დაბალ სამუშაოზე... მე დავძლევ ჩემს თავს... დავიწყებ კვლავ თავიდან... ამხანაგებო... ოღონდ ნუ დამტოვებთ პარტიის გარეშე... ნუ მომიპობთ ჩემი ცხოვრების უდიდეს მიზანს... (სასოწარკვეთილი მიეყრდნობა ბოძზე).

დ ე მ ი რ ჩ ი ა ნ. ადრე დაგეჯერებია ჩემთვის—არ გერჩია? შე დალოცვილის შვილო, ამდენი რაღას გვალოდინე?...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ამხანაგებო! ზურაბის განცხადება ყურადღების ღირსია, პარტია შეუწყობს ხელს ზურაბს სინელებების დაძლევაში.

გაისმის ერთსულოვანი ტაში. მუშები, კომისიის წევრები და დანარჩენები აირევიან ერთმანეთში. წინა პლანზე გამოდის კორნელი.

კ ო რ ნ ე ლ ი. რომელი საათია ეხლა, ამხანაგებო?

ხმები. თორმეტი საათია. სრული შუალამეა.

კორნელი. რა მიდის როტაციაზე?

ხმები. ხვალინდელი გაზეთები—აღსავსე გამარჯვების პატაკებით

კორნელი. საქართველოს კომუნისტური პარტიის უახლოეს ყრილობამდე ჩვენ კიდევ გვაქვს ორი კვირა. უნდა აღმოვფხვრათ გარღვევა. სხვა სტამბებთან და მთელ საბჭოთა საქართველოსთან ერთად უნდა წარვსდგეთ ყრილობის წინაშე საკუთარი გამარჯვების პატაკით. მესამე ცვლა! შეუდექი მუშაობას! დატრიალდეს როტაცია.

მუშები დგებიან თავთავის ადგილებზე. ამხადებენ როტაციას. კორნელი დგას ჩაფიქრებული მომადლებულ საფეხურზე. მას უახლოვდება სიმონი.

სიმონი. რამ ჩაგაფიქრა, ამხანაგო დირექტორო?

კორნელი. მომაგონდა იოანე ჰუტენბერგი. ნეტავი ერთი წუთით გაცოცხლდებოდეს და შემოიხედავდეს ჩვენს საროტაციოში. გული სიხარულით აღევსებოდა, რომ მისი პირველყოფილი პრიმიტიული საბეჭდი დაზგა—გაიზარდა ამ უზარმაზარ როტაციამდე. მაგრამ ყველაზე უფრო მას გაახარებდა ის გარემოება, რომ ძველი აღთქმის ნაცვლად ჩვენ ვბეჭდავთ ახალი ეპოქის გამარჯვების უდიდეს მაჩვენებლებს. (როტაცია ხმაურით ჰბეჭდავს და ჰკეცავს ახალ გაზეთებს)

დასასრული



მოგვიძღვი პირნი

მშვიდრები.

ბრმები.

მუნჯები.

კოჭლები და ხელებდამტვრეულები.

ხელმოჭრილები.

ყრუები.

კუზიანები.

კეთროვანები.

დამკვრელები.

მოცეკვავე ქალიშვილები.

ბრბოკაცების, ქალების და ბავშვებისა.

რიზაელ. მაღალი კაცი, ექიმი.

დილლეამარ. ლამაზი ქალი, მისი მწლებელი.

ფერდი. ავადმყოფი მოწაფე.

ნაუმ. უკანასკნელი მოწაფე.

ახალგაზრდები — რიზაელის მოწაფენი

მეორე კარისკაცი.

მესამე კარისკაცი

იოაკიმ — კარისკაცების უფროსი.

მუნჯი — მსახური სასახლისა.

რიცხვით
ოცი

მთავრის
სასახლის
კიშკარზე



მოქმედება პირველი

ქალაქგარეთ, მთაზე, დგას უძველესი სასახლე. მის სახურავის თავზე აღმართულია მაღალი კოშკი, რომლის წვერი ძლივს მოჩანს. სასახლის კედლები და კოშკი მტვრიანი და ბნელია. ხვრელებიდან მოჩანს გაყვითლებული ხავსი. დაკეტილი რკინის ჭიშკარი დაფარულია საუკუნეების ქანგით. შავი დარაბები, რომლებიც ჩამოშვებულია შიგნით, ჰფარავენ თანჯრების რიკულებს და არ შეიძლება დანახვა ან გაგება იმისა, რაც ხდება იქ.

სასახლის წინ დიდი და ფართო მოედანია.

სასახლის კედლები გარედან და მის წინ მდებარე მოედანი მორთულია: აბრეშუმის დროშებით, ყვავილების კონეებით და გამოჭრილი ყვითელი ფოთლებით. ჭიშკრის წინ და მოედნის შუაგულში დგას ორი კათედრა, რომლებიც მოფენილია წითელი ქსოვილებით და მორთული, როგორც სასახლის კედლები. მათ წინ მიწა მოფენილია ხალიჩებით და ნოხებით: მთავრის დღესასწაულია.

შორით ვაკეში—დიდი ქალაქი. ქარხნების საკვამლეები, მაღალი გალავნები, რკინის ბანები. ქალაქიდან სასახლის ჭიშკრის მიმართულებით, მოედნის გზით, გადის გზადვეცილი, რომლის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია ხეები.

შუადღეა. მოედანი სავსეა ხალხით: კაცები, ქალები და ბავშვები.

ჭიშკართან, ხის დაბალ გრძელ სკამზე სხედან კარისკაცები, სამი მაღალი მოხუცი, რომელთა ტანსაცმელი შავი, გრძელი, ფართო და სუფთაა, წააგავან კათოლიკეთა მღვდელთმსახურებს. სცენაზე ისმის ხმების და მოძრაობის არევა. ხალხი დასეირნობს ორივე მხარეს;

იხანგამოშვებით იცქირებიან კოშკისაკენ.

იოაკიმ წამოდგება. ხალხის ყურადღება მიმართულია მისკენ.

ხ ა ლ ხ ი .

- აგერ!
- აგერ იწყებს!
- უცქირეთ, უცქირეთ!
- წამოდგა კარისკაცების უფროსი.
- უცქერით თქვენ?
- ცოტა კიდევ და დაიწყება დღესასწაული.

- როგორც შარშან.
- ყველაფერი ისე იქნება როგორც შარშან?
- დიახ, დიახ, ისე.
- დღესასწაული გაგრძელდება დაღამებამდის?
- შუაღამემდის.
- შეიძლება დილამდეც.
- არა, დილამდე არ გაგრძელდება.
- გაჩუმდით, გაჩუმდით!



იოაკიმ, რომელსაც უჭირავს ხელში პატარა ჯოხი, აძლევს მით ნიშანს და შუაგულ სასახლეში დაკეტილ ჭიშკრის იქით იწყებს რეკვას სპილენძის დიდი ზარი, ისეთი როგორიც ქრისტიანთა ეკლესიებშია. ხალხი ყურს უგდებს მოწიწებით.

პირველი კარისკაცი კვლავ ასწევს ჯოხს და ზარი ჩაჩუმდება. დანარჩენი კარისკაცები დგებიან და ამოუდგებიან მარჯვნივ-მარცხნივ პირველს. ის კიდევ ასწევს ჯოხს და შუა სასახლეში უკრავენ ნალარას, ერთი წუთის შემდეგ ემატება სხვა საყვირები.

გზაზე მოჩანს პროცესია, რომელიც მოდის ვაკეში მდებარე ქალაქიდან. დროშები, მორთული ეტლები და დიდი ბრბო გამოწყობილი სადღესასწაულო ტანსაცმელში.

ხალხი უთმობს გზას პროცესიას, რამდენადაც ახლოვდება, იზრდება საყვირების ხმაური. შემდეგ მათ ემატებათ ნალარა. პროცესია გაუვლის მოედანს კათედრის ირგვლივ და ჩერდება. უკან რიგებში დიდი სივიწროვება. წყდება საკრავების ხმა.

იოაკიმ.

— გაუმარჯოს ჯადოსან მთვარს!

ხალხი.

— გაუმარჯოს ჯადოსანს, გაუმარჯოს!

— ვაშა! ვაშა!

დროშები იხრებიან სასახლის მიმართულებით.

ხალხი.

— გაუმარჯოს ჯადოსან ბატონს!

— გაუმარჯოს დიდ მთავარს!

— ვაშა! ვაშა!

ორკესტრმა ამასობაში იშოვა ადგილი სცენის შუაგულში, კათედრაზე, და იწყებს დაკვრას. ქალიშვილები იღებენ კალათებიდან სავსე მუჭით ყვავილებს და ესვრიან დაკეტილ ჭიშკარსა და ფანჯრებს. ზოგიერთი ყვავილი ეკრობა კედლის ზვრელებს და დანარჩენი ცვივა მიწაზე. ორკესტრი შესწყვეტს დაკვრას.



- ყველაფერი ისეა, როგორც შარშან.
- არა, წელს მეტია საკრავების რიცხვი.
- ბარაბანებისაც.
- ხალხიც მრავალია და უთვალავი.
- მოედანი ვერ იტევს მათ.
- აბა შეხედეთ, გზა ქალაქამდე სავსეა ხალხით.
- რა კარგია ადრე რომ მოვედით! რომ დაგვეგვიანებია, ველარაფერს ვნახავდით.
- შარშან დავიგვიანე და სიტყვებიც კი ვერ მოვისმინე. ამიტომ დღეს ადრე მოვედი.
- რა საუცხოო ამინდია.
- ჯადოსანის დღესასწაულზე ამინდი მუდამ დიდებულა.
- არ მახსოვს, რომ ოდესმე ამ დღეს მოსულიყოს წვიმა.
- არც მე.
- არც მე.
- ჯადოსანი უბრძანებს ზეცას, რომ იყოს ნათელი ამ დღისათვის.
- ნუთუ?
- მისთვის შეუძლებელი არა რა არის.
- ზეცასაც შეუძლია უბრძანოს?
- ყველაფერს, ყველაფერს!
- მე კი მახსოვს: ორმოცდაათი წლის წინედ, როდესაც ვიყავი პატარა გოგო, მოვიდა წვიმა ამ დღეს.
- მეც მიაშობო მამამ ასე.
- ალბათ, დაბლობის მცხოვრებლებმა გააჩაგრეს მთავარი და გააუქმა ეს დღესასწაული.
- ალბათ, იმ წელს ქალაქის მცხოვრებლებმა შესცოდეს მას უსაზღვროდ.
- დღესაც, განთიადის წინ, ჩანდა ცაზე ღრუბელი.
- გადაიარა.
- ახლა მოწმენდილია ცა, როგორც ახალი ლურჯი ტილო.
- შარშან ჩემი ქმარი კიდევ ცოცხალი იყო და ხელში ეჭირა ეს ყვითელი დროშა აბრეშუმით მოოქროვილი.
- ახლა ხელში უჭირავს ეს დროშა აჯანყების ქუჩაზე მცხოვრებ ბებერ მჭედელს.
- რა მშვენიერია დღეს სასახლის მორთულობა.
- მე კი მეჩვენება, რომ შარშან უფრო მშვენიერი იყო.

— არა, დაინახეთ ეს გამოჭრილი კონები, გეგონებათ აბრეშუმ-ს ფოთლები.

— მოსაწყვეტი.

— არა, აბრეშუმის. ისე ბრწყინავენ, თითქო ახლა უბანიათ ნამში.

— ვინ მორთო ეს კედლები?

— ნუთუ ამ სამმა მოხუცმა?

— განა ცოტანი არიან სასახლის მსახურები?

— მაგრამ არავის უნახავს ისინი მუშაობის დროს.

— კარისკაცები ამბობენ, რომ მათი გამოსვლა სასახლიდან აკრძალულია.

— მაშ როგორ მორთეს გარედან ეს კედლები?

— როდის მოასწრეს ყველაფერი ეს?

— გუშინ საღამოს ვსეირნობდი აქ ჩემ სიმამრთან და არაფერი იყო გაკეთებული.

— მე კი გამოვიარე აქ ღამით. სასახლე გაჩუმებულიყო და დაშუნჩებულებულიყო, როგორც ყოველთვის. ფანჯრები ჩახურულნი იყვნენ შიგნიდან და სინათლის ერთი ნაპერწკალიც კი არ ჩანდა მასში. იყო როგორც მძინარე.

— სასახლე ყოველთვის მოჩანს მძინარე.

— ახლაც.

— მორთულია გარედან, შიგნით კი სიცოცხლის ნასახიც არაა.

— თითქოს მასში დასეირნობენ დადუმებული ჩრდილები.

— ალბათ, მათაც სძინავთ.

— საკრავები?

— ზარი?

— საყვირები?

— შეიძლება ჩრდილები ჩასხდნენ საყვირებში?

— ასეა თუ ისე, მათ არა სძინავთ.

— მთავარს უყვარს მოსვენება.

— ის მოხუცია.

— სასახლის მსახურები, ასე მიაშობ ჩემმა ბებიამ, თურმე დადიან ფეხის თითებზე.

— ლაპარაკობენ ჩურჩულთ.

— არა, ნიშნებით.

— როგორც ნამდვილი ჩრდილები.

— დედა, რად გაჩუმდნენ დამკვრელები?

— კიდევ დაუკრავენ, შვილო, მთელ დღეს დაუკრავენ.

— რატომ სწყვეტავენ?

— რადგანაც დადლილები არიან და სჭირიათ დასვენება.



- იქ ვინ დაუკრა საყვირები, დედა? ჯადოსანმა?
- არ ვიცი, შვილო, მხოლოდ არა ჯადოსანმა.
- იმან არ იცის საყვირის დაკვრა?
- ნუ როშავ, ჩემო პატარავ, მთავარმა იცის ყველაფერი.
- ყველაფერი? ჩემსავით ცალფეხზე ცეკვაც?
- ნუ როშავ.
- თავით დგომაც შეუძლია, დედავ? თავით დგომაც, როგორც პატარა ციგანი ცირკში რომ არის?
- გეყოფა, ის გაჯავრდება, ჯადოსანი.
- რად გაჯავრდება?
- რადგანაც სცოდავ შენი სიტყვებით.
- რით გაიგებს ჯადოსანი? იმას არ გაუგონია.
- იმან იცის ყველაფერი.
- ის ხომ აქ არაა.
- ნუ როშავ, იმას ესმის და იცის ყველაფერი.
- რა იქნება ეხლა, მამა?
- კარისკაცების უფროსის სიტყვა.
- საიდან იცი შენ ყველაფერი, მამა?
- შარშანაც ასე იყო.
- მე არაფერი მახსოვს შარშანდელი.
- გაიზრდები, დაიხსომებ.
- რა იქნება სიტყვის შემდეგ?
- სსს... ის უკვე აღის ტრიბუნაზე.
- ვინ აღის?
- კარისკაცების უფროსი—იოაკიმ.
- ვერა ვხედავ...
- როცა ავა, დაინახავ.
- უკვე იწყებს.
- კარისკაცების უფროსი ხსნის სიტყვით.
- უკვე ავიდა. ყური უგდეთ...
- დაწყნარდით, დაწყნარდით, დაწყნარდით!

იოაკიმ აღის პატარა კათედრაზე, რომელიც მდებარეობს სასახლის ქიშკრის პირდაპირ. ხალხის მოძრაობა წააგავს თეატრში ფარდის ახლის წუთს. აჩუმებენ და აწყნარებენ ერთმანეთს, ახველებენ, ისწორებენ ტანსაცმელს და თავზე ქუდებს, იწმენდენ ოფლს სახიდან.

ერთი წუთის შემდეგ, როდესაც ჩამოვარდება სიწყნარე, იოაკიმ იწყებს სიტყვას.



დიდი მთავრის სახელით და მისი დიდი ბრძანებით, ვიწყებთ დღე-
ის ზეიმის ჩატარებას.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

მრავალი წელია მას შემდეგ, რაც დღევანდელ დღეს იკრიბებიან ქალაქის მცხოვრებლები—დიდი ჯადოსანის ერთგული ქვეშევრდომები—ამ მოედანზე; დიდის მშვენიერებით და ბრწყინვალეობით ვატარებთ ყოველწლიურად ამ დღესასწაულს, რომელიც მან თავის დიდი წყალობით იწება მოეცა თქვენთვის, რათა წელიწადში ერთხელ ყველამ დაისვენოს მუშაობისაგან; როგორც შემბრალები მამა, რომელიც დაუძახებს ხანდახან თავის პატარა შვილს და ჰკითხავს მის სურვილს, ისე გეძახით ხოლმე თქვენი დიდი მამა.

აგერ თქვენ დგებართ მისი ბრწყინვალე სასახლის წინ. თქვენი თვალები მიმართულია ამ წუთს მისი უძველესი და მაღალი ბოძებისადმი; ასე უნდა იყოს მიმართული თქვენი გული მთელი წლის განმავლობაში თქვენი ბატონისადმი. ერთგული ქვეშევრდომები უნდა იყვეთ დიდი ჯადოსანისა, რომ გაგიტკბეთ სიცოცხლის დღეები. თქვენი დიდი ქვეყნის ბატონმაც, რომელიც ზის ამ სასახლეში, არ იცის მოსვენება და მთელი მისი ფიქრები მხოლოდ თქვენზეა, მის საყვარელ შვილებზე. ამ სასახლიდან ის იცქირება და ხედავს ყოველს. უცქერით თქვენ ამ კოშკს? მისი მაღალი წვერიდან ის იცქირება და ჰხედავს, რაც ხდება მისი ქვეყნის სივრცეზე, მის საზღვრებში. არაფერია დაფარული მისთვის. იმან იცის, რაც ხდება თქვენ სახლში, შიგნით და რასაც ჰფიქრობთ გულში იქიდან, იმ სიმალიდან, მას ესმის თქვენი თხოვნა. იქიდან ის ჰხედავს თქვენ საჭიროებას და მოთხოვნილებას. თქვენი ბოროტი და კეთილი საქმეები მისთვის ცხადია. თქვენი ფიქრები და ზრახვანი, თქვენი პატიოსნება და სიავკაცე, თქვენი ცოდვები და შენანიებანი, ყველაფერი მასთან მიდის.

სიმათლის სასწორი უჭირავს ხელში, სწონავს და სთვლის სათითოდ მთელ თქვენ ნამოქმედარს. ისინი იწერებიან დიდ წიგნში და ყოველწლივით დღევანდელ დღეს, დიდი ზეიმის დღეს, ის სჯის თქვენ სამართალს. დეე იყვეს თქვენი სული სპეტაკი მის წინაშე, ვინაიდან ბედნიერი იქნება ის კაცი, ვინც გამოვა უცოდველი დიდი სამართლის დღეს, და ვაი, ვაი მას, იმ საბრალოს, ვისაც დაარქმევენ ბოროტს. მისი ხვედრი იქნება: დამწვარი უდაბნოები, ამღვრეული წყაროები, გარუჯული მინდვრები, ავადმყოფობა და ტკივილები, დღის წყევლა და ღამის შიში. ამავე დროს არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ თქვენ ხართ უბრალო მცხოვრებნი დაბლობის ქალაქისა და ამიტომ უნდა ერიდოთ კვლევა-ძიებას, ვინაიდან თქვენ ვერ ჩასწვდებით დი-

დი ბატონის ღრმა აზრს. თქვენ რა იცით, ვაკის მცხოვრებნო? ის კი, დიდი მთავარი იცქირება მაღალი კოშკის სიმალიდან და ხედავს, რასაც თქვენ ვერ იხილავთ, ესმის, რაც თქვენ არ გესმით და იცის, რასაც ვერც ერთი თქვენთაგანი ვერ შეიტყობთ ვერასოდეს.

და ამიტომ მიიღეთ სიყვარულით ყველაფერი ის, რაც გეძლევათ მისი ხელით — ვინაიდან ამისათვის ცხოვრობთ მის ქვეყანაში.

დღეს მზე მთელი სიძლიერით აშუქებს და ამ დროს თქვენი ბატონი იცქირება კოშკის წვერიდან და უხარია, რომ ჰხედავს თავის ძვირფას შვილებს, რომლებიც აღსავსენი ხართ მაღლობის გრძნობით იმის მრავალი ამაგისათვის და ამიტომაც გხვდებით იმ კარგი და გულკეთილი სიცილით, რომელსაც განიცდის მოხუცი მამა საყვარელი შვილების შემოხვევის ჟამს.

დიდი მთავრის სახელით პატივი მაქვს გადმოგცეთ მისი მაღლობა და აგრეთვე შეგპირდეთ, რომ არასოდეს არ მოგაშორებთ ის თავის წყალობას. დედამიწა ნუ დაიშურებს თქვენთვის მოსავალს და ზეცა — წვიმას.

ის აღმართავს ხელებს ხალხის თავზე და ჰლოცავს მას.

— მომავალი დღეები იყოს თქვენთვის მშვიდობის და ბედნიერების დღეები. ანათოს თქვენთვის მზემ და იწვიმოს ნამმა თავის დროზე. დღევანდელი დღის სიხარული, დიდი დღესასწაულის სიხარული გაგივრცელდეთ სამარადისოდ.

— მიიღეთ სალამი! ეხლა კი შეუდგეთ დღესასწაულის გასართობებს.

იოაკიმ ჩამოუშვებს ხელებს. ხალხი აღტაცებით გაჰკვივის, ისვრიან ყვავილებს კათედრაზე.

ხ ა ლ ხ ი.

- ვაშა! ვაშა!
- გაუმარჯოს დიდ ბატონს!
- გაუმარჯოს კარისკაცების უფროსს!
- ვაშა! ვაშა!

შუა მოედნის დიდ კათედრაზე დამკვრელები მართავენ ინსტრუმენტებს. ხალხიდან გამოდის და პატარა სცენას უახლოვდება ორი ჯგუფი ქალიშვილებისა, რომელთაც აცვია თეთრი ტანსაცმელი და გაკეთებული აქვთ თმებში თეთრი ყვავილების კონები. ორკესტრი გამზადებულია, მოცეკვავენიც უცდიან მხოლოდ პირველი მუსიკის ხმებს, მაგრამ იქ შორიდან გამოჩნდება ადამიანთა ახალი ჯგუფი, რომლებსაც აცვიათ ძველი, დაგლეჯილი ტანსაცმელი, მოდიან ფეხშიშველნი და თმაწვერგაბურძენილნი. მოდუნებული ხელები ჩამოშვებული აქვთ წელზე, ხალხი ხვდება მათ აშკარა მტრული განწყობილებით, იხევს უკან, თითქო შორდება სიბინ-

ხ ა ლ ხ ი.

- ესენი ვინ არიან?
- რისთვის მოსულან აქ?
- უზრდელობაა აქ მოსვლა ასეთი ტანისამოსით.
- ფეხშიშველი...
- თმააბურღგვნილი...
- ხელებგასვრილი...
- ვინ არიან? ვინ არიან?
- ცუდი სუნი ასდით მათ.
- რა სურთ აქ?
- ვინ არიან? ვინ არიან?
- მშვივრები. ესენი არიან მშვივრები.
- რა დარჩენიათ აქ?
- მაგათაც ხომ არ სურთ ჩვენთან ზეიმი?
- მათი სახე მრისხანეა.
- ალბათ, მოვიდნენ დღასასწულის ჩასაშლელად.
- რისთვის მოუშვეს აქ?
- წავიდნენ, როგორც მოსულან.
- აქ ხომ არ სურთ მოწყალების შეგროვება?
- აქ არაა ამის ადგილი.
- არც დროა.
- ერთი შეხედეთ, მაგათ გამო აღარ იწყება ცეკვა.
- ვინ დართო მათ ნება აქ მოსვლისა?
- ბლომად არიან.
- სულ არ მეგონა, თუ ამდენი მშვივრები იყვნენ დაბლობში.
- რაა მიზეზი მათი შიმშილისა?
- არ ვიცი.
- არც თვითონ იციან.
- საწყლები. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია.
- კი მაგრამ — აქ რა უნდათ?
- რატომ მოვიდნენ, რომ ჩაგვიშალონ ზეიმი?
- განა ჩვენ ვართ დამნაშავე, რომ ისინი მშვივრები არიან?
- ჩვენ ხომ არა ვგლეჯთ ლუკმას პირიდან?
- წავიდნენ აქედან!
- წავიდნენ. როგორც მოსულან!

პ ი რ ვ ე ლ ი მ შ ი ე რ ი.

ჩვენო ბატონო, კარისკაცების უფროსო, მშვივრები ვართ!



მ ე ო რ ე.

ვკვდებით მშვიერნი, როგორც უპატრონო ძაღლები.

მ ე ს ა მ ე.

სამი დღეა, რაც აღარაფერი არ მიჭამია.

მ ე ო თ ხ ე.

მთელ ჩემ სიცოცხლეში ერთი დღეც არ მახსოვს, რომ ვყოფილიყავი მაძლარი.

ქ ა ლ ი ბ ა ვ შ ვ ი თ მ კ ლ ა ვ ზ ე.

ბავშვი სწოვს ჩემს სისხლს და ჩემი ძვლების წვენს, მე კი წელიწადია პურის გემო არ ვიცი.

მ ო ხ უ ც ი.

ჩემი ცხოვრების გრძელ მანძილზე შევისწავლე, როგორ უნდა ავიტანო სიმშობილი და წყურვილი, მხოლოდ ახლა კი გამეყინა ტვინი და აღარ შემიძლია მეტის ატანა.

ბ ა ვ შ ი.

მე ვთხოვ დედას პურს და ის კი ჩემს ხორცს ისე ჩხვლევტავს, რომ სისხლი იწყებს დენას...

ს ხ ვ ა მ შ ი ე რ ე ბ ი.

— ერთგული ყმები ვართ დიდი მთავრისა. რისთვის გვსჯის ასე მძიმედ, სრულიად უდანაშაულოდ?

— შენ მოხუცი ხარ და ყოველწლოვით გვიამბობ ხოლმე დიდი ჯადოსანის მრავალ ამაგისა და კეთილი გულის შესახებ — და ამავე დროს ჩვენ ვიხოცებით შენი თვალის წინ.

— დღისით შიმშილი მაწუხებს, ღამით კი სიცოცხლე ჰგლეჯს ჩემ ხორცს.

— ჩემს ბინას არა აქვს სახურავი.

— კეთროვანი ძაღლებივით დავხეტილობთ დღედაღამ ქალაქის ქუჩებში...

— ვლმუით, რომგორც მგლები ზამთრის ღამეში.

— ჩემი ქმარი გაგიყდა შიმშილისაგან, გაგიყდა და მკვლავ ვიშლები.

— დიდი მთავრის ქვეყანა დიდი და განიერია, მინდვრები სავსეა ხორბლით და ჩვენ კი ვიხოცებით შენი თვალის წინ.

— მისი ერთგული ყმები ვართ. რატომ გვსჯის ასე?

— რა შევცოდეთ მას? რა შევცოდეთ მას?

— კარისკაცების უფროსო! მშივრები ვართ...

— კარისკაცების უფროსო! მშივრები ვართ...

— მშივრები ვართ!

— დღემდე ვქეჩავდით სანაგვეებში, ვჭამდით მაძლართა საჭმელების ნარჩენებს, მაგრამ ჩვენი რიცხვი იზრდება და ეს ნამცეცები აღარ გვყოფნის.

— დავიწყეთ თაგვების დაჭერა და მისი ჭამა, მაგრამ თაგვები გამოილია ქვეყნად. ჩვენი რიცხვი მიდის და იზრდება, მიდის და იზრდება.

— იოაკიმ ასწევს ხელს, რაც ნიშნავს იმას, რომ მას სურს ლაპარაკი. მშივრები ჩაჩუმდებიან. ხალხში სიწყნარეა.

იოაკიმ.

მშიერო ძმებო...

მაგრამ მეორე ჯგუფი, რომელიც ამასობაში მოუახლოვდა კათედრას მეორე მხრიდან, აღარ აძლევს საშუალებას სიტყვის გასაგრძელებლად. ის ჯგუფიც მოდის ქალაქიდან და იკაფავს ხალხში გზას. ხალხი უკან იხევს. ესაა ნაკლოვანთა ჯგუფი: ბრმები, კოჭლები, ხელებდამტვრეულნი, ხელმოკრილნი, მუნჯები, კეთროვანები და კუზიანები, რომლებიც მოდიან რიგ-რიგად დაწყობილნი, როგორც ჩარი. ბრმები აფათურებენ ჯოხებით, კოჭლები და უხელოები ხის ფეხებით და ხელებით, მუნჯები ისვრიან უცნაურ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბგერებს, კეთროვანები იქეჩებიან, კუზიანები ახველებენ.

როცა კარისკაცთა უფროსი იწყებდა სიტყვას, ისინი მიუახლოვდნენ კათედრას და ამოუდგენ მშიერთა ჯგუფს ისე, რომ ეს ორი ჯგუფი შემორტყმული ჰყავს ორი მხრიდან და მხოლოდ სასახლის ჭიშკრის მახლობელი კედელია ჯერჯერობით ცარიელი.

ნაკლოვანთა ჯგუფი.

— ჩვენო ბატონო, კარისკაცების უფროსო, საბრალოები ვართ.

— საბრალოები ვართ, საბრალოები ვართ!



- ვერაფერს ვხედავთ სრულებით, არაფერი ვიცი სრულებით.
- ვერ ვიცნობთ ქვეყანას, რომელიც გარს გვარტყია.
- ვერ ვიცნობთ ჩვენ მშობლებს.
- ვერ ვიცნობთ ჩვენ ძმებს და დებს.
- ვერ ვიცნობ ჩემ ცოლს.
- ვერ ვიცნობ ჩემ ქმარს.
- ბავშვი ვშობე და მე კი არ ვიცი ვინაა ან რაა ის.
- თვალწილულნი ლაპარაკობენ ცაზე და მზეზე; ჩვენთვის კი არ არსებობს არც ცა და არც მზე.
- მათთვის არსებობს დღეები და ღამეები, დილა და საღამოები.
- ჩვენ კი გვაქვს მხოლოდ ერთი გრძელი და შავი ღამე.
- რა არის გაზაფხული? ზამთარი? ზაფხული?
- რა არის მშვენიერი?
- რას ნიშნავს: მზე ჩადის?
- ალუბლის ბალი ჰყვავის?
- გოგო გაწითლდა?
- მწვანე მინდორი? შეხამებული ტყე? გამკვირვალე წყალი?
- რა არის მშვენიერი?
- დიდი ჯადოსნის სასახლე რაღაა?
- კოშკი?
- ვერც შენ ვიცნობთ, ბატონო კარისკაცების უფროსო, მხოლოდ შენი სახელი გაგვიგონია...
- ბნელ და ცარიელ მსოფლიოში ვცხოვრობთ. იგი დუღს ჩვენს გარშემო და ჩვენ კი არაფერი გაგვეგება იმის ხმაურისა.
- მთელ ჩვენ სიცოცხლეში სხვების აზრზე ვართ დამოკიდებული.
- ისინი გვატყუებენ!
- ჩვენ გვესაჭიროება შველა!
- ვერაფერს ვხედავთ, ბატონო კარისკაცების უფროსო!
- ვერაფერს ვხედავთ სრულებით!
- ვერაფერს ვხედავთ სრულებით!

მუნჯები.

მუნჯები აკეთებენ ნაირ-ნაირ მოძრაობას და მიხრა-მოხრას მთელი სხეულით, აკაკუნებენ ხელებით გულზე და შუბლზე, ღრიალებენ, ალებენ პირს, იღებენ შიგთითებს, გამოსცემენ გაუგებარ ბგერებს, რომელიც ჰგავს გოდებას და აბრა-ხუნებენ ფეხებით. მათი მოძრაობა ჩქარია, მრისხანე და უიმედო. რამდენადაც ისი-

ნი აგრძლებენ „ლაპარაკს“, მათი უიმედობა იზრდება, ვინაიდან ~~ახედავენ~~,
რომ არავის ესმის მათი. ხალხში ისინი იწვევენ გაძლიერებულ ცნობისმოყვარე-
ბას.

ქართული
ბიბლიოთეკა


კოჭლები და ხელებ დამტვრეულები.

- კარისკაცების უფროსო, შემოგვხედე, რა საცოდავები ვართ.
- დავლოლავთ დედამიწაზე, როგორც ქვემძრომნი.
- ვისაც მთელი აქვს ფეხები, გვთელავს ჩვენ თავის ქუსლით.
- ვისაც მთელი აქვს ფეხები, გვიცქერის ზემოდან დაბლა.
- ჩვენ გვჭირდება ადამიანების დახმარება და ისინი კი ბორო-
ტობენ.
- არა ვართ გამოსადეგი არავითარი სამუშაოსათვის.
- სადაც კი არის გზები, ჩვენ ვიწვდით ხელს სამათხოვროდ.
- ქალები არ თხოვდებიან ჩვენზე.
- საცოდავები ვართ: არ ვიცით სიცილი და სიმხიარულე.
- ყველანი მირბიან, მიისწრაფიან და მიეჩქარებიან, მარტო
ჩვენ ვაგვიანებთ მუდამ.
- ყველანი მიდიან წინ, ჩვენ ვრჩებით უკან.
- ყოველთვის უკან!

ხელმოჭრილები.

- ბატონო კარისკაცების უფროსო, საცოდავები ვართ.
- ხელები მოგვჭრეს და აღარ შეგვიძლია მუშაობა.
- არაფერი არ გაგვაჩნია.
- ვის სჭირია განა ჩვენსავით ადამიანების დახმარება?
- თუ არ გვაჭამეს, მოვკვდებით მშიერი.
- თუ არ გვასვეს, მოვკვდებით მწყურვალე.
- თუ არ ჩაგვაცვეს, გაგვყინავს სიცივე.
- თუ არ გაგვხადეს ტანისამოსი, შემოგვაცვთება ხორცზე.
- თუ არ დაგვბანეს წყლით, დაგვახჩობს სიბინძურე.
- თუ არ მოგვფხანეს თავები, შეგვჭამენ ტილები.
- თუ არ გვიპატრონებენ, დაგვკბენენ ძაღლები.
- ყვავები შეგვჭამენ, როგორც სჭამენ მკვდრის ლეშს.
- თავები შეგვახრამუნებენ თავიანთი კბილებით, როგორც
ფქვილის ტომარას.
- რითი უზრუნველვყოთ ჩვენი სიცოცხლე?
- საცოდავები ვართ, კარისკაცების უფროსო, საცოდავები, სა-
ცოდავები...

კ ე თ რ ო ვ ა ნ ე ბ ი .



- ჩვენც, ბატონო კარისკაცების უფროსო!
- ცეცხლის სწვავს ჩვენს ხორცს.
- ცოცხლად ვლპებით.
- სიმყრალე ასდის ჩვენ ხორცს.
- დაწუნებულნი და გაძევებულნი ვართ ადამიანებიდან...
- მირბიან ჩვენგან, როგორც ჭირისაგან.
- ოთხ ნაბიჯზე არ გვეკარებიან.
- ვინ არის ჩვენსავით დავიწყებული ქვეყნად?
- დასახმარებლად ხელის გამოშვერაც კი ეშინიათ ადამიანის შვილებს.
- დაგვინახავენ თუ არა შორიდან, მირბიან და იმალებიან.
- ჩვენი სუნთქვა სწამლავს ჰაერს გარშემო.
- მატლები აღარ გვეკარებიან მოწამვლის შიშით.
- მთელი ბუნება განრისხდა ჩვენზე.
- მთელი მსოფლიო გვიუცნაურდება.
- რკინის ეკლები სჩხვლეთავენ ჩვენს ხორცს დღედაღამ, დღედაღამე, დღედაღამე...
- ციებცხელება სწვავს ჩვენს სულს...
- ჩვენ ვყვირით და არავის ესმის ჩვენი.
- ჩვენ ვოხრავთ და გარემო კი დაგვცინის.
- ჩვენ ვეძახით სიკვდილს, მაგრამ ის არ მოდის.
- მთელი სიცოცხლე ჩვენ ვიქეჩებით...
- მაგრამ ეს არ ანელებს წამებას.

კ უ ზ ი ა ნ ე ბ ი .

- ჩვენც საცოდავები ვართ, ბატონო კარისკაცების უფროსო!
- შემოგვხედე, რა პატარები ვართ და უღონოები.
- კუზი მძიმეა მთასავით.
- როგორც კლდე ისე გვაწევს გულზე.
- ადამიანები კი დაგვცინიან და მასხარად გვიგდებენ...
- ჩვენ გვჭირდება მათი დახმარება და ისინი კი გვკიცხავენ.

მ შ ი ვ რ ე ბ ი დ ა ნ ა კ ლ ო ვ ა ნ ე ბ ი ე რ თ ა დ .



ქართული
ლიბრეოთეკა

— დააჩქარე ჩვენი შველა, ბატონო კარისიაცების უფროსო!

— შენგან გაგვიგონია, რომ მთავარი მრავალმწყალობელია.
დეე მოგვარჩინოს მან...

— ჩვენ ვართ მისი ქვეშევრდომები, მისი ჭეშმარიტი ქვეშევრ-
დომები...

— რითი ვართ უარესი სხვა ადამიანებზე?

— რა შევცოდეთ მას?

— რისთვის გვსჯის ჩვენ ასე?

— რა შევცოდეთ?

— და თუ შევცოდეთ, შენ ხომ სთქვი, რომ მან იცის პატიება?

— რა სარგებლობა აქვს ჩვენი ტანჯვით და რაში უნდა ჩვენი
გაჭირვება?

— ის ჩვენი ბატონია და ჩვენ მისი ყმები; დეე შეგვიბრალოს.

— რადგან აღარ შეიძლება მეტის მოთმენა! აღარ შეიძლება
მეტის მოთმენა!

ხალხში იწყება დრტვინვა. ნაწილობრივ სხვა და სხვა ადგილებში იწყება
ბაასი და ჩურჩული.

ხ ა ლ ხ ი .

— ჩაშალეს ზეიმი...

— რა ბლომად არიან!

— რისთვის მოვიდნენ დღასასწაულის დღეს?

— ჩვენ შორისაც იმყოფებიან ტანჯული პირები. მერე რა ამით?

— გავიდეთ ჩვენც და ვითხოვოთ...

— შეიძლება მეც გამოვიდე და მოვითხოვო რამე?

— მეც.

— მეც.

— წავიდეთ და მოვითხოვოთ ერთად.

— მათსავით.

— მათსავით...

სათითაოდ გამოდიან ხალხიდან, ერთდებიან ერთ ჯგუფში და ეწყობიან რიგ-რი-
გად. ახალი ჯგუფი შემოერთების კათედრას მესამე მხარიდან.

მ ე ს ა მ ე ჯ გ უ ფ ი .

— ჩვენც ვართ საცოდავები.

— ჩვენც! ჩვენც!



- ობოლი ვარ დედითაც და მამითაც.
- მე უშვილო დედა ვარ.
- მე კი უნაყოფო.
- ჩემი სიძე მოკვდა ქორწილის დღეს.
- ჩემი ცოლი წაჰყვა საყვარელს და ჩემი სახლი დარჩა გავერანებული.
- ქმარმა მიმატოვა.
- ჩემი ქმარი სვამს არაყს და მცემს ყოველდღე მეზობლების თვალწინ.
- ჩემმა ცოლმა მილალატა.
- ჩემი სატრფო სხვაზე გათხოვდა.
- ჩემმა ასულმა შობა უკანონო შვილი.
- ჩემი ახალგაზრდა ვაჟი გაგიჟდა.
- ჩემი სახლი ცეცხლში დაიწვა.
- მოხუცი ვარ და შვილებმა გამომავდეს ჩემი სახლიდან.
- ავი ზნე მათრხოვს ღამ-ღამობით.
- ვიყავ მდიდარი და გავლატაკდი.
- ვიყავ გმირი და გამომელია ძალ-ღონე.
- მქონდა ოქროვერცხლის ხაზინები, ბალები და წალკოტები, ვენახები და მინდვრები—და ეხლა აღარაფერი მაქვს.
- ჩემი გემები დაიღუპენ ზღვაში.
- სეტყვამ გაანადგურა ჩემი მინდვრების მთელი მოსავალი.
- ვიყავ განთქმული და სახელოვანი მრავალთა შორის, ეხლა კი დამივიწყეს.
- ვიყავ მშვენიერი და ეხლა დავმახინჯდი.
- მქონდა ნიჭი და აღარა მაქვს.
- ჩემი ერთადერთი შვილი ავადაა და მის სიცოცხლეს მოელის ხიფათი.
- ჩემს ცოლს უჭირს შობა.
- საცოდავები ვართ! საცოდავები ვართ!

ს ა მ ი ვ ე ჯ გ უ ფ ი ე რ თ ა დ .

- ყველანი საცოდავები ვართ!
- ყველანი... ყველანი... ყველანი...
- შეგვიბრალოს ჩვენმა დიდმა მთავარმა!
- რითი ვართ უარესნი ქვეყნის დანარჩენ მცხოვრებლებზე?
- რითი ვართ უარესნი ამათზე?

— ამათზე... ამათზე... ამათზე...

ასობით ხელები გაშვერილია მოხეიშე ხალხის მიმართ.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

იოაკიმ.

საცოდავო ძმებო! ნუ უსაყვედურებთ თქვენს მთავარს. მე ვიცი, რომ თქვენი ტანჯვის ატანა ძნელია, მაგრამ რად მოხვედით, რომ ჩაშალოთ თქვენი გულკეთილი ბატონის ზეიმი? შეხედეთ ამ კოშკს და მის წვერს, რომელიც აღწევს ზეცამდე! ნუ თუ მას არ შეაქვს წამალი და მოსვენება თქვენ დაავადებულ და გატანჯულ სულში? გახსოვდეთ, რომ არსებობს მჭვრეტავეი თვალი, რომელიც სათითაოდ ითვლის თქვენ ტკივილებს და თქვენ ცრემლებს. ელოდეთ და იმედი გქონდეთ მთავრის წყალობისა, რომელიც აუცილებლად მოვა! უნდა იცოდეთ, რომ ტანჯვა არსებობს ქვეყნად მხოლოდ თქვენს გამოსაცდელად. გამაგრდით და გაკაჟდით, რათა დაიჭიროთ გამოცდა. გაჭირვება და ტანჯვა წაშლის თქვენ ცოდვებს და როცა დადგება სამართლის დღე, წადგებით თქვენი ბატონისა და უფროსის წინაშე—სუფთანი და უმანკონი, როგორც იყავით დაბადების ჟამს. მაშინ ბრძმებს აეხილებათ თვალები, მუნჯები დაიწყებენ გალობას, გაჭირვებულები გამხიარულდებიან და გალალდებიან და სულით დაცემულები დაუკრავენ ტაშს.

ყველანი სდგებართ გარშემო და სული თქვენი მოთქვამს მწარედ; ნუ დაჰკარგავთ იმედს, ლატაკო ძმებო. გწამდეთ, რომ თქვენი მთავარი არის ჭეშმარიტი მმართველი და მისი სახელმწიფო აგებულია მძლავრ სიყვარულზე.

მეორე კარისკაცი.

და ჭეშმარიტებაზე.

მესამე კარისკაცი.

და წმინდა რწმენაზე.

იოაკიმ.

გამაგრდით და გაკაჟდით, ჩაგრულო ძმებო, და მე ვთხოვ თქვენთვის მთავარს.

მეორე კარისკაცი.

მეც.



მეც.

იოაკიმ.

ის დააჩქარებს თქვენს შველას.

სამივე ჯგუფი.

— აღარ არის მეტი ძალა...

— აღარაა ძალა...

— გამოიღია მოთბინების ძალა...

იოაკიმ.

მოთბინება, ძმებო! მოთბინება და იმედი. ჰხედავთ თქვენ ამ ხალხს? მრავალი მათგანი იყო თქვენსავით საწყალი; მთავარმა შეიბრალა ისინი და შეიქნენ ბედნიერები.

ხმები ხალხიდან.

— მე!

— მე!

იოაკიმ.

ვისაც შეხვედრია რაიმე ცუდი თავის სიცოცხლეში, მოვიდეს და დაამტკიცოს მთავრის წყალობა.

თითოობით გამოდიან ხალხიდან და უახლოვდებიან კათედრას.

იოაკიმ.

დაამტკიცეთ, რომ მართალია ჩემი სიტყვები.

პირველი.

ვიყავ ავადმყოფი და განვიკურნე.

მეორე.

მძულდა ჩემი ცოლი და ერთი თვის წინედ მოკვდა.

მ ე ს ა მ ე.

ვიყავ ფეხმოტეხილი, ექიმმა გამიკეთა ხის ფეხები და დაუდგინა
ყოველი ადამიანივით.

მ ე ო თ ხ ე.

ვიყავ ღარიბი და ეხლა ბევრი მაქვს.

მ ე ხ უ თ ე.

მტერი გადამიდგა გზაზე სატანასავით—მოვკალი.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი.

ვიყავ მშვიერი და ტიტველი, ეხლა კი. (ახვენებს თავის მშვენიერ ტანი-
სამოსს).

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი.

ქმარმა მიღალატა და მიმატოვა, სამაგიეროდ ვიშოვნე ახალგა-
ზრდა საყვარელი.

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი.

შარშან მომიკვდა ერთადერთი შვილი და უკვე მშობიარე ვარ.

მ ე ო თ ხ ე ქ ა ლ ი.

ვიყავ უნაყოფო; ჩემმა ქმარმა შემოიყვანა სახლში ნაპოვნი
ბავშვი.

მ ე ხ უ თ ე ქ ა ლ ი.

ბებერი ქმარი მყავდა—და მომიკვდა.

ი ო ა კ ი მ.

გესმით თქვენ, საბრალო ძმებო? ხომ ნათლად გიჩვენეთ დიდი
მთავრის წყალობა. ჰხედავთ? კარგი და შემბრალები მამა გყოლიათ
ამ სასახლეში, რომელიც ზრუნავს თქვენთვის და გაჭირვების ყამს
გეხმარებათ. მაშ დაწყნარდით, ელოდეთ მის შველას და იმედობ-

დეთ! მიენდეთ მას და მისი შველა თუნდაც დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოვა.

ესლა კი, დაუბრუნდეთ ჩვენ დღესასწაულს, იმ დიდ დღესასწაულს, რომელსაც ყოველი ჩვენთაგანი მოუთმენლად ელოდა მთელი წლის განმავლობაში.

ის სწევს ხელს ნიშნად და ორკესტრი იწყებს დაკვრას. მოცეკვავე ქალიშვილები ემზადებიან საცეკვაოდ, იყოფიან ორ ჯგუფად და დგებიან ერთმანეთის პირდაპირ. მარჯვენა ხელში აქვთ პატარა საკრავები, ხოლო მარცხენა ხელში, რომელიც ჩაშვებულნი აქვთ დაბლა, უჭირავთ წითელი ყვავილები და აბრეშუმის მარაოები. ხალხი უთმობს მათ გზას და აკვირდება ცნობისმოყვარეობით და სიამოვნებით, მაგრამ იმ დროს, როდესაც გაისმის მუსიკის პირველი ხმები და მოცეკვავე ქალიშვილები გადასდგამენ პირველ ნაბიჯს საცეკვაოდ—ხალხიდან გამოდის რიზა ელ — მაღალი კაცი, რომელიც მიიმართება სასახლის კიშკრის პირდაპირ მდებარე კათედრისაკენ. უკან მიჰყვება დილლეამარ და ოცი ახალგაზრდა.

მისი გარეგნობა: სახე მტკიცე და გონიერი, თვალები ღრმად მზირალი, ცქერა—გამძლე და მჭრელი, ტუჩები ნაზი და შეუპოვარი, მხრები—ფართო, ხელები—მაგარი და ძლიერი, კისერი—მძლავრი და მაღალი, ნაბიჯი—გრძელი და მშვიდი, მიხრა-მოხრა — მტკიცე და ნელი.

ძნელია მისი წლოვანების განსაზღვრა: ხანდახან ის ჰგავს მოხუცს, რომელსაც შერჩენია ახალგაზრდობა და ხანდახან კი ჰგავს ახალგაზრდას, რომელიც უდროოდ მოხუცებულა. წვერის შესახებ საეჭვოა, სულ არ ამოსვლია თავის სიცოცხლეში, თუ გაპარსულია სუფთად. ახალგაზრდული ძალა, ყმაწვილური ცეცხლი და ხანშიშესულის სიბრძნე—შეერთებულია მასში. თავზე ახურავს მაღალი შავი ქუდი ფართო და თხელი ფესვედით. აცვია მგზავრის ტანსაცმელი.

მასთან მყოფი ახალგაზრდების ტანსაცმელსა და მოძრაობაში ჩანს მიბაძვა თავიანთი უფროსისადმი.

დილლეამარ სდგას რიზაელის გვერდით და მის თვალებში მოჩანს დიადი გრძნობა სიყვარულისა, რომლითაც გამსჭვალულია რიზაელისადმი: შესცქერის რიზაელს თვალებში და აღფრთოვანებულია მისი ყოველი სიტყვით.

როცა რიზაელ ადის კათედრაზე და დგება კარისკაცების უფროსის წინაშე, მაშინ ამჩნევს მათ ხალხი და იწყება ხელახლა დრტვინვა. ცეკვა და დაკვრა გრძელდება ცოტა ხანს, მაგრამ მალე სწყდება.

ხ ა ლ ხ ი .

- რა მოხდა კვლავ?
- ვინ არის ეს?
- ვინ არის ეს კაცი?
- კვლავ ხელს გვიშლიან...
- შუა ცეკვაში...
- ვინ არის ეს კაცი?
- და ესენი, ვინც მასთან იმყოფებიან...
- რა უნდათ კათედრასთან?



- ვინ არიან?
- ეს ხომ ექიმა!
- ექიმი? რიზაელ?
- ნუთუ ვერ იცანით?
- სწორედ ისაა.
- ექიმი! ექიმი!
- ესენი კი არიან მისი მოწაფენი.
- ლამაზი დილლემარიც ჩვეულებრივად მასთან არის.
- რიზაელ ასწავლის მათ საექიმო მეცნიერებას.
- თვითონ იკვლევს ბუნებას.
- აგროვებს მთებში ბალახებსა და მწვანეებს.
- ღამით ითვლის ცაში ვარსკვლავებს.
- მზიან დღეებში ის პრგავს ბაღში ხეებს, მოჰყავს ბოსტნეული და ეძებს დედამიწის სიღრმეში.
- წვიმიან დღეებში ის აშენებს სხვადასხვანაირ შენობებს და აღულებულ ქუჩაზე აღნობს ყოველგვარ ლითონებს.
- იკვლევს ზღვის ფსკერს.
- სჭრის მკვდრების გვამებს და სხვა ცხოველებისას.
- ჰქეჩავს წიგნებს და უძველეს პერგამენტებს.
- წერს თვითონ ახალ წიგნებს.
- ხანდახან მგზავრობს ქვეყნის დასათვალიერებლად.
- ესენი, მისი მოწაფენი, მას ეხმარებიან.
- კი მაგრამ რისთვის მოვიდენ აქ?
- რა სურთ კათედრაზე?
- რად შესწყვიტეს ქალიშვილებმა ცეკვა?
- რად გაჩუმდნენ დამკვრელები?
- გაჩუმდით! გაჩუმდით!
- ქალიშვილებს დაავიწყდათ ცეკვა და შურით შესცქერიან დილლემარის სილამაზეს.

ჩამოვარდება სიწყნარე.

რიზაელ

ბატონო კარისკაცების უფროსო! მრავალი წელია ვმუშაობდი საექიმო მეცნიერებაში. ბევრი ვიშრომე და მოვიქანცე, ვიდრე აღმოუჩენდი წამალს ამ ვაკეში მცხოვრებ ადამიანების ტანისა და სულის მრავალ ავადმყოფობას. მაგრამ ეს არ კმარა, მე მსურს აღმოუჩინო გაუმჯობესება მის მწარე ბედსაც. ვეძებდი და თვალყურს ვადევნებდი დედამიწის სიღრმეში, ზღვების ფსკერზე, მსოფლი-

ოს სივრცეში—პასუხი ვერსად ვერ ვპოვე. ვეკითხებოდი და ვაწარ-
მოებდი ძიებას ცოცხლებთან,—მცენარეებთან, რომლებიც იზრდე-
ბიან და სდუმან, ვუგდებდი ყურს ჯანმრთელთა ძალების ჩურჩულს.
—მაგრამ არაფერი არ გამომივიდა.

მაინც ჯერ კიდევ არ დამიკარგავს იმედი. ამ ქვეყნის მცხოვრებ-
თა მწარე და საშინელ ბედს — სჭირია გაუმჯობესება, სჭირია
წამალი.

ამ სასახლეში ცხოვრობს ქვეყნის ბატონი, დიდი მთავარი და
მასთან მივდივარ ეხლა. მის ხელშია მთელი ხალხის ბედი და მისი
ვანია—დახმარება. მთავარი ჩაკეტილია თავის სასახლეში, სდგას
მალალი კოშკის წვერზე და ყურს არ უგდებს იმას, რაც ხდება აქ.
მივალთ მასთან მე და ჩემი ახალგაზრდა მეგობრები და უამბობთ
მას, რაც ხდება აქ, დაბლა. უამბობთ მას მთელ ტანჯვებს, ტკივი-
ლებს და ჭრილობებს, რომლებიც სტანჯავენ მის შვილებს, მის
ერთგულ ქვეშევრდომებს. ვაჩვენებთ მას ამ დიდ ბანაკს და ის გან-
კურნავს მათ, გააკეთებს, რაც საჭიროა, ვინაიდან გამოილია მოთ-
მინების ძალა და აღარ შეიძლება მეტის ატანა.


დღეს ზეიშია დიდი მთავრისა. ის იცქირება მალლიდან და მის
გულს ახარებს ის დიდი დაფასება, რითაც მას პატივს სცემს დაბ-
ლობი. ამ ზეიმის დღეს წარვსდგებით მასთან და ვთხოვთ ამ ხალხი-
სათვის. ყოველ წლიურად შენ გვიამბობ მის კეთილ გულზე და მი-
სი წყალობის სიდიადეზე. შეუძლებელია, რომ ბოლო არ მოუღოს
ამ საშინელ ტანჯვას და არ მისცეს საშუალება თავისი ქვეყნის
მცხოვრებლებს მოსვენებული ცხოვრებისა.

ბატონო კარისკაცების უფროსო, გაგვიღე ჭიშკარი და შევალთ
მთავრის სასახლეში.

ნო ა კ ი მ.

რას ლაპარაკობ, ბატონო ექიმო? რას ითხოვ? განა არ იცი, რომ
სასახლეში შესვლა აკრძალულია ყოველი უცხოისათვის? განა არ
იცი, რომ კაცი ვერ იხილავს მის სახეს, თუ თვითონ არ დაუძახა?
მრავალი წელია მას შემდეგ, რაც აღარავისთვის დაუძახია. მეც
ვერ ვბედავ შევიდე სასახლეში. შიგნით. შორიდან ველაპარაკებ
მას ჩემს სათქმელს. რა გსურს შენ იქ? დანაშაულს სჩადიხარ, ჩემო
ბატონო. დიდმა მთავარმა თითონ იცის, რის ცოდნაც საჭიროა და
რაც უნდა გააკეთოს. შენ ვინა ხარ, რომ ასწავლო მას ჭკუა? შენ
ვინა ხარ, რომ მოსულხარ ჩაშალო ეს დიდი ზეიმი?

მე ვითხოვ მთავრის ნახვას. გამიღე სასახლის ჭიშკარი, ბატონო
კარისკაცების უფროსო!



იოაკიმ.

კიდევაც რომ გავაღო—მას ვერ იხილავ. სასახლეში აუარებელი
ოთახია, უთვალავია დერეფნები და დარბაზები. ვინ გაჩვენებს
სწორ გზას? გზა აგცდება. გზა, რომელიც მიიმართება კოშკისაკენ—
ბნელი და მძიმეა, ვიწრო და გრძელი, კიბეები—დანგრეული და
დაშლილი, მანძილი—შორი და სავსეა ხიფათით. ვერასოდეს ვერ
მიადწევ კოშკის წვერს.

რ ი ზ ა ე ლ

გამიღე ჭიშკარი, ბატონო კარისკაცების უფროსო!

იოაკიმ.

უცქირე რა მაღალია კოშკი! მისი წვერი აღწევს ზეცამდე და
კიბეების საფეხურებზე კი, ფეხი ცურავს და სხლტება.

რ ი ზ ა ე ლ .

უცქირე რა მრავალია გარშემო რიცხვი საწყლებისა; მათი მწუ-
ხარება ღრმაა დედამიწის უფსკრულივით. გამიღე სასახლის ჭიშკარი!
გააღე ჭიშკარი! შემდეგ დაუბრუნდით თქვენ ცეკვას და ზეიმს, რო-
მელიც ჩაიშალა და სანამ გათავდებოდეს თქვენი ზეიმი, სანამ დაბ-
რუნდებოდეთ თქვენი დაბლობის სახლებში—დავბრუნდები და მო-
გიტანთ მთავრის შველას. ტკივილების დასასრულს და ხსნას მოვიტან
მთავრისაგან.

იოაკიმ.

გულადი და ამაყი ხარ, არ გაგიგონებს კოშკის მცხოვრები. ესე-
ნიც, ეს საწყალი ძმები არ გაგიგონებენ. ცრუ იმედებს უნერგავ მათ
გულში.

რ ი ზ ა ე ლ .

გააღე ჭიშკარი! ამათი გაჭირვება—მთავრის სირცხვილია. ძალა-

უნებურად გამიგონებს. მის ღიდ სირცხვილს ნათელს გყოფ მზის
წინაშე.



ქართული
ბიბლიოთეკა

იოაკიმ.

ნუ სცოდავ!

რიზაელ.

შენც ნუ სცოდავ ამ ხალხის წინაშე, რომელიც სდგას შენ ფეხ-
ქვეშ. ნუ თხზავ დაბრკოლებებს ჩემს გზაზე, შველის გზაზე. გააღე
ჭიშკარი!

იოაკიმ.

როცა დაღამდება, ვინ გაგინათებს გზას? მთავრის სასახლეში არ
არის სინათლე.

რიზაელ.

ხელში მიჭირავს ჩირაღდანი.

იოაკიმ.

შენ არ ხარ პირველი. ასეთი ცდები უკვე გაკეთდა. ხანგამოშვებით
შენსავით ჭკუათხელები შეცვინულან სასახლეში, მაგრამ ჯერ კიდევ
არც ერთი მათგანი არ დაბრუნებულა.

რიზაელ.

მე არ ვიცი შიში.

იოაკიმ.

არც ერთ მათგანს არ მიუღწევია კოშკის წვერამდე.

რიზაელ.

მე მივადწევ.

იოაკიმ.

არც ერთ მათგანს არ უნახავს მთავრის სახე.

რ ი ზ ა ე ლ.

მე ვნახავ. გააღე ჭიშკარი

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი.

გააღე ჭიშკარი! გააღე ჭიშკარი!

ხ მ ე ბ ი ს ა წ ყ ლ ე ბ ი ს ჯ გ უ ფ ე ბ ი დ ა ნ.

გააღე ჭიშკარი! გააღე ჭიშკარი!

ი ო ა კ ი მ.

ჩემი ერთგული რჩევაა: დაუბრუნდე სახლს და შენს მუშაობას.

ბ რ ბ ო.

- რისთვის უინიანობს ის ბებერი?
- რისთვის არ აღებს?
- რისთვის დაუკეტიათ ჭიშკარი?
- რისთვის იმალება მთავარი?
- გაიღოს ჭიშკარი! გაიღოს
- შევიდეს ეს კაცი და ავიდეს კოშკში
- ეგებ მოგვიტანოს შველა...
- და ჩვენ გავძლებით...
- და თვალები აგვეხილება...
- მუნი მოშორდება ჩვენს სხეულს...
- მწუხარება მოისპობა ქვეყნად.
- მოუვა აღსასრული ცრემლებს.
- და სისხლს...
- გააღე ჭიშკარი! გააღე ჭიშკარი! გააღე ჭიშკარი!

ი ო ა კ ი მ.

უკანასკნელად გაფრთხილებ: არ წახვიდე იქ.

რ ი ზ ა ე ლ.

უკანასკნელად მოგმართავ: გააღე ჭიშკარი!

ი ო ა კ ი მ.

თავს დაიღუპავ!



თავს დაიღუპავ! თავს დაიღუპავ!

იოაკიმ ჩამოდის კათედრიდან, იღებს ჯიბიდან დიდ სპილენძის გასაღებს, რომელიც გაყვითლებულია ჟანგით და შეჰყოფს მას კარსაკეტის ხვრელში, ჭიშკარი იღება ჭრაჭუნით.

რიზაელ.

ჩემო ტანჯულო ძმებო! მე ვაპირებ ავიდე კოშკის წვერზე, წარვსდგე დიდი მთავრის ტახტის წინ და გადავცე მას თქვენი საჩივარი, მისი ქვეყნის საწყალ მცხოვრებთ საჩივარი, მიმაქვს თან ჭეშმარიტება და მოვითხოვ სამართლიანობას! მალე, ვიდრე ღამე გაივლიდეს, დავბრუნდები თქვენთან და მოგახარებთ შველას. მომიცადეთ აქ სასახლის წინ, მომიცადეთ მთელი ღამე, განთიადისას დავბრუნდები!

ამხანაგებო და ჩემო ძვირფასო დილლემარ — გავწიოთ წინ! შედის სასახლეში და უკან შეჰყვებიან დილლემარ და ახალგაზრდები.

ბ რ ბ ო.

- გაუმარჯოს მაღალ კაცს!
- გაუმარჯოს! გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

ჭიშკარი იხურება თავისით. პირველი კარისკაცი ჰკეტავს კარებს და გასაღებს ინახავს ჯიბეში.

ბ რ ბ ო.

- გავაგრძელოთ ჩვენი დღესასწაული!
- ვიდრე დაბრუნდებოდეს!
- ვიდრე მოვიდოდეს!
- ვიდრე დაბრუნდებოდეს!

დამკვრელები აგრძელებენ დაკვრას და ქალიშვილებიც უბრუნდებიან ცეკვას. კარისკაცების სახე მოღუშულია.

მოქმედება მეორე

I

ფარდის ახლისას სცენაზე სიბნელეა და არაფრის გარჩევა არ შეიძლება. პატარა ხნის შემდეგ, უკანა ფარდებიდან მოისმის ნაბიჯების და ლაპარაკის ხმა, თითქოს აფათურებენ სიბნელეში და ეძებენ კარებს.

ხმები და ნაბიჯები თანდათან ახლოვდება. მარჯვნიდან იღება კარები, რომლის ხვრელიდან მოჩანს მკრთალი სინათლის ზოლი, რომელიც მიაგავს ბნელ ღამით მინდორში ანთებულ წუმწუმის შუქს.

კარებში დგას რიზაელ. ხელში უჭირავს ჩირალდანი, რომლის შუქზე მოჩანს ცარიელი ოთახი. არავითარი ავეჯეულობა არაა. კედლის ფერები გახუნებულია და ძნელი გასარჩევია: თეთრია, შავი თუ ყვითელი. აუარებელი კარებია.

რიზაელ გაივლის ოთახს ერთი ბოლოდან მეორემდე, ანათებს თავის ჩირალდანით და ათვალიერებს. შემდეგ მიუბრუნდება მარჯვნივ კარებს.

რიზაელ.

— აქეთ! მოდით აქეთ!

ერთი წუთის შემდეგ.

— იჩქარეთ, აქ შეიძლება დასვენება.

გააქვს ჩირალდანი კარების გარეთ და უნათებს გზას მის უკან მომსვლელებს. თანდათან ახლოვდება ნაბიჯების ხმა.

— აქეთ! აქეთ! განა ვერ ჰხედავთ ამ სინათლეს?

ძლიერდება მოახლოებულთა ხმები და ნაბიჯები.

— აქეთ! აქეთ!

სათითაოდ შემოდინან დილლემარ და ხუთი-ექვსი ახალგაზრდა. კარების იქით მოისმის დანარჩენთა შორეული ნაბიჯები.

— სად არიან დანარჩენები?

დილლემარ.

უკან რჩებიან. უკვე დაიღალენ ბევრი სიარულით.



— ხომ მოუცდით აქ?

რ ი ზ ა ე ლ.

აქ მოვიცდით ცოტა ხანს და შევისვენებთ. მაგრამ მეტს აღარ მოუცდი არავის. გახსოვდეთ ეს კარგად: მეტს აღარავის არ მოუცდი. ვინც ჩამოგვრჩება—ის დაიღუპება! სუსტიც, ავადმყოფიც. ვინც წაიქცა და აღარ ძალუძს ადგომა — ყველანი დაიღუპებიან! გზა გრძელია და დრო კი მოკლე. ჩვენი ვალია ვიჩქაროთ! გარედ ჩვენ მოსვლას ელოდებიან ათასები და ათი ათასები...

ღვას კარებში და გზას უნათებს უკან ჩამოჩენილებს, რომლებიც შემოდინს სათითაოდ.

პირველი ახალგაზრდა.

აქაც არაა არავითარი ავეჯეულობა.

მეორე ახალგაზრდა.

გარედან სასახლე ისეა მორთული, რომ გგონია უსაზღვროა შიგნით მისი სიმდიდრე. მაგრამ ყველა ოთახი ცარიელია.

მესამე.

ცარიელია? დამურები?

პირველი.

ობობები? სხვა ქვემძრომნი და ქვეწარმავალნი?

მესამე.

რამდენად უცნაური არიან! სრულებით არ ჰგვანან დაბლობის სხვა ცხოველებს.

მეორე.

დააკვირდით, როგორ გავლენას ახდენს მათზე ჩირაღდნის შუქი?

დიღღეამარ.

დავაკვირდი. მათი უმრავლესობა მირბის და იმალება. ძვრებიან

კედლის ხერხელებში და ჭუჭრუტანებში, მაგრამ არიან მათ-
ში სინათლის მოყვარულნიც. ყველა კუთხეებიდან გროვდებიან ანთებული ჩირაღდანის გარშემო.

არიან მათ-
მორბიან და
ერონულნი
ბიზლირთქან

მ ე ო რ ე.

გველები ნახეთ?

პ ი რ ვ ე ლ ი.

ამ ოთახში როგორც ჩანს ცოტანი არიან ცხოველები.

რ ი ზ ა ე ლ.

აქ შევამჩნიე ახალი ჯიშის — თეთრი და პატარა მატლები. უცქი-
რეთ, აგერ დალოდავენ კედლებზე. მოერიდეთ ამ მატლებს!

მიუახლოვდება კედელს და ანათებს თავის ჩირაღდნით. მოწაფეები შემოეხვე-
ვიან და აკვირდებიან განათებულ კედელს.

დ ი ლ ლ ე ა მ ა რ.

რა ხიფათი გველის ამ ქვემძრომებისაგან?

რ ი ზ ა ე ლ.

წურბელებსავით სწოვენ ადამიანის სისხლს და წვენს, სანამ
უღონოდ დაეცემოდეს მიწაზე.

მ ე ს ა მ ე.

მრავალია აქ კარები. რომელი უნდა ამოვარჩიოთ?

რ ი ზ ა ე ლ.

ყველანი შემოხვედით? არავინ გვაკლია?

პ ი რ ვ ე ლ ი.

ერთი არაა.

რ ი ზ ა ე ლ.

სადაა?

დიღღეამარ.

ჩამოგვრჩა და, ალბათ, აცდა გზას აუარებელ დერეფნებში.
კუყვირეთ და ვერ მივიღეთ პასუხი, ველოდეთ და არ მოვიდა. ახლაც
ის აფათურებს ხელებს ცარიელ და გავერანებულ ოთახებში.

მეორე.

რა საშინელებაა იარო მარტო სიბნელეში — ცარიელ და ფართო
დარბაზებში!...

მესამე.

როდესაც არა გაქვს იმედი იპოვნო სწორი გზა.

მეოთხე.

როდესაც არა გაქვს საშუალება დაელაპარაკო კაცს.

მეხუთე.

როდესაც უნდა შეხვდე ყოველ წუთს თავგების რაზმებს.

მეექვსე.

როდესაც უნდა გაება ობობების ქსელში.

მეორე.

ობობების ქსელი არაა საშიში. შეიძლება მათი დაწყვეტა. საკმარისია მიკარება და იქავ ირღვევა.

მესამე.

მაგრამ თავგები. დაინახეთ მათი დიდი და წვეტიანი კბილები?

მეოთხე.

ის, ალბათ, დადის და ყვირის, დადის და იძახის, მაგრამ კაცს არ
ესმის მისი ხმა.

მეხუთე.

კარგს იზამს, თუ იყვირებს—დაფრთხებიან თავგები.

მ ე ე ქ ვ ს ე.

არა, ამ თაგვებს არაფრის არ ეშინიათ.



ქართული
ბიბლიოთეკა

პ ი რ ვ ე ლ ი.

უმჯობესია მისთვის, რომ ჩაჩუმდეს. მის ძახილზე მოვლენ გვე-
ლები.

მ ე ო რ ე.

სწორია. გველები იღვიძებენ და დაძვრებიან ქვის იატაკზე.

მ ე ს ა მ ე.

ვინ იცის, რამდენი სახის ცხოველი შეხვდება მას კიდეც გზაზე!

მ ე ო რ ე.

ალარც უკან დაბრუნება შეუძლია.

მ ე ს ა მ ე.

ალარავითარი იმედი არ არის მისთვის.

იღება მარცხნით კარები და ოთახში შემოდის კაცი ჩაცმული გახუნებულ და
გძელ ტანსაცმელში.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი.

აგერ კაცი! ყოფილან აქ კაცები!

მიუახლოვდებიან და გარშემოერთყმიან.

რ ი ზ ა ე ლ.

ვინა ხარ?

ა ხ ლ ა დ შ ე მ ო ს უ ლ ი.

ხმას არ იღებს.

რ ი ზ ა ე ლ.

ვინა ხარ?

ახალგაზრდები.

ვინა ხარ? ვინა ხარ? ვინა ხარ?

არ პასუხობს. აკვირდება მათ ერთ წუთს და მიდის მარჯვნივ კარებიდან.

ახალგაზრდები.

— რად არ პასუხობს?

— ვინ არის?

— საიდან მოვიდა?

— სად მიდის?

რიზაელ უახლოვდება ახლად შემოსულს და ანათებს მას თავის ჩირაღდნით. მისი ტანსაცმელი წააგავს კარისკაცების ტანსაცმელს.

რიზაელ.

მთავარის მსახურთაგანია, ერთ-ერთი იმისი მსახური.

ახალგაზრდები.

— რატომ გაჩუმებულა?

— რატომ არაფერს ამბობს?

— ეგებ არ ესმის ჩვენი ენა?

— დაველაპარაკოთ სხვა ენებზე.

რიზაელ.

მუნჯია.

ამასობაში უცხო კაცი გადის მარჯვენა კარებიდან.

რიზაელ

მთავარს ჰყავს მუნჯი მსახურები. ეს ერთი იმათაგანია.

ახალგაზრდები.

რად უნდა მას მუნჯი მსახურები?

რიზაელ.

რომ არავინ გასცეს მისი საიდუმლო.

ახალგაზრდები.

— ვის?

— აქ ხომ არავინაა?

რ ი ზ ა ე ლ.

თუმცა აქ არავინაა, მაგრამ ადამიანის ძენი ხანგამოშვებით ჰბედავენ ჩვენსავით შემოცვივდნენ სასახლეში, ავიდნენ მასთან და გაიგონ მისი საიდუმლო და ჯადო.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი.

მას არ სურს ეს?

რ ი ზ ა ე ლ.

არა. მაშინ ხომ განთავისუფლდებიან დაბლობის მცხოვრებნი მძიმე უღლიდან და აღარ იქნებიან დამოკიდებულნი მისგან. ამიტომაც, რომ გვიფენს გზას დაბრკოლებებით.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი.

- მაგრამ ჩვენ მოვერევით ყველა დაბრკოლებას.
- ჩვენ გავიმარჯვებთ ყველა შემთხვევაზე.
- ჩვენ არ აგვცდება გზა.

რ ი ზ ა ე ლ.

ჩირალდანი გადიდდა ჩემ ხელში!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი.

- ის გვინათებს გზას!
- დეე ავიდეთ და რაც უნდა მოხდეს!
- ნახევარი გზა უკვე გავიარეთ.
- უმთავრესი — დასაწყისია. რადგანაც დავიწყეთ — მწამს, რომ დავასრულებთ.
- დაბლობის ყოველი მცხოვრები მოგვიძღვნის მადლობას.
- ქუჩებში და მოედნებში აგვიგებენ ძეგლებს და ქანდაკებებს.
- მგოსნები შეთხზავენ ლექსებს ჩვენს საპატივცემოდ.
- დამკვრელები დაუკრავენ ჩვენთვის საუკეთესო საკრავებს.
- ქალიშვილები დაგვიმზადებენ ყვავილების კონებს.
- ქალები შეგვიყვარებენ.

რ ი ზ ა ე ლ.

მაგრამ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს წინ. უნდა გავიაროთ ასობით დარბაზები და უნდა ავცოცდეთ დაუსრულებელ კიბეებზე.

დიღლეამარ.

გზასულ ბნელია?

რიზაელ.

კი, დიღლეამარ, ვიდრე მივალწევდეთ კოშკის მწვერვალს—მზე არ გაგვინათებს.

დიღლეამარ.

და ვიდრე მივიდოდეთ იქ — უნდა ვიაროთ ბნელ და ცარიელ დარბაზებში, რომლებიც სავსეა ქვემძრომებით და ქვეწარმავლებით?

რიზაელ.

კიდევ მრავალი პატრა მხეცი შეგვხვდება გზაზე, მაგრამ რამდენად მალა ავიწევით, იმდენად მათი რიცხვი შემცირდება.

დიღლეამარ.

რა შეგვხვდება კიდევ გზაზე?

რიზაელ.

ძველ პერგამენტებში ამოვიკითხე, რომ მალა, კოშკის უმაღლეს სართულებში, ჰგალობენ მგალობელი ჩიტები. ამწვანებული ბალები ჩამოკიდებულია იქ, ჰაერში. ბროლის დარბაზებია იქ და ალმასის ოთახები.

ახალგაზრდები.

- ფარშავანგის ფრთები?
- ბალები?
- ხეების ყვავილები?
- ბროლის დარბაზები?
- აჰ, რა კარგია!
- მაშ, დავაჩქაროთ...
- დავაჩქაროთ, დავაჩქაროთ. შეგვძულდა საზიზღარი თაგვები.
- დაინახეთ დაბლა წიგნების გროვა?
- მერე რა?
- თაგვებმა შესჭამეს მთლად. ყველა ფურცლები დაღრღნილია, გადარჩენილა მხოლოდ სპილენძის მაგარი ყდები.

რ ი ზ ა ე ლ.

წასვლის დროა! მივდივარ გზის საძებრად.

აღებს კარებს მარჯვნივ და გადის, ახალგაზრდები რჩებიან სიბნელეში.



რ ი ზ ა ე ლ.

ეს არაა გზა. გრძელი დერეფნით გზა მიდის რომელიღაც დაბლა
სართულისაკენ — და ჩვენ კი უნდა მალლა ავიდეთ!

გადის მეორე კარებიდან და ბრუნდება.

— არც ესაა.

აღებს მესამე კარებს.

— არც ეს.

ასე გადის ყველა კარებებში, გადის და ბრუნდება, გადის და ბრუნდება.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი.

მარტო როცა რჩებიან.

— რა ძნელია აქ სწორი გზის პოვნა.

— აუარებელია აქ გზები და ბილიკები.

— აბნეულია ძლიერ...

— და გადახლართული...

— ჰგვანან ძლიერ ერთმანეთს.

— არავითარი ნიშანი, არავითარი კვალი.

— არც არავინაა, რომ ვკითხოთ.

— სულ ადვილია აქ გზის დაკარგვა.

— რა იქნება, თუ დავიბენით?

— შეიძლება, უკვე დავიბენით...

— შეიძლება, ვერასოდეს ვერ ვიპოვოთ სწორი გზა.

— ან შეიძლება, სრულებით არაა სწორი გზა.

— კიდევ რომ არ იყოს გზა — მაინც მივალწევთ მთავართან.

— კედლებზე ავცოცდებით და კოშკის წვერზე ავალთ.

— გავიკვლევთ გზას.

— მალალი კაცი ხომ წინ მიგვიძღვება!

— დიდი ჩირაღდანი მის ხელშია!

— სინათლის ჩირაღდანი!

— ჩირაღდანი! ჩირაღდანი! ჩირაღდანი!

რიზაელ შედის ოთახის კუთხეში მდებარე პატარა კარებში.

რ ი ზ ა ე ლ.

აქეთ!

ახალგაზრდები.



ქართული
ბიბლიოთეკა

- უკვე იპოვნე?
- რითი გამოიცან?

რიზაელ.

ამ დერეფანში ვიპოვნე მაღალი კიბე, მეტად მაღალი, რაც ამტკიცებს, რომ ესაა გზა. ჩვენი ვალი ხომ ზევით ასვლაა.

ახალგაზრდები.

ზევით ასვლა! ზევით ასვლა!

რიზაელ.

გავსწიოთ წინ!

რიზაელ მიუძღვებათ და ახალგაზრდები მიჰყვებიან ერთმანეთს. კარებთან, ერთი ახალგაზრდა წაბორძიკდება და ეცემა მიწაზე.

ახალგაზრდები.

- რა დაგემართა?
- რა მოგივიდა?
- ადექი, ადექი!
- აგერ ჩემი ხელი მზადაა საშველად...
- ადექი!

ფერდი.

არ ძალმიძს წამოდგომა. ავად ვარ...

ახალგაზრდები.

რა მოგივიდა?

ფერდი.

ძალამ მიმტყუნა. წადით თქვენი გზით და მე დავრჩები აქ. თავი მიბრუნის, ფეხი კანკალებს. წადით, მე ნუ მაქცევთ ყურადღებას.

რიზაელ.

შენ რას იზამ?

ფერდი.

ვიწოლები აქ, ვიდრე დაბრუნდებოდეთ.



- შენ მარტო...
- სიბნელეში?
- ცივი ქვის იატაკზე?
- მატლები?

დიღღეამარ.

ნუთუ ვერაფერს მოვახერხებთ, რიზაელ, ნუთუ არ შეიძლება მაგის მორჩენა?

რიზაელ.

ჩემდა სამწუხაროდ—არა. სასახლეში ძალა დაეკარგა იმ წამლებს, რითაც ჩვენ ქალაქში ვკურნავთ ჩვენს ავადმყოფებს.

ფერდი.

წადით, ნუ დარდობთ ჩემზე.

რიზაელ.

იყავ მშვიდობით, ძმაო. ძნელია ჩემთვის შენი ჩამოშორება, მაგრამ ამჟამად არ შეგვიძლია შენთვის რამეს გაკეთება.

დიღღეამარ.

ამხანაგო, საშინელი იქნება აქ შენი ბედი უჩვენოდ. იქნები განმარტოებული ამ უცნაურ და ცივ კედლებს შორის — მთელი დამის განმავლობაში, რომელიც არ იღევა. მე ვარჩევდი სიკვდილს, ვიდრე ასეთ სიცოცხლეს.

ფერდი.

რად მელაპარაკები ასეთი სიტყვებით? ყველაფერი გაივლის. რამდენიმე ხნის შემდეგ ხომ დაბრუნდებით, მე თქვენ მოგიცდით. დეე გაგრძელდეს საათები, როგორც ჰსურდეთ, მე მოუცდი თქვენს დაბრუნებას.

დიღღეამარ.

— მშვიდობით!

მაგრად ართმევს ხელს.

— ყოველ შემთხვევაში გქონდეს ეს.
გამოიღებს უბიდან რევოლვერს და აძლევს.

ფ ე რ დ ი.

არ მსურს! ნუ დამიტოვებ, არ ვსაჭიროებ. ვიცი: შეიძლება დადგეს უიმედობის წუთები და ნუ მექნება ხელში ეს. არ მსურს დავდგე გამოცდის წინაშე. გადიან გასწით, მშვიდობით! მე დაუცდი თქვენს დაბრუნებას.

რიზაელ, დიელლეამარ და ახალგაზრდები ჩამოართმევენ ხელს და გადიან.

ფ ე რ დ ი.

მე უცდი თქვენს დაბრუნებას.

ის ყურს უგდებს თავის ამხანაგების ნაბიჯებს, რომლებიც თანდათანობით შორდებიან—როცა აღიან ქვის კიბეზე ფარდების უკან. ღია კარების ხვრელში ცოტახანს კიდევ მოჩანს ჩირალდანის შუქის ზოლი, მაგრამ რამდენადაც ნაბიჯები წყდება, იმდენად ისიც იკარგება და გამეფდება სრული სიბნელე. არ შეიძლება რამეს დანახვა. სიბნელიდან მოისმის ავადმყოფის ხმა.

ფ ე რ დ ი.

კიდევ მესმის მათი ნაბიჯების ხმა; მე კი ვრჩები მარტოდმარტო. იმ დროს, როდესაც ჩემი ამხანაგები მიდიან და აღწევენ, მიდიან და უახლოვდებიან მიზანს, მაგრამ მიდიან და მშორდებიან.

პ ა უ ზ ა.

— მთელი სიცოცხლე ვიყავ ჩამრთელი და ღონიერი და მიმტყუნა ძალამ სწორედ იმ დროს, როდესაც უნდა ვყოფილიყავ გმირი. ნაბიჯები თანდათან მშორდება, მე ყური მაქვს მიწაზე მიპყრობილი და თითქმის აღარაფერი არ ისმის. სად არიან ისინი ახლა? ისინი აღიან, ნაბიჯით წინ, ზევით, ზევით. ერთი საათის წინედ მეც მათთან ვიყავი. ნახევარი გზა, მხოლოდ ნახევარი გზა მატარეს ფეხებმა და ახლა კი ჩავიკეცე. ისინი აღიან, მიიჩქარიან და ამაყობენ — და მე კი ვწევარ აქ. ყურს ვუგდებ გარშემო დუმილს, საშინელ დუმილს.

მაგრამ მესმის — თითქოს ვიღაც კაცი ჩურჩულობს, თითქოს კარები იღება და იკეტება. ვინ არის ეს? რა არის ეს?

ნაბიჯების ხმა მესმის — მაგრამ ეს არაა ჩემი ამხანაგების ნაბიჯები. წალების ხმა, ნაბდის წალების—იატაკზე. ვინაა აქ? ვინ მოდის ჩემთან? მე მეშინიან. ცოტა კიდევ და დავიყვირებ. ცოტა კიდევ— დავიყვირებ. ვინ მოდის აქ?

მარჯვენა კარებიდან გამოდის მუნჯი მსახური. მიდის მარცხენა კარებისაკენ.

— ვინ ხარ? ვინ მოვიდა? რატომ არ მპასუხობ? რად გაჩუმებულხარ?



— ჰო, ეს ხომ მუნჯი მსახურია. მოხუცი ჯადოსანის კეშმარიტი მსახურთაგანი და მე კი ძლიერ შევშინდი.

იცინის.

— გარშემო სიბნელე მოქმედობს ჩემზე ასე ძლიერ.

მუნჯი მსახური გადის.

— ყველანი წავიდნენ, მხოლოდ მე დავრჩი. მე და ჩემი საბრალო ამხანაგი, რომელიც აცდა გზას დარბაზებში. ის დაეხეტება იქ, დადის და დაეხეტება, ოთახიდან ოთახში, დარბაზიდან — დარბაზში, აფათურებს ხელებს სიბნელეში და ეძებს. ეძებს ამსვლელების გზას, აკაკუნებს ყველა კარებზე და ვერ ჰპოულობს. შეიძლება იპოვოს? შესაძლებელია. მაშინ მე დავრჩები მარტო მთელ დიდ სასახლეში.

დამავიწყდა: სრულიადაც არა ვარ მარტო. მალე მოვლენ თაგვები. ალბათ, უკვე იგრძნეს ჩემი ყოფა და მალე მოვლენ. საშინელი ბრძოლა მექნება მათთან. როგორც რაზმები — დამეცემიან თავზე, ვინაიდან ყველა კარები ღიაა. რად დასტოვეს კარები ღიად? უცნაურია აქ წესები — ჯადოსანის სასახლეში. ხომ გაიარა მუნჯმა მსახურმა, რად არ გაიკეტა კარები?

მაშ ასე, სულ მალე მოვლენ თაგვები. ამ დუმბილში უკვე ესმის ჩემ ყურს მათი ფრჩხილების ფხაჰნა მიწის ქვებზე. მალე მოვლენ! გველებიც... ვაი, ნუ მოვლენ გველები.

იატაკზე ყური მაქვს მიპყრობილი და მესმის: ქვემძრომების რაზმები მოდიან და ახლოვდებიან. გარშემო ისმის ჩურჩული შხამიან და გესლიან გველებისა, ობობებისა და ხვლიკებისა... მესმის ღამურების ფრთების ხმაურობა. შავი ღამურები დაჰფრინავენ გარშემო და მათი წვრილი ფრთებით ჩურჩულობენ ჩემი თავის ზემოდ. ჯგუფებად გამოდიან სოროებიდან, ქვის კედლის ნახვრეტებიდან და ხვრელებიდან, ბნელი და ნესტიანი სართულებიდან — და უდარაჯებენ ნადირს—მშივრები, დანოტიებულნი და უკუღმართნი.

ხანგამოშვებით ისმის ხმაურობა ნელი ფრთების, სირბილი წვრილი ფეხებისა იატაკზე და საზიზღარი სისინი გველების და ქვემძრომების.

— პირველად სასახლე მოჩანდა ცარიელი, ცარიელი და მდუმარე. არ იყო სიცოცხლის ნიშანი, არ იყო მოძრაობა, არ იყო სინათლის ნაპერწკალი. ეხლა კი... თუმცა სინათლე არაა, მაგრამ სიბნელეში აქ ხდება საშინელი ამბები... დულს აქ შემადრწუნებელი ცხოვრება... თანდათან იხლართება გარშემო მაგარი და დაჭიმული ქსელები, მაგარი ძაფები, როგორც ხომალდის თოკები და აღარაა ძა-

ლა მათი დაწყვეტისა... უცნაური არსებანი შორიდანვე მცემენ ში-
შის ზარს, ცივი ფრთები მიახლოვდება და მთლიანად ვიკუმშები...
ისინი კი წავიდნენ... ვინ იცის სად არიან ისინი ახლა? ადიან...
ვით... ზევით... შეიძლება უკვე მიაღწიეს ჰაერში ჩამოკიდებულ ბა-
ლებს. შეიძლება უკვე გაშორდნენ ამ წყეულ სიბნელეს და უკვე
სტკბებიან მზის ბრწყინვალეებით. ზევით... ზევით... ქვემძრომთა მთავ-
რობა აღარ არსებობს, აღარ სუნთქავენ აქაური მოწამლული ჰა-
ერით... მათ ყურს აღარ ესმის ეს საზიზღარი ჩურჩული... ისინი ადი-
ან. მხოლოდ მე, ერთადერთი უკან ჩამორჩენილი, ვწევარ აქ ღონე-
მიხდილი და დაღეწილი—სხვადასხვა გველების და თაგვების კბილე-
ბის მსხვერპლად...

რა გრძელი ღამეა... ვინ იცის, როდის მიაღწევენ კოშკის წვერს,
როდის მიაღწევენ და როდის დაბრუნდებიან... მაგრამ მე მოვიცდი.
უკანასკნელ ძალ-ღონეს შემოვიკრებ და დავუცდი მათ დაბრუნებას...
სასახლის გარეთ მყოფნიც ხომ დგანან და ელოდებიან. ყველანი
ელოდებიან—მშვივრები, ბრმები, თბლები, კეთროვანები და მეც
მათთან ერთად, მეც მათთან ერთად, ისინი—იქ და მე—აქ. ჩემი კარგი
მასწავლებელი და ამხანაგები კი — ადიან, ადიან და უახლოვდებიან
კოშკის წვერს.

ოჰ, როდის დაბრუნდებიან, როდის დაბრუნდებიან? სული მე-
ლევა... სული თანდათანობით მელევა.

ქვემძრომთა რაზმები უკვე შემოვიდნენ ოთახში ყველა კარები-
დან... წინ და უკან ისინი მოდიან და მიახლოვდებიან, მოდიან და
გარს მერტყმიან... მუნოსავენ, მუნოსავენ და მსინჯავენ და ალბათ,
მალე დამეტაკებიან... მალე დამეტაკებიან...

ვაი! ვაი! ამხანაგებო, რად მიმატოვეთ მე აქ? რად დამტოვეთ
მარტო და ავადმყოფი? დილლემარ! რად არ დამიტოვე რევოლვერი?

ჰყვირის.

დაბრუნდით! დაბრუნდით! გესმით თქვენ? თქვენ, ამსვლელნო,
თამამნო, ჯანმრთელნო, მაგარნო, რად დამტოვეთ მე აქ სუსტი და
ავადმყოფი? არავითარი უფლება არ გქონდათ, რომ ასე მოქცეული-
ყავით, არავითარი უფლება არ გქონდათ, რომ აქედან გასულიყავით
უჩემოდ... განა ჩემი დანაშაულია, რომ უკან ჩამოვრჩი? ოჰ,
დაბრუნდით, დაბრუნდით! წამიყვანეთ თქვენთან! მატარეთ თქვენს
მხრებზე, მაგრამ ნუ დამტოვებთ აქ მარტო...

გველების სისინი. ქვემძრომთა სირბილი.

ისინი უკვე მეძგერენ... უკვე მკბენენ, უკვე მჩხვლენ, უკვე
მკაწრავენ. მიშველეთ! მიშველეთ!
ვაი! ვაი! სად დავემყოფი ამათ? ესენი ძლიერ მრავალნი არიან...
მე კი განმარტოებული ვარ. მიშველეთ!
მიშველეთ!

ჰკივის.

II

კოშკის ცარიელი და ჰატარა ოთახი, წაგავს პირველ სურათში ნაჩვენებ ოთახს. ერთი კედელი მიდგმულია ხელოვნურად და შეიძლება მისი მთლად ჩამოღება, ხოლო უბრალო მაყურებლისათვის ეს ძნელი შესამჩნევია. აქაც არაა არავითარი ავეჯეულობა, გარდა ორი დიდი ლოდისა, რომელზედაც შეიძლება ჩამოჯდომა. ჩირაღდანი კუთხეშია და ანათებს ძლიერ. სცენაზე შემოდის რიზაელ და გულმოდგინეთ ათვალიერებს ყოველ კუთხეს.

რიზაელ.

ჯერ კიდევ არავითარი კვალი არაა. სასახლეში გვხვდება ერმანეთზე უცნაური ოთახები, რომელთა შესახებ წარმოდგენა არა მქონდა დაბლა. ჩემს მოწაფეებში შეიპარა ეჭვი; მაგრამ ისევ ხელოვნურად თავს იკავებენ. ჩემი საბრალო მოწაფეები! ახლა ისინი ისვენებენ და ეს წუთები დასვენებისა მათ მიაჩნიათ საუკუნო ბედნიერებად. ადვილად გასაგებია ეს მდგომარეობა: დიდი მანძილია და სასტიკად დაიღალნენ. დიდსულოვნებაა საჭირო, რომ ბოლომდე განვვლოთ ეს საშინელი გზა. მაგრამ საშინელება ჩემთვის აღარ არსებობს, როდესაც გზას მიმშვენიებს უმშვენიერესი დილლემარ.. დილლემარ — ეს ქალი არაა, ეს ზეცით მოფრენილი არსებაა, რომლის ყოფნა ჩემს ახლოს გადაიქცა ჩემს მეორე მიზნად. ხალხის შველა და დილლემარ — აი ჩემი სიცოცხლის მთელი შინაარსი. დილლემარ — ეს ჩემი ორეულია. დილლემარ — ეს ჩემი განმეორებაა. მასაც შეუყვარდა წამებული ხალხი, შევუყვარდი მე და აღარაფრად მიაჩნია ის სახიფათო გზა, რომელზედაც ეხლა ვდგევართ. (შემოდის დილლემარ) დილლემარ, ჩემო სიცოცხლე, მოდი დაჯექი ჩემს ახლოს.

დილლემარ

რას აკეთებდი აქ, რიზაელ, მარტო?

რ ი ზ ა ე ლ.

ვათვალე რებდი, ვეძებდი, მაგრამ უშედეგოდ. დიდი მთავრის საიდუმლოს ასე ადვილად ვერ შევიტყობთ. ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო.

დი ლ ლ ე ა მ ა რ.

ჩვენ შევპირდით ხალხს ბედნიერების ჩატანას განთიადისათვის, დედამიწაზე კი ვინ იცის რამდენი განთიადი შესცვალა ღამის ჩრდილებმა.

რ ი ზ ა ე ლ.

აქ კი, ამ უცნაურ სასახლეში—ჯერ არაა განთიადი, მაგრამ მას მალე ვიხილავთ. დილლემარ, ჩემო სულო, ხომ არ დაიღალე, ხომ არ დარდობ დედამიწისათვის, ხომ არ გაშინებს მომავალი დაბრკოლებები, რომლებიც შეგვხვდება ჩვენს გზაზე?

დი ლ ლ ე ა მ ა რ.

არა, რიზაელ. მე არაფერი არ მაშინებს. მე როდესაც შენთან ვარ და გიცქერი ჭკვიან თვალებში—მე ყველაფერი მავიწყდება. დედამიწა, ზეცა, ჰაერი, ჩვენი კოშკი და ჩვენი მიზანიც. მე მხოლოდ შენით ვსუნთქავ, შენით ვარსებობ. ასე მგონია, რომ მსოფლიო აღარ არსებობს და მთელ სამყაროში ვართ ჩვენ ორი: მე და შენ.

რ ი ზ ა ე ლ.

არა, დილლემარ. მსოფლიოში ჩვენ ორის გარდა არსებობენ მილიონები, რომელთათვისაც ზრუნვა—შეადგენს ჩვენს მიზანს. შენი სიყვარული მე მხოლოდ მამხნევეს ამ დიადი მიზნის მიღწევაში. მაგრამ ნუთუ დილლემარ — შენ ჰფიქრობ მარტო ჩვენს სიყვარულზე და დაგავიწყდა ის ხალხი, რომელიც ჩვენ დაბლა გვ ე ლ ო დ ე ბ ა? (დილლემარ ხმას არ იღებს) ნუთუ ჩვენი სიყვარულის მეტი აღარაფერი არსებობს შენს მშვენიერ გულში? განა დაგავიწყდა ის გარემოება—რისთვისაც შეგიყვარდი? შენ ხომ ჩემში მოგწონდა ის, — რომ მე ხალხი მიყვარდა და მისთვის ვზრუნავდი? დილლემარ! რად გაჩუმებულხარ, მიპასუხე, ნუთუ შენ არ გაფრთოვანებს ის დიადი მიზანი, რომელიც ჩვენ დავისახეთ? (დილლემარ ხმას არ იღებს, რიზაელ შეშინებული უკან იხევს) დილლემარ, მიპასუხე რისთვის წამომყევი ამ გზაზე?

დილლემარ.

იმისათვის, რომ შენ მიყვარხარ.

რიზაელ.

ხალხი?

დილლემარ.

არ ვიცი. შენამდე მიყვარდა ტანჯული ხალხი. შენს შემდეგ მე ვველაფერი დამავიწყდა.

რიზაელ.

ჩემმა სიყვარულმა შენ დაგავიწყა თავდაპირველი მიზანი—წამებული ხალხი. დილლემარ — ამას შენ არ ლაპარაკობ. ამას ლაპარაკობს ვიღაც სხვა. შენი პირით მესმის თუმცა ტკბილი, მაგრამ საშინელი აღსარება, რომელიც ძირს უთხრის ჩვენს წმინდა მიზანს.

დილლემარ.

რა არის ეს ჩვენი წმინდა მიზანი?

რიზაელ.

მილიონების შველა.

დილლემარ.

მილიონების შველა? ხა, ხა, ხა! მილიონების... მილიონების... და შენ გგონია, რომ ამ მილიონებს შენ უშველი?

რიზაელ.

დიდი მთავარი ანგარიშს გაუწევს ჩემს თხოვნას.

დილლემარ.

დიდი მთავრის არსებობა—მე არა მწამს!

რიზაელ.

დილლემარ... — შენ... შენ... არ გწამდა და წამოხვედი მაინც ჩვენთან?

დილლეამარ.

დიახ, წამოვედი, რადგანაც დამაბრმავა შენმა სიყვარულმა.



რიზაელ.

დილლეამარ, ეს შენა ხარ?

დილლეამარ.

ეს მე ვარ, რიზაელ. მე მიყვარდა ხალხი, შენც გიყვარდა. მე შეგიყვარე შენ და დამავიწყდა ხალხი, ესაა ჩემი უდიდესი შეცდომა, რომელზედაც შენ მიმითითე. ამ შეცდომას გავასწორებ. მე შევიყვარებ ტანჯულ ხალხს და ვიზრუნებ ამ ტანჯულთა მილიონებისათვის.

რიზაელ.

ეხლა უკვე ლაპარაკობ, როგორც ძველი დილლეამარ. მაშ მომეცე შენი ხელი.

დილლეამარ.

არა, რიზაელ. მე ვლაპარაკობ, როგორც ახლად დაბადებული და სრულიად გარდაქმნილი. მე ამ წუთში ვტოვებ კოშკს და ვბრუნდები უკან.

რიზაელ.

დილლეამარ... შენ გაგიყდი! იცი სად ბრუნდები?

დილლეამარ.

დაწყნარდი, რიზაელ. მე ვიცი სად ვბრუნდები: მილიონებთან.

რიზაელ.

შენ მტოვებ მარტო. შენ სტოვებ ჩვენ გმირთა ჯგუფს, შენ სტოვებ ჩვენს დიად მიზანს და ეძებ გზებს უკან—დედამიწისაკენ... მაშ შენ მხდალი ყოფილხარ. მაშ შენ არ გყვარებივარ.

დილლეამარ.

დიახ, მე ვეძებ გზებს უკან, დედამიწისაკენ, რადგანაც დედამიწას შეუძლია ხსნა. მე შენ მიყვარდი მთელი არსებით და წამოგყევი

ბრძად, წინდაუხედავად. შენი გულისათვის მე არ ვიცი არავითარი შიში. შენი გულისათვის მე დავივიწყე ხალხი, მაგრამ ეხლა, როდესაც თვალები ამიხილე და დამარწმუნე, რომ უდიდესი მიზანი—ეს არის ხალხისათვის შველა—მე გადავწყვიტე უკან დაბრუნება. გესმის, რიზაელ? უკან დაბრუნება არა იმიტომ, რომ მე შეპეშინდა, არამედ იმიტომ, რომ არ ჩავიდინო მეორე შეცდომა.

რიზაელ.

მაშ შენ აღარ გწამს, რომ მე ხალხს მინდა მოუტანო ბედნიერება?

დილლეამარ.

მე მწამს, რომ ხალხისათვის გინდა მოიტანო ბედნიერება, მაგრამ გზა, რომლითაც შენ გინდა ხალხის გაბედნიერება—ყალბია. ბედნიერების გზა არ არის ბნელ კოშკში და უპაერო სივრცეში. ერთეულები ვერ იხსნიან მილიონებს. მილიონები თვითონ იხსნიან თავის თავს. საჭიროა მხოლოდ ამ მილიონების ამოქმედება. საჭიროა მხოლოდ ამ მილიონი ნებისყოფის გამომჟღავნება. მაშინ ხალხი გახდება თავისი თავის ბატონ-პატრონი და აღარ დასჭირდება მას რომელიღაც მთავრების წყალობა. შენ გულადი ხარ და უშიშარი, რიზაელ. შენ, მართალია, გადადგი პირველი ნაბიჯი, შემოიჭერი ამ საიდუმლოებით მოცულ კოშკში, მაგრამ აღარ გსურს გადადგა მეორე ნაბიჯი, შენ მხოლოდ თხოვნით და ხვეწნით გინდა იხსნა ჩაგრული ხალხი...

რიზაელ.

ჩაჩუმდი, დილლეამარ! შენში წყეული არსება სულდგმულობს.

დილლეამარ.


არა, რიზაელ. ოდესმე მომიგონებ, მაგრამ გვიან იქნება. ამიტომ გირჩევ: დაბრუნდი შენც; დააბრუნე შენი მოწათფებიც—ვიდრე შენი ჩირაღდანი ანათებს და გაიკვლევდე გზას, უკან. ამაოდ ეძებ ზეცას. საჭიროა ახალი გზა და ეს გზა, უნდა გამოიჭედოს დაბლა, დედამიწაზე. დედამიწა განაგებს ზეცას და მთელ სამყაროს. იქ კვლავ ერთად ვიმუშავოთ ხალხის ბედნიერებისათვის.

რიზაელ.

დილლეამარ! უკანასკნელად გთხოვ... გონს მოხვიდე!

დიღლეამარ.

ჩემი გადაწყვეტილება ურყევია. მშვიდობით, რიზაელ!



რიზაელ.

მაშ შენ... შენ მაინც მიდიხარ. დაიცადე კიდევ ცოტა ხანს და მოისმინე ჩემი უკანასკნელი სიტყვები. არც ერთი ჩემი მოწათფეთაგანი არ შეიტყობს, რომ შენ ასე მუხანათურად გვიღალატე და მოგვატყუე! შენი საქციელი შეარყევს იმათ რწმენას და იქონიებს ცუდ გავლენას. შენ მიდიხარ სიმხდალის გამო და... წადი! შენ დაღუპული ხარ ჩვენთვის და მაინც დაღუპვა გელის. მოწათფებსაც ასე განვუცხადებ, რომ შენ დაიღუპე, შენ ჩამოგვშორდი, როგორც მხდალი და ჩემი გულიდან სამუდამოდ იქნები აღმოფხრილი. მე ჩემს უშიშარ მოწათფებთან ერთად კვლავ გავაგრძელებ გამარჯვების გზაზე სიარულს და დავივიწყებ სამუდამოდ, რომ შენ ოდესმე არსებობდი ჩემი ტვინის უჯრედებში.

მიღის მძიმედ და მიაქვს ჩირაღდანი.

დიღლეამარ (მიმავალ რიზაელს).

ზეცა და დედამიწა ძალიან დაშორებულნი არიან ერთმანეთს. ჩვენ სხვადასხვა გზებით მივდივართ ერთსა და იმავე მიზნისაკენ. ხოლო მიზნის მიღწევა მსხვერპლის გარეშე შეუძლებელია. შენს მაგივრად გულის ფიცარზე აღვმართავ ახალ ძეგლს—ხალხის სიყვარულისას და სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე არ ვუღალატებ მას.

რიზაელ გადის, ჩირაღდანი გააქვს და დიღლეამარ რჩება სიბნელეში.

ეხლა მე მარტო ვარ სიბნელეში და უნდა ვეცადო სწორი გზა ვიპოვო, რომ როგორმე დედამიწამდე მივალწიო. საჭიროა აღარ ვიფიქრო რიზაელზე, თორემ ეს დამღუპავს.

ხელოვნურად მიღგმული კედელი გადმოეშვება სცენაზე და გადმოდის მუნჯი მსახური, დიღლეამარ უკან იხევს. მუნჯი მიიმართება მისკენ. სინათლე, რომელიც გამოჩნდა კედლის გადმოშვების დროს, არის მეტისმეტად ჭრელი: თეთრი, წითელი, ლურჯი, იისფერი, ყვითელი. მუნჯი ნელის ნაბიჯით და თვალებში ბოროტი განზრახვით უახლოვდება დიღლეამარს. დიღლეამარ ტრიალებს სცენის გარშემო და მუნჯიც მისდევს. უცბად შეჩერდება დიღლეამარ და სტაცებს ხელს მუნჯს:

— სთქვი, ვინა ხარ? რატომ არ იღებ ხმას? ნუთუ მართლა მუნჯი ხარ? ან არ გესმის ჩემი ენა? რატომ მიცქერი ასეთი თვალებით? რა განზრახვით მოხვედი ჩემთან? რას აკეთებ ამ კოშკში? რას

წარმოადგენს ეს კოშკი? რა საიდუმლოებას ატარებთ, ეი, თქვენ
საზიზღარო კარისკაცებო? მაშ ხმას არ მცემ? ჩამომეცალე გზიდან.
მე მივდივარ...

მუნჯი დაავლებს ხელს დილლემარს და მოუნდომებს მოხრჩობას, მაგრამ
დილლემარ გაუსხლტება და იძრობს რევოლვერს. უმიზნებს.

— სიცოცხლე მოგბეზრებია, უბედურო. შეინანიე შენი ცოდვე-
ბი. ხუთი წუთის შემდეგ შენ ამოიშლები მთავრის ერთგულ ჯაშუ-
შების სიიდან.

მუნჯი პირქვე დაემხო და მუნჯის ბგერით ითხოვს პატიებას.

— ეს არ გიშველის, ძაღლო, ამოიღე ხმა, მაჩვენე ეხლავე სამ-
წვიდობო გზა, მითხარ რას უდარაჯებ აქ და შემდეგ გაპატიებ. შენ
კიდევ ხმას არ იღებ? (უმიზნებს საფეთქელში).

მუნჯი.

არ მომკლა, ყველაფერს გეტყვი.

დილლემარ.

ამოიღე, მუნჯო, ხმა? მაშ ჩქარა მითხარ, რას აკეთებ აქ, ან რა იცი
კოშკის შესახებ?

მუნჯი.

მე რა ვიცი... რა ხდება კოშკში. მე მხოლოდ უფროსების
ბრძანებას ვასრულებ. საიდუმლოს მე არავინ მანდობს.

დილლემარ.

ვინ არის შენი უფროსი?

მუნჯი.

ი-ო-ა-კ-ი-მ.

დილლემარ.

ის საზიზღარი მოხუცი—კარისკაცების უფროსი?

ჩაფიქრდება, ხელს ჰკრავს და წინ გაიგდებს.

გასწი, არამზადავ, მიჩვენე სწორი გზა. ჯერ არ მოსულა შენი
ჭგრი და მოვა დრო—ყველას აღსასრული ერთად დადგება!



მოქმედება მესამე

I.

სიბნელე და დუმილი.
ცოტა ხნის შემდეგ აღწევს დაბლიდან შუქი წითელ-ყვითელ ფერებში. მოჩანს ქვების კიბე, რომელიც მიდის და იკლავება ზევით, კიბის წვერზე რკინის კარებია, კიბის საფეხურები მერყევი და მრუდეა. სინათლე თანდათან ახლოვდება. ისმის ამომსვლელთა ნაბიჯების ხმა. დაბლობიდან ამოდის რიზაელ თავის ჩირაღდნით.

რიზაელ. (დაბლა)

იჩქარეთ! იჩქარეთ!

სათითაოდ ამოდიან დაბლიდან ხუთი ახალგაზრდა.

ყველნი აქ ხართ?

ერთი ახალგაზრდა.

ყველანი.

რიზაელ.

იჩქარეთ ჩემთან ერთად. წინ! მუდამ წინ!

ახალგაზრდები.

— შეიძლება დავისვენოთ ცოტა ხანს?

— დავიღალეთ ძლიერ.

— კიბე მაღალია.

— გრძელია და დაუსრულებელი.

— საფეხურები დაშლილია.

— ჩვენ გვესაჭიროება დასვენება.

დრო არაა დასვენებისა... ჯერ კიდევ დიდია მანძილი.



ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი.

- ამდენი ხანაა ჩვენ მოვდივართ და მოვხტივართ. ჩემი ფეხები ისე შეეჩვიე ამ საფეხურებს, რომ ვეღარასოდეს ვერ შესძლებენ, აღბათ. დედამიწაზე — სწორ გზაზე სიარულს.
- ჩემი ფეხებიც.
- ჩემიც.
- არა აქვს გზას დასასრული და ჩვენ მივდივართ და ვცოტავდებით, მივდივართ და ვცოტავდებით.
- დაფრჩით მხოლოდ ხუთნი.
- დანარჩენები ჩამოგვრჩნენ უკან. სუსტები გამოდგნენ.
- ახია მათზე, თუ იცოდნენ ამის მეტი არ შეეძლოთ. არ უნდა წამოსულიყვნენ.

რ ი ზ ა ე ლ.


მე უკვე გაგატრთხილეთ: კოშკის წვერს მიაღწევს მხოლოდ ის, ვისაც აქვს დიადი, მაგარი სული და ერთგული ფეხები.

ა ხ ი ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი.

- ნუთუ გისაყვედურეთ ამ გრძელი მანძილის დროს?
- ნუთუ არ ავასრულეთ შენი სიტყვები?
- ნუთუ არ წამოგყევით უკან, სადაც წახვედი?
- ნუთუ არ ავასრულეთ, რაც დაგვავაღე?
- ნუთუ არ ვიტანჯეთ, რითაც შეხ იტანჯებოდით?
- ნუთუ არ ვიწამეთ შენი სიტყვები?
- და გვწამს ეხლაც...
- მიუხედავად იმისა, რომ არ შესრულებულა არც ერთი შენი სიტყვა.
- „რამდენადაც მალლა ავიწევით—იმდენად გზა გაფართოვდება“—ასეთი იყო შენი სიტყვები.
- კიბე კი თანდათან ვიწროვდება, თანდათან ვიწროვდება. რამდენადაც ჩვენ მალლა ვიწევთ, ის ვიწროვდება.
- „უძვირფასესი შუქი გზას გაგვინათებს მალლიდან“—ასეთი იყო შენი სიტყვები.
- ჩვენი თვალები ჯერ კიდევ იცქირებიან სიბნელეში.



- ჩვენი ხელები აფათურებენ წყვილიაღში.
- ერთმანეთს ვერა ვხედავთ.
- გახსოვს? როდესაც სარდაფში ვკანკალებდით სიცივით...
- გვანუგეშებდი: „ზევით სართულებში გათბებითო“...
- სიცივე კი თანდათან ძლიერდება. რამდენადაც ზევით მივიწევთ, იმდენად ის ძლიერდება.
- სისხლი გამეყინა ძარღვებში.
- რკინის ნემსებით ის მახურებს, მიჩხვლევს ხორცს.
- სუნთქვა მიმძიმს. გამეყინავი ჰაერი ჰყინავს ჩემს ფილტვებსაც.
- „იქ მაღლა ჰყვავიან ბაღები“ ასეთი იყო შენი სიტყვები.
- „ამწვანებული ბაღები ჩამოკიდებულია ჰაერში“.
- „შროშანები და ზამბახები“.
- „ჩვილი ალუბლის ვარდები“.
- „სურნელოვანი ტირიფის ყვავილები, რომლებიც ჰგვანან ოქრო ვერცხლის ძეწკვებს“.
- „ტყისა და ლერწმის სუნი“.
- „ველებისა და მინდვრების სივრცე“.
- „გაზაფხულისა და ზაფხულის ლხენა“.
- სად შეგვხვდა ყველა ეს?
- სადაა მომაჯადოებელი ბაღები?
- ბრწყინვალეების ყვავილები?
- გაზაფხულის სიო?
- სასუნებლების სუნი?
- მზის სინათლე?
- „ფარშავანგის ფრთები გველაღაღებიან ჩვენ“ — ასეთი იყო შენი სიტყვები.
- მე მხოლოდ მესმოდა თაგვების კრაჭუნი.
- გესლიანი გველების ჩურჩული.
- ღამურის ფრთების ხმაური.
- ხმელეთის ბაყაყების ყიყინი.
- კოლოს ბზუილი ობობას ქსელში.
- სად არიან, სად, მგალობელი ჩიტები?
- ბუღბუღები?
- ტოროლები?
- შაშვები?
- თეთრი წეროები?
- ამაყი არწივები?



- ნაზი მტრედები?
- სად არის აქ სიმღერა და გალობა?
- სადაა ბარტყების ჭიკჭიკი და მათი ფრთების ხმაურები?
- „რამდენად ზევით აიწევთ, იმდენად თქვენი რიცხვი გაიზრდება“— ასეთი იყო შენი თქმა.
- „ჩვენ შემოგვიერთდებიან სულთ ძლიერნი, რომლებიც ჩვენზე აღრე წავიდნენ ამ გზით“— ასეთი იყო შენი სიტყვები.
- ჩვენი რიცხვი კი თანდათან მცირდება, თანდათან მცირდება.
- არ შეგვხვედრია კაცი გზაზე.
- გრძელი დერეფნები და მაღალი კიბეები ცარიელია და გავერანებული.
- არ არის ცოცხალი არსება მთელ უზარმაზარ და გაოხრებულ სასახლეში.
- გარდა მუნჯი მსახურისა.
- არ გამოგვყოლია არც ერთი კაცი გზაზე.
- სათითოდ დაგვეკარგნენ ამხანაგები...
- სათითოდ ჩამოგვრჩნენ უკან.
- ჩვენ მივდივართ და ვცოტავდებით, მივდივართ და ვცოტავდებით.
- ჩვენ ვდნებით და ვისპობით შენი თვალის წინ.
- დავრჩით მხოლოდ ხუთნი.
- საუკეთესო ამხანაგები აღარ არიან ჩვენთან.
- დილლემარ დაიღუპა ჩვენს ამხანაგებთან ერთად.
- სასახლის მშიერი თაგვები შესჭამენ იმათ ხორცს.
- მატლების რაზმები გამართავენ ქეიფს.
- ფეხები დაგვისივდა.
- მაინც ჯერ კიდევ მოგყვებით უკან.
- უკანასკნელი ძალღონით.
- ვინაიდან ჯერ კიდევ გვაქვს რწმენა შენში.
- მიუხედავად ყველაფრისა!
- მიუხედავად ყველაფრისა!
- და მოგყვებით უკან მოხუც ჯადოსანთან.
- ვხტებით შენთან ერთად დანგრეულ კიბეებზე.
- ამოვდივართ და ამოვდივართ...
- ვხტებით და ვხტებით...
- ვიტანჯებით ყველაფრით, რითაც შენ იტანჯები.
- ვხტებით შენთან ერთად მრუდე გზებზე.
- ვათვალიერებთ, რასაც შენ ათვალიერებ.

- ვეძებთ, რასაც შენ ეძებ.
- ვიმედოვნებთ და ველით, რასაც შენ ელი...
- და ამოვდივართ შენთან...
- ამოვდივართ, ამოვდივართ და ამოვდივართ...



რ ი ზ ა ე ლ.

თქვენ მართალი ხართ — ამხანაგებო და მოწაფენო! მაგრამ არც მე ვარ დამნაშავე სრულებით. ნუთუ არ გითხარით თავიდანვე, რომ გზა — მძიმეა და შორი? ნუთუ არ გელაპარაკეთ საკმაოდ აუარებელ ხელისშემშლელ დაბრკოლებების შესახებ? ნუთუ რამე დაგიფარეთ? ნუთუ არ გითხარით თავიდანვე, რომ მრავალი ხიფათი გადაეღობება იმას, ვისაც არ შესწევს საკმაოდ ძალა და მტკიცედ გამობრძმედილი სული? რა დაგემართათ, რომ აყვირდით ყველანი. ეხლა მოითხოვთ თქვენ ყვავილოვან ბალებს, მზის სინათლეს და სითბოს... ჯერ კიდევ დიდი მანძილია ჩვენ წინ! ჯერ კიდევ უნდა ავიდეთ და ავიდეთ, ასობით და ათასობით საფეხურები... ათეული კიბეები... განა დაგავიწყდათ, რომ კოშკის წვერი ზეცაშია და ღრუბლების ზევით აღიმართება? შეუძლებელია, რომ ნუგეში მიიღოთ თქვენი ამხანაგების დაკარგვის გამო. მეც თქვენთან ვარ მწუხარებაში, თქვენთან ვარ დასევდიანებული, მაგრამ გან არ გაგაფრთხილეთ რომ ყველა ის, ვინც ჩამორჩება, თავს დაიღუპავს?.

მომყვებით უკან და მიგაჩნიათ ეს ამბავი დიდ გმირობად, მაგრამ რა უნდა ჰქნათ, როდესაც აღარ შეგიძლიათ უკან დაბრუნება? ვინ იცის თქვენგანმა გზა, რომ გაბრუნდეს უკან? ყველანი გაჩუმებული ხართ. ძალაუნებურად მოდიხართ ჩემს უკან, ძალაუნებურად! დაბრუნება აღარ შეგიძლიათ და სიბნელეში მარტო დარჩენის თქვენ გეშინიათ. გეშინიათ თავგების, ღამურების და ჯადოსანის მუნჯი მსახურების. ჩირაღდანი ხომ ჩემ ხელშია. თქვენ მომყვებით არა მე, არამედ ამ ჩირაღდნის შუქს. ჩირაღდნის ლამპარია მიზეზი თქვენი წინსვლისა.

მაგრამ მე მესმის თქვენი დაცემული სული, ძმებო და მოწაფენო. ვიცი, რომ მოიქნაცეთ, რომ სული მოგელალათ და რომ თქვენ ლაპარაკობთ სულმოკლეობით და შორი მანძილის აუტანლობით. მე არ გიჯავრდებით. მე არ ვფიქრობ გისაყვედუროთ. ბოლოს სინათლე მოვა მიუხედავად ყველაფრისა. ყოველი ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ ვაბიჯებთ, გვაახლოვებს ჩვენ დიად მიზანს, ჯადოსანის მაღალ და დიდებულ ტახტს. თუმცა ჩაკეტილი ვართ კოშკის

გავერანებულ კედლებთან და ქვების კიბეებთან, შეხუთულია აქ
სასუნთქავი ჰაერი, ჩაკეცილია ფეხები და თვალები ტკივილს
ჰგრძნობენ გარშემო წყვდიადით — მაგრამ წყვდიადის მიღება შე
ვგრძნობ უკვე მზის შუქის სიტკბოებას. თვალის ქუთუთოები მი-
ფართოვდება გახურებულ ოქროს სხივების შესახვედრად. მიუხე-
დავად ყველაფრისა, ჩვენ ავდივართ. თუმცა გრძელი
საათები ვეხეტებოდით სასახლის ჩაღრმავებულ სართულებში და
ცარიელ დარბაზებში, მაგრამ სულ მალე შევიჭრებით შიგნით, ჯადო-
სანის სადგომში. ჩვენ მოგვბეზრდა გარშემო მიწაზე მძრომელთა
სტვენა, სული მოგვიწამლა მუნჯი მსახურების სიჩუმემ — მაგრამ
მალე წარვსდგებით მისი აღმატებულების წინაშე და ყურები ილხე-
ნენ დიდი ჯადოსანის სასიამოვნო ხმის მოსმენაზე. უცქირეთ! ჩირალ-
დანი ჩემს ხელშია და მისი ლამპარი გვინათებს ჩვენ გზას. მისი
ლამპარი გვეძახის ჩვენ წინ.

თუმცა ჯერ კიდევ დიდი გზაა, მძიმე მანძილია, შორსაა ჯადოსა-
ნი, მაგრამ რამდენადაც შორსაა ჩვენგან სასურველი ადგილი, იმდე-
ნად გაიზრდება ჩვენი სიხარული, როდესაც მივალწევთ იქ. რა
დიადი იქნება ჩვენი სიხარული, ჩემო ახალგაზრდა ძმებო და მეგობ-
რებო, როდესაც ფეხს შევდგამთ ქვის უკანასკნელ საფეხურზე.

ნუ შედრკებით, კარგო ძმებო, წინ!

ის ასწევს ჩირალდანს და ადის ქვის დანგრეულ საფეხურებზე. ახალგაზრდები
მიჰყვებიან უკან შერცხვენილნი და გაწითლებულნი. პაუზა. რიზაელ მიდის
კარებამდე, რომელიც დაკეტილია, სურს გააღოს ხელის კვრით, მაგრამ ვერ
ახერხებს.

ახალგაზრდები.

— კარები.

— კვლავ კარები.

— რა არის მის იქით?

— შეიძლება აქედან იწყება სასახლის მორთული დარბაზები?

— გაიღება და ვნახავთ.

რიზაელ აწვება კარებს რამოდენიმეჯერ, მაგრამ არ იღება.

რიზაელ.

კარები დაკეტილია.

ახალგაზრდები.

— დაკეტილია?

— კარები დაკეტილია?

— აქამდე ყველა კარები ღია იყო ჩვენ წინ, საბედნიეროდ.

რ ი ზ ა ე ლ .

ღიახ, აქამდე ყველა კარები ღია იყო ჩვენ წინ, საბედნიეროდ, მაგრამ აქედან უკვე იწყება დაკეტილი კარები. აქამდე დარბაზები იყო ცარიელი და დერეფნები ვერანი და ბნელი—ამიტომ იყო მათი კარები ღია. არ ენაღვლება ჯადოსანს, თუ ვინმე შევა ამ ოთახებში. მთავარმა დაუტოვა ეს ოთახები ადამიანის შეილება, რომ მოვიდნენ და იხტუნონ ამ კიბეებზე, რამდენიც ჰსურთ. მისი ძვირფასეულის საწყობები, მისი ჯადო და საიდუმლო იპოვება ზემოდ და იქ — კარები დაკეტილია.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი .


- მაშ როგორ ავალთ იქ?
- ვინ გაგვიღებს?
- სად ვიშოვოთ გასაღები?
- სადაა გასაღები ამ უძველესი კარსაკეტებისა?
- არც ერთი მეკარე არაა აქ.

რ ი ზ ა ე ლ .

არავინ არ გაგვიღებს, მაგრამ მაინც შევალთ შიგ. არც ერთი გასაღები არა გვაქვს, მაგრამ მაინც შევიჭრებით შიგნით—რაც უნდა მოხდეს. ფეხები დაგვისივდა ბევრი სიარულით, სიბნელემ დაგვთხარა თვალები. ნახევარი გზა უკვე გავიარეთ, შეიძლება ნახევარზე მეტიც, ურიცხვი დაბრკოლება გადავლახეთ, ჩვენ მივდივართ და ვუახლოვდებით მთავრის ტახტს, მაღალ ტახტს—დანუთუ ამ დროს შეუძლია რკინის კარსაკეტს, ჟანგიან რკინის კარსაკეტს რომ დაგვიკეტოს გზა? ჩვენ დავამტვრევთ ამ კარებს.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი .

- დავამტვრევთ? რით?
- ხელში არაფერი გვაქვს.
- ჯოხებიც კი არა გვაქვს.
- არაფერი გვაქვს, გარდა ამ ჩირაღდანისა, რომელიც შენ ხელშია.
- კარები რკინისაა.
- ასეთი ურდულების დამტვრევა ჩვენს ღონეს აღემატება.
- სულ არ ველოდით ასეთ უბედურებას.



— სულ არ მოგვივიდა ფიქრად, რომ კარები იქნებოდა დაკე-
ტილი.

— რატომ არ მოგვივიდა ეს ფიქრად? ხომ ვიცოდით რომ ჩადო-
სანი ჰმალავს თავის საწყობებს?..

— ამ კარების იქით ალბად იწყება ამწვანებული ბაღები,
ბროლის სასახლეები და მზის სიბრწყინვალე, მაგრამ ჩვენ ვერ
მივალწევთ იქ.

— ვგონებ, ჩიტების ჭიკჭიკის ხმა მესმის.

— მეც.

— მე კი არაფერი არ მესმის. დაცქვეტილი მაქვს ყურები მონა-
დირის ძაღლივით, როცა ჰყნოსავს კურდღელს. მაგრამ კარების
იქით ვერაფერს ვარკვევ.

— რამდენად სამწუხაროა!

— რამდენად სავალალოა!

რ ი ზ ა ე ლ .

კვლავ დაეცით სულით? კვლავ უიმედობა და სევდა? ნუ! ჩვენ
უნდა დავამტვრიოთ ეს კარები და როგორც იქნება დავამტვრევთ.
თვით გალავნები და ციხეები რომ გადაგვეღობონ გზაზე სატანად—
მაინც მოვერევით მათ. ჩემთან!

აწესრიგებს ახალგაზრდებს კარებთან, ისე, რომ ყოველ მათგანს შეუძლია
კარებს მიაწვეს მარცხენა მხარით.

ეხლა ერთად! ერთი, ორი, სამი! ასე... ერთხელ კიდევ, ერთად:
ერთი, ორი, სამი! ერთხელ კიდევ...

რიზაელ და მისი ახალგაზრდა მოწაფენი მუშაობენ კარების დამტვრევაზე:
ისინი მთელი ძალით აწვებიან კარებს თავიანთი მხრებით. რკინის საკეტი
შეინძრევა და იწყებს კრაქუნს.

ერთხელ კიდევ... ერთი, ორი...

ერთი, ორი, სამი! ყველანი ერთად.

II

ქვების ვიწრო კიბე იკლაკნება ზევით. საფეხურები დანგრეულია და უარესად
დაშლილია, ვიდრე წინანდელ სურათში. არ არის დასაყრდნობი. მისი წვერი იკარ-
გება სცენის სიმაღლეში.

სიბნელე. ნაბიჯების ხმა.

დაბლიდან თითქოს სარდაფიდან ამოდის რიზაელ და ნაუჰ, მისი უკანას-
კნელი მოწაფე. რიზაელის ხელში — თავის ჩირაღდანი. ორივენი აბიჯებენ მძი-
მედ და ყოველი ნაბიჯის შემდეგ ასწევენ თავს და იცქირებიან ზევითკენ.

რიზელ აღმართავს მაღლა ჩირაღდანს, რომ გაიგოს რაა იქ: არაფერი მოჩანს,
გარდა ცარიელი და შავი სივრცისა.



ქართული
ბიბლიოთეკა

ნ ა უ მ.

არა აქვს ბოლო კიბეს.

რ ი ზ ა ე ლ.

მართალია, ის გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე შემეძლო
წარმომედგინა.

ნ ა უ მ.

საფეხურებიც ძლიერ დაშლილია. არ არის არავითარი დასაყრ-
დნობი ფეხებისათვის.

რ ი ზ ა ე ლ.

მეტისმეტად ძველია და მთავარი არა ჰფიქრობს მის შეკეთებას.

ნ ა უ მ.

სიცივეც განუწყვეტელია. გადავიქეც გაყინულ გვამად.

რ ი ზ ა ე ლ.

დაგვრჩა მხოლოდ მეოთხედი ნაწილი მთელი ამ გრძელი მანძი-
ლისა.

ნ ა უ მ.

თვალები ჩამიბნელდა. მზე რომ გამოჩნდეს სადმე — ახლა, ალ-
ბათ, მათ დააბრმავებს.


რ ი ზ ა ე ლ.

პირიქით. მზის შუქი მათ განკურნავს.

ნ ა უ მ.

იმ დიდი ჯგუფიდან, რომელიც შემოვიდა ჩვენთან ერთად
სასახლეში — დავრჩით მხოლოდ ჩვენ ორი. ჩემი ამხანაგებიდან

გადავჩი მხოლოდ მე. ამხანაგებთან ერთად დაიღუპა ყველასათვის ძვირფასი დილლემარიც.



რ ი ზ ა ე ლ.

ასეა. მოვტყუვდი ყველაში. მეგონა, რომ ისინი იყვნენ საკმაოდ ძლიერები და გულადები, მაგრამ ეს გზა არ გამოდგა მათი ძალის შესაფერი.

ნ ა უ მ.

მე კი მგონია, რომ ყველა ეს მოხუცი ჯადოსანის ხრიკებია, მას არ ჰსურს, რომ ვინმე—მისი ქვეყნის მცხოვრები, შევიდეს მასთან და ის ჰხოცავს მათ გზაზე.

რ ი ზ ა ე ლ.

ასე არაა. ჩვენ ხომ არ დაგვხოცა. მთავარი—შემბრალებ და კეთილი მამაა. ის მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, რომ მიჰმართოს ასეთ საშუალებას.

ნ ა უ მ.

მე მაინც მეშინია. მგონია, რომ უკვე მოაღწია ჩემმა რიგმა. სათითაოდ დაგვეკარგნენ ამხანაგები, სათითაოდ წაიქცნენ, სათითაოდ მოკვდნენ — ახლა მოვიდა ჩემი რიგიც. შემდეგ შემოვა შენი რიგიც. კოშკის წვერს ვერ მივალწევთ ვერასოდეს...

რ ი ზ ა ე ლ.

სისუსტით, სულმოკლებით და უიმედოებით მელაპარაკები შენს სიტყვებს.

ნ ა უ მ.


ნუთუ არ გაცრუვდა ყველა იმედი?

რ ი ზ ა ე ლ.

ეს იმას ნიშნავს, რომ შენი იმედები იყო მოღუნებული შენი რწმენა—მცირე...

ნ ა უ მ.

განა ყველა დარბაზი ცარიელი არ იყო?



ნ ა უ მ.

შენ არ ამბობდი, რომ დაკეტილ კარების იქით იწყება ბროლის სასახლეებიო? ჩვენ გავაღეთ ასი კარი — სად არის სასახლეები?

რიზაელ ხუმალაა.

ნ ა უ მ.

შენ არ გვეუბნებოდი, რომ რამდენად ზევით ავიწევით — იმდენად გზა გაგვიადვილდება და გაგვიუმჯობესდებაო? სინამდვილეში კი, რამდენად ზევით მივიწევთ — იმდენად გზა ვიწროვდება და ფუჭდება...

რიზაელ ხუმალაა.

ნ ა უ მ.

განა ეღირსა თვალებს სინათლის ერთი სხივი მაინც?
რიზაელ ხუმალაა.

ნ ა უ მ.

განა ეღირსა ჩვენს ყურებს ჰსმენოდათ თუნდ ერთი ჟღერა — ამ გრძელი ღამის განმავლობაში?

რიზაელ ხუმალაა.

ნ ა უ მ.

აკი დაგვედევნა სიკვდილი სასახლეში შემოსვლის პირველი წუთიდანვე?

რიზაელ.

თუ უიმედობამ დასწვა მთლიანად შენი სული, თუ არ დარჩენილა მასში რწმენის არც ერთი ნაპერწკალი — მაშინ რაღად აგრძელებ გზას? რად იმტვრევ ფეხებს?

ნ ა უ მ.

განა არ იცი—რად? მე კი მეგონა, რომ შენ პირველად ალმოა-
ჩინე მიზეზი—თუ რისთვის მოგდევდით უკან ამ ბნელ და გავერანე-
ბულ დერეფნებში. მე ვიმტვრევ ფეხებს, რადგანაც მეშინია დავრჩე
აქ მარტო უშენოდ, უჩირაღდნოდ.

რ ი ზ ა ე ლ.

მხოლოდ ამის გამო?

ნ ა უ მ.

მხოლოდ. თუ—ეს არაა საკმაო მიზეზი? რომ ვიცოდე გზა გარედ,
მაშინ დავბრუნდებოდი. ყველანი დავბრუნდებოდით, რომ ყოფილ-
იყვნენ ჩემი ამხანაგები ცოცხლები. მაგრამ გზა დაბლისაკენ მე არ
ვიცი. მე ვფიქრობ, რომ არც შენ იცი. მრუდე გზებით ვიარეთ. სამო-
ცდაჩვიდმეტჯერ დავიბენით და ეხლა უკვე გაბმული ვართ მახეში, და
ამდროს ჩემი აქ დარჩენა მარტო, სიბნელეში, ამ გავერანებულ კედ-
ლებში — ეს ხომ სიკვდილია, სიკვდილზე საშინელი!

რ ი ზ ა ე ლ.

შენ გეშინია?

ნ ა უ მ.

დიახ, მე მეშინია ვიჯდე აქ მარტოცა ცივს და ნოტიო ქვების
საფეხურებზე, ვუსმინო გარშემო სიცარიელეს და სიკვდილის ნაბი-
ჯებს. რომელიც თანდათან ახლოვდება, საზაზღარ სიკვდილს,
გრძელს, დამტანჯველს... არა... უმჯობესია წამოგყვე უკან ვიდრე...

რ ი ზ ა ე ლ.

ვიდრე?

ნ ა უ მ.

ვიდრე ჩაიკეცებიან ფეხები თავისით და დავეცემა უღონოდ
ძირს.

რ ი ზ ა ე ლ.

ზევით ასვლა აღარ გიზიდავს?



ქართული
ბიბლიოთეკა

ნ ა უ მ.

ზევით? იქ ვერასოდეს ვერ მივალწევთ. ჯადოსანს არ სურს ეს. მართალნი იყვნენ კარისკაცები.

რ ი ზ ა ე ლ.

კარისკაცები? სიცრუეა, სიცრუეა! ის მოხუცები არ იყვნენ მართალნი. მე ავალ მაღლა, მე წარვსდგები ჯადოსანის წინაშე—რაც არ უნდა მოხდეს.

ნ ა უ მ.

ვგონებ შენც აღარ გწამს შენი სიტყვები და თუ ამბობ — მხოლოდ იმიტომ, რომ გაამხნევო შენი თავი.

რ ი ზ ა ე ლ.

გრცხვენოდეს! განა არ კმარა, რომ სულით დაეცი, რომ უიმედობამ დასწვა შენი სულიც და ხორციც—კიდევ ჰფიქრობ შემბოჭო მეც მაგით? აღარ ჩაგეთვლება სასახელოდ შენი წამოსვლა. განა დაივიწყე საცოდავთა ჯგუფები, რომლებიც დგანან დაბლა, ჭიშკართან?

ნ ა უ მ.

არ დამვიწყებია.

რ ი ზ ა ე ლ.

იქნებ ჰფიქრობ, რომ მათ არ ეღირსებათ არავითარი შველა, რომ უნდა იტანჯებოდნენ თავიანთი სიღარიბით, რომ თანდათანობით უნდა გასწყდნენ და უნდა მოისპონ ჩვენი თვალებისა და ამ კოშკის წინ?

ნ ა უ მ.

არ ვიცი. მაგრამ არ მწამს, რომ ჩვენ მათ მივუტანთ ხსნას და შველას. შეიძლება ამაშიც მართლები იყვნენ კარისკაცები. საჭიროა მხოლოდ თხოვნა, ლოცვა.

რ ი ზ ა ე ლ.

ლოცვა? ნუთუ ცოტა ვილოცეთ დღევანდლამდე? გაოცებული ვარ! თუ ასეთი მორწმუნე ხარ კარისკაცებისა და მათი მოძღვრებისა—მაშინ რა ვინდა ჩემთან? როგორ მოხვდი ჩემთან და რად წამომყევი?

ნ ა უ მ.

მე შემაცდინა შენი ჩირალდნის შუქმა. ვფიქრობდი რომ მას შექცეული გაენათებია მთელი მსოფლიო...

რ ი ზ ა ე ლ.

და ეხლა?

ნ ა უ მ.

ეხლა დავრწმუნდი, რომ მისი შუქი საკმაოდ არაა თუნდ იმისათვის, რომ გააქციოს კედლებიდან ჩრდილები.

რ ი ზ ა ე ლ.

უმადურო! განა შესძლებდი მოგელწია აქამდე ამ ჩირალდნის შუქის გარეშე?

ნ ა უ მ.

რა მინდოდა აქ? (ბაუზა) იქ, დაბლა, ჯერ კიდევ არ გაუქმებულა დღესასწაულები. ყოველწლიურად ყდერს ორკესტრი, ქალიშვილები ცეკვავენ, დროშები და ყვავილები ბრწყინავენ ნაირ-ნაირი ფერებით.

რ ი ზ ა ე ლ.

ამაზე სწუხარ?

ნ ა უ მ.

ჩემი მშვენიერი სატრო მიცდის იქ და მე ველარ ველირსები მის ნახვას.

რ ი ზ ა ე ლ.

შენ ითვლებოდი ჩემს მოწაფეთა რიცხვში?

ნ ა უ მ

გაიგლის დრო. მე დამივიწყებს და სხვას გაყვება...



ქართული
ბიბლიოთეკა

ო ი ზ ა ე ლ.

ეს შეუძლებელია. როგორ მყავდა ასეთი მოწათე? აღიარე
სიმართლე: შენ უბრალო ბრბოს ეკუთვნოდი?

ნ ა უ მ.

როდესაც დალბება ჩემი ძვლები ამ ქვებზე—მაშინ სხვა დაწვე-
ბა ჩემს მშვენიერთან.

ო ი ზ ა ე ლ.

მიპასუხე: შენ ბრბოდან გამოხვედი, წამოგვევი უკან და კაცს არ
დაუძახია შენთვის?

ნ ა უ მ.

ქვემძრომნი და ქვეწარმავალნი შესჯამენ ჩემს ხორცს და ის ამ
დროს თავის ნაზ ხელებს გადაუსვამს სხვის თმებს... მე ვიწვები
ჩუმად, უზარმაზარი ობობები მომიქსოვენ ზეწრების ქსელს და
ჩემი სატრფო კი ჩაეკონება მას მკლავებში, თვალები გაუბრწყინ-
დება, მისი სუნთქვა დასწვავს ყველაფერს გარშემო და მისი გამხმარი
და მოწყურებული ტუჩები ჩაეკვრება მას ყელში და ამოსწოვს...

ო ი ზ ა ე ლ.

ვაი ჩემს ყურებს, რა მესმის!

ნ ა უ მ.

ყური მიგდე: სატრფო მყავს იქ, დაბლა და მე მას ვერ ვიხილავ
ველარასოდეს!

ო ი ზ ა ე ლ.

მოწათეები მყავდნენ — მეგობრები და ახალგაზრდები, ეხლა კი
დავრჩი მარტოკა...

ნ ა უ მ.

რა დაგიშავე, რომ მოხვედი და დაარღვიე ჩემი ცხოვრება? რა
დაგიშავე?

რიზაელ.

ისინი — კარგნი და უმანკონი, მორწმუნენი და მაძიებელნი — მოკვდნენ. ის ერთი, რომელიც დარჩა — პატარა და დაბალი. მისი სული საწყლის სულია — მოკლებული წყურვილს და გაქანებას. დარჩა ერთი, რომელიც ყველაზე საზარელია, საზიზღარი და საძაგელი. ის ღირსი არაა, რომ გაუნათოს მას მზემ... ის ღირსი არაა, რომ წარსდგეს მისი აღმატებულების მთავრის ტახტის წინ...

ნ ა უ მ.

რატომ აანთე ეს სიცრუის ჩირაღდანი და გაგვაბრიყვე მეც და ჩემი ამხანაგებიც?

რიზაელ გაჩუმებულია.

ნ ა უ მ.

ყველას სისხლს მოვითხოვ დღეს შენგან!

რიზაელ გაჩუმებულია.

ნ ა უ მ.

შეგვაცდინე ტყუილით და სიცრუით. ჩვენ გერწმუნეთ და წამოგყევით.

რიზაელ გაჩუმებულია.

ნ ა უ მ.

ხელში გეჭირა მხოლოდ ერთი დაღეული და დათენთილი ნაპერწკალი — და ზეცაში შეგვპირდი მზეს... გქონდა მხოლოდ ერთი პატარა ტყუილი და გველაპარაკებოდი დიდ სიმართლეზე...

რიზაელ გაჩუმებულია.

ნ ა უ მ.

მთელი შენი დიდი სიბრძნე, შენი ცდები და სასწაულები იქ დაბლა — იყო მხოლოდ თვალების ახვევა — და შენ კიდევ გვპირდებოდი მათდაგვარს...

რიზაელ გაჩუმებულია.

ნ ა უ მ.

ვიყავით ახალგაზრდანი და უმანკონი, ვერწმუნეთ შენს სიტყვებს — შენ კი მოგვატყუე და მოიპარე ჩვენი გული

რიზაელ გაჩუმებულია.

ნ ა უ შ.

ოქროს დარბაზებს და მოჯადოებულ ბალებს გვპირდებილი
ზეცაზე და დედამიწაზე კი გაანადგურე ჩვენი ცხოვრება.

რ ი ზ ა ე ლ.

გაჩუმდი. არ გავიგონო არც ერთი სიტყვა!

ნ ა უ შ.

შენ ველარ განმირისხდები და ვერ მიბრძანებ. გაგვიძეხი ზეცი-
საკენ და მოგვიყვანე ვერან და ბნელ კოშკში, სადაც ჰაერიც არაა
სასუნთქავი...

რ ი ზ ა ე ლ.

გაჩუმდი, მშიშარავ, მხდალო და სულით დაბალო — რა გსურს აქ?

ნ ა უ შ.

რა მსურს აქ? ჯთხოვ შენ მითხრა: რა მსურს აქ?

გარედან, კოშკის კედლების იქით, დაუბერავს ქარი. ორივენი ყურს უგდებენ.
ერთი წუთის შემდეგ ქარი კიდევ დაუბერავს.

რ ი ზ ა ე ლ.

ქარი! პირველი ხმა, რომელმაც მოაღწია ჩვენთან გარედან!
ვაშა!—ვაშა!

ნაუმ დგას თავჩაღებული და გაჩუმებული.

რ ი ზ ა ე ლ.

საუცხოვო ცნობაა ჩემთვის—ქარის ღრიალი. მაგრამ შენ რა
გსურს აქ? მე მ ა რ ტ ო ავდივარ ზევით.

ნ ა უ შ

(დარცხვენით).

მე?



დაბლა ჩახვალ.

ვიდრე მოასწრებს ნაუმ გარშემო გადახედავს — რიზაელ დაავლებს მას ხელს კეფაში და მთელი ძალით ჩააგდებს დაბლა. მოისმის ორჯერ კივილის ხმა და ეხო მიწაზე დაცემის.

ერთ წუთს რიზაელ დგას თავის ადგილზე გაუნძრევლად. ქარის ზუზუნნი მესამედ.

რ ი ზ ა ე ლ.

ქარი მეძახის. ქარი მახარებს და მამხნევეს. სულ შალე, სულ შალე მე მივალწევ ჩემი სურვილის ბინას. დიდი ჯადოსანი, ალბათ, უკვე მიცდის.

ეხლა მე ვაგრძელებ ჩემ გზას მარტოკა. მთელი ჯგუფიდან აღარავინ არ შემრჩა. შეცდომა მეჭირა ხელში. შეცდომა! არ არსებობენ ამხანაგები და თანამგზავრები ამ გზაზე. ვინც ადის — ადის მარტოკა, მარტო ავდივარ!

ადის ზევით. სცენა რჩება ცარიელი. ზევიდან მოისმის მისი მძიმე და დაღლილი ნაბიჯების ხმა. ქარის ზუზუნნი.

III.

კოშკის წვერი.

ოთხკუთხი აივანი აკრავს მოაჯირს. გარშემო დაუსრულებელი სივრცე. ლურჯი და მაღალი ცა. ამოდის დილის მზე. დაბლა მოთეთრო ღრუბლები. უსაზღვრო ვრცელი ჰორიზონტი. ჰქრის ძლიერი ქარი.

აივანის იატაკი მაღალია სცენის ძირზე და მოჩანს კოშკის მტვრიანი კედლებიც.

იატაკი ქვისაა. მარჯვენა კუთხეში ოთხკუთხი კარები დაბლისაკენ. კარები ღიაა და ჩანს იქიდან შავი სიღრმე. დაბლისაკენ მიიკლაკნება კიბე. საფეხურებზე მოისმის რიზაელის ნაბიჯები. ღია კარებში გამოჩნდება მისი დიდი თავი. როდესაც ამოდის სულ და დგება მზის სინათლის სხივების პირდაპირ — მოჩანს ძლიერ მოხუცი. მისი მაღალი ტანი მოდრეკილია ოდნავ, მისი მოძრაობა მოქანცულია და მოღლილი, მისი წვერი და თმა გათეთრებულია და თვალებში ჩამქრალა წინანდელი ელვარება, მაგრამ მარჯვენა ხელში კვლავ უჭირავს ჩირაღდანი წინანდელი სიმტკიცით და ძალით. ჩირაღდნის შუქი მკრთალია ზევით მბრწყინავ მზის შუქთან და წააგავს დღისით ანთებულ სანთლის შუქს.

რ ი ზ ა ე ლ.

(ასვლისას) — როგორი გრძელი ღამე იყო! მეგონა, რომ მას არ ექნე-

ბოდა დასასრული. წლებია მას შემდეგ. გარედ იცვლებოდნენ დღეები და ღამეები, მზე ამოდის და ჩადის, ამოდის და ჩადის, მხოლოდ აქ—შიგნით ამ კედლების შუა—გრძელდებოდა ერთი დაუსრულებელი ღამე და უცბად—მზის სინათლე. ბრწყინვალე და თეთრი სინათლე. გახუნდა ჩემი ჩირაღდანი თავის პატარა და ყვითელი შუქით. მაგრამ არ ჩავაქრობ ამ ჩირაღდანს! ეს იყო ჩემთან მთელი ამ საშინელი გზის დროს, მინათებდა სიბნელეს ცარიელ დარბაზებში, მიჩვენებდა გზას ამ მრუდე და უსინათლო დერეფნებში. გრძელი და შავი ღამის გზით გამომიყვანა დღის სინათლისაკენ. კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს ეს ჩირაღდანი!

პ ა უ ზ ა .

—რამდენმა დღემ და ღამემ განვლო მას შემდეგ. რაც შემოვედი სასახლის ჭიშკარში? ვინ მეტყვის ამას? მე ერთი ვიცი: მრავალი დღეა, მრავალი დღე ტანისამოსი შემომაცვდა, ფეხსაცმელები — დამიღბა, წვერი ამომივიდა და თმა გამეზარდა. ტალღასავით ამოდის გულზე და ის მთლად თეთრია. მე კი მინდოდა გამევლო ეს გრძელი გზა ერთ ღამეში. განთიადისას — შევპირდი მათ შველას — დაბლობის საბრალო მცხოვრებლებს. მაგრამ ასე თუ ისე, მე ავდივარ. უკვე მივალწიე კოშკის წვერს. უკვე მოუვიდა დასასრული ჩემს ხეტიალს. ცოტა კიდევ და — მე წარვსდგები დიდი ჯადოსნის მაღალი ტახტის წინ და გავიგონებ მის ხმას... ცოტა კიდევ — და დავბრუნდები და ხელში მექნება მოჯადოებული ჭიქა, რომლიდანაც მსმელი განიკურნება ავადმყოფობისაგან, გაძლება შიმშილის შემდეგ, განშორდება ნაკლოვანება და ჩაბნელებულ სულში გაუნათებს ბრწყინვალე შუქი.

— უსაზღვრო იქნება ქალაქში სიხარული და უმშვენიერესი ის ზეიმი, რომელსაც გაჰმართავენ ჩემს საპატივსაცემოდ! როგორი ღამაზი იქნება ცხოვრება ჩემი დაბრუნებისას... ვხედავ მე სიამოვნების სიცილს მშვიერების ტუჩებზე, როდესაც პირველად გაძლებიან ჭამით; მესმის კეთროვნების აღტაცებული ვაშას ძახილი, როდესაც გათეთრდება მათი ხორცი; ქალიშვილების სიცილი, როდესაც მათ დაუბრუნდებიან მოღალატე სატროფოები; დედების სიხარულის ცრემლები, როდესაც მათი ავადმყოფი ვაჟები განიკურნებიან. მე ვხედავ ბრმების სიხარულს, როდესაც თვალები აეხილებათ და ყრუების უსაზღვრო გაოცებას, როდესაც მათ ყურებამდე მიაღწევს გარშემო მსოფლიოს ხმაური. მე მესმის ახალი ლექსები, სიხარულის მუსიკა და ლხენის სიმღერები. გულს უხარია. მთელ მსოფლიოს უხარია ჩემთან ერთად. ამ დანგრეულ საფეხურებს, ამ ცარიელ კედ-

ლებს—ახალი ფერი აქვთ. სიახლის მძლავრმა ტალღამ მოიცვა მთელი მსოფლიო. ამ მზის სხივებმა გააბრწყინა მთელი ქვეყანა...

— მაგრამ ისევ დავაჩქარებ, ყოველი წუთი ძვირფასია...

— მე ავდივარ! სიხარულით და აღტაცებით ავდივარ მზესთან და ლურჯ ზეცასთან.

ადის წვერზე.

— აჰ, აჰ, ამოვედი...

ხტის სიხარულით.

— რა ძლიერია აქ სინათლე! რა დიდია სივრცე...

იცქირება გარშემო.

— მე ვიმყოფები ღრუბლების ზევით. ღრუბლების ზევით. რა ლურჯია და რა წმინდაა აქ ცა! რა სუფთაა ჰაერი! მაღალ მთებზე, ყინულოვან მთებზე,—არ არის ჰაერი ასეთი სუფთა.

ისუნთქავს ჰაერის აღტაცებით.

— ჩრდილოეთის პიალუსის უდაბნოებში და ყინულოვან მთებზე არ არის ჰაერი ასეთი სუფთა. როგორი დიდია გარშემო სინათლე! ასეთი მძლავრი შუქი არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში, არც ბრწყინვალე გაზაფხულის დღეებში და არც მწველი ზაფხულის დროს. შუქი აბრმავებს თვალებს. აბრმავებს და კურნავს ერთად. როგორ ახლოს ვარ ზეცასთან, ამ მტრედისფერ ფარდაგთან! ასეთ სილამაზეს ვერ წარმოიდგენს მგოსანი თავის ოცნებაში. ასეთ სანახავს ვერ იხილავს წინასწარმეტყველი ღამის ლანდებში. ასეთი ფერების შერევა არ უნახვს ჯერ ხელოვანს თავის სიზმარში. ოჰ, როგორ უტკბება სმენას ქარის მუსიკა, ქარის მუსიკა და ჰორიზონტის შორეული, შორეული სიმღერა... ასეთ მუსიკას არ იცნობს ჯერ კიდევ ყველაზე დიდებული მუსიკოსთა სულიც!

და მე აქ ვარ! ამოვედი... დამავიწყდა გზის განცდანი, გაქრა ერთ წუთში. ყველაფერი. რაც გადამხდა—გაჰქრა. რაღა ღირებულებას წარმოადგენს ჩემი განცდილი, როდესაც უკვე ვეღირსე აქ ამოსვლას? ვაშა! ვაშა!

თითქოს რაღაცას ეძებს. იცქირება გარშემო.

— მაგრამ სადაა ჯადოსანი?

პ ა უ ზ ა.

— სადაა დიდი ჯადოსანი? სადაა მისი ტახტი?

დგას ერთ წუთს გაშეშებული და თავზარდაცემული. გაივლის რამდენიმეჯერ აივანს სიგრძე-სივანით. ზოგჯერ მოისვამს ხელს შუბლზე და თვალებზე. აცეცებს ხელებს მოაჯირზე.

— რა არის ეს? სადაა დიდი ჯადოსანი? ნუთუ მე არ ვარ კოშ-

კის წვერზე? ან შეიძლება ჩამეძინა და ყველა ეს მხოლოდ ცუდი სიზმარია?

ეძებს გარშემო. გადაისვამს ხელს შუბლზე და წვერზე. უცქერის თავის ჩირალდანს და თავის გაცვეთილ ტანსაცმელს.

კაცი არაა, კაცი არაა. არაა კაცი აქ კოშკის მაღალ წვერზე. ეს არაა სიზმარი. არავითარი ჯადოსანი არაა აქ ამ მაღლობზე. მარტოკა ვდგევარ აქ. მარტოკა. კაცი არაა ჩემთან და უმიზნოთ მოვედი აქ. უმიზნო იყო აქ ამოსვლა.

პ ა უ ზ ა .

რამდენი ხანი დავყავი გზაში? რამდენი წელი? წვერი გამეზარდა, და გამითეთრდა, მოვხუცდი და დავბერდი. ჩემი ტანი მოიხარა და ახალგაზრდული ძალა გამომელია.

დაბლა კი ელოდებიან ჩემს დაბრუნებას! აუარებელი გაჭირვებულნი, რომლებმაც მიწამეს და დაამყარეს ჩემზე თავიანთი იმედები. რა უთხრა მათ? რით დავბრუნდე მათთან, რით დავუბრუნდე ჩემს დაღუპულ ძმებს, ჩემს კარგ ძმებს და როგორ უთხრა მათ, რომ უმიზნო იყო მთელი ეს საქმე? უმიზნო! არ არის ჯადოსანი კოშკის წვერზე და არ ჰყავს მთავარი დაბლობში მცხოვრებ ერს.

დაბლა, საშინელს და ცარიელს დარბაზებში, სასახლის ნესტიან სარდაფებში, ბნელსა და ღრმა ნაპრალებში, უძველეს და დანგრეულ კიბეებზე დადიან და დაეხეტებიან ჩემი უკან ჩამორჩენილი მოწაფეები, ჩემი კარგი მოწაფეები, რომლებმაც დაჰკარგეს გზა. დაეხეტებიან და ეძებენ, ეძებენ და ვერ ჰპოულობენ სწორ გზას... ოჰ, როგორი შური მაქვს მათი, ამ მოხეტიალეების! ნეტავ მე ვიყო მათ ადგილას! ვიფიქრებდი, რომ არის გზა და მხოლოდ მე ვცდები და ვერ ვნახულობ მას... დავიწყებდი სწრაფვას მაღლისაკენ მიუღწევლად... მაგრამ მე მივალწიე. ჩემს საუბედუროდ მივალწიე. მივალწიე—რათა დამენახა, რომ აქ არაფერია და უძველესმა ხელთნაწერებმა, საოცარმა და გაცვეთილმა პერგამენტებმა მე მომატყუეს. ჩემთან ერთად მოტყუებულია მთელი ხალხი, რომელიც დაბლაა, მოტყუებული არიან კარისკაცებიც. რას უყარაულებენ ისინი იქ? სასახლეში არაა მთავარი. ვისი სახელით უბრძანებენ ხალხს? ამ ხალხს არა ჰყავს არც ბატონი და არც მამა. ცარიელია სასახლე, ცარიელია კოშკი, მხოლოდ თავგების რაზმები დასეირნობენ შიგ... დამურები და ბნელი ჩრდილები ბინადრობენ შიგნით. ჩემი საბრალო ძმები აპყრობენ თვალებს ზევით, იშვერენ ხელებს კოშკისაკენ—და არავინ ჰხედავს ამ ხელებს, არავინ უდებს გულს ამ მტირალ თვალებს. ასი ათასი ლოცვა მოიმართება აქეთკენ—და მას არა ჰყავს გამგონი. მაღალი კოშკი იტყუება—ის ცარიელია! ჩირალდანიც

გაცრუვდა. მისმა შუქმა შეთხზა სიცრუე. მისმა ყვითელმა ლამპარ-
მა გამაბრეცა. ლამპარი მახარებდა და მეძახოდა, მახარებდა და
მანიშნებდა—მომიყვანა აქამდე და აქ კი—კაცი არაა.

პ ა უ ზ ა.

უსაზღვროა გარშემო სივრცე, მაგრამ ის ცარიელია. ზეცა და
ღრუბლები—მეტი არაფერია. სინათლე მძლავრია, მაგარია აქ მზის
შუქი, მაგრამ ის ცივია. მე ვკანკალებ სიცივით. რა ძლიერი სიცივეა
აქ. რა ძლიერი ქარია! ცოტა კიდეც—მომიტაცებს და გადამისვრის
დაბლა უფსკრულში. ოჰ, როგორი შორია მანძილი ჩემსა და დედა-
მიწის შორის! რა დაშორებულია დედამიწა ჩემგან! რა საშინელია
აქ—მარტოობა! მარტოკა ცასა და ღრუბლებს შუა. მარტოკა
მოზუზუნე ქართან და ცარიელ ჰაერთან.

წავალ მე აქედან, ვუშველი ჩემ თავს, ვიდრე ძალა მაქვს გავი-
პარო, ვიდრე მზიდავენ ფეხები. მაშ რა მინდა ამ სიმაღლეზე, თუ
ჯადოსანი არაა? რა მინდა ამ ცივ სივრცეში, ჩამოკიდებული ზე-
ცასა და დედამიწას შუა?

იცქირება კიდეც გარშემო სივრცეში.

უშველო ჩემს სულს, ვიდრე არ გაყინულა. ჩავალ ქალაქში და
უამბობ ჩემ ძმებს, რაც ვნახე აქ, რომ ვერ ეღირსებიან შველას და
მათი იმედი გაცრუვდა. დეე იცოდნენ, რომ არა ჰყავთ მათ მთავარი
და მივიწყებულნი არიან შორეული ცის თალის ქვეშ, როგორც მე აქ.
დეე იცოდნენ, რომ არ არსებობს წამალი მათი ტკივილებისათვის, არ
არსებობს ნუგეში მათი გაჭირვებისათვის და არ ეღება ბოლო მათ
სილატაკეს და ცრემლებს.

შენ კი, ჩემო ცრუ ჩირაღდანო, გამინათე გზა დაბლისაკენ

უახლოვდება კარებს და სურს ძირს ჩასვლა. ამ დროს მძლავრი ქარის ქროლვა
ჩააქრობს მის ჩირაღდანს. რჩება თავის ადგილზე თავზარდაცემული და მწუხარე-
ბით იმოსება მისი სახე.

ჩაჰქრა ჩირაღდანი. წამერთვა საშუალება, რომ დავბრუნებუ-
ლიყავ და ჩავსულიყავ დაბლა. სიბნელეში ძნელია გზის პოვნა დაბ-
ლის ჭიშკარისა. ძალაუნებურად ვრჩები აქ. უღონო მოხუცი ვრჩები
აქ, სადაც ჩემთან ერთად იქნებიან: ეს ბოროტი ქარი, ჩამქრალი
ჩირაღდანი და გარშემო სიცივლის უსაზღვროება.

დგას მოაჯირზე და იცქირება დაბლა. გრძელი პაუზა.

რა ხდება ამ წუთს იქ—სასახლის პირდაპირ მდებარე მოედანზე!
შეიძლება ხალხი ზეიმობს კვლავ მთავრის დღესასწაულს...

ყურს უგდებს. პ ა უ ზ ა.

აგერ ცოტ-ცოტაობით იფანტება ღრუბლები, შუადღის მზე
ჰფანტავს მათ. რა ღრმაა ჩემ წინ მდებარე უფსკრული! თავი ტრია-

ლებს ბორბალივით, როცა ვიცქირები თავი მიბრუნის. მაგრამ არ შემიძლია ადგილიდან დაძვრა. მსურს გავიგო რა ხდება იქ. ვარჩევ შავი დედამიწის ლაქებს, მაგრამ სასახლის წინ მდებარე მოედანს ვერ ვხედავ ჯერ. მესმის ნელი ხმაური. ხმაურობა აღწევს ჩემ ყურებამდე. რა ხდება იქ? აგერ გადიწია პატარა ღრუბელი მარცხნით. ეს რაა? დროშაა? დიახ, დროშა. თუ ასეა, მაშ დღეს ზეიმის დღეა. რამდენმა წელმა განვლო იმ დღესასწაულის შემდეგ? ხალხი კვლავ ზეიმობს თავის დიდ დღესასწაულს, ჯადოსნის დღესასწაულს, დიდი სიცრუის დღესასწაულს! დროშები ფრიალებენ, ღრუბლებში გაიფანტნენ და გაქრნენ და მე ვხედავ ადამიანთა გროვას, რომელიც მოძრაობს დაბლა. უსათუოდ ასეა, უსათუოდ დღესასწაულია! დამინახავენ თუ არა?

მოიგლევს თავის მოსახლამის ნაპირს, მიაბამს მას ჩირაღდანს ბოლოზე და აქნევს პაერში დაბლისაკენ.

ოღონდ კი დამინახონ. მოდი დაუძახებ მათ, ეგებ გაიგონონ ჩემი ხმა. ეგებ მიაღწიოს ჩემმა ხმამ მათთან.

ამ დროს მოისმის დაბლიდან შორეული და დაწყვეტილი მუსიკა. მუსიკა ძლიერ შორეულია.

— ორკესტრი! ბარაბანი! საკრავები! ჩონგურები! შეიძლება ვცდები. არა, არ ვცდები. ქარს ამოაქვს აქ განმარტოვებული ყლერები, დაწყვეტილი ყლერები. თუ ეს ასეა შეიძლება გაიგონონ ჩემი ხმაც.

მიიტანს მუშტს პირთან საყვირივით და იძახის ხმამაღლა.

— ძმებო! ძმებო!— არა, მოვიცდი ვიდრე ჩაჩუმდებოდეს ორკესტრი. ეხლა ვერ გაიგონებენ ჩემ ხმას. ბარაბანი მას გააყრუებს.

გრძელი პაუზა. დაბლიდან აღწევს მუსიკის დაწყვეტილი და თითოეული ყლერი. ის დგას დაყრდნობილი მოაჯირის ნაპირზე და უსმენს დიდის ყურადღებით. მუსიკა შეწყდება. ქარი ზუზუნებს.

— ძმებო! ძმებო! გესმით თქვენ? ფუჭია თქვენი ზეიმი. მოეშვით ამ დღესასწაულს, ვინაიდან არ არის ჯადოსანი. არ არის ჯადოსანი კოშკის წვერზე. გესმით თქვენ? კაცი არაა კოშკის მაღლა წვერზე. არაა მთავარი სასახლეში. ცარიელია ყველა დარბაზი და ცარიელია მაღალი კოშკი. ცარიელია... გახსოვართ თქვენზე მე, როდესაც გაგშორდით თქვენ? ვიყავი ახალგაზრდა და ღონიერი. შემომხედეთ ეხლა: მოხუცი ვარ და უღონო. მთელი ჩემი სიცოცხლე ვლოღავდი რკინისა და ქვის კიბეებზე, ფეხები დამეჩეხა და სწვეთავენ სისხლს. მხარი მოდრეკილი მაქვს, ტყავი შეკუმშული და გამხმარი, მოვედი აქამდე. მაგრამ ჯადოსანი ვერ ვნახე. კაცი არაა აქ. გამიგონეთ

შორეულო ძმებო: კოშკი ცარიელია. კოშ-კი ცა-რი-ე-ლია! გესმით თქვენ?

სიცრუეს ამბობენ ფლიდი კარისკაცები. თქვენ არა გყავთ მთავარი და უფროსი. არა გყავთ მმართველი თქვენს ქვეყანაში. თქვენს ეხვეწებით, ევედრებით, აღაპყრობთ თვალებს მალლა, მაგრამ თქვენი არავის ესმის. არავის ესმის! გესმით თქვენ?

— გამიგონეთ მშიერებო და ავადმყოფებო, გამიგონეთ ცხოვრების ყველა ჩაგრულებო—არ გაქვთ იმედი. მრავალია თქვენი სევდა, რომლის ატანა შეუძლებელია, არა აქვს დასასრული და საზღვარი თქვენს წამებას... მაშ წადით და მიახეთქეთ თავები უდაბნოს კედლებს ან ქვების სვეტებს, რომლებიც აღმართულან ჯვარედინ გზებზე. მოუღეთ ბოლო ამ მომაბეზრებელ სიცოცხლეს, რომელსაც აკლია მიზანი და შინაარსი. მრისხანეა თქვენი ბედი და მის მძიმე ხელს არ სცოდნია შებრალება. დეე იცოდეთ, რომ ვერავინ გიხსნით მისი ხელიდან. ვერა კაცი! განმარტოვებულნი ხართ, თქვენ, მანდ დაბლობში — განმარტოვებულნი თქვენ სულთან, როგორც მე აქ.

გესმით თქვენ? არა. არ ესმით. დიდი მზადება აქვთ დაბლა. ალბათ, კარისკაცების უფროსი ლაპარაკობს სიტყვას. ნუ გაუგონებთ მას, საცოდავო ძმებო. ნუ გაუგონებთ მას, მაგ ცრუ წინასწარმეტყველს! გესმით თქვენ ჩემი სიტყვები? გესმით თქვენ?

— არა, არ ესმით. საკმეველს აკმევენ დიდი ჯადოსანის პატავსაცემად, „ვაშას“ ჰყვირიან და ჯგუფები გამოდიან საცეკვაოდ. ჩემი სუსტი ხმა არ აღწევს მათთან.

უმატებს ხმას.

— გამიგონეთ ძმებო, დაბლობო! გამიგონეთ ვაკის საცოდავნო! გამიგონეთ! გამიგონეთ! გამიგონეთ!

— არავინ მიგდებს ყურს. რა შორია მანძილი ჩემსა და მათ შუა. ოჰ, რა დაშორებული ვარ დედამიწას, რა დაშორებული!

— მე ვყვირი და არავის ესმის ჩემი. ჩემი ხმა წააგავს უდაბნოში ძახილს. ჩემი შრომა ფუჭია. არავის ესმის ჩემი.

— ყოველწლიურად დაბრუნდებიან და შეიკრიბებიან აქ თავიანთი სიმღერებით და გალობით, თავიანთი ყვავილების კონებით და საყვირების ყრიაშულით. ყოველწლიურად, ყოველწლიურად. ეს წყეული კოშკი კი იდგომება საუკუნოდ იმ დიდი სიცრუით, რომელსაც ატარებს თავის სიღრმეში და მარადი მიმზიდველი ძაბვით. ხანგამოშვებით მოვლიან ახალგაზრდები და გულადები—ძლიერი ნებისა და სულის პატრონნი—და მოინდომებენ შეიქრან

შიგნით ჯადოსან სასახლეში და წარსდგნენ დიდი მთავრის წინაშე. წლებით იხეტიალებენ დახლართულ დარბაზებში. დაიმტკრევენ ფეხებს ჩემსავით, მოსძებნიან და ვერაფერს იპოვიან და მათთან—თუ ერთ ვისმეს ეღირსა აქ ამოსვლა, მაშინ ის შეიქნება ჩემსავით განმარტოვებული და მივიწყებული, გადახედავს ჩემსავით გარშემო საშინელ სიცარიელეს და დაიციემა სულთ. დაუგდებს ყურს სივრცის უსაზღვრო დუმილს და ბოროტი ქარის ზუზუნს... და ჩემსავით დაუძახებს თავის ძმებს დაბლა, დაუძახებს უმიზნოდ და ვერავინ ვერ გაიგონებს მის ძახილს. ვერავინ ვერ გაიგონებს.

გრძელი პაუზა. რიზაელ დადის წინ და კანკალებს სიცივით. ხანდახან ისრესს ხელებს, რომ გაითბოს. შემდეგ ჯდება ქვის იატაკზე. ჰქრის გაძლიერებული ქარი.

აქ დავჯდები და დაუცდი სიკვდილის მოსვლას. დეე მოვიდეს. დეე ჩქარა მოვიდეს. რაღად მინდა ეხლა სიცოცხლე? რაღად მინდა? დეე მოვიდეს სიკვდილი და წაიღოს ჩემი სული, რომელსაც სჭირია მოსვენება. დეე მოვიდეს, დეე დააჩქაროს მოსვლა! და თუ არ მოვიდა, თუ დაიგვიანა—მაშინ დავამსხვრევ ჩემს თავს ამ გაციებული ქვის იატაკზე!

პაუზა. რიზაელ ზის მოლოდინში. დაბლიდან, როგორც შორეულ ეხო. აღწევს სიმღერა, რომელსაც რიზაელ უსმენს უდიდესი ყურადღებით. იცვლება სახეზე.

— არა, ჯერ არ გავგიჟებულვარ. ნამდვილად ახსენებენ დილლევამარს. ნუთუ დილლევამარმა მიაღწია დედამიწას? ოჰ, დილლევამარ! შენ უარყავი მაშინ ჩემი გზა. გადავწყვიტე სამუდამოდ დამევიწყებინე — მაგრამ უკანასკნელ წუთს კვლავ თვალწინ მიდგებარ. არ შემიძლია! დილლევამარ, მეც უარვყოფ, ვწყევლი ჩემ გზას. დილლევამარ, შენ მიაღწიე დედამიწას, დილლევამარ, მე მოვილტვი თქვენკენ, მაგრამ ამაოდ, დამიგვიანდა. ჩემი ჩირაღდანი ჩაჰქრა სამუდამოდ, დილლევამარ — შენც ჩაქრი ჩემთვის და აღარაფერი, აღარაფერი აღარ არსებობს უბედური რიზაელისათვის. ზეცისა და დედამიწის შუა მე ვამთავრებ ჩემს უმიზნო სიცოცხლეს უკანასკნელი ძახილით: მშვიდობით, ჩაგრულო ხალხო და დილლევამარ!

კვდება. შორეული მუსიკა.



მოქმედება მეოთხე

სასახლის პირდაპირ მდებარე მოედანი. მთავრის დღესასწაული. პირველი მოქმედების ზეიმის შემდეგ განვლო რამდენიმე წელმა. დილაა. მოედანი მორთულია ყვავილებით და ხალიჩებით. კათედრები მორთულია ფერადი ქსოვილებით.

სცენაზე არიან იოაკიმ და კარისკაცები. ზევიდან მოჩანს მაღალი კოშკის წვერი.

პირველი კარისკაცი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ეს მოედანი გაივსება მოზეიმე ხალხით. მოედნის შუაგულ კათედრაზე მოთავსდება ორკესტრი. მის გარშემო მოცეკვავე ქალიშვილები. ათასი თვალი იელვარებს ნაპერწკლებივით ამ გახურებულ მზის სხივებში. იქნება დიდი ზეიმი.

მეორე კარისკაცი.

ძონძებში ჩაცმულნი, მშივრები და ჩაგრულები იდგომებიან წყნარად; ისინი უკვე შეეჩვიენ ბედის მწარე განაჩენს და ამიერიდან ზეცაში ამართულ კოშკის წვერს დაუწყებენ ცქერას მორჩილი თვალებით და მუნჯი ვედრებით.

იოაკიმ.

შემცდარი ხართ, პატივცემულო კარისკაცებო. მას შემდეგ რაც დილლემარმა შესძლო კოშკის ფარული გზით გამოსულიყო დედამიწაზე, მე ვამჩნევ, რომ ყოველწლიურად კლებულობს მოზეიმეთა რიცხვი. სამაგიეროდ ძლიერდება უკმაყოფილება, რომელმაც გადალახა ყოველგვარი საზღვარი. მდაბიო ხალხში გავრცელებულა რალაც სიმღერა ძველი კოშკისა და დილლემარის შესახებ. თითქმის დაურიდებლად მღეროდნენ მას ყველგან—გაჭირვებულთა წრეებში. დიდი მთავრის სახელით ერთი თვის წინედ მე ავკრძალე ეს საშიში სიმღერები. აშკარად დღეს თუმცა მას აღარავინ არ მღე-

რის, მაგრამ ჩუმათ კი—ეს სიმღერა კვლავ არსებობს და ვერ შეუძლებელი მისი მოსპობა. იღუმალის და გაუგებარი გზებით ის გადადის ქუჩიდან ქუჩაზე, სახლიდან სახლში და გაჭირვებულთა შორის. თითქმის აღარ დარჩენილა არც ერთი ბავშვი—რომ არ იცოდეს, სიმღერა დილლემარისა და ძველი კოშკის შესახებ.

პირველი კარისკაცი.

დღეს დილით ვიყავი განაპირა უბანში. ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული. შემომესმა ეს სიმღერა და ფერი მეცვალა. ოჰ, დიდო იოაკიმ, ეს სიმღერა არ მოასწავებს კარგს. ეს სიმღერა აშკარა მუქარაა ჩვენი მთავრისადმი. ამ სიმღერაში მოსჩანს გულისწყრომა დაბლობის ჩაგრულებისა. ამ სიმღერაში აშკარად ახსენებენ შენს სახელს დამცირებით.

მეორე კარისკაცი.

დაბლობის გლახაკები—კვლავ ისეთები დარჩებიან, როგორც იყვნენ დღემდე. მათ არა აქვთ არაფრის თავი. მათ სწამთ და სჯერათ, რომ ასეთია სურვილი ჯადოსანი მთავრისა და ამიტომ შერიგებული არიან თავიანთ ბედთან.

პირველი კარისკაცი.

მე კი ვფიქრობ ისე, როგორც იოაკიმ. ხალხში მოხდა დიდი ცვლილება. დილლემარმა იმუშავა წლების განმავლობაში და უპირობს ძირი გამოუთხაროს ჩვენ ბატონობას.

მეორე კარისკაცი.

ჩვენ უნდა მივიღოთ დროზე გადამჭრელი ზომები. ჩვენს ხელშია ჯარი და ტყვია. ყოველ შემთხვევისათვის მზად უნდა ვიყოთ. დღევანდელი დიდი ზეიმი კი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ დიდი ჯადოსანის სახელით ხალხს მოუწოდოთ მორჩილებისაკენ. ხოლო დილლემარ — უნდა იქნეს დაწყევლილი და საჯაროდ დასჯილი.

პირველი კარისკაცი.

ხალხს უყვარს დილლემარ. ხალხმა გააღმერთა დილლემარ. მაგრამ შავ ბრბოს რა ესმის. საჭიროა დილლემარ დასჯილ იქნეს სამაგალითოდ, როგორც ურწმუნო და დიდი ჯადოსანის ტახტის უარმყოფელი.

შეგიძლიათ იყოთ დაწყნარებული. მე ვიგრძენი თქვენზე ადრე ის
შხამი, რომელიც გადმონთხეული იყო დილლემარისა და
ძველი კოშკის სიმღერაში. მე უკვე მივიღე ზომები. ასეულის
უფროსს მივეცი განკარგულება, რომ, რათაც არ უნდა დაუჯდეს,
ცოცხალი ან მკვდარი დილლემარ უნდა დააპატიმრონ და მომგვარონ
აქ. მოზეიმე ხალხს მივმართავ სიტყვით, ავალელებ მორწმუნეებს
და დილლემარის ხორცი დაგლეჯილი იქნება ლუკმა-ლუკმად.
დაღამებისას კი მოვლიან ყვავები და დაეპატრონებიან მის უწმინ-
დურ ლეშს.

პირველი კარისკაცი.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ
შეიძლება ხალხში კიდევ გამოჩნდეს რამდენიმე გულადი, რომლებ-
მაც აშკარად და უშიშრად დაიცვან დილლემარ და წინაღუდგენ
ჩვენს განზრახვას.

ჩემი ასეულის უფროსი გამოცდილი სამხედრო პირია. ზეიმის
დაწყებისთანავე მოედანს შემოერთყმის გარშემო დიდი ჯარი. თვი-
თონ ასეულის უფროსი კი მომგვრის კათედრის წინ შებოჭილ
დილლემარს...

მეორე კარისკაცი.

რიზაელ და მისი მოწაფენი — ყველანი დაიღუპნენ. დღემდე
საოცარია და გაუგებარი ჩვენთვის — თუ დილლემარ როგორ
გაჩნდა დედამიწაზე.

პირველი კარისკაცი.

ერთი კი ცხადია: რომ რიზაელის და მისი მოწაფეების
დაღუპვამ ბევრს ასწავლა ჭკუა და აღრავინ ბედავს კოშკის საიდუმ-
ლოს გაგებას.

რიზაელისთანა მტრები მე არასოდეს არ მაშინებდა. საში-
ში არიან დედამიწის მტრები. საშიშია დილლემარ. როცა

სადმე შემთხვევით მოვისმენ ამ შხამიან სიმღერას, ასე მგონია, მთლად მსოფლიო თავზე დამეცა. როდესაც მომგვრიან დილლემამარს და მე დავამთავრებ ჩემს სიტყვას, თქვენ ყველამ უნდა იყვიროთ: სიკვდილი დილლემამარს! გესმით?

პირველი დამეორე.

გვესმის: სიკვდილი დილლემამარს!

გადიან ერთად.

ნელ-ნელა მოედანი ივსება მოზეიმე ხალხით. აქა-იქ მორიდებული სახით იმალებიან ძონძებში ჩაცმულნი, მშივრები და ნაკლოვანები. ორკესტრი იკავებს თავის ადგილს კათედრასთან. მოცეკვავე ქალიშვილებს ხელში უჭირავთ საკრავები, თმებზე და თეთრი კაბების ღილებზე გაკეთებული აქვთ წითელი ყვავილები.

ხალხი.

— დღესასწაულს არაფერი ცვლილება არ ემჩნევა. მაღალი კოშკი ძველებურად მოჩანს მედიდური და ამაყი.

— ყოველწლიურად გრძელდება ზეიმი ერთი და იმავე წესით.

— მე კი მგონია, რომ დღევანდელი ზეიმი იქნება სხვანაირი.

— კარისკაცები მთელი დღე ფუსფუსებენ და ერთ ადგილას ვერ ჩერდებიან.

— კოშკი გარშემორტყმულია ჯარებით.

— კოშკის უკან დგას თურმე დიდი ტყვიისმფრქვეველი.

— ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ზეიმს მისცენ განსაკუთრებული დღესასწაულის სახე.

— მაინც საკვირველია: ჯადოსანის დღესასწაულში კარისკაცებს ჯარი არასოდეს არ გამოუყვანიათ.

— ბევრ რამეს ამბობენ.

— რას ამბობენ?

— ამბობენ თითქოს კარისკაცების უფროსმა იოაკიმმა გაცა განკარგულება, რომ ცოცხალი თუ მკვდარი დააპატიმრონ დილლემარ.

— განკარგულება მიუცია ასეულის უფროსისათვის.

— ასეულის უფროსი დაუნდობელი ჯალათია.

— სულ ერთია, დილლემარს ვერ დააპატიმრებენ ასე ადვილად.

— ვერ დააპატიმრებენ. ექვსი თვეა დილლემარ იმალება. ექვსი თვეა მას ეძებენ.

— ამბობენ დილლემარის თავი შეფასებულია ასი ათას

ოქროდ. ვინმე სიხარბის გამო შეცდება და უჩვენებს ასეულის უფროსს მის ადგილს.

— დილლემარ ჭკვიანია. მან მიიმხრო ათასობით გაჭირვებულნი, რომლებიც დაიფარავენ მას ყოველი გაჭირვებისაგან.

— დილლემარ მუშაობს თურმე დღედაღამე. გაჭირვებული ხალხის მეტი მას აღარავინ სწამს ამ ქვეყნად.

— დაუბეჭდიათ რალაც წიგნები და ჩუმ-ჩუმად დაურიგებიათ ხალხში.

— ამ დილით ფოსტის ბოძზე გაკრული იყო იოაკიმის ისეთი სურათი, რომელსაც ადამიანის სახე აღარ ჰქონდა. ისე დაუმახინჯებია მის დამხატველს, რომ პირველად მაიმუნი მეგონა.

— ბევრ რამეს ამბობენ კიდევ...

— რას ამბობენ?

— ხალხში ვერ გეტყვი. გამოდი ცოტა აქეთ.

— რას ამბობენ? სთქვი ჩქარა, სული შელევა.

— ამბობენ, რომ... სსს... სსს ...

— სთქვი, ყურს არავინ გვიგდებს.

— ამბობენ: საათის თორმეტზე მოედანზე მოხდება უცნაური ამბები. ჯარისკაცები აქ უმიზნოდ არ არიან.

— რა მოხდება, ამბობ თუ არა?

— საათის თორმეტზე გაჭირვებულთა და მშრომელთა ჯგუფები დაიწყებენ დილლემარისა და ძველი კოშკის სიმღერას.

— დილლემარ და მისი მომხრენი უცხადებენ ომს დიდ ჯადოსანს. საათის თორმეტზე ამბობენ—უნდა ააფრილონ აქ სისხლისფერი აჯანყების დროშა.

— დაბლობის ვერც ერთი მცხოვრები ვერ გაბედავს ამას.

— სიმღერის და დროშის აფრილების შემდეგ გამოჩნდება თვითონ დილლემარ.

— დილლემარს სიცოცხლე არ მობეზრებია. თავისი ხელით არ ჩაუვარდება თავის მკვლელებს.

— ხმები ასეთი დადის, გამართლდება თუ არა—დავინახავთ.

— რომ გამართლდეს — შენ რას იზამ?

— ეს სიმღერა ხომ აკრძალა დიდმა ჯადოსანმა.

— მე მხარში ამოუდგები დილლემარს.

— შენ?

— მეც.

— საშინელ ამბებს ლაპარაკობენ.

— დილლემარის შესახებ ხომ არა?

—ჰო. დილლემარის შესახებ, ასეულის უფროსი მოიყვანს თუ-
რმე მას გაბაწრულს.

—კარისკაცებმა უნდა დასწყევლონ და ანათემას გადასცენ.

—ახია მასზე. დილლემარ გადაუდგა დიდ ჯადოსანს.

—დილლემარ უარყოფს ყოველივე წმინდას.

—დილლემარს ეჯავრება მდიდრები და კარისკაცები.

—გლახაკებთან და მშივრებთან ათევს ღამეებს.

—დღისით აღარსად აღარ ჩანს მისი კვალი.

—ასეულის უფროსი დღეს უსათუოდ მოიყვანს მას.

—აკუწავენ მის ხორცს ნაკუწ - ნაკუწად.

—აკუწავენ, დეე აკუწონ! თავისი სული მან მიჰყიდა ეშმაკებს.

—თუ არ ვცდები—შენ ისა ხარ—ჩემი ძმა რომ გადაარჩინე
ზღვაში დახრჩობას.

—დიახ, მე გახლავარ.

—თუ ეს ასეა, მაშინ მე მინდა სამაგიერო გადაგიხადო. მხო-
ლოდ წინდაწინ გთხოვ: არავინ გაიგოს ჩვენი ლაპარაკი.

—მესმის.

—ვიღაც უცნაური ხალხი ორ კვირაზე მეტია—მუშაობს
თურმე დედამიწის სიღრმეში. გაუყვანიათ თხრილები და დაუდგამთ.
თურმე მოედნის ქვეშ ჯოჯოხეთის მანქანა.

—ჩვენს ქვეშ—დედამიწაში—ჯოჯოხეთის მანქანა?

—რა ვიცი. ასე ლაპარაკობენ ბოროტი ენები. მანქანა მუშაობს
თურმე საათობით და წუთობით.

—ჰორებია.

—როგორც შემატყობინეს, საათის თორმეტის შემდეგ მოხდება
დიდი უბედურება. ამიტომ წავიყვანოთ ჩვენი ცოლები და შვილები
და დროზე გავიპაროთ მოედნიდან.

—გასაპარავი რაა. დღეს დიდი ზეიშია, დიდი მთავრის ზეიმი.
დანარჩენი ყველაფერი ჰორია და ბოროტი ხალხის მოგონილი.
ჰხედავ? კარისკაცები უკვე იკავებენ თავის ადგილს.

—მართალია! იოაკიმ უკვე ავიდა ტრიბუნაზე.

—პირველად სიმღერას დაიწყებს სამხედრო ტანსაცმელში
გამოწყობილი უცნობი. გესმის, ამხანაგო?

—ვინ არის ეს უცნობი?

—შენი საქმე არაა. შენ მას აპყვები და შემდეგ ჩვენ ბანს
მივცემთ. გესმის?

—მესმის, ამხანაგო.

ამ ლაპარაკის დროს შემოდინ კარისკაცები და იჭერენ თავიანთ ადგილს. ირა-
კიმ დგას დაკეტილ კიშკართან მდებარე კათედრაზე და აპირებს სიტყვის დაწყე-
ბას. აქა-იქ კოშკის გარშემო მოჩანს შეიარაღებულ ჯარისკაცთა სახეები, ეფუფიბ
•ღმართავს ხელს.

ბიზლიჩიშვილი

ი რ ა კ ი მ.

დღე იყოს ეს დღე თქვენთვის ლხენისა და სიხარულის დღედ, ვინაიდან მაღლიდან, კოშკის წვერიდან, თქვენ გიცქერით ქვეყნის მთავარი — დიდი ჯადოსანი და როგორც შემბრალებ მამას, ისე ახარებს მას თქვენი მოსვლა. დავიწყდეს დღეს თქვენ გულთაგან სევდა და წუხილი, გაჰქრეს თქვენგან ტანჯვა და წამება სამუდამოდ, ვინაიდან დღეს ზეიმია მთავრისა, ზეიმი დიადი და წმინდა! აღმართეთ თვალები ზევით და მისი დიდი წყალობით ჩაგეწვეთებათ თქვენ ნუგეში—მთელი წლის განმავლობაში ჩაგრულნო და მომთმენნო. მისი სიმაღლის ბრწყინვალეობამ გააშუქოს თქვენი სული. უადგილოა დღეს ცრემლები და ოჯრა, უადგილოა საყვედურები—ვინაიდან თქვენ დგებართ მაღალი კოშკისა და თქვენი მთავრის ბრწყინვალე სასახლის წინაშე. ვაი, ვაი მათ, იმ საცოდავებს, რომლებიც გადაუდგნენ დიდ ბატონს, დაჰკარგეს მისი რწმენა. იმათ მოელოთ ღირსეული სასჯელი. ჩვენს დროში უკვე მრავლდება ბოროტი ხალხის რიცხვი, რომელთა სამაგალითოდ დასჯა ისურვა თქვენმა დიდმა მთავარმა. რამდენიმე წუთის შემდეგ ასეულის უფროსი მოგვეგვრის გაგიჟებულ ქალს, რომელმაც ჩაიდინა აუარებელი დანაშაული დიდი ბატონის წინაშე. მთელმა ხალხმა, დიდი ჯადოსანის ყველა ერთგულმა ქვეშევრდომმა, უნდა აიღოს დიდი ქვა, რომ მით ჩაიქოლონ უწმინდური სული.

მანამდე კი იხარეთ და ილხინეთ, იხარეთ და ილხინეთ! მაღლობა გადაუხადეთ დიდ ბატონს საყვირებით და სიმღერით, ცეკვით და ღალადით—ვინაიდან ისაა ყველას ბატონი.

გაუმარჯოს ჩვენს ბატონს, დიდ მთავარს, რომელიც გვიცქერის თავის მაღალი კოშკიდან!

ბ რ ბ ო.

— გაუმარჯოს დიდ ჯადოსანს!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

ქალიშვილები კალათებიდან იღებენ სავსე მუჭით ყვავილებს და ესვრიან სასახლის კიშკარსა და ფანჯრებს. ზოგი ყვავილი ჩამოეკიდება კედლის ხვრელებში, ზოგიც ეცემა მიწაზე და ისრისება ბრბოს ფეხებით. ირაკიმ

ანიშნებს ხელით და მემუსიკენი იწყებენ მხიარული სიმღერის დაკვრას. ქალიშვილები იწყებენ ვნებიან ცეკვას. საერთო განწყობილება მხიარულების მომასწავებელია, მაგრამ აქა-იქ მოჩანს უკმაყოფილო სახეები. იოაკიმ ასწევს ხელს. საკრავები და ცეკვა წყდება.

ქალიშვილი
ბიბლიოთეკა

იოაკიმ.

დიდი ჯადოსნის ერთგულო ქვეშევრდომებო! ვიდრე წარსდგება ჩვენს წინაშე ცოდვილი დილლემარ — მე მსურს სათითაოდ ჩამოვიყვეთ ის დანაშაული, რაც მიუძღვის მას — ზღვაში არ არის იმდენი წვეთი და ზეცაში ვარსკვლავი. დიდი ჯადოსანი, რომელიც იცქირება ზევიდან...

ბრბოს მოარღვევს და საჩქაროდ მოექანება იოაკიმისაკენ უცნობი, სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი. იოაკიმ შეამჩნევს მას და სწყვეტს ლაპარაკს. უცნობს ახურავს რკინის ქუდი და მისი სახე არ მოჩანს, გარდა თვალებისა უცნობი დგება შუაგულ მოედანზე ხალხის შუა და მიმართავს იოაკიმს. ხალხის ყურადღება მიპყრობილია უცნობისაკენ.

უცნობი.

ჩემი უმდაბლესი სალამი კარისკაცების უფროსს ბატონ იოაკიმს!

იოაკიმ.

მახარობელი ხარ რაიმე ამბისა?

უცნობი.

დიახ, ბატონო ჩემო. მე ასეულის უფროსმა გამომგზავნა თქვენთან და მთხოვა შემეტყობინებინა, რომ დილლემარის დაპატიმრება მან ვერ შესძლო, რომ ის ჩაუვარდა ტყვედ დილლემარს და მის ბედს მოელის ხიფათი, რომ ასეულის უფროსის სახელოვანი რაზმიდან აღარავინ არ გადარჩენილა, გარდა ამ ამბის მომტანისა, რომელიც ამჟამად თქვენ წინაშე დგას.

იოაკიმ.

საშინელებას მიაშობ, უცნობო. მაგრამ სირცხვილი და ზიზღი თქვენ, რომ ერთმა გაგიყებულმა დედაკაცმა დაგიმორჩილათ თქვენ ყველანი და მას ჩაუვარდით ტყვედ.

უცნობი.

არა, ბატონო ჩემო, დილლემარ — ერთი არაა. დილლემარ ამ-
ყობს, რომ მასთან არიან მილიონები.

ქართული
ბიბლიოთეკა

იოაკიმ.

ზმა გაიკმინდე, საცოდავო! შენც გაუგიყებიხარ იმ გიჟს.

უცნობი.

ასეულის უფროსმა მიბრძანა აგრეთვე, რომ მომავალში დავე-
მორჩილო დილლემარის ყოველ ბრძანებას. დილლემარმა მომცა
ბრძანება, რომ თქვენ გადმოქცეთ შემდეგი მისი პირით: დაბლობის
ქვეყანა გაყოფილია ორ ნაწილად: მდიდრები და ღარიბები. მდიდრები
შეადგენენ უმნიშვნელო ჯგუფს, ხოლო ღარიბები მილიონებს. მათ
შორის გამოცხადებულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ბრძოლა
დამთავრდება მხოლოდ მაშინ; როდესაც ეს უმნიშვნელო ჯგუფი
მდიდრებსა და მათი დამქაში კარასკაცებისა — სამუდამოდ აღიგვება
დედამიწიდან.

იოაკიმ.

სად არის ეხლა დილლემარ?

უცნობი.

დილლემარის პირით აგრეთვე უნდა მიემართო აქ შეკრებილ
მოზეიმეთ: ყოველწლიურად თქვენ გაბრიყვებენ მლიქვნელი კარის-
კაცები. ესენი დარაჯობენ ცარიელ სასახლეს, ცარიელ და დამპალ სა-
სახლეს. რად უნდა იდგეს აქ ეს უზარმაზარი შენობა? რად აღუპყრია
თავი ზეცაში? რად გელაპარაკებათ არაჩვეულებრივ და არყოფილ
ამბებს? რატომ უნერგავს ცრუ იმედებს და ფუჭ დაპირებებს საცო-
დავებს და საბრალოებს?


იოაკიმ.

უცნობო თავხედო, სად არის ეხლა დილლემარ?

უცნობი.

დილლემარმა დამაბარა აგრეთვე ვაცნობო მთელ დაბლობს, რომ
კოშკში ცხოვრობენ მხოლოდ გველები და ბაყაყები, ობობები და

დამურები. კოშკში ცხოვრობენ აგრეთვე დაქირავებული ჯალათები, რომლებიც ხელოვნურად დამუნჯებულან და ყველა მას, ვინც შედის კოშკში — კარისკაცების ბრძანებით უსპობენ სიცოცხლეს.



იოაკიმ.

ვინა ხარ შენ, რომ მოსულხარ და გსურს ჩაშალო დიდი ჯადოსნის დღესასწაული?

უცნობი.

კოშკში არ არსებობს არავითარი ჭეშმარიტების ტახტი. არავითარი ჯადოსანი არაა ამ მაღალ კოშკზე. ეს კოშკი უნდა დაიწვას, უნდა დაირღვეს საძირკვლამდე და აღარ უნდა დარჩეს მისი ხსენება.

იოაკიმ.

იყავ წყეული, მოლალატე ჯარისკაცო!

უცნობი.

დაწყნარდით. მე მალე დავასრულებ. არც თქვენ, კარისკაცებო, არ დავიწყებინართ დიღლეამარს და მთხოვა გადამეცა ხალხისათვის, რომ ყველა თქვენ უნდა იქნეთ მათრახებით გასივებულნი, რომ თქვენი ლეში უნდა შევაჭამოთ ქუჩის ძაღლებს, ვინაიდახ თქვენი სიტყვები სიცრუეა და მოგონილია გაჭირვებულთა დასაბრმავებლად და თქვენი ბატონის განსამტკიცებლად.

იოაკიმ.

აღარ გავიგონო მეტი ხმა, საზიზღარო დამნაშავევ!

უცნობი.

სულ მალე გაჩაღდება დიდი კოცონი და ეს მომტყუებელი კოშკი თავის მაღალი წვერით ჩამოვა დაბლა დედამიწაზე. დიახ, ჩაგრულო ძმებო! როცა დაიწვის ეს კოშკი, შემდეგ ნახავთ შიშველ სინამდვილეს. მის ნანგრევებიდან აღმოცენდება თქვენთვის შიშველი და საზარელი სინამდვილე: ცეცხლის შუქზე აგეხილებათ თვალები და ნახავთ იმას, რაც დაგიფართათ ამ დიდმა და წყეულმა კოშკმა. მისი ფერფლი კი გახდება ჩვენი წამალი.

უკანასკნელად მოგიწოდებ: მოიხსენი ქუდი და გვაჩვენე შენი
სახე.



უცნობი.

ვასრულებ თქვენს ბრძანებას (ჩამოიხსენის ქუდს და თმა გადმო-
უვარდება). მიცანით—პატივცემულო იოაკიმ?

იოაკიმ.

დილლემარ!—ეს... შენა ხარ?

იოაკიმ და კარისკაცები დგანან თავზარდაცემულნი. ხალხი სიხარულით უახ-
ლოვდება დილლემარს. დილლემარ პასუხობს სიმღერით. იგი იწყებს პირველ
სტრიქონს, შემდეგ მღერის მთელი მასა. ნელ-ნელა ხალხი ერთყმის გარშემო დილ-
ლემარს რკალივით. სადღაც ახლოს გამოჩნდება დიდი დროშა წითელი ფერისა.
სიმღერის დაწყებისას მოულოდნელობით გაშტერებულნი და ფერმკრთალნი კა-
რისკაცები გონს მოდიან მხოლოდ სიმღერის დასრულებისას. სიმღერის დროს
ისინი დგანან ინსტაქტურად გაშეშებულნი. ჯარისკაცები სწევენ თავიანთ თოფებს
დაბლა და სიმღერას ისმენენ უდიდესი ყურადღებით. სიმღერას იწყებს
დილლემარ, შემდეგ მასა ბანს აძლევს. სიმღერა თანდათან ძლიერდება.

ათასი ხელი ალტაცების გრძნობით გაწვდილია დილლემარისაკენ. მრისხანე და
მქუხარე სახეები მიმართულია კოშკისაკენ.

მასა.

დილლემარ—ეს მე არ ვარ,
დილლემარ—ეს არც შენა ხარ,
დილლემარ—ეს არც ისაა,

ჩვენ ყველა ვართ—დილლემარ!

ძველი კოშკი იტყუება

და თვალს უხვევს ის ჩაგრულებს,
ომს ვუცხადებთ კოშკში მცხოვრებს

გველ-ბაყაყებს და ღამურებს!

ომს ვუცხადებთ ყველა ქვემძრომთ

კოშკის შიგნით—კოშკის გარეთ,
დედამიწის უბედურნო,
თავი ერთად მოიყარეთ.



აჯანყების დროშით ხელში
მოქრის ჩვენთან სიო ავი,
აღსასრულის შიშით ძრწოდე,
კარისკაცო იოაკიმ!

მარადიულ სისულელეს,
გაიძვერავე, ნულარ როშავ —
ძველ ქვეყანას დღეს ვაფეთქებთ,
სისხლისფერი მოგვაქვს დროშა!

დილლემარს ხელს ვერ ახლებთ
და ნუ ეძებთ მას ამაოდ,
დილლემარ — ჩვენ გულშია,
დამხმარე ჰყავს მას საკმაოდ.

ყველა ქვეყნის ჩაგრულები
ჩვენთან ერთად თავს მოიყრის;
განკითხვის დღე მოახლოვდა —
ძველი კოშკი ქედს მოიხრის!

ისმის დედამიწის ქვეშ გუგუნის, რომელიც თანდათან ძლიერდება.

დილლემარ.

ჯოჯობეთის მანქანამ უკვე დაიწყო თავის მოქმედება... კოშკი
აფეთქდება. იდექით მანდ სადარაჯოზე, პატივცემულო კარისკაცებო,
და ელოდეთ თქენი მთავრის, დიდი ჯადოსნის წყალობას.

იოაკიმ.

ჯარისკაცებს.

დიდი მთავრის სახელით—მოამზადეთ თოფები და დაუმიზნეთ!
ჯარისკაცები ყოყმანით უმიზნებენ.

დილლემარ.

შესდექით, ჯარისკაცებო! ვერ გვესვრით! არ დაგავიწყდეთ, რომ
თქვენ ხართ ჩვენი ძმები, მამები და ამხანაგები. ჩვენ ყველას გვყავს
ერთი საერთო მტერი, ეს არის იოაკიმ და ის ხალხი, რომელიც
მას მიჰყვება. თქვენი ადგილი კი, უღარიბესი ხალხის შვილნო—
ჩვენთანაა.

აფეთქების სცენა. კოშკი ინგრევა. პანიკის შემდეგ—ასეთი სურათი: დიღღე-
ამარ დვას ნანგრევების თავზე. გარშემო ხალხი და ჯარისკაცები, იოაკიმ და კარის-
კაცები დახოცილები ჰყრიან მიწაზე. ზევიდან ფრიალებს წითელი დროშა.

აღარ არსებობს ამიერიდან ჯადოსნის კოშკი. ქვემძროშთა მთავ-
რობა დამხობილია და ჩაგრული ხალხი შეიქნა თავისი თავის
ბატონ-პატრონი!

8/VII 28 წ.

თბილისი.



გერცელ ბააზოვის დრამატურგია

საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ღირსებას და უპირატესობას მისი ჟანრობრივი მრავალფეროვნება, ლიტერატურული შემოქმედების ძირითად ჟანრთა და სახეობათა თანაზომიერი განვითარება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა დრამატურგიული ჟანრების განვითარება თანამედროვე ქართულ მწერლობაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ჩვენი ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დრამატურგიას არასოდეს ქონია იმდენად მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა ქართულ მწერლობაში, როგორც მან ჩვენს დროში მოიპოვა. ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ყოველ ეტაპზე დრამატული მწერლობა მხარდამხარ მისდევს ჩვენი პოეზიისა და მხატვრული პროზის განვითარებას და იმდენად ორგახულად მონაწილეობს ერთიან ლიტერატურულ პროცესში, რომ ამჟამად შეუძლებელიც არის მსჯელობა თანამედროვე მწერლობის საკვანძო შემოქმედებითს პრობლემებზე იმ წვლილის გაუთვალისწინებლად, რომელიც ქართველ დრამატურგებს შეაქვთ თანამედროვე მხატვრული კულტურის საგანძურში. მხოლოდ ჩვენს დროში მოიპოვა ორიგინალურმა ქართულმა დრამატურგიამ განმსაზღვრელი მდგომარეობა ქართული თეატრის რეპერტუარში, თეატრალური კულტურის განვითარების პროცესში.

მაგრამ თუ ქართული საბჭოთა თეატრის საქვეყნოდ აღიარებული დიდი შემოქმედებითი წარმატებანი ბევრად არის განპირობებული თანამედროვე ქართული დრამატურგიის მიღწევებით, მეორეს მხრივ ჩვენი დრამატული მწერლობის დღევანდელი დონეც მიღწეული და მოპოვებულია განუყოფელი კავშირ-ურთიერთობით ჩვენი სასცენო ხელოვნების მაღალ პროფესიულ კულტურასთან, ამ უკანასკნელის აქტიური, კეთილმყოფელი ზეგავლენით და შემოქმედებით. ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებას ძირითადად იგივე იდეური და სოციალური ფაქტორები განსაზღვრავდნენ და განსაზღვრავენ, რომელთაც საერთოდ მთელი საბჭოთა მწერლობის, მთელი ჩვენი მრავალფეროვნული სოციალისტური კულტურის აღმოცენება-ჩამოყალიბების, მისი განუხრელი აღმავლობის პროცესი განაპირობებს. მაგრამ ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაზე გამანაყოფიერებელი ზეგავლენა იქონია იმ დრმა განმაახლებელმა ძვრებმაც, რომელთაც ადგილი ქონდა ქართული თეატრალური ხელოვნების ცხოვრებაში საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველსავე წლებში.

როგორც ცნობილია, ჩვენი ეროვნული სასცენო ხელოვნების დიდი განმაახლებლის კოტე მარჯანიშვილის მიერ რუსთაველის თეატრში დადგმულმა „ცხვრის წყარომ“ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას ქართული თეატრის ისტორიაში. ამ სპექტაკლით აიდგა ფეხი ქართულმა საბჭოთა თეატრმა, ამ შესანიშნავ სცენურ ქმნილებაში იჩინა პირველად თავი იმ ახალმა იდეურ-ესთეტიკურმა პრინციპებმა, რომელთა გაღრმავება-განვითარებამაც წარმოშვა თანამედროვე ქართული თე-

ატრალური კულტურის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციები. ამ სპექტაკლით ქართული თეატრი სისხლხორცეულად დაუკავშირდა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ამობრწყინებულ ახალ ეპოქას, მის მეტყველებელ რევოლუციურ სულისკვეთებას, ხალხის ქედუხრელ თავისუფლების მოყვარეობას, მის მომაკვდინებელ ნიშნს ყოველგვარი ტირანიისა და მჩაგვრელობისადმი, მის დაუცხრომელ ძლევამოსილ შემართებას ახალი, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის სიკეთით განათებული სამყაროს აშენებისათვის. სპექტაკლის ასეთ იდეურ პათოსს ორგანულად შეესაბამებოდა მისი მთელი ესთეტიკური ბუნება: რომანტიკულად ამალღებული ელერა, რომელიც კი არ არღვევდა, არამედ პირიქით, აძლიერებდა სცენური მოქმედების ცხოვრებისეულ სიმართლეს, ემოციური ზემოქმედების ძალას, რეალიზმისა და რომანტიზმის მაღალი შემოქმედებითი პრინციპების განუყოფელი ერთიანობა, ცხოველი, მგზნებარე რიტმი, მასობრივი სურათები, რომელთა ფონზე მკაფიოდ იხატებოდა სისხლ-ხორციით სავსე, კოლორიტული, ღრმად ინდივიდუალური ადამიანური ხასიათები. სპექტაკლის მხატვრული სტილის განმსაზღვრელი ეს ძირითადი ნიშანთვისებანი ანათესავებდნენ ხალხისათა და მზიური ფერადოვნებით აღსავსე ამ წარმოდგენას დიადი გარდაქმნებისათვის საბრძოლველად აღფრთოვანებული ხალხის სულიერ სამყაროსთან. შემთხვევით როდი უწოდეს თავის დროზე ამ სპექტაკლს „ქართული თეატრის ოქტომბერი“. ეს იყო ის დიდი სათავე, საიდანაც გამომდინარეობს და რომელთანაც დაკავშირებულია ქართული საბჭოთა თეატრის მთელი შემდგომი ევოლუცია, მისი ყველა საუკეთესო შემოქმედებითი მიღწევა.

ასე დაიწყო ქართული საბჭოთა თეატრის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება, რომელმაც თავისი აღმოცენების პირველსავე ხანებში მწვავედ საგრძნობი გახადა ახალი სცენიური კულტურის შესაფერისი ორიგინალური რეპერტუარის აუცილებლობა. მართლაც ხომ არ შეიძლებოდა ხალხის სასიცოცხლო მისწრაფებების, კონკრეტულ-ისტორიული საზოგადოებრივი ვითარების მიერ წარმოშობილი ეს შემოქმედებითი ცხოვრება მშობლიური თუ მსოფლიო კლასიკური რეპერტუარით, ან თანამედროვე უცხოური დრამატურგების პიესებით შეზღუდულიყო. ასე მომზადდა მოთხოვნილება ახალი ქართული დრამატურგიის აღმოცენებისა და მართლაც მისი პირველი, ფუძემდებლური ნიმუშები უკვე გამოჩნდა ოციანი წლების ქართული თეატრის რეპერტუარში.

კოტე მარჯანიშვილის და მისი მაღალნიჭიერი თანამოღვაწეებისა და მოწაფეების მიერ გაჩაღებულმა ბრძოლამ ახალი ქართული თეატრის მშენებლობისათვის თავისკენ მიიზიდა და ახალი შემოქმედებითი ვატაცებით აღაგზნო ქართველ დრამატურგთა რევოლუციამდელი თაობის გამოჩენილი წარმომადგენლები: შალვა ლადიანი, ნატალია აზიანი, სანდრო შანშიაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე. ერთმანეთისაგან ღრმად განსხვავებული შემოქმედებითი ბიოგრაფიისა და მხატვრული პოეზიის ამ მწერლებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ქართული თეატრალური კულტურის განვითარებაში და თავის მხრივაც მძლავრად განიცადეს იმ დიდი განმაახლებელი მოძრაობის ზეგავლენა, რომელიც აღმოცენდა ქართულ თეატრში ოციანი წლების დამდეგიდანვე.

იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ ამ ზეგავლენის ძალა და მასშტაბი, საკმარისია შევადაროთ დასახელებულ დრამატურგთა მიერ ოციან წლებში შექმნილ პიესები მათსავე რევოლუციამდელ ნაწარმოებებს. აქ ჩვენ ერთბაშად ვიგრძნობთ დიდ განსხვავებას არა მარტო შემოქმედების იდეურ-თემატური შინაარსის მხრივ, არამედ დრამატურგიული ფორმის, მხატვრული გამომსახველობის საშუალებათა

სფეროშიც. მაგრამ ჩვენი საუკუნის ოციანი წლები — საბჭოთა მხატვრული კულტურის აღმოცენება-ფორმირების ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი არა მარტო ახლებური შემოქმედებითი ცხოვრებისათვის აღაფრთოვანებდა რევოლუციური მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, არამედ წარმოშობდა და აწინაურებდა კიდევ მწერლობისა და ხელოვნების ყოველი დარგის ახალგაზრდა ოსტატთა პლეადას. დრამატული მწერლობის სარბიელზე სამოღვაწეოდ ამ წლებში მოვლენილი ამ ახალი პლეადის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო გერცელ ბააზოვი, რომელმაც თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა ოციანი წლების მეორე ნახევრისა და ოცდაათიანი წლების ქართული მწერლობისა და თეატრის ცხოვრებაში, ხოლო განსაკუთრებით მკაფიო და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში.

*

* *

ბავშობისა და ადრეული სიკბუჯის წლები გერცელ ბააზოვმა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში—მთიან რაჭაში გაატარა, დაბა ონში, სადაც იგი დაიბადა, დაწყებითი განათლება მიიღო და ადგილობრივ გიმნაზიაში განაგრძო სწავლა. უკვე ამ წლებში იგი თანატოლთაგან გამოირჩეოდა ნიჭიერებით, ცოდნის-მოყვარეობით, თვითგანვითარებისადმი მისწრაფებით. უკვე მაშინ იჩინა თავი ყმაწვილის განსაკუთრებულმა მიდრეკილებამ და ნიჭიერებამ მხატვრული შემოქმედების დარგში. მოწაფეობის წლებში გ. ბააზოვი აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლე ახალგაზრდობის ხელნაწერ და ნაბეჭდ ჟურნალებში, ხოლო 1918—1919 წლებიდან 14-15 წლის კბუჯი თავის ლექსებს, მცირე მოცულობის მოთხრობებსა და სხვადასხვა ხასიათის წერილებს აქვეყნებდა პერიოდულ პრესაში. ასეთი ნიჭიერებით დაჯილდოებულ, გონებაგახსნილ და განსაკუთრებულად მგრძნობიარე ახალგაზრდას არ შეიძლებოდა მწვავედ არ განეცადა სილატაკისა და უმეცრების ის წყვილი, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ის კოშმარი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მძინვარებდა სუსხიანი ცარისტული რეაქციის წლებში და მენშევიკური მმართველობის ხანმოკლე პერიოდში. მაშინდელი სოციალური სინამდვილის უკუღმართობანი და მანკიერებანი განსაკუთრებულად შემზარავი ძალით იგრძნობოდა პატარა პროვინციული დაბის ვითარებაში და კერძოდ ახალგაზრდა მწერლის წარმომშობი ხალხის—ქართველი ებრაელების ცხოვრებაში. ამ წლების შთაბეჭდილებანი შემდეგ საფუძვლად დაედო მწერლის მთელს შემოქმედებითს მოღვაწეობას, ხოლო ასეთ საძულველ სოციალურ სინამდვილისადმი ხიზლისა და შეურიგებლობის გრძნობა, ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებაზე შთაგონებული ოცნება ღრმა სიწრფელით და უშუალოდ ალიბეჭდა მის ადრინდელ ლექსებსა და მოთხრობებში, რომლებიც მომავალი დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის წრთობასა და სამზადისს მოასწავებდნენ.

გ. ბააზოვის შეგნებული სააზროვნო და შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი კი, მისი ნამდვილი სულიერი ფორმირება, მისი მსოფლმხედველობისა და მხატვრული ინდივიდუალობის ჩამოყალიბება იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით შთაგონებული ახალგაზრდა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში გადმოსახლდა საშუალო სასწავლებლის დასამთავრებლად და უმაღლესი განათლების მისაღებად.

ეს უკვე საქართველოში საბჭოთა წყობილების პირველი წლებია, ჩვენს სამშობლოს ახალი ისტორიის დასაწყისი, როდესაც ქვეყნის სამეურნეო და კულ-

ტურული ცხოვრების ყოველ სფეროში ღრმა ძვრები და გარდაქმნანი მიმდინარეობს. სოციალურ სინამდვილეში აღმოცენებული მძაფრი კონფლიქტები და წინააღმდეგობანი გამოხატულებას პოულობენ იდეოლოგიურ ცხოვრებაში. ლისა და ახალის სამკვდრო-სასიცოცხლო ჰიდილის პათოსი მოიცავს სულიერ ცხოვრების მთელ სარბიელს, იწყება ღირებულებათა მკვეთრი გადაფასება, მწვავე იდეოლოგიური ბრძოლები, მკვეთრი დიფერენციაცია შემოქმედებითი ინტელიგენციის რიგებში. ასეთ გამძაფრებულ ვითარებაში იბადება ახალი ქართული მწერლობა და ხელოვნება. გ. ბააზოვი ერთბაშად მოექცა ამ დაძაბულ სულიერ ატმოსფეროში, იგი იმ ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციას რიგებში აღმოჩნდა, რომელიც გატაცებით ებმება ახალი ეროვნული კულტურის მშენებლობისათვის ბრძოლაში, გულწრფელად და გაბედულად იღვწის ახალი საზოგადოებრივი ვითარებისათვის შესაფერისი შემოქმედებითი გზების მისაგნებად, თუმცა ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ ბუნდოვანი და გაურკვეველია. მწერლობისა და ხელოვნების სხვა ახალგაზრდა მოღვაწეებთან ერთად გ. ბააზოვი ამ წლებში მრავალმხრივი შემოქმედებითი ძიებებით არის გართული. ახლა იგი უკვე ცენტრალურ რესპუბლიკურ პრესაში მონაწილეობს, ავრძელებს ლექსებისა და მოთხრობების წერას. 1923 წელს 19 წლის ჰაბუკმა მან ძველი ებრაულიდან თარგმნა ცნობილი პოემა-პასტორალი „გალობათა გალობა“, რომელიც მალე ცალკე წიგნადაც გამოიცა. თავის ამ პირველს პროფესიული ოსტატობით აღბეჭდილს ლიტერატურულ ნამუშევარში ახალგაზრდა მწერალმა უექველი პოეტური ნიჭიერება, დასვეული მხატვრული გემოვნება, ქართული სამწერლო ენის ჩინებული ცოდნა გამოიჩინა. მაგრამ ამ პერიოდის მის მხატვრულ შემოქმედებაში ამასთანავე ერთად აშკარად იგრძნობოდა ის ცდუნებანი, მცდარი, უნაყოფო გატაცებანი, რაც დამახასიათებელი იყო რევოლუციის წინა პერიოდისა და საბჭოთა წყობილების პირველი წლების ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის და კერძოდ შემოქმედებითი ახალგაზრდობის დიდი ნაწილისათვის. ასეთ ყალბ გატაცებათა და ცთუნებათაგან განთავისუფლებას, შემოქმედებით ზრდასა და მომწიფებას, ნათელი და სწორი გზის მიგნებას გ. ბააზოვმა, როგორც მთელი ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის ძირითადმა მასამ, ოციანი წლების მიწურულში მიაღწია. როგორც ცნობილია, ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე სოციალიზმის მსოფლიო ისტორიულმა გამარჯვებებმა ღრმა ძვრები გამოიწვია საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის უდიდესი ნაწილის აზროვნებასა და განწყობილებებში და წარმოიშვა მისი ერთსულოვანი დარაზმულობა კომუნისტური პარტიის პოზიციებისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო.


ამიერიდან გ. ბააზოვი, როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, იწყებს განუხრელად აღმავალ, ფართო და მრავალმხრივ შემოქმედებითს მოღვაწეობას. იგი ზედიზედ აქვეყნებს მაღალი იდეური აზრით აღბეჭდილს, ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა სიმართლით წარმომსახველ ბელეტრისტულ და დრამატურგიულ ნაწარმოებებს, წერს მხატვრულ ნარკვევებს, პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, აქტიურად ებმება საქართველოს სამწერლო ორგანიზაციებისა და სხვა კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა საქმიანობაში. ოცდაათიანი წლების დამდეგიდან იგი აქტიურად თანამშრომლობდა მთელს რესპუბლიკურ პრესაში, განსაკუთრებით კი სახელოვნო და სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში. დიდი ღვაწლი მიუძღვის გ. ბააზოვს ქართველი



„მუნჯები ალაპარაკდნენ“
მეირ სეფიაშვილი — ვ. გოძიაშვილი



სენა სპექტაკლიდან



„მუნჯები ალაპარაკდნენ“ ქუთაისის სახელმწიფო თეატრში




„განურჩევლად პიროვნებისა“
ნ. ილურიძე, ს. თაყაიშვილი, ნ. გოცირიძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

„განურჩევლად პიროვნებისა“. ლიდა — ე. სიბილა, ზურაბი — ვ. გოძიაშვილი



ებრაელობის კულტურულად დაწინაურების, ბნელი, დრომოჭმული ადათ-ჩვევების წყვედიადისაგან მისი გამოხსნის საქმეში. გ. ბააზოვი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მშრომელი ებრაელობის ჩაბმას სოციალისტურ მრეწველობაში და საკოლმეურნეო მოძრაობაში. სინამდვილესთან, ხალხის ცხოვრების, ახალ სამყაროს მშენებლობისათვის გაჩაღებული ბრძოლისა და შრომის ყოველდღიურობასთან ასეთი განუყოფელი კავშირი, დიდი მოქალაქეობრივი გზნებით გამსჭვალული ასეთი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ცხადია, კეთილმოყოფელ გავლენას ახდენდა მწერლის შემოქმედებითს ცხოვრებაზე. თავისი ყოველი მხატვრული ნაწარმოებით გ. ბააზოვი იმავე საზოგადოებრივ მოვლენებს ეხმაურებოდა და იმავე იდეებს განასახიერებდა, რომელთაც თავისი მოქალაქეობრივი ცხოვრებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ემსახურებოდა. ასეთი ერთიანობა ხელოვანის მსოფლმხედველობისა, მხატვრული შემოქმედებისა და პრაქტიკულ-მოქალაქეობრივი მოღვაწეობის დამახასიათებელი თვისებაა ახალი ტიპის მწერლობისათვის, სოციალისტური რეალიზმის მწერლობისათვის, რომლის აღმოცენება-დამკვიდრების პროცესის ერთ-ერთი ნიჭიერი და აქტიური მონაწილეც საქართველოში გერცელ ბააზოვი იყო.

მართალია, გ. ბააზოვის მხატვრულმა ნიჭიერებამ და შემოქმედებითმა პოტენციამ ყველაზე სრულად და მკაფიოდ მის დრამატულ ნაწარმოებებში კპოვა გამოვლინება, მაგრამ ნაადრევად დაღუპული მწერლის შემოქმედებითს მემკვიდრეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მის ბელეტრისტულ ქმნილებებსაც, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სრულად წარმოვიდგინოთ არა მარტო გ. ბააზოვის მწერლური ბიოგრაფია, არამედ ქართული მხატვრული პროზის განვითარებაც ოცდაათიანი წლების მანძილზე. ამ უანრის მის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მოთხრობები „გელათის ქუჩის დასასრული“, „შემარაის უკანასკნელი სიტყვა“ და ტრილოგიად მოფიქრებული რომანის „ფეთხანის“ პირველი წიგნი. ეს ნაწარმოებები თითქმის ერთდროულად იბეჭდებოდა ოცდაათიანი წლების ქართულ მხატვრულ პერიოდიკაში. ცალკე წიგნებად იცემოდა ქართულ და რუსულ ენებზე, ცხოველ საზოგადოებრივ გამოცხილს პოულობდა და პრესისა და ლიტერატურულ კრიტიკის მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

ეს სამი ნაწარმოები მწერლის დიდ იდეურ შემოქმედებითს ზრდასა და დაწინაურებას მოასწავებდა. სამივე მათგანში მწერალმა საბჭოთა სინამდვილის ყველაზე აქტიური მოვლენები წარმოსახა და შთამბეჭდავად მოგვითხრო იმ მწვავე ბრძოლების შესახებ, რომელთა ვითარებაშიც მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების ახალი სოციალისტური ფორმები ეჯახებოდნენ და ანადგურებდნენ კაპიტალისტური წარსულის რეაქციულ გადმონაშთებს და ძლევამოსილად მკვიდრდებოდნენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველ სფეროში.

„გელათის ქუჩის დასასრული“ პირველი ნაწარმოები იყო ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც თვალწინ გადაგვიშალა საქართველოს ებრაელთა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების რეალისტური სურათები, წარმოგვისახა ის სოციალური ლიფერენციაცია, რომელიც ღრმა უფსკრულით აშორებდა ერთმანეთისაგან მდიდარ ებრაელ ვაჭრებს და უკიდურესად ღარიბ ებრაელობას. მოთხრობაში ნაჩვენებია ის შეურიგებელი ბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციის წინა პერიოდში გაჩაღდა ამ ორ ბანაკს შორის და რომელიც ღარიბ ებრაელობის სასარგებლოდ გადაწყვიტა ისტორიამ, — საქართველოში საბჭოთა წესწყობილების გამარ-

ჯგუბამ. ამ ბრძოლის მძაფრი სურათები შეადგენს მოთხრობის ძირითად შინა-
არსს. ბრძოლა მთავრდება ძველი სამყაროს სრული კატასტროფით. ეს კატას-
ტროფა, ძველი სამყაროს დასასრული მოთხრობაში სიმბოლურად არის წარმოსა-
ხული იმ ხანძრის სახით, რომელიც გამანადგურებლად მოედო ქუთაისის გიგანტურ
ქუჩას და რომელმაც ბოლო მოუღო ღარიბი ებრაელების განცალკევებულ, კარ-
ჩაკეტილ ცხოვრებას ქალაქის ამ ლატაკსა და ქუჩუციან უბანში. მოთხრობის ფინალ-
ში ნახვენებია, თუ როგორი ენერჯითა და მზრუნველობით იღვწოდა საბჭოთა
ხელისუფლება იმისათვის, რომ ახალ, ნათელ და მზიან ბინებში ჩაესახლებია უთავ-
შესაფროდ დარჩენილი ღარიბი ებრაელობა და სოციალისტური შრომის საყოველ-
თაო ფერხულში ჩაება იგი.

ქართველი ღარიბი ებრაელობის საბოლოო გამოსხნა წვრილმანი ჩარჩ-ვაჭრობის
სამარცხვინო და დამამცირებელ საუკუნეობრივ ხვედრისაგან, მისი გადასვლა სო-
ციალისტური მიწათმოქმედების ლიანდაგზე გ. ბააზოვმა ასახა მოთხრობაში
„შემარჩას უკანასკნელი სიტყვა“.


გერცელ ბააზოვის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რომანს
„ფეთხაინი“. ეს არის პირველი წიგნი ტრილოგიად მოფიქრებული ფართო მხატვ-
რული პანორამისა, რომელზეც მწერალს ვრცლად და მრავალმხრივად უნდა აღე-
ბეჭდა ქართველი ებრაელობის, მისი ყველა სოციალური ფენის ბედი საბჭოთა
ეპოქაში. ეჩვენებინა, თუ როგორ მოსპო ახალმა ცხოვრებამ ფეთხაინის საუკუ-
ნეობრივი კარჩაკეტილობა და ჩამორჩენილობა, როგორ უღმობლად დააქანა მან
ცხოვრების ფსკერისაკენ ყველა პარაზიტული ძალა, ხოლო ნამდვილად ადამიანური
ცხოვრება მოუტანა მშრომელ ებრაელობას.

სამწუხაროდ გ. ბააზოვს არ დასცალდა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი და კე-
თილშობილური შემოქმედებითი განხრახვის სრულად განხორციელება. ჩვენ ხელთა
გვაქვს ამ ტრილოგიის მხოლოდ პირველი წიგნი, რომელიც ქართულად გამოქვე-
ყნებისთანავე ითარგმნა და გამოიცა რუსულ ენაზე. ეს წიგნი ნათლად გვიჩვენებს,
თუ როგორი სწორი და ნათელი გზით მიიწევდა წინ ამ ნაწარმოების ავტორი სო-
ციალისტური რეალიზმის დადი ხელოვნებისაკენ.

*

* *

გერცელ ბააზოვის მრავალმხრივ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეო-
ბაში უმთავრესი და უპირველესი მაინც მისი დრამატურგიული შემოქმედება იყო.
დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ქანრესადმი განსაკუთრებული მიდრეკი-
ლება მასში იმ დიდმა აღფრთოვანებამ გააღვივა, რომელსაც განახლებული ქარ-
თული თეატრის ბრწყინვალე სპექტაკლები იწვევდა ხალხში, კერძოდ კი—ახალ-
გაზრდობაში. თავდაპირველად ახალგაზრდა მწერალი მცირე მოცულობის პიესებს
წერდა თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივებისათვის, უპირატესად—ებრაელთა
კულტურის სახლის დრამატული წრისათვის. ამ პიესებში ავტორი ქართველი ებრა-
ელობის თანამედროვე ყოფა-ცხოვრების აქტუალურ საკითხებს აღძრავდა და აშუ-
ქებდა. შემდეგ იგი თანდათანობით გადავიდა ფართო დრამატულ ტილოებზე და
მალე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ქართული თეატრის რეპერტუარში. მისი
პიესები წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის, უპირატესად კოტე მარჯა-
ნიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. ქართული საბჭოთა თეატრის დიდმა
ფუძემდებელმა შენიშნა და დიდად დააფასა ახალგაზრდა მწერლის დრამატურგი-
ული ნიჭიერება და დასადგმელად მიიღო მისი პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“.



ეს იყო გ. ბააზოვის პირველი გამოჩენა დიდი პროფესიული თეატრის სცენაზე. მას შემდეგ დრამატურგს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე შემოქმედებითი თანამეგობრობა არ შეუწყვეტია კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან, თუმცა მისი პიესები ამავე დროს მთელ რიგ სხვა ქართულ თეატრებშიც პოპულარდნენ განსახიერებას და ყოველთვის იმსახურებდნენ ცხოველ ინტერესსა და მოწონებას პრესისა და საზოგადოებრიობის მხრივ.

გერცელ ბააზოვს ჰქონდა საკუთარი სპეციფიკური თემატიური სამყარო, იგი უპირატესად ქართველ ებრაელთა ცხოვრებას ასახავდა. მან, ამ ხალხის წიაღიდან გამოსულმა პირველმა ქართველმა მწერალმა, პირველად შემოიტანა ჩვენს თეატრსა და ლიტერატურაში ქართველ ებრაელთა უაღრესად თავისებური ყოფა-ცხოვრების მასალა, რომელსაც დიდი ცოდნით და გულმოდგინებით, მღელვარედ, უაღრესად კოლორიტულად და შთამბეჭდავად ხატავდა და აშუქებდა. უხსოვარი დროიდან ცხოვრობს საქართველოს მიწა-წყალზე და ქართველ ხალხთან განუყრელ ურთიერთობაში იღვწის და შრომობს ქართველ ებრაელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა. მაგრამ გერცელ ბააზოვამდე არავის მოუცია ჩვენს ლიტერატურაში ამ ხალხის ცხოვრების მართალი სურათები, მისი სხვადასხვა სოციალური ფენის ტიპური მხატვრული სახეები. თემატიკის ამგვარი სპეციფიკურობის მიუხედავად გ. ბააზოვის ნაწარმოებებში ოდნავადაც არ იგრძნობა ეთნოგრაფიული შეზღუდულობა. ეს იმიტომ, რომ ქართველ ებრაელთა ცხოვრებას იგი ასახავდა ქართველი ხალხის ცხოვრებასთან განუყოფელ კავშირ-ურთიერთობაში. ამასთანავე, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავი და საყურადღებოა, ამ სპეციფიკური თემატიური მასალის საფუძველზე მწერალი აღძრავდა და აშუქებდა ისეთს დიდსა და მწვავე სოციალურ პრობლემებს, რომელთაც თანაბარი აქტუალობა და მნიშვნელობა ჰქონდა ყოველი საბჭოთა ერისათვის, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხისათვის ჩვენი სამშობლოს ისტორიის გარკვეულ ეტაპზე.

ღრმა თემატიკური აქტუალობა და მაღალი იდეურობა ახასიათებდა გერცელ ბააზოვის მთელს შემოქმედებას. თავისი პიესების გმირებს იგი გვიჩვენებდა კლასობრივი ბრძოლების, მწვავე სოციალური კონფლიქტების ვითარებაში. სწორედ ცხოვრებისეული კონფლიქტების ამ სიმწვავეს შექონდა მძაფრი დრამატიზმი და დაძაბულობა მისი პიესების სიუჟეტურ განვითარებაში. მის დრამატულ თხზულებებს თანაბრად ახასიათებდა მიმზიდველი და ღრმად დამაინტერესებელი ფაბულა, სიუჟეტის დინამიურობა, პერსონაჟთა მძაფრი სოციალური და ადამიანურ-ინდივიდუალური გამოკვეთილობა.

გამოხატულების საგნად შერჩეული ყოფა-ცხოვრებითი მასალის ზედმიწევნითი ცოდნა საშუალებას აძლევდა მწერალს ცხოვრებისეული სიმართლით გაეშალა სცენიური შემოქმედება. იგი ღრმად წვდებოდა თავისი გმირების სულიერ ცხოვრებას, მათი აზრებისა და გრძნობების სამყაროს, მკაფიოდ გადმოგვცემდა მათი შინაგანი ცხოვრების სურათებს და გარეგან პორტრეტებსაც. გ. ბააზოვის ნაწარმოებთა დამაჯერებელ, რეალისტურ ელერას აძლიერებდა პერსონაჟთა მეტყველების ცოცხლად გადმოცემის, გმირის სიტყვიერი დახასიათების იშვიათი უნარი.

გერცელ ბააზოვის შემოქმედებითი ცხოვრება დიდი ინტენსივობით და ნაყოფიერებით ხასიათდებოდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი ლიტერატურული მოწაფეობის, ჰაბუკური ვატაცებისა და სამწერლო ვარჯიშობის წლებს, ნამდვილ პროფესიულ სამწერლო მოღვაწეობას გ. ბააზოვი ეწეოდა სულ რაღაც 7-8 წლის მანძილზე. ასეთი მცირე დროის განმავლობაში მან დაწერა ათამდე


პიესა, რომელთა დიდი ნაწილი მტკიცედ შევიდა იმ წლების ქართული თეატრის რეპერტუარში, შექმნა რამოდენიმე ვრცელი მოთხრობა და ტრილოგიად მოფიქრებული რომანის „ფეთხაინას“ პირველი წიგნი. ეს იყო ფრიად დასაბუთებული, ინტენსიური შემოქმედებითი შრომა, რომელიც მწერლის დიდ პოტენციალს, მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სინამდვილის მოვლენებისადმი წრფელ და მღვდლვარე დამოკიდებულებას,—ყველაფერი ახლისა და პროგრესულისადმი მგზნებარე სიყვარულს, ყველაფერი ძველისა და რეაქციულისადმი ისევე მგზნებარე და მომაკვდინებელ სიძულვილს ემყარებოდა.

მართალია, ასეთი შემოქმედებითი სიუხვე და ნაყოფიერება ზოგჯერ ხელს უშლიდა მწერალს თავისი ფრიად აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მხატვრული შთანაფიქრის ღრმად და სრულყოფილად განსახიერებაში, ზოგჯერ აჩქარებული მუშაობის კვალს აჩნევდა მის ნაწარმოებებს. ისიც უნდა ითქვას, რომ პიესებსა და ბელეტრისტულ ნაწარმოებებში გამოხატული ანალოგიური ყოფა-ცხოვრებითი მოვლენები თუ იდენტური სოციალური პროცესები ბუნებრივად ბადებდნენ ერთმანეთის მსგავს პასაჟებსა და სიტუაციებს, მონათესავე ადამიანურ ხასიათებს. ეს კი ერთგვარი ერთფეროვნების საფრთხესაც უქმნიდა ახალგაზრდა მწერალს. მაგრამ სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ბოლო წლებში იგი დიდი სისწრაფით აღწევდა თავს ამგვარ საშიშროებებს და ენერგიულად მიიწევდა წინ დიდი დრამატურგიისა და მხატვრული პროზის მაღალი ფორმებისაკენ. გ. ბააზოვის, როგორც ჰემზარიტი საბჭოთა მწერლის უპირველესი ღირსება ის იყო, რომ იგი კვალდაკვალ მისდევდა ცხოვრების დინამიკას, ისწრაფვოდა მხატვრულ ტილოებზე გადაეტანა სინამდვილის ცოცხალი მოვლენები, თავისი ნაწარმოებებით შექრილიყო ცხოვრების სიღრმეში და აქტიური მონაწილეობა მიეღო სინამდვილეში დაპირისპირებული ურთიერთ-მოწინააღმდეგე ძალების სამკვდრო-სასიცოცხლო კიდილში.

ასეთი შეუხელებელი მოქალაქეობრივი პათოსით არის აღბეჭდილი გ. ბააზოვის მთელი შემოქმედება. მასში ექვმიუტანელი მხატვრული სიმართლით და ნიჭიერებით წარმოსახულია თემებისა და სახეების ისეთი მდიდარი სამყარო, რომელიც მხოლოდ ამ მწერლის ინდივიდუალურ შემოქმედებითს სარბიელს წარმოადგენს და მის საკუთარ ესთეტიკურ იდეალს განსაზღვრავს.

გერცელ ბააზოვის პირველ საყურადღებო დრამატულ ქმნილებას წარმოადგენდა პიესა „დილლეამარ“, რომელიც 1929 წელს გამოსცა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ. ეს არ იყო გ. ბააზოვის ორიგინალური ნაწარმოები. იგი გადმოკეთებული იყო პოლონელი ებრაელი მწერლის ბენ-აბრამის მისტერიიდან „ძველ კოშკში“. პიესაში გადმოტანილია ორიგინალის მთავარ პერსონაჟთა ურთიერთობის საერთო სქემა და აგრეთვე სიუჟეტის შემადგენელი რამოდენიმე მოტივი და სიტუაცია. მაგრამ ყოველივე ის, რაც თავისებური შეიტანა გ. ბააზოვმა ამ პიესაში, რითაც მან გაამდიდრა და, უკეთ რომ ვთქვათ, შეცვალა და გარდაქმნა ბენ-აბრამის ცნობილი მისტერია, მომდინარეობს სწორედ საბჭოთა მწერლის მსოფლმხედველობისაგან, რომელსაც ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე დიდი გულმოდგინებით ეუფლებოდა ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატთა უმრავლესობა.

„დილლეამარ“ ფრიად ორიგინალური და მძაფრი ექსპრესიით აღბეჭდილი, თავისებურად საინტერესო დრამატურგიული ხერხებით, მდიდარი და მეტყველი განმოსახველობითი საშუალებებით შესრულებული დრამატული ნაწარმოებია.



მოქმედება სწარმოებს დროისა და სივრცის გარეშე. დროულსივრცეული ლოკალის ამგვარი იგნორაციით ავტორს თითქოს სურს ზოგადკაცობრიული, უნივერსალური ქღერა შექმნათოს თავის ნაწარმოებს.

დიდი ქალაქის მახლობლად, მთაზღ ადმართულია მაღალი, ცის თაღებამდე აწვდილი კოშკი, რომელშიც, ხალხის ცრუ რწმენით, ბინადრობს ღვთაებრივი ჯადო-მთავარი, იგი განაგებს ადამიანთა ბედს და წარმართავს ცხოვრების ორომტრიალს. ასეთ რწმენას თავგამოდებით ნერგავენ და განამტკიცებენ ხალხის ღარიბ და გაუნათლებელ ფენებში ამ კოშკის მსახურნი და გამგებელნი. ისინი ყოველწლიურად მართავენ კოშკის ბინადარი ღვთაებისადმი მიძღვნილ დიდებულ ზეიმს, რომელიც მოწოდებულია კიდევ უფრო გაავრცელოს ხალხში ღვთაებისადმი რწმენა, შიში და ერთგულება. მაგრამ რაც დრო გადის, ქალაქში ხშირდება შიმშილი, სიღატაკე, ათასგვარი სნეულება და კეთროვანება. ხალხი ხედავს, რომ კოშკში ჩამწყვდეული ჯადო-მთავარი ყრუ და გულგრილია ღარიბ-ღატაკთა ტანჯვა-წამებისადმი. იზრდება უკმაყოფილება, გამოსავალის ძებნის მისწრაფება. და აი, კოშკის გარშემო გამართული ერთი ტრადიციული ზეიმის დროს გამოჩნდება ღარიბ-ღატაკთა, მშიერ-მწყურვალთა, სნეულ-კეთროვანთა ბრბო, რომელსაც მეთაურობს ახალგაზრდა ექიმი რიზაელი. ღარიბი ხალხის მწარე ხვედრით შეძრწუნებულ რიზაელს გადაუწყვეტია თავისი მოწაფეების თანხლებით შეიქრას კოშკში, პირისპირ შეხვდეს იქ მობინადრე ჯადო-მთავარს და გამოთხოვოს მას მოწყალება გაჭირვებული ხალხისათვის, ხალხის წყლულებისა და სატკივართა განკურნება. დიდი ვაი-ვაგლახით რიზაელი და მისი მოწაფეები გადალახავენ კოშკის მცველთა წინააღმდეგობას, შეღეწავენ მაგრად ჩაკეტილ ალაყაფს და შეიქრებიან ცადაზიდულ კოშკში. იწყება რიზაელისა და მისი მოწაფეების მოწამებრივი სვლა კოშკის ჯურღმულებში, მის ციცაბო დაკლაკნილ ბილიკებზე, ცარიელ, გაყინულ ციხე-დარბაზებში, სადაც გველ-ბაყაყი და ათასგვარი ქვეწარმავალი ბუდობს. რაც უფრო წინ და მაღლა მიიწევენ ღვთიური მოწყალების მაძიებელნი, მით უფრო რთულდება და ძნელდება მათი სავალი გზა. დრო გადის, კოშკის შესავალთან მოლოდინე ხალხს მოთმინება ეკარგება, თანდათან გული უტყდებათ რიზაელის მოწაფეებსაც. ისინი სუსტდებიან, ძალ-ღონეს კარგავენ და უკვე იჭვიო შეპყურებენ თავის მასწავლებელსა და წინამძღოლს, რომელიც ამაოდ არწმუნებს მათ, თითქოს კოშკის მწვერვალზე, ჯადო-მთავარის სამყოფელში მათ მოელოდეთ პაერში დაკიდებულ მომხიბვლელი ბაღები, სურნელოვანი ყვავილებით, ჩიტების დამატკობელი სიმღერებით, ყოველგვარი ადამიანური სიკეთით და ნეტარებით. მაგრამ ეს წარმტაცი იდეალი სადღაც მიუწვდომელ სიმაღლეზე იმყოფება, მისკენ მიმავალი გზა კი სულ უფრო აუტანელი ხდება. რიზაელის მრავალი მიმდევარი ეცემა და იღუპება ამ გზაზე. პიესაში დიდი დრამატული დაძაბულობით არის დახატული ამ საბედისწერო მოგზაურობის შემზარავი სურათები. თანდათანობით მცირდება რიზაელის მიმდევართა რიცხვი. წინამძღოლს ყველაზე გაბედულად აუმხედრდება მისი უერთგულესი მოწაფე, მშვენიერი ქალწული დილლემარ, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი მასწავლებელი. დილლემარი რწმუნდება, რომ რიზაელის რწმენა ფუქია და უნაყოფო, რომ კოშკის მწვერვალისაკენ მიმავალი გზა არავითარ ბედნიერებას არ უქადის ხალხს. მგზნებარე სიყვარულის მიუხედავად დილლემარი ზურგს შეაქცევს გაუტეხელ ფანატიკოსს რიზაელს და უკან ბრუნდება, რათა დედამიწაზე, ხალხთან განუყოფელ კავშირში ეძიოს

ბედნიერება ხალხისათვის. ყველასაგან დატოვებული რიზაელი უკვე მარტოდმარტო მიიკვლევს გზას კოშკის მწვერვალისაკენ, დიდი თავგანწირვით, იშვიათი სულიერი და ფიზიკური გაუტეხელობით იგი მიაღწევს კიდევ მწვერვალს. მაგრამ დაინახავს, რომ არავითარი ღვთაება, არავითარი ჯადო-მთავარი მქარა იმყოფება, მხოლოდ სიცარიელე, მძლავრი ქარის ქროლვა, ბუნების პირველყოფილი ძალა და სიმკაცრე დაუხვდება რიზაელს კოშკის მწვერვალზე. თურმე ჯადო-ღვთაება კოშკის გამგებელთა მიერ შეთხზული სიცრუე ყოფილა, გამოგონილი ხალხის დასაშინებლად, დასაბრმავებლად, დასამონებლად. უკან დასაბრუნებელი გზა რიზაელს უკვე აღარ აქვს. მას აღარ შეუძლია ამ სიმაღლიდან მიაღწიოს დედამიწამდე. იგი კვდება განმარტოებული და სასოწარკვეთილი. ხოლო ამ დროს დილლემარს თავის ირგვლივ ამბოხებული ხალხი შემოუკრებიან და საბრძოლოდ აღუფროვანებიან იგი, რათა ააფეთქონ ჯადოსანის კოშკი, როგორც სიმბოლო ცრუმორწმუნოებისა, სიყალბისა, მონობისა და სიბნელისა. პიესის ფინალში ძველი კოშკი დანგრეულია და მის ნანგრევებზე ძლევამოსილად დგას დილლემარი, გარშემორტყმული ბნელეთის სამყაროზე გამარჯვებული, მოზეიმე ხალხით.

ბენ-აბრამის პიესა — „ძველი კოშკი“ მხოლოდ რიზაელის ფანატიკური აზროვნების კრახს, მის კანონზომიერ დაღუპვას მოგვითხრობს და მასში არაფერია ნათქვამი დილლემარის ძლევამოსილ ბრძოლაზე, როგორც ხალხის მეთაურისა და წინამძღოლისა, ნამდვილი, რეალური, მიწიერი გამარჯვებისა და თავისუფლებისათვის. რიზაელის ფუჭ და უნაყოფო რწმენას ზეციური ძალებისაგან მოწყალების გამოთხოვისა გ. ბააზოვმა დაუპირისპირა დილლემარის ერთადერთი სწორი გზა — მიწიერი ბედნიერების ძიებისა, ხალხის საბრძოლო დარაზმვისა და აღფრთოვანების გზით. სწორედ ამასში მდგომარეობს ის დიდი იდეური უპირატესობა, რომელიც გ. ბააზოვის „დილლემარს“ ახასიათებს მის ლიტერატურულ პირველწყაროსთან — ბენ-აბრამის პიესასთან შედარებით.

ლიტერატურულმა კრიტიკამ თავის დროზე გ. ბააზოვს უსაყვედურა თავისი ამ პიესის ერთგვარად „განყენებული“ აბსტრაქტული ხასიათის გამო, თუმცა ამასთანვე მაღალი შეფასება მისცა ამ ნაწარმოების უეჭველ ლიტერატურულ ღირსებებს: მის ემოციურად დაძაბულ სიუჟეტურ განვითარებას, მძაფრ სცენიურ დიალოგს და, რაც მთავარია, პიესის ანტიმისტიკურ, ანტირელიგიურ, ანტიინდივიდუალისტურ იდეურ ქღერას.

სწორედ თავისი ასეთი იდეური მიზანდასახულებით ეხმაურებოდა ეს პიესა იმ მწვავე ბრძოლას, რომელიც ოცინანი წლების ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში მიმდინარეობდა ყოველგვარ იდეალისტურ, მისტიკურ, ინდივიდუალისტურ მოძღვრებათა ინერციის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში, რეაქციის წლებში ჩვენი ინტელიგენციის გარკვეულ ფენებში ფართოდ იყო გავრცელებული უცხოური ბურჟუაზიული კულტურის არსენალიდან ნასესხები და გადმონერგილი ასეთი რეაქციული, ანტიხალხური მიმდინარეობების გავლენა. კერძოდ მწერლობისა და ხელოვნების სფეროში ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-დეკადენტური, ანტირეალისტური სკოლების აღმოცენება, რომელთაც უპირატესად ეპიგონური ხასიათი ქონდათ. საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში, ახალი სოციალისტური კულტურის მშენებლობისათვის ბრძოლა გულისხმობდა ამ რეაქციულ მიმდინარეობათა გავლენების აღქმას საზოგადოებრივი აზროვნებისა და მხატვრული კულტურის

ყოველ სფეროში. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმ მწვავე „დეოლოგიური ბრძოლისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში მიმდინარეობდა ოციანი წლების ბნელ ზღვაში. ასეთ ვითარებაში „დილლემარის“ ღრმა საზოგადოებრივი აქტუალობა სავსებით უეჭველი იყო. თავისი ფრიად ორიგინალური დრამატურგიული ფორმით კი ეს პიესა იმ გატაცებულ ნოვატორულ ძიებებს ეხმაურებოდა, რომლითაც იმ წლებში მოცული იყო ახალგაზრდა საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების მთელი ცხოვრება.

თავისი ამ ღირებულ ებებით მიიპყრო ახალგაზრდა დრამატურგის ამ სადებიუტო ნაწარმოებში კოტე მარჯანიშვილის ყურადღება, რომელსაც განზრახული ქონდა „დილლემარის“ დადგმა. საამწუხაროდ დიდ რეჟისორს ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა, როგორც მან ვერ მიახწრო განუხორციელებია სხვა მრავალ თავისი ძვირფასი შემოქმედებითი შთანაფქრი, როგორც იყო მაგალითად ვაჟა ფშაველას „მოკვეთილის“, ვ. მაიაკოვსკის „მისტერია ბუფის“, ს. ტრეტიაკოვსკის „შვილი მინდას“ დადგმა.

*
* *

გერცელ ბააზოვის დიდ იდეურ-შემოქმედებითს ზრდას და დაწინაურებას მოასწავებდა მისი მეორე პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“, რომელიც 1931 წელს დაიწერა, 1932 წელს თითქმის ერთდროულად დაიდგა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში და ქუთაისის სახელმწიფო თეატრში, ხოლო 1933 წელს ცალკე წიგნად იქნა გამოცემული. ეს პიესა იმ პერიოდში იწერებოდა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გადამწყვეტი ბრძოლა იყო გაჩაღებული სოფლის მეურნეობის ძთლიანი კოლექტივიზაციისათვის, უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის — კულაკობის ლიკვიდაციისათვის. როგორც ყოველი ექსპლოატატორული კლასი, კულაკობაც არ აპირებდა ნებაყოფლობით წასვლას ისტორიის სარბიელიდან, იგი გააფთრებით იბრძოდა თავისი არსებობის გახანგრძლივებისათვის, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის შეფერხებისათვის. ამ ბრძოლაში დასაღუპავად განწირული სოფლის ბურჟუაზია არ ერიდებოდა არავითარ საშუალებებს: პროვოკაციას, ხანძარს, მკვლელობას, რაც დიდ სიძნელეებს ქმნიდა ახალი სოფლის მშენებლობის საქმეში. მაგრამ, რასაკვირველია, ვერ აჩერებდა ისტორიის კანონზომიერ მსვლელობას. ჩვენი სამშობლოს განვითარების ეს უაღრესად მძაფრი პერიოდი ასახა გ. ბააზოვმა პიესაში „მუნჯები ალაპარაკდნენ“. ამ ნაწარმოების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ამ დიდი ისტორიული გარდატეხის პროცესები გამოხატულია სპეციფიკური მასალის — ქარაველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების მასალის საფუძველზე. თუ საერთოდ, მთელი ჩვენი ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ისეთ ღრმა გარდატეხას მოასწავებდა, რომელიც თავისი მნიშვნელობით დიდი ოქტომბრის გამარჯვებას უდრიდა, განსაკუთრებით დიდი იყო ამ გარდატეხის ძალაც და სიძნელეც ქართველი ებრაელობისათვის, რომლისთვისაც სოციალისტური სოფლის მშენებლობას მოჰქონდა თავდაღწევა მეწვრილმანეობის დამამცირებელი ხვედრისაგან, მრავალგვარი დრომოქმული ადათ-ჩვევებისაგან. ამიტომაც ქართველ ებრაელთა შორის საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის ბრძოლა დამატებით სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რაც სრული სიმართლით და მხატვრული დამაჯერებლობით არის ნაჩვენები გ. ბააზოვის ხსენებულ პიესაში. პიესას მთელ მსვლელობაში ჩვენს თვალწინ გადაიშალა ებრაელთა კოლმეურნე-

ობის ჩამოყალიბებისათვის გაჩაღებული ბრძოლის მძაფრი სურათები, რომლებიც უკვე ნაცადი მწერლის კალმით არის წარმოსახული. პიესის ღირსებას შეადგენს არა მარტო ღრმა დრამატიზმით აღბეჭდილი, მიმზიდველი და დამაინტერესებელი სიუჟეტი, არამედ ამასთანავე მკაფიოდ გამოძერწილი ტიპიური სახეები, რომლებიც განზოგადოებით მნიშვნელობასთან ერთად შეიცავენ ინდივიდუალური, ადამიანური ხასიათების მკვეთრად გამოვლენილ თვისებებსაც.

პიესას პირველსავე საექსპოზიციო სურათში ჩვენ ათლად ვხედავთ იმ ღრმა ქონებრივ უთანასწორობას და სოციალურ წინააღმდეგობებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა წყობილების არსებობის პირველ წლებში ქართველი ებრაელობისათვის. დიდი ორსართულიანი სახლის პირველ სართულში ცხოვრობს ღარიბი ებრაელის იეხისკიელ ყვითელაშვილის ოჯახი, მის გვერდით ბინადრობს ასევე ღარიბი მოხუცი იშაი მამისთვალი—ებრაელთა სალოცავის დარაჯი, აქვე გვერდით პატარა, ბნელ და ნესტიან ოთახში მუშაობს ახალგაზრდა ღარიბი ხარაზი მეირ სეფიაშვილი, პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირი. შენობის მთელი მეორე სართული უჭირავს სახლის პატრონს, მდიდარ ებრაელ ვაქარს დანიელ შათარაშვილს. „პირველ სართულში ჭრაქი, ჩვრები, სიღარიბე, მეორე სართულში—ელექტრონი, მოკრიალებული იატაკი, სიმდიდრე“—ვკითხულობთ პიესის პირველსავე რემარკაში. მაგრამ ყველა ამ ბინის კარებზე მიკრულია მეზუზა—თუნუქის ყუთში გამოკრული ებრაული ლოცვა. აი, სწორედ ეს მეზუზა—რელიგიური ცრურწმენისა და ფანატიზმის სიმბოლო, საუკუნეთა განმავლობაში „აერთიანებდა“ სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ებრაელობას და საშუალებას უსპობდა ღარიბ ხალხს გამოეცნო თავისი მყვლეფელები და მძარცველები, ამხედრებულიყო მათ წინააღმდეგ. ასე, იყო საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ მოვიდა ახალი დროება და საბჭოთა სინამდვილემ ბოლო მოუღო ამ ცრუ „პარმონიას“. რაიადმასკომის თავმჯდომარის მიხა დვალისა და აქტიური კომკავშირელის ვარლამ ტატიშვილის მიერ გამხნევებული და წახალისებული ღარიბი ხარაზი მეირ სეფიაშვილი სათავეში უდგება ღარიბ ებრაელთა კოლმეურნეობის ჩამოყალიბების საქმეს. ამ მოძრაობის გააფთრებულ მოწინააღმდეგეებად გამოდიან დანიელ შათარაშვილი და მისი ვაჟი ყაზარია, მათი დამქაშები და ხელისშემწყობნი: კულაკი ხარიტონ აბზიანიძე, ავანტიურისტი ზებო დავითაშვილი, მოხუცი რაბი შიმყონი. პიესის სიუჟეტურ მაგისტრალს ამ მწვავე ურთიერთბრძოლის მძაფრი სურათები განსაზღვრავენ. ცხოვლად და შთამბეჭდავად დახატულ სცენურ სურათებში მწერალი გვიჩვენებს თუ როგორი თავგამოდებით, რა უსაზიზღრესი საშუალებებით—ჭორებით, ხანძარით, ბანდური გამოხდომებით ცდილობდა მომაკვდავი რეაქციული სამყარო შეეჩერებინა ახალი ცხოვრების მზის ამობრწყინება. მაგრამ ყველა ეს უბადრუკი ცდა, რასაკვირველია, უმწეო იყო და სასტიკი მარცხისათვის განწირული. პიესის უკანასკნელ სურათში კულაკური რეაქციის ძალები მხილებულნი და სასტიკად დამარცხებულნი არიან. კოლმეურნეობის საქმე იმარჯვებს თავისი სიმარალითა და მშრომელი ხალხის ერთსულოვანებით. დრამატურგმა დახატა ამ ისტორიული კანონზომიერების დამადასტურებელი ცხოველმყოფელი სურათები. ოცდაათიანი წლების დამდეგის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ამგვარ ნაწარმოებებს ქონდა არა მარტო შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება, არამედ ნამდვილი მომწოდებელი და საბრძოლოდ აღმაფრთოვანებელი, გამამხნევებელი მნიშვნელობაც.

ამ პიესაში გ. ბააზოვმა შექმნა ერთი ისეთი ფრიად მნიშვნელოვანი მხატვრული სახე, რომელიც ასე მძლავრად და შთამბეჭდავად არ გამოჩენილა ქართული



იკა—პ. კობახიძე



ფრაუ მეველი—ბ. გამრეველი

„იკა რიჩინაშვილი“



მანკები
 ქალებისათვის
 გადმოცემილია 1933

Handwritten notes in Georgian script, partially illegible.

ფოტორეკლამა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დადგმისა „მუნჯები ალაპარაკდნენ“



დანიელ შაქარაშვილი—შ. ლამბაშიძე



ნაყომი—ს. თაყაიშვილი

მხატვრული მწერლობის არც ერთ სხვა ნაწარმოებში. ეს არის ღარიბი ებრაელი ქალიშვილის მირიამის ქეშმარიტად მომხიბვლელი სახე. ამ პერსონაჟის თავგადასავალი პიესაში გამოხატულია ღრმა განზოგადოებითი ძალით. პიესის დასაწყისში გარეგანი და სულიერი მშვენიებით აღსავსე მირიამის ხვედრი სიმბოლური განსახიერებაა მონური მდგომარეობისა, რომელშიც საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდა ღარიბი ებრაელი ქალი. თავისი ნებასურვილის წინააღმდეგ მირიამი ცოლად შერთეს მდიდარი ვაჭრის დანიელ შათარაშვილის ვაჟს—გახრწნილსა და საზიზღარ ყაზარას. ბოროტი კულაკი დანიელის მიერ დაშინებულმა ღარიბმა იეხისკიელმა იძულებით მიათხოვა, არსებითად მიჰყიდა თავისი საყვარელი ქალიშვილი შათარაშვილების საზარელ ოჯახს. ამ ოჯახში მირიამი მუშა პირუტყვად აქციეს. ქმარი და მისი მშობლები უდიერად ფეხქვეშ თელავდნენ საბრალო ქალის ადამიანურ ღირსებას და თავმოყვარეობას. ბნელი ადათისა და რელიგიური ცრურწმენის წყვედიადში აღზრდილი მირიამი დიდხანს უდრტვინველად ითმენდა ამ ველურ უსამართლობას. მაგრამ როდესაც ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობის მესვეურთა წინააღმდეგ ბრძოლაში საბოლოოდ გაშიშვლდა დანიელ შათარაშვილისა და მისი დამქაშების მხეცური სახე, მირიამი თავგანწირულად ამხედრდა ბნელეთის ამ მოციქულთა წინააღმდეგ. მან გაბედულად ამხილა და გამოამჟღავნა კულაკური ბანდის ბნელი ზრახვები და დიდი როლიც შეასრულა საკოლმეურნეო სოფლის მესვეურთა გამარჯვების საქმეში.

ამ პიესას დიდი წარმატება ხვდა წილად ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე. სწორედ ამ პიესამ გაუხსნა გზა და თვალსაჩინო ადგილი დაუმკვიდრა ქართული თეატრის რეპერტურაში გ. ბააზოვის დრამატურგიულ შემოქმედებას, მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ბრწყინვალედ განასახიერა ეს პიესა. თეატრის მაღალნიჭიერმა აქტიორულმა კოლექტივმა ამ სპექტაკლში მრავალი დაუვიწყარი სცენიური სახე შექმნა. პრესა, თეატრალური კრიტიკა ერთსულოვანი მოწონებით გამოეხმაურა ამ პიესის დადგმას როგორც მარჯანიშვილის თეატრში, ისე ქუთაისის სახელმწიფო თეატრში, რომელსაც მაშინ ნიჭიერი რეჟისორი გრიგოლ სულიაშვილი ხელმძღვანელობდა.

მართლაც „მუნჯები ალაპარაკდნენ“ — საკოლმეურნეო სოფლის აღმოცენება-განმტკიცების თემაზე დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო პიესა იყო იმდროინდელს არა მარტო ქართულს, არამედ მთელს მრავალეროვან საბჭოთა დრამატურგიაში.

ამ პიესის დაწერის შემდეგ ოცდაათ წელიწადზე მეტმა დრომ განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, კერძოდ, ჩვენმა დრამატურგიამ განვითარების დიდი გზა განვლო. თუ გ. ბააზოვის ამ პიესას ჩვენი მწერლობის დღევანდელი მდგომარეობის სიმალლიდან განვიხილავთ, შეიძლება მასში ზოგიერთი შედარებით მკრთალად დამუშავებული პასაჟი, გულუბრყვილოდ მოფიქრებული სიტუაცია დავინახოთ. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ მაშინ, როცა გ. ბააზოვი ამ პიესას ქმნიდა, ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის თემაზე. გ. ბააზოვი ერთი პირველთაგანი მთელს საბჭოთა მწერლობაში დამოუკიდებლად მიიკვლევდა გზას იმ მიმართულებით, რომ შესაფერი მხატვრული გამოსახულება მიეცა ამ უაღრესად რთული, მძაფრი, დინამიური და ღრმად ახლებური ისტორიული პროცესისათვის. და მხოლოდ თავისა უეჭველი მხატვრული ნიჭიერების, ღრმა შემოქმედებითი პოტენციისა და სალიბერ-ესთეტიკურა აღლოს მეოხებით შეეძლო დრამატურგს დაეხატა ამ პიესაში

წარუშლელად კოლორიტული ყოფა-ცხოვრებით სურათები, გამოეკვეთა დაუფრ-
წარი, ცოცხალი ადამიანური ხასიათები, შეექმნა მძაფრად დრამატული, რომელ
ემოციური სცენიური მდგომარეობანი, რომელთა გამო ეს პიესა უფრო
შეინარჩუნებს თვალსაჩინო ადგილს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში და არა-
სოდეს არ დაკარგავს გარკვეულ შემეცნებითსა და ესთეტიურ ღირებულებას.

გერცელ ბააზოვის დრამატურგიული შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენს
მისი ისტორიულ-რევოლუციური პიესა „იცკა რიჟინაშვილი“, რომელიც 1936
წელს დაიწერა და იმავე წელს დიდი წარმატებით დაიდგა კ. მარჯანიშვალის სა-
ხელობის თეატრში. ამ ნაწარმოებში, რომელსაც ავტორმა ტრაგედია უწოდა,
ღრმა სიყვარულით და წრფელი გზებით, დიდი შემოქმედებითი აღფრთოვანებით
არის წარმოსახული უშიშარი რევოლუციონერის, დაუცხრომელი მებრძოლი
ბოლშევიკის—იცკა რიჟინაშვილის შესანიშნავი ცხოვრებისა და თავგანწირული
რევოლუციური მოღვაწეობის ისტორია. ღარიბი ებრაელობის წიაღიდან გამოსული
იცკა რიჟინაშვილი საქართველოს მუშათა კლასის გამათავისუფლებელი ბრძოლის
ერთ-ერთი გამოჩენილი მესვეურთაგანი იყო რუსეთის პირველი რევოლუციის პე-
რიოდში, ქართველ ბოლშევიკთა სახელოვანი პირველი გვარდიის ერთ-ერთი
საუკეთესო წარმომადგენელი. ადრეული სიკაბუკის წლებიდანვე ჩაება ეს იშვიათი
ნიჭიერების, მგზნებარე ტემპერამენტის, ურყევი ნებისყოფისა და ფართო ერუ-
დიციის ახალგაზრდა დიდ რევოლუციურ ბრძოლაში და ამ ბრძოლას მიუძღვნა
მთელი თავისი სიცოცხლე ისე, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაუკარგავს
რწმენა და უსაზღვრო ერთგულება თავისი ნათელი იდეალებისადმი. იცკა რიჟი-
ნაშვილი გმირულად დაეცა ბნელ რეაქციულ სამყაროსთან შეურიგებელ ჭიდილში
და მისი სახელი წარუშლელად არის აღბეჭდილი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალ-
ხის რევოლუციური ბრძოლის მართანში, ბოლშევიკური პარტიის გმირულ
ისტორიაში. მაგრამ ამ სამაგალითო მებრძოლის გმირული სახე, მასი მაღალმორა-
ლური ბუნება, მისი შესანიშნავი საქმეები და ვაჟკაცურა სიკვდილი მხატვრულ
ლიტერატურაში პირველად გ. ბააზოვმა გამოაჩინა. შეიძლება გადაუჭარბებლად
თქვას, რომ თავისი ნიჭიერი დრამატული თხზულებით მწერალმა გააცოცხლა
და უკვდავყო ხალხის მეხსიერებაში ამ მგზნებარე პატრიოტისა და რევოლუციონე-
რის მომხიბვლელი და სამაგალითო სახე.

პიესა დაწერილია მღელვარე, ემოციურად მოქმედი ენით, მისი სიუჟეტი
თანმიმდევრულად აღმავალი ექსპრესიულობით ვითარდება. მკვრივია პიესის
კომპოზიცია, ღრმად მოტივირებული მისი ყოველი სცენიური სიტუაცია. მაგრამ
პიესის უპირველეს ღირსებას მისი პერსონაჟების მკაფიო და მეტყველი გამოკვე-
თილობა შეადგენს. ყოველი მოქმედი პირი აქ წარმოსახულია როგორც ტიპიური
სახე და ამასთანვე ცოცხალი, თავისებური ადამიანური ხასიათი. ყველაზე მკა-
ფიოდ ადამიანური ხასიათის დრამატურგიული წარმოსახვას მაღალი ოსტატობა
მწერალმა გამოავლინა პიესის მთავარი გმირის—იცკა რიჟინაშვილის სა-
ხის დახატვისას. მრავალმხრივად არის ნაჩვენები ეს სახე პიესაში: მას ჩვენ ვხედავთ
თავისი ღარიბული ოჯახის გარემოცვაშიც, თავისი მოწაფეობის მეგობრებისა და
რევოლუციონერი თანამებრძოლების წრეშიც, კონსპირაციული მუშაობისა და
ინტიმურ-სატრფიალო ურთიერთობის ვითარებაშიც, ლაიპციგის პოლიტიკურ
ემიგრაციაშიც და რუსეთის პირველი რევოლუციის მრისხანე ბარიკადებზეც.
დრამატურგი გვიჩვენებს თავის გმირს ძღვევამოსილ საბრძოლო წუთებშიც და
სასიკვდილო აგონიის დროსაც. და ყველა ამ ვითარებაში თანაბარი სიმართლით,

ადამიანური მომხიბვლელით და მაღალი სულიერი ღირსებებით არის განათებული ეს სახე.

პიესაში ვრცლად არის წარმოსახული 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდის ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრების დაძაბული ატმოსფერო. იგი გამსჭვალულია დიდი საბრძოლო ენთუზიაზმით და ნათელი ოპტიმისტური რწმენით. მთავარი გმირის დაღუპვის ტრაგიკულ ეპიზოდშიც კი პიესა ინარჩუნებს ასეთ ოპტიმისტურ ელერას. დიდია პიესის ემოციური ზემოქმედების ძალა, მისი იდეური და ესთეტიკური ღირებულება.

ამ პიესის დადგმას კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ცხოვლად გამოეხმაურა მაყურებელთა ფართო წრე. მას მაღალი შეფასება მისცა როგორც რესპუბლიკურმა, ისე ცენტრალურმა საკავშირო პრესამ. „იცკა რიეინაშვილი“ ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშთაგანია. შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ მთელს მრავალეროვნულ საბჭოთა დრამატულ მწერლობას იშვიათად შეუქმნია ასეთი დიდი დიაპაზონის ნაწარმოები ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის თემაზე.

მართალია, თავის საუკეთესო დრამატულ და ბელეტრისტულ ქმნილებებში გ. ბააზოვმა ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენები და უაღრესად აქტუალური პრობლემები ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების სპეციფიკური მასალის საფუძველზე გააშუქა და განასახიერა, მაგრამ იგი მთლიანად როდი იყო მომწყვდეული ამ ერთი თემატიური რკალის ფარგლებში. მისი პიესები „განურჩევლად პიროვნებისა“ და „შავი ზღვის პირას“ მოწმობენ, რომ მწერლის შემოქმედებითი ინტერესების სფერო თანდათანობით ფართოვდებოდა და სულ უფრო მრავალმხრივად მოიცავდა ჩვენი თანამედროვეობის, საბჭოთა სინამდვილის პროცესებს.

პიესით „განურჩევლად პიროვნებისა“ მწერალი მგზნებარედ გამოეხმაურა სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში წარმოშობილს საბჭოთა საზოგადოებრიობის მისწრაფებას კრიტიკისა და თვითკრიტიკის მახვილით ემხილებინა ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვანი მხარეები და პიროვნების განურჩევლად გაეკიცხა ხელმძღვანელ პოსტებზე მოკალათებული მანკიერი, გადაგვარებული ადამიანები.

პიესის ცენტრში დგას თბილისის ერთ-ერთი დიდი სტამბის დირექტორი, ძველი კომუნისტი ზურაბ მაღლაკელიძე. თავისი ძველი დამსახურებით გაამაყებულს, პარტიისა და ხალხის მხრავ დაფასებითა და პატივისცემით თავბრუდახვეულს, მას დაუკარგავს რევოლუციური სიფხიზლე და თვითკმაყოფილებისა და უदारდელობის გრძნობით შებყრობილი გადაშვებულა. ბიუროკრატიზმისა და ყოფაცხოვრებითი აღვირახსნილობის ქაობში. მოქმედების მთელს მსვლელობაში დრამატურგი თანმიმდევრულად და დაუნოგავად ამქლავნებს ამ გადაგვარებული ხელმძღვანელის შინაგან დაწვრილმანებას და გამოფიტულობას, გვიჩვენებს მისი ასეთი დაცემისა და დაქვეითების მიზეზებს, მის კანონზომიერ დამარცხებას სტამბის მოწინავე ადამიანებთან, ერთგულ და პატიოსან მუშაკებთან ბრძოლაში.

ასეთი კრიტიკული პათოსით გამსჭვალულ ნაწარმოებში მწერალმა დახატა დადებითი გმირების, კეთილშობილი საბჭოთა ადამიანების მხატვრულ სახეთა გალერეა, რომელშიც განსაკუთრებით ცოცხლად და მეტყველად გამოიყურებიან სტამბის დირექტორის მოადგილის კორნელი შანიძის, პარტუჯრედის მდივნის ლევ კანტორის, უპარტიო მუშის სიმონ თეთრაძის პორტრეტები. სწორედ ამ მოწინავე ადამიანებმა ამხილეს და გამოამხეურეს ზურაბ მაღლაკელიძისა და მის გარშემო

შეკრებილ მლიქვნელთა და უსაქმურთა ხროვის მანკიერებანი და, მართალია, დიდი სიძნეელების გადალახვით, ვაი-ვაგლახით, გარკვეული რისკით, მაგრამ უშიშრად და ვაბედულად მიაღწიეს თავისი პატიოსანი და მართალი საბრძოლო საქმის გამარჯვებას.

ცნობილია, თუ რაოდენ სერიოზული ზიანი მიაყენა საბჭოთა დრამატურგიის განვითარებას ე. წ. უკონფლიქტობის „თეორიამ“ და მის საწინააღმდეგოდ წარმოშობილმა მეორე, არა ნაკლებ ყალბმა და მავნე უკიდურესობამ—ჩვენი სინამდვილის დამახინჯებულად გამოხატვის ტენდენციამ,—საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში მხოლოდ ბნელ და მანკიერ გამოვლინებათა ძიებამ. მით უფრო საყურადღებოა, რომ ოცდაათი წლის წინათ დაწერილი გ. ბააზოვის „განურჩევლად პიროვნებისა“ თავისუფალია ორივე ამ მცდარი უკიდურესობისაგან, მასში სკორად არის გადაწყვეტილი ცხოვრების დამამკვიდრებელი და სინამდვილის ჩრდილოვან მხარეთა მამხილებელი ფუნქციების ურთიერთობის პრობლემა ხოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში.

პიესა მოსაწონი პუბლიცისტური სიმწვავით ხასიათდება, თუმცა იგი მთელ რიგ შემთხვევაში სქემატიზმითა და მხატვრული ზედაპირულობითაც სცოდავს.

ჩვენ აღარ განვიხილავთ გ. ბააზოვის სხვა დრამატულ ნაწარმოებებს, როგორცაა მისი „შავი ზღვის პირას“, „ხაგაი“, „ფელიქს რეიხარი“, „ახასოალას ნანგრევებზე“ და სხვ. ეს პიესები ჯერჯერობით გამოქვეყნებული ან სცენაზე განხორციელებული არ არის და ამდენად მათი კრიტიკული განხილვა ამჟამად ნაადრევიცაა. ამასთან ზემოთ დახასიათებული ნაწარმოებნი გ. ბააზოვისა საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ მწერლის იდეურ შემოქმედებითს ბუნებაზე და ნათლად გვაგრძნობინებენ, თუ რა დიდი დანაკლისი განიცადა ჩვენმა თეატრმა და დრამატურგიამ ამ ნიჭიერი და ნაყოფიერი მწერლის დაღუპვით, მისი შემოქმედებითი ცხოვრების ნაადრევი, ბოროტმოქმედებრივი შეწყვეტით.

გ. ბააზოვი სწორედ მაშინ იქნა გამოთიშული ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების სარბიელისაგან, როდესაც იგი შესული იყო ნამდვილ შემოქმედებითს ხიმწიფეში. მიგნებული და გამომუშავებული ქონდა სწორი იდეურ-ესთეტიკური ივალსაზრისი, იშვიათი სისწრაფით იფართოებდა სინამდვილის მხატვრულ ათვისების პორიზონტს და თანმიმდევრულად მიისწრაფვოდა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების სრულყოფილი ფორმებისაკენ.

ახლა, როდესაც გ. ბააზოვის, ისე როგორც სხვა ყველა ბოროტმოქმედებრივად დაღუპული საბჭოთა მწერლისა და კულტურის მოღვაწის მიმართ სამართლიანობა აღდგენილია, უეჭველია, ამ ნიჭიერი დრამატურგის ნაწარმოებნი ახალ სცენიურ ცხოვრებას მოიპოვებენ, მისი წიგნების ახალი გამოცემანი კვლავ მიიპყრობენ მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღებას, ხოლო ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა მას ღირსეულ ადგილს მიუჩენს საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობისა და თეატრის ისტორიაში.

ბესარიონ უღენტი.



ს ა რ ჩ ე ვ ი

1. მუნჯები ალაპარაკდნენ	5
• 2. იცკა რიეინაშვილი	85
• 3. განუორჩევლად პიროვნებისა	165
4. დილლემარ	215
5. ბესარიონ ელენტი — გერცელ ბააზოვის დრამატურგია	301

რედაქტორი ბ. ჟღენტო



გამომც. რედაქტორი კ. გაწერელია
მხატვარი ს. ლამბაშიძე
ტექნორედაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი
კორექტორი ლ. კალანდაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/ VIII 63 წ.ანაწყოების ზომა 6×10,
ქალაქის ზომა 60×90, სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 14,95.
უე 10051 შეკვ. № 538, ტირაჟი 2.000
ფასი 90 კაპ.



ქართული
საქმიანობა

Г. БААЗОВ

П Ь Е С Ы

(На грузинском языке)

Изд-во „Литერатури да Хеловნება“

Тбилиси 1963



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური
განათლების სახელმწიფო კომიტეტი.
თბილისის № 34 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკურა სასწავლებელი.
თბილისი, კამოს ქ. № 68.

Государственный комитет Совета Министров Грузинской ССР
по профессионально-техническому образованию.
Тбилисское городское профессионально-техническое училище № 34.
Тбилиси, ул. Камо № 68.



ქართული
ბიბლიოთეკა